

98-59

780/3

1998

3/6

საგონებანი



2

1998

საუნჯე

1998/2

მარტი

აკრილი



ქართული
ბიბლიოთეკა



შინაარსი

პროზა, პოეზია

შოქერლო და ლაკლო. სახიფათო კავშირები. გაგრძელება. II ნაწილი. თარგმნი რუსუდან ქებულაძემ	3
ინგლისური პოეზია. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნი თამარ მხარგრძელმა	71
ნარიმან კასანოაძე. დედას კური. მოთხრობა. დასაწყისი. აზერბაიჯანულიდან თარგმნი დიმიტრი გულიხაშვილმა	74
ჯონ ბრაინი. ცხოვრება მალალ საზოგადოებაში. რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნი ციალა თოფურიძემ	146

რელიგია. ფილოსოფია, ლიტერატურა

ფრიდა სვიმონი, ახალი ღვთისმეტყველი (946—1021).. გამოკრებილი აღბილები ქალაქებიდან. დასაწყისი თარგმნი ვახილ ბურკაძემ	240
მან ილიოტი. წინაფილოსოფიური აზროვნება ეგვიპტეში. ფრანგულიდან თარგმნი ნანა თარგაშაძემ	273
რიკარდ ვანდერისა და მათილდო ვიჟანდონკის მიმოხილვები. გერმანულიდან თარგმნი რუსუდან ღვინეფაძემ	292
ემზარ კვიციანიშვილი. კლასიკო საჰაერთველოსაც მფრია	301
თენგიზ კეზელაძე. ხომეინის! ლექსები ქართულად...	310
ნოდარ კაკაბაძე. ქართველი ჯონისოლოგი. განხილვა	319

საქართველოს მშენებლის კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი



1998, № 2

მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე

ნანა მარჩია-ბოლქვაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაძრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
გივი ძნელაძე
დავით შერედიანი.

ტექნიკური რედაქტორი
ნანა ბართაია

ჩვენს მისამართს: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. **ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — 93-47-31. მთ. რედაქტორის მოადგილე 99-60-22. განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 2. 03. 98 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 23. 04. 98 წ., ქაღალდის ზომა 20X108¹/₁₆.
სააღრ. თ. 25,51, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. საღებავის გატ. 28,7.
ტირ. 300. შეკვ. № 264.

ფასი 2 ლარი

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კობახიძის 14.



თარგმნა რუსურად ქაზულაძემ

II ნაწილი

51-ე ვერილი

მარკიზის მეუღლე ქ-ნი და მერტეი ვიკონტ და ვალმონს

მართლა აუტანელი ვინმე ბრძანდებით, ვიკონტ. ისე უბოდიშოდ მექცევით, რითქოს საყვარელი ვიყო თქვენი. იცოდეთ, გაგიბრაზდებით და ამ წუთას უკვე ძალზე გაბრაზებულიც ვარ თქვენზე. როგორ? ხვალ დილას დანსენის უნდა შეხვდეთ — მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრამდე ჩემთან ლაპარაკს — თქვენს ლოდინში მთელი დღე შინ მაყურყურებთ, თავად კი კაცმა არ იცის, სად დამჩნით! თქვენი წყალობით ქ-ნ და ვოლინეს ისე გვიან ვეწვიე, ბებრუხანებმა „საოცრებად“ შემრაცხეს. დასაშოშმინებლად როგორ არ ვეფერე, ხომ იცით, ახალგაზრდა ქალების სახელი მათზეა დამოკიდებული.

ახლა უკვე დამის პირველი საათია. მე კი ნაცვლად იმისა დასაძინებლად დავწვე — არადა, როგორ მეძინება — გრძელი წერილი უნდა მოგწეროთ, რაიც უფრო მომგვრის ძილს, იმდენად მოსაწყენია ბუდი თქვენი, დრო არ მაქვს კიდევ და კიდევ გთათხოთ. მაგრამ არ გეგონოთ, შენდობილი ხართ! უბრალოდ არა ჩცალია. ჰოდა, მისმინეთ რადგან ძალიან მერქარება.

ცოტა თუ მაინც იმარჯვეთ, ხვალ დანსენის სრულ ნდობას მოიხვეჭთ. ისეთი უბედურია, სწორედ მისწრება იქნება მისთვის გული გადავიშალთ. გოგონა აღსარებაზე ყოფილა. პატარა ბალღივით ყველაფერი დაუფქვავს, ჰოდა, ისეა შეშინებული, ისე იტანჯება, გადაწყვეტილი აქვს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს. ბიჭთან კავშირი გაწყვიტოს. თავისი უბადრუკი ეჭვები ისე გულმხურვალედ გამანდო. მიეხვდი, რაოდენ აუბნის თავგზა. წერილიც მაჩვენა, სადაც ურთიერთობის გაწყვეტაზე ამცნობს — თავიდან ბოლომდე ფარისეულობაა. მთელი ერთი საათი მეტიკტიკა, თუმცა ჭკვიანური არაფერი უთქვამს და ფრიადაც შემაცბუნა. ამ პატარა ჭკუის არსებას ყველაფერს ხომ ვერ გაკუმხვლდი.

მისი ტიკტიკით მაინც მიეხვდი, რომ თავისი დანსენი ძველებურად უყვარს. ის ხრიკიც სცოდნია, სიყვარულს რომ საკმარისად მოხდგამს, და გოგოც სასაცილოდ იყენებს. სატრფოზე ნიადაგ ფიქრით გაწამებული და იმის შიშითაც, სული არ წავიწყმიდოთ, გადაწყვეტა უფაღს აღუვლინოს ლოცვა, დანსენი დამა-

1. გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, 1998 წ.



ვიწყებო. რაკი ყოველ წამს სულ ამაზე ლოცულობს. გზაც მონახა დანსენიზე გა-
უთაუებლიე ფიქრისა.

დანსენიზე უფრო გამოქექილი კაცისთვის ეს პატარა ამბავიც ხელსაყრელი
იქნებოდა, ვინემ დამაბრკოლებელი. მაგრამ ეს ყმაწვილი ისეთი სულადონია,¹
თუ არ მიეხმარე, ყველაზე უმნიშვნელო და უბრალო დაბრკოლების გადალახვი-
სათვის იმდენი დრო დასჭირდება, ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას უკლებლად
მოვასწრებთ. მართალი ხართ, დიასაც სამწუხაროა და თქვენზე უკლებლად უკლებ-
ბა გული, რომ თავგადასავლის გმირი ის ბრძანდება, მაგრამ რას ვიზამთ? მომხ-
დარს ვერაფერს უშველი, არადა. ბრალი თქვენია. პაწიას ვთხოვე, მისი პასუხი
მაჩვენე-მეთქი. და გული კიდევაც ამიჩვილა. გამწარებული ცდილობს დაარწმუ-
ნოს გოგო. რომ უნებლიე გრძნობა არ შეიძლება ცოდვად ჩაითვალოს. თითქოსდა
იმ წუთიდან არ ჰკარგაუდეს იგი უნებლიობას, როგორც კი აღარ შეებრძოლები.
ეს მარტივი აზრი გოგონასაც კი მოაფიქრდა. ყმაწვილი საკმაოდ საბრალისად
უჩივის თავის უბედურ ბედს. ოღონდაც მისი მწუხარება ესოდენ ძლიერი და
გულწრფელია, ვერამც და ვერამც ვერ დავიჯერებ, თუკი ქალს მიეცემა საშუა-
ლება კაცი ასეთ სასოწარკვეთამდე მიიყვანოს, ოღონდაც ისე, თავი ხიფათში არ
ჩაიგდოს, ცთუნებას სძლიოს და შემდეგშიც არ განაგრძოს ამით თავის შექცევა.
მოკლედ, მან აუხსნა გოგონას, რომ სულაც ბერი არაა, როგორც გოგოს ეგონა.
და უეჭველია, ამაზე უკეთესი არც არაფერი მოუმოქმედებია. რამეთუ ბერებთან
თუ ისიყვარულე, მაშინ მალტის რაინდებს უპირატესობა აღარც დარჩებათ.

ასე იყო თუ ისე, ნაცვლად იმისა, ლაპარაკში დრო დამეკარგა, რაიც საჩო-
თირო მდგომარეობაში ჩამაგდებდა და შეიძლება ვერც დამერწმუნებინა, მოვუ-
წონე გადაწყვეტილება ურთიერთობის გაწყვეტაზე, ოღონდაც ვუთხარი, მსგავს
ამბებში უფრო პატიოსნური საქციელი იქნება წერილობით კი არა, პირადად
უთხრა შენი დასაბუთებანი, გარდა ამისა წესია იმ წერილების დაბრუნება. ერთ-
მანეთისთვის რომ მიგიწერიათ-მეთქი. ამგვარად ისე მოვაჩვენე თავი, ვითომდა
სავსებით ვეთანხმები ამ ნორჩ არსებას და დავარწმუნე დანსენისთვის პაემანი
დაენიშნა. მყისვე მოვითათბირეთ, როგორ მოგვეგვარებინა ეს ამბავი და მევე
ვიკისრე მისი დედიკოს დაყოლიება მარტო წაბრძანებულყო შინიდან. ხვალ
ნაშუადღევს დადგება კიდეც ეს გადამწყვეტი წუთი. დანსენი უკვე გაფრთხილე-
ბულია, ოღონდაც, ღვთის გულისათვის, გააფრთხილეთ ეგ პირმშვენიერი მწყემ-
სი, ნუ იქნება ესოდენ მიბნედილი, და ასწავლეთ, რაკი პირდაპირ თქმაა საჭირო,
ეჭვების გაქარწყლების უტყუარი საშუალებაა ისე მოიქცე, ვისაც ისინი აღუბ-
რება, დასაკარგი აღარაფერი ჰქონდეს.

ისე კი ეს სულელური სცენა რომ მეორედ აღარ განმეორებულყო, გოგოს
მყის ეჭვი ჩაუუნერგე, ვითომ კი ასე შედგრად იცავენ-მეთქი აღმსარებლები აღ-
სარების საიდუმლოს? მერწმუნეთ, რა შიშიც მან განმაცდევინა, საკუთარი ში-
შითვე მიზღავს, ვაითუ აღმსარებელმა ყველაფერი უამბოს მის დედიკოს. იმე-
დია, ჩემთან ერთი-ორჯერ გასაუბრების შემდეგ თავს გაანებებს პირველ შემ-
ხვედრს უამბოს თავისი სულელური საქმენი.²

1. ონორე დ' იურფეს რომან „ასტრეას“ გმირი (1619). იგი გახდა ყველა
განაზებული მიჯნურის მეტსახელი.

2. ქ-ნ დე მერტეის ჩვევათა მიხედვით მკითხველი აღბათ დიდი ხანია მიხე-
და, თუ რა მცირედ პატივსა სცემს იგი რელიგიას. ეს ნაწყვეტი მთლიანად შეიძ-
ლება გამოგვეტოვებინა, მაგრამ ჩვენი აზრით, შედეგთა წარმოჩენისას მიხეზებიც
აშკარა უნდა გახდეს (ავტ. შენიშვ.).

მშვიდობით, ვიკონტ, მიხედვით დანსენის და უხელმძღვანელო. სირცხვილი
 ექნება ჩვენი მხრიდან ამ ორ ბაღს ის არ გავაკეთებინოთ, რაც გვინდა. ხოლო
 თუ ეს უფრო ძნელი გამოდგა, ვინემ თავდაპირველად გვეგონა, თავდაპირველად
 წასაქმებლად თქვენ უნდა გაიხსენოთ, რომ საქმე ქ-ნ დე ვოლანქის ასულს ეხე-
 ბა, ხოლო მე — იგი ჟერკურის ცილი უნდა გახდეს. მშვიდობით.

ეროვნული
 გენერალი
 ...დან, 2 სექტემბერი 17...

52-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნ დე ტურველს

რომ მიკრძალავთ სიყვარულზე ლაპარაკს, მეყოფა კია ძალა და ვაჟკაცობა
 დაგემორჩილოთ? ამ გრძნობით მოლიანად გამსჭვალული, ესოდენ დამატკობე-
 ლი რომ უნდა იყოს და ესდენ გამტანჯველს მიხდით, თქვენი ბრძანებით განდევ-
 ნილი და ამით გაწამებული, ცხოვრებაში მხოლოდ შეჭირვებასა და სინანულის
 განმცდელი, მტანჯველი გრძნობებით გულდაფლეთილი, მით უფრო სასტიკით, რომ
 მუდამგზის მაგონებს თქვენს გულგრილობას—ნუთუ ყველა ამ სიკესთან ერთად უა-
 რი უნდა ვთქვა ერთადერთ ნუგეშზე? განა დამრჩა კი რამე გარდა იმისა, ხან-
 დახან მაინც გადავიშალოთ გული, თქვენი წყალობით შემფოთებითა და სიმწა-
 რით სავსე? ნუთუ თვალს ამარიდებთ, რათა არ დაინახოთ თქვენ მიერვე მოგე-
 რილი ცრემლები? ნუთუ თავიანისცემასზეც უარს იტყვით იმას, ვინაც ყველა
 მსხვერპლი გაიღო: რაც კი მოსთხოვეთ? განა უფრო საკადრისი არ იქნებოდა
 თქვენებრ კეთილშობილი და სათნო სულის პატრონისათვის თქვენგან გატანჯუ-
 ლი კაცის შებრალება, ნაცვლად იმისა ტანჯვანი უფრო გაუმძაფროთ უსამართ-
 ლო და მეტიმეტად მკაცრი აკრძალვებით?

თავს იკატუნებთ, სიყვარული მაშინებსო, იმის გაგება კი არ გსურთ, რომ
 თვითვე ბრძანდებით მიზეზი იმ ბოროტებისა, მას რომ მიაწერთ! ვაჰმე, ეს
 გრძნობა, თქმა რად უნდა, გამტანჯველია, როცა მას არ იზიარებენ. მაგრამ სად
 ეძიოს კაცმა ბედნიერება. თუკი ურთიერთსიყვარულმა არ მიანიჭა? თუ არ სიყ-
 ვარული, აბა სხვა რა გარგუნებს ნაზ მეგობრობას, უტკბილეს და დასტურ უსა-
 ზღვრო ნდობას, რა შეგიმსუბუქებს ტანჯვას, რა ვიმრავლებს სიხარულს, წარ-
 ნტაც მოგონებებს? ნუ სწამებთ ცილს სიყვარულს, აკი მთელი იმ სიკეთით ტკბო-
 ბისთვის, ის რომ აღგვითქვამს, მხოლოდ ერთია საჭირო, ზურგი არ აქციოთ. მე
 კი მისი გამოქომაგებისას მავიწყდება ჩემი ტანჯვა და წამება.

თქვენ მაიძულებთ საკუთარც თავი დავიცვა, ვინაიდან მივუძღვენი რა ჩემი
 ცხოვრება თქვენს გაღმერთებას, საკუთარი ცხოვრების მიზნად ის გაიხადეთ,
 შეცოდებანი გამომიწახოთ. უკვე თავქარიანი და მატყუარა გვონივართ, ჩემს
 ამა თუ იმ შეცდომებს, თავადვე რომ გამოგიტყდით, ჩემსავე წინააღმდეგ მომარ-
 თავთ და მზადა ხართ ჩემში დაინახოთ კაცი, ადრე რომ ვიყავ და ახლა არა ვარ.
 აღარ მაკმარეთ ის წამება, რაზეც გამწირეთ თქვენგან შორს ყოფნით, შეუბრა-
 ლებლადაც დამცინით იმ ნეტარებათა გამო, რომელთა მიმართ — ეს მშვენივრად
 მოგეხსენებათ — თქვენივე წყალობით უგრძნობი გავხდი! არ გჯერათ ჩემი არც
 აღთქმანი, არც ფიცილი. ოღონდაც გეტყვით. მე შეავს მოწმე, ვისზედაც ვერამც
 და ვერამც უარს ვერ იტყვით: თვით თქვენი თავი. მხოლოდ იმას გთხოვთ, გულ-

წრფელად ჰკითხოთ საკუთარ თავს — და თუ არ გჯერათ ჩემი სიყვარულისა, თუ წამითაც მაინც დაეჭვდით, ჩემი სულის ერთადერთი მეუფე რომ ხართ, თუ არ გწამთ, მართლაც მეტიხმეტად ცვალებადი ჩემი გული თქვენ მიჯაჭვით, მაშინ ამ თქვენს შეცდომაზე ყაბულსა ვარ პასუხი თვითვე ვაგო. მწუხარებისგან ვაებაში მყოფს ერთი ჩივილიც არ ამომხდება. ხოლო თუ პერიოდულად მთხდა, თუ ჩვენ ორივეს საკადრისს მოგვაგებთ, თუ სულის სიღრმეში აღვივებთ, რომ მეტოქე არ გყავთ და არც არასდროს გვეოლებათ, მაშინ, გემუდარებით, ნუ მაიძულებთ მოჩვენებებს შევეჭიდო და ერთი ნუგეში მაინც დამიტოვებთ — ეჭვი არ შეიტანოთ იმ გრძნობებში, რომელსაც შეიძლება მართლაც ბოლო მოვლის მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სიცოცხლესთან ერთად. მომეცით ნება გთხოვოთ დადებითად მიპასუხოთ ჩემი წერილის ამ ნაწილზე. თუმცაღა მზადა ვარ ჩემი ცხოვრების ის ხანა, ესოდენ რომ მკნებს თქვენს თვალში, გაკიცხვის ღირსად გამოვაცხადო, მაგრამ სულაც იმიტომ არა, საბუთი არ გამაჩნდეს მის დასაცავად.

ბოლოს და ბოლოს ხომ მთელ ჩემს დანაშაულს მხოლოდ და მხოლოდ ის შეადგენს, რომ არ შევეცადე იმ მორევადან თავის დაღწევას, სადაც ჩამაგდეს? საზოგადოებაში ძალზე ნორჩმა და გამოუცდელმა შევადგი ფეხი, შეიძლება ითქვას, ქალთა მთელი ბრბოს ხელიდან ხელში გადაედო, სადაც თითოეული იმზომ ისწრაფოდა არაფერზე უკან არ დაეხია, დაფიქრების დროს არც მამღვდა, რადგან კარგად იცოდა, მისთვის ეს ხელსაყრელი არ იქნებოდა. განა შემდეგლო სიმტკიცის მაგალითი მიმეცა, როცა სიმტკიცეს არც არავინ მიპირისპირებდა? ან განა მოვალე ვიყავ წუთიერი შეცდომის გამო, ხშირად ჩემდა უნებურად რომ ჩამიდენია. აშკარად უნაყოფო და ხალხის თვალში სასაცილო ერთგულებით ჩემივე თავი დამესაჯა? სამარცხვინო კავშირისას რამ შეიძლება გაგამართლოს, თუ არ მისმა სწრაფმა გაწყვეტამ?

მაგრამ ის კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გრძნობათაგან თრობას — იქნებ გახელებულ პატივმოყვარეობასაც — ჩემს გულში ღრმად არ შეულწევია. იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, არშიყობა მას ართობდა, მაგრამ ფეხი არასოდეს მოუკიდია. მე გარს მეხვია მომხიბლავი, მაგრამ პატივისცემის უღირსი ქმნილებანი და ჩემი გული არც ერთ მათგანს არ აუძგერებია. მე მთავაზობდნენ განცხრომა-ნეტარებას, ვინც სიკეთესა და პატიოსნებას ვეძიებდი. პოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაზი და მგრძნობიარე გულის პატრონი ვიყავ, ცვალებადი ბუნების კაცად შევრაცხე თავი.

ოღონდაც თქვენმა ხილვამ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახადა. სულ მალე მივხვდი, რომ სიყვარულის ხიბლის ჭეშმარიტი წყარო — სულიერი თვისებანია, რომ მხოლოდ მათ ძალუბთ აღძვრა და გამართლება სიყვარულის მთელი სიშმაგის. მოკლედ, მე მივხვდი, რომ ჩემთვის ისევე შეუძლებელია თქვენ არ მიყვარდეთ, როგორც თქვენ გარდა სხვა შევიყვარო.

აი ასეთი გახლავთ, ქალბატონო, გული იგი, რომლის მინდობაც ასე გაშინებთ და რომლის ბედი თქვენს ხელთაა. თუმცა რაიც არ უნდა გადაწყვიტოთ, გრძნობებს, იგი რომ თქვენ მიგაჯაჭვათ, მაინც ვერ შეცვლით, გრძნობებს ისევე ურყევთ, როგორც მათი აღმძვრელი სიკეთე და პატიოსნება.

53-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტის

შევხვდი დანსენის, მაგრამ მთლიანად ვერ გამღვტებე, მხოლოდ ნახევრად. განსაკუთრებით პატარა 'ვოლანჟის სახელის ხსენებას ერიდებოდა. მხოლოდ ესა თქვა, ძალზე კდემამოსილი და ღვთისმოსავია, ცოტა არ იყოს, მეტი სმეტა და ცო. დანარჩენი კი საკმაოდ სწორად ძიამბო, მეტადრე თვისი ბოლო თავგადასავალი. რაც შეეძლო ცეცხლს ვუკიდებდი, დაუცინოდი მის თავმდაბლობას, მეტისმეტ წესიერებას, მაგრამ, როგორ ჩანს, არ აპირებს მათ უღალატოს. ამიტომ მასზე პასუხს ვერ ვაგებ, თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავ, რომ ზეგისთვის შევძლებ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მოგახსენოთ. ხვალ ვერსალში მიმყავს და გზაში შევეცდები ყველაფერი დაუცინცლო, რის დაცინცვლასაც მოვახერხებ.

რალაც-რალაც იმედები შეყვარებულთა ხვალინდელ პაემნისაც მაქვს. ვინ იცის, ყველაფერი იქნებ ჩვენი სურვილის თანახმადაც მოხდეს. ისლა დაგვრჩება მხოლოდ ყველაფერი დავაფქვევინოთ და დასამტკიცებელი საბუთები შევაგროვოთ. ამას ჩემზე აღვილად თქვენ მოახერხებთ. ვინაიდან ეს ნორჩი არსება უფრო მიმნდობია, ან—რაც იგივეა—უფრო ენატარტარა, ვინემ მისი მორიდებული მოთაყვანე. თუმცა ჩემი მხრიდან არც მე დავაკლებ ხელს.

მშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო, ძალიან მეჩქარება. ვერც ღღეს და ვერც ხვალ ვერ ვინახულებთ. თუ რომ თქვენი მხრივ რაიმე შეიტყვეთ, ორი სიტყვით მომწერეთ. პარიზში ალბათ ღამით ვიქნები.

...დან, 3 სექტემბერი 17...

54-ე წერილი

მარკიზის მეუღლე ქ-ნი მერტი ვიკონტ დე ვალმონს

ნეტავ რა გვაქვს დანსენისაგან დასაცინცილი! თუკი რაიმეზე სიტყვა გადავიკრათ, უბრალოდ, წაიტრაბახა, მისთანა დოყლაპიას სატრფიალო ამბებში მეორეს არ ვიცნობ და სულ უფრო მეტად ვნანობ ჩემს სიკეთეს მისდამი. იცით თუ არა, რომ მისი წყალობით კინაღამ სახელი გამიტყდა! არადა, სულ ტყუილ-უბრალოდ! თ. ამას არ შევარჩენ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!

გუშინ ქ-ნ დე 'ვოლანჟს რომ გავუარე, არ მოინდომა ჩემი წამოყოლა, უქეიფობა მოიმიხეზა. მთელი ჩემი მჭევრმეტყველების დახარჯვა დამჭირდა მის გადასარწმუნებლად. შემეშინდა კიდევ, ჩვენს წახულამდე დანსენი არ გამოგვეცხადოს-მეთქი. ეს კი დიახაც უსიამოვნო იქნებოდა, ვინაიდან ქ-მა დე ვოლანჟმა წინაღღეს უთხრა, ხვალ შინ არ ვიქნებიო. მე და მისი ასული, ორივენი თითქოს ნემსებზე ვისხედით. როგორც იყო გამოუედით. პაწიამ ისეთი გრძნობით მომიჭირა ხელი დამშვიდობებისას, მიუხედავად მისი გადაწყვეტილებისა — გაუწყვიტა ურთიერთობა, და გულწრფელი რწმენისა, ამ გადაწყვეტილებას არამც და არამც არ გადათქვამდა, ამ საღამოსგან ნამდვილ სასწაულს ველოდი.

მაგრამ ჩემი შიში ამით არ დამთავრებულა. ნახევარი საათიც არ დაგვიყვია

ქ-ნ დე...-სთან, ქ-მა დე ვოლანჟმა ისე ცუდად იგრძნო თავი, ისე ცუდად, რომ შინ წასვლა მოინდომა. მე კი ეს სულაც არ მაძლევდა ხელს, რადგან მეშინოდა, თუ ახალგაზრდებს მარტოებს შევისწრებდით, ეს კი ნამდვილად ასე იქნებოდა, დედას საეჭვოდ მოეჩვენებოდა ჩემი დაეინებული თხოვნა, სტუმრად ერთად წავიდეთ-მეთქი. ამიტომ გადავწყვიტე შემეშინებინა. ვაითუ კიდევ უფრო ცუდად გამხდარიყო გზაში, რაიც, საბედნიეროდ, არ გამჭირვებია. მთელი საათ-ნახევარი არამც და არამც არ დავთანხმდი შინ წამეყვანებოდა იმის შიშით, ეტლში ჯანჯღარმა არ გავნოთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს შინ დათქმულ დროს დავბრუნდით. გოგონა რაღაც მეტისმეტად დარცხვენილი გამოიყურებოდა და, გამოუტიყდებით, იმედი გამიჩნდა. ტყუილად არ გავრჯილვარ-მეთქი.

სული მიმდიოდა ყველაფერი კარგად გამეგო, ისე რომ, როცა ქ-ნი დე ვოლანჟი მალევე ლოგინში ჩაწვა, მის გვერდით დავრჩი, იქვე ვივახშმეთ და ადრე დავტოვეთ იმ საბაბით, მოსვენება სჭირდებოდა. ჩვენ კი მისი ასულის ოთახისკენ გავსწიეთ. ყველაფერში სწორედ ისე მოქცეულა, როგორც ველოდი: ეჭვები გაქარწყლებულა, კვლავაც შეუფიციათ ერთმანეთისთვის სამარადისო სიყვარული და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით. გოგონა ხალისით დათანხმებულა ყველაფერზე, მაგრამ იმ დოვლაპია დანსენის თითი არ გაუნძრევია, ნაბიჯით არ წაწეულა წინ. ო, მისთანა ლამაზ ბიჭს გინდ ეჩხუბე და გინდ შეურიგდი: მაინც არაფერი გამოვა.

თუმცა პაწია მარწმუნებს, უფრო მეტი მოინდომა, მაგრამ მოვახერხე თავის დაცვაო. სანაძლეოს ჩამოვალ, ან ტრაბახობს ანდა ბიჭს უნდა გამართლება მოუძებნოს. თითქმის მეც დავიჯერე ანუ მომესურვილა დარწმუნება, როგორ შეუძლია თავის დაცვა. პოდა, მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკ-ლაპარაკში ისე დავახვიე თავბრუ... მოკლედ, შევიძლიათ შენდოთ, მეორე არსება არ მეკულება, გრძნობათა უეცარ მოძალებას ასე მიენდოს. ეს პაწაწინა მართლაც საოცრად საყვარელია! 'იგი ღირსია სულ სხვა მოთაყვანისა! ასეა თუ ისე, მეგობარი მაინც კარგი ეყოლება, რამეთუ მართლა შემიყვარდა იგი. ხომ შევპირდი, საბოლოო განათლებას რომ მივცემდი და, მგონი, კიდევ შევუსრულებ დანაპირებს. ხშირად მიგრძვნია, რარიგ მჭირდება გულის მესაიდუმლე და სხვაზე მეტად ეგ გამომაღება. ოღონდაც ვერაფერს მოვუხერხებ, თუ რომ არ გახდა ისეთი, როგორიც უნდა გახდეს. ეს კიდევ ერთი მიზეზია, დანსენის უკმაყოფილო ვიყო.

მშვიდობით, ვიკონტ. ხვალ არ შეწვიოთ, თუ მაინცდამაინც დილით მეწვიეთ. შევალთ და მიჩემა, საღამო ერთად გავატაროთო თქვენს პატარა სახლში.

...დან, 14 სექტემბერი 17...

55-ე ვერილი

სესილ ვოლანჟი სოფი კარნეს

მართალი ყოფილხარ, ძვირფასო სოფი. წინასწარმეტყველება უკეთ შეგძლება, ვინემ რჩევა-დარიგებანი. როგორც წინდაწინ თქვი, დანსენიმ აჯობა აღმსარებელს, გაჯობა შენ და, წარმოიდგინე, მეც კი. ჩვენ კვლავ იქა ვართ, სადაც ვიყავით. ოჰ, შე არ ვნანობ, ხოლო თუკი ისევ გამათხავ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცი, რა სიხარულის მომტანია დანსენის სიყვარუ-

ლი. შენთვის ადვილია თქმა, თავის დაჭერა როგორ უნდა. შენ ზომ ხელს არაფერი გიწლის. მაგრამ რომ გეგრძნო, რარივ გტკენს გულს იმის მწუხარება, ვინც გიყვარს, რარივ გახარებს მისი სიხარული და რარივ ძნელია „არა“ თქვა, როცა ასე ვინდა „ჰო“ უთხრა — აღარ გაგიკვირდება აღარაფერი. მე ჩემს თავზე განვიცადე ეს, განვიცადე ძალზე ცოცხლად, თუმცა ჯერაც არ მესმის, რაღაა ასე. მაგალითად, როგორ გგონია, შემიძლია დანსენის ცრემლების შესრულება? არ ვიტირო? 'მერწმუნე, ეს ყოველად შეუძლებელი რამაა. ხოლო როგორც მისი ფილია, მეც მასავით ბედნიერი ვარ. შეგიძლია მითხრა ყველაფერი, რაცა ვსურს, ვერა სიტყვებით ვერ შეცვლი იმას, რაც არის. და დიახაც მჯერა, რომ ასედაც არის.

კი მინდა ჩემს ადგილზე იყო... — არა, არა, ამის თქმა არ მინდოდა. ვინაიდან არ დავთანხმდებოდი ჩემი ადგილი სხვისთვის დამეთმო. ოღონდაც მინდა შენც ვინმე შეიყვარო. არა იმიტომ, მაშინ უკეთ გამიგებ და ნაკლებ გამათხავ, არამედ შენც ბედნიერი გახდებოდი, უფრო სწორად, ბედნიერებას შეიგრძნობდი.

ჩვენი თამაშობანი, ჩვენი მხიარულება — ეს ყველაფერი, იცი, ბალღური თავშექცევაა. დამთავრდება და უკან აღარაფერი რჩება. მაგრამ სიყვარული, ოჰ, სიყვარული!.. ერთი მისი სიტყვა, ერთი შეხედვა, იმის შეგრძნება, რომ იგი აქ, შენ გვერდითაა — აი რაა ბედნიერება. დანსენის დანახვაზე სხვა აღარაფერი მინდა, ხოლო თუ არ ვხედავ, მხოლოდ მის ნახვას ვნატრობ. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ რაც მომწონს, ყველაფერი მასა ჰგავს. ჩემთან რომ არაა, მასზე ვფიქრობ, და როცა შემიძლია მხოლოდ მასზე ვიფიქრო — მაგალითად, სულ, სულ მართო რომ ვარ — მაშინაც ბედნიერი ვარ. თვალებს დავხუჭავ, მყის მეჩვენება, თითქოს ჩემ წინ დგას, ვიხსენებ მის სიტყვებს, ასე მგონია, მას ვუსმენ. პოდა, ოხვრას ვიწყებ, მერე თითქოს გამაცხელებს, მღელვარება შემიბყრობს... ადგილს ველარ ვპოულობ. თითქოს იტანჯები, მაგრამ ეს ტანჯვა ენით უთქმელ ნეტარებას განიჭებს.

ისიც კი მგონია, როცა ვინმე გიყვარს, ეს სიყვარული მეგობრობაზეც ვრცელდება. მაგრამ ჩემი შენდამი მეგობრობა სულაც არ შეცვლილა, ყველაფერი ისეა, როგორც მონასტერში იყო. მაგრამ იმას, რაზედაც გეუბნები, ქ-ნ დე პერტეისადმიც განვიცდი. ასე მგონია, იგი უფრო ისეთნაირად მიყვარს, როგორც დანსენი, ვიდრე როგორც შენ. ზოგჯერ კიდევ ზინდა იგი დანსენად იქცეს. იქნებ მიზეზი ისაა, რომ მე და შენსავით ეს ბავშვური მეგობრობა არაა, იქნებ იმიტომ, რომ მათ ხშირად ერთად ვხედავ და ისე გამოდის, თითქოს ერთმანეთში მერევა. ერთი სიტყვით, თავიდათავი ისაა, რომ ორივე ბედნიერებას მანიჭებს. ისე რომ, ბოლოს და ბოლოს არა მგონია, ძალზე ცუდად ვიქცეოდე. აი რატომაც მირჩევნია ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ახლაა. ესაა გათხოვებაზე ფიქრი ძალზე მთრგუნავს. თუ ბ-ნი დე ჟერკური მართლა ისეთია, როგორც მითხრეს, — მე კი ამაში ეჭვი არ შეპარება — უბრალოდ, არ ვიცი, რა დამემართება. მშვიდობით, საყვარელო სოფი, ისევ ისე ნაზად მიყვარხარ.

პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი და ტურველი ვიკონტ და ვალმონს

რად ვნებავთ, ბატონო ჩემო, ჩემი პასუხი? ირწმუნოს, კაცმა თქვენი გრძნობები—განა არ ნიშნავს ზედმეტი საბაბი იქონიოს მათდამე, არც უარყოფი და არც ვალიარებ მათ გულწრფელობას — მაგრამ გრძნობის არაა ვიცოდე — და თქვენთვისაც აღბათ საკმარისი უნდა იყოს — რომ არც სურვილი მაქვს და არც უფლება მათზე პასუხის?

ვთქვათ და, შართლა გიყვარვართ (გეთანხმებით მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საკითხს მეტად აღარ მიუხერხებოდა), განა ჩვენ შორის არსებული დაბრკოლებანი კვლავაც გადაულახავი არ დარჩება? ან სხვა რა დაძრწინია, თუ არ ვისურვო რაც შეიძლება მალე ჩაიკლათ ეს გრძნობა და ყველანაირად შევეცადო მოგიშალათ ყველა იმედი? თავადვე ამბობთ, რომ ეს გრძნობა გამტანჯველია, თუკი ის არ იზიარებს, ვინც იგი აღძრა. არადა, შესანიშნავად იცით, მისი გაზიარება ჩემთვის რომ შეუძლებელი გახლავთ. ხოლო თუ ასეთი უბედურება მაინც არ ამცდა, კიდევ უფრო მეტად გავხდები შესაბრალისი და არც თქვენ იგრძნობთ თავს ბედნიერად. იმედია, იმდენი პატივისცემა მაინც გაქვთ ჩემი, ამ ამბავში ეჭვი არ შეიტანოთ. გაფიცებთ ყველაფერს, ნულარ ეცდებით ჩემი სულის აფორიაქებას, ნულარ დამირღვევთ სიმშვიდეს, ნუ მაიძულებთ ვინანო თქვენი გაცნობა.

ჩემი ქმარი, ვინც მიყვარს და ვისაც პატივს ვცემ, თავზე მეველება და მე-თაყვანება. იგია წყარო ჩემი სიხარულის, ჩემი მოვალეობების. მე ბედნიერი ვარ, მე ბედნიერი უნდა ვიყო მასთან. თუკი არსებობს უფრო მწველი ნეტარებანი, მათკენ არ ვილტვი და არც მაქვს სურვილი მათი განცდის. განა იმაზე დიდ სიხარულს რა მოგანიჭებს. როცა შენს სულში სიმშვიდე სუფევს, როცა შენთვის ყველა დღე ნათელია, როცა უშფოთველად გძინავს და სინდისის ქენჯნა არ გაწუხებს გაღვიძებისას? ხოლო რასაც თქვენ ბედნიერებას ეძახით, მხოლოდ გრძნობათა ფორიაქია, ვნებათა ქარიშხალი, ნაპირიდან ცქერისასაც რომ თავზარსა გცემს. განა შეიძლება ამ ქარიშხალთა არად ჩავდებო? განა შეიძლება უამრავ გემთა ნამსხვრევებით მოფენილ ზღვაში გაბედო შესვლა? თან ვისთან ერთად? არა, ბატონო, მე ხმელეთზე ვრჩები, მე მეძვირფასება ჩემი ბორკილები, არც ვისურვებდი მათ გაწყვეტას, რომც შემძლებოდა. ხოლო დაბორკილიც რომ არ ვიყო, სასწრაფოდ შევეცდებოდი თავის დაბორკვას.

რად მსდევთ ფეხდაფეხ? რად მდევნით ასე ჯიუტად? წერილები, იშვიათად რომ უნდა გამოგეგზავნათ, ერთმანეთს მოსდევს. ისინი უფრო მორიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ, არადა, იქ მხოლოდ და მხოლოდ თქვენს გაგიჟებულ სიყვარულზეა ლაპარაკი. თქვენზე ფიქრს ამით კიდევ უფრო აბეზარსა ხდით, ვინემ თავად ადრე იყავით, ერთი სახით რომ ჩამოგიცილებთ — მეორეთი გაჩნდებით ხოლმე. ვთხოვთ ზოგ-ზოგ რაღაცებზე აღარ მელაპარაკოთ — ისევ და ისევ ლაპარაკობთ, ოღონდაც სხვა ყაიდაზე. ერთობით და თავს იქცევთ ჩემი შეცბუნებით თქვენი მზაკვრული საბუთებით — ჩემსას კი ყურად არც იღებთ. აღარ მსურს და აღარც ვიპასუხებთ ამიერიდან... ან კი როგორ ახსენებთ ქალებს, თქვენ რომ აცთუნეთ, რა აუღებთ ლაპარაკობთ მათზე! მე მჯერა, ზოგიერთნი ამას მართლაც იმსახურებენ, მაგრამ ნუთუ ყველანი ამ ზომამდეა ამის ღირსი? ოჰ, უეჭველია, ასედაც არის, მათ ხომ მოვალეობას უღალატეს, რაღაი ცოდ-

ვილ სიყვარულს მინებდნენ. ამ წუთიდან მათ ყველაფერი დაკარგეს, იმის პატივისცემაც კი, ვისაც ყველაფერი შესწირეს. ეს სასჯელი სამართლიანია, არადა, ამაზე ფიქრიც კი კანკალსა მგვრის. თუმცა ნეტა მე რა მანადვლებს? რა საქმე მაქვს მათთან თუ თქვენთან? რა უფლების ძალით დაკარგავთ მოსვენებას? დამანებეთ თავი. ნუ შეეცდებით ჩემს ნახვას, ნუ მოძწერთ წერილებს — აი ჩემი თხოვნაც და მოთხოვნაც. ეს უკანასკნელი წერილია, ამის შემდეგ ჩემგან წერილი აღარ მიიღებთ.

...დან, 5 სექტემბერი 17...

57-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე პერტეის

გუშინ შინ რომ დავბრუნდი, თქვენი წერილი დამხვდა. რომ იცოდეთ, რა-რიც გამამხიარულა თქვენმა გულისწყრომამ. დანსენის რომ პირადად თქვენთვის დაეშავებინა რამე, ამაზე მეტად არც აღშფოთდებოდით. გატყობთ, შურის-სამიებლად მის სატროფოს პატარ-პატარა რაღაცებში ღალატს აჩვენო. ჰიო, რა ავსული ბრძანდებით! დიახ, საოცრად მომხიბლავი ხართ. სულაც არ მიკვირს, უფრო ნაკლებად რომ გეწინააღმდეგებიათ, ვიდრე შევალე დანსენის.

იცით, რომანის ეგ პირმშვენიერი გმირი ზეპირადა მყავს შესწავლილი. ჩემგან დამალული აღარაფერი აქვს, ისე თავგამოდებით ვუქადაგებდი, პატიოსანი სიყვარული ყველაზე დიდი სიკეთეა, ძლიერი გრძნობა ათას სატროფიალო თავგადასავლებზე უფრო მეტი ღირს-მეთქი, რომ იმ წუთას მეც გაუბედავ მიჯნურად ვგრძნობდი თავს. დაბოლოს დარწმუნდა, რომ ყველაფერზე ერთნაირი შეხედულება გვაქვს. ჰოდა, ჩემმა გულწრფელობამ ისე აღაფრთოვანა, ყველაფერი დამიფქვა და უსაზღვრო მეგობრობაც შემომფიცა. თუმცა ჩვენი გეგმების წინსვლას ეს სულაც არ შეეღობა.

უპირველეს ყოვლისა, ჩემი აზრით, მას მიაჩნია: ქალიშვილ ქალს უფრო მეტი სიფრთხილით უნდა მოექცე, ვინემ გათხოვილს, ვინაიდან იგი უფრო მეტს კარგავსო. რაც მთავარია, ვერაფერი ვერ გაამართლებსო იმ კაცს, თავისი საქციელით იძულებულს რომ გახდის ქალიშვილს ან ცოლად გაჰყვეს ან შერცხვენილი დარჩეს, უკეთუ ქალი კაცზე მდიდარია, როგორც ამ შემთხვევაში. დედის ნდობა, ქალიშვილის უმანკოება, აი რა აცბუნებს და აჩერებს. ჩემთვის ძნელია ასეთი აზრების გადათქმევენება მათი სიმართლის მიუხედავად. თუმცა ცოტა სიმარჯვისა და სიყვარულის მოშველიებით შეიძლება მალე გაუქარწყლოს კაცი მა ისინი, მით უმეტეს, რომ სასაცილოს ხდიან. ამ შემთხვევაში საზოგადოების აზრსაც დავეყრდნობოდი. მაგრამ მისი მორჯულება უფრო იმიტომაა ძნელი, რომ ამ თავის ახლანდელ მდგომარეობაში თავს ბედნიერად გრძნობს. ისე კი მართალია, თუ პირველი სიყვარული საერთოდ უფრო კეთილშობილ, უფრო სპეტაკ გრძნობად გვესახება, თუ ის უფრო ნელიად ვითარდება, ამის მიზეზი სულაც არ გახლავთ არც გრძნობიერება და არც მოკრძალება. საქმე ისაა, რომ აქამდე განუცდელი გრძნობით შეპყრობილი გული თითქოსდა ყოველ ნაბიჯზე ჩერდება, რა არის იმ ხიბლით დატკბეს, ასეთი ძალით, ასე მთლიანად რომ ეუფლება და ავიწყებს ყველა სხვა სიხარულს. ეს იმდენად მართალია, რომ გამიჯნურებული გარყვნილი კაციც კი — თუ გარყვნილ კაცს გამიჯნურება შეუძლია — ისე აღარ შიილტვის ნეტარებისკენ. ისე რომ, მთელი განსხვავება დანსე-

ნის საქციელსა პატარა ვოლანუისადმი და ჩემისა ქ-ნ დე ტურველის მიმართ მხოლოდ ხარისხშია.

ჩვენი ყმაწვილის გასაფიცებლად კარგი იქნებოდა ვაცილებით მეტი დაბრკოლებანი გადაღობებოდა, უწინარესად კი თავისი საქციელი მეტი იდუმალე-ბით შეეშოსა, რადგან იდუმალეობა უფრო კადნიერსა და გაბედულს ხდის კაცს. მაინც მგონია, რომ ჩვენს ზრახვებს დიახაც ავნეთ, როცა ჩვენს ზრახვებსა გა-უწიეთ. ეს შესანიშნავი იქნებოდა კარგა გამოქეჩილი უსმინო მისამართ, მარტო-დენ უინი და ვნება რომ ამოდრავებს. მაგრამ მაინც უნდა განგეჭვრიტათ, რომ წესიერი ჭაბუკისათვის სიყვარულის გარეგნულ გამოხატულებას უფრო მეტი ფასი მაშინა აქვს, როცა იგი სიყვარულის საწინდარია. ჰოდა, რაც უფრო და-რწმუნებულია საპასუხო გრძნობაში, მით ნაკლებ ფხას იჩენს. მაშ რა გზას და-ვადგეთ? ვერაფერს გეტყვით. ფრიად სამწუხაროა, მე და თქვენ მშრალზე თუ დავრჩით. მაგრამ რითი ვუშველოთ საქმეს, არ ვიცო. ვინემ მე აქ ვლაქლა-ქებ, თქვენ და შევალე კარგად ერთობით მანდ. ამან გამახსენა თქვენი შეპირე-ბა, ჩემთან რომ უღალატებდით. სულაც არ მეჭაშნიკება იგი უვადო ვექსილად გადავაქციო. მერე რა, რომ გადახდის ვადა ჯერ არ გასვლია, გამოიჩინეთ დიდ-სულოვნება და ნულა დაელოდებით. ზედმეტ პროცენტებს არ მოგთხოვთ. ნუთუ არ მოგბეზრდათ ერთგულება? ან იქნებ შევალე სასწაულებს ახდენს? ო, ნება მომეცით ვიმოქმედო და თქვენვე გალიარებინოთ, თუკი რამ ღირსებები გააჩნ-ია მაგ თქვენს შევალეს, მხოლოდ იმიტომ, მე დამივიწყეთ.

მშვიდობით, ტურფა მეგობარო, გკოცნით ისეთი გზნებით, როგორც მე-სურვილებით. არც იფიქროთ, რომ შევალეს ყველა კოცნა, ერთად აღებული, ჩემსაზე მხურვალე იყოს.

...დან, 5 სექტემბერი 17...

58-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნ დე ტურველს

ნეტავ რით დავიმსახურე თქვენი რისხვა და საყვედურები? მგზნებარე სი-ყვარული და ამასთან დიდზე დიდი პატივისცემა, უსიტყვოზე უსიტყვო მორჩი-ლება სულ მცირედი თქვენი ნება-სურვილისა — აი ორი სიტყვით მთელ ჩემს გრძნობათა და საქციელთა ისტორია. მე გამტანჯა გაუზიარებელმა სიყვარულ-მა, ერთადერთი ნუგეშილა თქვენი ხილვის ბედნიერება იყო. თქვენმა ბრძანებამ ესეც მომიხპო. მეც უღრტვინველად დაგეთანხმეთ ამაზე, ამ მსხვერპლის სამაგი-ეროდ ნება დამრთეთ წერილების მოწერისა, ახლა ამ ერთადერთ სიხარულსაც მართმევთ. ნუთუ ამ დანაკარგსაც უნდა შევეგუო და თავის დაცვას არ შევეცა-დო? არა და არა! ვანა ეს სიხარული ჩემთვის ძვირფასი არ იყო? მის მეტი რა-და დამრჩა და იგი თქვენვე მიწყალობეთ.

ამბობთ, წერილებს „მეტისმეტად ხშირად მიგზავნიით“. აბა თავად და-ფიქრით, აგერ უკვე ათი დღეა განდევნილი ვარ—წუთი არ ყოფილა თქვენზე არ მეფიქრა, არადა, ორად ორი წერილი მოგწერეთ. „იქ მხოლოდ ჩემს სიყვა-რულზე“ ვლაპარაკობ თურმე. მაშ რაზე ვილაპარაკო. თუ არ იმაზე, რაზედაც

დღედაღამ ვფიქრობ? მხოლოდ და მხოლოდ ის შევიძელი, შევარბილე გამოთქმები, მერწმუნეთ, მარტოოდენ ის გაგიძულავენთ რისი დამალუაც აღარ ძალმიძდა. დაბოლოს მემუქრებით კიდევ, აღარ გიპასუხებთო? მაშ საკმარისად არ მიგაჩნიათ, ასე სასტიკად რომ ექცევით იმ ადამიანს, ვისთვისაც ყველაზე ძვირფასი ხართ, ვისაც სიყვარულზე უფრო მეტი პატივისცემა აქვს თქვენი და თან აბუჩადაც იგდებთ? კი მაგრამ, რამ გამოიწვია ეს საყვედურები, ეს არსებობა? ნა რაში გჭირდებათ? ნუთუ არ გჯერათ, რომ თქვენს ყველაზე უსამართლოდ მოქცეულ ხოვნებსაც ვემორჩილები? ნუთუ ძალმიძს არ დავემორჩილო თქვენს ყველა სურვილს, როგორც არ უნდა იყოს? ნუთუ არ დაგიმტკიცეთ, რომ სხვანაირად არც შემიძლია? ნუთუ ისარგებლებთ იმ ძალით, ჩემზე რომ გაქვთ, და შეგიძლიათ მშვიდად დატკბეთ, როგორც თვით ამბობთ, თქვენთვის ესდენ საჭირო სიმშვიდით, თუკი საბოლოოდ გამაუბედურებთ, თუკი ასე უსამართლოდ მომექცევით? ნუთუ არასოდეს ეტყვით საკუთარ თავს: „მან თავისი ბედის მეუფედ გამხადა, მე კი გავაუბედურე; მემუდარებოდა, მიშველეო, მე თანაგრძნობითაც არ შევხედე!“ ნუთუ არ იცით, რომ სასოწარკვეთილებამდე შეიძლება მიმიყვანოთ? არა, არ იცით.

ჩემი ტანჯვის შესამსუბუქებლად უნდა გცოდნოდეთ, რაოდენ მიყვარხართ, თუმცა გულს ჩემსას თქვენ არ იცნობთ.

რას გინდათ მსხვერპლად შემწიროთ? მოჩვენებით საფრთხეს? მერედა ვინაა ამის მიზეზი? კაცი თქვენი ძალმერთებელი, კაცი, ვისზედაც მუდამ უსაზღვრო ძალა გექნებათ. მაშ რას უფრთხით? გრძნობას, რომლის მართვაც თქვენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მაგრამ წარმოსახვა რაღაც ურჩხულებს გისახავთ და მათგან აღძრულ შიშის ზარს სიყვარულს აწერთ. ოღნავ მაინც რომ მენდობოდეთ, ურჩხულები მყის გაქრებოდნენ.

ერთ ბრძენ კაცს უთქვამს: შიშის გასაქარწყლებლად უნდა გაისახრისო, იგი რამაც გამოიწვია.¹ ეს ჭეშმარიტება სიყვარულსაც ესადაგება. შეიყვარეთ და შიშიც მაშინვე გაქარწყლდება. მის ადვილს ნაზი და მორჩილი სატრფოს გრძნობა დაიჭერს. და ბედნიერებით აღვსილ დღეთა მანძილზე აღარაფერზე დაგწყდებით გული, გარდა იმისა, რომ გულგრილობამ სხვა დღეები დაგაკარგვინათ. მას აქვთ, რაც ჩემი შეცდომები მოვიწინაიე და სიყვარულისთვის ვარსებობ მხოლოდ, ვნანობ იმ დღეებზე, ჩემი გაგებით ვითომ ნეტარებაში რომ ვატარებდი, და ვგრძნობ, რომ მხოლოდ თქვენ ერთს ძალგიძთ ბედნიერება მომანიჭოთ. ოღონდ გეაჯობით, წერილების წერის სიხარულს ნუ ამიმღვრევთ თქვენი რისხვით! არ მინდა ურჩობა გამოვიჩინო, მაგრამ თქვენს ფერხთა ქვეშე განროხმული გემუდარებთ, ნუ მომაკლებთ ბედნიერებას, რომლის წართმევაც გწადიათ, შეისმინეთ ჩემი ვედრება, შეხედეთ ჩემს ცრემლებს. ჰოი, ქალბატონო, ნუთუ უარს მეტყვიით?

...დან, 7 სექტემბერი 17...

1. ეს, მგონი, რუსოს აქვს ნათქვამი „ემილში“, თუმცა დე ვალმონს არასწორად მოჰყავს. ოღონდ წაკითხული კი ექნება „ემილი“ ქ-ნ დე ტერველს?

59-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე პერტიის

ამიხსენით, გეთაყვა, რა აბდაუბდას ჩმახავს დანსენი? რა შეეძინა ან რა დაკარგა? ხომ არ შერისხა მისმა ტურფამ უსასრულო მოწიწებებსა და კრძალვისათვის? მართალი ვითხრათ, აქამდეც უნდა შეერისხა. რა უფროსი უნდა ქალამოს შეხვედრისას, მისივე თხოვნით რომ დავუნიშნე? რა თქმა უნდა, მისი ჩივილისა და წუწუნის მოსმენაზე დროს არ დავკარგავ, თუკი ვერაფერი ვერ გავახერხე. მიჯნურთა წუწუნი მხოლოდ და მხოლოდ ობლიგატურ რეჩიტატივსა და არიებში შეიძლება მოისმინო. მაცნობეთ, რა მოხდა ან მითხარით, როგორ მოვიქცე, თორემ გავიქცევი, ვიცი, რაც მელის და გულს არ გავაწყალებინებ. შეიძლება დღეს დილას შეგხვდეთ? თუ არ გეცლებათ, ორიოდ სიტყვით მაცნობეთ და ჩემი როლის თაობაზეც მიძითითეთ.

გუშინ სად ბრძანდებოდით? ვერ იქნა და ვერ გნახეთ. მართალი ვითხრათ, თურმე არც ღირდა სექტემბერში პარიზში დარჩენა. არა, რაღაც უნდა გადაწყვიტოთ. ეს წუთია გრაფ დე ბ...-ს მეუღლისაგან ფრიალ დაჟინებული მოწვევა მივიღე. სოფლად შეპატიჟება, თანაც რა სასაცილოდ : ჩემს ქმარს საუცხოო ტყე აქვსო, „თავისი მეგობრების დროის საამურად სატარებლად“ განკუთვნილიო. კარგად მოგეხსენებათ, მაგ ტყეზე მეც რომ მაქვს რაღაც უფლებები. ჰოდა, თუ არაფერში გჭირდებით, წავალ და ერთხელ კიდევ დავხედავ.

მშვიდობით. არ დაივიწყოთ, რომ დანსენი ოთხი საათისთვის მეწვევა.

...დან, 8 სექტემბერი 17...

60-ე წერილი

შევალიე დანსენი ვიკონტ დე ვალმონს
(დართული აქვს წინა წერილი)

აჰ, კაცი სასოწარკვეთასა ვარ, ბატონო ჩემო. ყოველივე დავკარგე. ვერ გავხედავ. ჩემი ტანჯვის საიდუმლო ქალაქს მივანდო, მაგრამ საიმედო და ერთგულ მეგობარს უთუოდ უნდა გავუძნებო. რომელ საათზე შემიძლია გავწვიოთ ნუგეშისა და რჩევებისათვის? ჰოი, რა ბედნიერი ვიყავ იმ დღეს, გული რომ გადაგიშალეთ! ჩემთვის ყველაფერი შეიცვალა. რასაც პირადად ვითმენ, ეს მხოლოდ ნაწილია ჩემი ტანჯვა-წამებისა. მაგრამ ჩემთვის უძვირფასესი არსების გამო შიში და შფოთი—აი რისი გადატანა არა და არ ძალმიძს. თქვენ ჩემზე ბედნიერი ხართ, რადგან მისი ხილვა შეგიძლიათ. ვიცი, ვით მეგობარი უარს არ მეტყვიოთ ჩემი დანაბარების გადაცემაზე. საამისოდ კი უნდა გნახოთ და ავიხსნათ, რა გააკეთოთ. ვიცი, შებრალებას გამოიჩინებთ და დამუხმარებით. მარტოდენ თქვენი იმედი მასულდგმულებს. გრძნობის კაცი ბრძანდებით, იცით, რა არის სიყვარული, მხოლოდ თქვენ შემიძლია გენდოთ. უარს ნუ მეტყვიოთ დახმარებაზე.

მშვიდობით, ბატონო ჩემო. ერთადერთი ნუგეში ჩემს მწუხარებაში თქვენისთანა მეგობარია. მაცნობეთ, გემუდარებით, რომელ საათზე შემიძლია გნახოთ. თუ დილას ვერ შეიძლება, ჩამუადღევის შემდეგ იყოს, ოღონდაც რაც შეიძლება ძალე.

...დან, 8 სექტემბერი 17...

61-ე წერილი

სესილ ვოლანჯი სოფი კარნეს



შეიბრალე შენი სესილი, შენი საცოდავი სესილი, ჩემო ძვირფასო სოფი: იგი ძალზე უბედურია! დედამ ყველაფერი შეიტყო. ვერ გამოვიდა, რაჩქვრმუდექ ეძრა ეჭვები, მაგრამ ყველაფერი გამოამუღავნა. წუხელ თითქოსტანდისმანუკლი შეჩვენა, მაგრამ დიდი ყურადღება არ მივაქციე. ველოდი, როდის დააძთავრებდა ვისტის თამაშს და ქ-ნ დე მერტეის მხიარულად ველაპარაკებოდი. მან ჩვენთან ივახშმა და დანსენიზე ბევრი ვისაუბრეთ. არა მგონია, ვისზე ყური მოეკრა. მისი წასვლის შემდეგ ჩემს ოთახში წავედი.

ტანთ ვიხდიდი, დედა რომ შემოვიდა და მოახლე გარეთ გაისტუმრა. მერმე ჩემი სეკრეტერის გასაღები მომთხოვა ისეთი კილოთი, კანკალმა ამიტანა და კინალამ წავიქეცი. ჯერ ვითომ გასაღებს ვერ მივაგენი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდი მიშეცა. პირველივე უჯრა, რომელიც გამოიღო, სწორედ ის უჯრა იყო, სადაც შევალთ დანსენის წერილები მედო. ისე ვიყავ დაბნეული, როცა მკითხა, ეს რა არისო. ისღა ვუთხარი, არაფერი-მეთქი. მაგრამ რომ დავინახე, პირველივე თვალში მოხვედრილი წერილის კითხვა დაიწყე, ისე ცუდად გავხდი, გონება დავკარგე. რომ მოვსულიერდი, დედამ ჩემს მოახლეს დაუძახა და წასვლის წინ მიბრძანა, დაწეტი და დაიძინეო. დანსენის ყველა წერილი თან წაიღო. ყოველ გაფიქრებაზე, დედას როგორ უნდა ვეჩვენო, მაკანკალებს. მთელი დამე ტირილში ვავატარე. გამთენიისას გწერ იმ იმედით, ჟოზეფინა გამოჩნდება და, თუ დაეიმართობელე, შევებვწები ქ-ნ დე მერტეის გადასცეს წერილი, მე რომ დავწერ. თუ არადა, შენს წერილში ჩავდებ. მიყავ სიკეთე და გაუგზავნე, ვითომდა შენ სწერ. მხოლოდ მას შეუძლია ნუგეში მცეს ცოტაოდენ მაინც. ო, რა უბედური ვარ! იქნებ დამდოს სიკეთე და დანსენის ჩემი წერილი გადასცეს. ვერც ჟოზეფინას და მით უმეტეს ჩემს მოახლეს ვერ ვენდობი: ვინ იცის, სულაც მან უთხრა დედაჩემს, სეკრეტერში რომ წერილებს უმაღავე.

ვამთავრებ წერას, ვინაიდან ქ-ნ დე მერტეისა! და დანსენის უნდა მივწერო. თუ დამთანხმდა გაგზავნაზე, წერილი მზად უნდა მქონდეს. მერე ისევ დავწვები, როცა შემომაკითხავენ, ლოგინში რომ მნახონ. დედას რომ არ ვეახლო, თავს მოვიაკადმყოფებ. თუმცა არც დიდი ტყუილი იქნება: სიცხეც რომ მქონდეს, ამაზე უარესად თავს არ ვიგრძნობდი. თვალები ცრემლებისგან მეწვის, გულისფიცართან ისე მაწვება რაღაც, სუნთქვა მიჭირს. რომ გავიფიქრებ, დანსენის აწ ვედარ ენახავ-მეთქი, სიცოცხლე აღარ მინდა. მშვიდობით, ძვირფასო სოფი. მეტი წერა არ შემიძლია. ცრემლები მახრჩობს.

...დან, 7 სექტემბერი 17...

1. შენი შვანა. სესილი ვოლანჯის წერილი ქ-ნ დე მერტეისადმი გამოვტოვეთ. იქ იგივე სწერია, რაც წინა წერილში. შევალთ დანსენისადმი წერილი კი ვერ ვნახეთ. მიზეზს მკითხველი 63-ე წერილში ნახავს, ქ-ნი მერტეი რომ სწერს ვიკონტს.

62-ე წერილი

ქ-ნი დე ვოლანჟი შევალე დანსენის



ასე ბოროტად რომ გამოიყენეთ დედის ნდობა და შვილის გულბრყვილობა. საკვირველად არ უნდა დაგირჩეთ, თუ იმ სახლში აღარ მიგზავნიან — ხანაც გულწრფელზე გულწრფელი მეგობრობის პასუხად დირსეულს ქვეყნის ყველა წესი დაივიწყეთ. მე ვამჯობინე პირადად თქვენთვის მეთხოვა, აწ ნულარ მობრძანდებით-მეთქი, ვინემ კარისკაცისთვის ჯეროვანი განკარგულება მიმეცა. ეს კი ერთნაირად ჩირქს მოგვცხებდა ყველას, ვინაიდან მსახურთა შორის მყის შეიქნებოდა მითქმა-მოთქმა. უფლება მაქვს იმედი ვიქონიო, რომ არ მაიძულებთ ამ გზას მივმართო. აგრეთვე გაფრთხილებთ, თუ შემდეგში კვლავ ისევ შეეცდებით ჩემი ასული შეიტყუოთ ცთომილ გრძნობათა ბაღეში, თქვენი დენის ასაცილებლად მკაცრი და სამუდამო გამომწვევება ელის. თქვენზეა დამოკიდებული, ბატონო ჩემო, მოერიდებით თუ არა მის გაუბედურებას, როგორც არ მოერიდეთ მისი სახელის გატეხის ცდას. თავად მე უკვე გავაკეთე არჩევანი და კიდევაც ვაუწყე მას.

აქვეა თქვენი წერილების დასტაც. იმედია, სანაცვლოდ ჩემი ასულის წერილებს გამომიგზავნით და არც წინააღმდეგი იქნებით ამ ამბის ყველა კვალის წაშლისა, მე რომ აღშფოთებით გამახსენდება, მას-სირცხვილის გრძნობით, თქვენ კი — სინდისის ქენჯნით.

პატივი მაქვს და ა.შ.

...დან, 7 სექტემბერი 17...

63-ე წერილი

მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე მერტივი ვიკონტ დე ვალმონს

რა თქმა უნდა, აგისხნით დანსენის ბარათის ამბავს. მისი გამომწვევი მიზეზი მე გახლავართ, თანაც დიახაც მარჯვედ და მოხერხებულად. თქვენი ბოლო წერილის შემდეგ დრო ტყუილბრალოდ არ დამიკარგავს. ერთი ათენელი ხუროთმოძღვრისა არ იყოს, ჩემს თავს ვუთხარი: „მე საქმით ვიქმ იმას, რაიც მან სიტყვით თქვა“.

მაშ მისთვის დაბრკოლებანია საჭირო! მაშ რომანის ამ გმირს ბედნიერება ძილსა ჰკვრის! დე იმედი იქონიოს, ისე გავუხდი საქმეს, მხარ-თეძოზე წამოსაწოლად, თუ არ ვცდები, აღარ ეცალოს. უნდა ესწავლებინათ მისთვის დროის ფასი, იმედი მაქვს, ახლა მწარედ ნანობს მის მიერ დაკარგულ საათებს. ისიც თქვით კიდევ, მისთვის ამ ამბავს იღუმალება აკლდაო. ჰოდა, ახლა ჭარბადაც ექნება. ეს კარგი თვისება მაქვს, საკმარისია მითხრან, რა შეცდომა დაუუშეი, მანამდე არ მოვისვენებ, ვინემ არ გამოვასწორებ. მაშ შეიტყვეთ, რაც გავაკეთე.

გუშინწინ დილას შინ დაბრუნებულს თქვენი წერილი დამხვდა. ჩავიკითხე თუ არა, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. რა შესანიშნავად განსაზღვრეთ ბოროტების მიზეზი. ჰოდა, მეც მხოლოდ და მხოლოდ მისი აღმოფხვრის გზებს დავვწყე ძებნა. პირველ ყოვლისა დავწყე, დაუღალავმა შევალემ ხომ წამით თვალი არ მომახუჭინა, და მეგონა, დავიძინებდი. არც იფიქროთ, ჩემი გონება დანსენის დატრიალებდა: მისი უმოქმედობიდან გამოყვანა თუ ამ უმოქმედობის-

თვის დასჯაზე ფიქრი არ მასვენებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწვრილებითი გეგმა შევადგინე, შევძელი ორი საათი წამეძინა.

იმავე საღამოს გავეშურე ქ-ნ დე ვოლანჟთან. ჩემი ჩანაფიქრის თანახმად ვაუწყე, თითქმის დარწმუნებული ვარ, თქვენს ასულსა და დანსენის შორის სახიფათო კავშირი არსებობს-მეთქი. ეს ყოველად გამჭრიახი ქალი თქვენს აბებში იმზომ დაბრმავებული გამოდგა, პირველად შემეპასუხა, უთუოდ ცდუნითო, ჩემი ასული ჯერ სულ ბავშვია და ა.შ. ცხადია, ყველაფერს ვერ მოვუყვებოდი, რაც ვიცოდი, მაგრამ ვუთხარი, რამდენჯერმე თვალი შევასწარ, ერთმანეთს როგორ უმზერდნენ, ყური მოვკარ მათი საუბრის ნაწყვეტებს, რამაც შემაძფოთა როგორც მეგობარი და როგორც კეთილზნეობის დამცველი-მეთქი. მოკლედ, თითქმის დიდი ღვთისმოსავივით ვილაპარაკე. ბოლო ლახვრად კი ისიც ვუთხარი, ისე მომეჩვენა, ერთმანეთს ხელი ხელში თითქოს წერილი გადასცეს-მეთქი. „მაშინ გამახსენდა, თქვენმა ასულმა ერთხელ ჩემთან გამოხსნა უჯრა და იქ ბლომა ქალღღებებს მოვკარი თვალი, ხომ არ იცით, ვისთან აქვს ასეთი გაცხოველებული მიმოწერა?“ აქ კი ქ-ნ დე ვოლანჟს ფერი ეცვალა, ისიც შევაძინე, თვალები რომ ცრემლით აევსო. „თქვენი მაღლიერი ვარ, ჩემო ღირსეულო მეგობარო, — შითხრა და ხელი ხელზე მომიჭირა, — მე ყველაფერს გავარკვევ“.

ამ მეტად მოკლე საუბრის შემდეგ, რაიც ეჭვს ვერ გამოიწვევდა, ნორჩ არსებასთან მივედი. თუმცა მალე მივატოვე და დედამისს ვთხოვე შვილთან არ გავეცე. ისიც ხალისით დამპირდა, რადგან ჩავურთე, კარგი იქნება, თუ გოგონას ჩემდამი ნდობა აღუძრება და გულს გადაამიშლის, მე კი შესაძლებლობა მექნება სასიკეთო რჩევები მივცე-მეთქი. არც შეეჭვება, რომ სიტყვას არ გატეხს თუნდაც იმიტომ, თავისი გამჭრიახობით შთაბეჭდილება მოახდინოს შვილზე. ამის წყალობით მეც შემეძლება, როგორც ყოველთვის, მეგობრულად ვიყო პაწიასთან და ქ-ნ დე ვოლანჟთან ორპირი არ გამოუჩნდეს. ეს კი მართლა არ მწადია. თანაც ამიერიდან შემიძლია მარტო დავრჩე პაწიასთან და რამდენიც მინდა ვესაიდუმლო, ისე რომ დედამ არაფერი იეჭვოს.

იმავე საღამოს ვისარგებლე ამით. ჩემი პარტია რომ დავამთავრე, პაწიასთან ერთად მოფარებულ კუთხეში განვმარტოვდი და დანსენიზე ჩამოვაგდე სიტყვა: აქ იგი ენაუშრეტი გახლავთ. ძალზე ვაუერთე, როცა იმ სიხარულით ვაგზნებდი, რასაც ხვალ დანსენისთან შეხვედრა უქაღდა. რამდენი სისულელე არ დავაროშინე! ხომ უნდა დამებრუნებინა თუნდაც იმედის სახით ის, რასაც სინამდვილეში ვართმევდი. თანაც ლახვარი, რაიც მოელის, კიდევ უფრო მძიმე გადასატანი იქნება მისთვის. ხოლო რაც უფრო გაიტანჯება, მით უფრო დამყოლი გახდება და მით უფრო დაეშურება ტანჯვის ანაზღაურებას პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში. ხოლო ცუდი როდია ძლიერ განცდებს თავიდანვე მიაჩვიო, ვისაც თავგადასავლებით სავსე ცხოვრებისთვის ამზადებ?

განა რა ბედენაა, ორი-სამი კურცხალი ცრემლით ზღოს თავისი დანსენის ფლობის ბედნიერება? მას ხომ ჭკუის შეშლამდე უყვარს ეს ბიჭი. პოდა, თავდებად შემიძლია დავუდგე, რომ მისი გახდება და გახდება იმაზე ადრეც, ვინემ მთელი ამ დავიდარაბის გარეშე გახდებოდა. ეს მხოლოდ ცუდი სიზმარია, ნეტარი გამოლვიძება რომ მოსდევს. ისე რომ, ჩემი აზრით, მაღლიერიც კი უნდა დამრჩეს. ხოლო თუ ცოტა ვივერაგე, გართობაც ხომ გინდა ხანდახან კაცს.

განა ბრიყვები ჩვენს გასართობად არ იბადებიან.¹

1. გრესეს კომედიიდან „კაპასი“.

დაბოლოს ფრიად კმაყოფილი წამოვედი ჩემი თავით. ამ დაბრკოლებათა წყალობით, ვამბობდი ჩემთვის, დანსენი კიდე უფრო აღიგზნება და მაშინ ყველანაირად დავებმარები, როგორც შევიძლებ, ხოლო თუ მართლა ისეთი დოფლაპიაა, როგორც ხანდახან მეჩვენება, სასოს გარდიკვეთს და თავს დამარცხებულად აღიარებს. მაშინ, როგორც შევიძლებ, ჯავრს ვიყრი მასზე, ეს კი დედის უფრო მეტ პატივისცემას, შვილის უფრო დრმა მეგობრულ-კრუნულს და ორივე მხარის უფრო მეტ ნდობას მომიხვეჭს. რაც შეეხება ვერტეხტე, მისგან ამ ჩემი ყველა მცდელობისა, თუ ბედმა ან სიმარჯვემ არ მიღალატა, მის ცოლზე დიდზე დიდი გავლენის მეოხებით, თანდათან რომ გაძლიერდება, ათი ათას საშუალებას გამოვნახავ იმად იქცეს, რადაც მინდა ვაქციო. ამ საამური ფიქრებით დავიძინე, დიდებულად მეძინა და ძალზე გვიან გამოვიღვიძე.

გამოღვიძებისას უკვე ორი ბარათი მელოდა: ერთი დედიკოსგან, მეორე შვილიკოსგან. სიცილი ვერ შევიკავე, როცა ორივეში ერთი და იგივე სიტყვები ამოვიკითხე: „მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ თუნდაც ცოტათუნ ნუგეში მცეთ“. განა სასაცილო არაა ნუგეში სცე ერთსაც და მეორესაც და ერთადერთი ხელშემწყობი გამოხვიდე სრულიად საპირისპირო მისწრაფებების? ხედავთ, ღმერთსაც კი ვემსგავსე. ჩინწართმეული მოკვდავი მე მომმართავენ სრულიად საწინააღმდეგო სურვილებით, ჩემი ურყევი გადაწყვეტილებანი კი უცვლელი რჩება. თუმცაა უარი ვთქვი ამ ამალღებულ როლზე, მეორე-ნუგეშის-მცემ ანგელოზისა ვარჩიე და ღვთის მცნების თანახმად მოყვასს ვაებასა შინა ვაწვიე.

პირველად დუდას ვეახლე, რომელიც იმზომ შეწუხებული და დათრგუნული დამხვდა, თავი ნაწილობრივ ანახლაურებულად ჩათვალე იმ უსიამოვნებათა გამო, მისი წყალობით რომ შეგხვდათ თქვენი ტურფა უკარებასგან. ყოველივე ისე მოგვარდა, უკეთესი არ შეიძლება. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებდა; ვაითუ ქ-ნმა დე ვოლანჟმა მოინდომოს შვილის ნდობის მოხვეჭა, რაიც სულ ადვილი იქნებოდა, თუ ტკბილად და მეგობრულად დაელაპარაკებოდა, თუ გონივრულ რჩევებს ნახად, მიმტევებული ხმით და იერით ეტყოდა. საბედნიეროდ, მან იარაღად სიმკაცრე აისახა და ისე უკუღმართად წაიყვანა საქმე, სიხარულის მეტი რა დამრჩენოდა. თუმცა კი გეგმები კინალამ ჩაგვიშალა, როცა გადაწყვიტა თავისი ასული კვლავ მონასტერში დაებრუნებინა. მაგრამ ამ ლახვრის ასაცილებლად ვურჩიე ამით მაშინ დამუქრებოდა, თუკი დანსენი თავისას არ მოიშლიდა. ეს კი აიძულებს ორივე მიჯნურს მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, რაიც ჩემი აზრით ჩვენი წარმატებისთვის ასეა საჭირო.

შემდეგ შვილს მივაკითხე. არ დამიჯერებთ, ისე დაემშვენებია მწუხარებას! კეკლუცობა არც მაინცდამაინც მოსდგამს, მაგრამ თავს დედებ — შემდეგ და შემდეგ ხშირ-ხშირად მოიშველიებს ხოლმე ცრემლებს, თუკი დასჭირდა. ამჟამად ცრემლები ყოვლად წრფელი და ალალი იყო. ამ ახალი ხიბლით გაოცებული, აქამდე რომ არ შემეჩნეუია და ახლა სიამოვნებით ვჭვრეტდი, ისეთ რჩევებს ვაძლევდი, მწუხარებას რომ უფრო უძლიერებდა, ვინემ უმსუბუქებდა. დაბოლოს ისე გამოეცალა ძალა, ტირილის თავიც არ ჰქონდა. შემეშინდა, კრუნჩხვებმა არ მოუაროს-მეთქი, და ვურჩიე ლოგინში ჩაწოლილიყო. მე და მოახლე ერთად ვუვლიდით. დიდიდან თმადაუვარცხნელი და ჩაუცმელი იყო, ძალე გაწეწილი თმა სრულიად შიშველ მხრებსა და მკერდზე გადმოეფინა, ვაკოცე და ისიც მკლავებში ჩამივარდა, ცრემლები მისდათავად ღვარ-ღვარად დაედინა. ღმერთო,

რა ლამაზი სანახავი იყო! ჰოი, მაგდალინა თუ ასეთი გახლდათ, მონანიებისას უფრო საშიში იქნებოდა, ვინემ შეცოდებისას.

შეწუხებული ლამაზუნა ლოგინში რომ ჩაწვა, უკვე მართლა დაუწყვე და-
ნუგეშება. უპირველესად დავამშვიდე, მონასტერში არ გაგზავნიან-მეთქი. შერე
დავაიმედე დანსენისთან საიდუმლო შეხვედრების ამბით. საწოლის კიდეზე ჩა-
მოვუჯექი და ვუთხარი: ნეტამც დანსენი აქ იყოს-მეთქი. შემდეგ კიდევ განვა-
გრძე ქარვია და ხატვა, ხან რაზე გადავუტანე სიტყვა, ხან რაზე და-
დავავიწყე კიდეც საწუხარი. ერთმანეთს ფრიად კმაყოფილები დავშორდებო-
დით, წერილის გადაცემა რომ არ ეთხოვა დანსენისათვის. ამაზე არამც და
არამც არ დავეთანხმე. მიზეზებს, იმედია, თქვენც მომიწონებთ.

ჯერ ერთი არ მინდოდა დანსენის თვალში სახელი გამტეხოდა. პაწიას მხო-
ლოდ ეს მიზეზი დავუსახელე, თუმცა თქვენთვის სხვა ბევრიცა მაქვს: განა
წყალში არ ჩამყრებოდა მთელი შრომა, ყმაწვილებისთვის თავიდანვე რომ შე-
მემსუბუქებინა ტანჯვა? გარდა ამისა მინდოდა მსახურთაგან ვინმე ჩაეთრიათ,
ვინაიდან თუ ჩვენი განზრახვა სასურველ დასასრულამდე მივიყვანეთ, რისი იმე-
დიც მაქვს, ამის თაობაზე გათხოვების უმაღლ ყველამ უნდა შეიტყოს, ხოლო ამ
ამბის გახმაურებისათვის ეს ყველაზე საუკეთესო გზაა. ხოლო თუ მოხდა სასწა-
ული და მსახურებმა კრინტი არ დაძრეს, მე და თქვენ ამოვიღებთ ხმას, გახმა-
ურების ამბავს კი მსახურებს გადავაბრალებთ, რაიც ჩვენთვის ყველაზე უფრო
ხელსაყრელი იქნება.

ამიტომაც დღესვე ამცნეთ ეს ამბავი დანსენის. მართალი ვითხრათ, პატარა
ვოლანჯის მოახლის დიდი იმედი არა მაქვს—მგონი, თვითონაც არ ენდობა — ამ-
იტომ ჩემს ერთგულ ვიქტუარზე ურჩიეთ. მას კი როგორმე დავიყოლიებ. ეს
აზრი მით უფრო მომწონს, რომ მისთვის ამ საიდუმლოს გამჟღავნება ჩვენთ-
ვის მეტად სასარგებლოა. თუმცა თხრობა ჯერ არ დამიმთავრებია.

ჯიუტად რომ უარს ვამბობდი პაწიასგან წერილის აღებაზე, სულ მეშინო-
და, მისი ფოსტით გაგზავნა არ მთხოვოს-მეთქი. ამაზე უარს კი ვერაფრით ვერ
ვეტყოდი. არ ვიცი დაბნეულობის გამო, არ ვიცი უცოდინარობისა, ან იქნებ წე-
რილი ისე არ აინტერესებდა, როგორც პასუხი, ამაზე კრინტი არ დაუძრავს.
მაგრამ ეს აზრი რომ საერთოდაც თავში არ მოსვლიდა, ყოველ შემთხვევაში ეს
გზა მოჭრილი ჰქონოდა, გადავწყვიტე დედასთან შევბრუნებულიყავი და დამე-
ყოლიებინა, შვილი რომ აქაურობისთვის მოეშორებინა და რამდენიმე ხნით სო-
ფლად წაეყვანა. ოღონდაც სად? სიხარულით გული არ აგიფანცქალდათ? სად და
მამიდათქვენთან. მოხუც როზმონდთან. დღესვე უნდა გააფრთხილოს ამის თაო-
ბაზე. ასე რომ უფლება გექნებათ თქვენს ღვთისმოსავს დაუბრუნდეთ. ახლა ხომ
ვედარ მოიმიზეზებს, თქვენი აქ ყოფნა მითქმა-მოთქმას გამოიწვევსო. ამგვარად
ქნი დე ვოლანჯი თავადვე გამოასწორებს იმ სიბავს, რაიც თქვენდამი ჩაიდინა.

მაგრამ უნდა დამიჯეროთ და საკუთარმა ამბებმა ისე არ გავიტაცოთ, ეს
ამბავი ხელსა და თვალს შუა გამოგეპაროთ: არ დაივიწყოთ, მე ფრიად დაინ-
ტერესებული ვახლავართ ამით.

მე მსურს ამ ყმაწვილთა შუამავალიც და მრჩეველიც თქვენ გახდეთ. აც-
ნობეთ ეს ამბავი დანსენის და დახმარება შესთავაზეთ. ერთადერთი სიძნელე
იქნება, როგორ გადასცეთ ლამაზუნას საიდუმლო უსტარი. ამ სიძნელეს კი თა-
ვიდან აიცილებთ, თუ ჩემს მოახლეზე ურჩევთ. დანსენი უეჭველად დავეთანხმე-
ბათ, ამის სანაცვლოდ კი გამოუცდელი გულის ნდობასაც მოიხვეჭთ, რაიც ყო-
ველთვის სახალისოა. საბრალეო გოგო! როგორ გაწითლდება, თავის პირველ წე-

რილს რომ გადმოგცემთ! მართალი გითხრათ, მესაიდუმლის როლი, ვის წინა-
აღმდეგ ამდენი ცრუ აზრებია, დიახაც დიდებულ გასართობად მიმაჩნია, როცა
საერთოდ იმ საქმეთ მისდევ, როგორც ახლა. როგორ დამთავრდება ეს ინტრიგა,
თქვენზეა დამოკიდებული. თქვენ უნდა მოიფიქროთ და შეარჩიოთ, რა დროს
შეიძლება ყველა მოქმედი გმირის შევრთება. სოფლად ცხოვრება სააპისოდ ათ-
ას შესაძლებლობას აძლევს კაცს. დანსენიც პირველსავე თქვენს წამანზე აღ-
ბათ მყის მანდ გაჩნდება. ღამე ...შენიღბვა... ფანჯარა... ~~ღამე უნდა ცხოვრობდეს~~ რამ იქ-
ნება კიდევ? ~~ოღონდაც იცოდეთ, ვიფიქრებ რომ ისეთივე დაბრუნდება, როგორიც~~
გაემგზავრა, დამნაშავედ თქვენ ჩავთვლით. თუ მიიჩნევთ, ჩემგან წაქეზებას სა-
ჭიროებს, შემომითუალეთ. ეს კია, საკმაოდ კარგი გაკვეთილი მივეცი, რაოდენ
საშიშია წერილების შენახვა. ამიტომაც ვერ გავბედავ მისთვის მიწერას, თუ-
მცალა ძველებურად ვაპირებ მოწაფედ გავიხადო.

მგონი, დამავიწყდა მეთქვა, რომ ეჭვები, თუ ვინ გათქვა მიმოწერის ამბავი,
პაწიამ თავიდან მოახლეზე მიიტანა, მე კი აღმსარებლისკენ მივუძმართე. ასე და
ამგვარად ერთი გასროლით ორი კურდღელი მოვკალი. მშვიდობით, ვიკონტი,
უკვე იმდენი ხანი მოვუნდი წერას, სადილობაც დავაკვირებ. მაგრამ წერილი
თავმოყვარეობამ და მეგობრობამ მიკარნახა, ამ ორივე გრძნობას კი ლაქლაქი
უყვარს. თუ გაბედავთ, მისაყვედრეთ. ხოლო რაღაი ასე გზიბლავთ, გაემგზავრეთ
კვლავაც გრაფ დე ბ...-ს ტყეში სასეირნოდ. როგორც თქვით, „იგი თავის მეგობ-
რების დროის სატარებლად აქვს განკუთვნილი“. რა, ეგ კაცი მთელი ქვეყნიერე-
ბის მეგობარია? თუმცა მშვიდობით, მომშივდა უკვე.

...დან, 9 სექტემბერი 17...

64-ე წერილი

შევალე დანსენი ქ-ნ დე კოლანჯს

(ასლი, დართული ვიკონტის 66-ე წერილზე ქ-ნ დე მერტიესადმი)

არ შევეცდები არც ჩემი საქციელის გამართლებას და არც თქვენსაზე და-
ჩივლებას. მხოლოდ ვწუხვარ, რაც მოხდა და რამაც სამი ალამიანი გაგვაუბედუ-
რა, თუმცაღა სამივენი უკეთესი ხვედრის ღირსნი ვიყავით. ამ უბედურების მი-
ზეხად ყოფნა ჩემთვის უფრო სამწუხაროა, ვინემ მის მსხვერპლად. გუშინდლი-
დან მოყოლებული ბევრჯერ ვაპირებდი პატივი მქონოდა თქვენთვის პასუხის
მოწერის, ოღონდაც ძალა არ მეყო სააპისო. არადა, ჩემთვის აუცილებელია ბე-
ვრი რამ გითხრათ, ამიტომაც თავს ძალა უნდა დავატანო. ხოლო თუ წერილი
არეულ-დარეული და უთავბოლო გეჩვენათ, ალბათ მიხვდებით, რაოდენ სავა-
ლადლო მდგომარობაში ვარ, და ღმობიერებას გამოიჩინო.

უპირველესად ნება მომეცით თქვენი წერილის პირველი წინადადების თი-
ობაზე არ დავეთანხმოთ. გავბედავ და გეტყვი, რომ ბოროტად არ გამომიყენე-
ბია არც თქვენი ნდობა და არც მადმუაზელ დე ვოლანჯის გულუბრყვილობა.
ჩემი საქციელი გამსჭვალული იყო როგორც ერთის, ისე მეორის პატივისცე-
მით. ოღონდაც ჩემზე დამოკიდებული იყო მხოლოდ საქციელი, ხოლო თუ მა-
ინც პასუხს მომთხოვთ უნებლიეთ აღძრული გრძნობის გამო, შემეძლია თამა-
მად ვთქვა, რომ ჩემი გრძნობა, იქნებ თქვენთვის არასასურველი, არამც და არ-
ამც შეურაცხმყოფელი არ გახლავთ. ამ ამბავში, ყველაზე მეტად რომ მადელ-

ვებს, ვინემ გამოთქმა ძალშიძს, მსურს მსაჯული თქვენ ბრძანდებოდეთ მოწმე-
ები კი ჩემი წერილები.

მიკრძალავთ აგრეთვე ამის შემდეგ თქვენთან მოსვლასაც. ცხადია, დავე-
მორჩილები ყოველივეს, რასაც ინებებთ. მაგრამ განა ჩემი ესდენ უცნაური გა-
უჩინარება მითქმა-მოთქმის ისეთივე საბაბი არ გახდება, როგორც ბრძანება,
ამავე მიზეზით რომ გნებავთ მისცეთ თქვენს მეკარეს? ამის თაობაზე მშაქმე-
ტად შემიძლია დაჟინება, რომ ჩემზე უფრო მადმუაზელ დე ვოლანჟეს ვა-
ხლავთ იგი არსებითი. ამიტომ გემუდარებით ყოველივე უფრო მეტი გულისხმი-
ერებით გაითვალისწინოთ და თქვენს სიმკაცრეს სიფრთხილედ არ ჩაახშობი-
ნოთ. მწამს, რომ მარტოოდენ თქვენი ასულის ინტერესებიდან იქნება გამოძი-
ნარე, რასაც გადაწყვეტთ. ველი თქვენს შემდგომ ბრძანებებს.

ხოლო თუ ნებას დამრთავთ ხანდახან მაინც დაგიდასტუროთ ჩემი პატივის-
ცემა პირადად, პირობას გაძლევთ (შეგიძლიათ ჩემს სიტყვას ენდოთ), ბორო-
ტად არ ვისარგებლო ამ შემთხვევებით და მადმუაზელ დე ვოლანჟეს განმარტო-
ებით ვესაუბრო ან ჩემი წერილები გადავცე. ამ მსხვერპლზეც წავალ იმიტომ,
მადმუაზელ დე ვოლანჟის სახელს ოდნავი ჩრდილიც არ მივაყენო. ხოლო იმ
ბედნიერებას, რომ ხანდახან შევხვდე, ჯილდოდ შევრაცხავ.

ჩემი წერილის ეს ადგილი ერთადერთ შესაძლებელ პასუხად მიჩანს
თქვენს ნათქვამზე, თუ რა ხვედრს უმზადებთ მადმუაზელ დე ვოლანჟეს და რის
გადაწყვეტას ინებებთ იმისდა მიხედვით. მე როგორ მოვიქცევი. უფრო მეტის
შეპირება ჩემგან — მოტყუებას ნიშნავს. ვინმე სულმდაბალს შეუძლია თვისი
ზრახვები გარემოებათა მდინარებას დაუქვემდებაროს და მათი მიხედვით ააწყ-
ოს. ოღონდაც სიყვარული, მე რომ მხნეობას მმატებს და აღმაფრთოვანებს,
მხოლოდ თრ გრძნობას მკარნახობს- ვაჟკაცობასა და ერთგულებას.

როგორ, შევეურიგდე იმ ამბავს, რომ მადმუაზელ დე ვოლანჟი დამივიწყებს
ან მე დავივიწყებ მას? არამც და არამც, არასოდეს. მე მარად მისი ერთგული
დავრჩები. მე მას ერთგულება შევფიცე და ახლა ვამტკიცებ ამას. თუმცა შაპა-
ტიეთ, ქალბატონო, რომ გადავუხვიე, საქმეს დავუბრუნდეთ.

კიდევ ერთი საკითხი დამრჩა თქვენთან გასარკვევი. ეს წერილების თაობა-
ზეა. მთხოვთ, რომ ისინი დაგიბრუნოთ. გულწრფელად მწყინს, რომ სხვა ჩემს
საქციელთ, დანაშაულად რომ მივაჩნიათ, კიდევ უარიც უნდა მივუმატო. მაგრამ
გემუდარებით, მოისმინოთ ჩემი დასაბუთებანი და გულისხმად ილოთ ისინი. არ
დაივიწყოთ, თუ თქვენს მეგობრობას დავკარგავ, ერთადერთ ნუგეშად ის მაინც
მრჩება, რომ პატივისცემას შევინარჩუნებ.

მადმუაზელ დე ვოლანჟის წერილები, ისედაც მუდამ ძვირფასნი, ახლა ჩე-
მთვის უფრო ძვირფასნი გახდნენ. ერთადერთი მხოლოდ ისინი დამრჩა, ერთა-
დერთი მხოლოდ ისინია ხელშესახები მოწმობანი გრძნობისა, ჩემი სიცოცხლის
მთელ სიხარულს რომ შეადგენს. ოღონდაც ეჭვადაც არ გაივლოთ, წამითაც
რომ არ შევეყოყმანდებოდი ეს მსხვერპლიც გამელო თქვენთვის, თუ მათი დაკარ-
გვით გამოწვეულ სინანულს გადასწონიდა ჩემი სწრაფვა იმის დამტკიცებისა,
რაოდენ დიდი პატივისცემა და მოწიწება მაქვს თქვენი, რომ არა ის ფრიალ სა-
რწმუნო მოსაზრებანი, რომელთა საწინააღმდეგოდ თქვენც კი ვერაფერს ბრძა-
ნებდით.

თქვენ მართლაც გამოამჟღავნეთ მადმუაზელ დე ვოლანჟის საიდუმლო, მა-
გრამ ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ ყველა საფუძველი მაქვს ვიფიქრო, ეს მხო-

ლოდ შემთხვევით მოხდა და არა იმიტომ, თვით გამოვიტყდათ. თავს ნებას არ მივცემ განვსაჯო თქვენი საქციელი, იქნებ დედობრივი გრძნობით დიახაც გამართლებული. მე პატივსაც ვცემ თქვენს უფლებებს, მაგრამ ისინი ისე შორს ვერ გავრცელდებიან, ჩემი მოვალეობისგან გამანთავისუფლონ. ხოლო ყველაზე წმიდათაწმიდა მოვალეობაა არასოდეს ვუღალატოთ, ვინც გვენდო. მე კი ამ ნდობას ვუღალატებდი, თუკი მის იღუმალ გულისნადებს სხვას განმეუფებდით, ვინც არ უნდა იყოს იგი. გაუუმხელდი იმას, რისაც მხოლოდ ჩემსთვის ისურვა გამხელა. თუ თქვენი ასული დაგთანხმდებათ გაგანდოთ ისინი, დე თავად გაამბოთ ყველაფერი. მაშინ წერილები აღარც იქნება საჭირო. ხოლო თუ პირიქით მოხდა, თუ არ ისურვა თვისი გულის საიდუმლოს გამხელა, რა თქმა უნდა, თქვენ ვერ მომთხოვთ სწორედ მე გაგანდოთ იგი.

რაც შეეხება თქვენს სურვილს, ყოველივე, რაც მოხდა, არ გახმაურდესო, სრულიად გულმშვიდად ბრძანდებოდეთ. მადმუაზელ დე ვოლანჟის ინტერესებზე ჩემი ზრუნვა შესაძლოა დედისასაც შეეცილოს. მცირედმა შეშფოთებამაც რომ არ შეგაწუხოთ, მე ყველაფერი გავითვალისწინე. ჩემთვის ძვირფას პაკეტზე ადრე ასე ეწერა „ეს ქაღალდები უნდა დაიწვას“. ახლა კი აწერია „ქაღალდები, რომლებიც მადმუაზელ დე ვოლანჟს ეკუთვნის“. ეს გადაწყვეტილება იმის საბუთად გამოდგება, რომ ჩემი უარის მიზეზი სულაც არ გახლავთ შიში, ვაითუ ამ წერილებში თუნდაც ერთი ისეთი გრძნობა აღმოჩნდეს, რაიც პირადად თქვენს საყვედურს დაიმსახურებდა.

წერილი ფრიად გრძელი გამოძვიდა თუმცა ის უფრო გრძელი უნდა ყოფილიყო. თუ რომ მცირედზე მცირედი ეჭვი მაინც დაგიტოვათ ჩემს გრძნობათა კეთილშობილებაზე, ჩემს წრფელ სინანულზე თქვენი გულისწყრომის დამსახურების გამო და ჩემს უღრმეს პატივისცემაზე, რომელიც პატივი მაქვს და ა.შ.

...დან, 7 სექტემბერი 17...

65-ე წერილი

შევალე დანხენი სესილ ვოლანჟს
(გაგზავნილია დაუბეჭდავად ვიკონტ დე ვალმონის წერილთან ერთად ქ-ნ დე მერტეისადმი)

ო, რა გვეშველება, ჩემო, სესილ? რომელი დმერთი გვიხსნის იმ უბედურებათაგან, თავს რომ უნდა დაგვატყდეს? დე სიყვარულმა მოგვცეს მხნეობა მათ გასაძლება! რა აღწერს ჩემს გაოცებას და სასოწარკვეთას, როს ჩემი წერილები დავინახე და ქ-ნ დე ვოლანჟის ბარათი წავიკითხე! ნეტა ვინ გაგვცა? ვისზე ვიეჭვო? იქნებ არ იყავით ფრთხილად? ახლა რას აკეთებთ? რა გითხრეს? მინდა ყველაფერი ვიცოდე, არადა, არაფერი ვიცი. ვეგების ჩემზე მეტი არც თქვენ იცით.

ვიგზავნით დედათქვენის ბარათს და ჩემი პასუხის ასლს. იმედია მოიწონებთ, რასაც ვწერ. ჩემთვის აუცილებელია მოიწონოთ ის ნაბიჯებიც, მე რომ გადავდგი იმ საბედისწერო ამბის შემდეგ. მათი მიზანია თქვენი ამბები გავიგო და ჩემიც გაცნობოთ. და — ვინ იცის? ვეგებ შეგხვდეთ კიდევაც, თანაც უფრო თავისუფლად, ვინემ წინათ.

გრძნობთ კია, ჩემო სესილ, რა სიხარულს მოგვანიჭებს კვლავ ერთად ყოფნა, როცა კვლავ შევფიცავთ ერთმანეთს სამარადისო სიყვარულს, როცა ერთმანეთის თვალბში ამოვიკითხავთ, რომ ეს ფიცი არასოდეს არ დაირღვევა? ვანა ყველა ტანჯვას და საწამებელს არ დაგვავიწყებს წამი ნეტარებისა? რმედი მაქვს, ის წამიც დადგება და დადგება იმ ნაბიჯების წყალობით, რომელთა მოწონებას გემუდარებით. თუმცა რას ვამბობ? ამ შემწეობას ჩემს ყველაზე ნაზ მეგობარსა და მანუგეშებელს უნდა ვმადლიდე და მხოლოდ იმას გთხოვთ, თქვენც გაიხადოთ იგი მეგობრად.

იქნებ არცა ვარ მართალი, თქვენი თანხმობის გარეშე რომ გთხოვთ, მიენდეთ-მეთქი? მაგრამ ჩვენი გამოუვალი მდგომარეობა და აუცილებლობა მომხდის ბოდიშს. მე სიყვარული მამომძრავებს, იგი გვედრით შეწყნარებასა და ღმობიერებას, გემუდარებათ აპატიოთ საიდუმლოს გამხელა, აუცილებელი რომ იყო, უმისოდ, ვინ იცის, სამუდამოდ დაეშორებოდით ერთმანეთს.¹ თქვენ იცნობთ იმ მეგობარს. იგი მეგობარია იმ ქალისაც, ყველაზე მეტად რომ გიყვართ, — და ეს ვიკონტ დე ვალმონი გახლავთ.

პირველად რომ მივმართე, მინდოდა ქ-ნი დე მერტეი დაეყოლიებინა თქვენთვის გადმოეცა ჩემი წერილი. მან საუჭვოდ მიიჩნია ამ ამბავზე ქალბატონის დათანხმება, მაგრამ ქალბატონის თუ არა, მისი მოახლის იმედი კი აქვს, მისგან რალაციით დავალებული რომაა, იგი გადმოგცემთ წერილს. პასუხიც მასვე შეგიძლიათ გამოატანოთ.

ოღონდ ეს დახმარება არ დაგჭირდებათ, თუკი, ბ-ნ დე ვალმონის აზრით, მოკლე ხანში სოფელში გაემგზავრებით. ის თავად გაგვიწევს დახმარებას, ქალი, ვისთანაც გაემგზავრებით, მისი ნათესავია. ის ისარგებლებს ამით და იმავე დროს ესტუმრება მას. მთელი ჩვენი მიწერ-მოწერის ამბავს თავად კისრულობს. იმასაც კი ირწმუნება, თუ მიენდობით, მოგვიხერხებს იქ ერთმანეთს შევხვდეთ, ოღონდაც ისე, თქვენს სახელს ჩრდილი არ შიადგეს.

ახლა კი, ჩემო სესილ, თუ გიყვარვართ, თუ გებრალებით ესდენ ვაებაში მყოფი, თუ იმედია, ჩემს ჭმუნვას იკმარებთ, ნუთუ უარს ეტყვით ნდობაზე იმ კაცს, ვინც მფარველ ანგელოზად მოგვევლინება? იგი რომ არა, სასოს სრულიად წარმიკვეთდა ის ამბავი, რომ არ ძალმიძს ცოტაოდენ მაინც შეგიმსუბუქოთ სატანჯველი, ჩემი მიზეზით გამოწვეული. პირობას გაძლევთ, აგი დიდხანს არ გაგრძელდება. მაგრამ უნდა აღმითქვათ, ჩემო ნაზო მეგობარო, მეტიმეტად არ იჯავროთ, არ გძლიოთ განცდამ. ფიქრი იმაზე, რომ იტანჯებით, ჩემთვის გაუსაძლისი წამებაა. კარგად იცით, რომ სულსაც არ დავიშურებ, ოღონდ თქვენ იყოთ ბედნიერი! დე რწმენამ, რომ გადმერთებთ, მცირე ნუგეში მაინც მოჰფინოს თქვენს სულს! ჩემი სული კი საჭიროებს თქვენს რწმუნებას, რომ არ შემდურებით იმ ტანჯვისათვის, რაიც ჩემ გამო შეგხვდათ.

მშვიდობით, ჩემო სესილ, მშვიდობით, ჩემო ნაზო მეგობარო.

...დან, 9 სექტემბერი 17...

1. დანსენი მართალს არ ამბობს. ამ ამბავამდეც მან ყველაფერი უამბო ბ-ნ დე ვალმონს. იხ. 57-ე წერილი.

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტეის

ეს წერილები გამცნობთ, ჩემო ტურფა მეგობარო, კარგად შევასრულე თუ არა თქვენი გეგმა. თუმცა დღევანდელი რიცხვი აწერია, მაგრამ გუშინ, ჩემ თვალწინ გახლავთ დაწერილი. გოგონასადმი წერილში ყველაფერი რაც საჭიროა. განზრახვათა წარმატებით თუ ვიმსჯელებთ, კაცმა თავი უნდა მოიდრიკოს თქვენი ესდენ ღრმა განჭვრეტის ნიჭის წინაშე. დანსენი ისეა გაფიცებული, დარწმუნებული ვარ, პირველსავე შემთხვევაში მისი სასაყვედურო აღარაფერი გვექნება. თუ დანსენის სატრფო მორჩილი გამოდგა. სოფელში ჩამოსვლიდან სულ მალე დამთავრდება ყველაფერი. უკვე მზადა მაქვს ქვეყნის ხერხი და ხრიკი. თქვენი წყალობით ახლა „დანსენის მეგობარს“ წარმოვადგენ. აკლია მხოლოდ პრინცი გაგვიხდეს¹.

ისე კი ჯერაც რა ღლაპი ვინმეა ეს დანსენი! დამიჯერებთ, აქამდე ვერ ვაძულე დედას შეპირებოდა, სიყვარულზე უარს ვამბობო! თითქოსდა ასე ძნელია შეპირება, როცა წინასწარ იცი, პირობას არ შეასრულებ! „ეს ხომ მოტყუებას ნიშნავს“, — იმეორებს განუწყვეტლივ. მის ასულს შეცდენას უპირებს, წესიერებაზე კი თავსა დებს! აი რანი ვართ კაცნი! უსინდისო და უპატიოსნო ზრახვათა მქონენი პატიოსნებად ნათლავენ უძღურებას, მათი ხორცმესხმისას რომ გამოიჩინეს.

როგორმე უნდა მოახერხოთ, რომ ქ-ნი დე ვოლანჟი არ შეაშინოს ჩვენი ყმაწვილის გაუფრთხილებელმა და კადნიერმა გამოთქმებმა. ღმერთმა დაგვიფაროს მონასტრისაგან! იმასაც შეუცადეთ. პაწიას წერილების დაბრუნება აღარ მოსთხოვოს. ჯერ ერთი არ მისცემს, არ სურს მიცემა და მეც ვეთანხმები: აქ გრძნობაც და ჭკუაც თანხმიერია. მე წაყვიტოთხე ეს წერილები — თუმცა მოწყენით კინალამ მოვეკვდი — მაგრამ მაინც გამოგვადგება და აი რატომ:

მიუხედავად ჩვენი სიფრთხილისა ყოველივე შესაძლოა უცბათ გამჟღავნდეს. ქორწინებაც აღარ შედგება—ხომ ასეა? და ჟერკურთან დაკავშირებით მთელი ჩვენი ჩანაფიქრი ჩაიფუშება. მაგრამ რაკი ჩემი მხრიდან მინდა სამაგიერო მივუზღო დედას, მაშინ ისღა მრჩება მის ასულს თავი მოვჭრა. ეს წერილები თუ ოსტატურად შევარჩიეთ და მხოლოდ ნაწილი დავატრიალეთ, შეგვეძლება ისე ვაჩინოთ, თითქოს პაწია ვოლანჟმა თვითონ გადადგა პირველი ნაბიჯი და თვითონ ჩაიგდო თავი ხიფათში. ზოგიერთმა წერილმა დედასაც შესაძლოა ჩრდილი მიაყენოს შვილიკოს თავის ნებაზე მიშვების გამო. წინასწარვე ვიცი, სინდისიერი დანსენი თავდაპირველად აღშფოთდება. მაგრამ რაკი შეიძლება თავადაც ჭუჭყი მოეცხოს, ვფიქრობ, მისი მოტეხა არ გაჭირდება. ათასიდან მხოლოდ ერთი ალბათობაა საქმე ასე წავიდეს, მაგრამ თავადაც იცით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

მშვიდობით, ტურფა მეგობარო. თქვენი მხრივ დიდად მაამებთ, ხვალ თუ ვახშამზე მობრძანდებით მარშალ დე...-ს მეუღლესთან. თავი ვერამც და ვერამც ვერ დავიძვრინე.

ვფიქრობ, გაფრთხილება არ დამჭირდება, ქ-ნ დე ვოლანჟის ყურამდე არ მივიდეს ჩემი სოფელში ჩასვლის განზრახვა. იგი მყისვე გადაწყვეტს ქალაქში

1. სიტყვები ბ-ნ დე ვოლტერის ერთ-ერთი პოემიდან.

დარჩენას. მაგრამ სოფელში თუ ჩავიდა, მეორე დღესვე ვერ გამოემგზავრება იქიდან. ერთი კვირა მაინც რომ დაგეგმავს, პირობას, გაძლევთ საქმეს გავჩარხავ.

...დან, 9 სექტემბერი 17...

ეროვნული
ბიზნისი

67-ე წერილი

პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი და ტურველი ვიკონტ და ვალმონს

არ ვაპირებდი თქვენთვის მომეწერა, მოწყალეო ხელმწიფე, და ჩემი შეცბუნებაც ახლა იმას ამტკიცებს, არ უნდა გწერდეთ. მაგრამ არ მინდა ერთი საბაბიც დაგიტოვოთ ჩემზე სასაყვედუროდ და მსურს დაგარწმუნოთ, რომ ყოველივე ვიღონე თქვენთვის, რაიც შევიძელ.

მე დაგროთე ნება, როგორც ამბობთ, წერილის წერის? გეთანხმებით. მაგრამ ხომ არ გგონიათ დამავიწყდა, თუ რა პირობით? ეს პირობა რომ ისე მტკიცედ დამეცვა, როგორც თქვენ არღვევთ, განა ჩემგან ერთ პასუხს მაინც მიიღებდით? არადა, ახლა უკვე მესამედ გწერთ პასუხს. ხოლო როცა ყველაფერს აკეთებთ მიწერ-მოწერა გავწყვიტო თქვენთან, მე გზას ვეძიებ მისი გავრძელებისა. ეს გზა არსებობს და ის ერთადერთია. ხოლო თუ ამ გზაზე უარს განაცხადებთ, რაც არ უნდა თქვათ, ეს დაამტკიცებს, რაოდენ ნაკლებ გიღირთ ეს მიმოწერა.

შეწყვიტეთ ჩემთან ლაპარაკი იმ ენაზე, მი რომ არ შემიძლია და არც მსურს ვისმინო. უარი თქვით იმ გრძნობებზე, მე რომ მაშინებს და შეურაცხყოფს. არც ასე ჯიუტად უნდა მოსჭიდებოდით მას, რაკი იცით, რომ სწორედ იგი გვაშორიშორებს. ნუთუ მხოლოდ ამ გრძნობის განცდა შეგიძლიათ, ნუთუ სიყვარულს ჩემს თვალში ის ნაკლიც უნდა დაემატოს, რომ მეგობრობას გამორიცხავს? ნუთუ თქვენი მიზეზით მეგობრად არ გაიხდით იმას, ვისშიაც უფრო ნაზი გრძნობების აღძრა გეწადათ? არ მინდა ასე ვიფიქრო. ეს თქვენთვის დამამცირებელი ფიქრი კიდევ უფრო აღმაშფოთებდა და სამუდამოდ დამაშორებდა თქვენთან.

მე მეგობრობას გთავაზობთ, ბატონო ჩემო, მეტი ჩემი არაფერია. ჩემს განკარგულებაში მხოლოდ ესაა. სხვა რაღა გნებავთ? მე ამ გრძნობას რომ მთელი არსებით მივეცე, ჩემი გულისთვის ესდენ უტკბებს და საკადრისს, თქვენი თანხმობა და სიტყვა მინდა, რომ ამას იკმარებთ ბედნიერებისათვის. დავივიწყებ ყველაფერს, რაც შეიძლება ჩემთვის თქვენზე ეთქვათ, იმედია, შეეცდებით ჩემი არჩევნის გამართლებას.

ხომ ხედავთ, რა გულახდილი ვარ თქვენთან. დე ამან დაგიმტკიცოთ, რარიც გენდობით, ახლა თქვენზეა დამოკიდებული ამ ნდობის გაზრდა. ოღონდ გაფრთხილებთ, პირველივე სიტყვა სიყვარულზე სამუდამოდ დაგიკარგავთ მას, შიშს განმიახლებს და უწინარესად იმაზე მიმანიშნებს, რომ ერთი სიტყვაც აღარასოდეს არ უნდა ვითხრათ.

ხოლო თუ, თქვენივე მტკიცებით, უარს ამბობთ თქვენს შეცდომებზე, ნუთუ არ გიჯობთ წესიერი ქალის მეგობრული გრძნობის საგანი იყოთ, ვინემ მიზეზი მისი სინდისის ქენჯნის? მშვიდობით, ბატონო ჩემო. ცხადია, ამ სიტყვების შემდეგ თქვენი პასუხის მიღებაზე სათქმელი არაფერი მაქვს.

...დან, 9 სექტემბერი 17...

ვიკონტ და ვალმონი პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნ და ტურველს

აბა რა ვიპასუხოთ, ქალბატონო, თქვენს ბოლო წერილზე? როგორ შეგბედოთ სიმართლის თქმა, თუ თქვენს თვალში იგი დამლუპავს? რა გაეწყობა, ასე ყოფილა თურმე საჭირო. ვაჟკაცობა საამისოდ ალბათ შეეძლება ვიწვევთ ვუმეორებ და ვეუბნები თავს, რომ მიჯობს დაგიმსახუროთ, ვინემ მხოლოდ დაგუფლოთ. და თუ აღარასოდეს მადირსებთ ბედნიერებას, არ დამთანხმდებით იმაზე, რისკენაც სწრაფვა არ გამოქრება, ის მაინც უნდა დაგიმტკიცოთ, რომ გული ჩემი ღირსია მისი.

რაოდენ სავალალოა, თქვენივე თქმით, უარი რომ ეთქვა ჩემს შეცდომებზე! რა აღტაცებით წავიკითხავდი ალბათ მაშინ ამ თქვენს ბოლო წერილს, გულის კანკალით რომ ვპასუხოვ ახლა. იქ წრფელი გულით მელაპარაკებით, იქ ნდობას მიცხადებთ, ერთი სიტყვით, მეგობრობას მთავაზობთ. კი, რა სამწუხაროა, რომ ამდენი სიკეთით ვერ ვისარგებლებ! რომ აღარა ვარ ისეთი, როგორიც ვაყავ!

მე რომ კვლავ ისეთი ვიყო, მხოლოდ ჩვეულებრივი მსუბუქი გატაცება მქონდეს თქვენდამი, ცთუნებითა და სიამოვნების წყურვილით შობილი და ჩვენს დროში სიყვარულად წოდებული, დავეშურებოდი მესარგებლა ყველაფრით, რის მიღწევასაც შევძლებდი. ყველა საშუალებას ვიხმარდი წარმატების მისაღწევად. წაგაქეზებდით ჩემთვის გული გადაგეხსნათ, შევეცდებოდი სრული ნდობა მომეხვეჭა, რომ მერე მომეტყუებინეთ, დავთანხმდებოდი მეგობრობაზე, რომ მერე შემეცდინეთ... რას ფიქრობთ, არ გაშინებთ ეს სურათი, ქალბატონო? იცოდეთ, ეს ჩემი სურათი იქნებოდა, მე რომ მეგობრობაზე დავთანხმდებოდი...

ვინ? მე? მე დავთანხმდებულეიყავ მოზიარე მყოლოდა თქვენს სულში აღძრული გრძნობისა? ეს რომ მეთქვა, მყის უნდა დაგეკარგათ ჩემდამი ნდობა. იმავ წუთიდან შევეცდებოდი თქვენს მოტყუებას. სურვილი თქვენი დაუფლებისა ვგებ კიდევაც შემრჩენოდა, ოღონდაც არა სიყვარულისა.

არ იფიქროთ, ესდენ საამო გულწრფელობას, ნდობის ტკბილ გრძნობას ნაზ მეგობრობას არ ვაფასებდე... მაგრამ სიყვარული, ჭეშმარიტი სიყვარული, თქვენ რომ ჩემში აღძართ, ყველა ამ გრძნობას რომ ითავსებს და კიდევ უფრო აძლიერებს, ვერ შეიძლება მათ მსგავსად სიმშვიდისა და სულიერი გულგრილობის შექენას, რაიც საშუალებას გვაძლევს შედარებისა და ან ერთისა თუ მეორესთვის უპირატესობის მინიჭებას. არა, მე ვერ გაუხდები თქვენი მეგობარი! მე მეყვარებით ყველაზე ნაზი, ყველაზე მგზნებარე, თუმცა უღრმესი პატივისცემით აღსავსე გრძნობით, თქვენ ძალგდით იმედი წარმიკვეთოთ, ოღონდ მის ჩაკვლას ვერ შეიძლებთ.

ვინ მოგცათ უფლება იმ გულის განცდათა გამრიგე იყოთ, ვის თაყვანისცემაზე უარს ამბობთ? რა დახვეწილი სისასტიკე გაიძულებთ გშურდეთ იმ ბედნიერებისაც კი, თქვენი სიყვარული რომ მანიჭებს? იგი მე მეკუთვნის და მასზე ვერ იუფლებებთ. მე შევძლებ მის დაცვას. და თუკი იგი ჩემი ტანჯვის წყაროა, განკურნებასაც მასში ვპოვებ.

არა, კიდევ და კიდევ არა! იყავით ჯიუტად მაგ თქვენს სასტიკ უარზე, მე დამიტოვეთ ჩემი სიყვარული, დე გახარებდეთ ჩემი უბედურება! როგორც არ უნდა შეეცადოთ სიმტკიცე შემირყიოთ, მაინც გაიძულებთ გადაწყვეტოთ ჩემი ბედი. ეგების დადგეს დღე, მეტი სამართლიანობა გამოიჩინოთ ჩემდამი. არა,

არა მგონია, გრძნობიერება გაგიღვიძოთ. მაგრამ რომც ვერ დაგარწმუნოთ, მაინც განიმსჭვალეებით მით და იტყვი: „მე ამ კაცზე არასწორად ვსჯიდი“.

ვიყოთ უფრო ზუსტი — არც საკუთარი თავისადმი ბრძანდებით სამართლიანი. გაგიცნოთ ვინმემ და არ შეგიყვაროთ, შეგიყვაროთ და არ დარჩეს მარად თქვენი ერთგული, როგორც ერთი, ისე მეორე — ერთნაირად გახლავთ შეუძლებელი. ჰოდა, მიუხედავად მოკრძალებისა, აგრერიგად რომ გამშვენებდით თქვენს თავის ალბათ უფრო აღვილია დაიჩივლოთ იმ გრძნობებზე, თქვენ რომ აღძვართ, ხოლო მე, ვისი ერთადერთი დამსახურებაა რომ შევიცანი თქვენი ფასი, ამ დამსახურებას ვერამც და ვერამც ვერ დავკარგავ. და როს უარს ვამბობ მაგ თქვენს მზაკვრულ ძღვენზე, თქვენს ფერხთა წინაშე განროხმული კვლავ და კვლავ ვფიცავ მარად მიყვარდეთ.

...დან, 10 სექტემბერი 17...

69-ე წერილი

სესილი ვოლანჯი შევალე დანსენის

მეკითხებით, რას ვაკეთებ? მიყვარხართ და ვტირი. დედა არ მელაპარაკება. წამართვა ქალაღი, კალმები და მელანი. კიდევ ბედი, რომ ფანქარი მაქვს და ამით ვწერ თქვენი წერილის ნაგლეჯზე. ისღა დამრჩენია, მოგიწონოთ, რაც კი მოიმოქმედეთ. ისე ძალიან მიყვარხართ, მზადა ვარ ყველანაირ საშუალებას მოკვდილო, ოღონდაც თქვენი ამბავი შევიტყო და ჩემიც გაცნობოთ. მე არ მომწონს ბ-ნი დე ვალმონი, არც ის ვიცოდი, თუ ასეთი მეგობარი იყო თქვენი. შევეცდები შევეჩვიო და შევიყვარო თქვენი ხათრით. წარმოდგენა არა მაქვს, ვინ ვაგვცა. ეს შეიძლება იყოს ან ჩემი მოახლე ან მღვდელი, ვისაც აღსარება ვუთხარი, თ, რა უბედური ვარ. ხვალ სოფელში მივემგზავრებით, მაგრამ რამდენი ხნით — არ ვიცი. ღმერთო ჩემო! რა მეშველება, რომ ველარ გნახავთ! არ ვიცი, მეტი რა მოგწეროთ. მშვიდობით, შეეცადეთ გაარჩიოთ, რა დავწერე. ფანქრითაა ნაწერი და იქნებ წაიშალოს, მაგრამ ჩემს გულში ჩაბეჭდილ გრძნობებს — ვერაფერი წაშლის.

...დან, 10 სექტემბერი 17...

70-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტეის

ფრიად საგულისხმო რჩევა უნდა მოგცეთ, ძვირფასო მეგობარო. მოგესხენებათ, გუშინ მარშალ დე...-ს მეუღლესთან ვახშმად გახლდით. ლაპარაკი თქვენზე ჩამოვარდა. მე არ ვთქვი ყოველივე ის კარგი, რასაც თქვენზე ვფიქრობ, ვთქვი ის, რასაც სულაც არ ვფიქრობ. მგონი, ყველანი დამეთანხმნენ და საუბარი საკმაოდ ღუნედ გაგრძელდა, როგორც ხდება ხოლმე, როცა მოყვასზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობენ. მაგრამ აღმოჩნდა ერთი, ვინც არ დაგეთანხმდა. ეს პრეკანი ბრძანდებოდა.

„ღმერთმა დამიფაროს, — წამოდგა იგი, — ქ-ნ დე მერტეის კეთილზნე-

ჩნობამ წელიწადი დალიოს სული, მინდა თავადვე უმზიროს ამ საცოდავ სანახაობას და ჩემი გულში ჩაკვრის ნეტარება მაშინ განიცადოს, როცა ძალა აღარ ექნება — ამის სურვილი დამალოს. მართლაც რა იქნებოდა ჩემი ფასი, თუ ვერ დავიმსახურებდი აქეთ შემომხვეწნოდნენ. განა რა სასტიკი შურისძიება იქნება იგი იმ ქედმაღალი ქალისთვის, ვისაც იმის აღიარება, რომ ვილაცხას აღმერთებს, სიწითლეს ჰკვრის?

ამიტომაც უარი ვთქვი ამ ძვირადფასულ მეგობრობაზე და ჯიუტად ვიპყრებ ჩემს ჯიუტობას. არც ვმალავ, რომ აქ ლაპარაკი არაა სიტყვიერ განსხვავებაზე და წოდების მიღებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ბეჯითად ვეცადე წერილი არეული გამომსვლოდა, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება გრძნობების გამოხატვა. დაბოლოს ისეთი აბდაუბდით ავაუსე და იმდენი სისულელე მოვწამა, რამდენიც შევიძელ. სისულელის გარეშე ხომ სინაზეს ვერ გამოხატავ. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ გვჯობია ქალები სატრფიალო წერილების წერაში.

წერილს ქებით ვამთავრებ, ესეც გამომდინარე ჩემი ღრმა დაკვირვებიდან. როცა ქალს გარკვეული დროით გულს გრძნობით აღუგზნებ, მერე მოსვენება სჭირდება. ხოლო ყოველი ქალისთვის ყველაზე რბილი ბალიში — ხოტბა გახლავთ.

მშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო, ხვალ მივემგზავრები. თუ რამე გაქვთ დასაბარებელი გრაფ დე...-ს მეუღლესთან, გადავცემ, რადგან მასთან შევჩერდები თუნდაც იმიტომ, რომ ვისადილო. ქალზე მწყდება გული, თქვენ უნახავად რომ მივემგზავრები. გამომიგზავნეთ თქვენი ამაღლებული შეგონებანი და ბრძნული რჩევები ამ გადამწვევტ ხანს.

აბა თქვენ იცით, როგორ დაიცავთ თავს პრევანისაგან, ღმერთმა ქნას, როდესმე, შევიძლო სამაგიეროს გადახდა ამ მსხვერპლისათვის! მშვიდობით.

...დან, 14 სექტემბერი 17...

71-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტუის

იმ ჩემს დოყლაპია ეგერს პარიზში დარჩენია ჩემი პორტფელი! ტურფა მეგობრის წერილები, დანსენის წერილი პაწია ვოლანჟისადმი, ყველაფერი, რაიც ახლა ასე მჭირდება! უკან ბრუნდება თავისი ამ უტყინობის გამოსასწორებლად. პოდა, ვინემ ცხენს შეკაზმავს, მინდა ჩემი წუხანდელი თავგადასავალი გიამბოთ, რათა ეჭვი არ შეგეპაროთ, დროს ტყუილად კარგავსო.

მისდათავად ბევრი არაფერია — ასე ვთქვათ, ვიკონტ დე მ...-ს მეუღლის შეცხელებული კერძი. მაგრამ ზოგ-ზოგი წერილმანი მაინც თავშესაქცევია. მინდა დაგამტკიცოთ, თუ ქალების დაღუპვის ნიჭი მაქვს, არანაკლები ნიჭი გამაჩნია მათი ხსნისა, უკეთუ მომეპრიანა. აკი მუდამ ან ყველაზე ძნელ ან ყველაზე თავშესაქცევ გზას ვირჩევ ხოლმე და სულაც არ უჩანობ, სიკეთის გამოჩენა თუ მომიხდა, როცა ის ჩემთვის სარგო სავარჯიშო ან გასართობია.

მაშასადამე, იქ ვიკონტის მეუღლე დამხვდა. სხვები რომ ჩამაცივდნენ, ღამის გასათეჯად დარჩითო, ისიც აპყვა ფეხის ხმას. მაშინ ვუთხარი: იმ პირობით, დამეს თუ თქვენ გვერდით გამათევინებთ-მეთქი. „ამას ვერ შეუძლებ, — მითხრა, — ვრესაკი აქ გახლავთ“. ამ წუთამდე ეს ჩემგან ქათინაური მეგონა, მაგრამ მისმა სიტყვებმა, ვერ შეუძლებო, როგორც ყოველთვის წყობიდან გამომიყვანა. ჩემი

გაწირვა ვრესაკის გამო დამცირებად მივიჩნიე, რასაც ვერამც და ვერამც ვერ მოვიტმენდი. ამიტომაც აღარ და აღარ მოვეშვი. ვითარება ჩემთვის არც მაინც-დამაინც ხელსაყრელი იყო. ამ ვერსაკს თავისი მოუქნელობით თურმე ვიკონტი დაუეჭვიანებია. პოდა, რაღაი ვრესაკს თავისთან ველარ მოიღებდა. შუთანხმებულან გრაფის კეთილ მეუღლესთან გამგზავრებულიყვნენ, რომ რამდენიმე ღამე მაინც ერთად გაეტარებინათ. ვიკონტი პირველად ცოტა ^{ქრისტეანული} ამრეზი-ლა ვრესაკის ხილვაზე, მაგრამ მაინც დარჩა — ეჭვიანობა ნადირობის ჟინმა დას-ბლია. გრაფის მეუღლემ არცა ახლა უღალატა თავის ჩვევას — ცოლი მთავარ დერეფანში გამავალ ოთახში მოათავსა, ქმარი და საყვარელი მის გვერდით ოთახებში, როგორც უნდათ, ისე მორიგდნენო. ხოლო განგების ძალამ ერთსაც და მეორესაც წილად არგუნა მოპირდაპირე ოთახში მე ამომეყო თავი.

იმავე დღეს ანუ გუშინ ვრესაკი შეეცადა, ალბათ მიხვდებით რატომაც, ვიკონტის გული მოეგო და სანადიროდ გაჰყვა, თუმცა ნადირობა სულაც არ ეპიტ-ნავებოდა, გაჰყვა იმ იმედით. ღამით მისი ცოლის მკლავებში აენაზღაურებინა მთელი დღე აბუზარი ვიკონტის გვერდით ყოფნა. თუმცა კი ჩემი აზრით დასვე-ნებას უფრო საჭიროებდა. და ვიზრუნე კიდევ ამაში მისი საყვარელიც დამერ-წმუნებინა.

ეს მოვახერხე. იმასაც მივაღწიე, რომ ვრესაკს წახზუბებოდა ამ ნადირობის გამო, თუმცა სწორედ მისი გულისთვის დათანხმდა კაცი ამაზე. მსგავს სულე-ლურ საბაბს ვერავინ მოიგონებდა. მაგრამ ვიკონტის მეუღლეზე მეტად ქალი ვერ დაიკვეხნის ამ სქესისთვის ჩვეული ნიჭით — ლოგიკა გაბრაზებით შეცვა-ლოს. და რაც უფრო სტყუის, მით უფრო ძნელად სცვლის სიბრაზეს მოწყალე-ბაზე. ესეც კია, ახსნა-განმარტებისთვის დრო მაინცდამაინც ხელსაყრელი არ იყო. ამასთან სულაც არ ვიყავ წინააღმდეგი, მეორე დღესვე შერიგებოდნენ ერთმანეთს.

ისე რომ, ნადირობიდან დაბრუნებულ ვრესაკს გაბუტული დაუხვდნენ. მი-ზეზის გაგება რომ მოინდომა, მყის საყვედურები დააყარეს, თავის მართლება დააპირა, ქმრის იქ ყოფნის საბაბით სიტყვა გააწყვეტინეს. ბოლოს ქმარი რომ წავიდა, დრო იხელთა და ითხოვა, საღამოს მაინც მომისმინეთო. მაშინ კი ვიკონტის მეუღლემ მთელი თავისი ნიჭი აჩინა. აღშფოთებულმა დაიწყო ლაპარა-კი მამაკაცთა თავხედობაზე, ქალმა თუ ერთხელ მათ მიმართ მოწყალეობა გამო-ჩინა, ასე ჰგონიათ, უფლება აქვთ ამ მოწყალეობით მაშინაც კი ისარგებლონ, როცა ქალი მათზე განაწყენებულია. მერე ფრიად მარჯვედ გადაიტანა სიტყვა გულისხმიერებასა და გრძნობიერებაზე და ისე დიდებულად ილაპარაკა, შემც-ბარმა ვრესაკმა სიტყვა ვერ შეუბრუნა და მეც ღამის ვადიარე მისი სიმართლე, ვინაიდან — უნდა მოვახსენოთ — ამ საუბარს მეც ვესწრებოდი მესამე პირის კვალობაზე.

დაბოლოს გადაჭრით განაცხადა, რომ არამც და არამც არ დაუშვებს ნადი-რობით დაღლილი კაცი სასიყვარულო გართობით კიდევ უფრო დაღალოს და თავს ვერ აპატიებს, ესოდენ სასიამოვნო შესაქცევრის ხელისშემშლელი აღ-მოჩნდეს. ამასობაში ქმარიც დაბრუნდა. რაკი პასუხის საშუალება წაერთვა, გა-ცხარებული ვრესაკი მე მომიბრუნდა და დიდხანს მელაპარაკა იმ საბუთებზე, მასზე ნაკლებ რომ არ ვიცოდი. ბოლოს კი შემეხვეწა ვიკონტის მეუღლეს მოვ-ლაპარაკებოდი, რაიც აღვუთქვი. მართლაც მოველაპარაკე, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, მაღლობა გადამეხადა, თან ჩვენი შეყრის საათი და მისი განსახორ-ციელებელი გზანი დაგვეთქვა.

მიიხრა, რაკილა მისი ოთახი ქმრისა და საყვარლის ოთახებს შუა იყო მოქცეული, მეტი სიფრთხილისათვის თვითონ აპირებდა ვერსაკთან მისვლას და არა თავის ოთახში მიღებას. რამდენადაც ჩემი სამყოფელი სწორედ მისი ოთახის წინ იყო მოთავსებული, მისი ფიქრით უფრო უსაფრთხო იქნებოდა ჩემთან მოსულიყო. ისე რომ, როგორც კი მოახლეს გაისტუმრებს თავისი ოთახიდან, მაშინვე მოვა — მე მხოლოდ კარი უნდა დავტოვო ღია და დაველოცო.

ზუსტად ისე მოხდა ყველაფერი, როგორც დავთქვიო. დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა მოძადვა.

**გამოწეობილი ლამაზმანის შილიფ სამოსში,
გაღვიძებული ეს-ესაა ღრმა ძილისაგან!**

აღარ შევჩერდები ამ ღამის სხვა წერილმანებზე. თავმომწონეობა სულაც არ მჩვევია. მაგრამ კარგად მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, ჩემი თავის კმაყოფილი ვარ.

გათენებისას უნდა დაეშორებოდით ერთმანეთს. აი მაშინ მოხდა, რაც მოხდა. ამ ცანცარიკას ეგონა, კარი ნახევრად ღია დავტოვეო. არადა, კარი დაკეტილი დაგვიხვდა, თანაც შიგნიდან. ვერ წარმოიდგენთ, რა სასოწარკვეთით აღმოხდა ვიკონტის მეუღლეს: „ახლა კი დავიღუპე!“ ვერ ვიტყვი, სასერიო არ იქნებოდა ამ დღეში მიმეტოვებინა, მაგრამ შემეძლო კი იმ ამბის ატანა, ქალი ჩემ გამო და არა ჩემ მიერ დაღუპულიყო? ან ყოვლად ჩუულებრივი კაცივით ვითარებას დაუნებებოდი? ისე რომ, რაღაც უნდა მეღონა. თქვენ რას იზამდით, ჩემო ტურფა მეგობარი? მე კი აი რა გავახერხე — და დიდებულადაც.

მალე დავრწმუნდი, რომ ხსენებული კარის შემტვრევა დიდ ხმაურს გამოიწვევდა. ამიტომაც — თუმც დიდი გაჭირვებით — დავიყოლიე ვიკონტის მეუღლე თავზარდაცემული კვილი აეტეხა, თითქოსდა „ყაჩაღები“ თუ „მკვლელები“ დაესხნენ თავს და ა. შ. შევთანხმდით, რომ პირველსავე მის კვილზე კარს შეკამტვრევდი და ისიც მყის თავის საწოლისკენ გაქანდებოდა. ვერ წარმოიდგენთ, შეთანხმების შემდეგაც რამდენი დრო დამჭირდა კიდევ, რომ საბოლოოდ დამერწმუნებინა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა და კარი პირველივე დარტყმაზე შევგლიჯე.

კიდევ კარგი, ვიკონტის მეუღლეს დრო არ დაუკარგავს, ვინაიდან ვიკონტი და ვრესაკი იმავე წუთს დერეფანში დაერჭვნენ. მოახლემაც მაშინვე მოირბინა.

სიმშვიდე მართლმე მე არ დავკარგე, მყის ვიაზრე ღამის ლამპა ჩამექრო და აატაკზე გადმოვვადლო, თორემ სასაცილო არაა პანიკური შიში გაითამაშო, როცა ოთახში შუქი ანთია. შემდეგ კარგად მივთათხე ქმარიც და საყვარელიც საღათას ძილის გამო, მთელი ხუთი წუთი დამჭირდა, ვიდრე კვილზე მოვირბინე და კარი შევამტვრიე-მეთქი.

ვიკონტის მეუღლე, ლოგინში უკვე გულმოცემული, რიხიანად მაძლევდა პანს და ყველა წმინდანს იფიცებდა, ოთახში ქურდი იყო შემოსულიო. კიდევ უფრო მართლად ჟღერდა მისი მტკიცება, ჩემს სიცოცხლეში ასე არ შემშინებიაო. შევუდექით კუთხე-კუნჭულ ჩხრეკას და ბეზნას, მაგრამ რაკი ვერაფერი აღმოვაჩინეთ, საყოველთაო ყურადღება გადმოვირავებულ ღამის ლამპას მივაპ-

ყარი და კარაუდი გამოუთქვი მთელი ამ აურზაურისა და შიშის მიზეზი უთუოდ ვირთხა იქნებოდა-მეთქი. ყველა დამეთანხმა, ისე რომ, ვირთხების თაობაზე ჩვეულებრივი გაქილიკების შემდეგ ვიკონტა თავის ოთახს მიაშურა, ოღონდაც ცოლს სთხოვა, ამის შემდეგ უფრო მშვიდ ვირთხებთან იქონიე საქმურ.

მარტონი რომ დავრჩით, ვრესაკი მიუახლოვდა ვიკონტის მეუღლეს და ნაზად უთხრა, ეს სიყვარულმა იმია შურიო. ქალმა მე შემომხედა და უპასუხა: „მამ სიყვარული ძალზე განრისხებულა, თუკი ასე სასტიკად გადაგვიხელა სამავიერო. თუმც, — დასძინა მან, — ისე ვარ დაღლილი, უნდა დავიძინო“.

ფრიად მოწყალე გუნებაზე დამდგარმა ჩვენ-ჩვენს ოთახებში წასვლამდე ვრესაკს გამოვექომაგე და მიჯნურნი შევარიგე. ერთმანეთი რომ გადაკოცნეს, ზეც მეამბორეს, მაგრამ ჩემთვის ვიკონტის მეუღლის ამბორი უკვე არაფერს ნიშნავდა, ვრესაკის კოცნამ კი, მართალი ვითხრათ, დიდად მაამა. შერე ერთად დავტოვეთ ოთახი და ჩვენ-ჩვენს საძინებლებს მივაშურეთ.

თუ ამ ამბავს სასეიროდ მიიჩნევთ, შეგიძლიათ საიდუმლოდ არ შეინახოთ. მე რომ ასე გამამხიარულა, მინდა თავის მხრივ სხვებიც გაამხიარულოს. ახლა მხოლოდ ამბავს ვგულისხმობ, თუმცა იქნებ მის გმირ ქალზეც სულ მალე იგივე ითქვას.

მშვიდობით. ჩემი ეგერი აგერ უკვე ერთი საათია მიცდის. კიდევ წამიც, კოცნა რომ გამოგიგზავნოთ და კიდევ რჩევაც, პირველ ყოვლისა პრევენს უფროთხილდით.

...დან, 15 სექტემბერი 17...

72-ე ვერილი

შევალიე დანსენი სესილ ვოლანეს

(გადაცემულია მხოლოდ 14-ში)

ო, ჩემო სესილ! რარიგ მშურს ვალმონის! ის ხომ ხვალ გნახავთ. ჩემს წერილსაც იგი გადმოგცემთ. მე კი, განშორებით გულგაწვრილებულმა, ძველებურად უნდა ვაჩანჩალო ეს გაწამებული წუთისოფელი წუხილსა და სინანულში. ჩემო ნაზო მეგობარო, ჩემო მეგობარო, შემობრალეთ ამ ჩემი ტანჯვისთვის, მეტადრე იმ წამების გამო, ჩემი წყალობით რომ გხვდათ წილად, ენაიდან სწორედ ეგ მაკარგვინებს მხნეობას.

რა ხარდამცემია ჩემთვის თქვენი უბედურების მიზეზად ყოფნა! მე რომ არა, უღრუბლო და ბედნიერი იქნებოდა თქვენი ცხოვრება. შემინდობთ კია? მითხარით, ო, მითხარით, რომ შემინდობთ, რომ გიყვარვართ, რომ ძველებურად გიყვარვართ, ჩემთვის საჭიროა ეს ისეუ და ისეუ გამიმეოროთ, განა იმიტომ, რომ შეეჭვება, ასე მგონია, რაც უფრო დარწმუნებული ხარ, მით უფრო ტკბილია განეოროებით ამის მოსმენა. ხომ მართლა გიყვარვართ? ვიცო, მთელი გულით და სულით გიყვარვართ. რა დამავიწყებს თქვენს უკანასკნელ სიტყვებს. რა ღრმად ჩამწვდა ისინი გულში, რა ღრმად ჩამებუჭდნენ და რა ალტაცებული თრთოლვით გახშიანდნენ იქ!

ვაჰმე! იმ ბედნიერ წამს რა უსაზომოდ შორს ვიყავ იმ ფიქრისაგან, თუ რა სასტიკი ხვედრი გველოდა. მოდით ვეძიოთ, ჩემო სესილ, რა გზით და რა სა-

შუალებით შევიძლოთ მისი შემსუბუქება. ჩემს მეგობარს თუ ვერწმუნებით, სამისოდ საკმარისია მისადმი ნდობით აღჭურვა. მართალი გითხრათ, მეწყინა და შევწუხდი კიდევ, როცა გავიგე, თურმე მასზე არცთუ კარგი აზრი შეგქმნიათ. დედათქვენიც ხომ ათვალწუნებით უყურებდა. მხოლოდ მისი გავლენით რამდენიმე ხანს ვერიდებოდი ამ თავაზით სავსე კაცს, ვინც ახლა ყველა ღონეს ხმარობს ჩვენი ბედნიერებისათვის. როდესაც რაიმე ექნება სათქმელი ან გადმოქცევა, შევცადეთ კეთილი თვალთ შეხედოთ მას. იფიქრეთ, რომ იგი ჩემი შეგობაა. მასზე სურს თქვენიც გახდეს, რომ შესაძლოა ბედნიერება დამიბრუნოს თქვენი ხილვისა. თუ ამ საბუთებით ვერ დაგარწმუნებთ, მაშასადამე, ისე არ გიყვარვართ, როგორც მე, მაშასადამე ისე არ გიყვარვართ, როგორც ადრე! ოჰ, თუ ოდესმე ნაკლებ გეყვარებით... მაგრამ არა, ჩემი სესილის გული მე შეკუთვნის, იგი ჩემია, სანამ პირში სული მიდგას. მაგრამ თუ მიწერია უბედური სიყვარულის ტანჯვა-წამება, მაშინ ამ გულის ერთგულება მაინც მიხსნის ორგული სიყვარულის წამებისაგან.

მშვიდობით, ჩემო ტურფა მეგობარო. ნუ დაივიწყებთ, რომ ვიტანჯები, რომ მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული ჩემი ბედნიერება, სრული ბედნიერება. ისმინეთ ჩემი გულის მოწოდებანი და მიიღეთ უნაზესი ამბორი სიყვარულისა.

...დან, 14 სექტემბერი 17...

73-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი სესილ ვოლანეს

(დართულია წინა წერილს)

თქვენი სამსახურისათვის მზადყოფმა მეგობარმა შეიტყო, თურმე საწერი მოწყობილობა არ გქონიათ და უკვე ყველაფერზე იზრუნა. თქვენი ოთახის წინ დერეფანში დიდი კარადის ქვეშ. მარცხნივ, დაგზვდებათ ქალაქების დასტა, კალმები და მელანი. თქვენს პირველსავე მოთხოვნაზე იგი შეგივსებთ მარაგს. ჩემი აზრით, შეგიძლიათ ისევე იქ შეინახოთ, თუკი უკეთეს ადგილს ვერ გამოიჩინებთ.

იგი გთხოვთ აგრეთვე არ გაუნაწყენდეთ, თუ ისე დაიჭერს თავს, თითქოს საზოგადოებაში ვერ გამჩნევთ და ბალღად გთვლით, ასეთი ქცევა აუცილებელია, ეჭვი რომ არავის აღედრას და უკეთ იმოქმედოს მისი მეგობრისა და თქვენი ბედნიერებისათვის. როდესაც რაიმე ექნება სათქმელი ან გადმოსაცემი. შევცდება ისე რიგად მოაწყოს, პირადად დაგელაპარაკოთ, თუკი თქვენც დაეხმარებით.

აგრეთვე გირჩევთ ყველა წერილი დაუბრუნოთ, რათა თავი ხიფათში არ ჩაივლოთ.

დაბოლოს გარწმუნებთ, თუ მიენდობით, ძალისხმევას არ დაიშურებს დედის ინტისმეტი სასტიკი დევნა შეარბილოს, ორ ადამიანს ასე რომ ტანჯავს — მის მეგობარსა და კიდევ ერთ არსებას, ვინც მისი აზრით ღირსი გახლავთ უფრო ალერსიანი მოპყრობისა.

...დან, 14 სექტემბერი 17...

მარკიზის მეუღლე ქ-ნი და მერტივი ვიკონტ და ვალმონს

ექვი, მეგობარო, როდის აქეთ გახდით ესოდენ მფრთხალი? ვითომ პრევანი მართლა ასეთი საშიშია? აბა უყურეთ, თურმე რა მიაძიტი და პატარა ჭკუის ვინმე ეყოფილვარ! ხშირად შეეხვედრივარ მაგ მძლეთამძლე ბატონს და შეხვედრის დირსი ძლივს გამიხდია. ყურადღების მისაქცევად — არც მეტი, არც ნაკლები — თქვენი წერილი ყოფილა საჭირო. გუშინ გამოვასწორე ეს შეცდომა. თპერაში თითქმის ჩემ წინ იჯდა და კარგად დავათუალაიერე. ყოველ შემთხვევაში, ლამაზი გახლავთ, ძალზე ლამაზიც, ნატიფი, დახვეწილი ნაკეთები აქვს! ახლოდან ალბათ უკეთესია. რა მითხარიოთ, ჩემს დაუფლებას აპირებს თურმე? ო, ეგ ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია. ხუმრობა იქით იყოს, და უკვე ჟინმა შემიპყრო. საიდუმლოდ გეტყვით — პირველი ნაბიჯებუ კიდეც გადავდგი, არ ვიცი, რამდენად გამიმართლებს. გეტყვით, რაც მოხდა.

თპერიდან რომ გამოვდიოდით, ჩემგან ორ ნაბიჯზე იდგა და მეც საკმაოდ ხმამაღლა შევეუთანხმდი მარკიზ დე...-ის მეუღლეს, პარასკევს მარშლის მეუღლესთან ვახშამზე შეგხვდებით-მეთქი. ეს, მგონი, ერთადერთი სახლია, სადაც მაგ ვაჟბატონს შემიძლია შევხვდე. დარწმუნებული ვარ, გაიგონა... ნუთუ ეგ უმადური არ მოვა? როგორ გგონიათ, მოვა თუ არა? იცოდეთ, თუ არ მოვიდა, მთელი ხალამო ჩამიშხამდება! ხომ ხედავთ, ჩემი გაააშიკება არ უნდა გაუძნელდეს. კიდე უფრო გაგიკვირდებათ, არც ჩემთვის თავის მოწონება გაუჭირდება. როგორ თქვა, მზად გახლავარ მის დევნაში თუნდაც ექვსიოდე ცხენს სიქა გავაცალოო? ო, მე მაგ ცხენებს სიცოცხლეს ვაჩუქებ! მოთმინება არ მეყოფა ამდენ ხანს ვიცადო. ხომ იცით, თუ რამეს გადავწყვეტ, გაჯანჯლება არ მიყვარს, ამ შემთხვევაში კი უკვე გადაწყვეტილი მაქვს.

განა არ დამეთანხმებით, რომ ჩემთან საქმეზე ლაპარაკი ერთ სიამოვნებად ღირს? განა თქვენმა „ყურადსაღებმა რჩევამ“ დიდზე დიდი ნაყოფი არ გამოიღო? აბა როგორ? ამდენი ხანია ქალს მოწყენა მკლავს! თვე-ნახევარზე მეტია გამოზე არ მიმხიარულებია, ამის ნება ჩემი თავისთვის არ მიმიცია. და ავერ უცებ ეს შემთხვევა გამოტყვრა — შემიძლია კი ამაზე უარი ვთქვა? განა საგანი არ ღირს ამად? ან არის სხვა რამ ამაზე უფრო სასიამოვნო, რა მნიშვნელობაც არ იგულისხმობთ ამ სიტყვაში?

თქვენც კი იძულებული ხართ საკადრისი მიაგოთ: განა მარტო აქებთ, გშურთ კიდეც მისი. ჰოდა, მე ვიქნები თქვენ ორის მსაჯი. სწორედ ამას ვაპირებ ახლა — სამართლიანად განგსაჯოთ ორივე და ერთ სასწორზე აგწონოთ. რაც შეგეხებათ თქვენ, თქვენზე საქმე უკვე შედგენილია და გამოძიება შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. განა სამართლიანი არ იქნება ახლა თქვენს მეტოქეზე გადავიდე? ჰოდა, დამნებდით და თავდაპირველად ის გამაგებინეთ, გეთაყვა, რა და რომელი სამმაგი თავგადასავლის გმირს წარმოადგენს? ისე შელაპარაკებით ამაზე, რითქოსდა ამის მეტი საქმე არაფერი მაქვს, არადა, არაფერი ვიცი ამ ამბავზე. ეტყობა, ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ჟენევაში ვიყავ, შურმა კი ხელი შევიშალათ ჩემთვის გეამბნათ. სასწრაფოდ გამოასწორეთ თქვენი დანაშაული. გულისხმად ჰყავით, რომ არაფერი, რაც მას ეხება, ჩემთვის არაა სულერთი. როგორც მახსოვს, ჩემი დაბრუნების შემდეგ ამაზე კიდეც იყო ლაპარაკი, ოღონდაც მაშინ სხვა ამბებით ვიყავ გართული. ისედაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ ისეთ ამბებს, თუ დღევანდელი ან გუშინდელი არაა.

თუნდაც თქვენთვის არც მაინცდამაინც სასიამოვნო იყოს ჩემი სათხოვარი, განა ეს ყველაზე მცირე საზღაური არ იქნება თქვენზე ჩემი ზრუნვისათვის? განა ამან არ დაგაახლოვებთ კვლავაც თქვენს უკარებას, როცა თქვენ მიერ ჩადენილმა სისულელეებმა დაგაშორათ? განა მე არ დაგეხმარეთ შური გეძიათ ქ-ნ დე ვლადანზე მისი საძრახისი თავგამოდების გამო? განა თქვენ არ შემომჩიოდით, უამრავი დრო მეხარჯება თავგადასავლების ძიებაში? ახლა ისინი თქვენს წინააღმდეგობით, რომელიც გნებავთ — გინდ სიყვარული, გინდ სიძულველობა — ჩემს წინააღმდეგობით ჭერქვეშ სძინავს. შეგიძლიათ თქვენი გუნებისად იმოქმედოთ — ცალი ხელით ეფეროთ, ცალით დაკოდოთ. ვიკონტის მეუღლის ამბავსაც მე უნდა მიმადლოდეთ. იგი ჩემს გემოვნებას ესადაგება. მაგრამ, როგორც თვითვე თქვით, ის უნდა გახმაურდეს. ხოლო თუ ამ შემთხვევაში — მეც გეთანხმებით — ჯერხანად არჩევთ მის საიდუმლოდ შენახვას, უნდა გამოვტყდე, ეს ქალბატონი სულაც არ ამსახურებს დიდსულოვან მოქცევას.

პირადად მეც უკმაყოფილო ვარ მისი. შევალე დე ბელროში მას უფრო მომიხიბულად თვლის, ვინემ მე ვისურვებდი, და კიდევ ბევრი სხვა მიზეზითაც მსურს მასთან ურთიერთობა გავწყვიტო. იმაზე კარგ საბაბს კი ვერც მოძებნი, როცა ხმამაღლა შეგიძლია განაცხადო: „ამ ქალთან შეხვედრა აღარ შეიძლება“.

მშვიდობით, ვიკონტ. იცოდეთ, დრო არ დაკარგოთ, ამის უფლება არა გაქვთ. მე კი ამასობაში ვეცდები პრეკანი გავაბედნიერო.

პარიზი, 15 სექტემბერი 17...

75-ე წერილი

სესილ ვოლანჟი სოფი კარნეს

შენი შვნა. ამ წერილში სესილ ვოლანჟი სოფი კარნეს სწერს 61-ესა და შემდგომი წერილებიდან მკითხველისათვის უკვე ცნობილ ამბებს. ჩვენი ვარაუდით გამეორებას აზრი არა აქვს. ამიტომ მხოლოდ იმ ადგილებს მოვიყვანთ, ვიკონტ დე ვალმონს რომ შეეხება.

...მერწმუნე, ეს კაცი სრულიად განსაკუთრებული ვილაცაა. დედა ბევრ ცუდს ამბობს მასზე, დანსენი — ბევრ კარგს, და, მგონი, უფრო მართალი დანსენი უნდა იყოს. მისთანა მოხერხებული კაცი ჯერ არ მინახავს. დანსენის წერილი ყველას იანდასწრებით ისე გადმომცა, ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. გული კინაღამ გამისკდა, რადგან გაფრთხილებული არ ვიყავ, მაგრამ ახლა ფხიზლად ვიქნები. უკვე მივხვდი, რა გზით სურს პასუხი გადავცე. იმ ბარათში, რაზედაც გითხარი, მწერს, რომ დედას თანდასწრებით ისე მოიქცევა, თითქოს ვერ მამჩნევს. მართლაც ისე ჩანს, ვითომც ყველაზე ნაკლებ ჩემი ამბავი აინტერესებს. არადა, როცა მისი მზერის დაჭერა მინდა, დარწმუნებული ვარ, მის თვალებს მყის წავაწყდები. აქ ახლა დედაჩემის ერთი მეგობარი ქალია, ვისაც აქამდე არ ვიცნობდი. ეტკობა, არც მას უყვარს ბ-ნი დე ვალმონი, თუმცაღა იგი მისადმი დიდ ყურადღებას იჩენს. მეშინია, აქაურობა ვაითუ მოსწყინდეს და ისევ პარიზში დაბრუნდეს. ეს კი მართლა ძალზე საწყენი იქნება. ისე კი მეტიხმეტად კეთილი გული მქონია, თუკი აქ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, მე და მის მეგობარს დაგვეხმაროს! კი მინდა როგორმე ჩემი ძაღლიერება გამოვხატო, მაგრამ არ ვიცი,

როგორ, თუმცადა საშუალებაც რომ მომეცეს, ალბათ ისე შეპრცხვება, კრინტსაც ვერ დავძრავ.

მარტოოდენ ქ-ნ დე პერტეისთან მეადვილება ჩემს სიყვარულზე ლაპარაკი. რადგან შენთანაც — თუმცა კი ყველაფერს გეუბნები — შეპრცხვებოდა, პირისპირ რომ შელაპარაკა. თვითონ დანსენისთანაც ჩემდა უნებლიეთ ხშირად მივრძენია რაღაც შეკრთომა. ამქვეყნად ყველაფერს გავილებდნენ, რაღაც წუთით მაინც შემეძლოს ვნახო და ვუთხრა, თუ როგორ მიყვარს. ბ-ნი დე ვალმონი მპირდება, უთუოდ შეგახვედრებთ, თუკი ჩემს ყველა მითითებას შეასრულებთო. რაღა ვარ ყველაფერი შევუსრულო, თუმცა ვერ გამიგია, როგორ შესძლებს ამის განხორციელებას.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო, სათქმელი უკვე აღარაფერი დამრჩა!¹.

...კოშკიდან, 14 სექტემბერი 17...

76-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე პერტეის

თქვენი წერილი ან დაცინვაა, ან დამღუპველი სიგიჟე შეგყრიათ მისი წერისას. ასე კარგად რომ არ გიცნობდეთ, ჩემო ტურფა მეგობარო, მართლა ძალიან დავფრთხებოდნი, თუმცა რაც არ უნდა თქვათ ჩემზე, სიმფრთხალებს ვერაფრით დამწამებთ.

ვკითხულობ თქვენს წერილს კიდევ და კიდევ. მაგრამ ეს ვერაფერს მშველის. მისი გაგება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით შეუძლებელია. მაინც რისი თქმა გნებავთ?

იმისი ხომ არა, რომ არ ღირს ამდენი ძალისხმევის დახარჯვა არცთუ საშიშ მტერზე? მაგრამ ამ შემთხვევაში, მგონი, ცდებით. პრევანს მართლა აქვს ხიბლი — უფრო მეტი, ვინემ გვონიათ, პირველ ყოვლისა მისთვის სარგო ნიჭი — შიაპროს თავისი სიყვარულისადმი ამ სიყვარულის საგნის ყურადღება. იგი ფრიად მარჯვედ ახერხებს ყველანაირი საუბარი გამოიყენოს — გინდა ვიწრო, გინდა ფართო წრეში — ამაზე სიტყვის ჩამოსაგდებად. ქალთაგან ცოტა ვინმე არ გაუბმება ამ მახეში და ცოტა ვინმე შეძლებს პასუხზე თავი შეიკავოს. ყველას ხომ დახვეწილი ჭკუის პატრონად ჰგონია თავი და არც ერთი არ ისურვებს შემთხვევა გაუშვას ხელიდან მის გამოსავლენად. არადა, საკმაოდ კარგად იცით, ქალი თუ სიყვარულზე საუბარს დათანხმდა, ბოლოს თავადაც გადაედება ეს სენი. ყოველ შემთხვევაში ისე იქცევა, ეითომდა გატაცებული გახლავთ. ამ ხერხს პრევანი სრულყოფამდეა დაუფლებული და მისი მეოხებით იმასაც აღწევს, ხშირად ანეით ქალებმაც დაამოწმონ საკუთარი მარცხი. ამას არ ვიტყვოდი, თავად არ ვიყო მოწმე.

მისი ეს საიდუმლო მხოლოდ მეორე პირთაგან ვიცოდი. პრევანის ახლობელი არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ ერთხელაც, ექვსნი რომ ვისხედით, გრაფ დე

1. მადმუაზელ დე ვოლანკმა ამის შემდეგ ძალე ახალი მესაიდუმლე გაიჩინა, რასაც მკითხველი შეძგომი მიწერ-მოწერიდან შეიტყობს. ამ კრებულში უკვე ვეღარ ნახავთ ვერც ერთ მის წერილს თავისი მონასტრის მეგობრისადმი. ეს წერილები ახალს არაფერს აცნობებდნენ მკითხველს.

პ...-ს მეუღლემ, დარწმუნებულმა, ისე შეფარვით ვლაპარაკობ, ვერაფერს მიმიხვედბათ — საქმის უცოდინართ კი მართლაც ეგონებოდათ, ყველას გასაგონად ვლაპარაკობსო — დაწვრილებით გვიამბო, როგორ დანებდა პრევანს და რა მოხდა მათ შორის. თან ისე თავდაჯერებით, ღიმილმაც არ შეაცბუნა, ყველას რომ პირზე გადაგვირბინა. არასოდეს დამავიწყდება, როცა ერთმა ჩვენგანმა თავი მოიგატუნა, თითქოს მისი ნათქვამი არ დაიჯერა, ქალი ყოვლად დინჯად მოქცემულა, რომ მასზე უკეთ არაფერ იცის ეს ამბავი, და არც შერცხვია პრევანსთან უკმარისობა, ხომ არაფერი შემეშალაო.

ამიტომაც მიმაჩნია ეგ კაცი ყველასთვის საშიშად. მაგრამ განა თქვენთვის საკმარისი არაა, რომ იგი ღამაში იყო, ძალზე ღამაშიც, როგორც თავად ბრძანებთ, რომ ერთ-ერთი თავისი იერიშთაგანი თქვენზე მოიტანოს, რომლისთვისაც მისი დაჯილდოება გნებავთ იმ ერთადერთი მიზეზის გამო, იერიში მეტისმეტად ოსტატური იყო, ან სხვა რაიმე შემთხვევითი საბაბით თავშესაქცევად მოგეჩვენოთ დანებება ან... თუმცა აბა საიდან უნდა ვიცოდეთ? შემიძლია კი გამოვიცნო ის ათასნაირი ახირებანი, ქალებს რომ მოგვით თავში და მათი წყალობით მაინც ბრძანდებით თქვენი სქესის წარმომადგენელი? ახლა, როცა იცით, რა საფრთხეც მოგვლით, ეჭვი არ შეპარება, ადვილად აიცდენთ თავიდან, მაგრამ ხომ უნდა გამეფრთხილებინეთ. და მაინც კვლავ დაუპრუნდები მთავარ თემას: კი მაგრამ, რისი თქმა გნებავთ?

თუ პრევანს დასცინეთ, არამართო მეტისმეტად ხელოვნური დაცინვა იყო, არც ღირდა მისი ჩემ წინაშე გამასხარავება: იგი საზოგადოების წინაშე უნდა გამასხარავდეს. პოდა, ამიტომაც ისევე და ისევე გთხოვთ, ამაზე იზრუნოთ.

ო, მგონი, გამოვიცანი! თქვენს წერილში ის კი არაა წინასწარ თქმული, სინამდვილეში როგორ მოიქცევით, არამედ ჩათვლის თუ არა იგი, რომ საამისოდ მზად ხართ, და ჩათვლის სწორედ იმ წუთს, როცა თქვენგან მომზადებული მარცხი მოელის. ამ გეგმას მოგიწონებდით, თუ რომ უდიდეს სიფრთხილეს არ მითხოვდეს. ჩემზე ნაკლებ არ იცით, რომ საზოგადოებრივ აზრისათვის სულერთია გინდ საყვარელი გყოლია, გინდ გააშიკებაზე დათანხმებულხარ, თუ, რა თქმა უნდა, მამაკაცი ბრიყვი არაა. პრევანი კი სულაც არ გახლავთ ბრიყვი! თუნდაც მოჩვენებითად მიაღწიოს გამარჯვებას, მაინც მოჰყვება ტრაბახს. ეს საკმარისი იქნება უჭკუოებმა ირწმუნონ, არაკეთილმოსურნეებმა ისეთი სახე წიღონ, ვითომც ირწმუნეს. თქვენ კი რას იზამთ? იცით, მეშინია. არა, თქვენს სიმარჯვეში ეჭვი არ შეპარება, მაგრამ განა წყალში სწორედ კარგი მოცურავეები არ იხრჩვებიან?

სხვებზე უჭკუოდ არ მიმაჩნია თავი, ასობით და ათასობით ხრიკი მომიგონია ქალის სახელის გასატეხად, მაგრამ როცა დავფიქრებულვარ, როგორ შევძლო ამ ხიფათის აცდენა, ვერა საშუალება ვერ მომიძებნია. თქვენზელაც კი, ჩემო ღამაზო, ასე უზადო ოსტატობით რომ მოქმედებთ, ხშირად მიფიქრია, იმდენად სიმარჯვე არა, რამდენადაც ბედი წყალობს-მეთქი.

თუმცა ბოლოს და ბოლოს ეგებ რაღაც განსაკუთრებულ აზრს ვეძიებ იქ, სადაც იგი სულაც არაა. სასაცილოც კია, რომ ავერ მთელი ერთი საათი სერიოზულად ვმსჯელობ იმაზე, რაიც ალბათ თქვენი მხრივ მხოლოდ ხუმრობა იყო. ვინ იცის, დამცინოთ კიდევ! დე ასე იყო. მაგრამ იჩქარეთ. ახლა კი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. სხვაზეო! არა, ვცდები. მუდამ ერთი და იგივეზე: რა გზით

დაეუფლო ან რა გზით დაღუპო ქალი. და არცთუ ხშირად ერთზეც და მეორეზეც ერთად.

აქ, როგორც სავსებით სწორად შენიშნეთ, შესაძლებლობა მაქვს ორივე ასპარეზზე ვაჩინო თავი, თუმცა ერთნაირი სიადვილით არა. წინასწარ მგონია, რომ შურისძიების ამბავს უფრო სწრაფად მოვაგვარებ, ვინემ სიყვარულისა. პაწია ვოლანჟი უკვე მოტეხილია. ამაზე თავს ვდებ. ახლა უქვეყნოდ შესაფერისი შემთხვევაა საჭირო, და ამასაც მე ვკისრულობ. მაგრამ ქმედურად უნდა სხვაგვარადაა საქმე. ამ ქალმა შეიძლება სასოწარკვეთამდე მივიყვანოს, მისას ვერაფერს გაიგებ. ასობით დამამტკიცებელი საბუთი მაქვს მისი სიყვარულისა, ათასობით კი — სიჯიუტის. მართლა შეშინია ხელიდან არ დამისხლტეს.

პირველმა შთაბეჭდილებამ, ჩემმა დაბრუნებამ რომ მოახდინა, უკეთესის იმედი მომცა. როგორც ხვდებით, ყოველივე თვით მსურდა განმესაჯა და თვით აღმენუსხა, როგორი იქნებოდა მისი პირველი განცდა. არავინ გამიგზავნია ჩემი ჩამოსვლის წინასწარ მაცნედ. გზაში გამოვთვალე სწორედ იმ დროს ვხლებოდი, როცა სუფრასთან ისხდებოდნენ. მართლაც ისე დავეცი თავს, როგორც ღვთაება ოპერის ციდან სპექტაკლის ბოლოს.

ყველას მზერის მისაპყრობად საკმაო ხმაურით შევედი. პირველივე თვალის გადავლებით შევამჩნიე ჩემი მოხუცი მამიდის სიხარული, ქ-ნ დე ვოლანჟის განაწყენება, მისი ასულის სიხარულიც და შეცბუნებაც. ჩემი ტურფა კარისკენ ხურგით შექცეული იჯდა, იმ წუთას რაღაცას ჭრიდა სუფრაზე და თავიც არ მოუბრუნებია. მაგრამ ქ-ნ დე როზმინდს რომ დაველაპარაკე, გრძნობიერმა მხეკალმა ღვთისამ ხმაზე მიცნო და შეპკივლა. არ ვიცი, მომეჩვენა თუ არა, მაგრამ შიშსა და გაკვირვებაზე მეტად ხმაში სიყვარული უღერდა. როცა იმდენად მიუახლოვდი, სახე დამენახა მისი, ზედ სულიერი ფორიაქი, გრძნობათა თუ გულისთქმათა ჭიდილი ამოვიკითხე! სუფრასთან მის გვერდით დავეჯექი. თავადაც არ იცოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რას აკეთებდა და რას ლაპარაკობდა. დააპირა ჭამის გავრძელება და ვერ შესძლო. დაბოლოს, ასე თხუთმეტობდნენ წუთის შემდეგ, სიხარულსა და აფორიაქებულ გრძნობებს რომ ვერ მოერიო, სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა გარდა იმისა, ნება ეთხოვა სუფრის დატოვებისა და იმ მიზეზით, პაერზე მიხდა გასვლათ, პარკში გაიქცა. ქ-ნ დე ვოლანჟმა თან გაყოლა მოინდომა. მაგრამ უკარებამ არ ისურვა. ალბათ ბედნიერი იყო, საბაბი რომ იპოვა მარტო დარჩენილიყო და ტკბილ ნეტარებას დაუბრკოლებლად მისცემოდა.

შეძლებისამებრ დავაჩქარე სადილის დამთავრება. დესერტი მოტანილი არ იყო, იმ ვერაგმა ქ-ნ დე ვოლანჟმა — აშკარად ჩემდა სავნებლად, — ტურფა სხეულთან წასვლა დააპირა. მაგრამ ადრევე მიუხვდი ზრახვას და ჩავუშალე. თავი მოვიკატუნე, ვითომდა მისი ადგომა ყველას წამოდგომის ნიშანი იყო, და მეც ავდექი. ჩვენ ორის მაგალითს პაწია ვოლანჟმა და აქაურმა კიურემაც მისდია. ასე რომ, ქ-ნი დე როზმინდი კომანდორ დე ტ...-სთან ერთად მარტო დარჩა სუფრასთან. მერე ისინიც წამოდგნენ. პოდა, ყველანი ჩემს ტურფასთან გავქმურეთ. იგი სასახლის ახლოს ვნახეთ ბოსკეტში. რაკი მარტობას უფრო საჭიროებდა, ვიდრე გასეირნებას, მისთვის სულერთი იყო, ჩვენთან ერთად დაბრუნდებოდა სახლში თუ ბაღში დარჩებოდა.

რადღაც დაურწმუნდი, ქ-ნი დე ვოლანჟი მასთან მარტოდ ლაპარაკს ვერ შესძლებდა, გადავწყვიტე თქვენი დავალებებისა და თქვენი მეურვეობის ქვეშ მყოფებს საქმეებს შევდგომოდი. როგორც კი ყავა დავლიეთ, მაშინვე ჩემთან

ავედი, მერე სხვებთანაც შევიარე დასაზვერავედ, ზომები მივიღე პაწიასათვის უზრუნველმყოფი მიწერ-მოწერის საშუალება. ამ პირველი სამადლო საქმის შემდეგ ორიოდ სიტყვაც მივწერე ამის საცნობად და ვთხოვე მომხდობოდა, ეს ჩემი ბარათი დანსენის წერილს დაუერთე. შემდეგ ისევ დავბრუნდი სასტუმროთაში. ჩემი ტურფა შეზღონგზე დამიხვდა დაუდევრად მიწოლილი მოძიბლავ პოხაში.

ამ სურათმა სურვილი აღმიძრა და მზერა გამიცოცხლა, ნაზი და დაუფიქრებელი გამიხდა. ისე დაუჯექი. ჩემს მზერას ფუჭად არ ჩაეწლო. მან ღვთაებრივ უკარებას ჯერ სპეტაკი თვალები დაახრევირა. ერთხანს მის ანგელოზისებრ სახეს ვჭვრეტდი, მერე მთელ ტანს შევაკლე მზერა და თავის გასართობად ტანის ნიჟარის გამოცნობა დავიწყე მსუბუქ, მაგრამ მუდამ აბეზარ სამოსელს. მერე თვალი თავით ფეხამდე ჩავაყოლე, შემდეგ ფეხებიდან თავამდე ავედი. ჩემო ტურფა მეგობარო, მისი თვალები ნაზად მიმზერდნენ. ცხადია, მყის დაიხარნენ. მისი მზერა რომ კვლავაც დამბრუნებოდა, განზე გავიხედე. მაშინ კი ჩვენ შორის ის უტყვი, ჯერ კიდევ მფრთხალი სიყვარულის პირველი თანხმობა დამყარდა, ერთმანეთის ხილვის ორმხრივი მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი, თანხმობა, როცა მზერა და გამოხედვა მანამდე ენაცვლებიან ერთმანეთს, ვინემ საბოლოოდ არ შეირწყმებიან.

რა დავრწმუნდი, ჩემი ტურფა მთელი არსებით მიეცა ამ თამაშს, მე ვითავე ზრუნვა ეს არავის შეემჩნია, მაგრამ რომ ვნახე, ყველა საკმაოდ გაცხოველებული საუბრით იყო გართული, შევეცადე ქალის მზერა უფრო ცხადად მეტყველი გამეხადა. საამისოდ მისი მზერა რამდენიმეჯერ დაეიჭირე, მაგრამ ისეთი თავშეკავებით, არა მოკრძალება თავს შეურაცხყოფილად არ იგრძნობდა. ხოლო ამ მფრთხალ არსებას რომ უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი, მასავით ვითომდა დარცხვენით დავხარე თავი. ნელინელ ჩვენი თვალები ერთმანეთს მიეჩვივნენ, უკვე ნაკლებად შორდებოდნენ, დაბოლოს კი აღარც წყდებოდნენ. მის თვალბში ნეტარი მიბნედა ამოვიკითხე, სიყვარულისა და სურვილის საბედნიერო ნიშანი, ოღონდაც წამიერი. მაგრამ მალე მოვეგო გონს და ოდნავ დარცხვენილმა პოხა და მზერა შეცვალა. არ მინდოდა ეჭვი აელო, მისი განწყობის შეცვლა რომ შევამჩნიე, მყისვე წამოვხტი და შეშფოთებით ვკითხე, ცუდად ხომ არ ბრძანდებით-მეთქი. უმაღლ ყველანი ირგვლივ დაეხვივნენ. მათ გზა მივეცი, ხოლო ვიდრე პაწია ვოღანეი, ფანჯარასთან რომ უჯდა საქარგავს, წამოდგებოდა, ვისარგებლე და დანსენის წერილი მუხლებზე დავუგდე, რადგან მისგან მოშორებით ვიდექი. მართალი ვითხრათ, აღარ იცოდა, რა ექნა მისთვის, სიცილით მოკვდებოდით, მისი გაოცება და დაბნევა რომ გენახათ. მე კი სულაც არ მეცინებოდა — მეშინოდა, მის მიუხვედრელობას არ გავეცეთ. მაგრამ ერთმა ჩემმა გადახედვამ და ხელით ნიშნებამ ბოლოს და ბოლოს მიახვედრა, წერილი რომ ჯიბეში ჩაედო.

სხვა საგულისხმო იმ დღეს არაფერი ყოფილა. იმას, რაც შემდეგ მოხდა, შეიძლება ისეთი ამბები მოჰყვეს, რაც გაგახარებთ — ყოველ შემთხვევაში, თქვენს მეურვეობის ქვეშ მყოფის თაობაზე. მაგრამ დრო სჯობს ზრახვათა განხორციელებას მოვახმართ, ვინემ მასზე ლაპარაკს. თანაც უკვე მერვე გვერდს ვამთავრებ და წერამ დამიღალა. ამიტომაც მშვიდობით.

ჩემი თქმის გარეშეც მიხვდებოდით, რომ პაწიამ დანსენის წერილი მის-

წერა. ჩემმა ტურფამაც, ვისაც მეორე დღესვე მივწერე, პასუხი გამომიგზავნა. გაახლებთ ორივე წერილს, გინდ წაიკითხეთ, გინდ არა. ეს გაუთავებელი წყლის ნაყვა მეც უკვე მომბეზრდა, გარეშეს კი ალბათ აუტანლად მოეჩვენება.

კიდევ ერთხელ — მშვიდობით. ისევე მიყვარხართ, როგორც ბევრად, ოღონდაც გთხოვთ, როცა პრევიანზე დამიწყებთ ლაპარაკს, ეცადეთ მიმხვედროთ, რისი თქმა გნებავთ.

...კოშკიდან, 17 სექტემბერი 17...

77-ე წერილი

ვიკონტ და ვალმონი პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნ და ტურველს

რად გამირბიხართ ასე ჯიუტად და ასე უღვთოდ? განა შეიძლება ჩემმა ნაზზე ნაზმა ყურადღებამ ისეთ საქციელზე გიბიძგოთ, იმისადმიც რომ საკადრისი არ იყოს, ვინც საყვედურებს მართლა იმსახურებს? როგორ! სიყვარულმა კვლავაც თქვენს ფერხთა ქვეშ მომიყვანა, ბედნიერმა შემთხვევამ შემამღებინა თქვენ გვერდით დავმჯდარიყავი, თქვენ კი არჩიეთ უქეიფობის მოგონება, მეგობრების შეშფოთება, ოღონდ ჩემ გვერდით არ დარჩენილიყავით. გუშინ რამდენჯერ ამარიდეთ მზერა და განზე გაიხედეთ, ოღონდ ჩემთვის არ შეგეხებათ! ხოლო თუ წამიერად ნაკლებ სასტიკ გამოხედვას დავიჭერდი, ეს წამი ისე ხანმოკლე იყო, გვონებ, ჩემთვის ნეტარების მონიჭება კი არ გნებავდათ, არამედ მეგრძნო, თუ რას ვკარგავდი მისი არიდებით.

ვბედავ და ვეტყვით, არც სიყვარულია ღირსი მსგავსი მოქცევის და არც მეგობრობა დათანხმდება მსგავს მოპყრობაზე. ხოლო თუ ამ ორ გრძნობაზე ვილაპარაკებთ, თავადაც იცით, რა აღფრთოვანებას მომანიჭებდა ერთი მათგანი. მე კი მეგონა შემეძლო ფიქრი, რომ არც მეორეზე მეტყოდით უარს. აკი თავადვე შემომთავაზეთ ეს ძვირფასი მეგობრობა. რახან მის ღირსად მიმიჩნით, სეტა ისეთი რა ჩავიდინე, რომ ახლა მართმევთ? ნუთუ თვით ვავენ ჩემს თავს შიმნლობლობით ან გსურთ დამსაჯოთ გულწრფელობისთვის? განა არ გაფრთხობთ ერთიც და მეორეც მოატყუოთ? განა ჩემი გულის საიდუმლო მეგობრის მკერდზე არ დავაფრქვიე? განა მის წინაშე არ ვიყავ ვალდებული იმ პირობებზე უარი მეთქვა, რომელთაც დათანხმების შემდეგ ადვილად დავარღვევდი სულაც ჩემდა სასარგებლოდ? ნუთუ ესოდენ დაუმსახურებელი სიმკაცრით გსურთ მაფიქრებინოთ, თითქოს საკმარისი იყო მომეტყუებინეთ, რომ მეტი შეწყნარებით მომქცეოდით?

მე არ ვნანონ ჩემს საქციელს, რადგან ვალდებულებად მიმაჩნდა, როგორც თქვენი, ისე ჩემი თავის წინაშე ასე მოქცევა. მაგრამ რა განგების ძალით ხდება, ყოველი ჩემი საქმეარი საქციელი ახალ უბედურებას რომ ატეხს თავზე?

აკი სწორედ მას შემდეგ, რაც ერთადერთხელ თქვენი ქება დავიმსახურე, რისი ღირსიც კეთილინებეთ და გამხადეთ, თქვენმა რისხვამ საქმე საგოდებლად გამიხადა. აკი სწორედ მას შემდეგ, რაც სრული მორჩილება დაგიმტკიცეთ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი სინდისის დასამშვიდებლად თქვენი ხილვის ბედნიერება ავიკრძალე, ინებეთ ჩემთან ყოველგვარი მიწერ-მოწერა გაგეწყვიტათ, წამართვით მცირე ნუგეშიც კი იმ მსხვერპლისათვის, თქვენ რომ მომთხოვეთ, წამართვით ყოველივე სიყვარულის ჩათვლით, ერთადერთს რომ შეუძლია ასეთი

1. ეს წერილი ვერ აღმოვაჩინეთ.

უფლებანი მოგანიჭოთ. დაბოლოს, სწორედ მას შემდეგ, რაც გული გადაგიხსენით ამ სიყვარულის საზარალოდაც, ახლა ისე გამირბიხართ, თითქოს ის საშიში მაცთური ვიყო, ვისი ვერაგობაც საკუთარ თავზე გამოცდილი გაქვით.

ნუთუ არასდროს არ დაგვლით ასეთი უსამართლობა? ის მაინც მამცნვეთ, ჩემმა რა ახალმა დანაშაულმა გამოიწვია მსგავსი სიმკაცრე და უარს ნუ მეტყვით მიკარნახოთ, თქვენს რა ბრძანებებსა გწადიათ დავემორჩილო. ხელყოფილია მზად ვარ ყოველივე აღვასრულო, ნუთუ თხოვნა მათი ცნობისა მოთხოვნა გახლავთ?

...დან, 15 სექტემბერი 17..

78-ე წერილი

პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი დე ტურველი ვიკონტ დე ვალმონს

მგონი გიკვირთ ჩემი საქციელი, ბატონო ჩემო, და მზად ხართ ანგარიშიც კი მომთხოვოთ, თითქოსდა უფლება გქონდეთ მისი გაკიცხვის. მართალი ვიფიქრობ, მე უფრო მაქვს გაკვირვებისა და საყვედურების გამოთქმის უფლება. მაგრამ თქვენს ბოლო წერილში ნათქვამ უარის შემდეგ გადავწყვიტე გულგრილობა ამეფარებინა, რათა შემჩნევებსა და საყვედურებს ავცილებოდი. მაგრამ რაკილა ახსნა-განმარტებას მოითხოვთ და რაკილა, ღვთის მადლით, ისეთი არაფერი ჩამიდენია, იგი ვერ მოგცეთ, მზად ვარ ერთხელ კიდევ ავიხსნათ და განვიმარტოთ.

ვინც თქვენს წერილს წაიკითხა, ყველა ალბათ უსამართლო და ახირებულ ვინმედ ჩამთვლიდა. მე კი მგონია, უფლება მაქვს ასე ჩემზე არავის ვაფიქრებინო. მეტადრე თქვენ გქონდათ ჩემი აზრით ყველაზე ნაკლები საფუძველი ჩემზე ასე გეფიქრათ. ცხადია, მიხვდით, თავის მართლებას რომ მაიძულებთ, იმასაც მაიძულებთ გავიხსენო ყოველივე, რაც ჩვენ შორის მოხდა. ალბათ გეგონათ, როცა ყველაფერზე დავეფიქრებოდი, მოგებული თქვენ დარჩებოდით. რაკი ჩემი მხრიდან ასევე მიმაჩნია, რომ თქვენს თვალში მაინც არაფერს ვკარგავ, აქნებ ეს ყველაზე კარგი გზა იყოს იმის გამოსარკვევად, ჩვენში რომელ ერთს აქვს უფლება მეორეს უსაყვედუროს.

თუ დავიწყებთ ამ კოშკში თქვენი ჩამოსვლის დღიდან, ჩემი ფიქრით, უნდა აღიაროთ, მართოდენ თქვენი რეპუტაცია მაძლევდა საფუძველს თავდაჭერილად შეგხვედროდით, ცივი თავაზიანობის საზღვრებს არ გავცილებოდი და არც მეტი სმეტი ღვთისმოშიშობა გამოქვინა. თქვენც მეტ შეწყნარებას გამოიჩენდით და არ გაგიკვირდებოდით, თუ ჩემებრ ნაკლებ განათლებული ქალი ჯეროვნად ვერ შეგაფასებდათ. ფრთხილი ადამიანი სწორედ ასე მოიქცეოდა. არ დაგიმაღლავთ და, როცა ქ-მა დე როზმონდმა თქვენი ჩამოსვლა მაუწყა, როცა იძულებული გავხდი ამის გამო ჩემი მისადმი სიყვარული გამეხსენებინა, მისი კი თქვენდამი, უფრო გამიადვილდა არ შემემჩნევიდებინა მისთვის, რაოდენ არ მესიამოვნა ეს ამბავი.

და მაინც ვაღიარებ, თავდაპირველად ისე აჩინეთ თავი, რომ უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეთ, ვინემ ველოდი. მაგრამ თქვენც უნდა დამელოანხმობთ, ეს არცთუ დიდხანს გაგრძელებულა, მალე მოგბეზრდათ საკუთარ თავზე ძალის დატანება და არც საკმარის ჯილდოდ გეჩვენათ ის კარგი შეხედულება, თქვენზე რომ შემექმნა.

აი მაშინ კი ბოროტად ისარგებლეთ ჩემი მიმნდობლობით და მოურიდებლად იმ გრძნობაზე დამიწყეთ ლაპარაკი, რომელიც — არ შეიძლება არ გცოდ-

ნოდათ — მე შეურაცხმყოფდა. ჰოდა, როცა დანაშაულის დანაშაულზე დამატებით კიდევ უფრო ამძიმებდით ამ დანაშაულთ, მე მხოლოდ საბაბს ვეძებდი მათ დასავიწყებლად და ყველანაირი საშუალებით ვცდილობდი ნაწილობრივ მაინც გამოგესყიდათ ისინი. ჩემი თხოვნა იმდენად სამართლიანი იყო, ვერ შესძელით მისი არშესრულება. მაგრამ ჩემი სიკეთით ძალამოცემულმა მთხოვეთ იმისი ნება, რისი ნებაც არ უნდა მომეცა და მაინც მოგეცით. პირუბებიც მე რომ წამოვიყენეთ, ერთიც არ შეასრულეთ. მიწერ-მოწერისას ყოველფუნქციონირული იძულებულს მხდოდა აღარ შეპასუხა. იმ დროსაც კი, როცა თქვენმა სიჯიუტემ მაიძულა შორს დამეჭირა თავი, მაინც გამოვიჩინე იქნებ განკიცხვის ღირსი შეწყენარება და ერთადერთი საშუალება ვცადე, ჩემთან კვლავ დაახლოების ნებას რომ მოგცემდათ. მაგრამ წესიერ გრძნობას განა რა ფასი აქვს თქვენთვის? თქვენ არად ავდებთ მეგობრობას, არად მიიჩნევთ უბედურებას, თავის მოჭრას და უგუნური თავდავიწყებით მხოლოდ ნეტარებასა და მსხვერპლს ეძიებთ.

თქვენ — ისევე ფუქსავატი ქცევაში, როგორც არათანმიმდევრული საყვედურებში, — ივიწყებთ ყველა დაპირებას, უკეთ, თავს ირიობთ მათი დარღვევით. ჯერ მეთანხმებით, რომ გამერიდებით, და კვლავ ბრუნდებით დაუპატიჟებლად. ყური არ ათხოვეთ ჩემს თხოვნას, ჩემს დასაბუთებებს, თავიც არ შეიწუხეთ ჩემს კასაფრთხილებლად, არ მოგერიდათ მიულოდნელი ჩამოსვლით სახტად დაგეტოვებინეთ. არადა, შთაბეჭდილება, ჩემზე რომ მან მოახდინა, თუმცაღა ყოველად ბუნებრივი, ხომ შესაძლოა ირგვლივმყოფთ ჩემდა არასასიკეთოდ აეხსნათ? თავშიაც არ მოგსვლიათ დამხმარებლობით შეცბუნება არც მაინცდამაინც დამტყობოდა, პირიქით, მის გასაძლიერებლად სუფრაზე გვერდითაც მომიჯექით. როცა ცუდად ვიგრძენი თავი და სუფრა ყველაზე ადრე მივატოვე, იმის ნაცვლად ჩემი მარტოობისთვის პატივი გეცათ, სხვებიც წააქეზეთ მის დასარღვევად. ისევე სასტუმროში დავბრუნდი. მაგრამ რა, ნაბიჯს გადავდგამ თუ არა, მყის ჩემ გვერდით ხართ, რამეს ვიტყვი, მხოლოდ თქვენ მპასუხობთ ხოლმე. სულ უბრალო სიტყვას მიზეზად ხდით იმ საუბრის განსაახლებლად, რომლის მოსმენა არ მსურს და რომელმაც შეიძლება ჩრდილი მომაყენოს. ვინაიდან, რა მარჯვედ და მოხერხებულად არ უნდა მოიქცეთ, რასაც მე ვხედები, არ შეიძლება სხვებიც არ მიხვდნენ.

ასეთი ხერხით უმოძრაობა და მდუმარება რომ მაიძულეთ, თავს მაინც არ ანებებთ ჩემს დევნას. ზევით ვერ ამიხედავს, თქვენს თვალებს არ წავაწყდე. გარუდმებით განზე უნდა ვიმზირო. ყოვლად აუხსნელი არათანმიმდევრულობით ყველა გარშემომყოფის მზერას ჩემკენ მომართავთ, მაშინ როცა საკუთარ თვალებსაც მინდა დავემალე.

და კიდევ თქვენ უჩივით ჩემს საქციელს! კიდევ გიკვირთ, ასე ჯიუტად რომ გაგირბივართ! არა, სჯობს გამკიცხოთ ჩემი შემწყენარებლობისთვის, სჯობს გარიკვირვოთ, თქვენი ჩამოსვლის უმაღლ როგორ არ გავემგზავრე. იქნებ ასეც უნდა მოვქცეულიყავ, იქნებ კიდევაც მაიძულოთ ამ უკიდურეს, თუმც აუცილებელ ზომას მივმართო, თუკი ბოლოს და ბოლოს არ შეწყვეტთ ამ შეურაცხმყოფელ დევნას. არა, მე ვერ დამავიწყებთ ჩემს მოვალეობას საკუთარი თავის წინაშე. იმ მოვალეობასაც, რაიც მაქვს ნაკისრი, რასაც პატივს ვცემ, რაიც მეძვირფასება. და ვთხოვთ ეჭვადაც არ გაივლოთ, თუკი ოდესმე ავბედითა არჩევნის წინ მომიხდა ღგომა, ან ისინი გავწირო ან ჩემი თავი, წამითაც არ შევეყოყმანდები. მშვიდობით, ჩემო ბატონო.

...დან, 16 სექტემბერი 17...

79-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მარკიზის მეუღლე ქ-ნ დე მერტეის

ამ დღეს სახადიროდ მიხდოდა წასვლა. მაგრამ საძაგელი ამხდია. საუბრად მხოლოდ ერთი ახალი რომანი მაქვს, პანსიონელ გოგონასაც რომ გააბეზრებს. საუბრე სულ ცოტა ორი საათის შემდეგ იქნება. ისე რომ, ჩემი მეუღლე შინდელი გრძელი წერილის მიუხედავად კვლავაც ვაპირებ თქვენთან ლაყბობას. რწამს, თავს არ შეგაწყენთ, რამეთუ ძალზე ლამაზ პრევიანზე მინდა გელაპარაკოთ. როგორ, ხუთუ არ გსმენიათ ის საყოველთაოდ გახმაურებული ამბავი, განუყრელი რომ გაყარა? დაგენიძლავებით, პირველსავე სიტყვებზე გაიხსენებთ. მაგრამ რაღაი ასე გნებავთ — იყოს თქვენი ნება.

აღბათ გახსოვთ, მთელი პარიზი რარიგ განაცვიფრა, სამმა ერთნაირად ლამაზმა, ნიჭით ერთნაირად დაჯილდოებულმა და ყურადღების ერთნაირად ღირსმა ქალბატონმა დღიდან საზოგადოებაში გამოსვლისა თავიანთი მჭიდრო მეგობრობა რომ არ გაწყვიტა. ამ ამბავს თავდაპირველად მეტისმეტად მორცხვსა და გაუბუდავ ხასიათს აწერდნენ. მაგრამ როცა თავიანთსმცემელთა მთელი ბრბო დაეხვიათ, რომელთა ყურადღებას და აშვილობას თითქოსდა ერთმანეთში ინაწილებდნენ და ამის წყალობით თავიანთი ფასი კიდევ უკეთ შეიცნეს, მათი მეგობრობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდა. ისე გეგონებოდა, ერთის გამარჯვება მუდამ სხვა ორის გამარჯვებას ნიშნავსო. და მაინც ყველა იმედოვნებდა, როცა სიყვარულის ქაში მოუვათ, ქიშპი მაშინ ჩამოვარდებაო. ჩვენი ლამაზი ვაჟბატონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვის ერგებოდა პატივი განხეთქილების ვაშლი გამხდარაყო. მეც მათ რიგს შევუერთდებოდი, თუ რომ სწორედ იმხანად გრაფ დე...-ს მეუღლეს უდიდესი მოწყალება არ გამოეჩინა ჩემდამი, რაიც ნებას არ მაძლევდა მანამდე მეღალატა მისთვის, ვინემ იმაზე არ დავითანხმებდი, რისთვისაც ასე ვიღვწვოდი.

ამასობაში ჩვენმა სამმა ლამაზმანმა, თითქოს პირი შეიკრესო, ერთსა და იმავე კარნაუალზე თავთავიანთი არჩევანი გააკეთეს, მაგრამ მოსალოდნელი ქარიშხლის ნაცვლად ამ არჩევანმა მათი მეგობრობა კიდევ უფრო წარმტაცი გახდა, იმზომ საამო იყო ერთმანეთისთვის გულისნადების გაზიარება.

მაშინ იმედგაცრუებულ თავიანთსმცემელთა თუ მოშურნე ბანოვანთა ბრბომ პირი შეკრა. ყველას გამაღიზიანებელი ერთგულება საყოველთაო გაკიცხვის საგანი გახდა. ერთნი ამტკიცებდნენ, განუყრელი თა ამ წრეში (ასე მონათლეს ისინი მაშინ) მთავარი ქონების ერთიანობის კანონია და ეს სიყვარულზედაც ურცევლდებაო. სხვები ირწმუნებოდნენ, თუ სამ მათ საყვარელს მამაკაცთა შორის მეტოქენი არა ჰყავთ, სამაგიეროდ ქალთა შორის გააჩნიათო. ისიც კი თქვეს, საყვარლები თვალის ასახვევად გაიჩინეს, მათ მხოლოდ წოდება მიიღეს მოვალეობათა შესრულების გარეშეო.

ამ მართალსა თუ ცრუ ხმებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, სამმა წყვილმა მალე იაზრა, რომ შავად ექნებოდათ საქმე, თუ ახლა გაიყრებოდნენ. პოდა, გადაწყვიტეს, ქარიშხალს მამაცურად შეგებებოდნენ. საზოგადოებას ზომ ყველაფერი მალე ყირჭდება, მოყირჭდა ეს უნაყოფო კი ღვა და აყვიაობა და ჩვეული ქარაფშუტობით სხვაზე გადაინაცვლა. შემდგომ კვლავაც ძველ ამბებს მოუბრუნდა და მისთვის დამახასიათებელი არათანმიმდევრობით გაკიცხვიდან ქება-დიდებაზე გადავიდა. ხოლო რაღაი აქ ყველაფერზე მოდა ბატონობს, ალტაცება ყველას მოედო. იგი უკვე ნამდვილ სიგიჟედ იქცა, როცა პრევიანმა გა-

დაწყვიტა ამ სასწაულების შემოწმება და მტკიცედ დადგენა საკუთარი თუ საზოგადო აზრისა მათ თაობაზე.

ამიტომ შეეცადა ახლოს გაეცნო სრულყოფილების ეს ნიმუშები. იგი დაუბრკოლებლად მიიღეს. ეს კი პრევანმა სასიკეთო ნიშნად შერაცხა, რამეთუ კარგად იცოდა, რომ ბედნიერი აგრე იოლად არავის იკარებენ. მალე კიდევ დარწმუნდა, რომ ესოდენ ნაქები ბედნიერება მეფეთა ბედნიერებას მოგავს: მისი უფრო შურთ, ვინემ დაუფლება სურთ. ისიც შეამჩნია, რომ ~~მეფეთა~~ ^{მეფეთა} განუყრელთა წრეში უკვე გარე-გარე სიამოვნებისა თუ გასართობებისკენ ლტოლვა იგრძნობა. აქედან დაასკვნა, რომ სიყვარულისა და მეგობრობის კავშირი შესუსტებული და დარღვეულიც კია და მხოლოდ თავმოყვარეობასა და ჩვევებს შერჩენია კიდევ რაღაც ძალა.

ქალები მაინც აუცილებლობის გამო ვითომდა ძველებურად მჭიდროდ მეგობრობდნენ. მაგრამ მამაკაცებს, უფრო თავისუფლად რომ შეეძლოთ მოქმედება, უკვე გამოენახათ რაღაც მოვალეობანი, რომელთაც თავს ვერ აარიდებდნენ, ან საქმეები, რომელთა უგულველყოფა არ შეიძლებოდა. ჯერჯერობით მხოლოდ დანაშაულებით ლაპარაკობდნენ ამაზე, მაგრამ თავს უკვე აღარ ითავისუფლებდნენ პათგან და საღამოებს უკვე იშვიათად ატარებდნენ ერთად.

ამ ამბით ისარგებლა პრევანმა, რადგანაც მყის მიტოვებული ქალბატონის გვერდით გაჩნდებოდა ხოლმე. ისე რომ, ვითარებისდა მიხედვით შეეძლო სამივე ქალისთვის არ მოეკლო მონაცვლეობით ყურადღება. მალევე იაზრა, რომელიმე ერთის არჩევა მისთვის დაღუპვას ნიშნავდა, ვინაიდან მის რჩეულს ყასიდი შიში აიტანს, პირველი მე არ გამოვიდეს მოლაღატეო, დანარჩენ ორს კი შეღახული პატივმოყვარეობა მტრობით აღავსებს ახალი საყვარლის მიმართ და არ დაახანებენ ზენარ წესთა დარღვევისათვის მის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრონ. დაბოლოს ეჭვიანობის გრძნობამ შესაძლოა აიძულოს ჯერაც საშიში მეტოქე კვლავ განაახლოს აშიკობა. ისე რომ, დამაბრკოლებელი ბევრი რამ იყო. მხოლოდ მისი სამმაგი ჩანაფიქრი აიოლებდა ყველაფერს. თითოეული ქალბატონი შეწყნარებას იმიტომ იჩენდა, რომ ეს ამბავი ხელს აძლევდა, ყოველი მამაკაცი კი ფიქრობდა, ჩემთვის მაინც სულერთიაო.

პრევანს ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ქალი უნდა გაეწირა. ბედმა ამ მხრივაც გაუმართლა — ეს ქალი დიახაც სახელგანთქმული გახდა. იგი უცხოელი იყო და მარჯვედ დააღწია თავი ერთი დიდგვაროვანი პრინცის აშიკობას, რის გამოც ზოგი საშეფო კარისა და ქალაქის ყურადღება მიიპყრო. ეს პატივი მის საყვარელსაც ერგო და ვაჟბატონმა კიდევაც ისარგებლა ამით თავის ახალ საყვარლებთან. ერთადერთ სიძნელეს ის წარმოადგენდა, რომ პრევანს სამივე ინტრიგა ერთდროულად უნდა წარემართა. თანაც დაცდა იმ ქალის გამო მოუწევდა, ფეხს რომ ითრევდა. როგორც პრევანის ერთ-ერთი მესაიდუმლისაგან ვიცო, სწორედ იმ ქალის გაჩერება გაუჭირდა, სხვებზე აღრე რომ გაემზადა გასაფურჩქნად.

დაბოლოს ის დიადი დღეც დადგა. მიადწია რა სამივე ქალისგან აღიარებას, პრევანს უკვე შეეძლო თავის გუნებისდა მიხედვით ემოქმედა. ახლა ნახავთ კიდევ, როგორ მოიქცა. სამივე ქმრიდან ერთი წასული ბრძანდებოდა, მეორე ქმარი მეორე დღეს, დილით უნდა გამგზავრებულიყო, მესამე ქალაქში გახლდათ. განუყრელ მეგობრებს უქმროდ დარჩენილთან უნდა ევახშმათ. მაგრამ ახალმა ბატონმა ძველი თაყვანისმცემლების დაპატივება აუკრძალათ. იმავე დილას პრევანმა თავისი ტურფის წერილები სამ დასტად დააწყო. ერთზე ქალისგან ნაჩუქარი ქალისვე სურათი დაადო, მეორეზე ქალისვე ხელით ნახატი სასიყვა-

რულო ვენზელი, მესამეზე — მისივე თმის კულუღი. თითოეულმა ქალმა ეს მსხვერპლად გაღებული მესამედი მთელად მიიღო და სანაცვლოდ დაეთანხმა უარყოფილი საყვარლისთვის მკვახე წერილი გაეგზავნა დაშორების საუწყებლად. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა, მაგრამ მაინც არ იყო საკმარისი. ქალი, ვინც ქმარიც ქალაქში იმყოფებოდა, მხოლოდ დღისით იყო თავისუფალი, პრევენცია დაიწყო უქეიფობა მოემიზებებინა მეგობარ ქალთან ვახშამზე უარყოფილ ქმელად და საღამო მასთან გაეტარებინა. ღამე იმ ქალმა აჩუქა, ვინც ქმარიც ქალაქში იყო, მესამემ კი საყვარულის საათი გათენებისას დაუნიშნა, როცა მისი კმარი გამგზავრებას აპირებდა. პრევენცი, როგორც გაანგარიშებული ჰქონდა, ტურფა უცხოელ ქალბატონისკენ გაესწრაფა. იგი გუნებააშლილი გამოეცხადა, ქალსაც აუშალა ძარღვები, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, და მას შემდეგ გაშორდა, როცა ჩხუბი მოუწყო. ამან კი ერთი დღითა და ერთი ღამით ესოდენ საჭირო თავისუფლება მიანიჭა. ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც საჭირო იყო, და შინ სულის მოსათქმელად დაბრუნდა. მაგრამ იქ სულ სხვა ამბები ელოდა.

წერილებმა ურთიერთობის გაწყვეტაზე განდევნილ საყვარლებს ყველაფერზე თვალები აუხილათ. ერთიც კი არ დაეჭვებულა, რომ იგი პრევენს შესწირეს. წვენასა და ბრახს, ასე რომ გააცურეს, სიბრაზეც დაემატა, რასაც თითქმის მუდამ ბადებს ხოლმე ჩვენში მოტყუებულის ცოტა არ იყოს დამამცირებელი შეგრძნება. ჰოდა, სამთავემ, შეუთანხმებლად, მაგრამ თითქოს ერთპირად შეკრულებმა, გადაწყვიტეს ორთაბრძოლაში გამოეწვიათ სეებედნიერი მეტოქე.

ამ უკანასკნელს შინ სამი გამოწვევა დაუხვდა და ვაჟკაცურად მიიღო, მაგრამ რაკი არც სიაშოვნების მოკლება ეწადა და არც ამ თავგადასავლით მოხვეჭილი დიდებისა, დუელი მეორე დილას დაუნიშნა სამთავეს ერთსა და იმავე დროსა და ადგილას ბულონის ტყის ერთ-ერთ კარიბჭესთან.

შებინდებისას იგი ამ თავისი სამმაგი საქმის შესრულებას შეუდგა და ერთნაირი წარმატებითაც დაასრულა ყველა. ასე იყო თუ ისე, შემდგომ კიდევაც იკვებნიდა, რომ თითოეულმა მისმა ახალმა საყვარელმა სამგზის მიიღო საწინდარიც და მტკიცებაც მისი საყვარულისა. აქ, როგორც მოგეხსენებათ, ისტორიას დამატკიცებელი საბუთები არ გააჩნია. მიუკერძოებელ ისტორიკოსს მხოლოდ და მხოლოდ ის დარჩენია, ურწმუნოთა ყურადღება იმას მიაპყროს, აღგზნებულ პატივმოყვარეობასა და წარმოსახვას რა სასწაულების მოხდენა შეუძლია. თანაც ამ ბრწყინვალე ღამის შემდეგ დილით შესაძლოა ყველაფერი ისე დატრიალებულიყო, მომავალში სიფრთხილედ აღარ დასჭირებოდა. ყოველ შემთხვევაში ქვემოთ მოყვანილი ფაქტები უფრო უტყუარი გახლავთ.

პრევენცი ზუსტად თავისავე დანიშნულ დროს გამოცხადდა. სამივე მეტოქე უკვე ადგილზე დაუხვდა ცოტა არ იყოს ერთმანეთთან შეხვედრით გაკვირვებულნი და მაინც ალბათ ნუგეშდებულნი, უბედურება მარტო ჩემს თავს არ არისო. პრევენცი თავაზიანად, ღაღად მიუახლოვდა მათ და შემდეგი სიტყვით მიმართა, რაიც სრულიად ზუსტად გადმომცეს.

„ბატონებო, — უთქვამს ასე, — აქ შეხვედრამ ალბათ მიგახვედრათ, რომ ყველას ერთი და იგივე მიზეზი გაქვთ ჩემით უკმაყოფილონი ბრძანდებოდეთ. მზად ვარ სამივენი დაგაკმაყოფილოთ. წილის ყრით გადაწყვიტეთ, თქვენგან პირველმა რომელმა სცადოს ჩემზე ჯავრის ამოყრა. რაზედაც სამივეს ერთნაირი უფლება გაქვთ. მე აქ არც სეკუნდატები მომიყვანია და არც მოწმე. ისინი არც მაშინ მყოფია, როცა შეურაცხოფა მოგაყენეთ, და არც დანაშაულის გამოსახვიდად მჭირდებიან ახლა“. ჰოდა, ბანქოს მოთამაშის კვალობაზე თავის ჩვე-

ვას არც ახლა უღალატა და დასძინა: „კარგად ვიცი, ორი ბანკი ერთად არავის მოუხსნია. მაგრამ რაც არ უნდა მელოდეს, კაცს ალბათ საკმაოდ უცხოვრია, თუკი ქალთა 'სიყვარული და კაცთა პატივისცემა მოიხვეჭა“.

ვინემ გაოცებული მეტოქენი ერთმანეთს უხმოდ შესტკეპროდნენ/და სინდისიც ალბათ ეუბნებოდათ, რომ სამის ერთთან ბრძოლა მეტიხმეტად არათანასწორი იქნებაო, პრევანმა ისევ განაგრძო: „არ დაგიმაღლავეთ, ამ ქვეყნებში ძალზე მომქანცა. თუ დიდსულოვნებას გამოიჩინო და ნებას დაშრთავთ ძალღონე აღვიდგინო, პატივი დამდეთ და ჩემ მიერ აქ შეკვეთილ საუზმეზე დამეწვიეთ. თავიდათავია მხიარულად ვისაუზმოთ. უმნიშვნელო რაღაცაზე ღუელი კი შეიძლება გამართო, მაგრამ გუნება არ უნდა მოგვიშხამოს ჩემი ფიქრით“.

მიპატიეება მიღებულ იქნა. როგორც ამბობენ, ესდენ თავაზიანი პრევანი არასოდეს ყოფილა. მან მოახერხა არ დაემცირებინა, ისე დაერწმუნებინა მეტოქენი, რომ სამთავენი ასევე იოლად მიაღწევდნენ საწადელს. რაც მთავარია, აიძულა ეღიარებინათ, მის აღვილზე არც ისინი გაუშვებდნენ ხელიდან შემთხვევას. როგორც კი ეს ყველაფერი იქნა აღიარებული, დანარჩენი მისდათავად მოგვარდა. ისე რომ, საუზმის დასრულებამდე ერთი ათჯერ მაინც იყო გამეორებული, მისთანა ქალბატონების გულისთვის არც ღირს წესიერი ხალხი ერთმანეთს ებრძოლოს. ამ აზრმა გულითადობა აღძრა, ღვინომ ის კიდევ უფრო გააძლიერა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი არათუ მტრობამ მოგჭამა ჭირი, უსაზღვრო მეგობრობის ფიციც დაიღო.

ასეთი დასასრული ალბათ პრევანსაც ესიამოვნა. თუმცა არც თავისი დიდების დათმობა ეწადა. ამიტომაც თვისი განაზრახი გარემოებას მიუსადაგა და განაწყენებულ საყვარლებს უთხრა: „სიძართლე თუ გნებავთ, ჩემზე კი არა, თქვენს ორგულ საყვარლებზე უნდა გეყარათ ჯავრი. მე ამის შესაძლებლობას მოგცემთ, რადგან თქვენზე არანაკლებ შეურაცხოფილად ვგრძნობ თავს, თქვენს ბედს ძალე მეც გავიზიარებ. თუკი თვითოეულმა ვერ მოახერხეთ ერთის შენარჩუნება, რა იმედი უნდა მქონდეს სამივე შევინარჩუნო; თქვენი წყენა ჩემს წყენად იქცა. თანხმობა მომეცით, რომ ამ საღამოს ჩემს პატარა სახლში ვახშმად მეწვევით. იმედია, ჯავრის ამოსაყრელად დიდხანს არ მოგიწვეთ ცლა“. ახსნა-განმარტება რომ მოსთხოვეს, ცოტა არ იყოს სიამაყის გრძნობით თქვა: „ბატონებო, მგონია, დაგიმტკიცეთ, როგორ შემიძლია ვიმოქმედო. ამიტომ მუნდეთ“. სამივე დათანხმდა, ახალი მეგობარი გადაკოცნეს და საღამომდე დაშორდნენ იმ იმედით, დანაპირებს აასრულებდა.

პრევანი მყის პარიზში დაბრუნდა და წესისამებრ თავისი ახალი საყვარლება მოინახულა. სამთავეს ცალ-ცალკე ჩამთართვა პირობა, რომ იმავე საღამოს ეწვეოდნენ, რათა მართოდ ევახშმათ. თუმცა ორმა ცოტა არ იყოს თავპატიფი გაიღო, მაგრამ აბა როგორ უნდა უთხრა უარი კაცს მეორე დღეს, როცა მანამდე ყველაფერზე დათანხმდი? მან პაემანი სამივეს თითო-თითო საათის გამოშვებით დაუნიშნა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. შემდეგ დაშორდა მათ, გააფრთხილა სამი სხვა შეთქმული ვაჟბატონიც და ოთხივენი მხიარულად გაეშურნენ თავიანთ 'მსხვერპლთა დასახვედრად.

აი მოესმათ 'კიდევ, როგორ მობრძანდა პირველი ქალბატონი. პრევანი მართლ შეეგება მას, დიდი აღტაცებით მიიღო, შეუძღვა იმ ტაძარში, რომლის ღვთაებადაც ყველა ქალს თავისი თავი ჰგონია, შემდეგ უმნიშვნელო რაღაც მოიმიზეზა, ოთახიდან გაუჩინარდა და თავის ნაცვლად შეურაცხყოფილი საყვარელი შეუშვა.

აღბათ მიხედვით, ჯერ კიდევ სატრფიალო თავგადასავლებს მიუჩვეველი შეცბუნებული ქალი რა იოლად იქნა დამორჩილებული, ყოველი გამოუთქმელი საყვედური წყალობად მიჩნეული. ძველ ბატონს დაბრუნებულმა გაქცეულმა მხევალმა ბედნიერად იგრძნო თავი, იგივე ბორკილები რომ დაიღო და წესილობა მიიღო. ზავი უფრო მოფარებულ ადგილას დაიღო, დაცარიელებული სცენა ახალმა მსახიობებმა დაიკავეს დაახლოებით ისეთივე ყაიღით, როგორც წინაა — ისეთივე დასასრულით.

არადა, ყოველ ქალს ეგონა, რომ თამაშში მარტო მონაწილეობდა. კიდევ უფრო დიდი იყო მათი გაოცება და დაბნევა, როცა ვახშამზე სამივე წყვილმა ერთად შოიყარა თავი, მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ გაოგდნენ, როცა მათ შორის ისევ პრევანი გაჩნდა და იმზომ დაუნდობელიც აღმოჩნდა, სამივე მოღალატე ქალბატონს მოუბოდიშა, რითაც მათი საიდუმლო ამხილა და მათთვის ცხადი გახადა, როგორ გაათამაშეს ისინი.

თუმცა სუფრას მაინც ყველანი მოუსხდნენ. მალე ყველას დაუბრუნდა თავშეკავება. ვაჟბატონები დაუფარავად მხიარულობდნენ, ბანოვანები ბედს შეურიგდნენ, სიძულვილი გულში ჩაიძარხეს და ფრიად ნაზად საუბრობდნენ. მხიარულებამ სურვილი აღძრა, რომელმაც თავის მხრივ შას მეტი ხიბლი მიანიჭა. ეს გასაოცარი ღრეობა დილაშდუ გავრძელდა. ხოლო როცა დაიშალნენ, ქალებს შეეძლოთ ეფიქრათ, ყველაფერი შეგვინდესო. მაგრამ დაბოლმელმა ვაჟბატონებმა მეორე დღესვე გამოაცხადეს, რომ ურთიერთობას სწყვეტენ და სწყვეტენ საბუღალტროდ. ესეც არ აკმარეს თავიანთ ქარაფშუტა საყვარლებს, ჯავრის საბოლოოდ ამოსაყრელად ეს ამბავი ყველას მოჰფინეს. ამის შედეგად ერთმა ამ ქალბატონთაგანმა მონასტერს შეაფარა თავი, დანარჩენ ორს კი დღემდე მოწყვინა კვლავს თავთავიანთ მამულებში.

ასეთი გახლავთ პრევანის ამბავი. ახლა თავად განსაჯეთ, ინებებთ კია მის უფროსე განდიდებეს და მის საზეიმო ეტლში შებმას. თქვენმა წერილმა მართლაც შემაშფოთა. მოუთმენლად ველი უფრო ჯონიერ და ნათელ პასუხს ჩემს წინა წერილზე.

მშვიდობით, ტურფა მეგობარო, უფროსხილდით თავშესაქცევ თუ უცნაურ ფიქრებს, ასე ადვილად რომ გაცდუნებთ ხოლმე. არ დაგავიწყდეთ, თქვენ მიერ არჩეულ ასპარეზზე მარტო ჭკუა არ კმარა, ერთმა გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა ისეთ ფათურაკს შეიძლება გადაგყაროთ, ველარაფრით ვეღარ უშველოთ. ბოლოს და ბოლოს ნება დართეთ მეგობრულ სიფრთხილეს შიგადაშიგ თქვენს თავშეცვევებსა და გასართობებს უხელმძღვანელოს.

მშვიდობით. და მაინც ისე მიყვარხართ, თითქოსდა უფრო წინდახედული და ვონიერი გახდით

...დან, 18 სექტემბერი 17...

მე-80 წერილი

შევალთ დანხენი სესილ კოლანჯს

სესილ, ძვირფასო სესილ, როდისღა უნდა შევხვდეთ ისევ ერთმანეთს? ვინ მასწავლის, რით ვისულდგმულო თქვენგან შორს მყოფმა? ვინ მომცემს ძალასა და მხნეობას საამისოდ? ვერა, ვერ გავუძლებ, ვერ გადავიტან ამ ბედუკუდმართ განშორებას! ყოველდღე უფრო და უფრო უბედური ვხდები. და დასასრული არ

უნანს ამას! შემწეობა და ნუგეში რომ აღმოჩნდება, ის ვალდონი უკვე არაფრად მაგდება, იქნებ კიდევაც გადავაიწყდით. ახლა იმის გვერდით ბრძანდება, ვინც უყვარს, და აღარც ახსოვს, რა ტანჯვაა, რის საყვარელ არსებობასთან შორს იმყოფები. თქვენი ბოლო წერილი გადმომიგზავნა, თვითონ ხტრიქონი არ მოუწერია. არადა, სწორედ მან უნდა მამცნოს, როდის შემიძლია ვნახოთ და რა გზით. რა, ამის თაობაზე განა სათქმელი არაფერი აქვს? თქვენც არაფერს მეუბნებით ამაზე. იქნებ ჩემს სურვილს არ იზიარებთ ამ შეხვედრაზე? ჰოი, რა უბედური ვარ, სესილ! ახლა უფრო მეტად მიყვარხართ, ვინემ ოდესმე. თუმცა ეს სიყვარული, ჩემი სიცოცხლის მთელ სიხარულს რომ შეიცავს, საწამებლად გამიხდა უკვე.

არა, ასე ცხოვრება არ შემიძლია, მე უნდა ვნახოთ, უთუოდ ვნახოთ თუნდაც წამით. დილით რომ ვღებები, ვამბობ: „მე მას ვერ ვნახავ“. ვწვები და ვფიქრობ: „მე ის ვერ ვნახე!“ ღღებები ჩემი ისე მისდევს ერთმანეთს, გასახარული წამით არაფერი მაქვს. ყოველივე—მხოლოდ დანაკარგია, სინანული, სასოწარკვეთა. და ეს მწარე სიტყვები იქიდან მოდის, საიდანაც სიხარულს მოველოდი. ამ მომაკვდინებელ ტანჯვას მიუმატეთ შფოთიც ამაზე, თუ თქვენც რარიგად იტანჯებით, და ჩემი სულიერი მდგომარეობა წარმოგიდგებათ. ჩემი ფიქრები განუწყვეტლივ თქვენ 'დაგტრიალებთ,' ოღონდაც მუდამ ძრწოლა ახლავთ. რომ წარმოგიდგენთ შეწუხებულს და დათრგუნულს, — თქვენი წუხილი მეც მტანჯავს, მაგრამ როცა მგონია, მშვიდად ხართ და დარდი აღარ გაწუხებთ, ტანჯვა უფრო მაძლიერდება. ყველგან ყოველთვის უბედური ვარ.

ვაჰმე, რომ ასე არ იყო, როცა აქ იმყოფებოდით, სადაც მე ვცხოვრობ. მაშინ ყველაფერი სიამეს მგვრიდა. განშორების საათებსაც იმის რწმენა მილამაზებდა, რომ შეგხვდებოდით. განშორების ხანი თავისი სვლით თქვენს თავს მიახლოვებდა. იგი თქვენზე გადიოდა. თუ რაიმე მოვალეობებს ვასრულებდი, ეს თქვენს თვალში ამამაღლებდა. თუ გართობანი ძალაღი წრისა თქვენგან შორს გამიტაცებდა, ეს განშორება მაინც არ იყო. თეატრში მიწოდდა გამომეცნო, რა უფრო მოგეწონებოდათ, კონცერტი თქვენს ნიჭსა და ჩვენს ესდენ უნეტარეს მეცადინეობებს მაგონებდა. საზოგადოებაში ყოფნისას ან სეირნობისას მიწოდდა აღმომეჩინა, ქალთაგან ოდნავ მაინც თუ გვაუდათ ვინმე. გადარებდით ყველას და მუდამ ყველაზე უკეთესი გამოდიოდით. ყოველი წამი დღისა აღნიშნული იყო აღტაცების ახალი ხარკით და ყოველ საღამოს ამ ხარკს თქვენს ღერხთა ქვეშ ვფენდი..

ახლა კი რა დამშთენია? მტანჯველი სინანული, დანაკლისის მუდმივი შეგრძნება და სუსტი იმედი, ვალდონის დუძილი რომ უფრო ასუსტებს, თქვენი კი შფოთით მავსებს. მხოლოდ ათი ლიეთი ვართ ერთმანეთს დაშორებულნი და ესდენ იოლად დასაძლევია გზა მარტოდენ ჩემთვის იქცა გადაულახავ დაბრკოლებად! ხოლო როცა ჩემს სატრფოსა და ჩემს მეგობარს ვთხოვ დამეხმარონ მის დასაძლევად, ორივენი გულმშვიდნი და გულცივნი რჩებიან, მეხმარებიან კი არადა, პასუხსაც არ იძლევიან.

რა დაემართა ვალდონს, მისი მეგობრობა ხომ მუდამ საქმიანი იყო? რაც მთავარია, რა დაემართა თქვენს ესდენ ნაზ გრძნობებს, რომლის მეოხებითაც ასე ოსტატურად ახერხებდით ჩვენს ყოველდღიურ შეხვედრებს? დიახაც მახსოვს, როცა ჩემი სურვილი რაღაც მოსაზრებით მოვალეობისათვის უნდა შემეწირა, რას მეუბნებოდით მაშინ; როგორ აბათილებდით ჩემს ამ მოსაზრებას, მუდამ რომ თქვენს სურვილს ემონებოდა. არა, ამას დამსახურებად არ ვითვლი.

ის დამსახურებაც არ გამაჩნია, რომ თქვენთვის რაღაც გავწირო. მხოლოდ მთელი გულით ვესწრაფოდი ის მომეცა, რისკენაც ასე ილტვოდით. მაგრამ ახლა ჩემი ჯერია გთხოვოთ. რა გთხოვოთ? თუნდაც წამით მაინც შეგხვდეთ, გავიგე-ოროთ და თქვენგანაც მოვისმინო ფიცი სამარადისო სიყვარულისა. ^{განა} თქვენი ბედნიერება, როგორც ჩემი, მხოლოდ ეს არ არის? არა, არ მინდა დავი-ჯერო, ამაზე ფიქრი სასოწარკვეთაში მაგდებს—ეს ჩემს ტანჯვათა ^{ტანჯვათა} წვეთი იქნება. არა, თქვენ გიყვარვართ, მუდამაც გეყვარებით — მე მწამს, ^{მე მწამს} დარწმუნებული ვარ, არც მინდა ოდესმე ეჭვი შევიტანო, მაგრამ საშინელ დღე-ში კი ვარ, ამას დიდხანს ვერ გავუძლებ. მშვიდობით, სესილ.

პარიზი, 18 სექტემბერი 17...

81-ე ვერილი

პარიზის მეულე ქ-ნი დე მერტი ვიკონტ დე ვალმონს.

რარიგ უბადრუკი მეჩვენება თქვენი შიში! რარიგ მიმტკიცებს ეს რწმენას ჩემი უპირატესობისა. ამის შემდეგ კიდევ აპირებთ ჩემს ჭკუის სწავლებას და ხელმძღვანელობას? ჩემო საბრალო ვალმონ, ჯერ კიდევ რამდენად ჩამომრჩე-ბით! არა, თქვენი სქესისტოეის ჩვეული ქედმაღლობაც არ იკმარებს ჩვენ შო-რის არსებული უფსკრული შეივსოს! ვერ შესძელით ჩემი ჩანაფიქრების შე-სრულება — იმიტომაც მიგაჩნიათ ისინი შეუსრულებლად! უძლურო და ქედმაღ-ლო არსებავ, განა შენ ძალგიძს გამოიცილო და გამოითვალო ის საშუალებანი, რაც გამაჩნია, და განსაჯო რა შემთხვევაში! მართალი გითხრათ, ვიკონტ, თქვენმა რჩევებმა გამაღიზიანა და ამას ვერ დაგიძალავთ.

დე თქვენი უგერგილობის შესანიღბად პრეზიდენტის მეუღლის მიმართ გა-მარჯვებად მიგაჩნდეთ ის ამბავი, წამით რომ შეაცბუნეთ თქვენი მოყვარული მოკრძალებული ქალი — ამაზე არაფერს ვიტყვი: რომ მიაღწიეთ, ეღირსეთ მის-გან შემოხედვას, — მხოლოდ ერთ შემოხედვას, მეცინება კია, მაგრამ მაინც გაატიობთ. და თუმც უნებლიეთ გრძნობთ, რაოდენ კნინია თქვენი საქციელი, იმ იმედით, რომ ყურადღებას გადამატანინებთ თქვენს გასაოცარ ძალისხმევაზე იმ ორი ბავშვის დასაახლოებლად, რომლებსაც ერთი სული აქვთ ერთმანეთს შეხვ-დნენ და რომლებიც, რაკი სიტყვამ მოიტანა, ამ სურვილის მთელ გზნებას უნდა მე მიმადლოდნენ, ამაზეც თანახმა ვარ. დაბოლოს ამ ბრწყინვალე ქმედებებზე დაყრდნობით შემავიწყებელი კილოთი რომ მიცხადებთ- „სჯობს საკუთარ გეგმა-თა განხორციელებაზე დახარჯო დრო, ვინემ მათ შესახებ ლაპარაკშიო“, — ეს პატივმოყვარეობა არაფერს შენებს და ამასაც შეგინდობთ. მაგრამ თუკი გგონი-ათ, თითქოს თქვენს კეთილგონივრულ დარიგებებს ვსაჭიროებ, რომ სწორ გზას აკვდები, თუ თქვენს დარიგებებს ყურს არ ვათხოვებ, რომ მათ უნდა შევწირო სიამოვნება, ვინი თუ ახირება — იცით, ვიკონტ, მეტი სმეტად გაგაამაყათ ჩემმა ნდობამ, მე რომ ვინებუ და თქვენდამი გამოვიჩინე.

მაინც ისეთი რა მოიმოქმედეთ, მე რომ ათასჯერ არ გადამემეტოს? კი, აცდუ-ნეთ და დაღუპეთ მრავალზე მრავალი ქალი. მაგრამ გაგიძნელდათ განა ეს გამარ-ჯვება? რა დაბრკოლებანი გადალახეთ? რა გაქვთ ისეთი, თქვენი პირადი დამსა-ხურება რომ იყოს? ლამაზი გარეგნობა — ის ხომ შემთხვევამ გაჩუქათ, დახვე-წილი საქციელი — ამას ხომ გამოცდილება ანიჭებს; რა თქმა უნდა, ჭკუა, თუმ-

ცა ისეთი, საჭიროების შემთხვევაში ენაწყლიანობა რომ ცვლის. საკმაოდ სანაქებო კადნიერება, მაგრამ ეს იქნებ პირველ გამარჯვებათა წყალობა გახლავით. თუ არ ვცდები, ესაა და ეს, რითაც შეგიძლიათ თავი მოიწონოთ ხოლო რაც შეეხება თქვენს სახელსა და დიდებას, რისი მოხვეჭაც მთაბერხეთ, არა მგონია მომთხოვით, აურზაურისა და მითქმა-მოთქმის გამოწვევის და გამოყენების უნარი დიდად შევაფასო.

სიფრთხილე და გამჭრიახობა, ჩემს თავზე რომ არაფერი ვთქვა, განა რომელ ქალს არ აქვს თქვენზე მეტი? თუმცა რაღა შორს წავიდე, თქვენი პრეზიდენტის მეუღლე ხომ პატარა ბიჭვიით თავის ნებაზე გატრიალებთ.

მერწმუნეთ, ვიკონტ, ადამიანი იშვიათად იძენს ისეთ თვისებებს, ურომლისოდაც იოლად შეუძლია გასვლა. ურისკო ბრძოლისას არც სიფრთხილეს იჩენს კაცი. თქვენ, მამაკაცთათვის დამარცხება მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, ვერ გაიმარჯვით. ხოლო ამ უთანასწორო ბრძოლაში ჩვენ უკვე მოგებულნი ვართ, თუკი არაფერს ვკარგავთ, თქვენ კი ყველაფერს კარგავთ, თუ ვერაფერი მოიგეთ. ისეთივე ნიჭთა მქონედ რომც გალიართ, რაიც ჩვენ, ქალებს მოგვდგამს, მაინც რამდენად გჯობნით თუნდაც იმიტომ, რომ იძულებულნი ვართ განუწყვეტლივ საშველად მათ მოვუხმოთ?

ვთქვათ და — ამაზეც გეთანხმებით — ჩვენზე გასამარჯვებლად ისეთივე ხერხებისა და სიმარჯვის გამოჩენა გჭირდებათ, რასაც ჩვენ ვიჩენთ თავდაცვისას ან თუნდაც დანებებისას. მაგრამ ის მაინც აღიარეთ, რომ გამარჯვებულთ ისინი უკვე აღარ გჭირდებათ. ყოველ ახალ გატაცებას თავმეუკავებელივ ეძლევით ხოლმე, მხოლოდ ამით ხართ შეპყრობილნი, არც სიფრთხილე განალვლებთ და არც ის, დიდხანს გასტანს თუ არა იგი.

განა მართალი არაა, რომ მხოლოდ თქვენ ხელგეწიფებათ მოქსოვით თუ დაარღვიით — სიყვარულის ენით რომ ვთქვათ — ურთიერთკავშირი. ჩვენ თავს ბედნიერადაც კი ვგრძნობთ, თუ ცვალებადი ბუნების წყალობით საიდუმლოს დიფარვას არჩევთ, დამამცირებელი დავიწყებით დაკმაყოფილებით და გუშინდელ კერპს მეორე დღეს მსხვერპლად არ აქცევთ! მაგრამ თუ საცოდავი ქალი პირველი იგრძნობს ბორკილების სიმძიმეს, რა უბედურებანი არ ემუქრება, როცა მისგან განთავისუფლებას ან ცოტაოდენ შემსუბუქებას მოინდომებს? შიშის კანკალით ცდილობს იმ კაცისაგან თავის დაღწევას, ვინც თავისი გულიდან უკვე განდევნა. ხოლო თუ ის ვაჟბატონი გაჯიუტდება და წასვლას არ ინებებს, იძულებულია იმაზე დათანხმდეს, რაზედაც აღრე სიყვარულით თანხმდებოდა:

**გახსნას მკლავები მოსახვევად,
როცა გული დახურული აქვს.**

გონიერი ქალი ათასნაირ ხრიკს იგონებს იმ კავშირის გასაწყვეტად, თქვენთვის რომ ესე იოლად გასაწყვეტია. მტრის ხელში მოქცეული ვერაფერსაც ვერ გაახერხებს, თუ მტერმა დიდსულოვნება არ გამოიჩინა. მაგრამ დიდსულოვნების რა იმედი უნდა ჰქონდეს? თუ ვინმე დიდსულოვნებისთვის შეუქიათ, განა მისი უქონლობისთვის ვინმე კი გაუკიცხავთ?

ცხადია, დავას არ დამიწყებთ ამ ესდენ ამკარა ჭეშმარიტებაზე, უკვე რომ ზოგადნიც გახდნენ. თავად იყავით მოწმე, როგორ ვსარგებლობდი ვითარებებით და კაცთა შეხედულებებით, ამ მრისხანე ვაჟბატონებს ჩემს ნება-სურვილზე როგორ ვათამაშებდი. ვის ნებისყოფას ვაცლიდი, ვის საშუალებას არ ვაძლევდი

ჩემთვის ევრო, როცა ჩემს ცვალებად სურვილებს აყოლილი ხან ჩემს მოთაყვანეთა რიცხვში ვაქცევდი, ხან თავიდან ვიშორებდი

ტირანთ დამხობილთ და მონებად ქცეულთ,¹ —

თუკი ასეთი ხშირი ცვალებადობა ჩემს პატიოსანი ქალის სახელს ვერას აკლებდა. ნუთუ ვერ მიხვდით, რომ ჩემი სქესის წარმომადგენელთა გამოსაყრელად და თქვენს დასამონებლად მოვლენილმა ჩემამდე უცხოები ხერხები გამოვიგონე?

იცით, ეგ თქვენი რჩევები და შიში იმ ქალებისათვის შემოინახეთ, თავიანთ დამთხვეულ საქციელს გრძნობებს რომ მიაწერენ, ისეთი მოუთოკავი წარმოსახვა რომ აქვთ, ასე გვონია, ბუნებამ გრძნობები თავში მოუთავსაო. დაფიქრება არაფერზე სჩვევიათ, საყვარელსა და სიყვარულს ერთმანეთში ურევენ, უგნურ ცოუნებას ატანილთ წარმოუდგენიათ, რომ ვისთანაც ნეტარებას ეძიებენ, მხოლოდ ამ ერთადერთს შეუძლია იგი არგუნოს. ცრუმორწმუნე ველური დიაცებივით ქურუმს უძღვნიან იმ მოწიწებასა და რწმენას, რისი ღირსი მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებაა.

ერიდეთ კიდევ პატივმოყვარეთ კეთილგონიერებზე უფრო მეტად, რამეთუ მათ უჭირთ იმ აზრთან შერიგება, რომ ზურგი აქციეს.

მაგრამ განსაკუთრებით გეშინოდეთ იმ ქალებისა, უქნარანი და ამავე დროს ქმედითნიც რომ არიან, რომელთაც თქვენ მგრძნობიარეთ უწოდებთ, რომელთაც სიყვარული ისე იოლად და ძლიერად ეუფლებათ, მაშინაც კი განიცდიან სიყვარულობის მოთხოვნილებას, როცა იგი ნეტარებას აღარ ანიჭებთ. თავშეუკავებლივ ეძლევიან თავიანთ აღორძაქებულ ფიქრებს, მათი გავლენით ნახ, მაგრამ სახიფათო წერილებს წერენ, არ ეშინიათ თავიანთი სისუსტის ეს საბუთი ამავე სისუსტის საგანს ანდონ. რადგან თავიანთი გაუფრთხილებლობით დღევანდელ საყვარელში ხვალინდელ მტერს ვერც კი ჰვრეტენ.

თუმცა რა მაქვს საერთო ამ უგნურ ქალებთან? გინახავთ კი ოდესმე ჩემი თავისთვის დადგენილი წესებისა ან პრინციპებისთვის მეღალატოს? მე პრინციპებზე ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ სრულიად შეგნებულად, ვინაიდან სხვა ქალების დარად მათ შემთხვევას არ უუშორჩილებ, არ მიმიღია ისინი დაუფიქრებლად და არ მივსდევ მათ ჩვევის გამო. ისინი დიდი ხნის ფიქრთა ნაყოფია: მე ვარ მათი შემქნელი და შემძლია ვოქვა — საკუთარი თავის შემქმნელიც.

საზოგადოებაში ჯერ კიდევ ნორჩ ასაკში შესულმა, ჩემი მდგომარეობის წყალობით უსიტყვო უმოქმედებაზე განწირულმა, ეს ამბავი დაკვირვებისა და დაფიქრებისათვის გამოვიყენე. მე ქარაფშუტა და უგულისყურო გოგოდ მივანდი ყველას. მართალი ვითხრათ, თითქმის არ ვუსმენდი იმ სიტყვებს, რასაც გაუთავებლივ ჩამჩიჩინებდნენ, სამაგიეროდ ყურები მქონდა დაცქვეტილი, ის არ გამომპარვოდა, რისი დამალვაც ჩემგან ეწადათ.

1. ვერ ვიტყვით, რომ ეს სტრიქონები, როგორც ზემოთ მოყვანილ „გახსნას მკლავები...“ ციტატები გახლავთ ნაკლებ ცნობილი ნაწარმოებებიდან თუ ქ-ნ დე მერტუის პროზას განეკუთვნება. ალბათ ეს უკანასკნელი უფრო შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ამ მიმოწერაში ბევრჯერ გვხვდება მისთანა უხეირო ლექსები. მარტოდენ შევალე დახსენის წერილებში არაა ისინი. ალბათ იმიტომ, რომ პოეზია მისთვის უცხო არაა და მისმა გაწაფულმა ყურმა იხსნა იგი ამ ნაკლისაგან.

ეს ფრიად ნაყოფიერი ცნობისწადილი არათუ დამეხმარა ცხოვრების გაცნობაში, მასწავლა კიდევ თვალთმაქცობა. რადგან იძულებული ვიყავი ჩემ არგვლივმყოფთა თვალთაგან ხშირად დამემალა, თუ რამ მიიბყრო ჩემი ყურადღება, ვარჯიში დავიწყე საკუთარი მზერის დასამორჩილებლად. მას აქეთ ვისწავლე ჩემი სურვილის მიხედვით უგულისყურო გამეხადა მზერა, რის გამოც ასე ხშირად მაქებდით ხოლმე. პირველი წარმატებით გამხსნევებულმა შევეცადე ასევე დამემორჩილებინა ჩემი ნებისთვის ყველანაირი გამომეშველები. თუკი რატომღაც ნაღვლიან გუნებაზე ვიყავ, ვცდილობდი უშფოთველი, მხიარული იერი მიმეღო. ჩემი გულმოდგინება იქამდეც კი მივიდა, განზრახ ტკივილს ვაყენებდი თავს, რათა სიამოვნების გამოხატვა მესწავლა. ასევე ბეჯითად, მაგრამ დიდი გაჭირვებით ვსწავლობდი უეტარი სიხარულის ჩახშობას. ასე გავხდი უფალი ჩემი სახისა, ასე ძალიან რომ განცვიფრებდათ ხანდახან.

მე მაინც ძალზე ახალგაზრდა ვიყავ და ყურადღებას თითქმის არაუცხამაქცევდა. ჩემი საკუთრება მხოლოდ ჩემი ფიქრები იყო. დიდად მალშფოთებდა, რომ შეიძლება ვისმე გამოეცნო, ვინმე დაუფლებოდა მათ ჩემი ნების გარეშე. ეს პირველი იარაღი რომ მოვიხელთე, მის გამოცდასაც შევეუდექი. ის აღარ ვიკმარე, ჩემს გამოცნობას რომ ვერავინ შეძლებდა, თავის გასართობად სხვადასხვა ნიღაბს ვიკეთებდი. ჩემს მოძრაობებში დარწმუნებული, უყურადღებოდ არ ვტოვებდი ჩემს სიტყვებსაც. ერთსაც და მეორესაც ვითარებისდა მიხედვით ვხმარობდი, ზოგჯერ შემთხვევითი ჟინის გამოც. იქიდან მოყოლებული ჩემი ფიქრების არსი მხოლოდ ჩემი პირადი საკუთრება გახდა, სხვებს კი მხოლოდ იმას ვუმხელდი, რაიც ჩემთვის სახეირო იყო.

საკუთარ თავზე ამ მუშაობამ მაიძულა სხვათა სახეებს და ხასიათს დავკვირებოდი. ამან შემძინა ის გამჭრიახი თვალიც, რომელსაც ჩემთვის იშვიათად უმტყუნია, თუმცა გამოცდილებამ დამარწმუნა სულმთლიანად მაინც არ მივნდობოდი.

თხუთმეტი წლისაც არ ვიყავ, რომ უკვე ის ნიჭი მქონდა, ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობა თავიანთ დიდებას რომ უნდა უმაღლოდნენ. არადა, მე მხოლოდ მისი ძირითადი საწყისების ათვისებისკენ მივისწრაფოდი.

აღბათ გესმით, რომ სხვა ქალიშვილებივით მეც მინდოდა სიყვარულსა და მის მიერ მონიჭებულ ნეტარებაზე ყველაფერი გამეგო. მაგრამ მე ხომ არც მონასტერში ვყოფილვარ არასდროს, არც ახლო მეგობარი მყოლია, არც ფხიზელი დედაჩემი მაცილებდა წამით თვალს, ისე რომ, ამ ამბის გარშემო მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა მქონდა, ყოველგვარ გარკვეულობას მოკლებული. ბუნებაც კი, რომელსაც მას აქეთ, ცხადია, ვერ დავემდურები, ჯერ კიდევ არაფერს მკარნახობდა. იგი თითქოს უსიტყვოდ იღწვოდა საკუთარი ქმნილებების სრულყოფისათვის. ყოველივე მხოლოდ ჩემს ტვინში დუღდა. არა, ნეტარება კი არ მწყუროდა, მხოლოდ ცოდნა და გარკვევა მეწადა. ჰოდა, გარკვევის სურვილმა მკარნახა კიდევ საამისო გზა.

ერთადერთი მამაკაცი, ვისთვისაც თავისუფლად შემეძლო ამაზე ლამარაკი, ჩემი სულიერი მამა იყო. მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება, დავძლიე სირცხვილი, მივედი და მასთან იმაზე დავიტრაბახე, რაიც არ ჩამიღენია: დიდად შევცოდე, ის გავაკეთე, რასაც ქალები სჩადიან-მეთქი. ეს კი ვუთხარი, მაგრამ, მართალი ვითხრათ, თავადაც არ მესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. იმედები არც მთლიანად გამცრუებია და არც მთლიანად გამმართლებია, რადგან შემეშინდა, თავი არ გავთქვა-მეთქი. მაგრამ კეთილმა მოძღვარმა ესოდენ დიდ ცოდვად

შერაცხა იგი, უმაღლეს მივხვდი, მართლა რა დიდი უნდა ყოფილიყო ნეტარება, და მისი გარკვევის სურვილი მისი განცდის წყურვილმა შეცვალა.

ვერ გეტყვით, სადამდე მიმიყვანდა ეს სურვილი ყოვლად გამოუცდელ გოგოს. სრულიად შემთხვევით ამბავს სულაც შეიძლება დაველუპუ. ჩემი ბუდი, რომ რამდენიმე დღის შემდეგ დედამ გამომიცხადა, გათხოვებო. რაკილა სულ მალე გავიგებდი ყველაფერს, ცნობისწადილი გამინელდა. ისე რამდენიმე დღე მერტეის მკლავებში სრულიად უბიწო მოვხვდი.

მტკიცედ ველოდი გათვითცნობიერების ამ წამს. ყოველივე რომ ავწონ-და-ვწონე, მაშინდა გამოვხატე სირცხვილი და შიში. საყოველთაოდ ცნობილი პირველი დამე, ზოგს საშინელი, ზოგს ნეტარი წარმოდგენა რომ აქვს, ჩემთვის გამოცდილების შეძენის საშუალება იყო მხოლოდ. გულდაგულ ვაკვირდებოდი ამ სხვადასხვანაირ შეგრძნებებს, — ტკივილსა თუ ნეტარებას — აღქმასა და დაფიქრებას რომ მოითხოვდა.

მალე კიდევაც მომეწონა ეს საქმიანობა. მაგრამ ჩემი პრინციპებისა თუ ქვეშეცნული გრძნობის კარნახით, ქმარს რომ ყველაზე ნაკლებ უნდა ესდო, — სწორედ იმიტომ, რომ ვნებიანი ვიყავ—გადავწყვიტე მისთვის ცივ ქალად შეჩვენებინა თავი. ჩემმა ყასიდმა სიცივემ კიდევ აღუძრა ჩემდამი ბრმა ნდობა. ცოტა რომ დაუფიქრდი, ამას ონავრობაც მივაძაბე, ჩემი ასაკისათვის დიახაც ბუნებრივი, ისე რომ ყველაზე მეტად იმ წუთებში მთელიდა ხოლმე ბავშვად, როცა ყველაზე უსირცხვილოდ ვათამაშებდი.

უნდა გამოვტყდე, რომ პირველ ხანებში ძალზე გამიტაცა მაღალი წრის ორომტრიალმა და მის კნინ გასართობებს მოლიანად მივეც თავი. მაგრამ როდესაც რამდენიმე თვის მერე ბ-მა დე მერტეიმ თავის მიყრუებულ სოფელში წამიყვანა, მოწყენილობის შიშმა კვლავ გამიღვიძა მეცადინეობის სურვილი. იქ იმდენად დაბლა მდგომი ხალხი მეხვია ირგვლივ, ჩემზე ეჭვს არავინ მიიტანდა. მეც ვისარგებლე ამით და ჩემი ცდების არე გავაფართოვე. აი მაშინ დავრწმუნდი, რომ ნეტარების წყაროდ მიჩნეული ეს ნაქებ-ნადიდები სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ საბაბია ამ ნეტარებისათვის.

ბ-ნ დე მერტეის 'ავადმყოფობამ ეს საამური საქმიანობა შემაწყვეტინა, ვინაიდან დედაქალაქში მომიხდა გავყოლოდი, სადაც იგი ექიმთა დახმარებას ეძიებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, როგორც მოგეხსენებათ, გარდაიცვალა. თუმცა მასზე საყვედური არ მეთქმის, მაგრამ მაინც ცხოვლად ვიგრძენი თავისუფლების მთელი სიკეთე, ქვრიეობა რომ მანიჭებდა, და გადავწყვიტე კიდევაც მესარგებლა ამით.

დედაჩემის ფიქრით ან მონასტერში უნდა წავსულიყავი ან მასთან დავრჩენილიყავ საცხოვრებლად. არც ერთზე დავთანხმდი, არც მეორეზე. წესიერების დასაცავად კვლავაც იმ სოფელში დავბრუნდი, სადაც კიდევ რამდენიმე დაკვირვება უნდა გამეკეთებინა.

მე ისინი კითხვით განვიმტკიცე, მაგრამ თქვენ რომ გგონიათ, მართლ იმ საკითხავით არა. ჩვენს ზნე-ჩვეულებებს რომანებით ვსწავლობდი, შეხედულებებს — ფილოსოფოსთა ნაშრომებით. უმკაცრეს მორალისტებთანაც კი ვეძიებდი, რას თხოულობდნენ ისინი ჩვენგან. ჰოდა, დასტურ გავარკვიე, რის გაკეთება შეიძლება, ფიქრთა რა წყობა გვმართებს, როგორი უნდა ვჩანდეთ. ამ სამ საგანზე სრულიად ნათელი წარმოდგენა რომ შემექმნა, მივხვდი, მხოლოდ მესამე იყო რამდენადმე ძნელი, მაგრამ იმედი მქონდა მასაც დავძლევი და საამისოდ საჭირო ხერხებზე დავიწყე ფიქრი.

უკვე მომყირჭდა სოფლის სიამენი, მეტისმეტად ერთფეროვანი ჩემებრ ცოცხალი ჭკუის ქალისთვის, და გაკეკლუცება მომესურვილა. მან შემარიგა კიდევ სიყვარულს, თუმცა, მართალი ვითხრათ, იმდენად სიყვარულს, განცდა არ მხიბლავდა, რამდენადაც მისი გათამაშებისა და სხვაში მისი აღძვრის სურვილი. სულ ტყუილად მიმტკიცებდნენ, — და წიგნშიაც წამიკითხავს — ამ გრძნობას ყასიდად ვერ გაითამაშებო. მშვენივრად ვხედავდი, რომ ^{მსამსწრე} მწერლის ჭკუა და კომედიანტის ნიჭია მხოლოდ საჭირო. მეც შევუდექი ^{ვარჯიშს} ამ ორივე ასპარეზზე და, ვგონებ, წარმატებითაც. ოღონდაც მაყურებელთა დარბაზის ფუჭი ტაშისცემის მოხვეჭის ნაცვლად გადაეწყვიტე ჩემდა სასარგებლოდ მომეხმარა ის, რასაც სხუები პატივმოყვარეობას სწირავდნენ.

ასე გამოხდა ერთი წელი. უკვე შემეძლო საზოგადოებაში გამოსვლა, რადგან გლოვის ჟამიც ამოიწურა. ამიტომ დაებრუნდი ისევ ქალაქში დიადი ზრახვებით აღსავსე. მაგრამ პირველივე დაბრკოლება ჩემთვის დიახაც მოულოდნელი გამოდგა.

დიდი ხნით განმარტოებამ და მტკიცედ დაცულმა განდეგილობამ თითქოსდა უკარების ელფერით შემშოსა, რაიც ესდენ აცბუნებდა ქალთა ყველაზე თავზიან აშიკო. მათ განზე დაიჭირეს თავი და ჩემს ხელისმთხოვნელთა მოსაწყენ ბრბოს შემატოვეს. ამ უკანასკნელთა მოშორება სულაც არ იყო ძნელი, თუ რომ ჩემს უარს ჩემი ოჯახი არ გაელიზიანებინა და იმ დროს, რომლის სიამით გატარების იმედი მქონდა, ოჯახურ უსიამოვნებებში ვატარებდი. ისე რომ, ერთთა მისაზიდად. ხოლო მეორეთა მოსაშორებლად იძულებული გავხდი რამდენჯერმე თავქარიან ქალად შეჩინა თავი და ჩემი პატიოსანი ქალობის სავენებლად მეხმარა ის ფანდები, რომელთა მეშვეობითაც ვაპირებდი მის შენარჩუნებას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს სულ იოლად შევძელი. მაგრამ რაკი არა ვნება არ მიტაცებდა, მხოლოდ ისე ვიქცეოდი, როგორც საჭიროდ მიმაჩნდა, ჩემს თავქარიანობას წამალივით გამოზომილად ვხმარობდი.

როგორც კი სასურველ მიზანს მივაღწიე, ისევ ძველ გზას მივუბრუნდი. იმ ქალებს, რომელთაც უკვე ამოწურვოდათ ნეტარების განცდის საშუალება და ახლა სათნოებასა და პატიოსნებაზე იკლავდნენ თავს, შევაძლებინე ჭეშმარიტების გზაზე ჩემი დაბრუნების პატივი საკუთარი თავისთვის მიეწერათ. ამ ოსტატურმა სვლამ უფრო მეტი მომაგებინა, ვინემ მეგონა. ეს კეთილშობილი დუნიები ჩემს თავგადადებულ ქომაგად იქცნენ. მათი ბრმა ზრუნვა იმაზე, რაიც საკუთარ ნაღვაწად მიაჩნდათ, იქამდეც მიდიოდა, ჩემი მისამართით ნათქვამ პატარა შემჩნევაზეც კი ერთ აურზაურს ტეხდნენ და ჭორად და ცილისწამებად ნათლავდნენ. იგივე ხერხმა იმ ქალთა წყალობაც დამიმსახურა, მამაკაცთა შორის წარმატებას რომ ეძიებდნენ. რაღაი დარწმუნდნენ, ამ ასპარეზზე არ ვაპირებდი მოღვაწეობას, ქება-დიდებათ მავსებდნენ ხოლმე იმის დასამტკიცებლად, ვანა ყველას ვჭორავთ და ვკიცხავთო.

ამასობაში ძველ გზაზე დაბრუნებამ თავვანისმცემელნი კვლავ მომიბრუნა. რომ არ დაშეკარგა არც ისინი და არც ჩემი საკმაოდ ორგული ბანოვანები, თავი ძალზე მგრძნობიარე, მაგრამ ძალზე მომთხოვნ ქალად მოვიგატუნე, ვისაც დიდზე დიდი სულიერი სიფაქიზე სიყვარულის წინააღმდეგ აიარალებს.

აი მაშინ კი ვაჩინე დიდ სცენაზე ყველა ის ნიჭი, ჩემში რომ თვითონ განვავითარე. პირველ ყოვლისა ეიზრუნე იმაზე, რომ დაუძლეველი ქალის სახელი გ'ეოქვა. შემდგომ ისე დავიჭირე თავი, ვითომდა მხოლოდ იმ კაცთა

თავიანისცემაზე ვიყავ თანახმა, რომლებიც სულაც არ მომწონდნენ. ისინი დი-
ახაც ძალიან გამომაღგნენ. მათი წყალობით ისეთი ქალის სახელი დავიმსახურე,
ვინც წარმატებით უწყედა მათ წინააღმდეგობას. ამასობაში კი ყოველად უშიშ-
რად ვატარებდი დროს ჩემს არჩეულ საყვარულთან. მაგრამ მასთანაც მოკრძალებ-
ულ და მორცხვ ქალად მომქონდა თავი, უფლებას არ ვაძლევდი საზოგადოება-
ში ჩემდამი ყურადღება გამოეჩინა და ამ საზოგადოებისვე თვალში ჩემს უბედ-
ლო თავიანისმცემლად საღებოდა.

ხომ იცით, რა სწრაფად მჩვევია ხოლმე საყვარლის არჩევა. მე თუ მკი-
თხავთ, ქალის საიდუმლოს თითქმის მუდამ წინასწარი არშიყოფა ამჟღავნებს
ხოლმე. როგორც არ უნდა მოიქცე, მუდამ სხვა ელფერი აქვს შენს საქციელს
წარმატებამდე და სხვა — წარმატების მიღწევის შემდეგ. დაკვირვებულ თვალს
ეს სხვაობა არ გამოეპარება. მეც მივხვდი, რომ იმდენად არ ვავნებს არჩევანში
შეცდომა, რამდენადაც სხვას გამოაცნობინო შენი საიდუმლო. ეს მოსაგებიც
გახლდათ, რადგანაც ჩემი არჩევანი არცთუ დამაჯერებელი ჩანდა. არადა, ჩვენი
განსჯა მხოლოდ დამაჯერებლობის წყალობით შეიძლებოდა. ასეთი სიფრთხილე
ყველაფერში, იმაშიც, რომ სატრფიალო ბარათებს არასოდეს ვწერდი, იმაშიც,
რომ ჩემი წარუმატებლობის ნივთიერ სამხილს არასდროს ვტოვებდი,
შესაძლოა ვისმე მეტიმეტიც ვჩვენოს, თუმცაღა ისინი თავად მეცოტავებოდა
კიდევ. ჩემი გულის განცდათა მიხედვით ვსწავლობდი სხვებს. მაშინ მივხვდი,
რომ არ იყო კაცი, ვინც თავის გულში არ ძალავდა საიდუმლოს, რომლის გამ-
ხელას არ იხურებდა. ესე ჭეშმარიტება, მგონი, ძველად უკეთ იცოდნენ, ვინემ
ახლა. ამის დიდებულ სიმბოლოს ალბათ სამსონის ამბავი წარმოადგენს. ახალი
დალილას კვალობაზე მოელ ჩემს ძალას ამ საიდუმლოთა მიკვლევას ვანდომებ-
დი. პოი, რამდენ თანამედროვე სამსონის თავს ემუქრება ჩემი მაკრატელი!
მათი უკვე აღარ შემინოდა და მხოლოდ შიგადაშიგ მათი დამცირების ნებას ვაძ-
ლევდი ხოლმე ჩემს თავს. სხვებთან მეტი სიმარჯვე და მოხერხება მჭირდებოდა:
მე რომ მოლაღატედ არ შევერაცხეთ, მათ ვაჩენდი ხოლმე ასეთად, იარაღად ვხმა-
რობდი ხოლმე მოჩვენებით მეგობრობას და ნდობას, ზოგჯერ სულგრძელ სა-
ქციელს, ყველას ჩავაგონებდი. რომ ის ერთადერთი საყვარელი იყო ჩემი, რაიც
თავმოსაწონად მიაჩნდათ და რაიც მათი ღუმილის საწინდარი გახლდათ. ხოლო
თუ რატომღაც არც ერთი ამ ხერხთაგანი არ გასჭრიდა, დაცინვითა თუ ცილის-
წამებით ეცდილობდი მომეშთო ის ნდობა, ამ ჩემთვის საშიშ მამაკაცთ რომ შე-
ვძლოთ მოეპოვებინათ.

კარგად მოგეხსენებათ, რომ მუდამგზის ვანხორციელებ იმას, რაზედაც ახ-
ლა ვლაპარაკობ, და მაინც გეუჭვებათ ჩემი კეთილგონიერება! მაშ იხ დრო გა-
იხსენეთ, როცა არშიყოფა დამიწყეთ. კაციშვილის ყურადღება ისე არ მსიამოვნ-
ებია, როგორიც თქვენი. ჯერ ნახახიც არ მყავდით, როცა ამას ვნატრობდი.
თქვენმა სახელმა ისე მომხიბლა, მეგონა, თქვენლა აკლდით ჩემს დიდებას. ერ-
თი სული მქონდა, როდის შევერკინებოდი ერთმანეთს. ჩემს გატაცებათა შო-
რის თქვენ ერთადერთი ხართ, წამით რომ ძალა მოიპოვეთ ჩემზე. თუმცა ჩემი
დაღუბვა კიდევ რომ მოგესურვებინათ, ნეტა რა ხერხები უნდა გეხმარათ? სა-
უბრები ხომ არა, მუდამ უკვალო რომ რჩება, ან კიდევ არცთუ სარწმუნო ფა-
ქტთა რიგი, რომელთა თაობაზეც მართალი მონაყოლიც უნიჭოდ შე-
თითხნილ რომანსა ჰგავს?

მართალია, მას შემდეგ უკვე ჩემს ყველა საიდუმლოს გიზიარებთ, მაგრამ

ხომ იცით, რა მიზნები გვაკავშირებს? ისე რომ, შეიძლება კია ჩვენ ორში მე დამწამოს ვინმემ, სიფრთხილე გაკლიათ?¹

რაკილა ანგარიშს გაბარებთ, მინდა ზუსტიც იყოს იგი. თითქოს ახლაც მესმის თქვენი სიტყვები, რაც უნდა იყოს, თქვენს მოახლეზე მაინც ხართ დამოკიდებული. დიახ, დიახ. ჩემი გრძნობები თუ არა, ჩემი ქმედებანი მან კარგად უწყის. როცა ეს მითხარით, გიპასუხეთ, მისი მწამს-მგებლობა რომ სრულიად დაგამშვიდათ, ამის საბუთი ის გახლავთ, მას სტყოს სრულყოფილ მივიწინდვით მისთვის თქვენი საკმაოდ სახიფათო საიდუმლოებანი. მაგრამ რადგანაც ახლა პრევანმა ეჭვები აღვიძრათ და თავგზა ავიბნიათ, ვფიქრობ, ლიტონ სიტყვაზე არ მერწმუნებით და ამიტომ უნდა ავიხსნათ ყველაფერი.

პირველ ყოვლისა იგი ჩემი ძუძუმტე გახლავთ. ეს კი მისი წრის ხალხისთვის ძალზე ბევრს ნიშნავს, თუმცა ჩვენ კი არაფრად ვაგდებთ. ამასთან მისი საიდუმლო ვიცი, მეტიც: მე იგი დალუბვას გადავარჩინე, როცა სიყვარულის მსხვერპლი შეიქნა. მის განრისხებულ მშობლებს, პატიოსნების დიდ დამცველთ, გოგოს მონასტერში დამწყვდევა სურდათ და მე მომმართეს. რა თქმა უნდა, მყისვე ვიაზრე, როგორ შემეძლო ამით მესარგებლა. მათ მხარი დაუუჭირე, დატუსაღების ბრძანება ვითხოვე და მივიღე კიდევ. მერე უეცრივ მოწყალება გამოვიჩინე, მშობლებიც დავითანხმე, შობუც მინისტრზე ჩემი გავლენა გამოვიყენე და ყველანი დავარწმუნე, ეს ბრძანება ჩემთან დარჩენილიყო. ჰოდა, ჩემი ნება იყო უკვე, როგორ განვსჯიდი მის საქციელს, უშედეგოდ დავტოვებდი თუ მის აღსრულებას მოვითხოვდი. ამგვარად მან იცის, მისი ბედი რომ ჩემს ხელთაა. ხოლო თუ ესოდენ ძლიერი იარაღა გოგოს ვერ შეაკავებდა — ეს კი გამორიცხული გახლავთ — მისი საქციელის გამომწეურება და სასჯელი, რაც მოელოდა, განა სულ მალე არ დაუკარგავდა ჩემზე ნათქვამ მის სიტყვებს ყოველგვარ ნდობას?

ჩემს ასეთ სიფრთხილეს ყველაფერში, მე რომ ძირითადად მიმაჩნია, შეიძლება სხვა ბევრიც დაემატოს შემთხვევითი თუ ადგილობრივი ხასიათისაა საქმიროებისდა მიხედვით საზრიანობა თუ ჩვევა რომ მკარნახობდა. მათი ჩამოთვლა დიდ შრომას მოითხოვს. მაგრამ მათი გამოყენების უნარს დიახაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ხოლო თუ მაინცდამაინც გსურთ მათი გაგება, ნუ დაიხარებთ ყველა ჩემი საქციელიდან გამომწეროთ ისინი.

არა, მაინც რამ გაფიქრებინათ, რომ ესოდენი ძალისხმევის დახარჯვის შემდეგ იმას დაუშვებ, მან ნაყოფი არ გამოისხას, რომ ესოდენ მცდელობათა შედეგად სხვა ქალებზე ამაღლებული იმას დაუშვებ, მათ მსგავსად ვისმე ფეხქვეშ გავეგო, სისულელეები ჩავიდინო ან მეტიმეტი გაუბედაობა გამოვიჩინო, რაც მთავარია, ისე შემაშინოს და დამაფრთხოს ვიღაც ვაჟბატონმა, რომ ერთადერთ ხსნად გაქცევა მივიჩნიო? არამც და არამც, ვიკონტ, ან გამარჯვება ან სიკვდილი! პრევანს რაც შეეხება, მე მსურს იგი ხელში მოვიგდო და მოვიგდებ კიდევ. მასაც იგივე სურს ბრძანოს ჩემზე, მაგრამ ვერ ბრძანებს. აი ორიოდ სიტყვით ჩვენი რომანის ამბავი. მშვიდობით.

...დან, 80 სექტემბერი 17...

1. ქვემოთ, 152-ე წერილიდან მკითხველისთვის ცნობილი გახდება ბატონ დე ვალმონის საიდუმლო თუ არა, დაახლოებით მისი არსი, და დავვეთანხმება, უფრო მეტი ცხადყოფა ამისი ჩვენ არ შეგვეძლო.

82-ე წერილი

სხილი ვოლანგი შევალე დანხენის

დმერთო ჩემო, როგორ მატკინა გული თქვენმა წერილმა! თურმე არც ღერდა, ასე მოუთმენლად რომ ველოდი! რა იმედი მქონდა, რაღაც ჩუქვეს მაინც მომცემს-მეთქი, მან კი უფრო დამიმძიმა გული, ვინემ მის მიღებამდე მძინარე ვკითხულობდი და შწარედ ვტიროდი. თუმცა ამიტომ არ გასაყვედურობთ. ადრეც მიტირია თქვენ გამო, მაგრამ ასე არ გავტანჯულვარ. ახლა კი სხვაა.

რისი თქმა გნებავთ, როცა მწერო, სიყვარული ჩემთვის წამებად იქცა ასე ცხოვრება აღარ ძალმიძსო? ნუთუ იმითომ გადამიყვარებთ, სიყვარული რომ აღარ განიჭებთ ადრინდელივით სიამოვნებას? მგონი, თქვენზე ბედნიერი არც მე ვარ, პირიქითაც კი, მაგრამ მაინც უფრო მეტად მიყვარხართ. თუ ბატონმა დე ვალმონმა წერილი არ მოგწერათ, ეს ხომ ჩემი ბრალი არაა. მეც ვერ შევძელი მეთხოვა, რადგან ვერ მომიხერხდა მასთან მარტო დარჩენა. არადა, შეთანხმებულები ვიყავით, გარეშეებთან არ დავლაპარაკებოდი ერთმანეთს. ესეც აკი ჩვენი გულისთვის ხდება, რათა ძალე მოახერხოს ის, რაიც ასე გწადიათ. ვერ ვიტყვი, ეს ამბავი თავად არ მინდა-მეთქი, და ეს უნდა დამიჯეროთ, მაგრამ რა შემძლია ვქნა? ხოლო თუ ეს ამბავი ადვილად მიგაჩნიათ, იქნებ თვით მოიფიქროთ სხვა გზა. მეც ხომ ეს მინდა.

როგორ გგონიათ, ძალიან მსიამოვნებს, დედა რომ ყოველდღე მთათხავს. მას ხომ მანამდე ჩემთვის ერთი ცუდი სიტყვა არ უთქვამს — პირიქითაც კი, ახლა კი მონასტერზე უარეს დღეში ვარ. თავს იმით მაინც ვინუგეშებდი, რომ ყოველივეს თქვენ გამო ვიტან. ხანდახან ეს კიდევ სიხარულს მგერიდა. მაგრამ როცა ვხედავ, თქვენც ბრაზობთ და ბრაზობთ სულ უმიზეზოდ, ეს უფრო მტკენს გულს, ვინემ ის ამბები, აქამდე რომ გადავიტანე.

ჭირს თქვენი წერილების მიღებაც. ბატონი ვალმონი ესდენ თავაზიანი და მოხერხებული რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რა მეშველებოდა. თქვენთან მოწერა ხომ კიდევ უფრო ძნელია. დილაობით წერა ვერ გამიბედავს, დედა მუდამ სადღაც ახლოს ტრიალებს და მაკითხავს ხოლმე. ზოგჯერ დღის შუა საათებში თუ ვახერხებ, როცა იმ მიზეზით გამოვდივარ, უნდა ვიმღერო და არფაზე დავუკრა-მეთქი. მაშინაც დროდადრო ვწვევებ წერას, რათა გაიგონონ, როგორ ვვარჯიშობ. ჩემდა ბედად, ჩემი მოახლე საღამოობით ხანდახან ადრე იძინებს. ვეუბნები, უშენოდაც მშვენივრად დავწვები-მეთქი, ოღონდაც წავიდე და სანათლე დამიტოვოს. მაშინ საწოლის ფარდის უკან ვძვრები, სინათლე რომ არ დაინახონ. ოდნავი ხმაურის გაგონებაზე ყველაფერს საწოლში ვმაღავ, თუკი შემოვლენ. ნეტა ეს ყველაფერი თქვენი თვალით განახათ! მაშინ მიხვდებით, როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს, ეს ყველაფერი რომ გააკეთოს. მოკლედ, გეფიცებით, რაც შემძლია ყველაფერს ვაკეთებ და ნეტა შემძლოს უფრო მეტი გავაკეთო.

რა თქმა უნდა, უარზე არა ვარ გითხრათ, მიყვარხართ და მუდამაც მეყვარებით-მეთქი. ასე წრფელი გულით არასოდეს მითქვამს ეს, თქვენ კი მაინც მიბრაზდებით! არადა, ხომ მარწმუნებდით ამ სიტყვების თქმამდე, ისინი საკმარისი იქნება ჩემს გასაბედნიერებლად. ასე მწერდით წერილში და ამას ვერ გადათქვამთ. მართალია, ის წერილები ჩემთან აღარაა, მაგრამ ისე მახსოვს, თითქოს ყოველდღე ვკითხულობდე. ამ ჩვენი განშორების შემდეგ კი სულ სხვანაირად დაიწყეთ ფიქრი! მაგრამ რა იცით, იქნებ ეს განშორება — სამუდამო არც იყოს? დმერთო, რა უბედური ვარ — სულ კი თქვენი მიზეზით!

ბარემ თქვენს წერილებზეც გეტყვით: იმედია, შეინახავთ, როცა დედამ წამართვა და თქვენ გამოგიგზავნათ ისინი. იქნებ დადგეს დრო, ასე შევიწროებული აღარ ვიყო, მაშინ კი ყველას დამიბრუნებთ. რა ბედნიერი ვიქნები, როცა შემეძლება მათი შენახვა და აუგად ამას არავინ ჩამითვლის! თქვენს ახალ წერილებს ისევ ბატონ დე ვალმონს ვუბრუნებ, თორემ შეიძლება კვლავაც უბედურება დამატყდეს. და მაინც ამ წერილების დაბრუნებისას მტკივნეულად მტკივნეული გული.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო. მთელი გულით მიყვარხართ. იმედია, ახლა აღარ გამიბრუნდებით. ეს რომ დარწმუნებით ვიცოდეთ, აღარც მე ვინაღვლებდი. მომწერეთ რაც შეიძლება ძალე, რადგან ვგრძნობ, მანამდე დარდი არ გადამივლის.

...კოშკიდან, 22 სექტემბერი 17...

83-ე წერილი

ვიკონტ დე ვალმონი მრეზიდენტის მეუღლე ქ-ს დე ტურველს

გემუდარებით, გეხუეწებით, განვაახლოთ ჩვენი რა ხანია შეწყვეტილი საუბრები! შემადლებინეთ ბოლოს და ბოლოს დაგიმტკიცოთ, რაოდენ განვსხვავდები იმ უმსგავს სურათიდან, ჩემზე რომ დაგიხატეს. რაც მთავარია, მომეცით საშუალება კვლავ მოვიპოვო საამური ნდობა, უკვე რომ გინდებოდათ ჩემდამი! ჰოი, რარიგ მომხიბლავს აჩენთ სიკეთესა და ზნეობას! რარიგ მშვენიერსა ხდით ყველა კეთილშობილ გრძნობას და რარიგ აყვარებთ მათ აღამიანს! ეს ვახლავთ თქვენი ყველაზე დიდი ხიბლი და სხვა დანარჩენზე უფრო ძლიერი, მხოლოდ ის გამორჩილებს ესდენ ძალუმად და გავსებს პატივისცემით.

რა თქმა უნდა, საკმარისია ვინმემ გიხილოთ, რომ თქვენთვის თავის მოწონება მოესურვილოს, საკმარისია საზოგადოებაში გისმინოთ ვინმემ, ეს სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერდეს. მაგრამ ვისაც ხვდა წილად ბედნიერება თქვენი ახლოს გაცნობის, ვინც თუნდაც იშვიათად ჩაგხედავთ სულში, განიმსჭვალება უფრო კეთილშობილური გრძნობით, აღსავსე არა მარტო სიყვარულით, არამედ მოწიწებითაც და მისთვის ყველანაირი სიკეთის ხატად იქცევით. ვინ იცის, იქნებ მე ვახლდით სხვებზე მეტად გაჩენილი მათ შესაყვარებლად, მათ კვალზე საუღელად, მაგრამ ზოგმა ჩემმა შეცდომამ გზას ამატდინა, თქვენ ხელახლა მიმაახლოვეთ მათ, ხელახლა მაიძულეთ მეგრძნო მათი მშვენება და სილამაზე. ნუთუ დანაშაულად ჩამითვლით, რომ კვლავაც აღვივსე სიყვარულით? ნუთუ გამკიცხავთ იმის გამო, რაც თვითონვე მოიმოქმედეთ? ნუთუ თავს უნდა დააყვედროთ, თუკი ჩემდამი თანაგრძნობას გამოიჩენთ? ან რა ვნება უნდა მოგაყენოთ ამ წმინდა გრძნობამ ან არ უნდა გეტკბილოთ მისი განცდა?

დაგაფროთხოთ ჩემმა სიყვარულმა? ბობოქრად, მძვინვარედ მივაჩნიათ იგი? მაშ მოათვინიერეთ ის უფრო ნაზი გრძნობით. უარს ნუ იტყვით იმ ძალასა და უფლებებზე, რასაც გთავაზობთ, რისიც, ვფიცავ, მარად მორჩილი დავრჩე, და რაიც—მერწმუნეთ—სულაც არ ეწინააღმდეგება კეთილზნეობას. რა მსხვერპლი უნდა მეძძიმოს, თუკი დაურწმუნდები, რომ გულმა თქვენმა შეიცნო მისი ფასი? განა არსებობს კი ისეთი საცოდავი კაცი, რომ არ ეტკბილოს ის უბედური ყოფა, რაშიაც თვითვე ჩაიგდო თავი და არ ერჩიოს თუნდ ერთი სიტყვა, თუნდ ერთი ნებაყოფლობითი მზერა მისკენ მიმართული, ყველა იმ ნეტარებას, ძალით

თუ მოტყუებით რომ შეეძლო ეგემა? თქვენ გეგონათ, მე ასეთი ვარ! და ამიტომ გეშინოდათ ჩემი! ჰოი, რად არაა ჩემზე დამოკიდებული თქვენი ბედნიერება? ჰოი, როგორ გადავიხდით სამაგიეროს, ბედნიერი რომ გამეხადეთ! ოღონდაც უნაყოფო მეგობრობა არ გვანიჭებს ამ ძალასა და უფლებას, მას მარტო სიტყვარულს უნდა ვმადლიდეთ.

გაშინებთ ეს სიტყვა? კი მაგრამ, რატომ? უფრო ნაზი, უფრო ჭკუდრეუდი ვშირი, ერთნაირი აზრები, საერთო ბედნიერება, როგორც საერთო ჭკუდრეუდი? განა ეს ყოველივე თქვენს სულს ეუცხოება? არადა, სწორედ ასეთია სიყვარული, ყოველ შემთხვევაში ის, თქვენ რომ ჩამინერგეთ და მე რომ განვიცდი, სწორედ იგია, რომ პირველ ყოვლისა ჩვენს საქმეთა უანგარო აწონ-დაწონისა და განსჯის შემდეგ აფასებს მათ ჭკუდრეუდი ღირსებების მიხედვით და არა საბაზრო ფასით. სწორედ იგია მგრძობიარე სულთა უღვევ-უშრეტი განძი და ყოველივე მისით თუ მის გამო ნამოქმედარი ძვირფასი ხდება.

განა ასე საშინელია ეს ჭკუდრეუდებიანი ასე ადვილად ჩასაწვდომნი და ასე უტკბესნი განხორციელების შემდგომ ცხოვრებაში? ან რა საფრთხეს წარმოადგენს მგრძობიარე სულის კაცი, ვისაც ისე უყვარხართ, თქვენი ბედნიერების გარდა მისთვის სხვა არაფერი არსებობს? ამჟამად ეს ჩემი ერთადერთი სურვილია, მის განხორციელებას მზადა ვარ ყველაფერი შევწირო გარდა იმ გრძობისა, მანვე რომ აღძრა. ეს გრძობა რომ გაიზიაროთ, თქვენ შეგეძლებათ მისი მართვა თქვენი ნებისდა მიხედვით. მაგრამ ხომ ვერ დავუშვებთ, მან ერთმანეთს დაგვაშოროს, როცა ჩვენი შეერთება მართებს. უკეთუ თქვენ მიერ შემოთავაზებული მეგობრობა 'ლიტონი სიტყვა არაა, თუკი, როგორც მითხარი, თქვენი სულისთვის მისაწვდომ გრძობათა შორის იგი ყველაზე ნაზია, დე დაედოს იგი საფუძვლად ჩვენს შეთანხმებას. მე არ უარყოფი მის ძალას ჩვენზე. მაგრამ სიყვარულის განსჯისას და დათანხმდეს, მასაც მოუსმინოს. ამაზე უარის თქმა უსამართლობა იქნებოდა, მეგობრობას კი უსამართლობა არა სჩვევია.

ჩვენს მეორე საუბარს იმაზე მეტი დაბრკოლება არ შეხვდება, ვინემ პირველს. ის შესაძლოა შემთხვევამ გვარუქოს, შესაფერისი დრო კი თვით შეგეძლებათ დანიშნოთ. მზად ვარ ვირწმუნო, რომ მართალი არ ვარ. მაგრამ ნუთუ გირჩევნიათ ჩემი ვაგდება, ვინემ შეგონება, ნუთუ არ ფჯერათ ჩემი მორჩილებისა? თუ რომ აბეზარი მესამე პირის გამოჩენა არა, იქნებ კიდევაც დაგთანხმდებოდით, იმხომ დიდია თქვენი ძალა და გავლენა ჩემზე.

გამოგიტყდეთ? ეს დაუძლეველი ძალაა, რასაც ვმორჩილებ და რისი გაზომვაც ვერ გამიბედავს. ეს უძლეველი ხიბლია, ჩემს ფიქრთა და საქციელთა დედოფლად რომ გაქციათ — ზოგჯერ მაშინებს კიდევ ისინი, ვაჰმე! განა არ უნდა ვუფრთხოდე იმ საუბარს, რომელსაც გთხოვთ? ვინ იცის, აღთქმებით შებოჭილმა შველა ისევ თქვენ გთხოვოთ, თუკი სიყვარულის აღი ესდენ შემომენტება, არადა, ვგრძობ, ისე უბრალოდ იგი არ ჩაქრება! ოჰ, შემოწყალეთ, ბოროტად ნუ გამოიყენებთ ამ თქვენს ძალას ჩემზე. თუმცა რას ვამბობ! როგორც არ უნდა დავიტანჯო, თუკი ეს ბედნიერს ვაგზდით და თქვენს ღირსად შეგარაცხინებთ ჩემს თავს, ეს ფიქრი დამანუგეშებს და შემომსუბუქებს ტანჯვას! თუმცა კი ვგრძობ, რომ თქვენთან კიდევ ერთი გასაუბრება ჩემ წინააღმდეგ უფრო ძლიერ იარაღს მოგცემთ და კიდევ უფრო დამოკიდებულს გამხდის თქვენს ნება-სურვილზე. თქვენს წერილებს უფრო იოლად შეებრძოლება კაცი. ისინი იგივეა, რაც თქვენი სიტყვები, მაგრამ თავად იქ არ ხართ და ამიტომ მათ ის ძალა აღარა აქვს. არადა, ისე მახარებს ხოლმე თქვენი ხილვა, რომ ამ საფრთხეს არად ვაგდებ.

ასეა თუ ისე, მაინც ბედნიერად გვრძნობთ თავს, რომ ყველაფერი ვიღონე თქვენი გულისთვის ჩემი თავის საზიანოდაც და ამ გაღებულ მსხვერპლით ჩემი მოწიწებაც დავადასტურე. უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნებოდი, აბსინაირად რომ დავიმტკიცოთ, როგორც აბსინაირად ვგრძნობ — თქვენ ხართ და მარტო იქნებით ჩემთვის ყველაზე ძვირფას არსებად საკუთარ თავზე მეტად.

...კოშკიდან, 23 სექტემბერი 17...

84-ე წერილი

ვიკონტ და ვალმონი ხესილი ვოლანეს

ხომ ნახეთ გუშინ, როგორ შეგვიშალეს ხელი. მთელი დღე ვერა და ვერ მოვახერხე თქვენთვის გამოგზავნილი წერილი გადმომეცა, არ ვიცო, დღესაც შევძლებ თუ არა. ვაითუ დაგაღალატოთ და ჩემს მოხერხებას მონდომებამ აჯობოს. თავს ვერ ვაპატიებ, ჩემი გაუფრთხილებლობა საბედისწერო გამოდგეს და თქვენი სამუდამო გაუბედურებით ჩემი მეგობარი სასოწარკვეთილებაში ჩავაგდო. კარგად ვიცო, რა მოუთმენელია ხოლმე სიყვარული. შესძის, რა მძიმეა თქვენს დღეში მყოფისთვის ოდნავი შეგვიანებაც კი ამ ერთადერთი ნუგეშისა. ბევრი ვიფიქრე, რა გზით შეიძლება ამ დაბრკოლებათა გადალახვა, და მოვიფიქრე კიდევ. თქვენც თუ დამეხმარებით, იოლად განვახორციელებთ.

როგორც შევამჩნიე, დერეფანში გამოძავალი თქვენი კარის გასაღები მუდამ დედათქვენის ოთახშია ბუხრის თავზე. თავადაც ხვდებით, ამ გასაღების ხელში ჩაგდება ყველაფერს გაგვიადვილებს. მაგრამ რაკი ის არა გვაქვს, მეორე ზუსტად ისეთივე გასაღებს გიშოვით. ჩემთვის საკმარისია ერთი-ორი საათით პირველი გასაღები მოვიხელთო. ცხადია, არცთუ ისე გაგიძნელებათ მისი აღება. ხოლო რომ არაეინ შეამჩნიოს მისი გაქრობა, ჩემს გასაღებს გაძლევთ, საკმაოდ რომ ჰგავს თქვენსას. განსხვავებას ვერაეინ შეამჩნევს, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე არ შეეცადა მის გასინჯვას, თუმცა ეს არ მოხდება. ოღონდაც მას ცისფერი ლენტე უნდა გამოაბათ ზუსტად ისე, როგორც თქვენსაზეა.

ეს გასაღები ხვალ ან ზეგ უნდა მიშოვნოთ. როცა დილის საუზმეზე დავსხდებით, მაშინ ადვილად გადმომცემთ. საღამოს კი უკვე თავის ადგილზე გაჩნდება, ანუ იმ დროს, როცა დედათქვენმა შეიძლება ყურადღება მიაქციოს. სადილობამდეც შემიძლია დაგიბრუნოთ, თუკი შევთანხმდებით.

ხომ იცით, სასტუმროდან სასადილოში წასვლასას წინ ქ-ნი როზმონდი მიგვიძღვება, ჩემთან მკლავგაყრილი. თუ ოდნავ შეაგვიანებთ საქარგავიდან ადგომას, ან რასმე დააგდებთ ძირს დასაყოვნებლად, ზურგს ჭკან დადებულ ხელიდან შეგიძლიათ გასაღები გამომართვათ. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, გასაღებს რომ აიღებთ, მაშინვე მამიდაჩემს მიეახლოთ და მიეაღერსოთ. თუ შემთხვევით გასაღები დაგივარდათ, არ დაიბნეთ: ისე დავიჭერ თავს, ვითომც მე დამივარდა. დანარჩენი უკვე ჩემი საქმეა.

ისე კი ამ პატარა ხრიკს დედათქვენის თქვენდამი უნდობლობა და მისი სასტიკი მოპყრობა ამართლებს. თანაც სხვა გზა არცა გვაქვს, დანსენის წერილები რომ კვლავაც მიიღოთ და თქვენი გადავცე. სხვა გზები შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს და სამუდამოდ დაგლუპოთ ორივენი. სიფრთხილე და თქვენდამი მეგობრობა არ მაძლევს უფლებას მათ მიემართო.

გასაღები რომ ხელთ გვექნება, ისღა დაგვრჩება საზრუნავი, კარმა ან საკეტმა არ გაიჭრიალოს. თუმცა ამას აღვიღად მოევლება. იმავე კარადის ქვეშ, სადაც თქვენთვის ქაღალდები შევმალე, პატარა შუშით ზეთი და ფრთა დაგვხვდებათ. ხომ შედიხართ ხანდახან ოთახში მარტო, აი მაშინ დახეთქეთ საკეტო და კარიც, ოღონდაც ისე, ლაქები არ დააჩნდეს და ამან არ გაგვეცხადოს. თანაც ღამემდეგ მოიცადეთ, რადგან თუ სიფრთხილეს გამოიჩენთ, ამას ვერ ვხვდებით, დილით უკვე ვერაფერს შეამჩნევს.

ხოლო თუ მაინც შეამჩნიეს. მყის იატაკის გამპრიალებელს გადააბრალეთ. ამასთან ზუსტად მიანიშნეთ დროც და მასთან საუბარიც გადაეცით—არ უნდოდა გაუქმებული საკეტები დაჯანსუღიყო-თქო, რადგან დაუჯერებელი იქნებოდა თქვენსობას ეს გაეკეთებინა და არ გეკითხათ, რაშია საქმეო. სწორედ ასეთი პატარა წერილმანები ხდის ზოლმე ამბავს დამაჯერებელს, დამაჯერებლობა კი სიცრუეს იცავს უსიამო შედეგებისგან, რამეთუ არავის ებადება სურვილი მისი შემოწმებისა.

როცა ამ წერილს წაიკითხავთ, გთხოვთ კიდევ ერთხელ ჩაიკითხოთ და კარგად ჩაუკვირდეთ. თავიდათავია მტკიცედ იცოდეს კაცმა, რის გაკეთებას აპირებს, და დარწმუნდეს, რომ არაფერი გამორჩა. ჩემს პირად ამბებში ეშმაკობა არასოდეს მჩვეოდა და ამიტომ არც საამისო გამოცდილება მაქვს. თურმე საჭირო ყოფილა დანსენი ასე შემყვარებოდა და თქვენც ხსე შემცოდებოდით, რომ მსგავსი რამ გამებდა, რარიგ უწყინარიც არ ყოფილიყო ეს ხერხები... მაგრამ თქვენმა უბედურებამ ისე ამიჩვილა გული, მათ შესამსუბუქებლად არაფერს დავიშურებ.

კარგად მოგეხსენებათ, რაკი შეგვეძლება ერთმანეთს ხშირ-ხშირად შევხვდეთ, გაცილებით გამიადვილებთ დანსენისთანაც შეხვედრა მოგიწყობთ, რაზედაც ახე იკლავს თავს. ოღონდაც ამაზე ჯერჯერობით ნურაფერს აცნობებთ. მოუთმენლობა უფრო მეტი ძალით აიტანს, არადა, მისი მოუთმენლობის დაკმაყოფილება ჯერ კიდევ არ შემძლია. ჩემი აზრით არ უნდა ააფორიაქოთ იგი, პირიქით. მისი დაწყნარება გმართებთ. ამ მხრივ თქვენი ფაქიზი სულის იმედი მაქვს. მშვიდობით, ჩემო ღამაზო გოგონავ, ვისიც მეურვე გამოვდივარ. რაც მთავარია, ცოტა მაინც შეიყვარეთ იგი და დაუჯერეთ — ამით მოგებული დარჩებით. თქვენს ბედნიერებაზე ზრუნვისას, ვინ იცის, ჩემიც ვიპოვო.

...დან, 24 სექტემბერი 17...

85-ე წერილი

მარკიზის მეუღლე ქ-ნი დე პერტიე ვიკონტ დე ვალმონს

ბოლოს და ბოლოს დაიმშვიდეთ გული და, რაც მთავარია—საკადრისი მომავლეთ. ჰოდა, მისმინეთ და სხვა ქალებში აღარ ამრიოთ. მე ბოლომდე მივიყვანე პრევიანთან ჩემი განაზრახი. ბოლომდე-მეთქი! გესმით თუ არა, ეს რას ნიშნავს? შეგიძლიათ განსაჯოთ, ჩვენგან რომელ ერთს — მე თუ მას აქვს სატრაბახო. თუმცა მოყოლა ისე შესაქცევი არ იქნება, როგორც თვით ამბავი. ისე კი სადაური სამართალია, თქვენ — ვინც მხოლოდ მსჯელობდა, გავიმარჯვებ თუ დავმარცხდები — ყოველივე ამისგან ისეთივე სიამოვნება მიიღოთ, როგორც მე, ამდენი დრო და ძალისხმევა რომ დავახარჯე.

ხოლო თუ რაღაც დიდი ზრახვა გაქვთ ჩაფიქრებული, თუ აპირებთ მის მიმართ რაღაც ჩანაფიქრის განხორციელებას და საფუძველი გაქვთ მისი მეტოქეობისა გეშინოდეთ, მაშინ ჩამობრძანდით. ბრძოლის ველი მან დია დავითოვანთ, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. თუმცა იქნებ ვერც ვერასოდეს გაიმართოს წელში იმ ლახვრის შეშდეგ, მე რომ ჩავეცი.

ბედი გქონიათ, ჩემისთანა მეგობარი რომ გყავთ! მე რატომ უნდა ვიყო ფერია ვარ. იტანჯებით თქვენი გულის 'მომნადირებელი ლაშქარის' შორს ყოფნით? ჩემი ერთი სიტყვა და მყის მის გვერდით გაჩნდებით. გნებავთ იმ ქალზე იძიოთ შური, ასე რომ გაუნოთ? მე გეტყვით, სად ჩასცეთ ლახვარი, და იგი უკვე თქვენს ხელთ იქნება. მევედრებით, თქვენი საშიში მეტოქე ასპარეზიდან გავაქციო, და მეც წყალობას ვიჩენ თქვენდამი. მართალი ვითხრათ, მთელი ცხოვრება თუ მაღლიერი არ დამრჩებით, მაშ მაღლიერები? კრძნობა საერთოდ არც გქონიათ. თუმცაღა ვუბრუნდები ჩემს ამბავს და თავიდან მოგიყვებით ყველაფერს.

ოპერიდან გამოსვლისას ესდენ ხმამაღლა დანიშნული 'პაემანი მიღებულ იქნა. პრევანი მობრძანდა. როცა მარშლის მეუღლემ თავაზიანად უთხრა, ფრიალ მიხარია, ჩემს მისაღებ დღეებში ორჯერ ზედიზედ რომ გიხილეთო, პასუხი არ დააყოვნა- სამშაბათიდან მოყოლებული სხვა არაფერი მიკეთებია გარდა ჩემი სავიზიტო საათების გადაჯგუფ-გადმოჯგუფებისა, რათა დღევანდელი საღამო გამომენთავისუფლებიაო. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა! რაკილა ზუსტად მინდოდა მცოდნოდა, სწორედ მე ვარ თუ არა ასეთი საამური ძალისხმევის საგანი, გადავწყვიტე ამეძულებინა ჩემი ახალი მოტრფიალე არჩევანი მოეხდინა ჩემსა და მის მთავარ გატაცებას შორის და განეცხადე, არ ეთამაშობ-მეთქი. მართლაცდა ათასი საბაბი გამონახა არ ეთამაშა. ისე რომ, ჩემი პირველი გამარჯვება ლანდსკნეჰტზე² იქნა მოპოვებული.

სასაუბროდ ...ის ეპისკოპოსი ჩავიგდე ხელში. ჩავიგდე იმიტომ, რომ ამ დღის გმირის ახლოს იდგა, უისთვისაც ყოველნაირად ვცდილობდი ჩემთან მოსვლა გამეადვილებინა. ამასთან მინდოდა საჭიროების შემთხვევაში ჩემი სიტყვებისა და საქციელის ყველასგან პატივცემული მოწმე მყოლოდა. ჰოდა, ყველაფერი ჩინებულად მოეწყო.

პრევანმა ჯერ ჩვეულებრივი, ზოგადი საუბარი წამოიწყო. მალე ხელთ იგდო იგი, ხან ერთი ელფერი მისცა, ხან მეორე, რომელი უფრო მეამებოდა. მე განეცხადე, გრძნობების არა მწამს-მეთქი, და უარი ვთქვი მგრძნობიარე კილოზე. ჩემმა ასეთმა სიდინჯემ მის მზიარულებას ლაგამი ამოსდო, დასაწყისისათვის რომ ცოტა არ იყოს ქარაფშუტული მეჩვენა. მაშინ მზრუნველ-მეგობრულ კილოზე გადავიდა. სწორედ ამ ყოველად გაცვეთილი დროშის ქვეშ დაიწყო ჩვენი შერკინება.

ვახშამზე ეპისკოპოსი არ წამობრძანდა. ხელმკლავი პრევანმა შემომთავაზა და სუფრაზეც, ცხადია, ჩემ გვერდით დაჯდა. უნდა გამოვუტყდე, დიდი ოსტატობა გამოიჩინა ჩემთან საუბარში. ამასთან ისე ეჭირა თავი, ვითომდა მხოლოდ საერთო საუბარშია ჩართული და თან მთავარი მონაწილეც არისო. დესერტზე ლაპარაკი ახალ პიესაზე ჩამოვარდა, უახლოეს ორშაბათს რომ უნდა გასულიყო ფრანგულ თეატრში. ოდნავი სინანული გამოვუთქვი, ვაი რომ იქ ლოცა

1. იხილეთ 74-ე წერილი.

2. XVIII საუკუნეში გავრცელებული ბანქოს თამაში.

არა მაქვს-მეთქი. პრევიარმა თავისი შემოშთავაზა, რა თქმა უნდა, პირველად ვი-
უარე, რაზედც საკმაოდ მოსწრებულად მიბასუხა, ნათქვამი კარგად ვერ გამი-
გეთ, ნაკლებად ნაცნობისთვის ჩემს ლოყას არ გავწირავდი, მხოლოდ გაფრ-
თხილება მიხდოდა თქვენი, ლოყა მარშლის მეუღლის განკარგულებაში გახ-
ლავთო. მარშლის მეუღლე არ განაწყენებულა ამ ხუმრობაზე და მეც დავეთან-
მდი.

ერქვენული

ისევ სასტუმრო ოთახში რომ ავბრუნდით ყველანი, ალბათ მძინარეობის შემდეგ
ლოყაში თავისთვისაც მთხოვა ადგილი. მარშლის მეუღლემ, მისადმი მუდამ კეთი-
ლად განწყობილმა, აღუთქვა, იმ პირობით შემოგიშვებთ, თუ ჭკვიანად მოიქცევი-
თო. პრევიარმა მყის ისარგებლა ამით და ის ორაზროვანი ბრწყინვალე საუბარი წა-
ნიოწყო, თქვენც რომ ასე უქებდით. მარშლის მეუღლის მუხლებთან პატარა
ბიჭვიით მიმჯდარმა — მისივე თქმით, მარშლის მეუღლისთვის რომ რჩევა ეკით-
ხა და დარიგებანი გამოეთხოვა — საქებარი სიტყვების ბუქი დააყენა, სინაზეს
რომ არ იყვნენ მოკლებულნი. ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ისინი ჩემს გასა-
გონად იყო ნათქვამი. ნავახშმევს ბევრმა არ ისურვა ბანქოს თამაში და საუბა-
რიც საერთო, თუმცა ჩვენთვის ნაკლებ საინტერესო გახდა. სამაგიეროდ ჩვენი
თვალეები ფრიალ მჭვერმეტყველებდნენ. არა, ჩემი კი არა, მისი,
რადგან ჩემი მხოლოდ გაოცებას გამოხატავდნენ. ეს გაოცება, მისი აზრით ალ-
ბათ იმ შთაბეჭდილების შედეგი იყო, ჩემზე რომ მოახდინა და, მგონი, კმაყო-
ფილი დარჩა. არანაკლებ კმაყოფილი გახლდით მეც.

შემდეგ ორშაბათს შეპირებისამებრ ფრანგულ თეატრში წავედი. თუმცა ლიტე-
რატურა ფრიალ ვიტაცებთ, მაგრამ წარმოდგენაზე ვერაფერს ვიტყვი. ვეტყვი
მხოლოდ, რომ პრევიარი მოთაფლვის გასაოცარი ოსტატი ყოფილა და რომ პიესა
ჩაუარდა. აი რაც თეატრში გავიგე. გული დამწყდა, ჩემთვის ესოდენ სააბური
საღამო რომ უნდა დამთავრებულიყო, და მის გასაგრძელებლად მარშლის მეუ-
ღლეს ვთხოვე ვახშმად ჩემთან წამობრძანებულიყო. ამ საბაბით იგივე შევთავა-
ზე ამ ფრიალ ზრდილ მლიქვნელსაც. მან მხოლოდ მთხოვა, ნება მომეცით გრაფ
დუ პ...-ს მეუღლეს ვეახლო და თავი გავინთავისუფლო მასთან შეპირებულ და-
რბაზობაზეო. ამ სახელის გაგონებაზე ბრაზი მომერია, მივხვდი, იქ ყველაფერს
დაფქვავდა, მაგრამ თქვენი ბრძნული რჩევანი გამახსენდა და ჩემს თავს სიტყ-
ვა მივუცვი... დაწყებული ამბავი არ გამეწყვიტა და ეს სახიფათო ჩვევაც მომეშ-
ლევიანებინა, მისთვის.

იმ საღამოს ჩემთან ცოტანი იყვნენ. იგი აქ უცხო გახლდათ და ჩვეულებ-
რივი ყურადღება უნდა გამოეჩინა. ამიტომ ვახშმად წასვლისას ხელმკლავი შე-
მომთავაზა. მაშინ კი ვერაგულად შევეცადე ხელი ამკანკალებოდა და თვალე-
დახრილი ოხვრით გაუყვივი გვერდით ისეთი იერით, ვითომდა ვგრძნობ ჩემს და-
მარცხებას და მისი მეშინია. ეს მშვენიერად შეამჩნია მაგ მოღალატემ და კილოც
და ქცევაც შეცვალა. მანამდე რომ მხოლოდ თავაზიანი იყო, ახლა სინაზით გა-
ნიმსჭვალა. ის კი არა, საუბარი შეცვალა — ამ ვითარებაში ეს შეუძლებელი
იყო, — მაგრამ მზერა მიეხიდა, უფრო ალერსიანი გაუხდა, ღიმილი უფრო
კმაყოფილი, ხმა დაურბილდა, დაცინვამ და სიტყვათა სიმახვილემ გრძნობიერ-
ბას დაუთმო ადგილი. აბა თქვით, შეიძლებოდა კი ამაზე უკეთ მოქმედება.

ჩემი მხრივ მეც ვითომდა ფიქრებმა წამილო, იმდენადაც კი, ირგვლივ
მყოფებმა შეამჩნიეს. მათ საყვედურებზე ოსტატობა მეყო არაოსტატურად და-
შეცვა თავი, ხოლო პრევიარს სწრაფი, მაგრამ შემკრთალი მზერა ვესროლე, რა-
თა ჰგონებოდა, ძალზე მეშინია ჩემი შეცბუნების მიზეზი არ გამოიცნოს-მეთქი.

ნაეახშშეკს, როცა მარშლის შეუღლებ, როგორც სჩვევია ხოლმე, ერთ-ერთი თავისი ამბის მოყოლა დაიწყო, ოტომანზე დაუდევრად გადავწყვი, ვით ოცნებებში წასული. ხულაც არ ვიყავ წინააღმდეგი პრევანს ეს შეემჩნია და მართლაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გამხადა. ალბათ მიხვდებით, რომ ჩემი შემკრთალი მზერა ჩემი მძლეველის მზერას გაურბოდა. მაგრამ კიდევ უფრო მორჩილი მზერა რომ მივაპყარ, მან მამცნაჲნ ჩემს წადილს ამაოდ არ ჩაუვლია და ის შთაბეჭდილება მომიხდენია, როგორც შეწყადა. ახლა მხოლოდ მისი დარწმუნება იყო საჭირო, რომ ამ შთაბეჭდილებას მეც ვიზიარებ. ამიტომ, როცა მარშლის შეუღლებ წასვლის სურვილი გამოთქვა, ნაზი ხმით შევძახე: „ჰოი, ღმერთო, რა კარგად ვგრძნობდი აქ თავს!“ მაგრამ მაინც წამოვდექი და, ვინემ ჩემს სტუმარ ქალს დავემშვიდობებოდი, ვკითხე, რა გეგმები ჰქონდა უახლოეს დღეებში, რათა ჩემიც მე-თქვა იმის გასაგონად, ვისაც გაგონება ეგებოდა, ზეგ შინ ვიქნები-მეთქი. ამის შემდეგ ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

მაშინ კი ფიქრს შევუდექი. ეჭვი არ მეპარებოდა, პრევანი უთუოდ ისარგებლებდა ჩემ მიერ თითქოსდა დანიშნული პაემნით და საკმაოდ ადრედაც მოვიდოდა, რათა მართლ დავეგულებინე და მთელი ძალით შემოეჭია. ის კი ვიცოდი, ჩემი სახელის წყალობით ისე ქარაფშუტულად ვერ მომექცეოდა, როგორც ცოტათი მაინც ზრდილი კაცი მხოლოდ თავგადასავლების შაძიებულ ან სრულიად გამოუცდელ ქალებთან აძლევს თავს უფლებას. ისე რომ, ჩემს გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა, თუკი სიტყვა „სიყვარული“ დასცდებოდა ანდა შეეცდებოდა ჩემთვის დაეცდინა.

რა ადვილია თქვენისთანა ხალხთან საქმის დაჭერა, ვისაც ვ ა მ ო მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი გ ა ქ ვ თ ქ ც ე ვ ი ს მ ტ კ ი ც ე წ ე ს ე ბ ი! ვინმე ახირებული თაყვანისმცემელი გაუბედავი ქცევით ხან გაბნევს, ხან სიფიცხით გაცბუნებს—ეს ხომ თავისებურ ციებ-ცხელებასავითაა შეცივება-შეხურებით და ზედ დართული კიდევ სხვა ნიშნებით, მაგრამ თქვენი გამოზომილი ნაბიჯები, ჰოი, რა ადვილი გამოსაცნობია! როგორ შეძობხვალთ, თავს როგორ დაიჭერთ, რას იტყვით, რა კილოთი — ეს ყველაფერი წინასწარ ვიცოდი. ამიტომაც ჩუენი საუბრის არსს აღარ ვადმოგცემთ — თვითონვე ადვილად აღადგენთ, იმას კი გეტყვით, ვითომდა წინააღმდეგობის გაწევით ყოველმხრივ იქით ვეხმარებოდი. ვიბნეოდი, მეტი და მეტი რომ ვთქვა, საცოდავი მიზეზები მომყავდა, უფრო იოლად რომ გაებათილებინა, შიშსა და ეჭვს გამოვთქვამდი, გაუთავებლივ საწინააღმდეგო რომ ემტკიცებინა. მისი ერთი და იგივე მანამღერი: „ერთ სიტყვას, მხოლოდ ერთ სიტყვას გეზუღარუბით,“ ჩემი ღუმელი, მას რომ მოთმენას აიძულებდა თითქოს იმიტომ, სურვილი მეტი ძალით შემონთებოდა, ჩემი ხელიც, ერთი ასჯერ რომ ჩაიჭირა და ამდენჯერვე გამოვტაცე ვითომდა არცთუ დიდი ხალისით... ასე შეიძლება მთელი დღე გაგრძელებულიყო. ეს იყო მომაკვდინებელად მოსაწყენი საათი და იქნებ აქამდეც ვყოფილიყავით ამ დღეში, თუ რომ ეზოდან კარეტის რახრაზი არ გაგვეგონა. ამ დროულმა დაბრკოლებამ ივი, ცხადია, უფრო შემტევი გახადა. ჰოდა, რაკი ვნახე, ახლა ვეღარ გამომიჭერდა, ყასიდად ამოვიოხრე და ის ძვირად ღირებული სიტყვა წავილაპარაკე. ამასობაში სტუმრების მოსვლაც მაუწყეს. მალე ნაცნობთა საკმაოდ დიდმა წრემ მოიყარა ჩემთან თავი.

პრევანმა მოხოვა, თუ შეიძლება ხვალ დილას გეახლოთო. მეც თანხმობა მივეცი, ოღონდაც თავდაცვაზეც ვიზრუნე. მოახლეს დავავალე მისი დარბაზობის ხანს ჩემს საწოლში დარჩენილიყო, საიდანაც ყველაფერი ჩანს ხოლმე, რაც

ტუალეტის ოთახში ხდება. პრევანიც სწორედ იქ მივიღე. რაკი თავისუფლად შეგვეძლო გველაპარაკა, ერთი სურვილით შეპყრობილები მალე შევთანხმდით ყველაფერზე, ოღონდაც ის აბეზარი მოწმე უნდა მოგვეშორებინა. ჰოდა, სწორედ აქ გამოვიჭირე.

ჩემი შინაური ცხოვრების ჩემებური დასურათებით ადვილად დავარწმუნე, რომ თავისუფლად ყოფნა წამითაც არ შეგვეძლება. ის წუთი, უწყინრად ხელთ მოვიგდეთ, ნამდვილად სასწაული იყო. თუმცა სინამდვილესთან შედარებით უფლება, რადგან საშიში იყო ჩემს სასტუმროში ყოველ წამს უღაც არ შემოსულიყო. ისიც დავსძინე, რომ ბოლო ხანებამდე ასეთი წესები ხელს სულაც არ მიშლიდა, ახლა კი მათი შეცვლა არამც და არამც არ შემეძლო. ეს ჩრდილს მომაყენებდა ჩემს მსახურთა თვალში. პრევანი ამაზე ხან შეწუხებას გამოხატავდა, ხან ბრაზით მეუბნებოდა, არ გიყვარვართო. თავადაც იცით, როგორ ამიჩვილებდა ამით გულს. მაშინ კი საბოლოო ლახვრის ჩასაცემად ცრემლები მოვაშველიე. ზუსტად ისე, როგორიცაა — „თქვენ ტირით, ზაირა?“ ძალა, რომელიც ჩემზე ეგონა ჰქონდა და იმედი, ამ ძალის მოშველიებით ყოველ წამს შეეძლო ჩემი დაღუპვა — ეს იყო სანაცვლო ოროსმანის² მთელი სიყვარულისა.

ამ სცენის გათამაშების შემდეგ ისევ დავუბრუნდით საკითხს, მაინც რა გვექნა და გვეღონა, დღე ჩვენ არ გვეკუთვნოდა, ამიტომ ისევ ღამეს მივმართეთ. აქ უკვე გადაულახავ დაბრკოლებას ჩემი მეკარე წარმოადგენდა, მის მოსიძვებაზე კი უარზე ვიყავი. პრევანმა შემომთავაზა, ჩემი ბადის ჭიშკრით გვესარგებლა. ამას წინასწარვე ველოდი. ჰოდა, მოვიგონე, იქ ისეთი ძაღლია, დღისით მშვიდადაა და არ ყეფს, ღამით კი ნამდვილ სატანად იქცევა-მეთქი. ყველა ამ წერილმანს ისე ხალისით განვიხილაფქი, ვაჟბატონი ღიახაც გამოთამაშდა და ყველაზე სულელური გზა შემომთავაზა, რაზედაც დაეთანხმდი.

პირველ ყოვლისა მითხრა, ჩემს მსახურს ისე შეეძლება ენდოს კაცი, როგორც მეო. და არც სტყუოდა — ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. მე წვეულებას გავმართავ, ისიც იქ იქნება და ისე მოაწყობს, რომ მარტო წავიდეს შინ. მისი სხრიანი და ერთგული მსახური კარეტას მოიხმობს და მის კარს გააღებს. პრევანი კი შიგ არ დაჯდება, მეეტლის შეუმჩნეველად გაიპარება. ისე რომ, ყველას წახული ეგონება, ის კი აქ დარჩება. ახლა უნდა გადაგვეწყვიტა, როგორ შეიძებოდა ჩემს საძინებელში. სიძარბოთლე ვითხრათ, თავდაპირველად გამოჭარდა ამ გეგმის წინააღმდეგ ისეთი შეუსაბამო მიზეზების მოგონება, დაუეჭვებლად რომ გაეხათილებინა ისინი. ბევრი მაგალითი მომიყვანა საბასუხოდ. მისი თქმით, ეს ყოველად ჩვეულებრივი ხერხი იყო: თავადაც ხშირად უსარგებლია თურნე ამ ყველაზე ნაკლებ სახიფათო საშუალებით!

მასი უდავო საბუთებით განიარაღებული გულწრფელად გამოვუტყდი, ჩემს ბუღუართან ახლოს საიდუმლო კიბეა. ბუღუარის კარში შემეძლია გასაღები ჩავტოვო, იქ თავისუფლად ჩაიკეტება და ჩემი მოახლეების დასაძინებლად წახვლამდე უხიფათოდ დამელოდება, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ უკან დავიხიე, თანხმობა რომ უფრო დამაჯერებელი გამომსვლოდა, და მხოლოდ მაშინ დავთანხმდი ისევ, როცა პირობა ჩამოვართვი, ყველაფერში დამემორჩილებოდა და კუთილგონიერებას გამოიჩენდა... თანაც როგორ კუთილგონიერებას! ერთი სიტ-

1. ვოლტერის ტრაგედია „ზაირას“-ს მოქმედი გმირი (1732 წ.). იგულისხმება IV მოქმედების II სცენა.

2. სულთანი, ვისაც ზაირა უყვარს.

ყვით, თანახმა ვიყავ ჩემი სიყვარული დამემტკიცებინა, მაგრამ მისი არ დამემტკიცებინა.

დამავიწყდა შეთქვა, რომ ჩემგან იგი ბალის ჭიმკრით უნდა წასულიყო, ოღონდაც გათენებინას. ცერბერი მაშინ კრინტსაც არ დაძრავდა. ამ დროს არც არავინ გაღის, არც შემოდის იქიდან. ჩემს მსახურებს მკაცრად სძინავთ. ხოლმე, თუ ამდენი უაზრობის დახვევათა გაგაკვირვებდა, მისცემს ხელს, რა დამოკიდებულება გქონდა და ამიტომაც რაში გვჭირდებოდა უფრო გონივრული განსჯა, მას სურდა ყველას გაეგო ეს ამბავი, მე მჯეროდა, კაციშვილი ვერაფერს შეიტყობდა. პაემანი ერთი დღის შერე უნდა შემდგარიყო.

ისიც ინიშნეთ, თუმცა ჩვენ შორის ყველაფერი უკვე მოგვარდა, ჩემ გვერდით იგი მაინც არავის უნახავს. ერთ-ერთ ჩემს ახლობელ ქალთან მას ვახშამზე შევხვდი. ქალს მან თავისი ლოფა შესთავაზა ახალი პიესის წარმოდგენაზე. ამ ქალბატონმა კი ლოფაში მეც მიმიწვია. ეს ქალბატონი ჩემი მხრივ ჩემთან ვახშამზე დავპატიჟე წარმოდგენის დროს. პრევანიც იქ ბრძანდებოდა და არ შეიძლებოდა ისიც არ მიმეწვია. იგი დამთანხმდა მიპატიჟებაზე. ერთი დღის შემდეგ, როგორც წესი ითხოვდა, სადარბაზოდ შეწვია. მართალია, მეორე დღისავე გამომეცხადა, მაგრამ ჯერ ერთი დღის დარბაზობებს სათვალავში არავინ ავდებს, მეორეც — ჩემი ნებაა შეტყობდეს თავნებობად მივიჩნიო ეს თუ არა. პოდა, პრევანს რომ ვახშამზე მიპატიჟების ბარათი გავუგზავნე, ეს მოწმობდა, რომ მას არცთუ ჩემს ახლო წრეს მივაწერდი. ისე რომ, შემძლია ანეტივით ვთქვა: „ესაა და ეს ყველაფერი!“¹

დადგა სახელისწერო დღე — დღე, როდესაც უნდა დამეკარგა ჩემი სახელიც და პატიოსნებაც. ჩემს მოახლე ვიქტუარს მითითებანი მივეცი. ახლა ნახავთ, როგორც შეასრულა ისინი.

დადამდა. უკვე ბლომად იყო ხალხი, როცა პრევანის მოხვლა მაუწყეს. განსაკუთრებული თავაზით შევხვდი, რაიც აშკარად მოწმობდა, რომ არც ისე ახლობლები ვიყავით. ბანქოს სათამაშოდ მარშლის მუდღეს მივუსვი, ერთმანეთს ხომ მან გაგვაცნო. საღამოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ ჩემმა ფრთხილმა მოთაყვანებ იმარჯვა და ბარათი გადმომცა, რომელიც ცხადია, დაეწვი. შიგ ეწერა, ჩემი იმედი გქონდეთო. ამ არსებით ცნობას კი გარს ეხვია არაფრის მოქმედი სიტყვები სიყვარულსა, ბედნიერებასა და სხეასა და სხვაზე. ასეთი სიტყვები მსგავს საზეიმო შემთხვევებს მუდამ თან ახლავს.

შუალამისას ყველა მაგიდაზე თამაში რომ დამთავრდა, ვთქვი, მოკლე მასედუანი² ვითამაშოთ-შეთქი. მიზანი ორი მქონდა: პრევანისთვის გაპარვა გამეადვილებინა და თან ისე, ყველას შეეშინია. ასეც იქნებოდა, ისეთი მოთამაშის სახელი ჰქონდა. ისიც ხელს მაძლევდა, თუკი დამჭირდებოდა, ყველას გახსენებოდა, რომ მართლ დარჩენას სულაც არ ვესწრაფოდი.

თამაში უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვინემ მეგონა. ეშმაკ მაცთუნა და ლა-

1. მარმონტელის „შემაგონებელი ამბები“-დან („ანეტი და ლუბენი“). თუმცა ამ სიტყვებს ანეტი კი არა, მისი სატრფო ლუბენი ამბობს.

2. იქნებ ყველამ არ იცის, რომ მასედუანის თამაშის დროს რამდენიმე „აზარტული თამაში ერთდება. ვისი რიგიცაა კარტის დარიგებისა, თავისდა სურვილის მიხედვით ირჩევს, რა თამაშონ. ეს ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი გამოგონებაა.

მის სურვილს ავეყვი, ჩემი სულწასული ტყვე რაც შეიძლება მალე გამეხარებინა. თავს მართლა დავიღუპავდი, უეცრივ რომ არ გამეფიქრებინა, ჩემი დანებების მერმე ველარ შევძლებდი მთელი ეს დრო ჩაცმული ყოფილიყო, როგორც წეს არს და როგორც ჩემი გეგმებისთვის აუცილებელი იყო. წამოვიწიე კიდევ მაგრამ ისევ დავჯექი ცოტა არ იყოს გაღიზიანებული ამ გაუთავებელი თამაშის გასაგრძელებლად. როგორც იქნა, თამაში დამთავრდა და ყველანი ~~დაძინდნენ~~ მოახლეს დავურეკე, ტანთ სასწრაფოდ გავიხადე და მყისვე გავუშვენი ~~უშვენი~~

წარმომიდგენთ კია, ვიკონტ, ღამის გამჭვირვალე სამოსში გამოწყობილი გაუბედავად, ფეხაკრფით როგორ მივაბიჯებდი, რათა აკანკალებული ხელით კარი გამეღო ჩემი მძლეველისათვის? მან დამინახა — და ელვაც ისე სწრაფი არ იქნებოდა! მე ძლეულ ვიყავ, იმზომ ძლეული, კრინტის დამვრაც ვერ მოვასწარი მის შესაჩერებლად და თავდასაცავად. შემდეგ კიდევ უფრო მოხერხებულად მოხსურვა მოწყობა ამ შემთხვევის საკადრისად. წყველიდა თავის სამოსს, მისვე თქმით, ჩემგან ასე შორს რომ ამყოფებდა. ეწადა ჩემივე იარაღით შემრკინებოდა. ოღონდაც ჩემი უკიდურესი მოკრძალება და გაუბედაობა წინ აღუდგამას, ნაზმა აღერსმა კი დრო არ მისცა საამისო. იგი სხვა საქმეს შეუდგა ისევ.

ამ ამბავმა უფლებანი ორკეც უფრო გაუზარდა და მოთხოვნებიც განუახლა. მაშინ კი ვთქვი: „მისძინეთ, რასაც ვეტყვით: აქამდე შეგემლოთ გრაფ დე პ...-ს ზღუდლისთვის მოგეთხროთ ფრიად თავშესაქცევი ამბავი, ოღონდაც მაინტიერესებს, ამ თავგადასავლის დასასრულს როგორ მოუყვებით?“ ამის თქმისთანვე რაც ძალა და ღონე მქონდა ზარს ჩამოვკარი. ახლა ჩემი ჯერი დადგა და ჩემი მოქმედებაც მის სიტყვებზე უფრო სწრაფი იყო. რაღაცას ბურტყუნებდა კიდევ, როცა მომესმა, როგორ მორბოდა ჩემკენ ვიქტუარი და როგორ უხმობდა მსახურებს, ჩემი ბრძანებით თავისთან რომ შეაგროვა. მაშინ კი ხმას ავუწიე და დედოფლის დარად ეუბრძანე: „გაბრძანდით აქედან, ბატონო ჩემო, და თვალთ არასდროს არ დაძინახოთ!“ სწორედ იმავე წუთს ჩემი მსახურების ხროვაც შემოიჭრა.

თავგზადაკარგულმა საბრალლო პრეკანმა მახედ მიიჩნია ის, რაიც სინამდვილეში მხოლოდ ოინი იყო, და თავისდა სავალალოდ დაშნა იშიშვლა. ჩემმა ღაქიამ, გულადმა და ღონიერმა ბიჭმა, წელზე გარდიგარდმო უტაცა ხელები და ძირს გააგორა. მაშინ კი, მართალი ვითხრათ, საოცრად შემეშინდა, ვიყვირე, არაფერი დაუშავოთ, დე თავისუფლად წავიდეს, ოღონდაც ბოლომდე თვალი მიადევნეთ, სახლი მართლა დატოვოს-მეთქი. მსახურები დამმორჩილდნენ, მაგრამ დრტვინფა კი ატეხეს, ჩვენს ზნეკეთილ ქალბატონს როგორ გაუბედა თავდასხმაო. ჩემი სურვილისდა მიხედვით ყველამ ხმოურითა და მუქარით გააცოლა ზღუკუღმართი კავალური ვიქტუარის გარდა. მე და მან სასწრაფოდ დავალაგეთ საწოლი. მსახურები ისევ ჩემთან ამობრუნდნენ აღშფოთების ხმამაღალი შეძახილებით. მე კი ისევ და ისევ ადვლვებულმა გამოვკითხე, რატომ არ ეძინათ. ვიქტუარმა მაცნობა, ისინი და კიდევ ორი ქალი გახშმად მყავდა მოპატიჟებული და ჩემთან დიდხანს შერჩნენო. მოკლედ, ის თქვა, რაზუდაც წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებულნი. ყველას მადლობა გადავუხადე და დასაძინებლად გავისტუმრე, თუმცა ერთ-ერთი სასწრაფოდ ექიმის მოსაყვანად გავგზავნე — ხომ შესაძლოა იმ საზარელ შიმს ჩემზე ემოქმედა, თანაც ეს ყველაზე უტყუარი გზა იქნებოდა ამ ამბავს გასახმაურებლად.

ექიმი მობრძანდა, დიდი თანაგრძნობა გამომიცხადა და მოსვენებით ყოფნა

მირჩია. ვიქტუარს დამატებით დავაკაღე, დილაუთენია მეზობლებში ეჭო-
რავა მომხდარ ამბავზე.

ყველაფერი ჩინებულად მოეწყო. შუადღეც არ იყო გასული, სასთუმალთან
უკვე ჩემი ღვთისმოსავი მეზობელი ქალი მეჯდა მთელი ხიმარით და ყვე-
ლა წერილმანის გამოსაკითხად. იძულებული გამხადა მასთან ერთად მევიშიში
ჩვენი გახრწნილი საუკუნის თაობაზე, ერთი წუთის შემდეგ მარშლის მეუღლის
ბარათი მომიტანეს, რომელსაც ამ წერილთან ერთად გაახლებთ. დაბოლოს ხუთ-
საათზე ჩემდა დიდად გასაკვირად, მ...-ი! გამომეცხადა ბოდიშის
მოსახდელად იმ შეურაცხყოფის გამო, მისი ნაწილის ოფიცერმა რომ
გაბედა და მომაყენა. როცა ეს ამბავი მარშლის მეუღლესთან სადილზე შეუტყ-
ვია, თურმე პრევანს მყისვე ბრძანება გაუგზავნა, დაპატიმრებული ხართო. შე-
ვემუდარე, მოწყალება გამოეჩინა, რაზედაც უარი მივიღე. მაშინ გადაწყვიტე
ამ ამბის თანამონაწილის კვალობაზე სასჯელად თვითაც გამომემწყვდია თავი.
მსახურებს ვუბრძანე, არავინ მიეღოთ და ყველასთვის ეთქვათ, ავად გახლავთო.

სწორედ ამ მარტოობას უნდა უმადლოდეთ ასეთ გრძელ წერილს. ქალ-
ბატონ ღე ვოლანგსაც უნდა მიუწერო. ცხადია, წერილს ხმამაღლა წაიკითხავს
და თქვენც იმ სახით გაეცნობით, როგორც გმართებთ მისი მოყოლა.

მართლა, დამავიწყდა მეთქვა, ბელროშიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობს
და პრევანის ღუელში გამოწვევას აპირებს. საწყალი! საბედნიეროდ, დრო მე-
ქნება სიფიცზე დაუპოკო და ამასთან საკუთარი თავიც დავასვენო, წერით ისე
დავიღალე. მშვიდობით, ვიკონტ.

...კოშკიდან, 25 სექტემბერი 17... საღამოს.

86-ე წერილი

მარშალ დე...-ს მეუღლე ქ-ნ დე მერტეის (წინა წერილში ჩადებული ბარათი)

ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავი გავიგონე! ნუთუ იმ პატარა პრევანმა ჩაიდინა
ასეთი უმსგავსობა, თანაც თქვენ მიმართ? რას არ უნდა ელოდო ადამიანი! სა-
კუთარ სახლშიაც უშაშრად ვერ გიგრძნია თავი! ჭეშმარიტად სიბერეს შეგა-
რიგებს მსგავსი ამბები! მაგრამ იმას ვი ვერასოდეს შევურიგდები, რომ ნაწი-
ლობრივ ჩემი წყალობით შეუშვით სახლში ეგ ურჩხული. აღთქმას გამ-
ლევთ, თუკი რასაც მასზე ამბობენ, სიმართლეა, ჩემი სახლის ზღურბლს ვე-
ღარ გადმოაბიჯებს. ასე უნდა მოიქცეს ყველა წესიერი ადამიანი.

როგორც მითხრეს, თავს ძალზე ცუდად გრძნობთ თურმე. დიდად მაშფო-
თებს თქვენი ჯანმრთელობის ამბავი. გემუდარებით, მომწერეთ ამის თაობაზე.
თუ წერა ვერ შესძელით, თქვენი ერთ-ერთი მოახლე გამომიგზავნეთ... მხოლოდ
ერთი სიტყვა მომწერეთ, რომ მშვიდად ვიყო, თავდაც გინახულებდით ამ ღი-
ლას, ეს ჩემი აბაჯანები რომ არა, რომელთა შეწყვეტის ნებას ექიმი არ მამღევს.

1. იმ ნაწილის მეთაური, სადაც ბატონი ღე პრევანი მსახურობდა.

გარდა ამისა დღისით ჯერსალშიაც ვარ წასასვლელი ისევ და ისევ ჩემი ძმის-
წულის საქმის გამო.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, მიგულებთ თქვენს სამუდამო და ერთგულ მე-
გობრად.

პარიზი, 25 სექტემბერი 17...

ეროვნული
შინაგარეული

87-ე წერილი

მარკოზის მეუღლე ქ-ნი და მერტი ქ-ნი და ვოლანჟს

ვწევარ და ისე გწერთ, ჩემო ძვირფასო და კეთილო მეგობარო. მოხდა უა-
ღრესად უსიამო და სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი, რამაც ისე შემძრა
და დამაღონა, ავადაც კი გავხდი. რა თქმა უნდა, ბრადი არაფერში მიმიძღვის,
მაგრამ როცა მიჩვეული ხარ ისე მოიქცე, შენი სქესის საკადრისი იყოს, მუდამ
უსიამოდ გრჩება საზოგადოების ყურადღების მიბყრობა. ამქვეყნად არაფერს
დავიშურებდი, ოღონდაც ეს უბედური ამბავი არ მომხდარიყო. არ ვიცი, იქნებ
სოფელში გამგზავრება გადავწყვიტო და მანამდე დავყო იქ, ვიდრემდე ეს
ამბავი დავიწყებას მიეცემოდეს. გეტყვით, რაც მოხდა.

მარშალ დე...-ს მეუღლესთან ვინმე ბატონი და პრევანი გავიცანი, ვისი
სახელიც აღბათ გსმენიათ და მეც ყურმოკვრით მქონდა გავიწილი. მაგრამ რო-
ცა ასეთ ოჯახში შეხვდები კაცს, მგონი, საფუძველი გაქვს იფიქრო, კარგ
საზოგადოებას ეკუთვნისო. გარეგნობა საკმარად სასიამოვნო აქვს და არც უჭ-
კუო მეჩვენა. სრულიად შემთხვევით, რაკი თამაში არ მინდოდა, ერთადერთი
ქალი მე დავრჩი მასა და ეპისკოპოსთან, მაშინ როცა დანარჩენები ლანდსკნექტს
უსხდნენ. ჩვენ სამმა ვახშამდე ვისაუბრეთ. სუფრაზე საუბარი ჩამოვარდა ერთ
ახალ პიესაზე. მან ისარგებლა ამით და მარშლის მეუღლეს თავისი ლოჟა შეს-
თავაზა. ისიც დათანხმდა. ჰოდა, შევთანხმდით, მეც წავიდოდი. წარმოდგენა
წინა ორშაბათს უნდა შემდგარიყო ფრანგულ თეატრში. როცა მარშლის მეუღ-
ლეს წარმოდგენის შემდეგ ვთხოვე ჩემთან ევახშმა, ეს ვაჟბატონიც მოვიწვიე
ჩემთან ვახშამზე და ისიც მოვიდა. ერთი დღას შემდეგ ვიზიტით მეწვია, ვისა-
უბრეთ ჩვეულებრივ ამბებზე, ყურადსაღები არაფერი მომხდარა. მეორე დღეს
ისევ შეახლა, თანაც დილით. ეს კი ცოტა არ იყოს მოურიდებელი მეჩვენა, მა-
გრამ ვამჯობინე ოფიციალური თავაზით და არა ცივი მოპყრობით მეგრძნობი-
ნებინა, რომ არც ისე ახლო ნაცნობები ვართ, როგორც ჰგონია. ამ მიზნით იმავ
დღესვე ცივი, ფრიად ცერემონიული მოპატიჟებაც კი გავუგზავნე ვახშამზე,
გუშინწინ რომ უნდა გამართულიყო. მოთელი საღამო ოთხჯერ არც დავლაპარაკე-
ბივარ. თავად კი, დაამთავრა თუ არა თამაში, სადაც თვითონაც მონაწილე-
ობდა, მაშინვე წავიდა. დამეთანხმებით, რომ ეს დიახაც არ ჰგავს სასიყვარუ-
ლო თავგადასავლის დასაწყისს. პარტიის დამთავრების შემდეგ კიდევ მასეღუა-
ნიც ვითამაშეთ თითქმის ორ საათამდე და ბოლოს დავეწექი.

მოახლეების წასვლის შემდეგ ნახევარი საათი ვერა და ვერ დავიძინე. ან-
აზღად საძინებელში რაღაც ხმაური მომესმა. შეშინებულმა საწოლის ფა-
რდა გადავწიე. ჩემი ბუღუარის კარებში ვიდეც კაცი დავლანდე. ხმამაღლა შე-
ვივლე და მაშინვე ლამპის შუქზე ის ბატონი პრევანი დავინახე, რომელმაც
ვახაოცარი თავხედობით მითხრა, ნუ შემფოთლებით, ახლავე ავიხსნით ჩემი

უცნაური გამოჩენის მიზეზს, თლონდაც ვეხვეწებით, ხმაურს ნუ ატეხთო. გა-
ოცნებულმა კრინტი ვერ დაუძარი, მაგრამ ორი წინადადება არ უთქვამს, მყის
მივხვდი, რასაც ნიშნავდა ეს უცნაური გამოცანა და ბურწბუნეთ, ჩემი ერთად-
ერთი პასუხი ის იყო, ხარს წავატანე ხელი.

ჩემი ბუდი, რომ მსახურებს არ ეძინათ, ერთ ჩემს მოახლესთან ყოფილან
თურმე სტუმრად. კართან მოსულ ჩემს მოახლეს გაუგონებლად ვეცხვებოდი, რომ მკვა-
ხედ ველაპარაკებოდი, და ჩემს საშველად ყველას უხმოდ ალბათ წარმოიდგენთ,
რა აურზაური შეიქნებოდა! ჩემი მსახურები გაცოფდნენ. ერთმა ლაქიამ კინა-
ლამ არ მოკლა პრევანი. მართალი გითხრათ, ძალზე გამეხარდა, ამდენი დამ-
ცველი რომ მყოლია. თუმცა კი, მგონი აჯობებდა მართო ჩემი მოახლე მოსული-
ყო. ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა და ჩემთვის ესდენ უსიამო ამბავი არ გახ-
მაურდებოდა.

აურზაურზე მეზობლებმაც გამოიღვიძეს. ჩემმა მსახურებმა ყველგან
გაიგდეს ენა. გუშინდლიდან მოყოლებული მთელი პარიზი ამაზე ჭორაობს. ბ-ნი
პრევანი საკანში ზის მისი ნაწილის უფროსის ბრძანებით, რომელმაც ისეთი
ყურადღება გამოიჩინა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, ბოდიშის მოსახდელად
მეწვია. მისი დაპატიმრება კადევ მეტ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა,
მაგრამ ვერაფრით ვერ დავიყოლიე ბრძანების გაუქმებაზე. ქალაქი და სამეფო
კარი — ყველა მობრძანდა, მაგრამ ვერაფერს მივიღე. ვინც კი უნახე — თუმცა ძალ-
ზე ცოტანი — მითხრეს, ყველანი ჩემს ქებაში არიან, პრევანის საქციელით კი
უსაზღვროდ აღშფოთებულნი. რა თქმა უნდა, მან ეს დაიმსახურა, მაგრამ მაინც
ძალზე უსიამოვნო ამბავი გახლავთ.

ამ კაცს ალბათ მეგობრები ჰყავს, იქნებ ბოროტი მეგობრებიც. ვინ იცის
ან ვის შეუძლია იცოდეს, რას მოიგონებენ ისინი, ჩირქი რომ მომცხონ! ღმერ-
თო ჩემო, რა უბედურებაა, ახალგაზრდა ქალი როცა ხარ! თუ ბოროტი ენებისა-
თვის მიუწვდომელი არ დარჩი, თუ ცილისმწამებლებს ენა არ ჩააგდებიან, მამ
არაფრისთვის მიგიღწევიან.

თუ შეიძლება მაცნობეთ, ჩემს ადგილზე თქვენ როგორ მოიქცეოდით —
ერთი სიტყვით ყველაფერი, რასაც ამ ამბავზე ფიქრობთ, განა თქვენ არ მა-
ნუგეშებდით მუდამ ასე ტკბილად, განა თქვენ არ მაძლევდით კეთილგონივრულ
რჩევებს. ამიტომაც თქვენგან განსაკუთრებით მეძვირფასება ისინი.

მშვიდობით, ძვირფასო, კეთილო მეგობარო. თავადაც იცით, რა გრძნობე-
ბმაც მომაჯაჭვა სამუდამოდ თქვენზე. ვკოცნი თქვენს საყვარელ გოგონას.

პარიზი, 26 სექტემბერი 17...

გაბრიელეზა ზიმდოზ ნომირი





უილიამ უორდსუორთი

ჩვენ შვიდნი ვართ

ის იყო პატარა, უმანკო გოგონა,
ჩემ წინ ანთებული მაისის ფერებად,
ნაზი და მსუბუქი ფოთოლი ძეგონა,
მინდვრად რომ დაღალა სიოს მოფერებამ.
ვნახე და ბავშვობის დღეები ვინატრე,
რვა წელი განეელო უჭკნობი ხალისით,
სიცოცხლე მოჰქონდა მის თვალთა სინათლეს,
თმები უბზინავდა, ვით სხივი აისის.
მას ჰქონდა სოფლური, უბრალო იერი
და თუმცა მდიდრულად არ იყო ჩაცმული,
ჩემ თვალწინ ნათობდა, ვით მზე სხივიერი
და ჩემს გულს ათბობდა პატარა ასული.
„რამდენნი იქნებით და-ძმანი სულ ერთად,
სულ ერთად რამდენნი იქნებით, პატარავ?“
„შვიდნი ვართ!“ — წარმოთქვა და ამით დაფარა,
რომ ჰქონდა ვიღაცას საერთო სულეთთან.
„ახლა სად არიან, უმანკო ფერიავ,
ვევებ მიპასუხო, ცქრიალა ასული?“
„ო, ჩვენ სულ შვიდნი ვართ, შვიდი ხომ ბევრია,
ორი სხვაგან სახლობს, ორი ზღვად გასულა,
ორიც მიწაში წვეს, აგერ მონასტერთან.“
მითხრა გოგონამ და ნაზად მომაცქერდა.
„შენ ამბობ, რომ ორი ზღვაშია გასული,
ორი სხვაგან სახლობს და ორიც მკვდარია,
და მაინც შვიდნი ხართ? ეს როგორ, ასული,
ეს ხომ ხუმრობაა, ეს ხომ ზღაპარია!“
პასუხზე ლოღინი დიდხანს მომიწია,
ბოლოს დაიჩემა: „შვიდნი ვართ, ბიძია!“
„პატარა გოგონავ, სავსე ხარ სიცოცხლით
და ღამე სიზმრებში ოცნებას გიკოცნის,
თუ ორი მიწაში ბნელს დაუხუთია,
ცოცხლად დარჩენილი მხოლოდლა ხუთია.“
და მაშინ მიაშობო გოგონამ პატარამ:
„როგორც დანთებული ნამცეცა მზეები,
დღეს მათ სამარეზე ბაღნარის სადარად
ჰყვავის ყვავილები, სულ ნაირფერები.“

საფლავზე წინდას ვქსოვ და რომ არ გაცივდნენ,
 ზედ თავშალს ვაფარებ, როდესაც ბინდდება,
 ვაითუ გაავდრდეს, ვაითუ გაწვიმდეს,
 თან ვმღერი, სიმღერა არასდროს მწყინდება.
 და ხანაც, როდესაც კვლავ მოდის დაისი
 და მზე ჩამავალი მთის წვერზე თამაშობს,
 ჩემს მცირე ფაფეულს ავიღებ და ისიც
 იქ მიმაქვს იმათთვის, ვალაგებ სავახშმოდ.
 პირველად დაგვშორდა დაიკო ჯეინი,
 ლოგინში მწოლარე ღმერთს შეკელას შესთხოვდა
 და გამწარებული, ტკივილმობჯენილი
 თუ როგორ კენესოდა, ქვეყანას ესმოდა.
 მალე ჩავაწვინეთ იგი აკლდამაში,
 რეკდა მწუხრის ზარი და მზე ჩადიოდა,
 საფლავთან ბავშვებმა დავიწყეთ თამაში,
 დიდებს კი თვალთაგან ცრემლები სცვიოდათ.
 როცა ირგვლივეთი თოვლით დაიფარა,
 ციგით ვსრიალებდით, თოვლიც გაიპარა,
 ჯონმაც მიანება თამაშებს თავი და
 ხელუბდაკრეფილი ჯეინთან წაეიდა.“
 „ორი თუ ცაშია, მაგ შენი ფიქრებით,
 და ახლა ცოცხლებში აღარა სწერია,
 პატარა ფერიავ, რამდენნი იქნებით?“
 „ო, ჩვენ სულ შვიდნი ვართ, შვიდი ხომ ბევრია!“
 „ისინი ხომ მოკვდნენ, დახუჭეს თვალი და
 სულები იმათი ზეცაში ავიდა?“
 და ნუთუ ვერ მივხვდი: თავისას არ იშლის,
 მე კი დათვლას ვიწყებ ხელახლა, თავიდან,
 ისევ შვიდნი იყვნენ მისი ანგარიშით
 და ჯერაც ვერ ჩასწვდა ამ სიტყვას: „წავიდა.“

ღვთიური ღიმილი

სხვა სიმდიდრე არ გჭირდება მაგ ღიმილის პატრონს,
 მხოლოდ ერთხელ გამიღიმე, დღე და ღამე ვნატრობ,
 მხოლოდ ერთხელ მასხივოსნე, გამინათე ბედი,
 ამას გვედრი, ჩემო ლედი, საყვარელო ლედი!

ნათელს უკან დაგიბრუნებ გახსნი ციურ კარებს
 და ლაჟვარდში ამაღლდები, გადიქცევი მთვარედ.

მეონდა სავანედ უცხო სამყარო

მქონდა სავანედ უცხო სამყარო,
 ზღვების მიღმიერ მზარეს,
 მინდა, ინგლისო, შენ გეთაყვანო,
 ჩემო მზეო და მთვარევ!

მელანქოლია ჩაბარდა წარსულს,
 ბუდე შენს მკერდში ვპოვე,
 შენი მიწიდან მოწყვეტა არ მსურს,
 აღარასოდეს გტოვებ.

შენს მთა-ველს შორის დაკრთის სხივები
 იმ თვალნათელა ლუსის,
 აქ ჩაიფურულა ჩემი იმედი,
 ჩამრჩა ტკივილი გულში.

შენს ბნელ ღამეებს შეეხორცება
 ლუსის წამწამთა ჩრდილი,
 მსურს დავიბრუნო ძველი ოცნება,
 გასხივოსნება დილის!



სამუელ ტაილორ კოლრიჯი

ღრო – რეალური და წარმოსახვითი

ზღაპრულ მშვენებით გარემოცული
 სადაც მთა მოჩანს ცამდე აწვდილი,
 ვით სირაქლემის ფრთებგამოსხმული,
 ორი ღამაში მიჰქრის ყმაწვილი.

უსწრებს გოგონა, ჩამორჩა ძმა,
 უთვალისჩინო, უნათლო, ბრმა.

გოგონა დათქმულ ზღვართან ჩერდება,
 და ჩამორჩენილს უკან გასცქერის,
 ბრმაც ახლოვდება, მაგრამ ვერ ხვდება,
 პირველია თუ უკანასკნელი.

კასუსი ბავშვის შეკითხვაზე

გინდა შეიტყო, თუ რა არის ჩიტის ოცნება,
 რას ეღუპრტულებენ ბელურა თუ მეკანაფია?
 – უსიყვარულოდ ეს ცხოვრება სწრაფად ორთქლდება,
 უსიყვარულოდ ეს ცხოვრება მხოლოდ ქაფია.

გაზაფხული რომ აფეთქდება ქორფა კვირტებად,
 შინ ბრუნდებიან და სიცოცხლე ბაღში ხმაურობს,
 მღერის ტოროლა, მწვანე რტოებს დააფრინდება
 და კვლავ ცას ერთვის, ანამღერი სასიყვარულოდ.

უგალობს სატრფოს, ტკბილი ჰანგი აცოცხლებს მხოლოდ
 და მის სიმღერას, ვით სიყვარულს, არა აქვს ბოლო.





მოთხრობა. აზერბაიჯანულიდან

თარგმნა **დიმიტრი გუდისაშვილმა**

I ნაწილი

დედა საავადმყოფოში იმ დროს მივიდა, შინაგანაწესის თანახმად ავადმყოფების ნახვა რომ შეიძლებოდა. მაგრამ ამჯერად იგი პალატაში აღარ შეუშვეს.

— წადი და დედაშენს გადაეცი, თვითონ მოვიდეს, — უთხრა მორიგე ექთანმა. — მამაშენი ძალიან ცუდად არის.

— დედა არა მყავს.

ექთანმა თანაგრძნობით შეხედა გოგონას.

— შენ და მამაშენი მარტო ცხოვრობთ?

— არც მამა მყავს.

შეწუხებულმა ექთანმა წარბები შეჭმუხნა.

— მეხუთე პალატაში რომ ავადმყოფი წევს, განა მამაშენი არ არის?

— არა, მამაჩემი არ არის. — ჩურჩულით წარმოთქვა მის წინაშე მდგომმა გოგონამ.

— მაშ ვინ არის? ნათესავია? ხმას რატომ არ იღებ? შენი რა არის?

დედამ ცრემლიანი თვალები შეანათა.

ექთანმა ღრმად ჩაისუნთქა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ის კაცი შენი ქმარია?

— ჰო! — ჩაიჩურჩულა დედაჩემმა და თავი ჩაქინდრა.

მალე ექიმებმაც, ექთნებმაც, მოსიარულე ავადმყოფებმა და სანიტრებმაც უკვე იცოდნენ — ეს დაღუული ახალგაზრდა ქალი, გოგოს რომ ჰგავდა, თავისი მოხუცი ქმრის სანახავად დადიოდა. ზოგს ეცოდებოდა, სხვები ცნობისმცემარე გაოცებით უყურებდნენ, მესამენი — პატივისცემითაც კი, ხოლო თუ ისეთებიც იყვნენ, ზურგსუკან რომ ქირქილებდნენ ახალგაზრდა ქალისა და მოხუცი კაცის უთანასწორო ქორწინების გამო, კიცხავდნენ არა დედას, არამედ მამაჩემს, ყველა თავისი მინარეთიდან იყურება. თავში კი არავის მოსდიოდა, რომ ჩემი მშობლების ასაკობრივი განსხვავება სხვებს ხვდებოდა თვალში, თორემ თვითონ ვერც კი ამჩნევდნენ. დედა პალატაში რომ შევიდოდა და საწოლთან ჩამოჯდებოდა, მამა თითქოს ჯვილდებოდა, მიმქრალი, დატანჯული თვალები სიხარულით უნათლებოდა.

„... დაგტანჯე, ხულო ჩემო, ნაბათ. გწერ ამ წერილს და მინდა გაგიზიარო
 ის, რაზედაც ჩვენ არასოდეს გვილაპარაკია. დღედაღამ შენზე ვფიქრობ. ტკბი-
 ლიც არის და მწარეც იმის შეგნება, რომ ჩემი ცოლი ხარ. მიყვარხარ, ნაბათ,
 თუმცა ჩემი ასაკის კაცის გულის გადაშლა უცხო ადამიანისთვის იქნებ სხვა-
 ცილოც იყოს და გამოუსწორებლად დაგვიანებული აღსარებაც. მაგრამ ამას შენ/
 გეუბნები, ამქვეყნად ყველაზე ახლობელ ადამიანს, როცა საავადმყოფოში ხარ და
 ხედავ მოდიხარ და დიდხანს ზიხარ ხოლმე საწოლთან — ეს ჩემი ბედნიერებაა.
 დიდი დღესასწაულია. მაგრამ სიხარულს სულში მწუხარება ცვლის: ვინძლო
 მაინცა ცერად შემოგხედოს, დაგძრახოს — რა ქორფაა და ბებერს კი ვაპყობიაო.

განა დაისი აისის ყადრია?

სიმართლეს ვერსად გავუქცევით. შენ ქორფა ხარ, ნაბათ, მხოლოდ ოცდაო-
 თხი წლისა, იმდენისა, რამდენისაც ჩემი უფროსი ქალიშვილია, პირველი ცო-
 ლისაგან რომ დამრჩა. მე, — წარმოსაღგენადაც კი საშინელებაა, — სამოცს გა-
 დაუბიჯე. ეს დიდი უბედურებაა. იმ დღეს აქეთ, როცა მე და შენ შევერთდით,
 მხოლოდ შინ ვიყავით ხოლმე ერთად, ხალხში კი შორ-შორ დავდიოდით. ვცდი-
 ლობდი ბოროტი ენების ჭარტალი ამეცილებინა შენთვის, ამიტომაც არავის ვუ-
 ნახივართ სტუმრად წასული, არც ქორწილებში, არც სამძიმარ-ქელეხებში. მე
 კი მუდამ გულდია კაცი ვიყავი. ჩემმა მოკეთებმა, მას შემდეგ, რაც შენ მოგიყ-
 ვანე, ჩემს ოჯახში ფეხი ამოიკვეთეს, ავითვალწუნეს, აქაოდა თავი გაიმასხარა-
 კე და ჩვენც ზედ მიგვაყოლეო. აბა, მაგათ რა მოეკითხებათ? მაგათთვის თავის
 გასაყადრებლად არც გული მაქვს და არც მოცლა... დრო დადგება — მიხედებიან.
 განა ბრმა ვარ, ვერ ვხედავდე, როგორ კეთილად შექცევი? გიცოდები, გულმორწ-
 ყალე, ნაბათ. იმისათვის, რომ ჩვენი ასაკობრივი განსხვავება სხვებს თვალში
 არ ეცეთ, ახალგაზრდულ, ფერად-ფერად კაბებს არ იკერავ, თაღხებში იმოსე-
 ბი, თითქოს მონაზონი იყო. გეაჯები: ხანს ნუ იმატებ. წლები ჩქარი მატარებლე-
 ბით სწრაფად მიჰქრიან. ყურადღებას ნუ მიაქცევ იმას, ვისი სიცოცხლეს მა-
 ლე ჩაინაულება. ნაღველი გულს მითუთქავს. ვგრძნობ, სულთამხუთავი სასთუ-
 მალთან დგას. მე შენ აქ გტოვებ უსახსროდ, უპატრონოდ. ღმერთო, როგორ გა-
 გიჭირდება. ყველა იმაზე ოცნებობს, ვალმოხდილი წავიდეს ამ ქვეყნიდან, განა
 ყველას ხვედრია ასეთი ბედნიერება. არასოდეს მითქვამს შენთვის, როგორ მი-
 წუხს გული, ვერ გიმეტებდი სატანჯველად. ახლაც კალამი თითქოს სასოწარკ-
 ვთილებამ ამალებინა. წერილის წერა არ მეხერხება, ნაბათ. ხოლო, რაც შე-
 ეხება შენდამი ჩემს სიყვარულს, მართალია, იმ ასაკისა აღარა ვარ, ბუღბუღად
 ვიქცე, მაგრამ გეტყვი: იგი დამეხმარა გამეგო, რომ ადამიანს ყოველ ასაკში, თა-
 ვისი სიცოცხლის მიწურულშიც კი, შეუძლია იგრძნოს, წლები ვერ დამამძი-
 მებნო. გაზაფხულზე ზოგჯერ ბებერი ხეც აყვავდება ხოლმე, მაგრამ განა ეინ-
 მეს შეუძლია გაიგოს, რამ ააყვავა? სხვას რომ გაუგო, მის ტყავში უნდა შეძ-
 ვრე. ამბობენ, ძველ დროში მდიდარ მოხუცებს ცოლად ქორფა ქალწულები მო-
 ჰყავდათო. მე რა სიმდიდრე მაქვს? ჩემი სახლია რკინიგზის სასამსახურო ჯი-
 ხური. ხალხი ასეც ეძახის: მეისრე ალიმამედას ჯიხურიო. მაგრამ სრა-სასახ-
 ლის პატრონსაც შეშურდება ჩემი ბედნიერება, რადგანაც ჩემს ღარიბ ქონში
 ჭეშმარიტად ფასდაუდებელი განძია. ეს შენა ხარ, ჩემო ძვირფასო ნაბათ! რამ-
 დენჯერ მოგიტანია ჩემთვის იმ რკინიგზის ჯიხურში ხან სამხარი, ხანაც ვახ-
 შამი, ღამის გასათევადაც დარჩენილხარ.

არასოდეს გეჩურჩულებოდი სიყვარულზე, რადგანაც ვფიქრობდი — გულის-
 ჩაღებს უთქმელადაც მიმიხვდება-მეთქი. ან მრცხვენოდა — ბებერ ყვავს არ შე-
 შევნის გვრიტივით დუღუნო-მეთქი. ან, იქნებ, მეშინოდა, ჩემი ბედნიერება არ

დამეთარსა? ახლა გვიანდაა ამის გარკვევა. შენ ჩემი ყოფითი ყოფილხარ და დიდ ცოდვად ჩამეთვლება, მოხუცი ბელს დავემღურო. გული მწყდება, ეს ადრევე რომ ვერ გითხარი... მე შენ...“



აქ წყდება მამაჩემის პირველი და უკანასკნელი წერილი. ის აღსარებას ჰგავს, მაგრამ, ამავე დროს, ანდერძის მსგავსიც არის. არ ვიცი, თვითონ ამ ბარათის დამწერმა შეწყვიტა წერა, თუ მისი ბოლო დაიკარგა, ვაქრა გაყვითლებული ფურცლები. იგი რაღაც ქაღალდებში, უცხო ადამიანთა ფოტოსურათებში, უამრავ ქვითრებსა და რკინიგზის ძველ განრიგებში ეგდო. შემთხვევით მოხდა, რომ იმ ქაღალდების გროვასთან ერთად არ დაწვეს. მგონი, ეს იყო იმ დღეს, როცა ჩვენი შორეული ნათესავები ახალ ბინაში გადადიოდნენ იმ სახლიდან, სადაც ოდესღაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ. რომელიღაც ახალმოსახლემ უნებლიეთ ყურადღება მიაქცია გაცრეცილ-ვახუნებულ ქაღალდებს, ნაგვიდან ამოიღო და ძალზე გაოცდა, როცა წაიკითხა უსწორმასწორო სტრიქონები, ბავშვის ნაწერს რომ ჰგავდა. „ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ აღიმამედივით ხანდაზმულ ადამიანს შეეძლო თავისი გულის ნაღების გამხელა“. გამორიცხული არ იყო, რომ ამ წერილს ბევრ ხელში გაეგდო, რადგან ახალსახლობის დღეს მისმა მპოვნელმა ბევრი აცინა თავისი შარახვეტია მეგობრები: „ჭეშმარიტად უთქვამთ: კაცს წვერი გასთეთრებია, ჭკუა კი გასთხელებიაო!“

დაბოლოს, იღბლად ჩემამდე მოაღწია მამაჩემის მიერ დედაჩემისადმი მიწერილმა სატრფიალო და გამოსათხოვარმა, პირველმა და უკანასკნელმა წერილმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სადღაც იყო მიგდებული და ცეცხლს გადაურჩა. წავიკითხე და რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. ეს არ იყო თანაგრძნობა, არც სიბრაღე, სევდა ან გულისტკივილი. არა, ეს უფრო იყო მწუხარება, პროტესტი, საყვედური. თითქოს ვსაყვედურობდი მამაჩემს: მას უფლება არ ჰქონდა წინასწარ გაეწირა ახალგაზრდა ქალი ნაადრევი ქრობისათვის, მე კი ობლობა-უმამობისათვის. რამდენი მწუხარება გვარგუნა თავისი მიუტევებელი სისუსტის გამო, როცა გულისთქმას აჰყვა. სიბერეში კაცი ასეთ საქმეებში საღი გონებით უნდა სჯიდეს და არა აღვირმეშვებული მხურვალე გრძნობებით.

ჩემთვის ადვილი იყო ამის თქმა. „სხვას რომ გაუგო, მის ტყავში უნდა შეძვრო“, — წერდა მამაჩემი. სამართლიანი ვართ, როცა მიგვაჩნია, რომ სხვაც ისე უნდა მოიქცეს, როგორც ჩვენ ვიქცევით? მაგრამ თუ ის სრულიადაც არა გვეგავს ჩვენ? დედაჩემი ცოცხალი რომ იყოს, ალბათ შემრისხავდა, მამაჩემს კი გაამართლებდა. უფრო მეტიც, გამკიცხავდა კადნიერებისა და შეუწყნარებლობისათვის. „მამას ნუ ადანაშაულებ, შვილო, მამებს როდი ირჩევენ...“

განა დედას სიტყვას შევუბრუნებდი. ოჰ, არა! მე იგი წმინდა არსებად მიმაჩნდა. ალბათ, ასეთი ქალები სიყვარულში კაცებზე უფრო თავდადებულები არიან. მათი გრძნობა უანგაროა. აბა, ჰკითხე რომელიმე მათგანს: „რისთვის მიყვარს შენი გულის მურაზი?“ მხრებს აიჩეჩავს: „არაფრისთვის! მიყვარს იმიტომ, რომ მიყვარს!“ დედაჩემი მამაჩემს საკუთარი სურვილით გაჰყვა, შედეგებზე კი არც უფიქრია.

და მე, დვიძლი შვილი, უნდა ვნანობდე, რომ დედაჩემმა ვერ გაიგო, თუ რა სანატრელი იყო იგი მამაჩემისათვის და აღარც მამაჩემს შეეძლო გაეგო, რომ

მძიმე წუთებშიც კი დედაჩემს ერთი საყვედურიც არ დასცდენია თავისი ტანჯვა-წვალების გამო.

დაე, მომიტევეს მამაჩემმა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძია ჰაჯიმარდანის სოფლის კოოპერატივი, — ხოლო მას ასე ეძღვნება მისი წიგნი. ხდნენ, რომ თავიდანვე მიეჩვივნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ სავაჭრო დაწესებულებისათვის მისი თავმჯდომარის სახელი ეწოდებინათ, — მოთავსებული იყო სახლში, რომელიც სხვა სახლებთან ერთად რკინიგზასთან ახლოს იდგა. სახლი ტევადი იყო. მის ერთ ოთახში მოეთავსებინათ საწყობი, მეორეში სასადილო გაეხსნათ, მესამეში — ჩაიხანა, მეოთხეში ნიადაგ სუნამოს სუნი იდგა, იქაური დალაქი აქ კრეჭავდა და პარსავდა კლიენტებს, მეოთხე — ყველაზე დიდი ოთახი კი სოფლის კოოპერატივს ეჭირა. სახლი კი არა — მთელი ქარვასლა იყო. დედაჩემი კოოპერატივის დამლაგებლად მუშაობდა. სამუშაოზე დღეში ორჯერ ცხადდებოდა: დილაუთენია — მაღაზიის გაღებადღე, და საღამოს — დაკეტვის შერე. საღამოობით სამუშაო მუდამ მეტი იყო: მყიდველები კოოპერატივში შესვლისას ფეხს როდი იწმენდნენ. როცა დედა სამუშაოდ გასწევდა, თან მიჰქონდა ვედრო, რომელშიც ედო იატაკის მოსარეცხი ჩვარი და გაცვეთილი ცოცხი. ხელები მუდამ ნაჯაფი, დაშაშრული ჰქონდა და კანქვეშიდან ლურჯად მოუჩანდა დაბერილი ვენები. განა მარტო მაღაზიის იატაკს ჰგვიდა, ხეხავდა, რეცხავდა, ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა მძიმე ყუთები, ტომრები და კასრები.

მაღაზიას დაასუფთავებდა და შინ მიბრუნდებოდა, კერიაზე ცეცხლს დაანთებდა, სადილს მოამზადებდა, სარეცხს დარეცხავდა, დააუთოვებდა, სახლს მილაგ-მოლაგებდა. განა ცოტა ჰქონდა საზრუნავი? ერთხელ, დილის ბინდბუნდში, როცა ლოჯინში მწოლიარემ ნამძინარევი თვალები მოვიფშვნიტე, დედამ ლამპა გააწყო, აანთო და ლამპის შუშა დაადგა. ლამპის შუქმა დედაჩემს სახე გაუნათა და თითქოს პირველად, ნათლად დაუინახე, რომ საფეთქლებში ფერფლისფერი ჭალარა შეჰპარვოდა, ფერმკრთალი, დაღლილი სახე კი ნაოჭებს დაეღარა.

გული შემეკუმშა, თითქოს შემეშინდაო. წამოვხტი და დედას მკერდში ჩავუხუტე. ლამპაში ალი ატოკდა, ათამაშდა, ალბათ ისე ღრმად ვსუნთქავდი, რომ ჰაერის მყუდროება დავარღვიე. დედამ თავზე გადამიხვა ხელი, მომეფერა. იმ წუთას არ მიგრძვნია, რომ მისი ხელისგული ხეშეშა იყო, პირიქით, ცხენის ჩიჩირივით რბილი მომეჩვენა.

დედა ხშირად შეუძლოდ იყო, მაგრამ სენს არ ეპუებოდა, ექიმთან არ მიდიოდა. თავის თავს თვითონვე მკურნალობდა ძველებური შინაური წამლებით: ბალახების ნაყენით, დაზელვით, ცხელსაფენებით. ზოგჯერ სპილენძის დიდი ქაფქირით ცეცხლიდან დადარს გამოიღებდა, ჩვარში გაახვევდა, ხამ ძაფს შემოუჭერდა და ამ გავარვარებულ ფუთას ყელგანიერ თიხის ღოქში ჩასდებდა. საღამოს, ძილის წინ, ამ გახურებულ ღოქს დედაჩემს ბეჭებზე ვადებდი. დილაამდემომჯობინდებოდა და სამუშაოდ მიდიოდა...

ასე ვცხოვრობდით ჩვენს პატარა აზერბაიჯანულ სოფელ ფოილოში, დაუღკარი მტკერის პირას, ქვეყნიერება ჩვენ არ გვიცნობდა და არც ჩვენ ვუწყობდით მის შესახებ.

ზამთრის გრძელ დამეებში, როცა ქარი ყაჩაღივით დათარეშობდა, ზუზუნებდა და სახურავებს ებრძოდა, სახლიდან გარეთ ცხვირს ვინ გაჰყოფდა, ვიჯექა

ხოლმე კერიის წინ და ვუსმენდი ზღაპრებს, რომლებსაც დედაჩემი მიაშობდა. ცეცხლის აღის ანარეკლი ჩვენს სახეებზე ლაციცობდა და მიუსაფარი ქარის ზუსუნში ჩამესმოდა ცხენის ფრთონვა, ვაჟკაცური ფიჟინა და ვიღაცის გოდება. კერიაში ცეცხლი ვიზგიზებდა, უ-უ-უ-უ-უ — სახლის სხვენში ქარი ღმუოდა. ბინლით მოცულ ოთახში ზოგჯერ დედის ხმა ჩურჩულად გადაიქცეოდა და მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი რაღაც საიდუმლოებით იყო მოცულობით, ხოლო თვალწინ კიაფობდნენ ერთმანეთზე ნათელი სურათები. ალტაცებებს, შეშინებებს, გაოცებისაგან სული მეხუთებოდა.

სხვებთან შედარებით უფრო მომწონდა მელიქმამედის ჯადოსნური მახვილის ზღაპარი, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც მამაცი და სამართლიანი მელიქმამედი ხმლის ძლიერი დარტყმით თავს აგდებინებდა კეთილი ფრინველის ზუმრუდის ბარტყების მოსატაცებლად მისულ ვერაგ დევს. წარმოსახვას გადაყავდი ცხრა მთას იქით და თვითონვე მელიქმამედის გმირობის ტოლფას საქმეებს ჩავდიოდი, ხელში ვატრიალებდი ცეცხლივით მოელვარე ხმალს. ოჰ, ის ხმალი! ღამღამობით მესიზმრებოდა, ბასრი, ერთგული, მტკიცე ხელში მეპყრა. ხორასნულ ფოლადზე ცა ლურჯად ირეკლებოდა, ხოლო ოქროთი მოვარაყებული ვადა ჩემს ხელისგულზე კვალს სტოვებდა, როცა ვვრცხლით მოსევადებულ ქარქაშში ჩავაგებდი.

მეჩვენებოდა, რომ ბოროტი დევი მისაფრდებოდა, რათა მოულოდნელად დამცემოდა და ერთი დარტყმით ჩამოვეგდუ უნაგირიდან. მაგრამ, არა, ვფრთხილობდი, მუდამ ვუხიზლობდი და თავს არ მოვატყუებინებდი. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ვამარცხებდი დევს, ხმლის ერთი დარტყმით ვუპობდი თავს. ოცნება ამეკვიათა — მეყიდა ხმალი, თუნდაც ისეთი არ ყოფილიყო, მელიქმამედს რომ ჰქონდა, მაგრამ, მაინც ხმალი. ჯერ უნდა იშოვო ხმალი, როგორც უნდა იყოს, მერე კი მამაცი მელიქმამედის ხმლისნაირსაც იშოვი.

ერთხელ, გზის პირას, ხმლის ნალევი ვიპოვე. მართალია, ის ცელის პირის ნატეხი იყო, მაგრამ ხმალსა ჰგავდა და იმ წარმოსახვის უნარიც გქონდა, იგი ჩამდვილ ხმლად იქცეოდა.

ჩვენს სოფელ ფოილოში იყო სამჭედლო. იქ მუშაობდა მჭედელი მირზა. ეს იყო გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი, მუდამ იღიმებოდა და შავ ულვაშში თერთი კბილები უელავდა ხოლმე. მიყვარდა სამჭედლოს დია კარში დგომა და მისი მუშაობით ვტკბებოდი. როცა მირზა გრძელი მაშით ცეცხლიდან გავარჯარებულ რკინას გამოიღებდა, გრდემლზე დადებდა და უროს დასცხებდა, ჩემს თვალწინ ფუტკრებივით აბზუვლდებოდნენ ნაპერწკლები. მომაჯადოებელი სანახაობა იყო. ორთქლმავალივით ქშინავდა ქურა, რომელზედაც წითელფრთიანი შევარდენივით ბრიალებდა ცეცხლის ალი, იდგა კვამლის სუნი, უროს დარტყმისას წკრიალებდა რკინა და ეს ხმა ხმლის წკრიალს მაგონებდა.

ჩემი ოცნება — სანატრელი იარაღის პატრონი გაემხდარიყავი, — სულ უფრო ნათლად იძენდა ამქვეყნიურ ფორმებს. „თუ სამყოფ რკინას მოვაგროვებ, მჭედელი მირზა გადაადნობს და ჩამდვილ ხმალს გამოსჭედავს, — ვფიქრობდი მე, — და, როცა გავიზრდები, ისევე, როგორც ბევრი ჩვენი სოფლელი ვაჟკაცი, ფრონტზე წავალ და ფაშისტებს მუსრს გავაელებ.“ იმ დღის შემდეგ, როცა მადუნებელი გევმა გამიჩნდა, თუკი სადმე უპატრონოდ მიგდებულ რკინას დავინახავდი, მაგნიტივით ვიზიდავდი. რაღას არ მივათრევდა შინ: ძველ კავეულსა და სახელურებს, კლიტეებს, ჟანგიან ჭანჭიკებსა და ქანჩებს, რომლებითაც ოდესღაც რკინიგზის ღიანდაგს ამაგრებდნენ, ერთხელ სანაგვიდან ღიანდაგის მოზრდალი ნაჭერიც მივათრიე, ხოლო ძირგავარდნილი ქვაბების სათუალავიც კი

დავკარგე. ჩემს ნადავლში იყო დაფანგული ფუთიანი საწონი და ჯაჭვი, რომლითაც ჩვენმა მეზობელმა ერთი წლის წინათ ვეებერთელა ქოფაკი დააბა. მაგრამ ძალიან ეშმაკი გამოდგა, საყვლოდან თავი დაიძვრინა, როცა ღამით ქუჩაში ძაღლები ხროვად მისდევდნენ ძუკნას. პატრონთან აღარ დაბრუნებულა, გაქრა, თითქოს წყალმა ჩაყლაპაო, ჯაჭვი კი ჩემს რკინის ნადავლს შეემატა.

დედაჩემი ხედავდა ჩვენს სახლწინ დახვავებულ ჯართს და წუხდა, ეძინებოდა ეს ერთი არაფერი მოათრიოს, რაც პატრონს ჯერ კიდევ გამოადგებოდა. მაგრამ ვიცი, რომ ვთქვა, ვერც მე დავუდგებოდი თავდებად ჩემს თავს. სადმე მიტოვებულ ცისტერნას თუ წავაწყდებოდი, ალბათ იმასაც დავითრევდი.

სასაცილო იყო თუ სამწუხარო, არ ვიცი, სოფელში კი „უტილნედლეული“ შემარქვეს.

რამდენჯერ ყოფილა, ვზახე მივდივარ, შემომხვდება რომელიმე ყიამყრალი ბაიყუში და გაიღრიჭება:

— ვა, უტილნედლეულო! გამარჯობა, გენაცვალე! ამბობენ, ჩვენი სოფელი მალე მაგნიტოგორსკს უკან მოიტოვებსო.

მაგრამ ერთხელ არც მე დავიბენი, როცა დიდყურა მეზურნე ისმაილას ბიჭმა იბრაგიმმა ვირის ნალები შემომთავაზა, არც ვაცოე, არც ვაცხელე, მივახალე, მჭედელ მირზასთან მიდი და უფასოდ დაგჭედავს-მეთქი. გაბრაზდა და ყურების აწევა დამიპირა, მაგრამ ეს სიამოვნება არ ვაღირსე, ჩემს მდგომარეობაში გაქცევა საჩოთირო არ იყო, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ მქონდა ნახატრი ხმალი.

როცა მჭედელმა მირზამ გაიგო, ჯართს აგროვებსო, ღიმილით თქვა:

— მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს ამ ვაჟკაცმა ჩემი გრდემლიც არ დაითრიოს!

დედაჩემმა მირზას სთხოვა, ურემი მოიტანე და ეს რკინის მთა, ჩვენი ფანჯრების წინ რომ აღმართულა, სამჭედლოში წაიღე, გამოგადგებაო, მაგრამ მირზამ ეშმაკური ღიმილით უპასუხა:

— იქნებ შენს მემკვიდრეს სურს მჭედელი გახდეს? არ ივარგებს, რომ მჭედელმა მირზამ აწყენინოს მჭედელ გიამს! ან იქნებ გინდა, ნაბათ, რომ ჩემი ნამუსიც ისეთივე შავი იყოს, როგორიც ხელები მაქვს?

ერთხელ სკოლიდან ვბრუნდებოდი და შევნიშნე, რომ დედაჩემს სახეზე გამყოფილების ღიმილმა გადაურბინა. დედა იშვიათად იღიმებოდა, ამიტომაც უმაღლ შევნიშნე, რაღაცით გახარებული რომ იყო.

— დიდი ხანია დაბრუნდი? — ვკითხე დედას და შევეცადე მივმხვდარიყავი, თუ რა იყო დედის კარგ გუნებ-განწყობაზე ყოფნის მიზეზი.

— სადილის მომზადება მოვასწარი. იცო, ჩვენი სოფლის მაღაზიაში დღეს გაქებდნენ. მოხუცმა მამედმა ყველას გასაკონად მითხრა: შენი შვილი, ნაბათ, ყოჩაღი ბიჭია! გაგებულნი ყმაწვილია — ასობით ფუთი ჯართი მოაგროვებო! მესიამოვნა ამის მოსმენა, შვილო! მოდი, მთელი ეს ჯართი ჩაეაბაროთ.

როცა დაინახა, რომ ნაწყენმა თავი ჩავლუნე, თითქოს დასამშვიდებლად დასძინა:

— ფულს მიიღებ! ახალ ყელიან ფეხსაცმელს და შარვალს გიყიდი, თორემ მთლად ტანზე შემოგაცვდა ყველაფერი. განა გული არ მტკიოვ, კარგად რომ ვერ ვაცემე, როგორც სხვა დედები თავიანთ შვილებს!

ბაგეები ამითრთოლდა. დედა შემეცოდა, ცოტათი ჩემი თავიც, მაგრამ არაფერი ვთქვი. რა თქმა უნდა, ჩემს ოცნებას ბოლო ედებოდა — ხმაღს ვეღარ შე-

ვიძენდი, რისთვისაც კინალამ რამდენჯერ ნაწლავები ჩავიწყვიტე, საიდან აღარ მოვათრევდი ჩემს უმძიმეს რკინის ნადავლს.

მოხუც მამედს ჩემთვის რომ ეთხოვა, უთუოდ არ დავთანხმდებოდი, მაგრამ დედაჩემის წყენინება არ მინდოდა და უარი ვერ ვუთხარი. დედაჩემი გარდა არავინ მყავდა და ამ ჯართის მაგიერ ოქროს მთები რომ მდგმოდა, ერთ მისხალსაც არ დავიშურებდი, თუ დედა მოხოვდა. მე იმ დღეს დედის განდევნული სახე დავინახე, როგორც ვთქვი, დედა იშვიათად იღიმებოდა, და მისი ღიმილის გახსენება ჩემი პატარა გულისთვის სულაც უმნიშვნელო წვრილმანი როდი იყო, თანაც უნდა გამეთვალისწინებინა, დედა იმიტომ იღიმებოდა, რომ მე შემაქვს.

მეორე დღეს ჩვენს სახლს სატვირთო მანქანა მოადგა, ჩემი საუნჯე დატვირთა და მეორეული ნედლეულის მიძღებ პუნქტში წაიღო. ფული არ მოუციათ, როგორც იტყვიან ხოლმე — ნატურით აგვინაზღაურეს: მომცეს ყელიანი ფეხსაცმელი, შარვალი, შაქარი, ჩაი და ფქვილიც დაუმატეს.

სალამოს მე და დედა მაგიდას მიუუსხედით და ჩაის შევექცეოდით. დედამ თავისი გამომცხვარი, ხილფაფიანი ღვეზელებით სავსე თუფში მომიწია.

— ჭამე, შვილო! ეს ყველაფერი შენი შრომით არის მონაგარი! — და დედამ თავზე დაშაშრული ხელი გადამისვა.

მესიამოვნა და კვლავ მომეჩვენა, რომ დედაჩემის ხელი ცხენის ჩიჩვირით რბილი იყო.



თბილი დღეების დადგომისთანავე ჩვენი ვიწრო ბინიდან ღია ცის ქვეშ გამოვბარგდით. დედამ ეზო ტარიანი ცოცხით კი არა, ოთახის ცოცხით დაგავა, გარშემო წყალი მოაწყობა, რის გამოც უმაღლესი სიომ დაუბერა, აგრილდა, როგორც თიხის დოქში, როცა წყლით ავსებენ ხოლმე. მერე ძირს შინნაქსოვი ზოლიანი ფარდავი გაფინა, ზედ სუფრა გადააფარა, რომელიც ფარდაზე პატარა იყო, და ერთ მხარეს ჩემი ლეიბი და მუთაქა დააწყო. ძალიან მომწონდა, როცა ჩემ წინ ლითონის სინით მოთუხთუხე სამოვარს დადგამდა. ჭადრის ნახშირის კვამლს ვისუნთქავდი, გაეყურებდი სალამოს ბინდმორეულ ბაღს და შუა ეზოში ლეიბზე ისე მშვიდად მოვიკეცავდი, როგორც არსად და არასოდეს ვმჯდარვარ ჩემს ცხოვრებაში. სანამ წითელი ვარდებით მოხატულ ქაშანურ ჩაიდანში ჩაი ფერს გამოსცემდა, მიყვარდა თვალის დევნება დედაჩემისათვის, რომელიც აუჩქარებლად, ჩვეული სიდიხით, მონდომებით იწყებდა ლამპის შუშის წმენდას და იმ წუთისათვის მზადებას, როცა გარშემო ბინდი ჩამოწებოდა. იგი ლამპის შუშის ძირს ხელისგულს მიაფარებდა და ზემოდან ჩაბერავდა, როგორც აორთქლებენ ხოლმე ბეჭედს, სანამ მას ქალაღზე დააჭერენ ანაბეჭდის მისაღებად. მინა მუქდებოდა, იორთქლებოდა, მასში, როგორც მთის ვიწრო ხეობაში, გამოჩნდებოდა მტრედისფერი ღრუბელი. მერე ღრუბელი ნელ-ნელა დნებოდა, იფანტებოდა, ქრებოდა. დედაჩემი თეთრ ჩვარს აიღებდა, ლამპის შუშაში ჩატენიდა და დაიწყებდა წმენდას. მინის შიგნითა მხარეს ქრებოდა კვამლისფერი ჭვარტლი, და მინა გამჭვირვალე, მზინავი ხდებოდა. მერე ლამპის შუშა მიჰქონდა თვალთან ჯერ ერთი, მერე მეორე ბოლოდან, ჯერ ფართო, მერე უფრო ვიწრო ბოლოდან. თითქოს ჭოგრიტში იყურებაო. დედას სურდა დარწმუნებულიყო, რომ მტვრის ნატამალიც არსად იყო დარჩენილი. როცა დარწმუნდებოდა, ლამპის შუშა კარგად არის გაწმენდილი, ლამპას დაადგამდა. ამასობაში ჩაიც გამოსცემდა ფერს. დედა აიღებდა წითელი ვარდებით მოხატულ ჩაიდანს, მის ცხვირს ჩემი ჭიქისაკენ და-

პხრიდა და უმაღლესი შევიყნოსავდი ოქროსფერი ნაყენის ოღნავ მომწარო სურნელს. მერე ჩემს ჭიქას სამოვრის სპილენძის ონკანს შევუდგამდი და გასაღების მსგავს სახელურს მოვაბრუნებდი.

ერთხელ, როცა პირველი ეარსკვლავი მორცხვად აციაგდა ცის კამარაზე, ხოლო დაისის კინოვარი ჯერ კიდევ მოჩანდა მთაგრეხილის თხემზე, ლამბაქი პართან მივიტანე, რომ პირველი ყლუბი შემეხვრიპა, რომელსაც იქამდე დიდხანს ვუბერავდი გასაციებლად. უცბად იღუმალა ძახილი გაისმა, რომელიც ვერც ვიგრძობდი დროულად ადამიანის კვილსაც ჰგავდა და კატის კნავილსაც. შევკრთი და სუფრაზე ჩაი დავაქციე. კვილი მიწყდა, მერე კვლავ განმეორდა. ძარღვებში სიცვიემ დამირბინა. დედაჩემს შევხედე და ჩურჩულით ვკითხე:

— ვინ არის?

— შეგეშინდა, სულელი? — მომეფერა დედა. — ნუ გეშინია, ზარნაშო იყო. უტყობა, ძია სალიმის ბაღში დაიდო ბინა.

ხალხისაგან გამეგონა, ზარნაშოს კვილი უბედურებას მოასწავებსო და თუ ფანჯრის მინას ფრთას გაჰკრავს, ან სახლს გაუჩნდება ცეცხლი, ან მისი პატრონი მოკვდებაო. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ზარნაშომ დათარსა რომაელები კანესთან და ამიტომ დამარცხდნენ, რაც მრავალი წლის შემდეგ წავიკითხე, მაგრამ ახლა კი ვიცო — ყოველივე ეს მონაგონი ტყუილია. ეს თქმულება იმის გამო გაჩნდა, რომ ზარნაშო ღამის ფრინველია, უგვანოა, მტაცებელია და თვალბედითად გაჰკვივის. მაშინ კი, მშობლიურ სოფელში, ეს ეშმაკეული კვილი რომ მომესმა, შემეშინდა არა იმდენად იმის გამო, რომ ასე აუბედითად კიოდა იგი, არამედ იმიტომ, რომ გავიფიქრე — ვაითუ ზარნაშო ჩვენი სახლის სახურავზე დაჯდეს, ან ფრთა გაჰკრავს ფანჯარას-მეთქი. მერე გამახსენდა ძია სალიმის გაპარტახებული ბაღი. ალბათ იმიტომ გავვერანდა, რომ იქ ზარნაშომ დაიბუღა-მეთქი, — ვფიქრობდი.

დედაჩემმა კი, თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, გასამხნევებლად მითხრა:

— ნუ გეშინია, შვილო, ეგ ზარნაშოა — ბრძენი ფრინველი. მომიხმინე და გაამბობ მის ამბავს.

ზარნაშოს ლეგენდა

„ერთხელ შაჰ-სულეიმანი, რომელიც მოუსვენარი და ქალების მოტრფიალე ახალგაზრდა იყო, დილაადრიან ამაღლის თანხლებით სანადიროდ გაემართა. ჯერ კიდევ განთიადზე მეზუკემ ნალარით ქვეყანას ამცნო ხვაერიელი ნადირობის დაწყება. ახლა მზე უკვე შუბის ტარზე იდგა, შაჰის გაქაფული მერანი პატრონის მთების კალთებზე მიაქროლებდა, მაგრამ გარეული ფრინველ-ნადირი არსად ჩანდა. გაოცდა შაჰი, განრისხდა. ეს რა მარცხიანი დღეა, ასეთი რამ არასოდეს დაგემართნიაო. გადაჰკრა მერანს მათრახი და იმანაც ტყის მღელღოზე გაინავარდა. შაჰს თითქოს თვალი მოსჭრესო, ცხენი ადგილზევე შეაყენა. თვალს არ დაუჯერა: მის წინ ქამანდის სასროლ მანძილზე ირემლადი ბალახობდა.

— ესროლეთ, მბრძანებულო, — შევედრა შაჰს ეწიერი. — ესროლეთ!

შაჰმა კაპარჭიდან ისარი ამოაძრო, მაგრამ უმაღლესად გადაიფიქრა, გულში გაიფიქრა — უკეთესი არ იქნება, ცოცხლად დავიჭიროთო! მან მკვირცხლად ახსნა უნაგირზე დაკრული ქამანდი და სატყორცნად მოემზადა, მაგრამ ირემლადმა მოჯადოებულ მონადირეს ქალის მსგავსი თვალებით შეხედა, მერე ისკუპა და ტყეში გაუჩინარდა.

— ეჰ, მეუფეო, არ დამიჯერეთ და ნადირი წაგვივიდა.

— გაჩუმდი, ყასაბო! — შეუტია ვეზირს შაჰმა და დეზი ჰკრა მერანს. იგი თითქმის დაეწია ქარივით მიმქროლავ ირემლალს, ქამანდის სასროლად მოემზადა, მაგრამ თითქოს მზის ანარეკლად გადაიქცაო, ნადირი გლდის მღვიმეში გაუჩინარდა. თვალის დახამხამებაში შაჰი ცხენიდან ჩამოხტა და მღვიმის ჩახელებულ შესასვლელს მიაშურა.

ერქუნული

— მაშხალა! — შესძახა თანმხლებს, რომელმაც შაჰთან მიხვედრა ცხენი.

შაჰი ანთებული მაშხალით მღვიმეში შესვლას აპირებდა, მაგრამ სანამ მსახურნი ჩირაღდნებს აანთებდნენ, მღვიმიდან ქალწული გამოვიდა და შაჰი ადგილზევე გაქვავდა: თითქოს მის წინაშე ჰურია იდგა. ასეთი სილამაზე მას აქამდე არსად ენახა. გული ისე ძალუძად აუძვერდა, გეგონებოდათ, მკერდში ერთად ათი გული უცემდა.

შეჭყურებს შაჰი ქალწულს და სიტყვა ვერ უთქვამს, მაგრამ ერვენება, რომ სადღაც უკვე უნახავს ეს ანგელოზური გამოხედვა, თანაც სულ ახლახან.

— რისთვის გარჯილხარ, მონადირევ? — ჰკითხა მას ქალწულმა ისეთი მომხიბლავი ხმით, როგორც არასოდეს სმენია შაჰს.

— ირემლალს მოვდევი, იგი ამ გამოქვაბულში დაიმალა, — მიუგო მოჯადოებულმა შაჰ-სულეიმანმა.

— მოგჩვენებია, მოვარის მსგავსი მხედარო. მსახურ ქალს მოვუხმობ, იქნებ მან შენიშნა გამოფრენილი ირემი. — და ქალწული მღვიმეში გაუჩინარდა, მის მაგიერ კი იქიდან გამობაჯბაჯდა მახინჯი დედაბერი.

— რა გნებავს?

— მზიურ ირემლალს მოვდევი, რომელიც ამ მღვიმეში დაიმალა, მაგრამ ალაჰი იყოს მისი შემწე, მითხარ, ვინ არის ის ქალწული, ერთი წუთის წინ შენს ადგილას რომ იდგა, მოხუცო? ოქრო-ვერცხლში ჩაგსვამ, თუ შეტყვი, ვინ არის ის ქალწული, ახლახან რომ ველაპარაკე, და დამეხმარები ცოლად შევიროთ იგი.

— ხი-ხი-ხი! — გადაიხარხარა მოხუცმა უკბილო პირით. — ვხედავ, თავგზა აგბნევია, ჭაბუკო. — მერე გარშემო მიმოიხედა, თითქოს ეიღაცას ემაღებოთ, და შეთქმულივით ჩაიდუღუნა: — სართად ეგ შენი შაჰის ბეჭედი დამიტოვე და ამავე ადგილზე სამი დღე-ღამის მერე მობრუნდი, მე კი შევეცდები საქმე გაგიჩარხო.

სამი დღე-ღამის შემდეგ შაჰ-სულეიმანმა დათქმულ დროზე გაქაფული ცხენი მღვიმესთან მიაგდო. უმაღლ უკბილო მოხუცი დედაკაცი გამოეგება, მიესალმა, ავად გაუღიმა და უთხრა:

— შევასრულე შენი თხოვნა, დავითანხმე ქალწული ცოლად გამოგყვს. მაგრამ ერთი პირობის შესრულებას მოითხოვს იგი შენგან, სანამ ქორწინების დღეს დანიშნავდეს, სამი თხოვნა უნდა შეუსრულო.

— დროს უქმად ნუ ჰკარგავ, ბებერო, თქვი, რა თხოვნა უნდა შეუსრულო!

— ჩემმა ქალბატონმა შეიტყო, რომ ფრინველთა ენა გცოდნია, და მოისურვა ნანადირევი ფრინველებისაგან კოშკი აუგო.

შაჰ-სულეიმანს ვეზირმა ჩუმაღ უთხრა:

— ეშმაკსაც წაუღია ამ კუდიანის თავი. შევეცვივდეთ მღვიმეში და შევიპყროთ ქალწული, ვინ გაბედავს გზაზე გადაგვიდგეს. და თუ გაბედავს...

მაგრამ შაჰმა კვლავ შორს დაიჭირა თავისი ვეზირის რჩევა და როგორც უბრალო მოკვდავმა, ბებერ დედაკაცს უთხრა:

— შენი ქალბატონის ნება-სურვილი ჩემთვის განონია, და სანამ მზე მოსასვენებლად ჩაესვენება, ავუგებ ფრინველებისაგან კოშკს, და მომიტევეს ალაპმა.

შაჰმა დაუსტვინა სხვადასხვა ხმაზე და მოფრინდნენ ყოველი მხრიდან ფრინველები. რანაირ ფრთოსანს არ ნახადით აქ. პატარა დაბუა წივწივა ვინდა თუ ფეხბანჯგვლიანი ცის მეუფე არწივი, რომელსაც მთის მწვერვალზე შეეძლო ატანა ბრჭყალებში ჩაბლუჯული ძეგა ან ტურა. სიყვარულმა თითქოს თავისა აუბნია, გონება დაუბნელა შაჰს, თავის ნუკერებს უბრძანა გაეწყვიტათ ფრინველი და მათგან ცამდე კოშკი, აღეშართათ.

გამობაჯბაჯდა გონჯი დედაბერი გამოქვაბულიდან, ცალყბად ჩაიციხა და ჩაიდუღუნა:

— ყველა ფრინველსა ვხედავ, მაგრამ ზარნაშო არსად ჩანს, ხოლო თუ იმისი თავი არ იქნება, ჩემს მბრძანებელს კოშკი არ უნდა.

გადაჰხედა შაჰ-სულეიმანმა ყველა მოფრინილ ფრინველს — მართლაც, ზარნაშო არსად იყო. „ეტყობა, შავ ფულუროში სძინავს თვალედაჭყეტილს და ჩემი მოწოდება ვერ გაიგო“, — გაიფიქრა მან და გაგზავნა შევარდენი, ბრძენი ზარნაშო გააღვიძეო, მაგრამ შევარდენი დაბრუნდა, ბაზიურის ხელთათმანზე დასკუპდა და გამოაცხადა, ზარნაშო უარზეა აქ გამოცხადდეს მანამ, სანამ შაჰ-სულეიმანი მის სამ კითხვაზე არ უპასუხებს. თუ უპასუხებს — მოფრინდება, თუ ვერ უპასუხებს — დაე, ნუ განრისხდება შაჰი — დაღამებამდე ფულუროდან არ გამოფრინდება და ვერც ვერავინ იპოვის მას უღრან ტყეში.

განრისხებულმა შაჰმა გაიფიქრა: „მოსაკლავია ეს მფრინავი კატა, მაგრამ არც ჩვენა ვართ იმაზე სულელი, რომ თავისი კითხვებით ბრიყვად გამოგვიყვანოს“.

— რა არის მისი პირველი კითხვა? — შეეკითხა შაჰი შევარდენს.

უცბად ტყეში ზარნაშოს კივილი გაისმა:

— მიპასუხე, შაჰ-სულეიმან, ვინ უფრო ბევრია ქვეყანაზე, ცოცხლები თუ მკვდრები?

— ცოცხლები უფრო მეტი არიან! — ტუჩებთან ხელის გულები მიიტანა და ჭეხივით დასჭექა შაჰმა. — რადგანაც ადამიანები თითო-თითოდ იხოცებიან, ხოლო იბადებიან ზოგჯერ ტყუპები და სამ-სამნიც კი.

აქ ტყის ტევრიდან გაისმა ხარხარი, რამაც ფრინველებიც კი შეაძრწუნა.

— სცდები, მეუფეო! ადამიანები მართლაც თითო-თითოდ იხოცებიან, მაგრამ, როცა შენ იძობ, ისინი ერთად იხოცებიან. თანაც ამქვეყნად მართო შენ როდი ხარ ასეთი მბრძანებელი. ამიტომაც მკვდრები ცოცხლებზე მეტია! ჰკითხე შენს ხნიერ ნუკერებს და ისინიც დაადასტურებენ, რომ მართალი ვარ.

შაჰ-სულეიმანს ნათელ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, თავი ჩაქინდრა, მაგრამ გონება მახვილმა ვეზირმა დაამშვიდა იგი:

— გულს ნუ გაიტეხ, მბრძანებელო, ტყის ტევრში საუკეთესო მშვილდოსნები გაგზავნე და ეს ყურებიანი ქაჯი სამუდამოდ დაივიწყებს, როგორ გაგვაბრიყვოს თავისი სულელური კითხვებით.

— მის მოსაკლავად დიდი ჭკუა არ არის საჭირო, — ამოიხვნეშა შაჰ-სულეიმანმა. — უკეთესი იქნება, ჩემო მრჩეველო, უფრო მარჯვე და გამჭრიახი იყო, რომ შენს ბატონს დაუყოვნებლივ მისცე ღირსეული რჩევა, როგორც მეჯინიბე უხანგს მომიმარჯვებს ხოლმე.

ტყიდან ისევ ზარნაშოს კივილი გაისმა:

— მიპასუხე, შაჰ-სულეიმან, თუ თავი ადგილზე გაბია, რა უფრო მეტია ქვეყანაზე: ბედნიერება თუ უბედურება?

შეჰყურებს შაჰი ვეზირს, ის კი, გაიძვერა თაღლითი, კეფას იფხანს, უნდა მოვიფიქრო, უცბად ვერაფერს ვიტყვიო, ვინ იცის, ზარნაშო რა მახეს გვიგებსო, ამიტომ ორჭოფულად, მიკიბულ-მოკიბულად უნდა ვუპასუხოთ, რომ ასეც გამოვიდეს და ისეცო.

შაჰმა ვეზირზე ხელი ჩაიქნია და ქადაგივით გასძახა ^{შარქუნული} შარქუნული. — ქვეყანაზე ბედნიერება უფრო მეტია, რადგანაც არავის სურს უბედურება, ყველანი ბედნიერებას ესწრაფვიან. ხოლო ვისაც ბედნიერების იმედი აქვს, ის უკვე ბედნიერია, თანაც ყველა შეყვარებული ხომ ბედნიერია.

— ბევრს დაასახელებ ისეთს, ვინც იტყვის, ბედნიერი ვარო? მომაკვდავთა უმეტესობა ბედს უჩივის. შენ ცდილობ ხელთ იგდო ულამაზესი ქალწული, სულში კი შიში ჩავდგომია, ვერც კი გაბედავ თქვა — ბედნიერი ვარო. ჩავთვალოთ, შაჰ-სულეიმან, რომ ამჯერად ყაიმს დავჯერდით. დაე, ყველაფერი მესამე შეკითხვამ გადაწყვიტოს: ვინ უფრო მეტია ქვეყანაზე, ქალი თუ კაცი?

— აქ საფიქრალი რა არის, კაცი მეტია, — დარწმუნებით უკარნახა შაჰს ვეზირმა. — მთელი ჯარი, ქვეითიცა და მხედარიც, მხოლოდ კაცები არიან.

დაუჯერა შაჰმა თავის ვეზირს. — კაცები მეტია, — გასძახა დაბურულ ტყეს გამარჯვებაში დარწმუნებულმა შაჰმა, რომ ამჯერად ჭეშმარიტება ნამდვილად მის მხარეს იყო.

— არა! — გამოსძახა ზარნაშომ ტყიდან, წვიმის წინ რომ იცის ხოლმე, ისე — გარეული კატის ხმით. — ქვეყანაზე ქალები უფრო მეტია, რადგანაც ჯარისათვის მხედრებსაც და ქვეითებსაც ქალები შობენ, ყველა მდიდარ მუსლიმანს ხონ უფლება აქვს ჰყავდეს ოთხი ცოლი, ხოლო ისეთებს კი, როგორც შენა ხარ, ტრფიალების მოყვარულ შაჰ-სულეიმან, მთელი ჰარამხანები აქვო, და კიდევ იმითომ, რომ ზოგიერთი კაცი თავისი სუსტი ხასიათის გამო ხშირად დედაკაცს ემსგავსება.

შეკრთა შაჰ-სულეიმანი, მიხვდა რომ ქარაგმულად გადაუკრა სიტყვა კაუჭანისკარტიანმა ზარნაშომ, და თითქოს საზარელი სიზმრიდან გამოერკვაო, გონება გაუნათდა, გამოფხიზლდა შაჰი. „ეს როგორ დამემართა, რომ იმ კუდიანი დედაბრის წაქეზებით ასეთი ბოროტება ჩავიდინე? ჩემი ბრძანების გამო კინაღამ მთელი ფრთოსანთა გვარი არ ამოწყვეტეს ამქვეყნად!“ მტკიცე გადაწყვეტილებით უმაღლ სახე გაუნათდა და ბრძანა ყველა ფრთოსანი გაეთავისუფლებინათ, თვითონ კი მღვიმესთან მიიჭრა და განრისხებულმა ჯადოქარს უბრძანა, ბეჭედი დამიბრუნეო.

— არ დამიბრუნებ? — დაემუქრა შაჰი. — კვამლით გამოგახრჩობ და ვუბრძანებ მსახურებს შენი ლეში ტურებს მიუგდონ გასაძიძვნად!

გამოვიდა მღვიმიდან ბებერი საფრთხობელა, კბილები გააკრაჭუნა და თქვა:

— შედი მღვიმეში და თუ საუნჯის სკივრში იპოვი შენს ბეჭედს, წაიღე.

შაჰი მღვიმეში შევიდა: დგას მის წინ პატიოსანი თვლებით სავსე უშველებელი სკივრი. იმდენი ბეჭდებია, ვერ დაითვლი და ყოველ მესამეზე ამოტვიფრულია „სულეიმანი.“ როგორ იპოვი შენს ბეჭედს, როცა ყველა მათგანი ერთმანეთს ტყუბისცალივით ჰგავს. ბებერი დედაკაცი კი ამბობს, თითქოს ქალაღი შლიდეს:

— სამყაროსავით ბებერი ვარ. დევებზე უფრო ძლიერი, შემძლია ირმად გადავიქცე, ან ლამაზ ქალწულად, ბებერ საფრთხობელად, როგორსაც ახლა მხე-

დავ. აირჩიე, რომელი ბეჭედიც გენებოს... რას აყოვნებს!.. ამქვეყნად იმდენი სულეიმანი იყო, რამდენიც ცაზე ვარსკვლავია. მოვიდნენ — წავიდნენ. შენ არც პირველი ხარ, არც უკანასკნელი. მხოლოდ ბეჭდებიდა დარჩა...

არაფერი აღარ უპასუხა მას შაჰ-სულეიმანმა. აუჩქარებლად შევჯდა ცხენზე და დაღვრემილი ჭენებით გაეცალა დაწყველილ მღვიმეს. ამაღლა უკან გაჰყვა შაჰს.

შაჰ-სულეიმანი ზარნაშოს მადლიერი იყო, რომ არ დაანება დაეწყო წყველს ფრთოსანი, რადგან მისი სიტყვები — უნებისყოფო კაცი დედაკაცსა ჰგავსო, — დაეხმარა შაჰს დაეძლია ცდუნება, რომელმაც უგუნურობამდე აღუგზნო ფინი.

— მაშ რატომ ამბობენ — ზარნაშო უბედურების მომასწავებელიაო? — შეკვიითხე და გავიხსენე მეზობელი საღამის გაპარტახებული ბაღი.

— ნუ დაიჯერებ მაგას, შვილო, — გამოექომაგა ზარნაშოს დედა. — განა ცოტა ტყუილის თქმა შეუძლია ზოგიერთ ლაქლაქას?

— მისი კივილი სულს რატომ აფორიაქებს? — ვერ ვისვენებდი.

— რათა ადამიანებმა დაიხსომონ: თავდაპირველად კარგად უნდა მოიფიქრონ, მერე კი იმოქმედონ, და არა პირიქით... მოიტა, ცხელ ჩაის დაგისხამ.

დედამ ცხელი ჩაი დამისხა და ლამპა აანთო. ზღაპრული მყუდროება სუფევდა ჩვენს ეზოში. ეფიქრობდი ბრძენ ფრინველზე, რომელსაც ზარნაშო ჰქვია, ფრთოსანთა ჯილაგი გაწყვეტას რომ გადაარჩინა. სიზმარში ვნახე შაჰ-სულეიმანი, რომელსაც მაჯაზე ზარნაშო ეჯდა.

დავამთავრე ჩვენი სოფლის სკოლის ოთხი კლასი და ახლა ჩემს თანატოლ მეჭლეთთან — ძია საღამის შვილთან ერთად, ვისი სახლიც მეზობლად იდგა, დავდიოდით დაბა ფოილოს სამშუალო სკოლის მეხუთე კლასში. გზა ნაწილობრივ დაფარული იყო დამსკდარი შავი ასფალტით, დანარჩენი კი — ქვიშიანი, გადასურავდა ტყეს, სადაც ხშირ ბაღახში ნაკადული მოჩუხჩუხებდა. ზაფხულობით ნაკადულის წყალი ყინულივით ცივი იყო, დაღვევ და კბილები ტეხვას დაგიწყებს. მაგრამ ბავშვები ხშირად სკოლაში ამ გზით კი არ დავდიოდით, არამედ მოკლე ბილიკით, აქედან უფრო ახლო იყო. ბილიკი მიიკლაკნებოდა საკოლმეურნეო ბოსტან-ბაღების სავარგულებზე, გადასურავდა ნაკადულს და დაბალ გორაკებს შორის პირდაპირ დაბის ცენტრში ვადიოდა.

ჩემი მეგობარი მეჭლეთი კარგად მოვლილი ბიჭი იყო და თვითონაც ლაზათი უყვარდა. სახის კანი გოგოსავით ნაზი ჰქონდა, მოხდენილად ეცვა, მე კი არა მგავდა. ცისფერი თვალები, როცა იცინოდა, მოეჭუტებოდა და აუწყლიანდებოდა ხოლმე. მეჭლეთისაგან განსხვავებით მე შემეძლო ფეხშიშველას მერბინა, არ მეშინოდა პირიანი ქვებისა, მეჭლეთი კი, თუ გაიხდიდა, ისე დადიოდა, როგორც ღორდით დაფარულ ნაპირზე ქალაქიდან ჩამოსული ფეხშიშველა დამსვენებლები დადიან ხოლმე. მე მცივანა არ ვიყავი ზამთრობით, მეჭლეთს კი თვალები ეცრემლებოდა ცივი ქარისაგან და ცირკის ჯამბაზივით ცხვირი უწითლდებოდა, დედაპისი, ძია საღამის ცოლი, ფატმანისა, თავისი ერთადერთი შვილისათვის სულს არ იშურებდა და, როგორც შეეძლო, ანებივრებდა. დედისაგან მართო ეს ესმოდა მას: „აბა, ფეხი არ დაისველო, როცა ნაკადულზე გადახტები!“ ან: „შვილო, პური და ნაღები შეჭამე!“ მეჭლეთი თავს აქნევდა: „არ მინდა, დედიჯანი!“

აბა, როგორ ენდობებოდა ჭამა, როცა სუფრიდან ახლახან წამოდგა, ერთი ჯამი შურთა და თუფში ფლავი გადასახსლა და ღაზათიანად გამოძღა. მეპლეთი წუნია და ჭირვეული იყო ჭამაში: ეს არ მოსწონდა, ის უკემური მოეხარშათ. ფატმანისა-ხალა ზოგჯერ სადილის დროს დამიძახებდა, შვილის გვერდით დამსუამდა, რომ მაგალითი მეჩვენებინა, თუ როგორ უნდოდა მადიანი ჭამა. ამ შემთხვევაში მართლაც გადაძღები მაგალითი შემეძლო მეჩვენებოდა, თუ არა მჭირდებოდა — ჭამეო, ყბებგამოტენილი ვილუკებოდი. როცა მისი ცდილობდი, მაგრამ მეპლეთს ზანტად მიჰქონდა კოვზი პირთან და გულში მლანძღავდა იმისათვის, რომ დედამისს ვეხმარებოდი. თვითონ ძია სალიმც ზოგჯერ შვილს ეტყოდა — ისწავლე გიამისაგან, რა სწრაფად ანთებს ცეცხლს, როგორი მკვირცხლია, ნახე — ხეებზე ციყვივით დაძვრება, ვაშლებს და კაკალს რა მოხერხებულად კრეფს. ერთხელ, როცა მეპლეთს მათემატიკაში ორიანი აჰკიდეს, ძია სალიმმა საყვედურით უთხრა:

— წელმოწყვეტილი, გიამისაგან მაინც გადაიღე მაგალითი. ობოლია, ხუთი-ანებზე კი სწავლობს.

ეს სიტყვა „ობოლი“, რომელიც ძია სალიმს უნებლიეთ წამოსცდა, ძალზე მეწყინა. შინ გულდათუთქული წავედი.

როცა დედამ მკითხა, ნაღვლიანი რაღა ხარო, თავი ვეღარ შევიკავე, თვალზე ცრემლმომდგარმა ვუამბე, ძია სალიმმა რაც წამოაყრანტალა.

დედაჩემს სახე გაუფითრდა, თითქოს თავისმა ძველმა სენმა გაუხსენაო.

— შენ ობოლი არა ხარ, შენ დედა გყავს! — ამაყად და ნაზად მითხრა მან. მერე შინიდან გავიდა, ტყრუშულ ღობეს მიადგა, ჩვენს ეზოებს რომ ჰყოფდა, დარჩა ფატმანისა-ხალა და უსაყვედურა — შენმა ქმარმა ჩემ შვილს ობოლი რად უწოდაო.

— ბავშვს სულს რად უფორიაქებს? ის ობოლი არ არის, მე ვყევარ!

დედაჩემს ბაგეები აუთრთოლდა, ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა.

ფატმანისა-ხალა, როგორც ყველა ფაშფაშა მანდილოსანი, გულისხმიერი, გულკეთილი დედაკაცი იყო, დედაჩემს დამშვიდება დაუწყო:

— ყურადღებას ნუ მიაქცევ, ნაბათ! ჩემი სულელი კაცი ზოგჯერ ისეთ რამეს მეტყვის, ლამის ბიჭს ხელი დავავლო და დედაჩემთან გავიქცე. რამდენი წელიწადია ერთმანეთს ვიცნობთ, ნათესავეებივით ვცხოვრობთ.

ვიცოდი, დედაჩემი ყოველგვარ წყენას აიტანდა, თუ მხოლოდ მას შეეხებოდა, მაგრამ იგი ვერ იტანდა ჩემს წყენინებას — ვინმეს რომ შევცოდებოდი ან გულსატკენი სიტყვა წამოსცდებოდა. იგი დიდხანს ცდილობდა ძია სალიმს არ შეხვედროდა.

უკვე ვთქვი, რომ ფატმანისა-ხალა კეთილი და ალერსიანი დედაკაცი იყო, ჩასუქებული, ნიკაპზე პატარა ხალიანი, რაც ძალიან უხდებოდა და ღმობიერ იერს ანიჭებდა. გრძელწამწამებიანი მოცინარი თვალები, ბოხი ხმა და ლოყებსა და მკლავებზე ფოსოები ჰქონდა. როცა კაბის სახელოებს დაიკაპიწებდა, იმის მიუხედავად, რომ ფატმანისა-ხალა სამხრეთელი იყო, მკლავები თოვლივით თეთრი ჰქონდა. როცა ძია სალიმის სახლში დილის სუფრას მიუუჯდებოდი, ფატმანისა-ხალა, როგორც სტუმარს, კერძს პირველად მე დამიდგამდა ხოლმე.

— ჭამე, გიამ, ჭამე, გენაცვალე! — და ხან თბილ დაბროწილ ლავაშს მომაწვდიდა მოჭიქული ჭამანურის ჯამით, ხან მაწონს, არაყანს, ან ნაღებს დამიდგამდა და ისე მეჩვენებოდა, რომ ფატმანისა-ხალას ფაფუკი მსუქანი მკლავები მაწინის, არაყნისა და ნაღების ფერი იყო.

მერე არ იკითხავთ, მას თვითონ როგორი შესაშური მადა ჰქონდა? ამის აღწერას მთელი გვერდიც არ ეყოფა. გულთბილი დიასახლისი ისეთი სიამოვნებითა და გემრიელად მიირთმევდა ხოლმე, მის გვერდით კარგად დანაყრებული ადამიანი რომ ყოფილიყო, უმაღლესი იგრძნობდა, სურვილი გაუჩნდებოდა ფატმანისა-ხალასთან ერთად მისჯდომოდა სუფრას.

ვის არ უყვარს ის დრო, როცა ბაღ-ბოსტნებში ნაყოფი შემოდის? ბავშვობიდან სიბერემდე ვიხიბლებით ამ დროით. ბიჭებზე ხომ ლაპარაკიც გეძინებოდა საზამთრო, ვაშლი, ქარვისფერი, თითქოს გამჭვირვალე ატამი, მერე ხურმა, რომელიც ჩვენს მხარეში ოდესღაც იაპონიიდან შემოუტანიათ, ტკბილი, ოდნავ მწკლარტე, და ბროწეული, რომლის ყოველი მარცვალი თვალი პათიოსანივით ლალისფრად ელუარებს. ნესვები, თაფლზე უტკბესი როა! როცა ნესვს გაჭრი, უმაღლესი მხრიდან იქვე გაჩნდებიან ფუტკრები. ას კილომეტრზე რომ იყვნენ, მაინც მოფრინდებიან. ან კი როგორ არ მოფრინდებიან, როცა ნესვზე უტკბესი არაფერია. კაკალი, რომლის ლებანი ადამიანის ტვინს წააგავს, და როგორც ხალხური თქმულება ამბობს, ტვინს ამაგრებს. ერთი ხიდან შეუიძლია ტონანახევარი კაკალი დაბერტყო. მართალია, კაკალი ნაყოფს დარგვიდან ათი წლის შემდეგ ისხამს, მაგრამ ჩვენში, მტკერის პირას, კაკალი ოდითგან ხარობს და ალბათ, ამიტომაც ჩვენს სოფელში ამდენი საზრიანი ადამიანი ცხოვრობს.

ვის არის შემოდგომაზე მოსავლის აღებისას უფროსების პირველი თანაშემწე? რა თქმა უნდა, ბიჭები, რადგანაც ისე ყოჩაღად ვერავენ აძვრება ხეზე, და იმათსავით სხვას არავის უყვარს საზამთრო და ნესვი. იქნებ თქვათ, ასე არ არისო. მაშინ შემიძლია დაგენიძლოთ და ადვილად დაგიმტკიცოთ, რომ ეს სწორედ ასეა და არა სხვანაირად.

როცა დადგებოდა მოსავლის აღება-დაბინავების დიდხანს ნანატრი საამო დრო, ფატმანისა-ხალა დასახმარებლად დამიძახებდა:

— ვიამ, გენაცვალე, თუ დრო გაქვს, ხომ არ შეგიძლია მოგვეხმარო?

თქმა არ უნდა, საქმე აუარებელი მქონდა, მაგრამ ასეთ საოცარ და კეთილ ადამიანს, როგორიც ჩემი მეგობრის მეპლეთის დედა იყო, უარს როგორ ვეტყვოდი. მით უმეტეს, რომ ქვების საზიდად როდი მეპატიჟებოდა.

უნდა გითხრათ, რომ ნესვისა და საზამთროს კრეფა და ერთ ადვილზე შეგროვება — ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გეჩვენება მაცდუნებელი და ადვილი. აბა, ერთი სცადეთ და ზიდეთ! პო, ლამაზები და მრგვალებია, მაგრამ ზარბაზნის ყუმბარებზე მძიმე კია, და მთელი დღის განმავლობაში მათი თრევით სიქა ისე გაგეცლება, ხელებიც გტკივა, წელიც. სამაგიეროდ — რამდენიც გინდა მიირთვი. ზოგიერთები, განსაკუთრებით ჩამოსულები, როცა საზამთროს არჩევენ, ექიმივით თათებს უკაკუნებენ ხოლმე გვერდებში, ხელებს უჭერენ, ნახავენ, ყუნწი შემხმარია თუ არა, მე კი თვალს შევაველებ დიპიანს და უკვე ვიცი შიგნით რაც არი: ან ოდნავ შეწითლებულია, ანდა ნაკვერჩხალივით ღვივის.

სალამოს ტომრით ან კალათით შინ მიმქონდა ჩემი ოფლით ნაშოვნ ბუნების ნობათი. მეპლეთი მუდამ მშურად მეხმარებოდა ამ ტკბილი, მაგრამ მძიმე ტვირთის შინ მიტანაში.

დედაჩემი მუდამ მიჯავრდებოდა იმისათვის, რომ შინ მიმქონდა თითქოს „შრომადღებზე“ ძია სალიმისაგან მიღებული ძღვენი.

— მეპლეთი შენი ამხანაგია და მოვალე ხარ დაეხმარო, გასამრჯელოზე არ უნდა იფიქრო.

— ძია სალიმსა და ფატმანისა-ხალას ეწყინებოდათ, რომ არ წამომედო.

— არ ვარვა, შეილო, მეზობლურად არ იქცევი.

მეპლეთი უმაღლესად გადასცემდა დედამისს, ვიამს კარგი დღე არ დააყარეს, შინ დატვირთული რომ დაბრუნდაო. ფატმანისა-ხალას ცეცხლზე რძეც რომ სდგომოდა, უმაღლესად ყველაფერს თავს მიანებებდა, ღობეზე გადმოაღაჯებდა და ჩვენს ეზოში შემოიბრუნებდა.

— ნაბათ, ჩემო დავო, ალაჰისა გრცხვენოდეს, რად გინდა, რომ გვაწყენინო? ეს ვიამის საზღაური კი არ არის, მისი საკუთრებაა. ისე რა უნდა გენაცვალე, თქვენიც არის. გულს ნუ მომიკლავ, ნაბათ! ჩემი საღებო შენს ქმრის მეგობარი იყო, ჩვენც ღვიძლი დებივითა ვართ, შენ კი რაღაცა წვრილმანებზე ლაპარაკობ.

ფატმანისა-ხალა მართალი იყო, მისი ქმარი საღებოში მამაჩემს ნამდვილად მეგობრობდა და რკინიგზაზეც ერთად მუშაობდნენ. იმასაც ისევე, როგორც ოდესღაც მამაჩემს, ჰქონდა ფორმის ქუდი და ტყავის განიერი ქამარი სასიგნალო ალმების ჯიბეებით. თითოეულ ჯიბეში ჩარტობილი იყო გარკვეული ფერის ალაჰი: წითელი, ყვითელი ან მწვანე. ალმების გვერდით ძეწკვზე ეკიდა გონგი, რომლითაც ძია საღებოში ორთქლმავლებს გადასცემდა სიგნალებს: „წინ წადი“, „უკან წადი“, „შესდექ“, „ბუქსირზე გამოიბი“. ორთქლმავლებს ესმოდათ მისი და ემორჩილებოდნენ. სამგზავრო მატარებლის ჩამოდგომამდე თხუთმეტი წუთით ადრე ძია საღებოში სადგურის ზარს ჩამოჰკრავდა ხოლმე, ზარს ჩამოჰკრავდა მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთით ადრეც. თუ რომელიმე ადგილობრივი მკვიდრი წინასწარ იტყოდა, ესა და ეს საქმე უნდა გავაკეთოთ, ჩვეულებრივ უპასუხებდნენ ხოლმე:

— მატარებელი, ძმაოჯან, ჯერ ისევ ბაქოშია, შენ კი ძია საღებოს ზარით გუგუნებ...

როცა ძია საღებოში წარსულს იხსენებდა ხოლმე, მიაბობდა მამაჩემთან ერთად რკინიგზაზე როგორ ჩადგნენ სამსახურში, როგორ აიცილეს თავიდან მატარებლის ავარია.

— იმ დღეს, როცა შენ უნდა დაბადებულიყავი, გრაფიკით მამაშენს, პატივცემულ ალიმამედს, უნდა ემორიგევა, მაგრამ მითხრა: „ძმაო, საღებო, დღეს შემცვალე საკუშაგოზე, რადგან მემკვიდრეს ველოდები, ეს კი ჩქარი მატარებლის მოლოდინზე უფრო მნიშვნელოვანია.“

მე ვუპასუხე:

— ყოველ შემთხვევაში, მეგობარო, ეს მოლოდინი უფრო სასიხარულოა, ვიდრე სპეციალური მატარებლისა, და ასეთი სადღესასწაულო შემთხვევის გამო ვიბარებ მორიგეობას და ყოველგვარი წესების დარღვევით შვიდჯერ დავრეკავ სადგურის ზარს!

ზართიან მივედი და შვიდჯერ დავრეკე! სადგურის უფროსი ბაქანზე გამოვარდა, დაჭყეტილი თვალებით შეხედა საათს და დაიღრიალა: „შენ, რა, შეიშალე თუ მთვრალი ხარ, გოგრის თავო!“ აი, ასე ვამცნე, ვიამ, შენი დაბადება ქვეყანას.

მიყვარდა ყურება, თუ როგორ ემზადებოდა ძია საღებოში სამორიგეოდ, კოკარდიან ფორმის ქუდს იხურავდა, შემოირტყამდა ძველ გაპრიალებულ განიერ ქამარს, რომელზედაც სხვადასხვა ფერის ალმები ეკიდა, აიღებდა ფარანს, რომელშიც სანთელი იყო დამაგრებული და დინჯად, აუჩქარებლად, საქმიანად გასწევდა სამორიგეოდ. და მეჩვენებოდა, რომ მამაჩემიც ძია საღებოში მშვიდად, სამუშაოდ გამზადებული მიდიოდა სამსახურში და ძია საღებოში უხდებოდა რკინიგზის სადა ფორმა.

სექტემბერი დადგა, მაგრამ ზაფხულივით თბილოდა, ფრინველები ჯერ არ გაფრენილიყვნენ ზღვებს გაღმა, შორეთს ისევ ფარავდნენ ფითოლგაუძარცვავ ხეები. მე და მეჰლეთი ზღაზვნით მივდიოდით სკოლაში, ჩვენი გზა გადიოდა მაცდუნებელი საკოლმეურნეო ბაღების გვერდით. ამ ბაღებს სდარაჯობდა ძია ფარაჯი. ვერ იტყოდით ფხაზელი დარაჯიანო. ჩვენს მხარეში საზამთროს ბუხარები ბული იყო და ძია ფარაჯი ამ საქმეში იმიტომ იდგა, რომ მის ხანდაზმულ ასაკს შეეფერებოდა. ჭუჭყიანი საქმე არ არისო, ამბობენ ისეთ საქმეზე, ძია ფარაჯს რომ ევალეობოდა.

არ ვიცო, იქნებ იმ დილით ეშმაკმა დაგვთარსა, მაგრამ მივდივართ, მაშასადამე, სკოლაში, ვსაუბრობთ აქეთურსა თუ იქითურზე... უცბად მეჰლეთმა მუჯღუგუნის წამკრა და შეთქმულივით ხმადაბლა მკითხა:

— რას ფიქრობ ახლა?

— არაფერსაც არა ვფიქრობ...

— არა, შენ ნამდვილად ხუნუ საზამთროზე ფიქრობ...

— რა იცი? — გაოგნებული ვეკითხები, რადგან მართლაც ხუნუ საზამთროზე ვფიქრობ, რომელიც ყველა სხვა ჯიშის საზამთროზე ტკბილია.

აქ კი, ჩემდა ჭირად, ჩვენს თვალწინ გაიელვა ბაღაში მხარეთქოზე წამოწოლილმა სწორედ ასეთმა ვეებერთელა საზამთრომ. ისე მომინდა მისი მოწყვეტა, რომ პირში ნერწყვი გამიშრა. მეჰლეთი კი დაშაშრულ ტუჩებს ილოკავდა და ჩურჩულებდა:

— წყურვილისაგან ვიხრჩობი!

თვალი დაეადგი ამ ხუნუს ჯიშის საზამთროს, რომელსაც სიმწიფისაგან ქერქი ჩამუქებოდა და მეც ისე მომწყურდა, თითქოს მთელი დღე მარტო წინაკა მეჭამოს. მეჰლეთსაც სახეზე ეწერა, რომ წყურვილისაგან იტანჯებოდა, ახლავე თუ არ შეჭამდა ამ საზამთროს, სკოლამდე ვეღარ მიაღწევდა, გზაში მოკვდებოდა.

— გადადი და მოწყვიტე, — მეხვეწება ენაგამშრალი, — მოიტა, ჩანთას მე დაგიჭერ.

ფეხს ვითრევდი, ვერ ვბედავდი, თუმცა, მეჩვენებოდა, ხუთიოდე წუთის სიცოცხლედა მქონდა დარჩენილი, თვალწინ, თითქოს უდაბნოში გზააბნეული მგზავრი ვიყავი, წარმტაცი სურათები კიაფობდნენ.

— ყველა კი ამბობს, საიამის შვილს — ალისა ჰგავსო. არა, სად ისა და სად შენა. ლაჩარი ყოფილხარ!

ამ სიტყვების გაგონებისთანავე გადავხტი და პირდაპირ ბედნავს ხუნუს დავაცხრი.

ალისთან შედარებამ, რომელიც გმირად ითვლებოდა, სიფრთხილზე მთლად დამაიწყა. ალიმ მრავალჯერ გასწირა თავი ომში, დაიჭრა და შინ მრავალი ჯილდოთი მკურდდამშვენებული დაბრუნდა. მის შესახებ წერდნენ გაზეთებში, რადიოში ლაპარაკობდნენ. ყველა ბიჭი ოცნებობდა ალისნაირი ყოფილიყო. სასკოლო თხზულებაშიც კი თემაზე „როგორი გინდა, რომ იყო?“ ჩვენს კლასში თითქმის ყველამ შეთქმულივით დაწერა — „ისეთივე გაბედული მინდა ვიყო, როგორიც ალი არის.“

თითქმის მთელი ომი განვლო და ცოცხალი გადარჩა, თავისი ქორწილის წინ კი საავტომობილო ავარიაში მოჰყვა და დაიღუპა. ჭეშმარიტად არის ნათქვამი, ბედი-ავბედო, — წუხდნენ თანასოფლელები. მე თვითონაც ალის სიკვდილის შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია, რა უცნაურად და უსამართლოდ უნაწილდებათ

ადამიანებს სიხარული და მწუხარება-მეთქი. ვისზეა ეს დამოკიდებული, რომ ერთი ადამიანი, ვისაც კარგი არავისთვის გაუკეთებია, ას წელიწადს ცოცხლობს, ხოლო მეორე — კეთილი, გაბედული, რომელიც მზად არის უანგაროდ დაგვეხმაროს, სიცოცხლეს ისეთი ახალგაზრდა ესალმება, როგორც ალი.

ალის ქორწილი ქელეხად გადაიქცა. მწუხარებისაგან გონდაკარგული ძაძით მოსილი დედაძისი თმებს იგლეჯდა, ხალხს კი უმეჩნებდა: — შეეშლებათ.

ერთხელ ქუჩაში შეხვედრილია ალის დამ მოთხრატ: —

— როგორ ჰგავხარ ჩემს ძმას, ვიამ. — ატირდა და დასძინა: — ეცადე, დედაჩემს არ დაენახო.

რაკი მეძლეომა გამახსენა, ალის ჰგავხარო, სხვა გზა აღარ მქონდა, დარაჯი ფარაჯი თოფითაც რომ გამომდგომოდა, მაინც უნდა მომეწყვიტა ის საზამთრო.

და აი, თამამად, პლასტუნი ჯარისკაცივით გაეხიზნა მოგრო საზამთრო-საკენ, ორივე ხელით ჩავებლაუჭე და მოვქაჩე. შემხმარი ყუნწი ადვილად მოსწყდა, წამოვდექი, მოპარული ვეებერთელა საზამთრო მუცელზე მივიხუტე, როგორც პატარა და-ძმებს მიიხუტებენ ხოლმე უფროსები, და ბილიკისკენ წავიდე. მეძლეოთ, როცა მივუახლოვდი, სიხარულითა და ჟინიანად დაფაცურდა ჩემი ტვირთის გარშემო, ველარ ითმენდა, სანამ პირს არ ჩაიკოკლოზინებდა.

დანა არა გვქონდა. მეძლეომა დაინახა შორიახლოს გადავლებული მავთული, შარვლის ტოტზე გაწმინდა, ოთხი მხრიდან გადავხერხეთ საზამთრო, მერე ყუნწთან მუშტი დავცხე და ხმაურით გასკდა. მოუთმენლად დავეძგერეთ საზამთროს ნაჭრებს, ვთქვლეფავდით, ტკბილი წვენი წურწურით ჩამოგვდიოდა ნიკაპზე, სული გვეხუთებოდა და მსუნაგებივით კურკებიანად ხარბად ვყლაპავდით. როცა წყურვილი დავიცხრეთ, ბალახზე მივწექით და ცოტა ხანს დავისვენეთ. მერე მეძლეომა მავთულის ბოლოთი საზამთროს ჩაშავებულ ქერქზე ჩვენი სახელები ამოკაწრა: მეძლეო სალიმ-ოღლი და ვიამ ალიმამედ-ოღლი. მერე ბოლომდე მოუღვინეთ საზამთროს, ნამცეციც არ დაგვრჩენია და სირბილით გავწიეთ სკოლისაკენ. გზაზე ვიცინოდით და ხმამაღლა გამოვთქვამდით ჩვენს ვაკვირებას, ის ვეებერთელა საზამთრო ასე უცბად როგორ გადავსანსლეთო.

უკანასკნელი ვაკვეთილის ბოლოს, როცა გეოგრაფიის მასწავლებელმა რუკასთან გამიძახა, რათა გიბრალტარის სრუტე მეჩვენებინა, მე და მეძლეოთი სასწავლო ნაწილის გამგესთან გამოგვიძახეს. კლასიდან გასვლისთანავე მე და ჩემმა განუყრელმა ამხანაგმა ერთმანეთს შევხედეთ და მხრები ავიჩქრეთ, არ ვიცოდით რისთვის გვიბარებდა. საშიშს არაფერს მოველოდით, კაბინეტის კარი შევადეთ და ზღურბლთანვე გავშეშდით. სასწავლო ნაწილის გამგის გვერდით იდგა დარაჯი ძია ფარაჯი თავისი ფართი ფარფლიანი შლაპითა და კომბლით ხელში. გულმა რეჩხი მიყო.

— შემოდით, შემოდით! — თითი დაგვიქნია სასწავლო ნაწილის გამგემ.

განწირულებივით მივუახლოვდით მაგიდას, რომელთანაც იგი იჯდა.

— აი, ამ პატივცემულმა მოხუცმა, — მიგვითითა სასწავლო ნაწილის გამგემ ძია ფარაჯზე, — რომელსაც, ალბათ, იცნობთ, მითხრა, კოლმეურნეობის ბაღიდან სათესლე საზამთრო მოვიპარავთ.

თავი ჩავქინდრე, მეძლეომა კი, რომელიც ასევე იატაკს მისჩერებოდა, ჩაიბურტყუნა:

— იქნება მგლებმა შეჭამეს...

სასწავლო ნაწილის გამკეს სახეზე ღიმილმა გადაურბინა და წამით ფანჯრისკენ გაიხედა, რომ დაეფარა.

ძია ფარაჯი გულმოღვინედ ისევამდა ხელს ჭადარა უღვაშებზე, თითქოს უშანოდა, არ გამეცინოსო.

— მეც ლამის ეგრე ვიფიქრე, მაგრამ ერთმა უცნაურმა გარემოებამ /
მაიძულა ეჭვი შემპაროდა. მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ~~ქვეყნულად~~
ჩვენს მხარეში არ მინახავს ისეთი მგლები, რომლებსაც თავიანთი ~~სახელები~~
გვარი საზამთროს ქერქზე წაეწეროთ. — ამ სიტყვებით მოხუცმა ფარაჯმა ხურ-
ჯინიდან ამოალაგა ქერქები, რომლებზეც ჩვენი სახელები იყო ამოკაწრული.
ყოველივე ცხადი გახდა: ჩავცვივდით ამ წერა-კითხვის მცოდნე მეჭლეთის და-
უფიქრებლობის გამო. ნახა რა, სად უნდა დაეწერა!

— ის საზამთრო არ დამენახებოდა, — განაგრძო მოხუცმა, — სათესლედ რომ არ მდომებოდა. მთელ ზაფხულს დაუფოფინებდი, ვატრიალებდი, მზეს ვუფიცებდი, რომ კარგად შემოსულიყო...

არ დაგვსაჯეს, მარტო გვარიანად გაგვიცხეს, მაგრამ მას შემდეგ, როცა სასწავლო ნაწილის გამკე ჩვენი კლასის მოსწავლეთა სიას ამოიკითხაუდა ხოლმე, ჩემი და მეჭლეთის სახელებს ასე წარმოსთქვამდა: „მგელი აღიძამედ-ოღლი“, „მგელი საღიმ-ოღლი“.

ამ ქვეყანაზე ახალ ამბავს რა დამალავს. ჩემმა საქციელმა დედა ძალიან დააღონა. დამემღურა და რამდენსამე დღეს აღარ შელაპარაკებოდა. ეს ჩემთვის დიდი და აუტანელი სასჯელი იყო. მაშინ, არა იმისთვის, რომ თავი გამემართლებინა მის თვალში, არამედ ასე ძლიერად რომ არ განეცადა, მეჭლეთის თანდასწრებით გულახდილად ვუთხარი, ამას რომ არ შევეგულიანებინე, ის საზამთრო რა ჭირად მინდოდა-მეთქი. ჩემმა საბუთმა სრულიადაც არ დაამშვიდა იგი, ისე ამოიოხრა, როგორც ოხრავენ ადამიანები, ვისაც გულზე სიმძიმე აწევთ და მე და მეჭლეთს ორი ძმის იგავი გვიამბო...

ორი ძმის არაკი

— ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ცხოვრობდა ორი ძმა, — დაიწყო დედამ მოვლა, — ობლები დარჩნენ, მაგრამ რაც ცხოვრებისთვის საჭირო იყო, ყველაფერი ჰქონდათ. მშობლებმა სიცოცხლეშივე იზრუნეს, მათ შვილებს არ გასჭირვებოდათ. არც სიცივე, არც შიმშილი არ ემუქრებოდათ მამისეულ სახლში. მაგრამ ერთხელ უფროსმა ძმამ უახრა უმცროსს:

— მეზობლების საქათმეში შეიპარე, კვერცხებით ქუდი გაავსე, მოვხარშით და ვივახშმითო.

— რად გვინდა მოპარული კვერცხი? — საგონებელში ჩავარდა უმცროსი ძმა, — განა ჩვენი ქათმები აღარ სდებენ კვერცხს?

— ჩვენი ქათმები არ გადაჩვეულან კვერცხის დებას, მაგრამ, ბეყერავ, სხვის ქათმის კვერცხი უფრო გემრიელია, — დაარიგა ჭკუა უფროსმა ძმამ უმცროსს.

— არა, არ წავალ, — გაჯიუტდა უმცროსი ძმა. — განსვენებულმა მშობლებმა ანდერძად დაგვიბარეს, სხვისი არაფერი აიღოთ, გულშიც კი არ გაივლოთო.

— ჩემს თხოვნას განა იმიტომ არ ასრულებ, რომ არ გინდა მშობლების ან-

დერძი დაარღვიო, არამედ იმიტომ, რომ ლაჩარი ხარ. აბა, გაიხსენე, მამამ არ გვითხრა, მამაცი ბიჭები იყავითო? — არ ეშვებოდა უფროსი.

ვერ აიტანა უმცროსმა, ლაჩარი რომ უწოდეს, ქუდი ჩამოიფხატა და შეღამებისთანავე მეზობლის საქათმეს მიაშურა. ხელებზე ათიუბი აღარ გეყოფა, რათა დასთვალო, თუ რამდენი დღე გავიდა იმ ავბედითი საღამოს შემდეგ, როცა სოფელში ხალხმა შეამჩნია, რომ საქათმეებიდან კვარცხენს უკარგებოდათ. იფიქრეს, ქრცვინი ან მელა თუ იპარავსო, და გადაწყვიტეს მახეები დაეგოს. დაუგეს მახეები, მაგრამ არც ერთი ქრცვინი და არც ერთი მელა არ გაება. ნოვრუზობის მერე, როცა მეორედ ამოვიდა ახალი მთვარე, ხან ერთი ფარებიდან, ხან მეორიდან ბატკანი იკარგებოდა. ხალხმა იფიქრა, მგელი შემოგვეჩვიაო, და ვინც კი საუკეთესო მონადირე იყო, ტყეს შეუსიეს, რუხი ყაჩაღის სინსილა ამოაგდეთო. მონადირეებმა თავდაყირა დასცეს ტყე, მაგრამ მგლის კვალს ვერსად მიაგნეს. აქ კი კვლავ უცნაური შემთხვევა მოხდა: ერთ ქერივ დედაკაცს ხბო დაეკარგა. საწყალმა ქერივმა ეძება, ეძება, მაგრამ ვერსად მიაგნო და გადაწყვიტა, ჩემი ცეტი ხბო კლდეში გადაიჩეხებოდაო. მენანება, მაგრამ რასა ვიქმ, ყური ვერ ვუგდეო. შემოდგომაზე კი მჭედელს სამჭედლოს კარიდან ცხენი წაპგვარეს. იფიქრეს, ეს კი ბოშების ოინიაო, მაგრამ მოულოდნელად გამჟღავნდა საიდუმლოება, ქურდობაში ძმათაგან უმცროსი ამხილეს.

მოედანზე ხალხი შეგროვდა, მსაჯულებად თეთრწვერა აღსაყალები¹ დასხეს, და გადაწყვიტეს ქურდი ჩამოეხრჩოთ. გამართეს სახრჩობელა და ეუბნებიან განწირულს:

— ჭაბუკო, შენი ბოლო სურვილი გვითხარი!

ეს იმიტომ, რომ დაუწერელი კანონით ისინი ვალდებული იყვნენ შეესრულებინათ სიკვდილმისჯილის ბოლო სურვილი.

მან მიუგო:

— პატივცემულო მოსამართლენო, ჩემი უფროსი ძმა მომგვარეთ, მინდა დავემშვიდობო და ენაზე ვაკოცო.

დიახ, დიახ, ყველამ მკაფიოდ გაიგო — ენაზე უნდა ვაკოცო, თქვა სიკვდილმისჯილმა.

გაოცდნენ მსაჯულნი, გაოცდა ხალხი, უბედურო, ენაზე რატომ უნდა აკოცო?

— იმიტომ, რომ ჩემი უფროსი ძმის ენა დედასავით მეხვეწებოდა, მამასავით მწვრთნიდა და დასავით დახმარებას მთხოვდა, — თვალის ასახვევად თქვა და თავისას მოითხოვდა ქურდი.

დაუწერელი კანონი არის კანონი. მოიყვანეს უფროსი ძმა, უმცროსის პირისპირ დააყენეს და უბრძანეს, ენა გამოყავიო. იმანაც გამოყო ენა. უმცროსმა ტუჩები პირთან მიუტანა და, ოჰ, ალაჰ, კბილებით ეცა უფროსი ძმის ენას და ძირში მოაჭამა. მოაჭამა და იქვე ზიზღით გადმოაფურთხა.

ხალხი აყაყანდა, აღშფოთდა და აღელდა.

— ავაზაკი! მაგისტვის ჩამოხრჩობაც ცოტაა!

სასიკვდილოდ განწირულმა სახელოთი მოიწმინდა სისხლიანი ტუჩები და ხალხს გადასძახა:

— ეს დაწყველილი გველის ნესტარი იმიტომ მოვაჭამე, რომ მან ხვეწნითა და მუდართთა მაიძულა მექურდა...


1. აღსაყალი — ღრმად მოხუცებული, ჭკუაღამჯდარი და გამოცდილი პირი.

მე და მეპლეთი ნირწამხდრები ვიდუქით.

— იქნებ ის ორი ძმა არც კი ყოფილა და ეს ამბავი სულაც მოგონილია, — გაიღიმა დედაჩემმა, რომელსაც ჩვენმა საბრალო შესახედაობამ გული მოუღებო.

ხოლო, როცა ძია სალიმმა ჩვენი თავგადასავალი შეიტყო, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ესლა უთხრა მეპლეთს:

— რა ეშმაკად გინდოდა ის ხუნუ, განა ჩვენს ბაღჩაში იმაზე ნაკლები საჭამი თროები გვისხია?!



ძალზე ხელმოკლედ ვცხოვრობდით. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ყველაზე აუცილებელ მოთხოვნებებს ვაკმაყოფილებდით და ყოველდღიურ მკაცრ მომჭირნეობას ვიცავდით, ის მცირე ხელფასი, რომელსაც დედაჩემი სოფლის კოლპერატივში იღებდა, სრულიადაც არ გვეყოფნიდა. მაგრამ დედაჩემს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა: მან იცოდა ისეთი შინაური პურის გამოცხობა, როგორსაც სოფლის სხვა დედაკაცები ვერ ახერხებდნენ. მე რომ მის ამ უნარზე მომეხებრო, ზაფხულის სამი გრძელი საღამოც არ გვეყოფოდათ ჩემი მოგონებების მოსასმენად. დედაჩემის ამ უნარმა — გემრიელი პურის გამოცხობამ — ბევრჯერ გადაგვარჩინა გაჭირვების ჟამს, როცა ჩვენს ბიუჯეტში ხარვეზი გაჩნდებოდა ხოლმე. თავის დროზე კიდევ გაიმბობთ დედაჩემის ხაბაზურ ხელოვნებაზე...!

დილაუთენია, როცა გგონია, რომ ბუჩქნარში შავი მხეცები იმალებიან და სადღაც ძალავენ ბრჭყალებიან გრძელ თათებს, მე და დედაჩემი სოფელ ხალფალის გზას დავადგებოდით. დედას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ამ სოფელში იყიდდა ყველაზე წმინდად დაფქულ ფქვილს. გზა სასაფლაოზე გადიოდა. საფლავის ქვები ფაქიზი წარწერებითა და რაღაც ნიშნებით, განდგომილად და მკაცრად გამოიყურებოდნენ. ზოგიერთი ძველი გადაბრეცილიყო, დროთა განმავლობაში დაკბილულიყო, წარწერები აედარს გადაერეცხა, სხვები მოუვლელობისაგან გაპარტახებულიყო, რადგან მიცვალებულებს ნათესაეები არ დარჩენოდათ, მაგრამ უმეტესობას მომვლელის ხელი ეტყობოდა, იმქვეყნად წასულთა მოსახსენებლად და აქ დარჩენილთა სასახლოდ. სასაფლაოზე მე და დედამ ნაბიჯი შევანელეთ. მივდიოდი და ვათვალიერებდი თავმომრგვალებულ ან წაწვეტებულ ოთხკუთხა საფლავის ქვებს, რომლებიც დაკრძალულთა თავთან დაერჭოთ, და ვკითხულობდი წარწერებს. ერთ მატურზე ეწერა: „მე უკვე შენი ვარ, თქვენ კი გზაში“. გამაოცა ასეთმა წარწერამ. დაეიბენი, წარმოვიდგინე, რომ მიცვალებული საფლავიდან წამომდგარა და საკუთარი ხელით დაუწერია ეს სიტყვები.

სასაფლაოსაც შეუძლია ბევრი რამ გვითხრას. ერთ მატურზე ვნახე ამომტვრეული ადგილები და მომეჩვენა, რომ ნატყვიარები იყო. დედაჩემი მომიახლოვდა და ნაფიქრალი დამიდასტურა:

— ქვებზე ეს „ნაყვავილარები“ იმის გამო გაჩნდა, რომ სასაფლაოზე თოფი უხვრიათ, თუმცა კანონით სასაფლაოზე თოფის სროლა არ შეიძლება. როცა მამაშენს ცოლად გავეყევი, რკინიგზის კუთვნილ სახლში დავიწყეთ ცხოვრება. სულ რამდენიმე წაბიჯის დაშორებით იდგა ვაკისისაგან, რომელზედაც მოძრაობდნენ, მანევრებს აკეთებდნენ და მიჰქროდნენ მატარებლები. მიმავალ შემადგენლობათა გუგუნისაგან სახლის კედლები ზანზარებდნენ. ჰაერში ნიადაგ იდგა ორთქლმავლის კვამლის სუნი. ზაფხულის სიცხის დადგომისთანავე, იმ

ზაფხულს კი განსაკუთრებით ცხელოდა, ქვის ზღურბლზე შუადღისას ერბოკვერცხის შეწვა შეიძლებოდა. ყველანი, ვისაც კი შეეძლო, საზაფხულო იალაღებზე გადაბარვდებოდნენ ხოლმე. მამაშენმა ალიმამედმა თავის ძმისწულუბის ყურბანისა და აბდუქარიმის ოჯახებთან ერთად მეც გამოსტუმრა იალაღებზე. მივალწიეთ იალაღებს, კარვები დავეცით და გვიხაროდა, რომ თავი დაეღწიეთ ივლისის პაპანაქებას. მამაშენი ყოველკვირა ამუღრუღტ ქანჩხავად, საჩუქრებით სავსე ხურჯინს ამოიტანდა. ერთხელ კარვის წინ ჩინსხედა და მყუდროებით ვტკბებოდით. მამაშენი ჩიბუხს აბოლებდა, მე კი დაისს გავეჯრებდი. უცბად, ვხედავთ, მორბის გულგახეთქილი მწყემსი. სული მოითქვა და დაიყვირა:

— ქერიმი მოჰკლეს!

მამაშენმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და მომაწოდა:

— დამიკავე, ახლავე მოვბრუნდები! — და გაედევნა მწყემსს.

ხელში შემძრა აკვამლებული ჩიბუხი. ძალე შევიტყვეთ მახლობლად მომხდარი ტრაგედიის ამბავი. სოფელში ცხოვრობდნენ მწყემსი ქერიმი და ქალწული სახელად ეთერი. იმათ ერთმანეთი უყვარდათ. ქერიმი, როგორც ქალწულის მამას მიაჩნდა, ღარიბი, ერთი სიტყვით, უსახლკარო ბიჭი იყო, და შეიღს ხნიერი, მაგრამ შეძლებული საქმრო უშოვნა. მამა-პაპათა ადათია, მშობლებს არ უნდა ეურჩო. გადაიხადეს ქორწილი, მერე რა მოხდა, რომ პატარძალი ქორწილში ცრემლად იღვრებოდა! მიეჩვევა, შეუყვარდებო. იმ ზაფხულს, როცა იალაღებზე ვიყავით, სევდიანი ეთერის მამამთილმაც ამოიყვანა თავისი ოჯახი.

ერთ საღამოს ეთერმა საცვლები გარეცხა და გასაშრობად ღობეზე გაფინა, რომ გამოენიას ჩამოეხსნა. მაგრამ დალით, საცვლები აღარსად იყო. იფიქრა, დედამთილი ჩამოხსნიდაო, და რძალმა ჰკითხა, სად წაიღეო? დედამთილი გაცეცხლდა და ცოფიანივით წყველა-კრულვით თმებში ეძებრა: — პაი, შე შეჩვენებულ ქუჩის ქალო! ასეო ვიცოდი, რომ სახელს შეგვირცხვენდი. აღარ ვახსოვს, ნიფხავი სად დაგრჩა? ეტყობა, ძალზე ვეჩქარებოდა... ახლა კი მელაკუდასავით ეშმაკობ, მოიგონე, ღობეზე დაეფინეო... მეც სულელი მნახე, რაღა, აღიარე სად ეგდე?..

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რას გუუბნები, ვიამ! — თითქოს გამოერკვაო, დარცხვენით წარმოთქვა დედაჩემმა, დაუფიქრებელი გულახდილობის გამო თავის გასამართლებლად, მერე ამოიოხრა და ხელი ჩაიქნია: — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ... უკეთესია ჩემგან ვაიგო, ვიდრე სხვისგან.

დედაჩემს მუდამ ეშინოდა ქუჩის ბიჭებს არ ავეოლოდი. მან იცოდა, რომ ბევრი ჩემი თანატოლი ყიამყრალობდა, ჩუმად ეწეოდა და ღობეებზე უწმაწურ სიტყვებს ჩხაპნიდა. მე „დედას ბიჭი“ არ ვიყავი, მაგრამ როგორღაც გამოდგოდა, რომ მრცხვენოდა საღანძღაუი სიტყვების თქმა და, როცა წერა-კითხვა ვისწავლე, კედლებსა და ღობეებს ცარცით არ ვთხუპნიდი.

ხშირად, როცა ქუჩიდან დამისტვენდნენ, გამოდიო, და გაქცევას დაგაპირებდი, დედა ცდილობდა არ გავეშვაო.

— რა კუდაპრეხილი ხბოსავით დარბიხარ ქუჩებში? უკეთესია დაჯდე და წიგნი იკითხო.

მის რჩევას როდი ვიზიარებდი, მაგრამ, როცა დავუჯერებდი, წიგნით ხელში მზვზე ვჯდებოდი და ხმამაღლა ვკითხულობდი.

და, ალბათ, იმიტომ, რომ მზრდიდა დედა და არა მამა, არ ვიყავი მოუხეშავი, მაუნე, დამცინავი, პირიქით, გოგოსავით მგრძნობიარე, გულჩვილი, წყენია და გულმოწყალე გახლდით.

— როგორ ვინდა, შვილო, იცხოვრო ამქვეყნად? თითქოს სანთლის გულა გქონდეს, — წუხდა ხოლმე დედაჩემი.

ეთერის ამბავი რომ მიაგზო, რომელიც საბუნდველ კაცს მიათხოვეს, დედა გულში კიცხავდა თავის თავს წინდაუხედაობისათვის, ალბათ ფიქრობდა, ადამიანთა ინტიმური ურთიერთობის ცოდნა ჩემთვის ნაადრევი იყო.

მაგრამ მე ცნობისმოყვარეობა მკლავდა და მოვითხოვდი ბოლქმდენ მწიგნობარს ეთერის ამბავი.

— მერე რაღა მოხდა? შენ სულ ფიქრობ, რომ ისევ პატარა ვარ... მიაგზო, გეხეწები!

— დედისაგან წაქეზებულმა ქმარმა, მუშტები კი ფუთიანი ლოდებივით ჰქონდა, ცემით სიკვდილის პირას მიაყვანა ეთერი, ქალმა გონება დაკარგა, გონებაჩლუნგმა გამხეცებულმა მამამთილმა კი თოფს დაავლო ხელი და საძოვარზე, სადაც ცხვრის ფარას მწყემსავდა, მოკლა ქერიში.

ქალები ეთერს თავს დასტრიალებდნენ, ცდილობდნენ გონზე მოეყვანათ, როცა მთაში გაისმა სროლის ხმა, მიდამოს ნადვლიან ექოსავით რომ მოედო. გველელმა ნაკადულის ცივი წყლით გაიგრილა შუბლი, მიხვდა, რომ კარგი დღე არ დაადგებოდა, თოფი კლდეში დამალა და გაუჩინარდა.

მის ვაჟთან დედაბერი მივიდა და ჰკითხა:

— თქვენ გყავთ შავი, ფერდზე თეთრხალიანი ძროხა?

— გვეავს, მერედა რა მოხდა? — შეულრინა მან.

— დაკალით, დაკალით. დილას მივდივარ და ვხედავ, რაღაც ჩვრებს დეჭკეს. დროზე თუ არ დაკალით — მოკვდება.

ეთერის ქმარი ხარბი იყო, იფიქრა: თუ მოკვდება, დაეზარალებიო, და დაკლა ძროხა. ხოლო როცა გამოშიგნა, ფაშვში ეთერის საცვლები იპოვა.

— ქერიმის მკვლელი ეთერის მამამთილი დაიჭირეს? — შევეკითხე.

— თავისით მოკვდა. ბაქოში ჩავიდა, არყით გამოთვრა და ვაგზლის სკამზე ამოვივიდა სული. ისიც ამ სასაფლაოზე მარხია. ამ ნატყეიარო ქვის ქვეშა წევს. მისი დასაფლავების შემდეგ მოაჭვნეს ცხენები ქერიმის ნათესავებმა და მატურს დაუშინეს ტყვია, სამაგიერო გადაუხადეს.

— თოფები სადღა იშოვეს? — ჩაკვარკიტები დედის ნაამბობს.

— ეჰ, შვილო, თუ დასჭირდებათ, ზარბაზანსაც მიაგნებენ მიწის ქვეშ.

შინ მზის ჩასვლისას დავბრუნდით. ვივანშმე, ლოგინში ჩავწექი, მართალია თვალები მეხუჭებოდა, მაგრამ ვარჩევდი, დედა როგორ ზელავდა ცოშს დილით ბურის გამოსაცხობად.

ახლა მგონია, რომ ეს იყო ჯადოსნური ზმანება. უწინარეს ყოვლისა დედაჩემმა ნეკერჩხლის თაროდან თელის თაბახი ჩამოიღო და მარჯვენა ხელის გულით, როგორც ძველი ჩამჩით, მასში ფქვილი ჩაყარა. ფქვილიანი ხელის ორი თათვით ამ პატარა ბარქანაში ფოსო გააკეთა, შივ რამდენიმე ჭიქა წყაროს წყალა ჩაასხა და აუჩქარებლად შეუდგა ცოშის ზელვას. ცოში მოზრდილი ოქროსფერი ბურთივით დააგუნდავა, გვერდებზე მოფერებით მიუტყაპუნა ხელი, საფანელი მოაყარა და თეთრი ტილოს ქსოვილი გადააფარა, ტილოს ზემოდან ბაწრის შალი დააფარა და კარგად შეფუთა. ეს შალი, ტყეში ფიჩხისათვის

როცა დადიოდა, მაშინ მოქსოვა. მერე დიდი გერმის ბალიში ააბუა, შალს ზე-
პოდან დაადო, თან ცოცხს ადამიანით ეღუღუნებოდა:

— აი, ახლა თბილად იქნები და დილამდე კარგად გაფუკდები.

განცხრომით დამძიმებული ქუთუთოები თავისით დამეხუჭა და ჩამეძინა.
პური მესიზმრა. ის იყო ახალგაზომცხვარი, თბილი, დაბრაწულ ყუიანი.

დილით ლითონის საჯის წკრიალმა გამაღვიძა. თვალები მოვიფშვნიტე,
მაგიდაზე ცოცხის გუნდები დავინახე. დედაჩემი ცეცხლთან ჩაცუცქულიყო და
შეშას უკეთებდა, იგი საჯს ახურებდა.

ცეცხლის ალი მის სახესა და ხელებზე ლალისფრად ეღვარებდა. გარეთ,
ბინდბუნდში, ცისკრის ვარსკვლავი ციალებდა. იგი ჩვენს ფანჯარაში ნაზი ცი-
მციმით იჭყიტებოდა, როცა კი დედაჩემი სისხამ დილით წამოდგებოდა და პუ-
რის ცხობას შეუდგებოდა. დილის ბინდში მხოლოდ ეს ვარსკვლავი და გავარ-
ვარებული საჯი ანათებდნენ ხოლმე. ვარსკვლავი ჰგავდა ჯობზე დახვეულ ცე-
ცხლმოკიდებულ ძენძს, რომელსაც ნოვრუზ-ბაირამობას ბიჭები ცაში ვის-
როდით.

ავდექი, ფანჯარასთან მივედი. ნელ-ნელა ნათდებოდა. მკვეთრად ისახებო-
დნენ შენობების, ხეების, ღობეების სილუეტები. აყვილდნენ მეზობლების ხმა-
ჩახლენილი მამლები, მათ მხარი აუბეს ახლად მოჩრიხვულმა მამლაყინწებმა.
მთის თხემზე პირველი სხივები გადმოაფინა ახლად გაღვიძებულმა მზემ, ნელ-
ნელა წამოკრიფა ნისლის კალთები. აჭიკჭიკდნენ ჩიტები, დილის ცვარ-ნამით
ჩაიწმინდეს სალამურა ყელი. მზეზე ალაპლაპდა ძია სალიმის ეზოში თივის
ზვინში ჩარჭობილი სარი, და მომეჩვენა, რომ ჩვენი ზღურბლის საფეხურები
წითელი მარმარილოსი იყო. დილა გათენდა. ხელ-პირი დავიბანე, ჩავიცვი, მაწ-
ვნითა და თბილი ლავაშით ვისაუხმე. დედამ კალათაში ჩამიწყო ახალგაზომცხ-
ვარი ლავაშები. ოჰ, რა მათრობელი სურნელი ასდიოდა ამ ოქროსფრად დაბ-
რაწულ ლავაშებს, რომლებიც გასაყიდად მიმქონდა ხოლმე. მეჩვენებოდა, რომ
გზას, ჰაერს, ზღაზვნით მიმაკალ ღრუბლებს ახალგაზომცხვარი მახობლიანი
შინაური პურის სურნელი ასდიოდათ. რაც უნდა თქვათ, შინაურ პურს მაინც
სხვანაირი სურნელი ასდის, ვიდრე საზოგადოებრივ ფურნეში გამომცხვარს.
არა, მას სუნი კი არა აქვს, იგი სურნელოვანია. თითქოს სოფლის ჩვეულებრივ
შარაზე კი არ მივდიოდი, სადაც ტრიალებს ყვავილების, ცხენის ოფლის, ტყა-
ვის აღკაზმულობის, მანქანების გამონახობლქვის, მეზობელი სახლების კერი-
იდან ავარდნილი კვამლის სუნი, არამედ მივაბიჯებდი პურის ზღაპრული სა-
მეფოს სურნელებაში, რომელიც ასდის დათავთავიანებულ ხორბალს, კალოებს,
ქარის წისქვილებს და ჩვენს დალოცვილ ოჯახის კერიას, სადაც დედამ დაბ-
რაწული ლავაშები გამოაცხო.

როგორც თაფლის სურნელი იზიდავს ფუტკარს, ისე იზიდავდა ადამიანებს
დედაჩემის გამომცხვარი ლავაში. დედაჩემს ლავაშის მთა რომ გამოეცხო, აღ-
ბათ, თვალის დახამხამებაში დაიტაცებდნენ, მე კი მხოლოდ ერთი კალათა მქო-
ნდა და ამიტომ ჯიბეში ფულის ჩხრიალით შინ მალე დავბრუნდი.

მეორე დილითაც სარფიანად გავყიდე ლავაში და შინ იღბლიან ვაჭრად და-
ვბრუნდი არა იმიტომ, რომ მოხერხებული და ფხიანი ვიყავი, არამედ, უბრა-
ლოდ, სუფრიდან ახლად წამომდგარ მაძღარ ადამიანსაც კი მოუნდებოდა დე-
დაჩემის ხელით გამომცხვარი სურნელოვანი საჯის ლავაშის გემოს გასინჯვა.

რამდენჯერმე ვახსენე ძია სალიმის შვილთან მეჰლეთთან ჩემი მეგობრო-
ბის ამბავი, მაგრამ აქამდე სიტყვაც არ დამცდენია ძია ორუჯის შვილზე —
ჩემს მეგობარ ჯაფარზე, რომლის სახლაც ჩვენი სახლიდან მესამე იყო იმავე

რიგში. ძია ორუჯი სახკვების სასადილოს განაგებდა. ეს იყო ჯმუხი, ზონზრო-
ხა, მუცელგამოვლებული კაცი. თუ ვინმე იტყოდა: ეგ ჩამრგვალებულიო, ეს
იმას ნიშნავდა, რომ იგი ძია ორუჯზე ლაპარაკობდა.

რა თქმა უნდა, მე არ შემიძლო ასე მეწოდებინა მისთვის, მაგრამ მოზრდი-
ლები ზურგს უკან სწორედ ასე მოიხსენიებდნენ. ძია ორუჯი ისე დადიოდა, თი-
თქოს ყვინთავსო. ეს იმიტომ, რომ მას ცალი ფეხი ოდნავ მოკლედ შექონდა.

ძია ორუჯს მეორე სახელს — თავისი ბედის მჭედელსაც უწოდებდნენ. იქნებ იმიტომაც, რომ ჩვენებურები მას შეძლებულ კაცად თვლიდნენ. როგორც
ვთქვი, მე და მისი შვილი ჯაფარი მეგობრები ვიყავით. ტოლები კი ვიყავით,
მაგრამ ის უფრო მოზრდილი ჩანდა, რადგანაც უფრო მსხვილი და მთელი თა-
ვით ჩემზე მაღალი იყო. და ისე აეწყო საქმე, რომ, როცა ჯაფარს ტანისამოსი
უპატარავდებოდა, დედაჩემი მის გამონაცვალს იაფად ყიდულობდა ხოლმე ჩემ-
თვის.

იმ წელიწადს ჩვეულებრივზე აღრე დაზამორდა, ფრინველთა გადაფრენის-
თანავე დაიჭირა ყინვები. მოუთმენლად ველოდი, თუ როდის დამითმობდა ჯა-
ფარი თავის პალტოს. ერთხელაც ვეღარ მოვიტმინე და მიუკიბავ-მიუკიბავად
პირდაპირ ვუთხარი:

— როდემდე უნდა ატარო ეს პალტო? მოიტა, მეც ვატარო, სანამ მთლად
გადასაგლები არ გამხდარა.

— მოიცდი. ჩემთვის ჯერ არ უყიდიათ ახალი, — საქმიანად მიპასუხა მან.
როცა რუების ნაპირები სიფრიფანა ყინვლით დაიფარა, ხოლო დილდი-
ლობით ბალახზე მოლურჯო თრთვილს დასდებდა ხოლმე, ჯაფარმა მითხრა:

— დედაჩემმა თქვა, შემოიაროსო.

მივხვდი, რისთვისაც მიბარებდა, დრო აღარ დამიკარგავს, უმალ ძია ორუ-
ჯის სახლისაკენ გავეშურე.

— გამარჯობა, ზეინაბ-ხალა, — მივესალმე ჯაფარის დედას.

— რა კარგია, გიამ, რომ შემოგვიარე.

მან საკიდიდან შეიღის პალტო ჩამოხსნა, გამოძიწოდა და უბრალოდ, გუ-
ლთბილად მითხრა:

— ჩაიცვი, ღმერთმა კეთილად მოგახმაროს! ფული კი, როცა გექნებათ,
მაშინ მომეცით.

ზეინაბ-ხალას მადლობა გადაუუხადე, პალტო გამოეართვი და შინისკენ მო-
უესვი. მოუთმენლად ველოდი, როდის ჩაეიზომებდი ჯაფარის პალტოს. ჩავი-
ცვი და სარკის წინ დავდექი. შევყურებდი ჩემს გამოსახულებას და საკუთარი
შესახედაობით კმაყოფილი ვიყავი. მომეჩვენა, რომ სიმაღლეშიც მოვიმატე და
ბეჭებშიც გავიწიე. მაგრამ სიხარული ჩამიმწარდა იმის გამო, რომ სახელოები
და ჯიბეები გვარიანად იყო გაცვეთილი.

— ეს არაფერია, შვილო, — დამამშვიდა დეამ. ამოიხვნეშა და დამაიმედა: —
მკლავებს ცოტას დავამოკლებ, სიგრძეშიც მოვაკლებ, ისე რომ პალტო ახალს
დაუმსგავსება.

მოძებნა მაკრატელი, ნემსი, ძაფი და უმალ მიუჯდა საქმეს, მე კი დამავა-
ლა, კამოდის უჯრიდან ფული ამოიღე და ზეინაბ-ხალას გადაუტანეო.

ის იყო შინიდან გასულას ვაპირებდი, რომ ზეინაბ-ხალამ თვითონ შემთავალი
კარი.

დედაჩემმა მადლობა გადაუხადა ზეინაბ-ხალას და ფული გაუწოდა, მაგრამ
მან არ გამოართვა:

— მაგისტოს კი არ მოვსულვარ, ნაბათ. — მერე მომიბრუნდა და ღიმილით მკითხა: — როგორ არის საქმე, პალტო მოგერგო?

ზრდილობიანად დაუქნიე თავი, მაგრამ გულისხნადები მაინც ამოვლერღე: — მომერგო, მაგრამ საწყენია, რომ ჯაფარმა ასე დღობანს ატარა.

ზეინაბ-ხალამ გადაიხარხარა. გულკეთილი და სასაცილო დედაკაცი იყო. მია ორუჯის ხელში გაჭირვება და საზრუნავი რა იყო, არც მან და მისი ოჯახი მუდამ დულდა და გადმოდიოდა.

— ჯაფარმაც ძალიან გვაციანა ერთხელ, — გაიხსენა მან სიცილით. — ჩემ-ზე ნუ სწუხართ, — გამოგვიცხადა მან, როცა დაგვიანებისათვის მე და ჩემმა კაცმა კარგად გავთათხეთ. — ვიამი ძიძასავით მივლის. ლაფში არ გაჰატარებს, ძაღლებისთვის ქვას არ მასროლინებს, ასკილის ბუჩქს შორიდან მოჰატარებს. ვიამს უკვე ეჩვენება, ჯაფარის პალტო მაცვიაო. ორუჯმა ვეღარ მოითმინა და ჯაფარს მაღაზიიდან ახალი პალტო მოუტანა, ძველი კი ვიამს მიეცითო, დაიბარა, ჩაიცვას და ნუ იწუხებსო.

ზეინაბ-ხალა მხიარული, გულახდილი, დაუღევარი და ენაჭარტალა ქალი იყო, მაგრამ როცა დაინახა, რომ დედაჩემმა წყენით განზე გაიხედა, სიტყვა პირზე შეაშრა და ხელი თავში წაიშინა:

— ვაიმე, ცეცხლზე ქვაბი მიდგას, ამოშრებოდა, მე კი აქ ვლახლანდარობ. კარგად მეყოლეთ!

და ზეინაბ-ხალა ჩქარი ნაბიჯით შინისკენ წახუსხუსდა.

ვხედავდი, დედაჩემს იმის გამო აუჩუყდა გული, რომ ახალი პალტო ვერ მიყიდა. იგი მუდამ წუხდა, როცა სხვის ნატარებ ტანსაცმელს ვიცვამდი. მერვენებოდა, რომ დედაჩემს ეს უფრო აწუხებდა და მეტ საზრუნავს უჩენდა, ვიდრე მე. სურვილი გამიჩნდა ფული შემეგროვებინა და თვითონ მეყიდა ახალი პალტო.

დედის უჩუმრად მეთულუხჩეობა დავიწყე — წყალს ვყიდდი. მომწონდა კიდევ, როცა პაპანაქება სიცხეში საღვურზე წყალს ვასმევდი მწყურვალ მგზავრებს და ვხედავდი, თუ რა სიამოვნებას ჰგვრიდა მათ წყაროს ყინულივით ცივი წყალი. მათი მაღლიერი გამიხედვა სიხარულს მანიჭებდა.

მაგრამ ერთხელ ეს სიხარული უღმერთოდ ჩამიმწარეს.

მატარებელი დამერას აპირებდა, როცა ვაგონის ფანჯრიდან ვილატამ ბანჯგვლიანი ხელი გადმოყო და ხრინწიანი ხმით დამიძახა:

— ჰეი, ბიჭო, წყურვილისაგან ლამის სული გამძვრეს, მალე მომაწოდე წყალი!

სავსე ტოლჩა მივაწოდე. ამ დროს მატარებელიც დაიძრა. გაუპარსავი სიფათი კი ფანჯარაში იდგა და იღიმებოდა. ჩემი ტოლჩა თან წაიღო. სათლით ხელში დაბნეული გავყურებდი მატარებელს, რომელიც სვლას უმატებდა. მივხვდი, რომ ლოთბაზარას ჩემი ტოლჩა სჭირდებოდა და არა წყალი. შინ მიმავალს გზად მია საადი შემომხვდა, მკითხა, დაღვრემილა რათა ხარო. თავი ვეღარ შევიკავე და თვალცრემლიანმა ვუამბე, რაც თავს გადამხდა.

— რა ძვირფასი რამ ის ტოლჩაა, — დამიწყო დამშვიდება. — განა ღირს ვაუკაცმა ეგეთი უბრალო რამისთვის ცრემლები დვაროს!

მას, რა თქმა უნდა, ესმოდა, იმ ტოლჩისთვის კი არ ვტიროდი, არამედ იმის გამო, რომ მომატყუეს. გაუპარსავ სიფათს თითქოს სურდა, რომ ჩემში ჩაეხშო ადამიანებისადმი ნდობა. კარგიცა და ცუდიც ზოგჯერ მცირეთი იწყება. მაგრამ მაინც ზამთარს შევხვდი ახალი პალტოთი, რომელიც სინდის-ნამუსით ნამოვნნი ფულით შევიძინე. დიდად მაღლიერი ვიყავი ცივი, გამჭვირვალე წყა-

როსი, ის დამეხმარა მე ახალი პალტოს ყიდვაში. ახალი პალტო დედანემსაც მოსწონდა.

— ამ პალტოში მოწიფულივით გამოიყურები, — გაეღიმა მას და ნალექის ნატამალიც აღარ ჩანდა მის სახეზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი სოფლის მახლობლად იყო უშენი ადგილი, რომელსაც „იარმუკა“ შეარქვეს. როგორც შემდგომში შევიტყვე, ეს „იარმუკა“ გერმანული „იარმარკადან“ წარმოსდგებოდა, რაც ნიშნავს „ყოველწლიურ ბაზრობას“. მაგრამ ჩვენში ბაზრობა ყოველ კვირა დღეს იმართებოდა. „იარმუკაზე“ ხალხი მოდიოდა მეზობელი სოფლებიდან. ეს იყო ბაზარი, სადაც შეგეძლოთ გეყიდათ ყველაფერი — ახალიცა და ძველმანიც, სულისთვის თუ არა, სხეულისა და მეურნეობისათვის მაინც აუცილებელი რამ. ცხენების ჭიხვინი, ძროხების ზმუილი, თხების კიკინი, გამყიდველთა გადაძახილი, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი ერთმანეთს ერწყმოდა, ერთ საზეიმო გუგუნად იქცეოდა.

— აბა, ვის უნდა საკოსტუმე ნაჭერი! საკოსტუმე ნაჭერი!

— შემწვარი ნუში! შემწვარი ნუში!

— ბოლონიური ლაბადა! ბოლონიური ლაბადა!

— ღუმიანი ცხვარი! ღუმიანი ცხვარი!

ჩან კი ბრბოში ისმოდა შემპარავი ხმა: „ვეიდი იაპონურ საათს!“ ან: „არის საშუალება კაცებისათვის!“ „ყარაბაღული ცხენები და უცხოურდამდიანი საქონელი.“ აქვე პირდაპირ საქონელს უცვლიდნენ საქონელში: „შენ მე კასრი ღვინო მომეცი, მე კი თუთიყუშს მოგცემ თავისი გალიით!“ ლამაზი იყო ეს „იარმუკა“, რაღას არ მოიხმენდი აქ! ზოგიერთი სიტყვას ისე გაათამაშებს, ანდაზას არ ჩამოუვარდება. სწორედ ასეთი დამახსოვდა „იარმუკა“ უკვე იმის შემდეგ, რაც ომი დამთავრდა, — მაშინ მე დაბის სკოლის უფროს კლასებში ვსწავლობდი. ხოლო იმ ომის წლებში „იარმუკა“ ისეთი დიდებული არ იყო ხოლმე, საქონელიც ცოტა გამოტქონდათ, მაგრამ ტანზე ჩასაცმელად ბევრ რამეს იქ ვშოულობდით: რაღაც-რაღაცებს ვცვლიდით, რაღაცას ფულით ვყიდულობდით.

ერთ კვირა დღეს მე და დედანემი წავედით „იარმუკაზე“ და დედამ ახალი ყელიანი ფეხსაცმელი მიყიდა. ჩავიზომე, მომეჩვენა, რომ ოდნავ მიჭერდა, მაგრამ ვიფიქრე: ახლებია, მოჯდება, გაიწვეს-მეთქი.

— როგორა გაქვს? — მკითხა დედანემმა. — ხომ არ ვიჭერს?

ფეხსაცმელი ისე ბრწყინავდა, ისეთი ლამაზი იყო, იფიქრებდი, იმისთვის კი არ არის შეკერილი, რომ ჩაიცვა, არამედ ყურებით დატკბეო, და ვუპასუხე:

— არა, არ მიჭერს, კარგად მადგა!

— მართალს ამბობ? — ყოველი შემთხვევისათვის განმეორებით მკითხა დედამ.

— ჩემი ზომაა! — თამამად დავუდასტურე.

შინ ფეხსაცმელი ხავერდის ნაკუსით გავაპრიადე. და უკვე ლოგინში მწოდმა ბურანში ვავიფიქრე: „რა ლამაზი ყელიანი ფეხსაცმელია, პირდაპირ თვალს ვერ მოაშორებ.“ განსაკუთრებით მომწონდა შესაბნევი ზონრები, რომლებიც თითბრის ნასვრეტებში იყო გაყრილი. მუქი ბორდოსფერები გველის წიწილებს წააგავდა.

დილით ჩავიცვი და სკოლისაკენ გავემურე. გაკვეთილების დამთავრებისას საბრალო ფეხები ისე მტკიოდა და მეწვოდა, ლამის მეყვირა. არაფერი მესმოდა,

რასაც მასწავლებელი გვიხსნიდა, ვერ გავიგე საშინაო დავალებად რა მოგვცა. მხოლოდ ერთ რამეს ვოცნებობდი: რაც შეიძლება მალე გამეძრო ფეხებიდან ეს მოელვარე ხუნდები.

სკოლიდან ბაჯბაჯით გამოვედი და ზღურბლთანვე გავიძრე ფეხსაცმელი. ჩანთაში ჩავაწყე და ფეხშიშველამ შინისაკენ მოვუსვი. ვაგვიცხვებდნენ, არ, კეყო დე-დაჩემისთვის გამეშხილა, თუ რა ტანჯვას განვიცდიდი. ჩემივე მწვერუტით. ის, ვისაც თვითონ არ განუცდია, ვერ გაიგებს ჩემს ტანჯვას. ახლა, სკოლაში წავიდოდი თუ არა, უმალ გავიხდიდი დაწვევლილ ფეხსაცმელს და სკოლამდე ფეხშიშველა მივატყაპუნებდი. სკოლის წინ კი ვიცვამდი ჩემს ლამაზ ხუნდებს. შესვენებაზე, ჩემი ამხანაგების გასაოცრად, ვცდილობდი არ შემოდრავა. მაგრამ დგებოდა წუთი, როცა განვიცდიდი ისეთ ნეტარებას, რომელსაც მოკლებული იყვნენ ჩემი თანატოლები; ეს წუთი დგებოდა ნიადაგ, როგორც კი ვიხდიდი საძულველ ფეხსაცმელს. კიდევ კარგი ნაადრევი გაზაფხული იდგა და მიწა სულ უფრო მეტად თბებოდა. ეს რომ ზამთარში მომხდარიყო? მარტო ამის გაფიქრებაც კი თავზარს მცემდა. ამ დროს მწვერუბი ფარებს საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებიან ხოლმე. და აი, ერთხელ, როცა ფეხშიშველა სკოლისაკენ მივაშლაპუნებდი, ცხვრებმა გზა გადამიჭრეს. შეუჩერდი და ფარის გავლას დაველოდე. უცბად მას გამოეყო ვებერთელა ბანჯგვლიანი, ყურებდაჭრილი კუდალა ქოფაკი, მგელ-ძაღლი და გააუებული ყეფით მომვარდა. თითქოს ქარმა ამიტაცაო, უმალ ხესთან გავჩნდი და მაიმუნის სიმარდით კენწეროზე მოვექეცი. იქამდე ვიჯექი ხეზე, სანამ ფარა თვალს მიუფარებოდა. ხეზე მჯდომარემ გავიფიქრე, გარკვეულ ვითარებაში ფეხშიშველა ყოფნა უკეთესია-მეთქი. ფეხსაცმელი რომ მცმოდა, უთუოდ ვიგემებდი, ქოფაკის ალმასა კბილების სიმწვავეს. და, ალბათ, აღამიანის მოდგმა ამოწყდებოდა თავისი არსებობის დამდეგს, ფეხშიშველა რომ არ ევლო.

ჩემმა მტანჯველმა ყელიანმა ფეხსაცმელმა ისეთი წყნარი და დარბაისელი გამხადა, რომ მასწავლებელი სიხარულს ვეღარ მაღავდა, შესვენებაზე სხვა ბიჭებს ეუბნებოდა მაგალითი ჩემგან გადაეღოთ. მაგრამ რა იცოდა, რომ საკუთარი ფეხსაცმლის ტყვე ვიყავი. და კიდევ ერთი ფილოსოფიური აღმოჩენა მოვახდინე: „ყველაფერი ის, რაც ლამაზია — მშვენიერი როდია.“ მიჰქროდნენ დღეები და ფეხსაცმლის ზონრები, რომლებიც სულ ახლახან ლამაზ ძლოკვებს ჰგავდნენ, გადაიქცნენ შხამიან გველებად, ხარბად რომ ჩაფრენოდნენ ჩემს ფეხებს.

ვისაც ვინღა მოატყუებ, მაგრამ დედას კი ვერა. იგი ხედავდა, რომ ჩემი ფეხსაცმელი ახალივით პრიალებდა, თითქოს გუშინ მოგვეტანოს ბაზრიდან. ყველაფერს მიხვდა. ეჰ, დედილო, დედილო, მას ვერაფერს გამოაპარებ! გამიწყრა კიდევ, რატომ დამიძალე, თუ ასე იტანჯებოდიო. მე კი ამას იმიტომ ვითმენდი, რომ მას გუნება არ გაფუჭებოდა.

საზაფხულოდ მსუბუქი, რბილი წულები მიყიდა და კვლავ შემეძლო ხტუნვა და თავპირის მტვრევით სირბილი.

არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ იმ წელიწადს წიგნის კითხვა შემიყვარდა. დიას, დიას, შემიყვარდა და სულის მოუთქმელად ვკითხულობდი ჩვენი სოფლის პატარა ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს. მოხუც ბიბლიოთეკარ ქალს მოს-

წინდა ჩემი გულმოდგინება და საკუთარი წიგნები მოჰქონდა შინიდან. კეთილი მანდილოსანი იყო.

— წაკითხე, შვილო, ეს წიგნი, — გამოძიწვდიდა რომელიმე ძველ გამოცემას. — ასეთი წიგნი რაიონის ბიბლიოთეკაშიც კი არა აქვთ.

როცა წაკითხულ წიგნს უკან დავუბრუნებდი, მას უთუოდ სურდა გაეგო, თუ რა უფრო მომეწონა მოთხრობაში. მეც ვუზიარებდი ჩემს შეტყუველუბებსა და აზრებს წაკითხული წიგნის შესახებ, რისთვისაც ახალ წიგნს მსმელს წასაკითხად მიფვარდა საუბარი ამ მოხუც მანდილოსანთან, რომელსაც მთელი სიცოცხლე წიგნებთან გაეტარებინა. ახლა მე ქუნაში აღარ დავრბოდი, უფრო მეტ დროს წიგნის კითხვას ვანდობებდი. განა ამაზე საინტერესო და მომაჯადოებელი შეიძლება იყოს სხვა რამე? ოპ, რა საინტერესოა კარგი წიგნის კითხვა! თანატოლებს არ მოსწონდათ ჩემი გატაცება. ისინი დაძვინდნენ, უცნაურსა და ახირებულს მეძახდნენ. ერთხელ ბიბლიოთეკიდან წიგნით ხელში მოვდივარ. ვხედავ გზაზე ბიჭები შეგროვილან და კოჭობანას თამაშობენ. უცბად ერთმა მათგანმა განხრახ თაუზიანად დაუძახა დანარჩენებს:

— გზა უტიეთ, ვირებო! მეცნიერი მოდის! ახალდაყენებული ჩაი მიართვით!

მოხარხარე ბიჭების ჯგროს ჯამბაზური მანჭვა-გრეხით შუაზე გაიბო. სულაც არ მწყენია, საღამომდე ყველაფერი დამავიწყდა, რადგანაც თაუაულებლად კითხულობდი წიგნს ამორძალების შესახებ. ძველი თქმულება ამ სახელით იხსენიებდა მებრძოლ ქალებს. ისინი ცხოვრობდნენ ზღაპრულ ქვეყანაში მდინარე თერმოდონტის ნაპირას, შავი ზღვის სანაპიროსთან. ამ ქვეყნის დედაქალაქი იყო მიუდგომელი ქალაქი თემთესკირე, რომლის ცენტრშიც მაღალ გორაკზე იდგა ციხე-სიმაგრე, ხოლო შივ ცხოვრობდა ამორძალთა დედოფალი ჰოპლიტა, აუწერელი სილამაზის ქალი.

შთამომავლობის გასაგრძელებლად ამორძალები მეზობელი ტომების კაცებს უკავშირდებოდნენ, ხოლო ნაშობი ბავშვებიდან მხოლოდ გოგოებს ტოვებდნენ თავიანთ მეომარ სახელმწიფოში, ბიჭებს კი აღსაზრდელად მის საზღვრებს გარეთ აბარებდნენ. გოგოებს ბავშვობიდანვე უწვავდნენ მარჯვენა ძუძუს, რათა უფრო მოხერხებულად ეტყორცნათ ისარი. ამორძალებმა მამაცი პეტენზილას მეთაურობით დიდი დახმარება გაუწიეს ტროადის მეფეს პრიამოსს. წიგნიდან შევიტყვე, რომ ამორძალებთან დაკავშირებულია ბევრი საოცარი ამბავი. ოდესღაც უმაქნისმა, ლაჩარმა მეფე ევრისტევსმა, რომელსაც ოქროსნაწნავებიანი ქალიშვილი აღმეტა ჰყავდა, თვითონ ჰერაკლემ, ღმერთ ზევსის შვილი, გაგზავნა ამორძალებთან საომრად და დაავალა, ჩემი ქალიშვილისთვის დედოფალ ჰოპლიტას ჯადოსნური ქამარი მომიტანეო. ამბობდნენ, ამ ქამარს ბრძოლაში გამარჯვება მოაქვს, რადგან ჰოპლიტას იგი თვით ომის ღმერთმა მრისხანე არესმა აჩუქაო. ჰერაკლემ თავისი რაზმი განალაგა მდინარე ირისის ნაპირზე, რომელსაც ახლა იეშილ-ორმაქს უწოდებენ. უცბად მათ ბანაკში გამოცხადდა თვითონ დედოფალი ჰოპლიტა, რათა უცხოელთა სტუმრობის მიზეზი გაეგო. ჰერაკლემ გულწრფელად უთხრა, შენი ქამარი საძაგელი ევრისტევსის ქალიშვილს უნდა ჩავეუტანოო. დედოფალმა ჰოპლიტამ ჰერაკლეს უთხრა, პატივს გცემ, რადგან შენი გმირობის ამბავი მსმენია, ომი რა საჭიროა ამ თილისმა-სარტყლის გულისთვის, რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ გადმოგცემო. მაგრამ ეჭვიანმა და ცბიერმა ქალღმერთმა ჰერამ, ზევსის მეუღლემ და ჰერაკლეს დედინაცვალმა, გადაწყვიტა დაეღუპა მისთვის საძულველი გერი, ამორძალად გადაიქცა და ბნელი ღამით ამორძალთა დედაქალაქში შეიპარა.

— ჰერაკლეს თქვენი მოტყუება სურს, — აქეზებდა მებრძოლ ამორძალებს, — ის სარტყლისათვის კი არ მოსულა აქ, არამედ თქვენი დედოფლის მოსატაცებლად. — ჰერამ იცოდა, რასაც სჩადიოდა, თივაზე ნაპერწკალს აფრქვევდა. ამორძალები ცხენებს მოახტნენ და ჰერაკლეს ბანაკისაკენ გაქუსლეს. ჰერაკლეს სხვა აღარაფერი დარჩენოდა და შეებრძოლა ამორძალებს, დაამარცხა ისინი და პოლიტასგან ჯადოსნური სარტყელი ჩაიბარა.

მრავალი საუკუნე გავიდა და ამორძალთა ახალი მშვენიერი ფალესტრა ეახლა ალექსანდრე მაკედონელს, რათა მისგან ქალიშვილი დაბადებოდა... და განა ამით მთავრდება ამ მამაცი ქალების ამბავი! ისინი აფრიკაშიც იყვნენ, ამერიკაშიც. მდინარე ამაზონს ხომ მათ პატივსაცემად დაარქვეს ეს სახელი.

როცა წავიკითხე წიგნი ამ მეომარი, მამაცი, თავდადებული, ამტანი ქალების შესახებ, როგორც შევძელი, საკუთარი სიტყვებით მისი შინაარსი დედაჩემს ვუამბე.

— მაშასადამე, ის ქალები ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ? ქალიშვილებსაც ზრდიდნენ, ოჯახებსაც უვლიდნენ, მიწასაც ამუშავებდნენ, როგორც გაუთხოვრები ან ქვრივები? — ჩაფიქრდა დედა.

საღამოს, როცა ლოგინში ვიწექი, უცბად გონებაში გამიელვა: „დედაჩემი, ალბათ, ამორძალების მოდგმისაა. იქნებ ისინი უფრო ჯანმრთელები იყვნენ, მაგრამ თავდადებით, ცხოვრების სიძნელეთა დაძლევათ დედაჩემი არაფრით ჩამოუვარდებოდა იმით, თვით ზევსს ვფიცავ.“



ჩვენს სოფელში დედაჩემს ბევრნი „ნაბათ-ხალას“ — ძალუა ნაბათს — უწოდებდნენ და ამ მიმართებით მისდამი განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ.

დედაჩემი, როგორც უკვე ვთქვი, პურს ოსტატურად აცხობდა. მას მუდამ ეწვევდნენ იმ სახლებში, სადაც უნდა გადაეხადათ ქორწილი, ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული, ან სხვა სასიხარულო მიზეზის გამო, აგრეთვე ქელების სამზადისშიც.

— ნაბათ-ხალა, გეთაყვა, პურის გამოცხობაში დაგვეხმარე, ბიჭი დაჭრილი, მაგრამ ცოცხალი დაგვიბრუნდა ფრონტიდან, სტუმრები დავპატიეთ...

ან ჩვენი სახლის ზღურბლს მოადგება ძაძვებიანი ქალი:

— ნაბათ, გენაცვალე, ალბათ უკვე გაიგებდი, ჩვენმა პაპა პასანმა, ალაპის მადლით, დიდხანს სიცოცხლე გვისურვა... ხომ არ დაგვეხმარები ქელების პურის გამოცხობაში?

ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ დედაჩემს ერთ დღეს ქორწილშიც ეძახდნენ ხოლმე და ადაპზეც. ჩვენს სოფელში ბევრმა ოჯახმა მიიღო მარჩენალის დაღუპვის ცნობა...

დედაჩემი ცდილობდა ყველა ენუგეშებინა, ჩქარობდა ყველას დახმარებოდა, მხარში ამოსდგომოდა.

ზამთარში თუ ზაფხულში დედაჩემის ხელებს პურის სურნელი ასდიოდა. ჩვენი დაბის მილიციის უბნის რწმუნებული ზიადინი, რომელსაც ფართო პრილა ქამარი ერტყა და ბუდით რევოლვერი ეკიდა, მთელ დროს თავისი ქრომის ჩექმების გაპრიალებას ანდომებდა. დღეში სამჯერ ფეხსაცმლის მწმენდავის წი-

ნაშე გამოჩნდებოდა, დაჯდებოდა და ფეხს ჩამოღვამდა დაქანებულ შავ ყუთზე. მწმენდავიც გულმოღვინედ უსვამდა ჯაგრისებს, დადგებოდა გუტალინის სუნი და ზიადანის ჩექმებიც სარკესავით გაპრიალდებოდა.

და აი, წესრიგისა და საკუთარი ჩექმების სისუფთავის ეს დამცველი ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემის წინაშე შეჩერდა, გაიჭიმა და სალამი მისცა:

— სისხლის სამართლის სამძებროს ვფიცავ, როგორც კი დაგინახავ, ნაბათ-ხალა, უმალ პურის სურნელი მომელანდება და მაღა ამეშლება ხოლმე. დედაჩემი ბედნიერებისაგან გაიბადრა. მას სიაშოვნებდა ხალხის ქება. ამიტომ არასოდეს უარს არავის ეუბნებოდა უანგარო დახმარებაზე.

უკვე იცით, რომ დედაჩემი ძალაზიაში დამლაგებლად მუშაობდა. იგი ორჯერ ასუფთავებდა მას: დილით, გაღებამდე, და საღამოს, როცა ვაჭრობას მორჩებოდნენ. წინსაფარს აიფარებდა, რომლის ჯიბეში მუდამ ედო კოლოფი ასანთი, აიღებდა ვედროს, ძველ ცოცხს და სამუშაოდ გასწევდა.

ძალაზიაში თავდაპირველად აიღებდა კუთხეში, საღაროს უკან დამალულ შვაბრას, ჩვრებს, ნეჭას და საქმეს შეუდგებოდა: სუფთა, სველი ჩვრით გადაწმენდავდა ხის თაროებს, ვიტრინას, სასწორის ჯამებს, მერე ონკანიდან ვედროს წყლით აავსებდა, შიგ ცოცხს დაასველებდა და ნაგავს გამოჰკვიდა, ფხეკავდა და რეცხავდა იატაკს. გარშემო ყველაფერი სუფთა, მოვლილ იერს იძენდა, ვიტრინის მინები ალაპლაპდებოდა, იატაკი სიგრილეს გამოსცემდა.

დილაობით კი დედაჩემი თავ-თავის ადგილზე ჩამოარიგებდა სასწორს, ფასებს, პაკეტების შეკვრებს, ნაკრაულებს, ქვიშითა ხეხავდა დანებს, ალაგებდა დამხმარე სათავსოს.

მიყვარდა დედაჩემის მუშაობისთვის თვალის დევნება. იგი ყველაფერს აუჩქარებლად, დინჯად, გულმოღვინედ, რაღაცნაირი გატაცებითა და პასუხისმგებლობით აკეთებდა, და ამ დროს მისი სახე — თითქოს შიგნიდან ანათებენო — უცილობლად ანათებდა ხოლმე.

საზამთროდ სათბობს შემოდგომითვე ვიმარაგებდით. ფიჩხის შესაგროვებლად სოფლის დედაკაცები ტყეში თითო-თითოდ კი არა, რამდენიმე ერთად მიდიოდნენ ხოლმე. ისინი ამის თაობაზე წინასწარ უთანხმდებოდნენ ერთმანეთს. იმის მერე, რაც სკოლაში სიარული დავიწყე, დედაჩემს მეც დავყავდი ტყეში. თითოეულ მათგანს თან მიჰქონდა ნაჯახი და თოკი.

დედაჩემი წელზე შემოიჭვრდა ხაზი ძაფისაგან მოქსოვილ თავშალს და შიგ ნაჯახის ტარს გაიყრიდა. მარცხენა მხარზე გადაიგდებდა დაწნულ აპურს. ტყიდან მომავალი დედაჩემი რაღაცით პარაშუტისტს მაგონებდა, რომელიც კინოში მენახა, მხოლოდ ეგ იყო — მას ზურგზე დაკეცილი პარაშუტი ეკიდა, დედაჩემს კი ფიჩხის გუდურა.

დედაკაცები ტყეში დადიოდნენ გამხმარი ფიჩხის შესაგროვებლად, ამაში ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ, დანარჩენში კი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. მაგალითად, ბალი-ხალა, წყნარი, დინჯი დედაკაცი, რომელიც მუდამ გვერდზე თავდახრილი იღიმებოდა, თანხმობას ან უარს ჩვეულებრივ თავის დაქნევით გამოხატავდა. ტყეში წასვლის წინ იცვამდა ქმრის მოწმუნანო, ომისდროინდელ დალიანდაგებულ ქურთუკს, თავზე კი შალის შავ მოსახვევს წაიკრავდა, და მთელ გზაზე იქით და აქეთ, ორიოდ სიტყვას თუ იტყვოდა.

მესმი-ხალას კი, პირიქით, ლაპარაკი, ჭორაობა და კამათი უყვარდა და ისე

გულიანად იცინოდა ხოლმე, რომ ვეღარც სხვები იკავებდნენ თავს. როცა ის ხარხარებდა ან გაცხარებით კამათობდა, კისერზე ძარღვები ლურჯად ებერებოდა. იგი დილიჯნელი სომეხი იყო, ქმარი დაჭრილ-დასახინრებული დაუბრუნდა ფრონტიდან და შინ მოუკვდა, მაგრამ ქვრივი ნათესავეებთან ~~ადარ~~ დაბრუნდა, კვლავ ჩვენს დაბაში ცხოვრობდა, რკინიგზაზე დამლაგებლად მოუწყო დედაჩემი, როცა მთლად პატარა ვიყავი, მესმი-ხალასთან მტოვებდა ფეხსეცხეხურ ნანას მიმღეროდა ხოლმე.

გიზბეს-ხალა

გიზბეს-ხალა, ხმელ-ხმელი, ძარღვმაგარი, დაბალ-დაბალი დედაკაცი, თავზე გახუნებულ ხილაბანდს წაიკრავდა, საიდანაც მოუჩანდა ჭალარაგარეული კულულები. გიზბეს-ხალა გულმოდგინედ მალავდა მათ, მაგრამ განა მუდამ ახერხებდა.

მე და გიზბეს-ხალას ქალიშვილი გიულსაფა ერთ კლასში ვსწავლობდით. რვისა როცა გავხდი, გიულსაფამ დაბადების დღეს ვარდების თაიგული მანუქა ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი ნაჩუქარი ვარდები იყო. როცა საჩუქარი ჩამოვართვი, ნაღვლიანად გავიფიქრე, ვარდები ქილაში მალე დაჭკნება-მეთქი.

— ქილაში ცოტა შაქარი ჩაყარე და დიდხანს არ დაჭკნება, — მირჩია გიულსაფამ.

ტყეში ფიჩხისთვის მოსიარულე დედაკაცებს შორის ყველაზე მაღალი იყო სოლთან-ხალა. შეხედავ — ცარიელი ძვალი და ტყავია, მაგრამ ვერც ერთი დედაკაცი ვერ დაიქადნებდა, სოლთან-ხალაზე მეტი ჯანი და ამტანობა მაქვსო. ჩვეულებრივ, ყველაზე დიდი გუღურა მას მოჰქონდა. ქალებს შორის მხოლოდ ერთადერთი სოლთან-ხალა არასოდეს შეჩერდებოდა სულის მოსათქმელად.

შემოდგომის ნათელი დღე იდგა. მზე აცხუნებდა. ქალები ბილიკით ტყეში მიდიოდნენ, მე კი ხან წინ გავასწრებდი, ხან განზე გავიქცეოდი — რამდენი საინტერესო, მიმზიდველი, გამოუცნობი და საყურადღებო რამ იყო ტყეში: ხან ხიდან ხეზე ცეცხლოვანი ბურთივით გადაფრინდება ციყვი, ხან ხმელ ფოთლებზე გველი გაისრიალებს, ან მთიულა დაიკივლებს ისე, რომ ძარღვებში სისხლი გაგვიინება, განა ყველაფრის ჩამოთვლა შეიძლება?

გიზბეს-ხალამ, რაკი ნახა, დედაჩემი წუხდა, ძალიან არ ჩამოვრჩენილიყავი ან ტყის ტევრში წინ არ გამესწრო, მითხრა, მოდი კითხვა-პასუხობანა ვითამაშოთო.

გიზბეს-ხალას ჩვეულებად ჰქონდა — ადამიანს მიმართავდა სიტყვებით: „შენი ჭირიმე!“

— გაამ, შენი ჭირიმე, შვილო, აბა გამოიცანი, რა უფრო მძიმეა — ერთი ფუთი ტყვია თუ ერთი ფუთი ქათმის ბუმბული?

— რა თქმა უნდა, ფუთი ტყვია! — წამოვროშავედი დაუფიქრებლად.

— აბა, დაფიქრდი!

— ჰო, მივხვდი!

შევეყურებდი გიზბეს-ხალას ეშმაკურად მოცინარ სახეს, განზრახ შევეყვინდებოდი და ვუპასუხებდი:

— თანაბარი წონაა!

— აბა, რა გეგონა! გავიგე, წიგნების კითხვა უყვარსო. რასა ჰგავს წიგნი?

— ეგ წიგნზეა დამოკიდებული, — თავს ვარიდებდი პირდაპირ პასუხს, — ზოგი — დღევანდელ დღეს შეეხება, ზოგიც — წარსულს...

— მე კი გეტყვი: წიგნები ადამიანებს ჰგვანან. ჯერ ერთი, მათ შეუძლიათ იარონ ერთი ქალაქიდან მეორეში, ქვეყნიდან — ქვეყანაში, მეორეც — ადამიან-

საც წიგნით შეუძლია ბევრი რამ გვიამბოს. როცა პაპაჩემი ცოცხალი იყო, ჩვენს მხარეში ცხოვრობდა ერთი ბრძა მოხუცი. უსინათლო დაიბადა და უსინათლო მოკვდა, მაგრამ ისეთი ბრძენი იყო, მისი მსგავსი ქვეყნად მეორე არსად მოიძებნებოდა. მთელი ეს ცოდნა მან შეიძინა ადამიანებისაგან, მათი ნაამბობიდან. ყავარჯნით ხელში დააბიჯებდა გზებზე, სოფლიდან — სოფელში, ბაზრობებზე და უსმენდა ხალხს. ხალხი იყო მისი ბიბლიოთეკა. და ამ ბიბლიოთეკაში ათი სიცოცხლის მანძილზეც ვერ გადაიკითხავ დაუწერავი, მატყუარა მანუთისაგან განსხვავებული ამ წიგნების მცირე ნაწილსაც კი. აიღე, მაგალითად, დედაშენი ნაბათი: ვინ მოსთვლის რამდენი მართალი და ტყუილი, ნაღულიანი და მხიარული, ჭკვიანური და კეთილი ამბის მოყოლა შეუძლია?

გავიხსენე დედაჩემის ნაამბობი ბევრი ამბავი და იმას ვფიქრობდი, რატომ აქამდე არ მომივიდა აზრად წიგნებისა და ადამიანების მსგავსების ასეთი უბრალო ამბავი-მეთქი.

— იცი, ვიამ, — საუბარში ჩაერთა მუდამ ძღუმარე მესმი-ხალა, — როგორ უნდა მოიწიო საზამთრო, რომ თესლები არ ჰქონდეს?

უცბად გამახსენდა სამარცხვინო შემთხვევა, რომელიც ხუნუ საზამთროსთან იყო დაკავშირებული.

— უთესლო საზამთრო არ არსებობს, — თავი ისე დაეჭირე, ვითომ ამ თემაზე საუბარი არც მსურდა.

მაგრამ მესმი-ხალამ ჩემს უზრდელობას ყურადღება არ მიაქცია.

— გახსოვს, ნაბათ, — განაგრძო მან, — ცხონებულმა აღიმამედმა გვირჩია, როგორ მოგვეწია უთესლო საზამთრო. აყვავების შემდეგ საზამთროს უჩნდება პატარა თესლიანი ნასკვი. თუ ყლორტს გავჭრით და ანაჭერს გადავრგავთ, მერე კარგად მორწყავთ, საზამთრო უთესლოდ დამწიფდება. ოღონდ მზე იყოს და...

ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ ჩემთვის სულ ერთი იყო მესმი-ხალას სიტყვები და განზე ვიყურებოდი, გულში კი ვფიქრობდი: „ეს ამბავი მეძლეთს უნდა ვუამბო, სცადოს და თავის ბაღჩაში მოიწიოს ასეთი საზამთრო.“

დედაკაცები ტყეს მოედვენ. დაიწყეს გამხმარი ტოტების ჩეხვა. ისმოდა ნაჯახების ჩახუნი, ქალების გადაძახილი. კაჭკაჭები ჩხაოდნენ, ფოთლები შრილებდნენ. იდგა ნეშომპალას, სოკოს სუნი, გრილოდა. დედაჩემს ვეხმარებოდა ფიჩხის შეგროვებაში. დედაკაცებმა თითო გუდურა ფიჩხი შეკრეს და ტყის პირას მოგროვდნენ. ყველას დაღლა ეტყობოდა, სახეზე ალმური ასდიოდათ, თავსაფრებიდან თმა ჩამოშლოდათ.

— აი, გოგოებო, — ქშენით მიმართა დობილებს ბალი-ხალამ, — ცოტა შევისვენოთ და შინისაკენ გავეშუროთ. — სწორედ ასე მიმართა მათ: „გოგოებო.“ „გოგოები“ კი ფიჩხის გუდურებზე ჩამოსხდნენ, გაწეწილ თმას ისწორებდნენ, ტანისამოსს იბურტყავდნენ, თავსაფრებს ხელახლა იხვევდნენ თავზე. მერე ერთმანეთს მიეხმარნენ, გუდურები მოიკიდეს და ნელი ნაბიჯით გაუდგნენ შინისაკენ გზას.

თითქოს ამ დედაკაცებს, დედაჩემის გარდა, ერთმანეთისთვის პირი მიეცათ, რომ ჩემთვის შეკითხვებით გული გაეწყალებინათ.

— როგორ ფიქრობ, ვიამ, რომელი ფეხით იწყებს სიარულს კაცი? მარცხენით თუ მარჯვენით? დედაკაცი — რომელით? — ვიზბეს-ხალამ უშმაკური დიმილით გამომხედა.

— არ იცი? ან საიდან გეცოდინება! წიგნებში ეგ არა სწერია.

დანარჩენმა დედაკაცებმა ცნობისმოყვარეობით გადახედეს ერთმანეთს, სა-

ხეზე ეტყობოდათ, რომ არც იმათ იცოდნენ, ვინ რომელი ფეხით იწყებს სიარულს.

— ასე, რომ მისძინე, ვიამ, — ორიოდე წუთის ღუმლის შემდეგ განაგრძო გიზბეს-ხალამ. — ძველ დროში ციხესიმაგრის ჭიშკართან გუშაგი იდგა. ღამით ჭიშკარს ჩადრით თავპირახვეული დედაკაცი მიადგა და გუშავს შევედრა, შიგნით შემიშვიო.

— საყურადღებო ამბავი, უნდა ვაცნობო თქვენს ციხისთავს! ^{ერჩენული} ციხისთავს! ციხისთავს! ციხისთავს! ღამიოკი. დებულია შენი სიცოცხლეც. გვედრები, შემიშვი!

— არ შემიძლია, ხანუმ! ნაბრძანები არა მაქვს! — უთხრა გუშაგმა, მაგრამ რაღაცას ყოყმანობდა. ეტყობა, ორწყალშუა იყო: ნაბრძანები ჰქონდა არავინ შეეშვა, მეორე მხრივ კი, იქნებ ამ დედაკაცმა მართლაც საყურადღებო ცნობა მოიტანა? თანაც რა უნდა დააკლოს მარტოხელა ქალმა?

— კარგი, შემოდი, მაგრამ იფრთხილე! — და მან გაუღო რკინის კუტიკარი. მაგრამ, როგორც კი დედაკაცმა პირველი ნაბიჯი გადადგა კუტიკარისაკენ, მეომარმა ხანჯალი იშეშვლა, ზურგში ჩასცა და უმაღლ განგაში ატეხა. მთელი ყარაული ფეხზე დადგა და მეთაურის წინამძღოლობით შემთხვევის ადგილზე გაჩნდა.

— შენ მოჰკალი? — რისხვით შეხედა ციხისთავმა გუშავს.

— აი, ამ ხანჯლით და ამ ხელით! ალაპია მოწმე! — გუშაგმა ხელი ხანჯალზე დაიდო.

— დიდი გმირობა ჩაგიდენია: ქალი მოჰკალი!

— ეს ქალი კი არა, ქალის ტანსაცმელში გადაცმული კაცია! — თქვა გუშაგმა.

მისი სიტყვები გამართლდა. იგი მტრის შეიარაღებული მსტოვარი აღმოჩნდა, რომელსაც ციხისთავის მოკვლა განეზრახა. ყველა გააოცა გუშაგის გამჭრიახობამ და გამოჰკითხეს, როგორ მიხვდი, კაცი რომ იყო?

— პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე მივხვდი. მსტოვარმა კუტიკარისაკენ პირველად მარჯვენა ფეხი გადადგა. ქალი რომ ყოფილიყო, პირველად მარცხენა ფეხს გადადგამდა.

არავინ შეეკამათა გიზბეს-ხალას. „საოცარია, — ვფიქრობდი მე, — უნდა შევამოწმო, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ვინ რომელი ფეხით დგამს პირველ ნაბიჯს.“ სოლთან-ხალამ კი, თითქოს გუშაგის პრინციპულობაში ეჭვი შეეპარაო, გაიცინა:

— არ ვიცი, წინათ როგორ იყო, მაგრამ ახლა თანასწორუფლებიანობაა: ყველა ერთი ფეხით იწყებს სიარულს.

დედაკაცებმა ტყისმცველის შიშით ნაჯახები ფიჩხის გუდურებში დამალეს. ტყისმცველი მუდამ ნასუქ ულაყზე ამხედრებული დადიოდა, მხარზე თოფი ჰქონდა გადაგდებული, უნაგირზე — აკეცილი თოკი და ნაჯახი დაკრული, ხელში კი ჯეირანის ფეხზე ჩამოკონწიალებული თასმისაგან დაწნული მათრაზი ეჭირა და სოფლის დედაკაცებს მრისხანე და ყოვლისშემძლე ადამიანად ეჩვენებოდათ.

ზოგი კი ფიქრობდა, მხარზე თოფგადაკიდებული უნაგირზე დაიბადაო, საკმარისი იყო ჩამოქვეითებულიყო, რომ მისი მედიდურობა უმაღლ ქრებოდა, თითქოს უცხენოდ, უთოფოდ და უმათრაზოდ სულ სხვა კაცი ყოფილიყო, ჩვეულებრივი, რომელიც სხვებისაგან არ გამოირჩეოდა. ერთხელ გაცოფებულმა დედაჩემს ნაჯახი და აპეური წაართვა, და მე მას უსამართლო, მაუნე და ბოროტ კაცად უთვლიდი.

დედამ ორიოდჯერ გაუგზავნა თავისი გამოცხვარი ლავაში, რასაც თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ აკეთებდა.

— იმან მთხოვა, პური გამომიცხვეო, წადი, შეილო, წაუღე ლავაში, ცეცხლი ჭამოს და ნაცარი ცხელი!

ტყისმცველმა ლავაში აშკარა სიამოვნებით მიიღო. უმაღლესი ნერწყვი წაშლია ვიდა. ფხა წაატეხა, დაყნოსა, თვალები მილულა და მოუთმენლად მტკიცე მზრდი ში.

ტყიდან მზის ჩასვლამდე დავბრუნდით. კატა კრუტუნით შემოგვევება, ფეხებში გაგვებლანდა. წიწილები და ქათმები კი დედაჩემს აუღევენ — საკენკს სთხოვდნენ.

მეორე დღეს მე და დედა კვლავ ვაპირებდით ტყეში წასვლას.

— ნაჯახი გალესე, — მომაწოდა დედამ სალესავი.

მეც აუჩქარებლად შევუდექი ნაჯახის ლესვას, ვვიქრობდი — იქნებ ხვალაც გაგვიღიმოს ბედმა: იმ საძულველ ტყისმცველს არ გადავეყაროთ-მეთქი.

— სადაურია ტყისმცველი? — ვიკითხე და ნაჯახის ლესვას მოვუჩქარე.

— გაჩაქ-ქერამის თანამემამულეა. გსმენია რამე გაჩაქ-ქერამის შესახებ?

— არა, არაფერი მსმენია. ვინ არის?

— დაჯექი მაგიდასთან, ცოტა დანაყრდი. — დედამ ჩაი დამისხა, მე — ჭიქაში, თავისთვის — ფინჯანში. მერე ჩაიში ლავაში ჩააწო, პირში ჩაიღო და ჩაი მოსვა.

— რაკი არ გსმენია, მომისმინე.

გაჩაქ-ქერამის ამაზი

გაჩაქ-ქერამს ტყის ყაჩაღს ეძახდნენ. იგი მამაცი ვაჟკაცი იყო. მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა, ყველაფერზე მეტად იარაღსა და სახელს უფროთხილდებოდა. მტრებმა გადაწყვიტეს მისთვის ხალხში სახელი გაეტეხათ — ყაჩაღი და ქურდიაო. ამ მიზნით ავაზაკების ბრბო შეადგინეს, რომლებმაც არ იცოდნენ სირცხვილ-ნამუსი რა ხილი იყო, და თავს გაჩაქ-ქერამის რაზმად ასაღებდნენ. თვითმარქვიები გზებზე ძარცვავდნენ და ხოცავდნენ მდაბიო ხალხს. გაჩაქ-ქერამმა, რომლის რაზმშიც ერთმანეთზე რჩეული ვაჟკაცები ირიცხებოდნენ, გადაწყვიტა დაეცვა თავისი სახელის ღირსება და მტრებისთვის სამაგიერო მიეზღო. გაუძღვა თავის ვაჟკაცებს, რომლებსაც თექვსმეტმასრიანი ჩოხები ეცვათ, ავაზაკების საძებრად, მაგრამ საღამო ხანს ტყის განაპირას, ღრმა ხეობაში, მოულოდნელად თავს დაესხა ცხენოსანთა ჯვრო და სტვენა-ვიჟინით ალყაში მოაქციეს ისინი.

— ჩამოდით ცხენებიდან! დაყარეთ იარაღი! — უბრძანა ჯვროს წინამძღოლმა.

— ჩვენს მხარეში, — მშვიდად მიუგო გაჩაქ-ქერამმა, — ოდითგან თავაზიანი ხალხი ცხოვრობდა, შეხვედრისას ერთმანეთს მიესალმებოდნენ და თავის ვინაობას გააცნობდნენ.

— ვფიცავ ჩემს მერანს, შენა, ცოდვილო, ძალზე ჩქარობ ყელგამოჭრილი ამ ქვეყანას გაეცალო!

— მუდამ მეგონა შევარდნის ვგავდი და არა მამლაყინწას, რომლის კისერსაც მშიშარა ტურაც კი ადვილად მისწვდება.

— ხმა ჩაიწყვიტე, ძაღლო! ძაღუ საკუთარ სახელსაც ვეღარ წარმოსთქვამ. მე გაჩაქ-ქერამი გახლავარ! თუ ჩემი სახელი აქამდე არსად გსმენია?

— როგორ არ მსმენია, — მიუგო ნამდვილმა გაჩაქ-ქერამმა. — მთასა და ბარში მცხოვრებნი ერთხმად ამბობენ, ის კაცი, ვინც ამ სახელს ატარებს, სამართლიანია, მოკრძალებით იქცევა, არავის შეურაცხყოფს, ვნებზე არ ძარცვავს, არ ყაჩაღობსო. შენ კი ისე ღრიალებ, მგონია, შრშინსაგან შარვალს გაავსებ...

იმან, ვინც თავს გაჩაქ-ქერამად ასაღებდა, ხმალი იშიშვლა, ხოლო ვინც უშიშრად ელაპარაკებოდა, ქამრიდან დამბაჩა დაადრო და გაიცინა:

— ახლა კი შიშისაგან სული გაგძვრება, რადგანაც ნამდვილი გაჩაქ-ქერამი ნე ვარ!

თვითმარქვიების ბელადმა პირი დააღო, ძალაგამოლეული ხელიდან ხმალი გაუვარდა.

— დროა, რომ ხალხმა ნამდვილი გაჩაქ-ქერამი მისი მოსახელისაგან გარეგნობითაც განასხვაოს, — თქვა და დამბაჩის ორი ტყვიით ყაჩაღების ბელადს ორივე ყური წააცალა. — ახლა შენი სახელია ყვრებწაჭრილი ძაღლი და სხვა აღარ გექნება...

— გამიგია, ტყისმცველი გაჩაქ-ქერამის სოფლელიაო, — ამ სიტყვებით დაამთავრა თხრობა დედაჩემმა.

ის იყო დედაჩემმა მარცხენა მხარზე გადაიგლო აბუური, ნაჯახი წელზე ძაგრად შემოჭერილ თავშალში გაიყარა, რომ ჩვენს ჭიმკარს შეშა-ფიჩხით დატვირთული კამეჩებ შებმული ურემი მოადგა. მეურმე — ახალგაზრდა გლეხი — ურმიდან ჩამოხტა და ეზოში შემოვიდა.

— გამარჯობა, ნაბათ-ხალა, — მიმართა მან დედაჩემს, — ჩაიბარეთ ტვირთი.

დედაჩემი გაოცებული შეჰყურებდა უცნობ ჭაბუკს, იმან კი, თითქოს ვერ ამჩნევსო მის გაოცებას, მეგობრულად მოხოვა:

— წყალი დამალევინე, ძმაო!

შინ შევეარდი და საუსუ დოქი გამოვუტანე. ბიჭმა დოქი ორივე ხელით მოიყუდა და მოწყურებული ხარბად დაეწაფა ცივ წყალს. სვამდა და ხვანჩი რიტმულად აუდ-ჩაუდიოდა შავგვრემან ყელზე. მერე დაიკუზა და დარჩენილი წყალი თავზე დაიქივლა.

იღვა და ილიმებოდა, არაფერს გვეუბნებოდა, წყალი კი თავიდან წურწურით ჩამოსდიოდა ზურგსა და მკერდზე. ამ დროს ეზოში წითელი რაში შემოაგელვა ტყისმცველმა.

— ეტყობა, მეურმეს მოსდევს, — ჩამჩურჩულა დედამ. — ახლა დაიჭერს. დოქით ხელში ადგილზევე გავექვავდი და შეშინებული მივჩერებოდი ტყისმცველს.

— სალამ ალეიქუმ! რა გაოცებული მომჩერებიხართ, თითქოს პირველად მხედავდეთ! — გაიცინა მან. — ბიჭს ურმის დაცლაში მიუხმარეთ, კიდევ ბევრა საქმე აქვს გასაკეთებელი. ეფიქრობ ორ-სამ თვეს გაგათბობთ. ძვირფასო ნაბათ, დროს ნულა დაკარგავ ფიჩხის მოსატანად სიარულში. მოისვენე. შეშას ჩვენ გიმოვიტ, შენ პური გამოაცხე ხოლმე. ძალიან გემრიელს აცხობ. ეგეთ პურს ოდესღაც მხოლოდ განსვენებული დედაჩემი აცხობდა. დილით რო შეჭამ, სალამონდე გულმხიარულად ხარ კაცი. დავდივარ ტყეში და თითქოს ყველა ხეს პურის სურნელი ასდის. ალაჰს ვფიცავ, გაჩაქ-ქერამის თანახმად აღარ ვიქნებოდი, სიკეთე რომ დამვიწყებოდა. მიიღე ეს შეშა პატივისცემის ნიშნად და თუ

მთელ ზამთარს არ გვეყოფათ, კიდეც მოვიტანთ. — მერე იფიქრა, დიასახლისმა უხვ ძღვენზე უარი არ მითხრასო, თავი დახარა და დაასწრო. — ნუ მანყენინებ, ნაბათ, და თუ რამე დავიშავე, მომიტევე. — მერე ფაფახზე მიიღო მათრახჩა-მოკიდებული ხელი, დაგვემშვიდობა და ეზოდან გავიდა.

დედაჩემი და მე მეურმეს ურმის გადმოცლაში მივეხმარეთ. საღამომდე დედაჩემი ჩაფიქრებული დადიოდა, თითქოს რაღაცა მნიშვნელოვანი უნდა მანყენებოდა წყვიტოს, რომელიღაც კითხვაზე პასუხს ეძებსო. შეშა-ფიჩხი გაუნაწილა, გიგისკა ბეს-ხალას, სოლთან-ხალას, ბალი-ხალასა და მესმი-ხალას. ყველა მათგანმა მომცრო ორთვალა დატვირთა და შინისკენ წააცუსცუსა.

ამის შემდეგ დედა კვლავ დამშვიდდა, თითქოს ზურგიდან ერთი კი არა, სამი ფიჩხის გუდურა ჩამოხსნესო.

ტყისმცველის მოტანილი შეშა-ფიჩხი სამიოდე კვირას გვეყო და კვლავ დაიწყო ტყეში ფიჩხის მოსატანად ერთად სიარული.



მამით საერთო ორი უფროსი და მყავდა და დედაჩემი ხშირად ჩამომიგდებდა ხოლმე მათზე სიტყვას, თითქოს მეუბნებოდა: თუ მე რამე დამემართოს, იცოდე, შვილო, ქვეყანაზე მარტო არა ხარ, დები გყავსო.

ერთი იმათგანი, სარია, როცა პატარა ვიყავი, გვესტუმრა და მძიძაობდა. ახლა ის ქალაქში ცხოვრობდა, გათხოვილი იყო მილიციონერ ძია მამედზე. დები დღესასწაულებსა და დაბადების დღეს მილოცავდნენ ხოლმე. ერთხელაც დავიჩივლე, მხოლოდ საზეიმო დღეებში ვახსენდებით-მეთქი. დედაჩემი კი დებს გამოესარჩლა:

— იმათ თავიანთი საზრუნავიც თავზე საყრელი ექნებათ, მაგრამ აუცილებლად გნახავენ. ადრე თუ გვიან ჩამოვლენ, ან შენ ესტუმრები მათ. მამით ერთი სისხლისანი ხართ.

დედაჩემის წინასწარმეტყველება მალე აცხადდა: უმცროს დას თავისი ნაცნობისთვის ეთხოვა, რომელიც ჩვენს სოფელში მოდიოდა, როცა ქალაქში მობრუნდები, ძმა ჩამომგვარეო.

— მხოლოდ, შვილო, სარიასთან და ძია მამედთან გულზიარი იყავი, — მარიგებდა დედაჩემი, როცა გასამგზავრებლად გამომაწყო. — ბაიყუშივით არ მოიქცე.

მან უამრავი სოფლური საჩუქარი მოამზადა: შეწვა ორი მამალი, გამოაცხო ლავაშები და ნაზუქები, მოამზადა ცხვრის ყველი და კამეჩის რძისაგან კარაქი შედღვიბა. არ დაავიწყდა ჩვენს ზოლიან ხურჯინში ჩაეწყო და ძია მამედისთვის გაეგზავნა საკუთარი ხელით მოქსოვილი თბილი წინდები.

ჩავიცვი, რაც საუკეთესო მქონდა: ჯაფარის დამოკლებული პალტო, ხელით ნაქსოვი ქალამნის მსგავსი ჭრელი ბაწრის „ჩითები“ და კალოშები, თავზე მეზურა რუხი კეპი. როცა ახლა წარმოვიდგენ ჩემს თავს, ჩემს ღარიბულ ტანსაცმელს, თავს უხერხულად ვგრძნობ, მაგრამ მაშინ ყველაფერს სოფლელი ბიჭის თვალთ ვუყურებდი და საკუთარი შესაძლებლობით კმაყოფილი ვიყავი.

„შენ ძია მამედის სახლში შემოხვედი არა როგორც ნათესავი, არამედ, როგორც პატარა, არაუან უწყის საიდან გამომტყვრალი, უცნაურქუდიანი და კალოშებიანი მწირი“, ხუმრობით იხსენებდა ხოლმე ძია მამედის ძმისწული გოგონა, რომელიც, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მისი შვილი იყო. ამასთან ის

იღიმებოდა, მაგრამ დაცინვით კი არა, გულითადად, და მისი ღიმილი ჩემს სახეზე ირეკლებოდა.

ვიჯექი ფერად მუშამბაგადაფარებულ სასადილო მაგიდასთან ჩემი დის სარიას წინ, ვუცხოობდი, ვგრძნობდი რაღაც მტანჯველ შეზღუდულობას და სიმარტოვეს. სიტყვები ყელში მიწყდებოდა და პირი მიშრებოდა. მინდოდა გარეთ გავვარდნილიყავი, მატარებელში ჩავმჯდარიყავი, მშობლებურ სოფელში დაბრუნებულიყავი, დედას გულში ჩავხუტებოდი და მეტყუარა-გაოცებული სარია ნაზად მიყურებდა, მე კი არ ვიცოდი თვალები სად წამელო და ამიტომ მამაჩემის სურათს შევეყურებდი, რომელიც კედელზე ეკიდა.

სარიასაც ისეთივე ჯილა, გადაბმული წარბები ჰქონდა, როგორც მე. თვალებიც ერთნაირი გვექონდა: თაფლისფერი. თმაც ერთნაირი: წაბლისფერი. სახეზე მეცა და სარიაც მამას ვგავდით, რომელიც თავის შვილებს კედლიდან გადმოგვეყურებდა.

მე ჯერ ისევ უგუნური ბიჭი ვიყავი, როცა სარია გვესტუმრა. და ახლა თითქოს პირველად შევხვდით ერთმანეთს. უზერხულობის გარდა გამოუთქმელა გაოცებაც დამეუფლა, თითქოს რაღაც მეწეოდა მისკენ: მე ხომ სისხლით ნათესავ ადამიანს შევხვდი. დიადი საიდუმლოებაა თვისტომობა: მისი ყივილი დაუძლეველია.

ძია მამედი ჩემი სიძე იყო, მაგრამ გულშიც კი რატომღაც „ძია მამედს“ ვეძახდი.

ჩემი სტუმრობის აღსანიშნავად სარიამ ფლავი მოხარშა, მაგიდაზე სხვადასხვა ტკბილეული დააწყო, ისეთებიც კი, სიცოცხლეში რომ არ მეგვმა. ძია მამედმა ჭიქები ღვინით შეავსო:

— შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, ვიამ!

ჭიქები მივაჭახუნეთ. ძია მამედმა ჭიქა გამოცალა და თითები უღვაშზე გადაისვა. მე ჩემს სიცოცხლეში არ მეგვმა ღვინო.

— შესვი! — მითხრა მან. — ვაჟკაცი არა ხარ! შენი ხნისა მე...

სარიამ მკაცრად შეხედა და მითხრა:

— არ დაუჯერო, ვიამ! მხოლოდ ტუჩთან მიიტანე!

ძია მამედის წყენინება არ მინდოდა, თანაც ვხვდებოდი, რომ სარიაც ჩემზე ზრუნავდა და ამიტომ მირჩია ღვინო არ დამეღია. ამიტომაც საშუალო გზა ავირჩიე — ერთი ყლუპი აკრძალული სასმელი მოვსვი. მომეჩვენა, რომ ცეცხლის გუნდა გადავფლაპე, სუნთქვა შემეკრა და თვალთავან ცრემლები წამომცვივდა. რამდენსამე წამში სიბოომ ყელში ჩამირბინა, გავიღიმე და სიმორცხვის გრძნობა უმალ გამიქრა. ენა ამოვიდგი. თავს მევლებოდნენ სარია და გულღია გოგონა, რომელსაც ფარეჰი ერქვა.

მათი აღერსიანი გამოხედვა თითქოს მეუბნებოდა, რომ ამ სახლში სტუმარი კი არა, ყველასათვის ახლობელი ადამიანი ვიყავი. მალე მთლად მოვშინაურდი, ვუამბობდი ჩემსა და დედაჩემის ცხოვრების შესახებ, მზიარულად ვიცინოდი და ყველაფერს გემრიელად შევექცეოდი, რასაც სარია მთავაზობდა.

სადამოს მათი მეზობელი — შამამა-ხალა შემოვიდა. ის საგანგებოდ ჩემს გასაცნობად მოვიდა.

— მომილოცავს, სარია, ძმის ჩამოსვლა! ოჰ, როგორი წარმოსადევი ვაჟკაცი გყოლია! — გულითადად იღიმებოდა იგი. — იმიტომაც ასე მოუთმენლად ელოდი. მეც მესტუმრე, შვილო, ჩემი კარი აქვე, გვერდითაა, — თავზე ხელი გადამისვა ძველი ნაცნობივით. — სარიას ნაამბობით პატარა ბიჭი მეგონე, შენ კი რამხელა ყოფილხარ! — შეუკვთა ფიჩხი ჩემი თავმოყვარეობის კოცონს.

— დრო ისე მიჰქრის, როგორც მილიციელთა ჯგუფი შემთხვევის ადგილი-
საკენ! — გადაჰკრა მესამე ჭიქა ძია მამედმა.

— ოჰ, მას შეხდეგ, რაც გაიბმა ეს ბეჭედი მაჩუქა, — სარიამ გვიჩვენა მარ-
ჯვენა ხელის უსახელო თითზე წამოცმული ოქროს ბეჭედი, — ბევრმა წყალმა
საიარა.

თავს ძალას ვატანდი გამეხსენებინა, თუ როდის ვაჩუქე ის ბეჭედი სარიას, მაგრამ მეხსიერების სასოწარკვეთილმა დაძაბვამ ვერავითარი შედეგი ვერ მომიტანა. მოილო, რადგანაც ასეთი ძვირფასი ნივთის ჩუქება აბა, სად შემეძლო!

— როცა ვთხოვდებოდი, — განაგრძობდა ჩემი და, — ნაბათმა თითიდან წაი-
ძრო ეს ბეჭედი და ვადმოძცა. „ბედნიერად ატარე, — მითხრა მან. — ეს ბეჭედი
მამაშენმა მაჩუქა, ახლა კი შენმა ძმამ გაიბმა შენ გიფეშქაშა.“ ამის გარდა, ძვი-
რფასი საქორწილო კაბაც შემეკერა.

ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მაგრამ ერთი რამ იყო უცნაური, დე-
დაჩემს ამის თაობაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს. იქნებ მას არ უნდოდა გაეხ-
სენებინა, მამაჩემის ნაჩუქარი ბეჭედი სხვას რომ გაუბოძა?

გადიოდა დღეები და შევეჩვიე ჩემი სიძის — ძია მამედის სახლში ყოფნას. შემეყვარდა ჩემი და და აღტაცებული ვიყავი მისი ქმრით. ის მილიციის მაიორი იყო, ფორმის მოლურჯო მაზარას იცვამდა. მკერდზე გადაჭდობილი ჰქონდა ტყავის ყაწიში. ბრტყელ ქამარზე მარჯვენა მხარეს პრიალა ყვითელი ტყავის ბუდეში ედო გატენილი შავი დამბაჩა. ამ დამბაჩას ძია მამედი არც დღისით, არც ღამით თავიდან არ იშორებდა, ძილის წინ ბალიშქვეშ ამოიდებდა ხოლმე.

ცამეტი წლისა ვიყავი, ძია მამედის ძმისწული გოგონა კი ჩემზე სამი წლით უმცროსი იყო. იმ კარგ გოგონას თმა კობტად ჰქონდა გადაფარცხნილი და კიკინებად შეკრული, რომელთა ბოლოებს ორი დიდი ბაფთა ამშვენებდა. თვალებთან და შუბლზე მის თეთრყირმიზა კანს ჭორფლი მოსდებოდა. „გეგონება, დედაჩემს თოვლზე ფეტვი დაჰბნევია, როცა ქათმებს უყრიდა,“ — ვფიქრობდი, როცა გოგონას ვუყურებდი. მას ეცვა თეთრი კოფთა, რომლის ზედა დიდი წარამარა ეხსნებოდა და ისიც ყოველ წამს იკრავდა. მისი ხელი და ჩემი თვალები ერთდროულად აქცევდნენ ყურადღებას ამ ურჩ ღილს. მალე მას სირცხვილი-საგან აღმურმა გადაჰკრა სახეზე, განაცხადა, ოთახში აცივდო, და მხრებზე შალი მოიხვია. ვერაფრით ვერ შევეჩვიე ამ გოგონას და როცა შინ მარტონი ვრჩებოდი ხოლმე, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი და რაზე მესაუბრა მასთან. ეს მე მაწუხებდა და ჩემს სიტყვებსაცა და მოძრაობებსაც სიტლანქის ელფერი დაჰკრავდა. იქნებ ასე იმიტომ ხდებოდა, რომ მე ის გოგო მომწონდა? ჩვენ ვერიდებოდით მარტო დარჩენას, მაგრამ ეს ჩვენზე როდის იყო დამოკიდებული.

ჯერ კიდევ ჩამოსვლის პირველ დღესვე უხერხულობაში ჩავვარდი და დიდხანს ვეღარ მოვახერხე გონზე მოსვლა. როცა ძია მამედი სამუშაოზე წავიდა, სარიამ კი მაღაზიას მიაშურა, გოგოს ვკითხე, სად შეიძლება ხელების დაბანამოქი. გოგონამ კარზე მიმითითა, რომლის უკან დავინახე თითბრის ონკანი ქაშახურის თეთრი ნიჟარის მაღლა. ხელის დაბანვას შევუდექი, შევნიშნე იქვე ჩამოკიდებული რკინის ჯაჭვი. ჯაჭვს ფაიფურის თეთრი სახელური ჰქონდა. სახელურს ხელი მოვკიდე, ვატრიალე, მაინტერესებდა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა მას, და ანაზღად მოვქაჩე. იმავე წამს საიდანღაც გრუხუნით წყალმა იხუვლა, ძეგონა, რალაც გასკდა, წარღვნა მოვიდა და ნიაღვარი ყველაფერს წა-
ლეკავდა. გულგახეთქილი გარეთ გავვარდი და გოგოს გაუძახე: თავს უშველე!

სახლში წარღვნა მოვიდა, ნიაღვარს მიაქვს ყველაფერი-მეთქი. გოგონას თავდაპირველად შეეშინდა, მაგრამ მიიბრინა კართან, საიდანაც მე თავპირის მტვრევით გამოვეარდი და კინალამ სიცილით გაიგუდა.

— თქვენ სპირტარეშიში წყალი ჩამოუშვით და ამიტომ წამოვიდა თქრი-
ალით, საშიში არაფერია. ასეც უნდა მოხდეს, — ამიხსნა მან, თან ცდილობდა
სიცილი შეეკავებინა, რასაც გაჭირვებით ახერხებდა. ერქუნული

სირცხვილისაგან ვინატრე მიწა ფეხქვეშ გამხეთქოდ და მთავრად ჩე-
მი სოფლური უვიცობის გამო. ახერხაიჯანული სოფელი, რომელშიც მე გავი-
ზარდუ, ქალაქთან სოფლის დაახლოების თაობაზე უამრავი ლოზუნგების მიუ-
ხედავად, ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩებოდა ქალაქურ ცივილიზაციას, მაგრამ იმ
გოგომ ეს არ იცოდა და ამიტომ თავისი სიცილით თავგზა ამიბნია.

მაგრამ ის აღლოიანი გოგო იყო და მალე რომ გამოესწორებინა თავისი
დანაშაული და აღარ გაეხსენებინა, თუ რა სასაცილო ინდგომარეობაში აღმოჩნ-
ნდი, უშუალო მეგობრული თავაზიანობით მკითხა:

— გინდათ ჩაი? ახლავე ნამდვილ ჩაის დავაყენებ.

— მინდა! — ისე ჩავებლაუჭე ამ წინადადებას, როგორც წყალწაღებული სა-
შველად გადაგდებულ თოკს.

მას თვალები ისეუ უცინოდა. „აღბათ კვლავ წინდაუხედავად მოვიქეცი, —
გამიელვა თავში. — იქნებ უნდა მეპასუხა: სიამოვნებით დავლევ-მეთქი ჩაის,
ან თანხმობის ნიშნად მღუმარედ თავი დამექნია.“ არა, ეს გოგო სულაც არ
ჰკავდა ჩვენს სოფლელ გოგონებს, მათთან საუბარი იოლი იყო, წინასწარ არ
მჭირდებოდა მეფიქრა, თუ რა მეთქვა ან როგორ მეთქვა, ხოლო თუ საქმეს გა-
მიჭირებდნენ, ნაწნავებსაც დავაწიწკნიდი — ნაცადი სამუალება იყო. აქ კი ისე
ვიყავი, როგორც სხვა პლანეტაზე. „ან იქნებ ის პატარა ამორძალია?“ — ვე-
კითხებოდი ჩემს თავს.

გოგონამ ჩაი დააყენა. ფრთხილად მოჰქონდა თეფშზე დადგმული ჭიქა, თი-
თქოს თითის წვერებზე იდგა და მოკლე ნაბიჯით მოდიოდა, რომ წვეთიც არ
დაღვროდა. მისი თვალები ალერსიანად მიღიმოდნენ.

იმ წუთს რატომღაც გამახსენდა სიმღერის სიტყვები: „ისე წადი, ისე იარე,
რომ ბილიკი არ დაგემღუროს.“ გოგოც სწორედ ისე მოდიოდა, როგორც სიმ-
ღერაში იყო ნათქვამი. ჩაი წინ დამიდგა, თაროდან წიგნი ჩამოიღო და კითხვას
შეუდგა. წაეკითხე წიგნის სათაური. „მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი.“ შუ-
ბლზე ოფლმა დამასხა.

— ამ წიგნს პროგრამით სწავლობთ?

— დიახ! — და გადაფურცლა წიგნი.

„საოცარი ამბები ხდება ამ ქალაქში, — გავოცდი მე, — ასეთი თავსატეხი
წიგნი ხელში არასოდეს მჭერია.“

გოგონა წიგნს ჩასციცინებდა, მაგრამ უცბად შევნიშნე, რომ ცალი თვალი
ჩემკენ ეჭირა.

— რატომ არ მიირთმევთ ჩაის?

— გმადლობთ. უკვე ვიახვლით.

— კიდევ დაგისხათ?

— გმადლობთ, მეყოფა.

ერთმანეთს „თქვენობით“ ველაპარაკებოდით, თუმცა ჩვენს სოფელში მი-
ღებული არ იყო ასეთი მიმართვა ასაკით უფროს გოგონებთანაც კი.

გოგონამ კიდევ ერთი გვერდი გადაფურცლა და წიგნი თაროზე ჩამოიღო.

„პო, ამ ქალაქში, — გავიფიქრე, — ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენს სოფელშია. ფხიზლად უნდა ვიყო, რომ კიდევ არ გავუბა ხათაბალაში.“ მაგრამ ხათაბალაში მაინც გავეხი.



ეროვნული

საუზმეზე სარია ჩვეულებრივ გვაჭმევდა ორ-ორ კატლეტს ოდნავ ხრჩხუნებულ ქროსფრად დაბრაწულ კარტოფილთან ერთად. გოგონა ყველაფერს სიამოვნებით სანსლავდა — კარტოფილსაც და ორივე კატლეტსაც, მე კი თითქოს ვცდილობდი მეჩვენებინა, ზრდილობიანი, თავშეკავებული ვარ-მეთქი, ვჭამდი მხოლოდ ერთ კატლეტს, მეორეს კი ხელუხლებლად ეტოვებდი. ამის გაკეთება ძალზე მიჭირდა. მადა მგლისა მქონდა, კატლეტები კი ისეთი გემრიელი იყო, ეს რომ ჩემს სახლში ყოფილიყო, ალბათ ნახევარ დუჟინს შევსანსლავდი. მაგრამ აქ სუფრიდან ავდგებოდი, სარიას მადლობას გადაუხდდი და შურით შევხედავდი გოგონას, რომელიც ჩანგალს ასობდა მეორე კატლეტს. ერთხელ გოგონამ, კარტოფილის კნაწუნით, სარიას უთხრა, როცა მე სუფრიდან წამოვდექი:

— რა ცოტას ჭამს!

ეჰ, მას რომ სცოდნოდა, რა ღორმუცელა ვიყავი! საუზმის შემდეგ ქუჩაში გავდიოდი და სახლის წინ სკვერში დედაჩემის მიერ საგზაოდ მოცემული ფულით ვყიდულობდი ხორციან ღვეზელებს და ამით ვავსებდი დაუმთავრებელ საუზმეს.

თვალგაფაციცებულმა უშმაკმა გოგონამ, რომელსაც ცნობისმოყვარეობა ჰქონდა გაეგო, საუზმის შემდეგ სად გავუჩინარდებოდი ხოლმე, ბოლოს და ბოლოს ჩემს კვალს მიაგნო. ოჰ, ეს ავბედითი დღე!

ჩვეულებრივ სკვერისაკენ გავეშურე. ვიყიდე ორი ღვეზელი, ხის ქვეშ გაჩერდი და ჩემებურად გავუსვი. უცბად კინალამ გული გამიჩერდა: დავინახე გოგონა, რომელიც უშმაკური ღიმილით მითვალთვალებდა. ღვეზელით პირგამოტყენილი ადგილზევე გავშეშდი. გოგონა კი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. თავდაპირველად აზრი დამებადა გავქცეულიყავი! სირცხვილს გავქცეოდი! ჩავმჯდარიყავი მატარებელში და შინ დავბრუნებულიყავი. სანამ გონს მოვეგე და მოვიფიქრე, თუ როგორ მიმეღწია სადგურამდე, გამოჩნდა ის საძაგელი გოგონა, რომელსაც გავგნებულები სარია მოსდევდა.

— ჩემო ძამიკო, საყვარელო... — თითქოს ჩემს წინაშე დამნაშავე ყოფილიყოს, შესძახა დამ. — ამას რას სჩადიხარ?

ნეტავ მიწა გამსკდომოდა და შეუჭმელი ღვეზელით ხელში შიგ ჩავნთქმულიყავი. სირცხვილი მწვაუდა. მზად ვიყავი ტირილი მომერთო, დისტოვის პატრება მეთხოვა, ყველაფერი პატიოსნად ამეხსნა, მაგრამ ვერაფერს ვახერხებდი, თავჩაქინდრული ვიდექი და ენას ვერ ვძრავდი. ცბიერი გოგონა კი იდგა და იღიმებოდა.

როგორც სასაკლაოზე მიდის ხოლმე რქებში აპურწაბმული მოზვერი, ისე ვბრუნდებოდი მია მამედის სახლში. მადლობა შამამ-ხალას: მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული უბრალოებით განმუხტა ის უხერხული ვითარება, რომელშიც მე მოვხვდი.

— შენი ბრალი არ არის, — ამშვიდებდა იგი ჩემს დას. — არც ბიჭს აწევს რაიმე ცოდვა. უჭირს შენს სახლშიც ისე იგრძნოს თავი, როგორც შინ. მორცხვია და ეშინია მუქთამჭამელად არ ჩათვალოს. ნერვებს ნუ მოიშლი, გენაცვალე. შენც, შვილო, — მოფერებით მომმართა, — თეთრ ყვავად ნუ ჩათვლი თავს, სტუ-

მარი არა ხარ, ამ ოჯახის წევრი ხარ. რამდენიც გენებოს — ჭამე, სვი. ხოლო ქუჩაში მალულად საუზმობა რა საკადრისია, ალაჰმა დაგიფაროს! გინდა, რომ ხალხმა შენი და დაძრახოს?

მიმძიმდა სირცხვილის გადატანა, გოგონასაც ვერ დაევიწყებინა ეს ამბავი, და როცა გულში იხსენებდა ხოლმე, ღვეზელით პირგამოტეხილსა და თვალბდაჭყეტილს როგორი გამომეტყველება მქონდა, სიცოცხლე ვეღარ ვეფიქრებდა.

შინდაბრუნებულმა დედას ვუამბე, თუ როგორ ვცხოვრობდი მამამედის სახლში, სარიასა და იმ გოგონას შესახებაც ველაპარაკე, მაგრამ სკვერში გადამხდარ ამბავზე სიტყვაც არ დამიძრავს. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა დედაჩემს რაღაც დაუუმალე.

გავიზარდე. ხმა ჩამეხრინწა, დამიბოხდა, ბეჭებში გავიწიე, ცხვირი და ტუჩები თითქოს შემისივდა. საუღვაშეზე შავი ბალანი ამიბიბინდა, ნიკაპზე კი ნაგერალა ხახვივით აქა-იქ წვერმა ამოყო თავი. „გიაჰ, დრო ხომ არ დადგა წვერი გაიპარსო? სახე ისე გაგებანჯგელა, როგორც ქოსას!“ დავცინოდი ჩემს თავს. ძალიან მინდოდა დალაქის სავარძელში ჩაუძვდარიყავი, ჩემი გასაპნული სიფათისათვის სარკეში შემეხედა და ბასრი სამართებლის შეხება მეგრძნო.

მაგრამ დედისათვის ისეუ ბავშვი ვიყავი. დედები, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე შვილებს ბავშვებად გვთვლიან.

სურვილებით დროს ისე მიველალებოდი, როგორც მხედარი მიურეკება ხოლმე ბედაურს. „როცა დიდი გავიზრდები, — ვფიქრობდი, — ბევრი რამ შეიცვლება. უწინარეს ყოელისა, დედაჩემს მაღაზიაში აღარ ვამუშავებ. ეყოფა, რაც სხვისი ნაგავი ხვეტა. დროა დაისვენოს.“

მქონდა კიდევ ერთი ოცნება: ისეთი რამე გამეკეთებინა, ჩვენი პატარა სოფელი ფოილო, აქაური ადამიანები და პირველ რიგში — დედაჩემი ნაბათი, მთელ მსოფლიოს თუ არა, აზერბაიჯანს მაინც გაეცნო.

და ერთხელ, როცა დედა საღამოს მორიგი დაგვა-დალაგების შემდეგ მაღაზიიდან შინ დაბრუნდა, ვუთხარი:

— გეყოფა ჯაფა. მე უკვე გავიზარდე და ახლა შეგიძლია დაისვენო.

მან ნაზად შემომხედა და ხმა არ ამოიღო. სულ უფრო დაბლა ეშვებოდა მზე. დედამ ლამპა აანთო. მის წინ ვიჯექი, წიგნი მეჭირა, წავიკითხე ერთი ფურცელი და ოცნებაში ჩავიძირე, თითქოს ღრუბელზე დავჯექი და სივრცეში გავცურე. ასეთი რამ ხშირად მეძარებოდა.

— რაზე ფიქრობ, შვილოჯან, შენ შემოგველე? — მკითხა დედამ. — გეხვეწები, ჩემზე ნუ დარდობ. დედას არასოდეს გაუჭირდება, როცა შენნაირი შვილი ჰყავს. ბედნიერი დედა ვარ და შენზე ზრუნვა მხოლოდ სიხარულს მგვრის.

ღრუბლებიდან დედამიწაზე დავეშვი. დედისადმი სიყვარულისა და მაღლიერების გამო თვალები ცრემლით ამევსო და ყელში ბურთი გამეჩხირა.

— ჰო, დედილო... — ამოვიოხრე.

— ნუ ნადვლობ, გიაჰ, მხოლოდ ერთს ვნატრობ, რომ შენ კარგად მყავდე!..

სარიას კიდევ ვესტუმრე, როცა გამარჯვება ვიზეიმეთ. კარგად მახსოვს ის დღე. დედამ დილაუთენია გამაღვიძა.

— ადექი, შვილო, თბი დამთავრდა. ძია სალიმმა თქვა. ახლა რადიოთი უნდა გადმოსცენ.

სწრაფად ჩაიცივი და დედაჩემთან ერთად სადგურისკენ გავიქეცი. იქ ბოძზე დამაგრებული მრგვალი, შავი რეპროდუქტორის წინ ხალხს მოეყარა თავი, დედაკაცები ტიროდნენ.

დედაჩემი თავსაფრის ყურით ცრემლს იმშრალვდა.

— რა ბედნიერი დღე გათენდა, შვილო! — დედამ გულში ჩამიხუტა.

იმ დღეს დედაჩემმა ოქროსფერქერქიანი ბევრი ლავაში გამოაცხივინა ოჯახებს ჩამოურიგა, ვისი შვილებაც ფრონტიდან ვედარ დაბრუნდნენ.

მას შემდეგ კიდევ რამდენი წელიწადი გავიდა, რამდენი წყვილი ფეხსაცმელი გავცვით მე და მეძლეუთმა დაბა ფოილოს სკოლაში სიარულით, რამდენი ბიღონი ნავთი დაიწვა ლამპაში, საღამოობით დედაჩემი რომ აანთებდა ხოლმე, და გაუმაძღარ ღორმუცელასავით რამდენი წიგნი „გადავსანსლე“ იმ საღამოებსა და ღამეებში...

და აი, სკოლაც დავამთავრე. ახლა ჩიტვიტ თავისუფალი ვარ! მენანებოდა მშობლიური ბუდიდან აფრენა, მაგრამ განა ერთ ადგილზე დააბამ ფრინველს? კიროვაბადის პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ჩავაბარე. ამ ქალაქში ხომ ჩემი დის სარიას ოჯახი ცხოვრობდა. დედამ სამგზავროდ გამომაწყო, მისმა დობილებმა — გიზბეს-ხალამ, მესმი-ხალამ, სოლთან-ხალამ — დამშვიდობებისას გადამკოცნეს. დედამ სადგურამდე გამაცილა. გზაში შემოგვხვდა ჩვეულებისამებრ ქრომის ჩექმებგაპრიალებული ჩვენი დაბის უბნის რწმუნებული ზიადინი, მასაც გაუბრწყინდა სახე, სამხედრო წესისამებრ ხელის ალებით დამემშვიდობა:

— გზა მშვიდობისა, გიამ! სიკეთე ნუ მოგიშალოს ალაჰმა!

ძია სალიმმა ღიმილით ჩამოჰკრა ვაგზლის ზარის თოკს და იმანაც გამოსცა თავისი ბოხი: „ბომ-ბომ...“ მატარებელი დაიძრა, ბაქანზე დარჩნენ ძია სალიმი რკინიგზელის მწვანე ალმით ხელში და დედაჩემი — სათაყვანებელი ნაბათ-ხალა.

— ნახვამდის, დედილო, არ იდარღო! — ვყვირი და ხელის ქნევით ვემშვიდობები.

II ნაწილი

ვერც კი შევნიშნე, როდის ვუთხარით ერთმანეთს პირველად „შენ“.

გიამმა სქელი წიგნი მომაწოდა და საიდუმლოდ მითხრა:

— შეასე გვერდზე გადაშალე!

გადავშალე და დავინახე შეტყობინება, რომელშიც ეწერა, რომ გიამი ინსტიტუტში ჩაერიცხათ.

— მომილოცნია! — რაც შეიძლება საზეიმოდ შევძახე. თუმცა ჩემს სიტყვებში სრულიადაც არ იგრძნობოდა საზეიმო განწყობილება, მაგრამ გულითადაც კი გულწრფელი და აღფრთოვანებული იყო.

— ეს კი ჩემგან საჩუქრად მიიღე სიბუჯითისა და წარმატებებისათვის. — ჩემი ავტომატური კალამი გულის ჯიბეში ჩაუღდე. ორივეს გაგვეცინა.

კვლავ ჩავიხედე ინსტიტუტში ჩარიცხვის თაობაზე გიამისათვის გამოგზავნილ შეტყობინებაში:

— ნახე, რა ლამაზი ხელწერა ჰქონია მიმღები კომისიის თავმჯდომარეს. თუმცა შენი გვარი აცაბაცა დაუწერიათ...

— იქ ერთი გოგოა კანცელარიაში, რომელიც შეტყობინებებს ავსებდა...

— ნაღდად მოეწონე იმ გოგოს და როცა შენს გვარს წერდა, ლელავდა, — მოულოდნელად შევაწყვეტინე სათქმელი.

— საქმე ხელწერა როდია, — მიპასუხა მან, — მთავარია აზრი: „პასანუაღო“ ზარდაბის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. სახელი, გვარი: ვიამ ალიმამედ-ოღლი. ფაკულტეტის დასახელება: ენა და ლიტერატურა. თქვენ 1949 წლის 1 სექტემბერს უნდა გამოცხადდეთ ინსტიტუტში...
თავმჯდომარე...

ვიამის თვალები სიზარულით უციმციმებდა, მაგრამ სრულიადაც არ გამოიყურებოდა ზეიმურად. კინკრიბოზე წამოდებული უცნაური ქუდი, ფეხებზე ჭრელი წინდები, პერანგზე დაკრებული ღილები სრულიადაც არ შეესაბამებოდა საზეიმო წუთს. ან, იქნებ, ვიამი იმ უცნაურ მეცნიერებს ჰგავდა, რომლებიც არაფრად აგდებენ თავიანთ გარეგნობას, თითქოს მართლაც მათზე იყოს ნათქვამი ცნობილი ანდაზა: მღვდელს ჭილობში იცნობენო. ამბობენ, ჩვენს ქალაქში ერთი ასეთი მეცნიერი ლექციაზე სხვადასხვა ფერის წინდით გამოცხადდაო.

ვიამი მეზობელ შამამასთან გაიქცა ახალი ამბის სახარებლად და იქ მას დიდხანს უღოსკავდნენ. სარია დეიდა მაღაზიიდან დაბრუნდა და ვიამი რომ დაინახა, ხელები გაასავსავა, გადაეხვია და ცრემლნარევი ხმით ჩაიდუღუნა:

— ჩემი უმცროსი ძამიკო!

მე კი გავიფიქრე: როგორ გაიხარებდა განსვენებული ალიმამედი, ასე გაზრდილი თავისი შვილები რომ ენახა-მეთქი. საღამოს სამუშაოდან დაბრუნდა ძია მამედი. მოიხსნა იარაღი, ხელ-პირი დაიბანა, მაგიდას მიუჯდა და ქებით ძირი გააგდებინა ვიამს: „ნაბათ-ხალას შეუძლია იამაყოს ასეთი შვილით! შრომისმოყვარეა! თაღლითობა არ უყვარს!“

ვიამი საღამოს მატარებელს გაჰყვა ფოილოში. ღამე სიზმარში ვნახე. მოღური კოსტუმი ეცვა. თმა აბურძგნილი აღარ ჰქონდა, ორთავ მხარეს კოხტად გადაეკარცხნა. ერთმანეთს შევეყურებდით და ვღუძდით. წინათ ჩემს წინაშე გაუბედავად იდგა ხოლმე, მორცხვობდა, ახლა პირიქით მოხდა. თვალბში მომჩერებოდა და იღიმებოდა. მის გამოხედვაში იყო რაღაც ისეთი, რაც წინათ არ შემიმჩნევია. მთელი ტანი მითრთოდა. უცბად მისი ხელი ჩემს თმას შეეხო და თითებით სავარცხელივით ჩამომვარცხნა. მას ნაზი ხელი ჰქონდა და გავიფიქრე: „ნეტავ მუდამ ასე მვარცხნიდეს.“ იგი ღრმად სუნთქავდა და მთელი არსებით მოწვევდა. შემდეგ... შემდეგ... მისი ხელი ჩემი კოფთის ღილებს შეეხო და ხელ-ხელა დაიწყო გახსნა. მე გავირინდე...

— ვიამ!

უმაღლ გამეღვიძა. ალბათ საკუთარმა ხმამ გამომადვიძა. წინათ შუადამისას არასოდეს გამღვიძებია. შიში და კიდევ რაღაც იდუმალი წინათგრძნობა დამეუფლა. შინ მეუღროება სუფევდა. მღუმარება ყრუ-მუნჯთა ლაპარაკს მაგონებდა. თითქოს კედლები ჩემკენ მოიწვედნენ. შეშინებულმა გავიფიქრე, ალბათ მიწისძვრაა და ნანგრევებში ჩავიმარხები-მეთქი. კედლებზე ჩამოკიდებული ფოტოსურათები ქანაობდნენ, თითქოს სული ჩაიდგეს. განძრევისა მეშინოდა, თვალბ და ვიხუჭე და ჩავიხურჩულე: „დაე, ყველაფერი გაირინდოს გარშემო!“ მერე თვალი გავახილე: არც ერთი კედელი აღარ მოძრაობდა, ნივთები და ფოტოსურათები სიბნელეში უძრავად იყვნენ. ლოგინიდან ავღექი.

ძია მამედის ოროთახიანი ბინა მეორე სართულზე იყო. ფეხაკრეფით, მეორე ოთახში მძინარე შინაურები რომ არ გამეღვიძებინა, აივნის კართან მივედი. ღია დამხვდა. აივანთან ჭადრის ფოთლები შრიალებდნენ, რომლებსაც ნაზი ნიავი ეფერებოდა. სინათლე ავანთე და საწოლის წინ ნოხზე გადაშლილი

სახელმძღვანელო დავდე. სარია დეიდა ოთახში შემოვიდა, სინათლემ თვალი მოსჭრა და მკითხა:

— რატომ არ გძინავს?

— ვმეცადინეობდი... სახელმძღვანელოს ვკითხულობდი, — ვანიშნე სწორ-
ლის წინ გადაშლილ წიგნზე.

სარია დეიდამ საათს შეხედა:

— ოჰ, უკვე ოთხი ყოფილა... მალე დაწევი და დაიძინე.

დილით სკოლაში დაფასთან გამიძახეს. გაკვეთილი არ ეიცოდი. პირველი ორიანი ამკიდეს. როცა ძია მამედმა ეს გაიგო, შეწუხდა:

— გაამისთვის მიგებაძა, კარგი იქნებოდა!

სარია დეიდა გამომექომაგა:

— მთელ ღამეს მეცადინეობდა, საკუთარი თვალით ვნახე. სკოლაში ის კაპარჩხანა ქალი შარზეა და მაგან რა ქნას... შარზეა...

— ეს არის ცრუ ჩვენება... შარზეა... რისთვის უნდა მოუდოს მასწავლებელმა მოწაფეს შარი?



ძია მამედი ახოვანი ვაჟკაცი იყო, მაღალი, შავგვრემანი, მტკიცე ნაბიჯით სიარული იცოდა. მის წარმოსადგე ტანს ძალზე უხდებოდა მილიციის ფორმა, ისე უხდებოდა, რომ იფიქრებდი, ამ ტანსაცმლით დაბადებულაო... სამხრეებიანი რუხი კიტელი, ყაწიმი, წაბლისფერი ფართო ქაშარი და ბუდიანი დამბაჩა მარჯვენა თუძოსთან. იგი რკინიგზის მილიციაში მსახურობდა, განყოფილების უფროსი იყო. მილიციაში მსახურობდა ომის დროიდან. ქალაქში მას ბევრი მეგობარი ჰყავდა, განსაკუთრებით რკინიგზელებს შორის: სადგურის უფროსი გინდა თუ ორთქლმავლის მემანქანე. როცა ძია მამედი სამუშაოზე წავიდოდა, სარია დეიდა აივანზე გამოდგებოდა და ხელს უქნევდა ხოლმე. ხოლო ძია მამედი სამუშაოზე წასვლისას სარიას ეტყოდა: „დღეს მძიმე დღე მომელის, იქნებ შუადამემდეგ შევეფერხდე...“ მე აივანზე გავიდოდი და ძველებური ჩვეულებისამებრ მის კვალზე ტოლჩით წყალს ვადავლვრიდი. ეს იმისთვის, რომ შინ ცოცხალი დაბრუნებულიყო. ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს...

ძია მამედი შინ სხვადასხვა დროს ბრუნდებოდა. ხშირად მართლაც შუადამისას მოვიდოდა, ზოგჯერ გამთენიისასაც. სარია დეიდა მუდამ თვალცრემლიანი საყვედურობდა დაგვიანებისათვის, მაგრამ ის თავს არასოდეს იმართლებდა, მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ასეთი სამუშაო მაქვს! შენ ცოლად უნდა გაჰყოლოდი არა მილიციონერს, არამედ — პენსიონერს.

ერთ საღამოს, ვახშმის შემდეგ, ძია მამედს ვესაუბრებოდი. მას აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა ჩვენს სკოლაში, რას ვსწავლობდით პროგრამის მიხედვით, განსაკუთრებით ისტორიასა და ლიტერატურაში.

— ამ საგნებში, — ასე თქვა მან ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ, — ყოველი ერის ცხოვრებაა ასახული. თავისუფალი დრო მეტი რომ მქონდეს, გულს დავიტკბობდი ამ საგნებში ზოგიერთი წიგნის წაკითხვით.

სარია დეიდას დიდი ხანია ეჭვი ეპარებოდა ძია მამედის ცოლ-ქმრულ ერთგულებაში. იგი განიცდიდა, ტიროდა, მაგრამ არ შეეძლო ან ვერ გადაეწყვიტა მასთან გაყრა, თავისი ეჭვიანი დარდი კი ოჯახიდან გარეთ არ გაჰქონდა. მე

ძია მამედმა მოკავშირედ მაქცია, ზოგჯერ მიაძობდა მილიციაში თავისი მძიმე სამსახურის შესახებ. ან იქნებ უნდოდა ჩემთვის თავი მოეჩვენებინა, აი რა კარგი ქმარი ვყავარ სარია დეიდასო.

ერთხელ მკითხა:

— შენი დობილი ფარუზა რატომ აღარ შემოვივლის ხოლმე?

— ბებია ჰყავს ავად. ევლახში გაემგზავრა მასთან.

— ევლახშიო? ვიცნობ მაგ ადგილს. ერთხელ იქ დამჭრეს, როცა ქურდების ბუნავს დავეციო... განყოფილების უფროსი ვარ, შვილო. იცი, რამდენი საზრუნავი მაწევს ქედზე, — დაირტყა ხელი კისერზე, — რომ გინდოდეს კიდევ ვერ დაითვლი. მხოლოდ საქმეში ჩაუხედავებისათვის წერენ ხოლმე გაზეთებში, რომ ყოველნაირი დანაშაული წარსულის გადმონაშთია და წლითიწლობით სულ უფრო მცირდება მისი რიცხვით. შენ კი გეტყვი, რომ ქურდები, მკვლელები და მძარცველები, ყომარბაზები და ყოველგვარი ნაძირალა თითოეულ მილიციონერზე მოდის ერთი ვაგონი და კიდევ პატარა ურემი. მაშინ სარია სამ დღეს მეძებდა, აბა როგორ უნდა შემეტყობინებინა, ევლახში რომ ვიყავი, იმათ, „რამკი ანებს“, შეტყობინება გაცილებით უკეთ აქვთ დაყენებული, ვიდრე ჩვენი ქალაქის ტელეგრაფში. არ იკითხავ, ვინ მესროლა? ვერასოდეს იფიქრებდი: მილიციის უფროსი ლეიტენანტის შვილმა, სტუდენტმა. მან მეგობრებთან ერთად გაძარცვა როსტოვიდან მიღებული კონტეინერი. მოდი და მიხვდი, რომ ის ბანდიტი და ნაძირალაა. როცა ინსტიტუტში გაიგეს, თავში ხელი შემოირტყეს: ეს შეუძლებელია, ჩვენთან კაი სახელი აქვს, აქტივისტია, საზოგადოებრივი მუშაკია, სანიმუშო ჭაბუკიაო. იმ ქურდბაცაცამ მამის დამბაჩა მესროლა. იარაღი მამას მოჰპარა და გასაძარცვად წავიდა. თავიც დაიღუპა და მამაც. ეჰ, შვილო, რისთვის ვიამბობ ყოველივე ამას? შენ ნუ იღარდებ, ამ არასრულყოფილ სამყაროში ვაგლახზე ნუ იფიქრებ. და როგორც ნაბათ-ხალა იტყვის ხოლმე, შენა ჭირიმე!

მეორე დღით, როცა ძია მამედი სამსახურში მიდიოდა, აივნიდან მის კვალს დიდი ტოლჩით წყალი გადავასხი.

არასოდეს ვერეოდი ძია მამედისა და სარია დეიდას შელაპარაკებაში. ორივე მიყვარდა, ისინი კი თავის მხრივ ფიქრობდნენ, რომ იმ ასაკამდე ჯერ კიდევ ბევრი მაკლდა, როცა შეეძლოთ ჩემთვის თავიანთი ინტიმური საქმეები გაენდოთ. მათ შორის გაირბინა ღალატის შავმა კატამ. ოჯახური მყუდროება დაირღვა, იგი მტკიცე აღარ იყო, საცაა დაინგრეოდა. ამას იყო ქმრის ფიცი. აზერბაიჯანელებს გვაქვს ანდაზა: ყრუ-მუნჯი ქალიც კი აყვირდება, როცა ქმარს წაჰკვრიანო. ჩემთვის ძვირფას ადამიანებს შორის უხილავი კედელი აღიმართა, როცა შინ ვიყავი, ისინი ცდილობდნენ ერთმანეთთან რაღაც პირობითი ენით ელაპარაკათ. საგნებს თავის სახელებს კი არ უწოდებდნენ, არამედ გადაკვრით, ჩართაულად ლაპარაკობდნენ. თითქოს რაღაცას ვთამაშობდით. მე ამ თამაშის უხმო მონაწილე და ამავე დროს მაყურებელიც ვიყავი. ეს კი დაიწყო იმ ავადმოსაგონარ დღეს, როცა ძია მამედი ღამის გასათევად შინ არ მოვიდა. მართალია, თანამშრომლის პირით სარია დეიდას შემოუთვალა, გადაუდებელი საქმე — როგორც იმ თანამშრომელმა თქვა — „განსაკუთრებული შემთხვევა“ — მაქვსო, რაც განყოფილების უფროსს ავადმდებულებდა დილაამდე სამსახურში დარჩენილიყო. დილით სარია დეიდა უნივერსიტეტში წავიდა. გასაყიდად გამოეტანათ ულაშახესი ფერის მარკიზეტი. სარია დეიდას ქსოვილის შესაძენი ფული დაჰკლებოდა. მაღაზია ვაგზლის მახლობლად იდგა. სარია დეიდას ჩეკი გამოეწერიებინა და რკინიგზის მილიციის განყოფილებაში მისულიყო, სადაც მისი

ქმარი უფროსობდა, რომ დასამატებელი ფული გამოერთმია. მაგრამ გაოგნებულმა მორიგემ უფროსის კაბინეტში არ შეუშვა.

— არ შეიძლება, ხანუმ! უფროსი დაკავებულია! ნაბრძანები მაქვს არავინ შევუშვა! — თან თავით ფეხამდე ცახცახებდა, თითქოს მის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალი მდგარიყოს.

ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე ტელეფონმა დარეკა. მორიგემ, ყურმოდრი აიღო, ამით ისარგებლა სარია დეიდამ და ძია მამედის კაბინეტში შეჭრის შესაძლებლობა სურათმა შეადრწუნა, შეურაცხყო, მთელ ქალაქში ყველაზე უბედურ ქალად აქცია იგი. ძია მამედი უქამროდ და უღამბაჩოდ, გაღეღილი კიტელით იჯდა დივანზე. მის გვერდით ძალზე ქარაფშუტულ პოზაში იჯდა ვიღაც ლამაზმანი, ფეხი ფეხზე შემოედო, თმაგაწეწილი პატარა სარკეში იყურებოდა და ტუნებს იღებავდა. სარია დეიდას სული შეუგუბდა, გაფითრდა, როგორც განთიადისას ლამის ვარსკვლავი, და მხოლოდ ამის თქმალა მოახერხა: „ოჰ, ღმერთო!“ — და თავქუდმოგლეჯილი გავარდა კაბინეტიდან. მორიგე მილიციონერმა თავში ხელი შემოირტყა.

ერთხელ სარია დეიდა სულის შფოთვისა და ბნელი ფიქრებისაგან დაიდალა და თავისი უბედურება შამამა-ხალას გაანდო. იმანაც, როგორც შეეძლო, დაამშვიდა, ბოლოს კი უთხრა:

— ერთი შენც, მიაფურთხე! ყველა კაცი ძალლია! მაგათი ბუნება ეგეთია!

ეს ძველ დროს რომ ყოფილიყო, სარია დეიდა უხმოდ და უსიტყვოდ ჩაიკლავდა დარდს გულში, ახლა კი ძია მამედი ცდილობდა მის წინაშე თავი ემართლებინა, ევედრებოდა, ყოველივე ცუდი დაივიწყო. მაგრამ როგორც არ უნდა გახიზო გაბზარული დოქი, წყალი მაინც გაჟონავს...

სალამოს ბაქოს მატარებლით ვიამი ჩამოვიდა. მხარზე გადაეკიდა დიდი ლამაზი ხურჯინი, ხელში კი უშველებელი ჩემოდანი ეჭირა. უსაზღვროდ გამაზარა მისმა ჩამოსვლამ, მაგრამ არ შევიმჩნიე. ისე მივესალმეთ ერთმანეთს, თითქოს მხოლოდ გუშინ დავშორდით. ვიამი სამზარეულოში გავიდა, მოეხვია სარიას და აკოცა.

— ოჰ, ჩვენი ნაბოლარა! აქლემი ხომ არა ხარ, ამდენ ბარგს რომ მოათრევ, — ატიკტიკდა იგი, როცა თვალი შეავლო ვიამის ხურჯინს და ჩემოდანს. — დედა როგორ არის?

— კარგად! ყველანი მოგიკითხათ!

— რა გაქვს ამ სკივრში? — სარია დეიდამ ჩემოდანზე ანიშნა.

— წიგნები, რვეულები...

— გახსენი და შენი წიგნები ფარეკის წიგნებთან დააწყე. ადგილი სამყოფია...

მაგრამ ვიამმა ხურჯინს მოხსნა პირი და სოფლიდან ჩამოტანილი ძღვენი ამოაწყო: ახალგამომცხვარი ნაზუქები, ცხრაფურცელა ქაღები, ერბოიანი კვერი, კვერცხები, ქათმის ლაბა, კამეჩის მაწონი ქილით, ორი თავი ცხერის ყველი, ახალშედღეებილი ქარვისფერი კარაქი. თითქოს ვიამის წინ იყო არა მოზრდილი ხურჯინი, არამედ მთელი სოფლის ბაზარი.

— ეს კი შენ და ფარეკს, — მოგვაწოდა თითო წყვილი შინ მოქსოვილი წინდა.

— ნამდვილ მეწვრილმანე ვაჭარსა ჰგავხარ, — ვუთხარი მე.

სარია დეიღამ გაიცინა:

— მთელი წლის სამყოფი სურსათი ჩამოგიტანია, ძმაოჯან, იქნებ გგონია, ჩემს დას მაცივარი დაუცარიელდაო?

ამ სიტყვებმა გიამი შეაცბუნა, თითქოს თავს იმართლებსო, ჩამოთვლა დაიწყო:

— კამეჩის მაწონი ფატმანისა-ხალამ — ჩვენმა მეზობელმა ჩამძღრო ხურჯინში, ქაღები გიზბეს-ხალამ ჩამიწყო და ორივე ლოყაზე მჭკიტკაქქინაზუქები სოლთან-ხალამ დააცხო. ისიც დედაჩემივით დამლაგებელია, მხოლოდ — სკოლაში. ცხვრის ყველი ბალი-ხალამ გამომიგზავნა. თვითონ ვერ მოახერხა გასაცილებლად მოსვლა და ყველი თავის ქალიშვილს გამოატანა. მან ხურჯინში ჩადო და მირჩია, ლავაშში გახვეული ჭამეო. დანარჩენი ყველაფერი დედაჩემმა გამოგიგზავნათ. თან დამაბარა, ყველანი დამიკოცნეო.

ამ სიტყვებთან ერთად გიამი მივიდა დასთან და აკოცა, მერე ჩემთან მოვიდა, ბაგეების მარცხენა კუთხეში მაკოცა. აღმური ამვარდა და გულში გავიფიქრე: „რა კარგია, რომ ნაბათ-ხალამ ასეთი დავალება მისცა შვილს“.

ეს იყო ბედნიერი საღამო. ვსაუბრობდით, ვვახშმობდით, ჩაის შევექცეოდით და სარია დეიღამ მხიარული ჩანდა. შუალამე გადასული იქნებოდა, როცა დასაძინებლად დაუწექით. სარია დეიღამ გიამს ლოგინი ჩემს ოთახში დაუგო. ჩვენს შორის იღვა სუფრაგადაფარებული განიერი მაგიდა, სუფრის ფოჩები თითქმის იატაკამდე სწვდებოდა. ვერც გიამი, ვერც მე ლოგინიდან ერთმანეთს ვერ ვხედავდით. წინათ ეს ოთახი ჩემი იყო. ახლა ჩვენი გახდა.

— და-ძმასავით დაიძინებთ აქა. ღამე მშვიდობისა! — კარებში მდგომმა სარია დეიღამ სინათლე ჩააქრო.

ფანჯრის მიღმა უკანასკნელმა ტრამვაიმ ჩაირახრა.

— კარგი სიზმრები გენახოს, გიამ, — ჩაეჩურჩულე მე, მაგრამ მან არაფერი არ მიპასუხა, რადგანაც უკვე ეძინა. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ... ნანასავით ჩამესმოდა საათის წიკწიკი, რომელიც წუთებს ითვლიდა. ბურანში ვიყავი, როცა შემოსასვლელი კარი გაიღო: სამსახურიდან ძია მამედი დაბრუნდა.



დილით, როცა გავიღვიძეთ, ძია მამედს უკვე ჩაეცვა მილიციის ფორმა, მხოლოდ ქუდი არ ეხურა. იგი გიამს მიესალმა, მოეხვია, გადაკოცნა და ვაჟკაცურად დაჰკრა მხარზე ხელი:

— ყოჩაღ! პედაგოგიურ ინსტიტუტში რომ არ შესულიყავი, ჩვენთან, მილიციაში სამუშაოდ მიგიღებდი. შენნაირი ბიჭები აი როგორ გვჭირდება, — და ხელი ყელში გამოისვა. — დასხედით, ისაუზმეთ, მე კი წავედი, მაგვიანდება! — ქუდი დაიხურა, წელში გამართული და რიზიანი გავიდა ოთახიდან. სამზარეულოში გავვდი, ტოლჩა წყლით ავაესე და აივანზე გავვარდი, რათა მის კვალზე გადამესხა წყალი. გიამმა ჩემს ტოლჩაზე შეაჩერა მზერა.

— გიამ, რა გოცნებული უყურებ ამ ტოლჩას? — დავინტერესდი მე.

— ძალიან ჰგავს ჩემს ტოლჩას, სოფელში რომ მქონდა... მუდამ ასხამ ხოლმე წყალს აივნიდან?

— მუდამ არა, მაგრამ საკმაოდ ხშირად, როცა ძია მამედი სამუშაოზე მიდის, რათა საღსაღამათი დაბრუნდეს!

— მაშასადამე ცრუმორწმუნე ყოფილხარ?

— მხოლოდ კეთილი ნიშნების მჯერა... რატომ იცინი?

გიაში შეყოყმანდა. მე კი დავიუიხე:

— მითხარი, მითხარი, რატომ იციანი?

— მეშინია, რომ შენც გაგეციხება.

— ძალიანაც კარგი, ერთად გავიციხებით. თქვი, რა...

— წყალს, რომელსაც შენ ასე დაუნანებლად ღვრი აივნიდან, მე ფოილში

რკინიგზის ბაქანზე ვყიდდი პაპანაქება ზაფხულში.

— როგორ თუ ყიდდი?

— მქონდა ვედრო და ასეთი ტოლია. ვედროს წყაროზე ვავსებდი, სადგურში მივდიოდი. მატარებელი ჩამოდგებოდა, მგზავრებს წყურვილით ხახა უშრებოდათ, ვაგონებიდან გამოცვივდებოდნენ და ჩემგან წყალს ყიდულობდნენ. ტოლიას აბაზად. მერე იმ ფულით პალტო და ფეხსაცმელი ვიყიდე. იმდენი ტოლია წყალი რომ გამეყიდა, რამდენიც შენ აივნიდან გადააქციე, ალბათ მილიონერი გავხდებოდი.

რატომღაც დაუნაღვლიანდი და აღარ ვიცინოდი, გიამსაც სიცილი სახეზე შეაცივდა.

— ამაში სასირცხვილო არაფერია, მე ხომ პატიოსანი გზით ვმოულობდი ფულს.

— იმათ, ვინც უპატიოსნო გზით მოულობს ფულს, ძია მამედი ებრძვის, — ვავიფიქრე ხმამაღლა.

და მუდამ, როცა ამ საუბრის შემდეგ გადავასხამდი ხოლმე აივნიდან წყალს, ხელს წამით შევაჩერებდი, სანამ ტოლიას გადავაბრუნებდი.



ძია მამედსა და სარია დეიდას თავი ისე ეჭირათ, თითქოს შერიგდნენ და მათ შორის სიტყბობამ დაისადგურა. ერთხელ ისინი სტუმრად წაყიდნენ, შინ მე და გიაში დავრჩით. ერთგვარი უხერხულობა ვიგრძენი. გიაშიც ჩემს გასართობად სიტყვებს ვეღარ პოულობდა, უცბად ერთმანეთს შევხვდეთ და გადავიხარხარეთ. უხერხულობა უმაღლ გაქრა.

— ფარეჰ, მოდი ქალაქში გავისეირნოთ, — შემომთავაზა გიამმა.

გიაშის სიტყვები თითქოს ჩემი გულიდან ამოფრინდა. მაგრამ უცბად ვავშტერდი: „რისთვის უნდა წაყიდეთ? რა უნდა გავაკეთოთ ქალაქში? უცაბუდად ძია მამედი და სარია დეიდა რომ დაბრუნდნენ?“ — გამიელვა თავში.

— რას იფიქრებენ მეზობლები, საღამოს ქუჩაში სასეირნოდ გასულებს რომ დაგვინახავენ? — წამოვროშე სულელივით.

— მაშინ რაღას იფიქრებენ, როცა შინ მარტო დავრჩებით? — თითქოს შემახსენა, რომ ჩვენ და-ძმა არ ვიყავით, გულწრფელი პირდაპირობით მომიგო გიამმა. — კარგი, შინიდან ჯერ მე გავალ, მერე შენ გამოდი.

— არა, თანახმა არა ვარ, ჯერ მე გავალ, მერე — შენ, — გავჯიუტდი.

— მზად ვარ შევასრულო ეს პირობა, მაგრამ მეშინია, რომ კარს ვერ დავკეტავ. ქალაქელებს იმდენი გასაღები გაქვთ, ვერც მიხვდები, რომელი გასაღები რომელ კლიტეს მოვარგო. სოფელში თითო გასაღებით ვკეტავთ კარს, ისიც მაშინ, როცა შინიდან დიდი ხნით გავდივართ.

ეს მე უდავო საბუთად ჩავთვალე და სახლიდან გიაშის შემდეგ გავედი.

ბაბუკის ქუჩაზე ტრამვაიმ ჩაიარა, არ მინდოდა ქუჩაში მეცადა, სანამ მეორე ტრამვაი გამოივლიდა. გზას ფეხით გავუდექით. გიაში მოდიოდა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. იმისთვის ყველაფერი უჩვეულო იყო: აივნიანი მა-

ღალი სახლებიც, მოწკრიალე ტრამვაიც, სწრაფი ავტომობილებიც, მოასფალტებული ტროტუარებიც, ძალაზიების რეკლამებიც, კინოსა და თეატრის აფიშებიც, მოფუსფუსე ფეხით მოსიარულენიც.

როცა სამრეწველო სასწავლებლის შენობას შეხედა, გაამმა შენიშნა:

— ამოდენა შენობაში თავისუფლად მოთავსდებოდა მთელი ჩვენი სოფელი.

ხოლო, როცა საფეიქრო კომბინატს ჩაუვარეთ, კარგად შექვსურსიამბოლოვით ვაცნობე — აქ ათი ათასი კაცი მუშაობს-მეთქი, რამაც ძალზე გააოცა იგი.

— ათი ათასი კაცი! არა უშავს რა! რამდენი ჩვენი სოფელი დასჭირდება, რომ ამ კომბინატის ყველა მუშა გამოკვებოს?

მასში გლეხი ალაპარაკდა. მას უნდოდა ჩემთვის მკლავი გამოედო, მაგრამ თითქოს ქალაქში გახვლის წინ ჩემი გაფრთხილება გაახსენდა და თავი შეიკავა. მერე ტირიფის ტოტი მოტეხა და მომაწოდა:

— ჩვენში ტირიფები მტკვრის პირას იზრდება. ადრე გაზაფხულზე იქ ბუღბუღები გალობენ ხოლმე.

— ესენი კი გადმორგულია?..

— იქნებ ჩვენი კუთხიდანაც? — ისე თქვა, თითქოს უნდოდა ქალაქის ტირიფებიც მისი მშობლიური კუთხიდან ყოფილიყო მოტანილი. — გაიხედე, როგორ ბრწყინავს მთაზე თოვლი. რა ჰქვია აგერ, იმ მთას? — გაიშვირა ხელი დათოვლილი მწვერვალებისაკენ.

— ჭეფაზი! ჭეფაზ-დაღი!

— ჩვენცა გვაქვს მთები, არც ისინია ამაზე ნაკლები... შეხე, შეხე, ტრამვაი ხალხით როგორ არის გაჭვდილი. ფიჩხივით ჩაჰკვრიან ერთმანეთს. — და როცა ქუჩაში დაინახა ქალი, რომელსაც თეთრი პუდელი თასმაზე გამობმული მიჰყავდა, ვაოცდა:

— შიშველკუდაა, მხოლოდ ბოლოში აქვს ფუნჯი!

— მოდურად გაუკრეჭიათ.

— ვინ გაკრიჭა?

— დალაქმა. არიან სპეციალური დალაქები, რომლებიც ძაღლებს კრეჭავენ.

— საოცრება თუ გინდა, ეს არის! ჩვენთან, პირიქით, ძაღლები ბანჯგვლიანები არიან. მხოლოდ ნაგაზებს, რომლებიც ცხვარს უვლიან, აჭრიან კუდსა და ყურებს.

— ყურებს რაღად აჭრიან? — ახლა უკვე ჩემი ვაოცების ჯერი დადგა.

— მგელმა რომ არ სტაცოს ყურში პირი.

უნდა ვაღიარო, რომ მეც იშვიათად დავდიოდი ქალაქში, რადგან სახლის მახლობელ სკოლაში ვსწავლობდი.

— ეს მსხვილი მავთული რაღაა, შუა ქუჩაში რომ გაუჭიმავთ? — მკითხა გაამმა.

— ტროლეიბუსის ხაზი გაიყვანეს, მალე ტრამვაის ნაცვლად ტროლეიბუსი იეღის. ის ნაკლებ ხმაურიანია. თანაც ტრამვაი ბავშვებისათვის ძალზე საშიშია.

— არ მესმის! — ვაოცებით შემომხედა გაამმა.

— ბიჭებს უყვართ ტრამვაის უკან დაკიდულებს სეირნობა. იცი, ამის გამო რამდენი უბედური შემთხვევა ხდება?

— ეს მე არ მეხება, — გაიცინა და დამამშვიდა გაამმა.

მდინარე განჯა-ჩაის ხილამდე მივადწიეთ. მაშასადამე კაი ორნახევარი კი-

ლომეტრი გამოგვივლია. ჩვენს წინ გამოჩნდა მდინარეზე აგებული ახალი რესტორანი. მისი ბურჯები მდინარეში იდგა. მოაჯირი აღმოსავლური ჩუქურთმით იყო შემკული. ღია აივნებს ანათებდნენ სხვადასხვა ფერის ნათურები. თვითონ რესტორანი თეთრი ქვით აეგოთ და რალაციით ქეფაზის მწვერვალს წააგავდა.

— ფარეჰ, ყური დაუგდე, როგორ ღუღუნებს მდინარე, რა ლამაზია აგურობა! — აღტაცებით ამოიოხრა გიამმა.

მია მამედის ნათქვამი გავიმეორე და პარტიის საქალაქო კომიტეტის მდიანის ხელმძღვანელი შევაქე:

— ყველანი ამბობდნენ, აბა, ეგ რა შემოქმედიაო, საქმით კი დაამტკიცა, რომ თავიანი, გემოვნებიანი კაცი ყოფილა.

მალე ჯაფარ ჯაფარლის სახელობის თეატრის შენობის წინ აღმოჩნდით.

— შენობა ძველი, მოუვლელი იყო, — კუზბნებოდი გიამს, თითქოს ჩემს აზრს ვადასტურებდი პარტიის ქალაქკომის ახალ მდივანზე. — ახლა კი ყურადღება მიაქციე ახალ ღია აივანს, რომელმაც თითქოს გააცოცხლა თეატრის გარე ხედი.

— ინსტიტუტში ჩემმა ამხანაგებმა თქვეს, — მითხრა მან, — რომ ჩვენს სტუდენტებს ამ თეატრის სცენაზე დაუდგამთ სამედ ჟურლუნის პიესა „ვაგიფი.“

— სკოლაში ერთმა რუსმა გოგომ, რომელიც მშობლებთან ერთად ახლახან გადმოსახლდა ჩვენს ქალაქში საცხოვრებლად, მკითხა: ფარეჰ, მართალია, რომ „ჟურლუნი“ აზერბაიჯანულად „შეყვარებულს“ ნიშნავსო? და როცა დაუდასტურე, მან თქვა, ყველა პოეტი შეყვარებულიაო. შენა, გიამ, არასოდეს დაგიწყერია ლექსები?

— გინდა გაიგო, შეყვარებული ხომ არა ვარ? — გამაწითლა გიამმა. — მართლ ლექსის მთხვეულები როდი არიან შეყვარებულები.

თეატრის გვერდით აღმართულიყო XII საუკუნის დიდი პოეტის ნიზამის ძეგლი.

— გამარჯობა, ნიზამი! — მოწიწებით მივესალმე „საიდუმლოებათა საგანძურის“ დიდ შემოქმედს, მერე კი მისი ლექსებიდან რამდენიმე სტრიქონი წავიკითხე:

ერთხელ მეფე ნუშირვანი ნადირობას შეჰყვა ველად,
ამალა თუ მარეკები მოიტოვა უკან ყველა.
მისიანებს ვერ მიაგნო, ცხენიც ფუჭად აჯირითა,
მარტოდმარტო დარჩა მეფე ერთადერთი ვაზირითა.¹

— იცი, ფარეჰ, — ექოსავით გამომეხმაურა გიამი, — ნიზამი აქედან სულ ახლოს, ძველ ქალაქ განჯაში დაიბადა. იგი ამაყი და თავისუფლების მოყვარე პოეტი იყო. მას შეეძლო რჩევა მიეცა მეფისათვის, მაგრამ არასოდეს ყოფილა პირმითნე. ერთხელ დარუბანდის მფლობელმა პოეტი ერთ-ერთი მისი პოემისათვის დააჯილდოვა, და თავისი პარამხანიდან ურჩი მონა ქალი აფაქი გაუგზავნა. ეს ქალწული პოეტის საყვარელი კი არა, ცოლი გახდა. მართალია, იგი ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახე უკვდავყოფილია პოემაში „ხოსროვი და შირინი“, — გიამმა ხელები ჩემკენ გამოიშვირა და დაიწყო ნიზამის ერთ-ერთი ღაზელის ლირიკული სტრიქონების კითხვა:

ჰე, მიწიერო ჩემო ჰურია, იმ ბედისწერამ დაგსაჯა განა, ის მარგალიტი ბაგემან შენმან მოგპარა განა და ზღვის სიღრმეში გადაუძახა. თან თქვა: „აიღეთ იგი, ვინც იქნებით მისი სადარი.“



მდინარე განჯა-ჩაი ქალაქს ისე ჰკვეთს შუაზე, როგორც ერმის ნახტომი ზეცას. კინოთეატრის აფიშასთან შევჩერდით. იგი გაგვიჩვენებს დიდ და ფაზზე, რომელიც ტოტებგაშლილი ჭადრის ქვეშ იდგა.

— იცი, ფარუჰ, რამდენი წლისაა ეს ჭადარი? — მოკრძალებით შეხედა გოლიათ ხეს გიამმა.

— ალბათ, ასიოდე წლისა იქნება.

— არა, გაცილებით მეტისაა. ვფიქრობ, რომ ამ ჭადარსა და მის პატივცემულ მეზობლებს ეხსომებათ პოეტი ნიზამი.

— ნუთუ შვიდასზე მეტი წლისანი იქნებიან? — გავეოცდი.

— არანაკლები. ჩვენს ტყეში არის ისეთი მძლავრი ბუმბერაზები, რომლებზეც ლეგენდები დადის.

— ამ ადგილს „ყვავთა ბაზარს“ უწოდებენ. შეხედე, ტოტებზე რამდენი ყვავის ბუდეა. თითქოს თავზეხელაღებული დელიბაშების მთელ ლაშქარს თავიანთი ფაფახებით დაუფარავს ხის ტოტები.

— იქნებ კინოში შევსულიყავით? — შემომთავაზა გიამმა, თან აფიშას ათვალიერებდა.

შევეცხუნდი. ძალიან მინდოდა გიამთან ერთად კინოში შესვლა. დარბაზში შევალთ, სინათლე ჩაქრება და ჩვენ, ყველასათვის უჩინარნი, ერთმანეთის გვერდით ვისხდებით. ის ჩემს ხელს თავისაში ჩაბლუჯავს, და ამ სიახლოვის გამო ვეღარც კი დავინახავ, თუ რა მოხდება ეკრანზე. ოჰ, როგორ მინდოდა გიამთან ერთად კინოში შესვლა! მაგრამ მისი წინადადება არ მივიღე:

— არა, შინ უნდა დავბრუნდეთ. შესაძლოა ძია მამედი და სარია დეიდა უკვე დაბრუნდნენ, ჩვენ კი შინ არ დავხვდებით. იქნებ იფიქრონ...

— არაფერსაც არ იფიქრებენ, — გამომეპასუხა გიამი. — დავბრუნდებით და ვიტყვით, რომ კინოში ვიყავით.

„რა უბრალოდ და გაბედულად აპირებს მოიქცეს!“ — შიშით გავიფიქრე. მთელი უბანი მდუმარედ გავიარეთ და ხიდზე შევჩერდით. ქვევით ბიჭები ჭყუმპალაობდნენ. ქარმა თმა ამიწეწა და მხრებზე ჩამომეშალა. გიამმა ნიკაპი ხელებზე ჩამოდო და მოაჯირს დაყრდნობილი მობანავეებს ჩაჰყურებდა. ჩვენი ჩრდილები წყალზე გაწვნენ, მაგრამ ისინი არ შეერთდნენ, ერთმანეთის შორიახლოს ლიცლიცებდნენ. მოშორებით კი ტალღებზე ირხეოდა გოგონასა და ჭაბუკის შეერთებული ჩრდილი, ჭაბუკს სატრფოსთვის მხარზე ხელი მოეხვია. მათ არავისი არ რცხვენოდათ და არც ვინმეს აქცევდნენ ყურადღებას. მომეჩვენა, რომ გიამი მხოლოდ ყასიდად უყურებდა მოჭყუმპალავე და მოყურყუმელავე ბიჭუნებს, სინამდვილეში კი თვალის მოუწვევტად უყურებდა ჩახუტებულთა ჩრდილს. გიჟივით მომინდა გიამს ჩემთვის მხარზე დაედო ხელი, მე კი გაფუსხლტებოდი, ის დაჟინებით კვლავ მომხვევდა ხელს და მეც აღარ გავუძალიანდებოდი. და ჩვენი ორი ჩრდილიც შეერთდებოდა. „ეჰ, რა ძნელია იყო ქალიშვილი, — გამიელვა თავში. — ნეტავ ვინ დააწესა, რომ ინიციატივა მხოლოდ ვაჟებს ეკუთვნის? თანაც ქალწულის წინააღმდეგობა განა მუდამ ჭეშმარიტად გამოხატავს მის გულისთქმას! მაგრამ ვითომ გიამი მიხვდება ამას?“

ერთმა ბიჭუნამ წყალში ჩაყვინთა და დიდხანს აღარ გამოჩნდა. მეც იმ ბი-

ჭივით ჩავიძირე ჩემს ფიქრებში, მერე კი თითქოს გონს მოვეკე, ღრმად ამოვიოხრე.

— ნუ გეშინია, წყალი ღრმა არ არის! — მანუგეშა გიამმა, ეტყობა, იფიქრა, იმ მყვინთავი ბიჭის ბედი ძალელებდა. — აგერ, ამოყვინთა კიდეც.

— გიამ, ცურვა იცი? — ვკითხე საკუთარი ნაღვლიანი ფიქრების შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა.

— რა თქა უნდა, ვიცი! მტკვრის პირას გაზრდილმა რომელმაც უნდა იცის ცურვა?

შინისკენ მივდიოდით. უცბად გიამმა მკითხა:

— ფარუკ, რატომ შენს მშობლებთან ერთად არ ცხოვრობ?

ეს კითხვა ჩემთვის მოულოდნელი იყო. გული შემიხუთა შიშისმაგვარმა გრძნობამ. შემედლო სიტყვა ბანზე ამეგდო, მაგრამ რა საჭირო იყო? ვგრძნობდა, რომ გიამის დაინტერესება ნაკარნახევი იყო არა უბრალო ცნობისმოყვარეობით, მაგრამ, თუმცა ხასიათი წამიხდა იმ კაცივით, რომელმაც მინარეთიდან ჭაში მოადინა ზღართანი, მაინც ეუბასუხე:

— მამაჩემი ბაქოში ცხოვრობს. რადიოსახელოსნოში მუშაობს. ძია მამედი და მამაჩემი სეიდი ობლები იყვნენ და ბაქოში იზრდებოდნენ, „შავი ქალაქის“ საბავშვო სახლში. იქ გულშემატკივარი და მგრძნობიარე ქალი, რომელსაც ანაჯანი ერქვა, როგორც შეეძლო, დედობას უწევდა მათ. ობლები დაიზარდნენ. ძია მამედი მილიციის სკოლაში შევიდა, მამაჩემი კი რადიოს ხელოსანი გახდა. ძია მამედი მამაჩემს ძმას ეძახის. მეც ძია მამედი მამასავით მიყვარს. ერთხელ, როცა ექვსი წლისა ვიყავი, ძია მამედი მოვიდა ჩვენთან და მითხრა: „შვილო, წამოდი ჩემთან. გვესტუმრე. სარია დეიდა მოგივლის.“ მას მერე აქა ვარ. შევეჩვიე. ძია მამედსა და სარია დეიდას შვილები არა ჰყავთ და მენახება მათი მარტო დატოვება. ათწლეულს დავამთავრებ და ბაქოში დავბრუნდები, შევეცდები ინსტიტუტში მოვეწყო.

გიამი ყურადღებით მისმენდა და როცა მოვათავე ბელურის ნისკარტივით მოკლე ჩემი უინტერესო, ყოველგვარ ცხოვრებისეულ წვრილმანებს მოკლებული ამბის თხრობა, გიამმა ანაზღად წამოროშა:

— დედაჩემმა მიააბო, ალბათ, იმანაც ვინმესგან შეიტყო, მამედი და სეიდი ნამდვილი ძმებივით ერთმანეთის ერთგულნი იყვნენო...

ტანში სიცივემ დამიარა, ყელი გამიშრა. „ნუთუ გიამმა იცის ჩემი ცხოვრების საიდუმლოება?“

— ერთხელ, როცა ექვსი წლისა ვიყავი, — იძულებული გავხდი ყველაფერი მეთქვა, — ძია მამედი ბაქოში ჩამოვიდა, ხელში ამიყვანა და ალერსით მითხრა: „შვილო, წამოდი ჩემთან. გვესტუმრე. სარია დეიდას გაუხარდება, ისე მოგივლის!“ დედა რატომღაც სამზარეულოში გავიდა და მომეჩვენა, რომ ხელები სახეზე აიფარა და ატირდა. მამა კი მამხნევებდა და რაღაცნაირი ხელოვნური დიმილით მეუბნებოდა: „გაჰყევი, ფარუკ! მე და დედა ერთი თვით ლენინგრადში უნდა გავფრინდეთ, დავბრუნდებით და — შენც ჩამოხვალ.“ მაგრამ მე ბაქოში აღარ დავბრუნებულვარ. პატარა ბაუშვებს ძალე ავიწყდებათ დარდი. შევეჩვიე სარია დეიდასა და ძია მამედს, რომლებიც ჩემთვის სულს არ იშურებდნენ და როგორც შეეძლოთ, მანებივრებდნენ. მერე კი, როცა სკოლაში დავიწყე სიარული, სარია დეიდას წინდაუხედაობის გამო უნებლიეთ მოვისმინე შამამა-ხალასთან მისი საუბარი. შამამა-ხალა თანაგრძნობით უბტკიცებდა, ძია მამედის ოჯახური საიდუმლოება თეთრი ძაფით დაბლანდულსა ჰგავსო.

„ფარეჰი ალი-კვალი მამედია. ან თავის შვილს ვინ მისცემს ძმობილს, ძმა-საც კი არ მისცემენ.“

და სარია დედაც, თითქოს გამოძიებაზე ყოფილიყო, გამოტყდა:
„ღმერთია მოწმე, მართალი ხარ.“

იმ დღეს გავიგე, რომ ძია მამედის შვილი ყოფილვარ. ოდესღაც ერთი ქალი ჰყვარებია, რომელიც ჩემი დედა გახდა. ის აზერბაიჯანულად ფრა ყოფილა. მალე ის ქალი, ჩემი ნამდვილი დედა გარდაცვლილა, ძმა მამედის შვილი თავისი მეგობრის სეიდის ოჯახში მიმიყვანა. მერე კი, როცა სარია შეირთო, აქ ჩამომიყვანა, კიროვაბადში. ის მე შვილს შეძახის, მე კი მაინც ვერ ვეძახი მამას, სულ ძია მამედს ვუწოდებ. აი ყველაფერი. რას ვიზამთ, მშობლებს როდი ირჩევენ...

შინიდან მხიარული და უღარდელი გამოვედი, უკან კი ნაღვლიანი და დაფიქრებული ვბრუნდებოდი. გიამი უმამოდ გაიზარდა, მე კი არ მახსოვდა ჩემი მშობელი დედა. განა რა დავაშავეთ ასეთი?

თითქოს ცხელი წყალი გადმომასხეს. ჩვენმა კლასელმა გოგომ, ფაზუმ, რომელიც ჩვენს სახლში ცხოვრობს, ნაძალადევი თანაგრძნობით მითხრა დღეს. თითქოს სამძიმარს მეუბნებოდა:

— როგორ ვწუხვარ, ფარეჰ, გიამს ჩავარდნილი მკერდი აქვს. თავდაპირველად ისეთი მოხდენილი მომეჩვენა... გუშინ კი უკეთ დავაკვირდი და, თურმე ფიზიკური ზადი ჰქონია.

— შენ თვითონა გაქვს მკერდი ჩავარდნილი, — გავწიწმატდი მე. — თვალები კარგად გაახილე, ზადიანო!

მაგრამ გულში ეჭვი შემეპარა. იქნებ გიამს თვითონ ისეთი თვალით ვუყურებ, რომელიც ვერავითარ ნაკლს ვერ ამჩნევს? როცა გიამი ინსტიტუტიდან დაბრუნდა, დაკვირვებით დავაცქერდი, როგორც საექიმო შემოწმებისას, მაგრამ ვერავითარი მკერდის ჩავარდნა, ვერავითარი დაბრეცილი მხრები ვერ აღმოვუჩინე. „რა ყბედი, ლაქლაქა ყოფილა ეს ფაზუ, თანაც თავი ჩემს ღობილად მოაქვს,“ — გაუბრაზდი.

გავიდა რამდენიმე დღე და ისე მოხდა, რომ ფიზკულტურა გაგვიცდა და გაკვეთილებიდან ადრე გამოგვიშვეს. შინ დავბრუნდი და გიამი ვასადილე. მარკოსტუმში ჩაიცვა და ინსტიტუტისაკენ გასწია. აივნისგან გავყურებდი. უცბად გული შემიტოკდა: მეც მომეჩვენა, რომ გიამს სწორი მხრები არა აქვს და წელში ოდნავ მოხრილია. ამ დროს კარზე დარეკეს. კარი გავაღე. შამამა-ხალაიყო, წითელი წიწაკის სათხოვნელად მოსულიყო. თავი ველარ შევიკავე და ცრემლმორეულმა ვუამბე, ჩვენი გიამი რატომღაც სნეულივით წელში მოხრილი დადის-მეთქი.

— მეც შევნიშნე ეგა, — მითხრა შამამა-ხალამ. — ბავშვობისას, ალბათ, ობოლ ბავშვს დროზე ვერ მიაქციეს ყურადღება და წელში მოხრილი სიარული დასჩემდა. დიდი უბედურება არ არის, შიგნით იყოს ჯანსაღი. ალაჰი იყოს მაგისი შემწე, სწავლა დაამთავრებინოს.

შამამა-ხალამ წიწაკა წაიღო და წავიდა, მე კი ტაბურეტზე დავჯექი და ცრემლები წამსკდა. გულზე დარდი შემომაწვა. საღამოს, ძილის წინ, საუბრისას, გიამს წყნარად და ნაღვლიანად ვუამბე ერთი ბიჭის მოგონილი ამბავი, რომელიც თითქოს ჩვენს სკოლაში სწავლობდა. ყველას ეცოდება, რადგან მკერდი ჩავარდნილი, ხოლო ცალი მხარი დაწეული აქვს-მეთქი, და ჩემს მიერვე შე-

თხზული ჭორის დასადასტურებლად უცილობელი ფაქტი მოვიშველიე: „ფიზიკულურიდანაც კი გაანთავისუფლეს. შემდეგ, — თანაგრძნობით გავიხსენე, — მშობლებმა ბაქოში წაიყვანეს და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში კარგ სპეციალისტს უჩვენეს. გამოცდილმა ექიმმა დაჟინებით ურჩია პაციენტს — ტარ ვარიშსა და ცურვას მოჰკიდე ხელი, თუ ჩემს რჩევას შეასრულებ, წელში გაიმართები და მხრებიც გაგისწორდებაო...“

ეროვნული

ლაპარაკი ვიამის ხარხარმა შემაწყვეტინა. იგი მთელი სულით დაგვიმხიქმინდა ველურივით ხარხარებდა: „ხა-ხა-ხა!“ — სრულიადაც არ იკაუებდა თავს, ხოლო შემდეგ, როცა დაშოშმინდა, მადლობა გადამიხადა:

— ვხედავ, ფარეჰ, რომ ნამდვილად გაწუხებს ჩემი ჯანმრთელობა. მაგრამ რომ აღარ შეწუხდე, ერთ საიდუმლოს გაგანდობ.

ყოველ ადამიანს, რომელსაც საცაა სხვისი „საიდუმლო“ უნდა გაანდონ, ანაზღად სუნთქვა შეეკვრება ხოლმე.

— შეგიძლია გამანდო ყველაზე საშინელი რამ, არავის არაფერს არ ვეტყვა... — წარმოვთქვი ჩურჩულით, აღთქმითა და გაფაციცებით.

თითქოს მომენტის ტრაგიკულობის გასაძლიერებლად ვიამმაც ჩურჩულით მითხრა:

— გახსოვს, ძია მამედი და მე თერძთან რომ ვიყავით? ძია მამედმა გაზეთში გაახვია თავისი ძველი ფორმის კიტელი, წითელყაითნიანი შარვალი და გადასაკეთებლად ოსტატთან წავედით. როცა მასთან შევედით, მას მხარზე გველივით ჩამოგრძელებოდა მუშაობის მეტრიანი, კბილებში თეთრად მოუჩანდა ცარცის ნატეხი, ქამარში ვეებერთელა მაკრატელი გაერჭო.

დერციკმა გვკითხა: „თქვენ რა, მილიციის ფორმისაგან სამოქალაქო კოსტიუმში განდათ შეიკეროთ?“ გამიზომა სიგრძე, მხრებისა და საქამრის სიგანე. ეტყობა, ის ქალაქის საუკეთესო თერძად არ ითვლებოდა. ერთ ასეთ თერძზე ჰყვებიან: კლიენტს უთხოვია, შარვალი შემიკერეო. შარვალი მოკლე გამოსულა. შეწუხებულ კლიენტს საყვედური უთქვამს თერძის აზრით ამ უმნიშვნელო ნაკლის გამო, თერძს თავი ასე უმართლებია: შარვალი კი არ არის მოკლე, თქვენ გაქვთ ვრძელი ფეხებიო. ასე, რომ ძვირფასო, მომხიბლავო ფარეჰ, ჩვენც ასეთ თერძთან მოვხვდით. ღმერთს ვუმაღლი, რომ კუზიც არ გამიჩინა, ხოლო წითელი ყაითანი მარტო შარვლის ცალ ტოტს კი არა, ორივეს მოარღვია.

მხრებიდან ტვირთი მომეხსნა და გულიანად ვიციხე.

ვიამი მთელ თავის სტიპენდიას სარია დეიდას აძლევდა და მალე ახალი პიჯაკი უყიდვს, რომელშიც იგი მოდების ჟურნალის გარეკანზე გამოხატულ მოხდენილ კონტაპრუწაზე ურიგოდ როდი გამოიყურებოდა. როცა ფაზუმ ვიამი ახალ პიჯაკში დაინახა, ძალზე გაოცდა. „მეგონა, გარდასახვა მხოლოდ ზღაპრებში ხდება-მეთქი,“ — ძლივს ამოღერდა.

ჩემსა და ვიამის ოთახში მდგარი მაგიდა ერთდროულად სასადილოც იყო, საუთოებელიც და საწერიც. ყველაფერს თავისი დრო ჰქონდა. ზოგჯერ გაკვეთილებს გვიანობამდე ვსწავლობდით. სარია დეიდა ალტაცებული იყო ჩვენი სიბუჯითითა და შრომისმოყვარეობით. თუ ვიამი შინ არ იყო, ვეღარც ვსადილობდი და მეცადინეობასაც ვერ ვუღებდი გულს. მუდამ მას ველოდებოდი. თითქოს გვკიცხავსო იმისათვის, რომ საათობით ვუსხედით წიგნებსა და რვეულებს, ერთხელ სარია დეიდამ ძია მამედს ჰკითხა:

— გინახავს, რომ ადამიანი მთელ საღამოს საწერ მაგიდას ვერ მოსცილებოდა?

— მე ზოგჯერ საწერ მაგიდასთან ვკითხულობ შემთხვევების შესახებ და წერილ ოქმებს...

— ვიცით შენი ოქმების ამბავი!.. — უცბად წამოისროლა სარია/დეიდა.

მაგრამ ჩვენ მხოლოდ კი არ ვმეცადინებოდით, არამედ ერთმანეთს წერილებსაც ვწერდით. ახლა, როცა ამას ვიხსენებ, ვერ მივხვდარე ერთგორ მონაწილეობდა ვიამი ამგვარ გართობა-თამაშში. მე სკოლის მოწაფე ვიყავი. იქ ბარათებს მოწაფეები მეათე კლასამდე წერენ. ასეთი წესია, მაგრამ ვიამი ხომ უკვე სტუდენტი იყო. სარია დეიდა კერაუდა, ქსოვდა ან სამზარეულოში ფუსფუსებდა, ჩვენ კი ბინის სიმყუდროვეში ერთ მაგიდას ვუსხედით და ერთმანეთს წერილებს ვწერდით. თითქოს ჩვენი ხელები ფოსტალიონები ყოფილიყვნენ, ხოლო მაგიდა — დედამიწის სივრცე, რომელზედაც ორივე მხარეს მიმოქროდნენ ბარათები. ეს ბარათები ერთ რუულში იწერებოდა და ოგი ჩემგან ვიამისაკენ მიცურავდა, ხოლო ვიამისაგან — ჩემკენ. აღარ მახსოვს, რომელმა ჩვენგანმა მოიგონა კავშირგაბმულობის ეს ხერხი. ყოველ შემთხვევაში, პრეტენზიას არც ერთი არ ვაცხადებდით გამოგონების პრიორიტეტზე. ერთი რამ არის ცნობილი: ჩვენი მიწერ-მოწერა შინაურებისა და მთელი სამყაროსათვის საიდუმლოდ რჩებოდა.

ვიამის ბარათები

„ფარეჰ, გუშინ ერთ ჩემ თანაკურსულ გოგონას ფურცელი დაუუნახე ხელში, სადაც ასეთი სტრიქონები ამოვიკითხე:

წუთისოფელი ჭრელი ყოფილა,
სხვებს ანებივრებს, ჩვენ გვიკლავს გულებს,
ზოგისთვის მოაქვს სევდა-ნაღველი,
ზოგს დააბერტყავს სიხარულს უღვეს.

რას იტყვი ამაზე?“

კასუსი

„ვიცნობ ამ სტრიქონებს. მათი ავტორის ბედი ვაცხადებულობა მეოთხე სტრიქონში, ადამიანებმა რომ არ იცოდნენ, თუ რა არის ცრემლი, ისინი ვერ დააფასებდნენ სიხარულს. ყველაფერი შედარებით შეიცნობა. ძველ დროს როცა ქალიშვილებს ათხოვებდნენ, არ ეკითხებოდნენ, უყვარდათ თუ არა ის, ვისაც ატანდნენ. ამიტომ, მგონია, რომ ძველ დროში ქალიშვილებმა უფრო მეტი ცრემლი დაღვარეს.“

ვიამის წერილი

„ამაში დარწმუნებული არა ვარ. ყოველ დროს აქვს თავისი სიმღერები, თავისი სიხარული და ცრემლი. ყველაზე მწარე ცრემლია ის ცრემლი, რომელსაც ვერაჟინ ხედავს. ამ დღეებში ერთი თქვენი კიროვაბადელი ბიჭი ცინიკურად იკვებნიდა: „რაც შემეხება მე, ლექსები არ მიყვარს. ოპერა, ლექსები — ყოველივე ეს წარსულის ატრიბუტია. ახლა პრაგმატიზმის დროა. თვითონ მე, მაგა-

ლითად, ქალწულთა გულები უბით დამაქვს. ოხვრა-ტანჯვა ჩემი საქმე არ არის მე, როგორც იულიუს კეისარი ამბობდა: მივედი, ენახე, გავიმარჯვე!“ ნუ გაცვირდება და, ამ ჭაბუკს ბევრი ისე უყურებს, როგორც გმირს. მე კი, ფარეკ, შენი სახელი დამაქვს...”

და დახატა ისრით განგმირული გული.

წავიკითხე და შემეშინდა. ახლა სარია დეიდას საკერავი ფიჭოვანი ხეების ქვეშ ჩვენს ოთახში შემოეხედა და ეს სურათი დაენახა?..



ქალწულთა
გული

კასუსი

ავდექი და მოკლე-მოკლე ხაზებით წავშალე ისარი, რომლითაც გული იყო განგმირული. გვერდით დავხატე ხელი სამედიცინო ემბლემით. ხელს ეკავა ისარი. ხელის გასწვრივ დავწერე სიტყვა: „დრო.“ ამით მინდოდა მეთქვა, რომ დრო კურნავს ყოველგვარ ჭრილობას და გვკურნავს უგუნჯრობისაგან.

გიაშის წერილი

„ფარეკ, დროს შეუძლია დაშალოს მთა, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული მას არ ემორჩილება. გავა დრო და თვითონ დარწმუნდება. გიაში...“

მისმა ხელმა მომიცურა რვეული. წავიკითხე, ნახი ღიმილით შევხედე გიაშს და არაფერი არ დავწერე, ისე დაკუბრუნე რვეული „უკუფოსტით“...

გიაშის წერილი

„ერთ სამეფოში, ერთ სახელმწიფოში, რომელსაც ჰქვია სიცოცხლე, განნდა ძია მამედის სახლი. ამ სახლში იგი ცხოვრობდა თავის მეუღლესთან — სარიასთან ერთად. სარიას ჰყავდა ძმა — გიაში, რომელსაც ზოგჯერ ზურგს უკან თბოლსაც ეძახდნენ. ძია მამედს ჰყავდა... ჰყავდა... ქალიშვილი, რომელსაც ფარეკი ერქვა. გიაში ინსტიტუტში სწავლობდა, ფარეკი — სკოლაში. და ძია მამედის სახლში გიაშსა და ფარეკს სხვებისგან საიდუმლოდ ერთმანეთი შეუყვარდათ. თუმცა, გიაშს დანამდვილებით არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ მათ შეუყვარდათ ერთმანეთი. მას მხოლოდ საკუთარ თავზე შეუძლია განაცხადოს, რომ შეუყვარდა ფარეკი, ხოლო შეუყვარდა თუ არა ფარეკს იგი, ამის თქმა არ შეუძლია. დაე, ამის შესახებ თვით ფარეკმა თქვას...“

ფოსტალიონის ხელმა მომიცურა რვეული. სახეზე აღმური ამდიოდა. გიაში ელოდა რას დავწერდი. მე კი არაფერს არ ვწერდი. ვიჯექი და ვფიქრობდი: ნეტავი, გიაშიც მეჯნუნივით გაიტყრება უდაბნოში, თუ სიყვარულითვე არ ვუპასუხებ? ან იქნებ იმედგაცრელებულ შეიხ სანანივით დორების მწყემსვა დაიწყოს? ვაითუ ფარქადივით წერაქვით გაიგმიროს მკერდი? ოჰ, დარწმუნებული რომ ვიყო, ჩემი რვეული არავის არ ჩაუვარდება ხელში, ყველა შეყვარებულის გრძელ ნუსხას შევადგენდი და ჩემს უცნობ სახელსაც უთუოდ მივაწერდი. აბა, რა უნდა ვუპასუხო გიაშს? არა, ნამდვილად უფრო ძნელია იყო ქალწული, ვიდრე ჭაბუკი. იქნებ როდისმე ისეთი დროც დადგეს, როცა ვაჟები კი არ აირჩევენ საცოლეებს, არამედ ქალები აირჩევენ საქმროებს. აბა, რა უნდა ვუთხრა გიაშს?

— გიამ! — გაისმა სამზარეულოდან სარია დეიდას ხმა, — მომეხმარე, გენაცვალე, ფარდა ჩამოგვიდოთ.

ჩვენი წერილებიანი რვეული პორტფელში დაუძალე. ჩემს სულს თითქოს ჩამოფარებული ჰქონდა ფარდა, და გიამს არ შეეძლო დაენახა, თუ რა ხდებოდა და იძალეობდა ჩემს აფორიაქებულ სულში.

წერილები

სკოლიდან დაბრუნებული კიბეზე, ჩვენი ბინის ყურთამდე გაღებულ კართან, შევეჩვიე შამამა-ხალას.

— რა მოხდა, შამამა-ხალა? — ვკითხე შეშინებულმა.

— ისეთი არაფერი! თქვენი ძველი მაგიდა გასაყიდად წაიღეს. ძია მამედმა ახალი გიყიდათ. მოდური, არ ვიცე, ჩეხურია თუ რუმინული, ძველმა კი თავისი ყავლი მოათავა.

ჩვენს ოთახში შევედი. იგი ახლა უფრო ზალვათი, ფართო, მაგრამ რალაცნაირად დაცარიელებული ჩანდა. ძალიან დამენანა ჩვენი ძველი, კარგი მაგიდა, რომელზედაც მე და გიამი გაკვეთილებს ვამზადებდით და ერთმანეთს წერილებს ვწერდით. არა, ის უსულო საგანი კი არა, გასულიერებული არსება იყო და მე და გიამი მას შევეჩვიეთ. „მოგვიტევე, მეგობარო მაგიდავ, — მიხლოდა მეთქვა, — ჩვენი ბრალი არ არის, რომ ასე სასტიკად მოგექცნენ. სულ ერთია, არ დაგივიწყებთ.“ მერეც გულგრილად ვერ ველეოდი ხოლმე იმ ნივთებსა და საგნებს, რომლებიც მაკავშირებდნენ სახლთან, მეგობრებთან, ქალაქთან.

შამამა-ხალამ კი, თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, ჩემს დასამშვიდებლად თქვა:

— მაგიდა ძველია თუ ახალი — დიდი განსხვავება არ არის. მთავარია, ბავშვებს ჰქონდეთ სამეცადინოდ წიგნებისა და რვეულების გასაშლელი ადგილი. მუდამ ვნახობდი, რომ აღრე გავთხოვდი. ათწლეუდი დავამთავრე და პირდაპირ მძაჩის ბიუროში წავედი. მას მერე ქმრიანი ქალი ვარ. არა ვსწავლობდი, სულელი, შემეძლო კი ახლა სამსახურში პორტფელით ხელში მევლო, სხვებზე ნაკლები არ ვყოფილიყავი. ისწავლე, ფარეჰ, სწავლა დამოუკიდებლობას ანიჭებს, განსაკუთრებით ქალებს. შამამა-ხალა ცუდს არაფერს გირჩევს.

შამამა-ხალა თავს გონებადამჯდარ დედაკაცად თვლიდა და უყვარდა ხალხისთვის მიუცა ცხოვრებისეული რჩევა-დარიგება. ძია მამედმა ერთხელ მის შესახებ თქვა: „ქვედატანიანი ვეზირიაო.“ მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ შამამა-ხალა გულისხმიერი ადამიანი იყო და როგორც მშვიდობიანი და შეთანხმებული ცხოვრების მომხრეს, ყველაზე მეტად უყვარდა ცოლ-ქმრის შერიგება. და თუ ძია მამედი და სარია დეიდა აქამდე არ გაიყარნენ, ეს შამამა-ხალას დიდი დამსახურება იყო. ხდებოდა ხოლმე, რომ ძია მამედის დავვიანების გამო განრისხებული სარია დეიდა გადაწყვეტდა მშვიერი დაეტოვებინა იგი და მისი საცვლები სამრეცხაოში აღარ წაეღო. ეშმაკს იქითაც გზა ჰქონიაო, — ეტყოდა გულმოსული შამამა-ხალას. იმას კი, პირიქით, მიაჩნდა, რომ ასეთი გაჯიქება ძია მამედის მიმართ მხოლოდ წაახდენდა საქმეს. „თავა ისე დაიჭირე, ვითომც არაფერი მომხდარა. მოვა — სუფრა გაშლილი დახედება, პერანგი გაუთოებული, ოჯახში მშვიდობა და სიმშვიდე დაისადგურებს. მაშინ ის შარის მოსადებს ველარაფერს იპოვის, რომ ჩხუბი ატეხოს და სახლიდან გავარდეს. საერთო შეილება არა გყავთ, წაიყვანს ფარეჰს და უყარე მერე კაკალი.“

ასეთი რჩევა-შეგონება დადებით ვავლენას ახდენდა სარია დეიდაზე. შამამა-ხალას დარიგება უქმად არ იკარგებოდა, კეთილსასურველ შედეგებს იძლეოდა.

ჩამოსვლის თაობაზე ნაბათ-ხალას არაფერი შეუტყობინებია, მოულოდნელად გვესტუმრა. ამიტომაც მატარებელს არავინ დახვდა. ვაგზალში მან მორჩილ მილიციონერს სთხოვა, მილიციის უფროს მამედთან მიმიყვანო.

სერჟანტმა მხედრული სალაში მისცა, წითელი ბაწრით მოქარვეული ხურჯინი მოიკიდა და განყოფილებაში კი არა, პირდაპირ შინ მოიყვანა.

— ეგ როგორ დაგეძაროთა, ნაბათ, გენაცვალე, დეპეშით რომ არ გვაცნობე. დაგხედებოდიო.

— ეს რიდას მაქნისია? — მიუთითა მილიციონერზე, რომელმაც მოიყვანა.

მან გადაკოცნა სარია დეიდა, მერე გიამი.

— ეს მე გკოცნი, შვილო, ესეც, — მეორედ აკოცა და გამოაცხადა, — ფატმანისა-ხალას მაგიერ, ეს კი, — შესამედ აკოცა, — გიზბუს-ხალას მაგიერ, ეს — მესმა-ხალას, სოლთან-ხალას, ბალი-ხალას მაგიერ, შენი კვნესამე.

გიამი მორჩილად უშვერდა ლოყას. ნაბათ-ხალას თვალებში ცრემლი უბრწყინავდა, თუმცა ნაღვლიანი თვალები არ ჰქონდა. დაბოლოს, ნაბათ-ხალამ მეც დამინახა, გადამეხვია და ორივე ლოყა დამიკოცნა.

— მე წავედი! — სარია დეიდას დაემშვიდობა მილიციონერი.

— სად მიდიხარ? მოითმინე ცოტა! — მივარდა ხურჯინს ნაბათ-ხალა. თავი მოხსნა, რამდენიმე ნამცხვარი ამოიღო და მილიციონერს მიაწოდა: — აიღე, აიღე, თორემ მეწყინება. თქვენში ასეთებს არ აცხობენ.

— რა უფლება მაქვს, არ ავიღო, როცა უფროსის ნათესავი მიმასპინძლდება, — გაიხუმრა მილიციონერმა, ნამცხვრები გამოართვა, გაზეთში გაახვია, რომელიც სარია დეიდამ მიაწოდა. შემდეგ ყველას დაემშვიდობა და ღიმილით წავიდა.

— თერძმა პიჯაკი შეგისწორა? — უცბად ჰკითხა გიამს ნაბათ-ხალამ.

— ახალი ვიყიდე, დედი, ნუ ნაღვლობ, ყველაფერი რიგზეა!

— როცა შენი წერილიდან შევიტყვე, თერძმა მთლად დამაკუზიანაო, მთელ დამეს ველარ დავიძინე.

თურმე გიამს წერილში დაწვრილებით მიეწერა, თუ როგორ გადაუკეთეს მია მამედის ფორმა, და მოულოდნელად მომიბრუნდა:

— დედა მოუკვდეს ჩემს გიამს, აბა რა შეეძლო ამ ბიჭს? ეს ხომ არ იყო დამინაშავე. ამ თერძებს თუ თვალი მოუხუჭე, რას არ იზამენ! ყოველი ხელოვანი თავისი საქმის ოსტატი უნდა იყოს და ცოდნა-უნარს სიცოცხლეზე მეტად უფროთხილდებოდეს. სწორად უთქვამთ: მუშაობა ღირსების საქმეაო. აი, შვილო, თავისუფალ დროს გიამბობთ ერთი დალაქის შესახებ, რომელიც ისე კი არ უყურებდა თავის ხელობას, როგორც ის თქვენი დერციკი.

როცა სადამოს ჩაის ვსევამდით, ფროთხილად და მოწიწებით შევახხენე ნაბათ-ხალას:

— ხომ შეგვიპირდით, საინტერესო ამბავს გიამბობთ იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდებოდა ვიღაც დალაქი მისთვის ზეგარდმო ბოძებულ ნიჭსო.

— რაკი შეგვიპირდით, შვილოჯან, გიამბობთ. შენნაირი მსმენელი ნუ მომიშალოს ალაჰმა.

მორეულ წარსულში, მტკვრის პირას, — დაიწყო ნაბათ-ხალამ და სუფრასთან მსხდომნი უმაღ მიყუჩდნენ, ვერ მალავდნენ ცნობისმოყვარეობას, — ცხოვრობდა დალაქი, სახელად გასიმი. იმ მხარეში ყველაზე მდიდარი კაცი, მეპთი-აღა, რომელსაც მთაზე ბევრი ცხვარი ჰყავდა, მხოლოდ მასთან იპარსავდა

თავ-პირს. და, იმის მიუხედავად, რომ ძუნწ კაცად ითვლებოდა, კაი გასამრჯელოსაც უხდიდა. ერთხელ ცხვრის ფარას მგლის ხროვა დაეცა და რამდენიმე ცხვარს გამოლადრეს ყელი. გაცეცხლებულმა მეჭთი-ალამ თოფი დასცა მწყემს ყარას, იმის მაგიერად, რომ ფხიზლად გედარაჯა, ნაბადში გახვეულს სადათას ძილით გეძინაო. უნდა ითქვას, რომ ყარას ხალხი იცნობდა, როგორც პატიოსან და საქმიან კაცს. თანაც დალაქ გასიმს ღვიძლ ბიძად ერგებოდა მწყემს ყარას ნათესავეები წინაპართა ადათისამებრ მეჭთი-ალასი და მესრე ხაფიყ-ეფენეს მოსისხლეებად გადაიქცნენ. ვინ, ვის და როდის მოკლავდა, თანასოფლელები წინასწარ ვერ გეტყოდნენ, მაგრამ მტკიცედ კი იყვნენ დარწმუნებული, რომ მეჭთი-ალას ახალი დალაქი უნდა ექებნა. ერთხელაც დალაქ გასიმთან კაცი მივიდა და გამოუცხადა, მეჭთი-ალა გიბარებს, თმა-წვერის გაპარსვის დრო დადგაო. გასიმის ნათესავეები აფორიაქდნენ: „არ წახვიდე, გასიმ, მან ბიძაშენი მოკლა, შენც მოგკლავს, თანაც, ჩვენი აზრით, მილიონიც რომ მოგცეს, მტერს არ გაპარსავ!“ მეჭთი-ალას შინაურებს კი უფრო მეტად დაუსკდათ გულები: „შენ რა, ჩვენს უძვირფასესო, გინდა, რომ ამ უბადრუკმა გასიმმა ყელი გამოგჭრას?“ მაგრამ გასიმმა არ გაიზიარა ახლობელთა აზრი, ვერც მეჭთი-ალა დაიყოლიეს მისმა შინაურებმა. სოფელი მოლოდინით გაიყურსა.

მეჭთი-ალას ესმოდა: თუ სხვა დალაქს მოუხმობდა, ყველა მიხვდებოდა, საცოდავს ლაჩარივით შეეშინდაო. გასიმსაც ესმოდა: უარი რომ შეეთვალა თავის მოსისხლე მტრის სახლში მისვლაზე, სოფელში მას ვაჟკაცად აღარავინ ჩათვლიდა. და აი, გასიმი გამოცხადდა მეჭთი-ალას სახლში. თეთრხელსახოცაფარებული მასპინძელი ნიკაპაწეული წინ დაუჯდა. გასიმმა სახე გაუსაპნა და სამართებელს თასმაზე დიდხანს უწყობდა პირს. მეჭთი-ალას ხვანჩი ნერვულად აუდ-ჩაუდიოდა. და როცა გასიმმა სამართებელი მეჭთი-ალას ყელთან მიუტანა, მრავალათასიანი ცხვრის ფარების პატრონის ცოლმა თავხარდაცემულმა შექკივლა:

— გასიმ, შვილები არ დამიობლო! — და გული წაუვიდა. მეჭთი-ალას შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დაეცვარა. მტანჯველი შიშით აღსავსე თვალებს ველარ აცილებდა დალაქის სამართებელს. მეჭთი-ალას სახლის მახლობელ შუკაში შეგროვილი ხალხი სულგანაბული ელოდა გულშემზარავ კივილს: „დაკლა!“ ელოდნენ თოფების სროლას, ელოდნენ ამ დრამის დასასრულს. მაგრამ არაფერიც არ მოხდა, გასიმმა გაპარსა მეჭთი-ალა, მიიღო გასამრჯელო, აკრიფა ხელსაწყოები და ქუჩაში გავიდა. მისი ნათესავეები და ყველანი, ვისაც მიაჩნდა, რომ გასიმს ყელი უნდა გამოეჭრა მეჭთი-ალასათვის, ზიზლით გაჰყურებდნენ და ხმადაბლა ლანძღავდნენ:

„არარაობა! მხდალი კურდღელი!..“

გასიმი შინ დაბრუნდა და ცოლს, რომელმაც პირი მოარიდა, უთხრა:

„ვიცი, რომ მეჭთი-ალა ჩემი მოსისხლეა, რომ ვალდებული ვარ ყარას სისხლი ავიღო, მაგრამ ამას ვერ ჩავიდუნ ჩემი ხელობის დახმარებით. მე არ შემიძლია ხელობის შერცხვენა.“

უნდა ითქვას, რომ გასიმი ორმაგად უბედური კაცი გახდა. მას არ შეეძლო თავისი ხელობა გამოეყენებინა მეჭთი-ალასათვის ყელის გამოსაჭრელად, ამავე დროს ესმოდა, რომ არა მარტო მტრების, არამედ მეგობრების ყოველგვარი პატივისცემაც დაკარგა.

და ერთხელ გასიმმა ველარ მოითმინა და, როცა გასაპნულელებიანმა მეჭთი-ალამ ყელი მოუღერა და ნიკაპი ასწია, გასიმმა ბასრი სამართებელი ხვანჩზე და-

აჭირა. მეჭთი-ალამ თვალეზი გადმოკარკლა, სქელ კისერზე ძარღვები დაებერა და სკამზე მჯდომარემ სიკვდილის შიშით გათანგულმა ამოიხრიალა:

„რას სჩადი? რას სჩადი?“

გასიმს სახე მეჭთი-ალას ლოყებზე წასმული საპონივით გაუთეთრდა, მუბ-
ლზე ცივმა ოფლმა დაასხა, სამართებელი ხელიდან გაუვარდა და დალაქი გა-
სიმი იატაკზე მოცელილივით გაიშოტა.

„ისე ემონე შენს ხელობას, როგორც გასიმი“ — ეს ანდაზური ერეკუნული
ფქმა მდმქა
მდე ცოცხლობს ჩვენს მხარეში...

ლოგინში მწოლმა ძილის წინ გავიხსენე დალაქი გასიმი. საინტერესოა, რას იტყოდნენ ჩვენი კლასელი ბიჭები, ნაბათ-ხალას ნაამბობი რომ მოესმინათ. გაიცხავდნენ თუ გაამართლებდნენ გასიმს? რა აზრისა იქნებოდნენ მეჭთი-ალას შესახებ? ამ ალას ხასიათს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, პრიმიტიულს ვერ უწოდებ. საწყენია, რომ ჩვენს სკოლაში ასე ბევრი უფერულობაა, ნაბათ-ხალას ნოველას კა შეეძლო გამოეწვია აზრთა დაპირისპირება, დაერღვია მლო-რე მოწყენილობა...



კვირა დღე იყო. გიამი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ამხანაგების სანახავად აპირებდა წასვლას.

ნაბათ-ხალამ მოზრდილი ფუთა მისცა:

— შენ შემოგველე, შვილო, ამხანაგებს გაუმასპინძლდი, იქნებ რომელიმე თბოლია ან შინიდან ვერაფერს უგზავნიან.

მე გავიფიქრე: „სურს, ყველა გაათბოს, მოეფეროს, გაამხნევოს. ნაბათ-ხალა ქალაქში რომ ცხოვრობდეს, ალბათ გიამის ამხანაგებისათვის სადღეღამისო სასადილოს გახსნიდა.“

ძია მამედის ბინა პატარა იყო, მაგრამ, როგორც შევნიშნე, ნაბათ-ხალა არავის ავიწროებდა, პირიქით, მისი ჩამოსვლის შემდეგ ძალდაუტანებელმა მყუდროებამ დაისადგურა. ნაბათ-ხალა ადამიანებს განსაკუთრებული კეთილგანწყობილებითა და თანაგრძნობით ეკიდებოდა, ცდილობდა ვინმეს რამეში გამოსდგომოდა. და ნაბათ-ხალა თითქოს მიმიხვდა გულისწადილს — გიამს საერთო საცხოვრებელში მეც წავეყვანე — სარია დეიდას უთხრა:

— ფარეჰიც წაჰყვეს, თორემ გიამი საღამომდე დაგვეკარგება.

— რა თქმა უნდა, ორივენი წავიდნენ, — დაეთანხმა სარია დეიდა.

საერთო საცხოვრებლის შენობაში შევედით და მეორე სართულს მივაშურეთ. გიამს გაეღიმა.

— კართან მოიცადე, პირველად მე შევალ, მერე კი შენც დაგიძახებ, თორემ შეიძლება ამ ოთახის მკვიდრნი უჰალსტუნოდაც იყვნენ.

გიამი ოთახში დაუკაკუნებლად შევიდა და წუთის შემდეგ მისი ხმა შემომესმა:

— შემოდი, ფარეჰ! მთელი სულით წინ იარ!

შევედი. ჩემ წინ ფანჯარასთან იდგა ზეითუნისფერ სახისკანიანი, საფეთქლებთან თმაშევერცხლილი მაღალი კაცი. პერანგი გადაეღედა და ბანჯგვლიანი მკერდი უჩანდა. პერანგზე აღისფრად ელვარებდა შავი ძაფით მიკერებული ერთადერთი ღილი. მარცხენა ლავიწთან კისრამდე ნაჭრილობევი მოუჩანდა: არ ვიცი ნახმლევი იყო თუ ნატყვიარი. პურის ნამცეცებით მოფენილ მაგიდაზე ყვე-

ლიანი თუფშის გვერდით გადაშლილი წიგნი იდო, ოთახში სახელდახელოდ გასწორებული სამი საწოლი იდგა.

— გაიცანი, ბაბა! ამ გოგონას ფარეკი ჰქვია!

— მშვენიერი სახელია! — ოდნავ შესამჩნევი აქცენტით წარმოთქვა ბაბამ და მივხვდი, რომ იგი უცხოელი იყო.

ბაბას უნდოდა ეჩვენებინა, თავაზიანი ვარო, და დავეყვირე პეტროვის ერთადერთი ღილის შეკვრას შეუდგა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან ღილიკილო ღილზე პატარა იყო. ბაბამ ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ჩამოჯექი, დაო! — და სკამი მომაწოდა.

გიაშმა ჰკითხა:

— შენ რა, ქალაქის პეიზაჟით ტკბებოდი, როცა ოთახში შემოვედი?

— არა, თავრიზისკენ ვიყურებოდი!

ველური რომ არ ვგონებოდი, ბაბას ვკითხე:

— თავრიზელი ხართ?

— დიახ, დიახ! თავრიზელი გახლავართ! — გაიღიმა და თეთრი კბილები გამოაჩინა.

— საერთოდ მისი სახელია ზარბელი, „ბაბას“ კი იმიტომ ვეძახით, რომ ინსტიტუტში ყველაზე უფროსია, — დააზუსტა გიაშმა. — იგი პროფესიული რევოლუციონერია. მისი ფოტოსურათების ალბომი რომ გაჩვენა! ზარბელი თანამებრძოლ მეგობრებთან ერთად, ცხენზე ამხედრებულა ზარბელი შაშხანით ხელში, მხარზე ფალასკაგადაგდებული. რევოლუციური პეტროგრადის ნამღვილი წითელგვარდიელია და ეგ არი.

ზარბელმა საჩვენებელი თითი მკერდზე მიირტყა, თითქოს გიაშის ნათქვამს ადასტურებდეს:

— დიახ, ფადაილი გახლავართ, რევოლუციონერი.

გიაშმა გაშალა და ზარბელს წინ დაუდო ნაბათ-ხალას მიერ გამოგზავნილი ნობათი:

— მიირთვი, ბაბა! დედაჩემმა გამოგიგზავნათ. გუშინ ჩამოვიდა სოფლიდან.

ზარბელმა მადლიერად დაუქნია თავი:

— გმადლობთ შენც და დედაშენსაც!

— მისმინე, ბაბა, თუ ძმა ხარ, შენი ფოტოსურათებიანი ალბომი ფარეკს უჩვენე!

— დაე, ყველა ჩვენგანს ჰყავდეს ასეთი ლამაზი და მორცხვი და, — მიუგო ზარბელმა, ტუმბოდან გამოიღო ტყავისყდიანი ალბომი და წინ დამიდო.

ალბომი გადავშალე. ფოტოსურათიდან შემომცქეროდა ლამაზი ირანელი, რომელსაც ხელში ბარბითი ეჭირა.

— ეს სადულაა! — თქვა ბაბამ. — იგი მომღერალია. თეატრში კი არ მღერის, არამედ ბარიკადებზე. ტყვიის ზუზუნშიც კი მღეროდა ხოლმე. მისი იარაღი იყო სიმღერა.

— ახლა სად არის? — დავინტერესდი.

— ისიც ჩემსავით აქ, აზერბაიჯანშია. სტუდენტია...

— ეს ქალიშვილი ვიდაა? — გადავშალე მომღვენო ფურცელი.

— ოჰ, აღტაცებით წამოიძახა ბაბამ, — ეს თვით სარია შაჰსვეიანია, ჩვენი ხალხის გმირი. ეგრე ნუ უყურებ, მართალია ნაზია, მაგრამ ძუ ლომის გული აქვს. თანაც ეს ფოტოსურათი ვერ გადმოსცემს მის მშვენიერებას. მისი სახე თვალწინ მიდვას, გულში მიხატია, მეხსიერებაში მაქვს შენახული. როდისმე ვი-

პოვი კარგ მხატვარს, ვუამბობ ყველაფერს, რაც სარია შაჰსევიანზე ვიცი, ისე დაუუსურათებ, თითქოს პოეტი ჰაფიზი ვიყო და ფერმწერი ჩემი ნაამბობით დახატავს მის პორტრეტს. ის არაჩვეულებრივი აზერბაიჯანელი ქალიშვილი იყო, საშუალო ტანისა, შავკერემანი, მზიარული, მორიდებული. წაბლისფერ, ხნით შეუღებავ თმას კობტად იყოფდა შუაზე. მკაცრად იცვამდა. მხარზე თოფი ეკიდა. ბრძოლაში ბევრჯერ მონაწილეობდა. აი ესეც, — მან მიჩვენა, ~~კლავიწიდან~~ კისრამდე გაულეებული ნაჭრილობევი, — იმ ტყვიის ნაკვალევი, ~~ტრემულირე მხუქ~~ რიას უნდა მოხვედროდა.

ველოდი ამბის გაგრძელებას და მესმოდა, რომ გაგრძელება იქნებოდა ნაღვლიანი, მაგრამ ზარბელს არ სურდა ჩემი შეწუხება, ალბომი დახურა და გულუხვი მასპინძელივით თქვა:

— ახლა ჩაის დავაყენებ! ნამდვილ თაურიზულ ჩაის!

ზარბელმა ვერც კი მოახწრო ღერეფანში გასვლა, რათა ჩაიდან წყლით აეღოს, რომ ოთახში კი არ შემოვიდა, ქარიშხალივით შემოიჭრა თამამი ყმაწვილი:

— გიამ, გამარჯობა! ეს თვალწარმტაცი ქალიშვილი ვინაა?

ბულში გავიფიქრე: როგორი თავხედი ჭაბუკია-მეთქი! მინდოდა გიამისთვის მეთქვა: „დროა წავიდეთ, გიამ, თორემ დაგვიანებისთვის ნაბათ-ხალა გაგვიწყრება!“ მაგრამ გიამი თითქოს მიმიხედა განზრახვას:

— გაიცანი, ფარეჰ! ეს თამამი ჭაბუკი საქართველოდან ჩამოვიდა და სახელად ჰქვია...

— თაჰემი, — გამეცნო ჭაბუკი და მეგობრულად გამიღიმა, — გამარჯობა. თქვენ რა გქვიათ, გენაცვალე?

— ფარეჰი, — მივუგე საქართველოს შეილის სიმკვირცხლით გაოცებულმა. ჰათემმა ფუთა შენიშნა.

— ეს რა არის, ვინ გამოგზავნა? — ჰაერი მგრძნობიარე ნესტოებით შეიყნოსა.

— ეს დედაჩემმა ჩამოგვიტანა სოფლიდან, მიირთვით.

— ამ საბაბით ცუდი არ იქნებოდა ერთი ბოთლი კახური დაგველია. კახურის შემდეგ მუდამ აზრთა ჭიდილი იწყება. გეფიცებით, ფარეჰ, უთუოდ თავს გამოვიჩინდი ამ ტურნირზე, მშვენიერი ქალწულის პატივსაცემად!

ჰათემმა ისე შემომხედა, თითქოს მართლაც გამარჯვებული ყოფილიყოს, მე კი ღვინონასვამივით სახეზე აღმურმა გადაძვრა.

— ერთ კეთილშობილ ოჯახში, — განაგრძო ჰათემმა, — ჰყავდათ ასი წლის პაპა. ოჯახში მოტანილ სურსათს ჯერ მას ასინჯებდნენ და თუ ის ცოცხალი გადარჩებოდა, დანარჩენებიც თამამად ჭამდნენ. თავს საპატიო პაპად ვაცხადებ და ამიტომაც ვჩქარობ ეს შესანიშნავი ყველი გავახვიო ჩვენი სტუმრის დაუვიწყარი სახესავით დამკრახულ ლავაშში. დანარჩენები ნუ იჩქარებენ.

ჰათემი თითქოს სიტყვებით ეონგლიორობდა.

— ჩემო დობილო, — მომმართა მან, — ბაბა და გიამი, როგორც, ალბათ, თვითონაც დარწმუნდი, ძალზე პირქუში და მოსაწყენი ხალხია. ისინი თანამედროვე რომანების დადებით გმირებს ჰგვანან. მე კი მზიარული, არაჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ჩემთან არ მოგწყინდებათ. ბუნებრივია, ჩემი უპირატესობა ისეთ ახლობელ ადამიანებში, როგორიც არიან ბაბა და გიამი, შურს იწვევს. — მან ბოლო ლუკმა გადაყლაპა. — შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამაზე უკეთესი ყველი და ლავაში არასოდეს მიჭამია. გიამ, ზუსტად ასე გადაეცი პატივცემულ დე-

დაშენს. ახლა კი ქადა-ნაზუქებს მივხედოთ. ვაი, — ჰათემს სახეზე ნეტარება აესახა, ლეჭვას თავი მიანება და შემომხვდა.

— ამ ქადაში შხამი რომ იდოს და ეს ვიცოდე, მაინც უარს არ ვიტყოდი და სიამოვნებით ერთიანად გადავსანსლავედი.

გიაშს ეამაყებოდა, რომ მის მიერ მოტანილი ნობათი ასე მოეწონა მეგობარს და ჰათემს ჰკითხა:

— მაშასადამე, როგორც ყველა ინტელიგენტ ადამიანს, რა თქმა უნდა, სოკრატეს შესახებ შენც გსმენია?

— უჰუ, — თავი დაუქნია ჰათემმა და განაგრძო ლეჭვა.

— მაშ ასე, ანტიკური სამყაროს ამ დიდ ფილოსოფოსს სიკვდილი მიუსაჯეს.

— შენ გინდა მითხრა, რომ იმ შორეულ დროში საგანგებო სასჯელმისჯილებს არც ახრჩობდნენ, არც ხვრეტავდნენ, არამედ შხამს ასმევდნენ?

— მართალი ბრძანდებით. და ამას გარდა, სოკრატეს მოსთხოვეს, რომ სამსალის დაღვევის შემდეგ არავის დალაპარაკებოდა, არ ეოხუნჯა, არ გაეცინა, თორემ შესაძლო იყო, რომ მსჯავრდადებულზე შხამს არ ემოქმედა. ამბობენ, სოკრატემ ჯალათთა ეს პირობა პირნათლად შეასრულაო.

— რაკი ასეა, ქადის ნაჭერი კიდევ მომაწოდე. ჩემს თვალში შენ დაამცირე სოკრატე. მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, ვეფიცები, იმდენს ვილაპარაკებდი და ვიცინებდი, როგორც არასოდეს.

ბაბამ ჩაიდანს შემოიტანა.

— მოგვეჩვენა, რომ ჩაიდანს კი არ ადუღებდი, არამედ ინტელგრალის აღმოჩენაზე წვალობდი, — დასცინა ჰათემმა. მერე მე მომმართა და ჭმუნვით წარმოთქვა: — ჩემო დაიკო, მე და შენ ხათაბალაში ვავებით. როგორც კი ეს ორი მოაზროვნე შეხვდება, აუცილებლად იწყებენ საუბარს პოლიტიკაზე, ადამიანზე, სამყაროზე. წინა შეხვედრისას იუსტინიანემდე მიაღწიეს. ერთი ისტორიკოსია, მეორე — ლიტერატორი. ერთმა ისტორია არ იცის, მეორემ — ლიტერატურა. ორივეს თავი ფილოსოფოსად მიაჩნია და ელიან, თუ როდის გახსნიან ჩვენს ინსტიტუტში ფილოსოფიის ფაკულტეტს. ჯერჯერობით კი ასეთი ფაკულტეტი არ არის და თვითმოქმედების სახით სიბრძნისმეტყველების სიყვარულობანას თამაშობენ.

ჰათემი, ალბათ, მოელოდა, რომ ბაბა და გიაში შეედავებოდნენ და მაშინ მოკამათედაც გამოიჩინდა თავს, მაგრამ ასე არ მოხდა.

— ჩვენი წახვლის დროა, — წამოდგა გიაში. — სალაში გადაეცით ფარუზას. — და თავით მანიშნა — წავიდეთო.

ჰათემს ეწყინა, მაგრამ ძალე კვლავ გაიღიმა. ცხენიდან გადმოვლებული მხედარი კვლავ უნაგირს მოახტა.

— მთხოვ, ფარუზას სალაში გადაეციო? შენ და ბაბა ძალზე დიდ პატივს ხომ არ სცემთ მას? ის ჩვენი მეჯნური, დაიკო, ახლა პაემანზეა. ბაბას ფეხსაცმელი აცვია და მისი ჰალსტუხი უკეთია. იქნებ ამან, ან ჩემმა შვეიცარიულმა საათმა მოუტანოს მას წარმატება...

— ჰათემი — საყვედურით შეაწყვეტინა ამხანაგს ბაბამ. — ჩემი აზრით, შენ გშურს მისი.

— მე? მისი? — ნაძალადევად გაიცინა ჰათემმა. — მე, დაიკო, — მომიბრუნდა კვლავ, — „პარკერის“ შესანიშნავი ავტოკალამი მქონდა, გესმის? ამ ჩვენმა ფარუზამ ერთ სალამოს მთხოვა, ერთ სალამოს, დიახ! თვითონ კი თავის ვო-

გონასთან პაემანზე მიდიოდა. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ის ავტოკალამი მოეწონა მის გულის რჩეულს. და რას ფიქრობთ? მან ხელგაშლილად აჩუქა მას ჩემი ავტოკალამი.

ყველამ გავიცინეთ.

— ჰო, თქვენ გეცინებათ! თქვენ ეს გაცინებთ? რადგანაც საქმე ეხება სხვის საკუთრებას, ჩემს საკუთრებას. დღეს კი მან, თქვენმა ხელგაშლილმა ფარეზმა შეიძლება თავის სატრფოს ჩემი საათიც აჩუქოს. აბა ბაბას ფეხსაცმელს აჩუქებს? საათი კი — ეს ის არის, რაც ძალზე სჭირდება მის თამარ დედოფალს, თუ რა ვიცი, რა ჰქვია მას, რათა პაემანზე არ დააგვიანოს ხოლმე.

— უსაათოდაც გასძლებ, დიდი არაფერი შვილია, ქალაქში ყველა ბომბუა საათი. აი ჩემი ფეხსაცმელი რომ აჩუქოს, ეს უფრო ნაკლებ თავშესაქცევი ამბავი იქნება.

ბაბასა და ჰათემს დავემშვიდობეთ. ინსტიტუტის ეზოში ჟღალულვამიანი ჭაბუკი შემოგვხვდა.

— გამარჯობა, გიამ!

— ა, ფარუზ! გაიცანი. ამ ქალიშვილს ფარეზი ჰქვია.

ფარუზს ხელი გავუწოდე.

— ბაბა და ჰათემი ასე ადრე არ მოგელიან! — გაუღიმა გიამს.

— სასაფლაოზე ვიყავი.

— სასაფლაოზე? მე კი მითხრეს...

— ჩვენ ორნი ვიყავით სასაფლაოზე... წარმოგიდგენია, რა გაუგონარი სურათი ვნახეთ. ნამდვილი მკრეხელობაა.

— შენც ვიპოვია, რა, სასეირნო ადგილი...

— იქ სიწყნარე და ნეტარებაა. ცოცხალთა პაემანი არ შეურაცხყოფს მიცვალებულთ. მათ შეურაცხყოფენ ბულდოზერები. გესმის, სასაფლაოზე მიუყვანიათ ბულდოზერი და ანგრევენ ძველ საფლავის ქვებს, — რაღაცნაირი განწირულებით წამოიყვირა ფარუზმა.

— ბულდოზერი? — თითქოს არ სჯერაო, ჰკითხა გიამმა.

— სწორედ რომ ასეა, ბულდოზერი. უძველეს წარწერიან ძეგლებს მიწასთან ასწორებენ. დაანგრე! დაამსხვრიე! ამ ადგილზე კულტურის სასახლეს ავაგებთ! როცა ბულდოზერისტს უთხრეს: „რა სჩადი, არანორმალურო?“ — მან კბილები დაკრიჭა და შემრიგებლურად თქვა: „ძმაო, ეს ჩემი და შენი ჭკუის საქმე არ არის!“ აბა, კარგი, დროს აღარ დაგაკარგვინებთ, ჯერჯერობით!

— ნახვამდის! — მიუგო გიამმა.

ერთხანს მდუმარედ მივდიოდით. მერე გიამს ვუთხარი:

— შენ დღეს სამი ნაცნობი მაჩუქე.

— თანაც ჰათემი ვერ დაამტკიცებს, რომ სხვის საკუთრებას განვაგებ.

გიამს შევხედე და გავიფიქრე: როგორ შეიცვალა-მეთქი იმ დღის შემდეგ, როცა პირველად ვნახე იგი. თითქოს ჩემს წინაშე იყო ორი გიამი. ერთი, რომელსაც მე ვაძლევდი რჩევა-დარიგებას, მეორე — ჩემი დამრიგებელი. ერთი ის იყო, რომელსაც ჩემი რცხვენოდა, მეორისა — მე მრცხვენოდა. ერთ მათგანს ყველაფერი აოცებდა, ხოლო მეორე, მოვლენათა და საგანთა არსს რომ სწვდებოდა, სულ უფრო ხშირად მაოცებდა მე. წინათ შემემძლო მეთქვა, გიამს ისე ვხედავ, როგორც რენტგენში-მეთქი, ახლა კი იგი სულ უფრო მეტ გამოცანას წარმოადგენდა ჩემთვის.

გიაში მიყვარდა. თავდაპირველად მეჩვენებოდა, რომ ეს იყო მეგობრული გრძნობა. მერე კი სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი გიაზე, რომ მოწყენილი ვარ უძისოდ, რომ მინდა მისი დანახვა, მისი ხმის გაგონება. რომ ერთხანს, რისთვის გიყვარსო გიაში, ვერაფერს ვუპასუხებდი. ეტყობა, ადამიანთა ურთიერთობაში არის რაღაცნაირი იდუმალი შერჩევითობა. ადამიანს უნდა შეეძლოს მეორე უყვარს, მისი ნაკლოვანებაც კი ღირსებად ეჩვენება, ხოლო როცა არ უყვარს, მაშინ ღირსებასაც ნაკლოვანებად უთვლის. იქნებ, როგორც უფროსები ამბობენ, მოწიფულობის წყაროდან ბოლომდე შევსვი „ქალიშვილობა.“ სიყვარულს ანგარიში არ არის, არც სავაჭრო გარიგებაა და არც ქორწინება. ერთმა ჩემმა თანაკლასელმა დობილმა მიაჩნო, რომ მისმა უფროსმა დამ ერთ ჭაბუკს, რომელიც ეარშიყებოდა, უთხრა:

— ცოლად რომ შემირთავ, მაშინ შეგიყვარებო!

განა ასე შეეძლო ეთქვა ლეილის მეჯინისათვის ან ჯულიეტას რომეოსათვის?

ამბობენ, სიყვარული ბრძააო. შამამა-ხალას ძმისწულს შეუყვარდა ერთი ჩოფურა ქერივი და ცოლად გაჰყვა. განა გიამის დედაც სიყვარულმა არ დააბრძა, როცა მრავალი წლით უფროს კაცს, მისი შვილის მომავალ მამას გაჰყვა? არა, სიყვარული ბრძა არ არის, პირიქით, მას შევარდენივით გამჭრიახი თვალი აქვს. როცა ერთ ადამიანს მეორე უყვარდება, ის მასში ხედავს იმას, რასაც სხვები ვერ ხედავენ. ერთმა პოეტმა შეყვარებულის სახელით დაწერა: „საყვარელო, ადამიანებმა რომ ჩემი თვალით შემოგხედონ, მაშინ ყველა ჩემი მეტოქე იქნებოდა.“

ერთხელ გიამმა მითხრა: „ფარეჰ, შენ ანგელოზს ჰგავხარ. ზოგჯერ მგონია, რომ ზურგზე თეთრი ფრთები გაქვს.“ მეორედ კი გული გადამიხსნა: „შენთან ადვილია ურთიერთობა, უსიტყვოდ, ერთი შეხედვით გესმის ჩემი.“ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. სხვა მის კურსელ გოგოებზე და საერთოდ ყველაზე ვეჭვიანობდი. ამას წინათ გიაში თითქოს ხუმრობით გამომიტყდა, ერთ ქალიშვილს, რომელსაც შოვლა ჰქვია და რკინიგზის მეოცე საშუალო სკოლაში ჩემთან ერთად პრაქტიკას გადის, ლექსი მივუძღვენიო. ათასი ერთმანეთზე უმწარესი ფიქრი მიკლავდა გულს. რკინიგზის სკოლა ჩვენი სახლის სიახლოვეს მდებარეობდა. ძალიან მინდოდა ცალი თვალი მაინც დამეკრა იმ შოვლასათვის, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ლამაზი და ბოროტი იყო. გიაში ვინმე უგვანოს ლექსს არ მიუძღვნიდა. და აი, ერთხელ ჩემს სკოლელ დობილ ფარის ვუთხარი:

— იცი, ჩვენს გიამს შეუყვარდა პრაქტიკანტი ქალიშვილი შოვლა, რომელიც მეოცე სკოლაში ატარებს გაკვეთილებს. სეირია. მაინტერესებს, ვნახო, როგორია მისი სატრფო.

ამ სიტყვებს ფარის ისე გულგრილად ვუბნებოდი, თითქოს მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობა მაღაპარაკებდა.

— ჩვენც შევიდეთ სკოლაში და ვნახოთ.

— უხერხულია. უცბად გიამმა რომ შეგვნიშნოს?

— მე ვეტყვი, — ეშმაკურად გაეღიმა ფარის, — ამხანაგის სანახავად მოვედი და ფარეჰიც გამოვიყოლე-მეთქი.

იქ ჩვენ შესვენების დროს დავინახეთ შოვლა. ვილაცამ დაუძახა:

— შოვლა მუალიმა!

ფარის უმაღ ვუჩურჩულე:

— აი, ეს არის.

ეს იყო შუატანის მოხდენილი, ქერა ქალიშვილი. ლოყებზე მის ნახ კანს სიწითლე დაჰკრავდა. მოდური კოფთის საყელოზე პეპლის ფორმის გულსაბნევი ეკეთა.

— როგორ ჩაიარა შენმა ვაკვეთილმა? — შეეკითხა შოვლას მსუქანი თავაღწარბა ქალიშვილი. ალბათ, ისიც მეოცე სკოლაში გადიოდა პრაქტიკის.

— მე მომეწონა. კლასი წესრიგია. თავდაპირველად შევკრთი, მაგრამ მალე შევეჩვიე. მგონი, ბავშვებსაც მოვეწონე. სიამოვნებით ვიმუშავებდი ამ სკოლაში.

ამ დროს ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. შევხედეთ და წამით ერთმანეთის წინ შევჩერდით. სული გავნაბე. სასკოლო ფორმა მეცვა. თმაში ჩაწნული მქონდა ბანტი. კაბის საყელოზე კი ისეთივე პეპლისმსგავსი გულსაბნევი ეკეთა, როგორიც ახალგამომცხვარ მასწავლებელს. მომეჩვენა, რომ შოვლას ჩაეცინა და გამარჯვებულის ამ ფარული ღიმილით ჩამიარა.

— გიამს უყვარს ეგა? — მიჩურჩულა ფარიმ. — თვალები სადა აქვს? ჩვენ ორივენი ამ მასწავლებელზე უფრო ლამაზები ვართ. იქნებ ნამდვილი ქერა არც კია და თმა შეღებილი აქვს.

ფარის სიტყვებმა დამამშვიდა. საღამოს ვცდილობდი გიამისთვის თვალებში არ შემეხედა და ყველა მის კითხვას მოკლედ ვუპასუხებდი „პო“, „არა“, „არ ვიცი.“

— რა დაგეძარათა, ფარეკ?

— არაფერი.

— რაღაც უცნაურად იქცევი. ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, ყველაფერი რიგზეა.

ვცდილობდი სარია დეიდას და ნაბათ-ხალას გვერდით ვყოფილიყავი და მხოლოდ მათთან მესაუბრა. ეჭვები სენივით მიღრღნიდა გულს. არც ჭამა მიწოდდა, არც სმა. გიამი შინ რომ არ ყოფილიყო, ბალიშში ჩავემხობოდი და ტუტუცივით ავღრიალდებოდი.

მეორე დღეს სკოლაში ფარიმ შემომხედა თუ არა, ყველაფერს მიხედა და გაეღიმა:

— ფარეკ, გიამი ხომ არ გიყვარს?

დავიბენი. თვალები დაეხარე. სახეზე აღმურმა გადამკრა. ოჰ, როგორ მომინდა დობილისათვის ჩემი საიდუმლო გამენდო, გულაზდილი აღიარებით სული შემემსუბუქებინა, მაგრამ თავი შევიკავე, ვერ გავბედე. მორცხვობა სურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, მიჭირდა დობილისათვის გამენდო ის გრძნობები, რასაც სარიას ძმის მიმართ განვიცდიდი.

როცა აღამიანი თავის აზრებთან, განწყობილებასთან მარტოდ რჩება და არა აქვს შესაძლებლობა ან გამბედაობა თავისი გულისნადები მახლობელს გაუმზილოს, ნაღველი უფრო უძლიერდება.

ძია მამედი ზოგჯერ შუალამის შემდეგ ბრუნდებოდა, როცა თბილისისაკენ ბოლო მატარებელს გაისტუმრებდა. მას ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მთელი ქვეყანა სადღაც მიდიოდა, ადგილის შეცვლას ესწრაფვოდა.

— ვაგზალი ყველაზე მოუსვენარი ადგილია დედამიწაზე, — თქვა მან ერთხელ. — ყველა სადღაც მიიჩქარის ან მომქანცველ მოლოდინშია.

და მართლაც, დღე არ გავა, რომ ვაგზალში, ადამიანთა თავშეყრის ადგილას რაიმე არ მოხდეს: ან ქურდები ბარგს მოჰპარავენ დოვლაპია მგზავრს, ან ხალხის ორომტრიალში ბავშვი დაიკარგება ან თაღლითები ჯიბეებს დაუცარიელებენ რომელიმე გულუბრყვილო ფულიან მგზავრს. რა აღარ ხდება.

ბოლო ხანს ძია მამედი განსაკუთრებით ხშირად გვიამბობდა ისეთ შემთხვევებს, როცა ქურდების, ნაძირალების, მოძალადეების მსხვერპლი ხდებოდნენ მიმნდობი ქალიშვილები.

— მატარებელი რამდენიმე საათს იგვიანებდა, — გვიამბო ამას წინათ მან. — მოსაცდელ დარბაზში ერთ გოგონასთან მივიდა ორი ბიჭი და საუბარი გაუბეს. როცა გაიგეს, თუ რომელი რაიონიდან იყო იგი, ერთმა უცნობმა უთხრა, მეც თქვენებური ვარო. ჭაბუკები ქალიშვილს ნაყინით გაუმასპინძლდნენ. ოხუნჯობდნენ, მეგობრულად ზრუნავდნენ მისთვის. მალე ერთი ბიჭი გარეთ გავიდა და როცა დაბრუნდა, გოგონას უთხრა, ბაქანზე თქვენსოფლელი დედაბერი ვნახეო. „იქნებ წამოხვიდე და ნახო ის დედაბერი, თუ მართლა თქვენებურია, დავეხმარებით და ვაგონში შენთან ერთად ჩავსვამთ.“ გოგონას, როგორც იმ ცნობილი ყვავის იგავიდან ვიცით, მოეწონა ჭაბუკების თავაზიანობა და დედაბრის სანახავად გაიქცა. როცა უკან დაბრუნდა, მოსაცდელ დარბაზში აღარ დახუდნენ აღარც ბიჭები, აღარც ჩემოდანი. გოგონა აყვირდა, ატირდა, ხალხი შეგროვდა. გამოჩნდა ვიღაც რაზმელის წითელსამკლაურიანი ახალგაზრდა და სთხოვა, შტაბში გამომყევით.

— ნუ ტირი! ვიპოვით იმ ჩემოდანს. წამოდი ჩემთან!

ქალიშვილი გაჰყვა. მან იგი ჩიხში მღვარ ვაგონში შეიყვანა და გააუბატურა. მწუხარებისა და ადამიანთა გაუტანლობის გამო ქალიშვილი შეიშალა და საავადმყოფოში აღმოჩნდა. ახლა მას ყველა სძულს.

არ მიკითხავს, ვინ იყო ის გოგონა, სად მიემგზავრებოდა და რა დღეში იყო ახლა. არც კი დავინტერესებულვარ, დაიჭირეს თუ არა ის ბიჭები, რომლებმაც იგი გაქურდეს, ან ის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ნამუსი აჰხადა გოგონას.

ძია მამედის ნაამბობის გამო ვაგზალს ახლა ისე ვუყურებდი, როგორც ადამიანთა ყოველდღიური თავშეყრის ადგილს, სადაც გულუბრყვილო, მიმნდობ ადამიანს მუდამ საფრთხე მოეღოს. ღმერთმა შეაჩვენოს ეს ვაგზლები, გავიფიქრე შეშინებულმა.

გიაში ოთახში მაშინ შემოვიდა, როცა უკვე ლოგინში ვიწექი. წუთის წინ ჯერ ისევ წიგნს ვკითხულობდი, მაგრამ მისი ნაბიჯის ხმა რომ შემომესმა, თავი მოვიმძინარე.

მან სკამისაკენ მიბრუნებულმა, ვითომ ის მე ვიყავი, ნამდვილი მსახიობივით დაიწყო მონოლოგი:

— ფარეჰ, ძვირფასო, რა მოხდა? რა დავაშავე შენს წინაშე, ასე ცივად რატომ მექცევი? თითქოს გამოგცვალეს და შენი ადგილი დაიკავა სხვა ქალიშვილმა, რომელიც გარეგნობით შენა გგავს, როგორც ჩიტის ორი ფრთა, მაგრამ სულთ შენი საწინააღმდეგოა. ის მეორე — შენი ორეულია, რომელსაც არ სურს ჩემთან მართლ დარჩენა და ჩემი სიტყვების მოსმენა. ამიტომ გადავწყვიტე ველაპარაკო უსულო სკამს, ის მოთმინებით მაინც მომიმსმენს და მეორე ოთახში არ გავარდება, ხვაშიადს რომ გავუბუღავნებ. ახლა უკვე გვიან არის. ღამე მშვიდობისა, ფარეჰ. ტკბილი სიზმრები გუნახოს.

გიაშმა სინათლე ჩააქრო და თავის ლოგინში ჩაწვა.

მეორე დღეს:

„გიაბ... — მეც მივმართე მაღალზურგიან სკამს. მაგრამ მე ჩემს თავს ველაპარაკებოდი. — გგონია, მე კი არ მომენატრე? გგონია, არ მინდა შერიგება? შენ რომ პირველს გამოგეწოდებინა ზეთისხილის რტო, მე, ალბათ, სიხარულისაგან გულში ჩაგეხუტებოდი.“

მაგრამ მაღალზურგიანი სკამი — გიაბი, სდუმდა.



ერთხელ შამამა-ხალამ გვითხრა, ბოშა ქალმა ღიმკითხავაო. შავგერემანმა ახალგაზრდა ბოშა ქალმა, რომელსაც ჭრელი ტანსაცმელი ეცვა და კისერზე ფარული ეკიდა, აიღო შამამა-ხალას ხელი და ხელის გულზე გავლებული ხაზების მიხედვით აუხსნა, თუ რა მოხდებოდა უახლოეს ხანს მის ცხოვრებაში. „მოგელის ხანმოკლე მღელვარება და ცრემლი, მაგრამ ყველაფერი გაქარწყლდება. მალე გული დაგიწყნარდება და შინ მშვიდობა დაისადგურებს.“ შამამა-ხალამ ბოშა ქალს მისცა ათი კვერცხი და ზედ მანეთიანიც დაუმატა.

დღეს კი, როცა მაღაზიიდან ვბრუნდებოდი, სადაც სურსათი შევიძინე, ქუჩაში გამომელაპარაკა ბოშა ქალი. მას ხელში საცერი ეჭირა:

— ქალიშვილო, საცერი იყიდე!

— გმადლობ, არ მჭირდება!

— ვხედავ, გულზე ზარნაშო გაზის. ხელი მომე — გიმკითხავენ.

თავდაპირველად მინდოდა გვერდი ამევილო აბეზარი გულთმისნისათვის, რომელიც თავისი განიერი ჭრელი ქვედატანით ასფალტს მიაშტვებდა, მაგრამ გარშემო მიმოვიხედე და რაკი იშვიათ გამვლელთა გარდა არავინ ჩანდა, თვალეზი დაეხარე, იმედითა და სულის თრთოლვით გაუშვირე მარჯვენა ხელი.

— მიმკითხავე!

— მარცხენა ხელი მომეცი!

ბოშა ქალმა თხელი ვერცხლის ბეჭედი რამდენჯერმე შემოაბრუნა თავის თითზე და სალოკი თითი მიაყოლა ჩემს ხელისგულზე გავლებულ დაკლაკნილ ხაზებს:

— შეყვარებული ხარ, ქალიშვილო, მაგარი შეყვარებული.

შიშისაგან თითქოს მოვიკუნტე და სული გავნაბე, ის კი დაძაბული განაგრძობდა:

— ფრთაწითელ შევარდენს, რომელმაც მოსვენება დაგაკარგვინა, ბევრმა მონადირე ქალმა დაუგო მახე, მაგრამ რაღაც მხიარული არც ის არის. ვხედავ, დიდხანს არ იღარდებ, შენს მკერდზე მჯდომი ზარნაშო უკვე მზად არის გაჰყვეს გუშინდელი ღამის სიბნელეს. ნურაფერს ინალვლებ. ფრთაწითელი შევარდენი შენს მარჯვენაზე მოთვინიერებული დასკუბდება.

გავმხიარულდი, მთელ ჩემს არსებას დაუფლა კეთილისმყოფელი გრძნობა იმის გამო, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ბოშა ქალს ორი მანეთი მივეცი იმ ფულიდან, რომელსაც ძია მამედი ყოველთვის წვრილმანი ხარჯებისათვის მაძლევდა ხოლმე. მეტი ფული რომ მქონოდა, იმ საცერსაც უთუოდ ვიყიდდი.

ერთი დღის შემდეგ, ბოშა ქალმა რომ მიმკითხავა, ფრთაწითელი შევარდენი მაჯაზე დაგისკუბდებაო, მე და გიაბი შევრიგდით. სხვათა შორის, ჩხუბი რასაც ჰქვია, ჩვენს შორის არ მომხდარა. უბრალოდ ვიჭვიახე გიაბის თანაკურ-

სულ შოვლაზე და მინდოდა ხასიათის სიმტკიცე გამოემჩინა — მთელ კვირას გაბუტული დავდიოდი.

გიაშის გამოჩენამდე ჩემი სამყარო ეტეოდა სკოლასა და ძია მამედის სახლს შორის, ახლა კი იგი გაფართოვდა და, რაც მთავარია, მასში გამოჩნდა მრავალი ფერი და კიდევ რაღაც ისეთი, რამაც მას ახალი აზრი და ინტერესი შესძინა. თვითონაც სხვანაირი გავხდი. ეს იგრძნეს ჩემმა კლასელებმა — გოგობმაც, ახლა ისინი სულ უფრო ხშირად მიმულავენებდნენ თავიანთი ბატარა-ბატარა გულის საიდუმლოებებს, რჩევა-დარიგებას მეკითხებოდნენ. ზოგჯერ გიაშისაგან მოსმენილ ამბებს ჩემებურად ვუამბობდი დობილებს. ეს იმათ აინტერესებდა, ცნობის-მოყვარეობას უღვივებდა და ბევრი მათგანი ჩემს აზრს ახლა ანგარიშს უწევდა. არა, ჩემი ავტორიტეტი აშკარად მატულობდა. ბიჭებიც კი მომმართავდნენ ხოლმე რჩევისათვის: „გვითხარი, ფარუკ!..“ „ფარუკ, შენ რას ფიქრობ?..“ ერთმა ჩვენმა კლასელმა ბიჭმა შენიშნა: „ფარუკ, შენ იზრდები საზოგადოებრიობის თვალში!“ ჭეშმარიტად ასე იყო, რადგანაც მალე სასკოლო კედლის გაზეთის რედაქტორის მოადგილედ ამირჩიეს. როცა ეს გიაშს ვუთხარი, მან ხუმრობით ქედი მოიხარა ჩემ წინაშე:

— თქვენი საზოგადოებრივი კორესპონდენტი! იმედი მაქვს, რომ ცნობას ჩემი სიყვარულის შესახებ ცენზურა არ შეეხება.

უცბად მის სახეზე შეფიქრიანება და გულისტკივილი აღიბეჭდა. იგი მოიღუშა, ნიკაპით მუშტებს დაეყრდნო და დაიჩივლა:

— დღეს ინსტიტუტში უცხოელი სტუმრები გვეწვივნენ. მათ შორის იყვნენ ინგლისელები, გერმანელები და ფრანგები. მე ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც სტუმრებს დახვდა და ინსტიტუტის გაცნობისას თან ვახლდით.

— ალბათ, ჩინებულად შეასრულე ექსკურსიამძღოლისა და მასპინძლის როლი.

— საქმეც ის არის, რომ ვერა. ისინი სხვადასხვა ეროვნებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან, მაგრამ ერთმანეთს იოლად აგებინებენ, რადგან თითოეულმა რომელიმე მეორე ენაც იცის, ზოგი კი სამივე ენაზე ლაპარაკობს. მე კი არც ერთი არ ვიცი. სამარცხვინოა. ვინ არის ამაში დამნაშავე? დედაჩემი? განა მას შეეძლო ჩემთვის უცხო ენის მასწავლებელი დაექირავებინა? სკოლაა დამნაშავე? ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად. საოცარი ამბავია: საზღვარგარეთ, დასავლეთსა და აღმოსავლეთშიც, ისეთ ქვეყნებში, როგორც არის, მაგალითად, ინდოეთი ან იაპონია, სკოლისა და კოლეჯის დამთავრებისას მოსწავლემ უთუოდ იცის ერთი რომელიმე უცხო ენა, იცის თითქმის სრულყოფილად. ჩვენთან კი უცხო ენის სწავლება უკანა პლანზეა გადატანილი — ეს ძირითადი საგანი არ არისო. ერთი ჩემი თანაკურსელი ქალიშვილის ძმა მეცნიერებათა კანდიდატია, მაგრამ არც ერთი უცხო ენა არ იცის, თუმცა წესით მოვალეა იცოდეს...

— თუ ეს შოვლას ძმია, მაშინ ეს უბედურება შთამომავლობითი ყოფილა, — წავიენამწარე მე.

გიაშმა ყური მოიდვრინა ჩემს ენამწარობაზე და ნაღვლიანად განაგრძო:

— სახლში არ გვქონდა წიგნების კარადა და თაროც კი. იმ წიგნებს, რომლებიც ყრმობისას უნდა წამეკითხა, ვკითხულობდი ჭაბუკობის ასაკში და ბევრი რამ, რაც უნდა წამეკითხა, დღემდე ვერ წავიკითხე. ახლა ლექციებს გვიკითხავენ ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს, პლატონის, არისტოტელეს, კანტის, ჰეგელის, მარქსის, ლენინის თხზულებათა შესახებ და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა,

რომ მთის მწვერვალზე ავდივარ არა ბილიკებით, არამედ შვეულმფრენით. თითქოს ვახტებოდე საუკუნეებს, ათასწლეულებს. განა შეუძლია ადამიანს დასძლიოს უმაღლესი მათემატიკის კანონები, თუ არ შეისწავლა არითმეტიკის საფუძვლები? თუ ვინმე მკითხავს, რას მინდა მოვკიდო ხელი ინსტიტუტის დაშორების შემდეგ, მივუგებ: ანტიკური ეპოქის, ადამიანის გონების გაფურცების ხანის შესწავლას, და იქნებ დავამტკიცო, რომ ხელოვნებაში, მეცნიერებაში საგან განსხვავებით, არ არსებობს პროგრესი. განა ლეონარდო და ვინჩის რა-ფაელის ან მიქელანჯელოს ქმნილებანი თანამედროვე ფერწერასა და ქანდაკებაზე უკეთესი არ არის? განა ჰომეროსის, პეტრარკას, შექსპირის, ნიჰამის, რუსთაველის, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზია ვინმემ დაჩრდილა? ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს, რომლებიც ჭეშმარიტებას კამათსა და დისპუტებში ეძებდნენ, შეეძლოთ ესაუბრათ უსულო საგნებთან, კლდეებთან, ღრუბლებთან, ვარსკვლავებსა და ზღვის ტალღებთან.

— სკამებთან?

გიაში მიმიხვდა და თითქოს ღრუბლებიდან დედამიწაზე დაეშვა.

— აბა, როგორ მოვქცეულიყავი? ჩემთან ლაპარაკი არ გინდოდა, ამიტომ გადავწყვიტე წარმოდგენის მეოხებით სკამი სულიერ საგნად გადამექცია.

— ეს სულიერი საგანი მე ვარ?

— დაუშვათ...

— მერე, რა გიპასუხა სკამმა?

— მასაც ევგენი ონეგინით შესძლება მღუმარების შენარჩუნება მნიშვნელოვან კამათში, მაგრამ მას ერთი უთუო ღირსება ჰქონდა — შეეძლო მოთმინებით ესმინა თანამოსაუბრისათვის.

— მესმოდა შენი სიტყვები, რომლებსაც ჩემს მაგიერ მაღალზურგიან სკამს უზიარებდი.

— ძალიანაც კარგად ვგრძნობდი, რომ არ გეძინა და მხოლოდ თავს იმძინარებდი.

— ნეტავ რითი იგრძენი?

— სუნთქვით. მძინარე ადამიანის სუნთქვა განსხვავდება ფხიზელი ადამიანის სუნთქვისაგან.

გულწრფელობისათვის გიაში გულწრფელობითვე მივუზღე და ვუამბე, თუ როგორ ვამკითხაუებიან ბოშა ქალს, როდის შევრიგდებით-მეთქი.

გიაში სიხარულისაგან დანადვლიანდა. წინათ არასოდეს შემიმჩნევია ადამიანებისათვის ასეთი უცნაური სიხარული.

— ველარ მცნობ?

— ბოდიშს ვიხდი, ხანუმ, თქვენ შეგეშალათ, წინათ ჩვენ არასოდეს შევხვედრივართ.

შევევრებდი უცნობ ქალს და ძალა არ მყოფნიდა მისთვის თვალი მომეცილებინა. მას მრისხანე შესახედაობა ჰქონდა. იგი შეიარაღებული იყო და არაბულ მერანზე იჯდა. იქნებ ის არაბული მერანი არც იყო, მაგრამ უცნობის გარეგნობაში იყო რაღაც ზღაპრული, ლეგენდარული, და ამის გამო მისი ცხენი არაბული ლეგენდების ფრთოსან მერნად მომეჩვენა. მხედარ ქალს წელზე ქამრად ერტყა ოქროს გველი. კაბა მკერდზე ჩამოხეიდა და გარუჯული მკერდი მოუჩანდა, ხოლო წაბლისფერი თმა ტალღებად ეფინა მხრებზე. ამ ამორძალს ხელში შა-

შხანა ეჭირა. შიშისაგან გული დამეწურა, ველოდი, რომ იგი სროლას ატეხავდა.

მე ვკითხე:

— საით მიჰქრით ან თქვენს სახეზე რატომ არის აღბეჭდილი ასეთი გაბედულება და ნაღველი?

მან არაფერი მიპასუხა. მისი მერანი ნესტოებიდან ~~სტეცნღს~~ აფრქვევდა. იგი ყალფზე შედგა და გაჭენდა, მხედარიც თან გაიტაცა. მისი ~~მისი~~ ხელი აღმართა თავებს მალლა. ვიგრძენი, რომ ვილაც მიმზერდა, და მივიხედე. გაღიშებული შავგვრემანი ჭაბუკი მიყურებდა. ისიც უნაგირზე იჯდა და მისი ცხენი მოუსვენრად ფრონავდა. მტაცებელი ურინველივით კაუჭა ცხვირი ჰქონდა, მკერდზე ავტომატი ეკიდა. იგი ჩემ წინ ცხენიდან ჩამოხდა:

— ვერ მიცანი?

ვილაცას მივამსგავსე, მაგრამ მხრები ავიჩეჩე.

— ვერა, ვინა ხართ?

— მე ვარ ბაბა, გაამის ინსტიტუტელი ამხანაგი.

— მე კი უცბად ვერ გიცანით. მაგრამ, მოითმინეთ, თუ სტუდენტი ხართ, აქ საიდან გაჩნდით ან საით მიეშურებით?

— საბრძოლველად! სადაც უნდა ვიყო, ჩემი გული ბრძოლაშია.

— ის ხანუმი ვინ იყო, რომელსაც მთელი მოედანი აღფრთოვანებული ესაღმებოდა?

— ეს ხომ სარია იყო! გახსოვს, რომ გაამბობდი? სარია შაჰსევიანი.

— ბაბა, — შევაწყვეტინე სიტყვა. — გაამი სადღაა?

— იქ არის, სადაც მე და შენ გავიცანით ერთმანეთი. ნუ წუხხარ. სარია მხოლოდ მე მეძახის ყოველ დამე. მეც ვეხმიანები. ტყვია, რომელიც სარიასთვის არის ჩამოსხმული, მე მიპოვის.

— გიყვარს სარია?

— სიცოცხლეზე მეტად.

— იგი მაშინ გაიცანით, როცა ლეგენდად გადაიქცა?

— არა, იქამდე. ის უბრალო გოგო იყო და სროლის ხმისა ისე ეშინოდა, როგორც შენ გეშინია ახლა. შემდეგ მან პატრონტაში შემოირტყა. მტრებმა რომ დაინახეს, სიცილით დაიხოცნენ: ახლა უკვე ვიცით, სად უნდა ჩავარჭოთ სავარცხლებიო. სარიამ ცხენი შეკაზმა და გააჭენა. მტრებმა კვლავ ჩაიცივნეს: მერე რა, ყველა გლეხის ქალმა იცის ცხენზე ჯდომაო. სარიამ იარაღი აიღო. მტრები დასცინოდნენ: ყურებში თითები დაიცვი, როცა გაისვრი, თორემ სული გაგეპარებაო! სარიამ ზუსტი სროლა ისწავლა. მტრებმა დევნა დაუწყეს: ხელში თუ ჩაგვივარდი — ჩამოგაზრჩობთო! სარია ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, მას კი ას სახლში ეძებდნენ. სარია მთებში იმალებოდა, მტრებს შესძულდათ მთები. თავდაპირველად მათ პირადად მისი ეშინოდათ, ხოლო შემდეგ მისი სახელიც კი სცემდათ თავზარს. ათასობით ქალიშვილს მოუნდა სარიასთვის მიებაძა. მის სახელს მეგობრები წარმოთქვამდნენ სიყვარულით, მტრები — სიძულვილით, სარია იცინოდა: ჩემს მიმართ გულგრილი არავინ არისო!

მოლაც კი შეეცადა შთაეგონებინა სარიასთვის:

— შეხედე, შვილო! ხელში ყველაზე ძვირფასი წიგნი მიჭირავს. იგი თვითონ წინასწარმეტყველმა მუჰამედმა დაწერა. ვფიცავ ყურანს, თუ იარაღს დაპყრი, თითსაც არავინ დაგაკარებს. ქალს იარაღი არ უხდება. ქალმა აკვანი უნდა არწიოს და დააჭიროს გულის სწორი, ჩააბარე იარაღი.

— კარგი, წინასწარმეტყველის მსახურო, იარაღს ჩავაბარებ, მაგრამ ჩემს მეგობრებსაც ნურავინ ახლებს ხელს.

— გეფიცები! ჩააბარე ჯარისკაცებს იარაღი!

სარიამ ჯარისკაცებს გაუწოდა შაშხანა, რის შემდეგ მათ იგი ვაჭარებს და სიცილ-ხარხარით დილეგში ჩააგდეს. გამოვიხსენით ჩვენი სარია და კვლავ იარაღი მივეცით. იგი უნაგირს მოახტა და შეჰყვირა:

ეროვნული
გინჯ-გინჯი

— სად არის შენი ფიცი, მუხთალო მოლაჟ?!
მას შემდეგ სარიას სხვა სიტყვისა სჯერა. ეს სიტყვა მაკერია მეც პირზე...

გამომეღვიძა. ღამის მეორე საათი იყო. ძია მაძედი სამუშაოდან დაბრუნდა და ფეხაკრეფით შევიდა სამზარეულოში. გიამს უცოდველივით ეძინა. თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ეტყობა, არაფერი იცოდა სარიას სიკვდილის შესახებ... თვალგახელილი ვიწექი და ვიხსენებდი ყველაფერს, რაც შფოთიან და უცნაურ სიზმარში ვნახე, რომელშიც ერთმანეთში იყო არეული დრო, არაადამიანური სახეები, შორეული მოვლენები და რაღაცით ჩემი სულისათვის მახლობელი წარმოდგენები.

მე გავიფიქრე: გიამის სარიასაც ხომ სარია ჰქვია. რა არის ეს — უბრალო დამთხვევაა თუ ჩემი წარმოდგენით შექმნილ სარიასა და ძია მაძედის ცოლს შორის არსებობს რაღაც სივრცობრივი, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი და აუხსნელი ერთიანობა. და მათი ერთიანობა ის ხომ არ არის, რომ ორივემ ჩემს გულში დაიბუღა? ყველაფერი გამოუცნობია და ფარული ამ სამყაროში.

(გაგრძელება იხ. „საუნჯე“ № 3)



სსოპრება მალალ საზოგადოებაში



ინგლისურიდან

თარგმნა ციკლა თოფურიძე

ჯონ ბრეინი (1922-1986) ეკუთვნის ინგლისელ მწერალთა იმ ჯგუფს, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (ორმოცდაათიანებში) უწოდეს „გაჯავრებული ახალგაზრდები“. ყოველი მათგანის შემოქმედება ინდივიდუალური გზით წარიმართა და ეს სახელიც დავიწყებას მიეცა. მაგრამ ორმოცდაათიან წლებში სწორედ „გაჯავრებულებმა“ გამოაცოცხლეს ინგლისური ლიტერატურა და სოციალურ-ფსიქოლოგიური რეალისტური ლიტერატურის ახლებური შესანიშნავი ნიმუშები შექმნეს.

„გაჯავრებულ ახალგაზრდა“ მწერლებს არ გამოუშვიათ რაიმე თავიანთი ლიტერატურული მანიფესტი, არ ჩამოუყალიბებიათ თავიანთი ესთეტიკური კრედო, არ წარმოადგენდნენ რაიმე ორგანიზებულ ჯგუფს, მაგრამ მათ შემოქმედებას აქვს საერთო სპეციფიკური ნიშნები, რაც ძირითადად ვლინდება ამ ლიტერატურისათვის დამახასიათებელი გმირის ე.წ. „გაჯავრებული ახალგაზრდა კაცის“ სახეში. ისინი წარმოშობით მეტწილად მუშათა და წვრილმწარმოებელთა ფენებს ეკუთვნიან, ქორწინების გზით იკავებენ მაღალ ადგილს სოციალურ კიბეზე. ასეთია გრეგნულად ძირითად შტრიხებში „გაჯავრებული“ პროტაგონისტის მიერ მოპოვებული წარმატება, რომელიც მოგვაგონებს ბანალური შინაარსის რომანებს ბედნიერი დასასრულით. სინამდვილეში „გაჯავრებული“ გმირი რთული პიროვნებაა, უკმაყოფილო და გაღიზიანებულია თავისი შინაგანი გაორებით. ერთის მხრივ, ის არჩევს დაიკავოს და შეინარჩუნოს მდგომარეობა წარმატებულ საქმოსანთა სამყაროში, მეორეს მხრივ, მისი პასიური ანბოხი ამ სამყაროს წინააღმდეგ ლოგიკურად კომპრომისით მთავრდება. ის აშკარად ხედავს, რომ მორალურად განადგურებულია, მტკივნეულად განიცდას, რომ ადგილს „ზემოთ“ ანაცვალა თავისი ადამიანური ღირსება, თავად ეზიარა სნობიზმს, სიყალბეს, პირფერობას, ადამიანისადმი უნდობლობას. ამიტომაც, გასაგებია, რომ მის წარმატებას არ ახლავს ბედნიერებისა და სიხარულის შეგრძნება. პირიქით, იგი ჯავრობს, ბრაზობს, კიცხავს თავის გარემომცველ სინამდვილესა და საკუთარ თავსაც. ამ თვალსაზრისით ჯონ ბრეინის გმირი ჯო ლემპტონი „გაჯავრებულ ახალგაზრდათა“ შორის ყველაზე მეტად „გაჯავრებულია“.

პირველი რომანი ჯო ლემპტონზე — „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“ — 1957 წელს გამოქვეყნდა და ერთბაშად დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. რომანის მიხედვით ინგლისელმა რეჟისორმა ჯეკ კლეიტონმა 1958 წელს გადაიღო ფილმი ფრანგი მსახიობი ქალის სიმონა სინიორეს მონაწილეობით. ქართველი მაყურებლისთვისაც დღემდე დაუვიწყარია ამ ფილმიდან სიმონა სინიორეს ელისა და ლოურენს ჰარვეის მიერ შექმნილი ჯო ლემპტონის სახე.

ისევე როგორც გოლზუორთი აღწერს ფორსაიტების ოჯახის ამბავს, ბრეინმაც განიზრახა შეექმნა რომანების სერია ჯო ლემპტონზე და 1962 წელს გამოაქვეყნა ზემოხსენებული რომანის გაგრძელება — „ცხოვრება მაღალ საზოგადოებაში“. ნიშანდობლივია ორივე წიგნის ინგლისური სათაურების სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა: „Room at the Top“ — „ადგილი ზემოთ“ და „Life at the Top“ — „ცხოვრება ზემოთ“.

ეროვნული

პირველ ნაწარმოებში ნაჩვენებია მუშათა წრიდან გამოსული დარბაზისა და ჯო ლემპტონის სვლა „ზემოთ“. მოხერხებულად, აუღელვებლად, გულგრილად ნიბლავს ის ფირმის მდიდარი მეპატრონის ქალიშვილს სიუზენ ბრაუნს, რომლის ცოლად შერთვას აპირებს, რათა საზოგადოებაში ადგილი და მდგომარეობა მოიპოვოს. ასეთია მისი საბოლოო პრაგმატული გადაწყვეტილება. და ამას სჩადის იმ დროს, როდესაც ელის ვისგილი ერთადერთი პიროვნებაა, ვისთანაც აკავშირებს წრფელი სიყვარული და მხოლოდ მასთან ურთიერთობა ანიჭებს ჭეშმარიტ ბედნიერებას. ელისმა, რომელიც თავის მარტოობაში ჩამირული მეტ-ნაკლებად შეგუებული იყო გულცივი, ეგოისტის, ამპარტავანი მდიდარი ქმრის ჯორჯ ვისგილისადმი მორჩილებას, ჯოსთან პირველად განიცადა სიყვარული და ადამიანური ურთიერთგაგება, მაგრამ ჯოს გაანგარიშებული, პრაქტიკული ნაბიჯი ცხოვრებაში, რაც ფაქტობრივად უღმობელი დალატის ტოლფასი იყო, ვეღარ აიტანა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მეორე წიგნში მოქმედება ვითარდება ჯოს ქორწინებიდან ათი წლის შემდეგ. ის ძველებურად გაორებულ პიროვნებად რჩება: ერთის მხრივ, გაბრაზებულია, გაჯავრებული და უკმაყოფილოა ბრაუნების გარემოთი და თავისი თავით, ხშირად სინანულით იგონებს ელისს, მაგრამ, მეორეს მხრივ, როგორც წინდახედული კარიერისტი, ერიდება და უარყოფს ყველაფერს იმას, რაც ცხოვრების პრაქტიკულად მოწყობა-წარმართვაში დააბრკოლებს.

ჯონ ბრეინი არაერთი რომანის ავტორია. 1962 წელს მან იმოგზაურა საქართველოში.

„გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“ ქართულ ენაზე 1964 წელს გამოქვეყნდა. მეორე რომანის თარგმანიც გამზადებული იყო გამოსაცემად, მაგრამ სტამბამდე ვეღარ მიაღწია, რადგანაც ბრეინმა ამერიკის პოლიტიკისადმი ლოიალობა გამოიჩინა, რაც საბჭოთა იდეოლოგიის მესვეურებმა ვერ აპატიეს ინგლისელ მწერალს, რეაქციონერად გამოაცხადეს და მისი წიგნებიც აკრძალეს. ასე რომ, ქართველი მკითხველისათვის უცნობი დარჩა ჯო ლემპტონის შემდგომი ბედობა. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ბრეინის რომანის „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“ გაგრძელებას, სათაურით „ცხოვრება მაღალ საზოგადოებაში“, რომელიც ინგლისურიდან თარგმნეს ციალა თოფურიძემ და ნოდარ ბადრი-აშვილმა.

მთარგმნელი

1

ქუთუთოები ამიწია და გამაღვიძა ჩემმა გოგონამ. მერე საბნის ქვეშ შემოსრიალდა, გაღიძებული მომიწვა გვერდით და კისერზე მკლავები მომხვია. ამის ნებას მას არ აძლევდნენ, სიუზენის გაღვიძებამდე უნდა წასულიყო. მე კი ექიმ სპოკის რჩევას არად ვაგდებდი და ბავშვს ნებას ვრთავდი ჩემს საწოლში ენებივრა. აი თუნდაც ახლა, ამ წუთშიც ისეთი პატარა და ლამაზი იყო, თანაც ისეთი უმწეო — სახე ვარდისფრად უღუოდა, ქერა თმა გაწეწოდა, — თითქოს რა-

ღაც საშინელება უნდა დასტყომოდა თავს. ეს ქვეყანა ბავშვებისათვის როდია შექმნილი.

თვალწინ წარმომიდგა ავარიასში მოყოლის შედეგად დასახინრებული თუ ავადმყოფობით დაძაბუნებული მისი სხეული. საზარელი წარმოხატვა რომ გამეფანტა, ვაკოცე და გულში მაგრად ჩავიკარი. აქ ხომ არაფერი ემუქრებოდა თუმცა, ვინ იცის, რამდენად საიმედოა დღევანდელ დღეს მშობლიური კერა.

დიდი წაბლისფერი თვალები — სიუზენის თვალები მომაპყრო და ნიკაპზე ხელი მომიცაცუნა.

— რა გაუპარსავი ხარ, მამიკო.

— არა უშავს, — ვუთხარი, — ხომ იცი, ბარბარა, აქ ყოფნას გიკრძალავენ, ყოველ კვირა დილას ერთსა და იმავეს ვუმეორებდი.

— ისეთი სასიამოვნო თბილი ხარ, მამიკო, თბილი გოლიათი.

ზოგჯერ სიტყვებს სწორად ვერ აწყობდა, რაც ოთხი წლის ბავშვს, ცხადია, ეპატიება, მაგრამ რისი თქმაც უნდოდა, იმას ყოველთვის ახერხებდა. მფარველად მივაჩნდი, განურჩევლად იმისა, თუ რას წარმოვადგენდი. ტუალეტის მაგიდაზე, თმის ჯაგრისის ვერცხლის ტარზე მზის სხივები აციმციმდა. ერთბაშად უსაზღვრო ბედნიერების გრძნობამ ამიტანა.

გულაღმა დაუწევი და თვალები დავხუჭე. არსად არ მიმეჩქარებოდა. არ მეგონა, ასეთი გადაღლილი თუ ვიყავი. ჩემ გვერდით სიუზენს კვლავ ეძინა, მისი სუნთქვა მესმოდა. გუნებაში გამეღიმა. ცხრა წელია ცოლ-ქმარი ვართ და თითქოს პირველად წუხელ ვიხილე. თვალს არ ვაშორებდი, დაფინებით ვუმზერდი, თითქოს მინდოდა გამომეცნო, ვინ იყო ეს უცხო შიშველი ქალი. მაგრამ ამოდ. ამის გაგება ჩემთვის არც გონივრული იყო და არც საჭირო. „თბილი გოლიათები“ მოვლენებსა და საგნებს ისე იღებენ, როგორც ისინი არიან და არ სუბობენ.

ბარბარამ ისევ ამიწია ქუთუთოები.

— გაიღვიძე რა, მამიკო.

— მამიკოს რომ ეძინება, ბარბარა? — დავამთქნარე. — მამიკო მთელი კვირა მუშაობს, ფული რომ იშოვოს. კვირა დღეს მაინც ხომ უნდა დაისვენოს.

— რატომ შოულობს ფულს?

— იმიტომ, რომ დედიკოს და მამიკოს, ჰარის და ბარბარას სახლი ჰქონდეთ. სასმელ-საჭმელიც...

— ჰარი სკოლაში ცხოვრობს. იქ სახლიც აქვს, საჭმელიც და სასმელიც.

— ჰარის სკოლაში შესანახად მამიკომ ხომ უნდა იშოვოს ფული, გარდა ამისა იყიდოს პიჯამები, კაბები, თოჯინები, ველოსიპედები და კიდევ ათასი რამ.

აი ეს ღია ნაცრისფერი ფარდაგი, მთელ ოთახს რომ ფარავს, ეს მონაცისფრო ღია მოყვითალო შპალერი, კედელში ჩატანებული გარდერობი, ტუალეტის მაგიდა, კანფეტის ქალაღივით ზოლიანი ზეწრები, უცხოური დივან-საწოლი ახალმოდური სასთუმლით, — ეს ყველაფერი ახალია. ეს სახლიც მხოლოდ სამი წლის წინ ვიყიდეთ. ღინეტ როუდიდან იმიტომ ვადმოვედით, რომ ამ ქუჩაზე ქალაქის მუნიციპალიტეტმა სახლების მშენებლობა წამოიწყო და ამკარად ეტყობოდა მომავალში იქაურობა მდიდრულ იერს დაჰკარგავდა და კაცმა არ იცის რას დაემსგავსებოდა. უფრო ადრე კი ჰარის დაბადება იყო მიზეზი, პადნი ლეინიდან რომ ვადავედით. პადნი ლეინი ჩასახვევია გილდენის გზატკეცილზე. ძალიან ძველი სახლი იყო, მეტისმეტად დიდი, სიუზენი მარტო ვეღარ აუდიოდა საქმეებს. თანაც განცალკევებით იდგა, მიყრუებულ ადგილას.

თუმცა მე მომწონდა და დღემდეც მენანება. აკი თავის დროზე თვითონ ავირჩიე და ამდენად, ჩემი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს „ბე“ მე შევიტანე და გადასახადებსაც ასე თუ ისე ვუძლებდი. კარგად მახსოვს, ახლანდელი სახლს გასაფორმებლად ჩვენს ნოტარიუსს რომ ვეწვიეთ, რა სახე მიიღო, როცა შეიტყო, ფული საიდან გვქონდა, უფრო სწორად, მისი დიდი ნაწილი, ზუსტად ვერ ვიტყვი, რა გამოძეგვებელია ჰქონდა, ვერც ვერაფერში წაედავებოდა, მაგრამ რამ უდავოდ ზიზღით კი შემომხედა და მერე შურით აღსავსე, ვნებამორჩეული მხერა სიუზენზე გადაიტანა. ცხადია, ამას ჩემ გარდა სხვა ვერავინ შეამჩნევდა, მაგრამ მდიდარი კაცის ქალიშვილი როცა გყავს ცოლად, ასეთი რამ არ გამოგვპარება.

ბარბარა თმაში მწვლა და მომქაჩა:

— კიდევ არ დგები, მამიკო?

— აგრე იყოს, — ვუთხარი, — იცი, რას გეტყვი. მოდი, დედიკოს ჩაი მოვუმზადოთ.

— მე კი წვენი. ტკბილი, გემრიელი წვენი, ცივი, ცივი წვენი. ყინულიანი.

ჩემი ხალათი იატაკზე ვგდო, ასაღებად გადავიწიე, მაგრამ ბარბარამ ხელი დასტაცა, ოთახიდან გავარდა, კიბიდან გადააგდო და ტირილი მორთო. გაოცებული შევეყურებდი.

— რა დაგემართა, სულელო-ბულელო?

— მეჯავრება, — თქვა, — მეჯავრება. მუდამაც მეჯავრებოდა. მინდა ფუმფულა ხალათი ჩაიცვა...

— ჯერ შენ თვითონ ჩაიცვი ხალათი. ჩუსტებიც.

საწოლ ოთახში შევბრუნდი ჩუსტებისა და ფუმფულა ხალათის ჩასაცმელად. ეს ხალათი პადნი ლეინზე რომ ეცხოვრობდით, მაშინ ვიყიდე. აქლემის წმინდა ბეწვისაა, თუმცა ახლა უფრო გაბურძენული ჩანს, ვიდრე რბილი და ფუმფულა, თანაც ყოველთვის ძალიან დიდი მქონდა. პადნი ლეინზე, ყინულივით ცივ სააბაზანოში და ვეებერთელა დერეფნებში, სადაც სულ გამკრავი ქარი ქროდა, ეს სქელი შალის ხალათი დიდ სიამოვნებას მგვრიდა, მაგრამ ახლა კაცმა რომ თქვას, არაფრად მარგია. ცენტრალური გათბობის წყალობით მთელ სახლში ისე ცხელა, მგონი, ტანსაცმელიც ზედმეტია. გათბობის წინააღმდეგი როდი ვარ, ოღონდ დროდადრო — ალბათ ჩემი ჭირვეულობის ბრალია — მენატრება ის საამო განცდა, ეს ხალათი რომ მანიჭებდა ზამთრის ცივ დღეებში დილდობით, ისევე როგორც მენატრება დიდი სამზარეულოს ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი. თუმცა მაინცდამაინც აღარც ეს მაწუხებს, ამ ბოლო დროს დღითი დღე ნაკლებ მაწუხებს ასეთი რამეები.

ბარბარა დაბრუნდა თავის ვარდისფერ ხალათში გამოწყობილი, თავზე კაპიშონი ჩამოეცვა.

— აჩიკუდა, მამიკო, ჩემი ფაფარა რაში იყავი, რა!

დავიჩოქე, მხრებზე მხედარივით შემომაჯდა. სხვაგვარად კიბეზე არ აღიჩამოდიოდა. კიბეს ნელ-ნელა ჩავყევი, ვცდილობდი კედლისკენ მევლო. მთელი გზა ტიკტიკებდა, სიტყვებს ყლაპავდა, ყოველთვის ასე იცის ხოლმე, როცა აგზნებულია, რამდენადაც გავარჩიე, ისევ თავის ზღაპარს ჰყვებოდა, სადაც მეც უწინაწილეობდი ხან ჩემი და ხან ფაფარა რაშის სახით, იყო კიდევ „ციფვის ხეობა“ და იქ ციხე-დარბაზი. ხოლო ყველას შიშის ზარს სცემდა, ვგონებ, სხვა გოლიათი, და არა „თბილი გოლიათი“, — მაგრამ ბარბარამ ვიღაცა გადაარჩინა და თვითონაც გადაარჩინეს.

პოლში ჩავედით, ფანჯარასთან დავიჩოქე და ბარბარა რაფაზე შემოვსვი.

ვალუზები ავწიე. სამხრეთით, „ციყვის ხეობის“ სიღრმეში სინდრემის ციხე-დარბაზი მოჩანდა. ტომ სინდრემი ამ თორმეტი წლის წინათ გარდაიცვალა. მახსოვს, ერთ საღამოს „ტრაგიკოს მსახიობთა“ რეპეტიციაზე ბობ სტორიმ დამანახა სინდრემი. პატარა ტანის ხმელ-ხმელი მოხუცი იყო, ნამდვილად მოსახსნელ გულისპირს იკეთებდა. ბობმა რაღაც შიშითა და რილით მაუწყა, მაგისტანა საძაგელი და გაქნილი ბებერი მთელ იორქშირში არეკრებდნენ, — თითქოს მთელ ქვეყანაზეო, უნდოდა ეთქვა. ასიათასიანი ჩვენი — შვეიცარიის — გასცეს დამის თანხას არაფერი მოაკლდებაო. მაგრამ, როცა სინდრემი გარდაიცვალა, — სულ ძალე მას შემდეგ, რაც უორლიში გადმოვიდით, — სახელმწიფო გადასახადთა განყოფილების ვალი ზუსტად ასი ათასი დარჩა და მათ ერთი პენიც ვერ მიიღეს. ვერც ის დაადგინეს, რაში დახარჯა ამდენი ფული. სწორედ ამიტომაც იგონებდნენ უორლიში სინდრემს ერთგვარი თანაგრძნობით.

ახლა სინდრემი ცოცხალი აღარაა და საგრაფომ მის დიდებულ კარ-მიდამოში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრი მოაწყო. უიკ-ენდზე იქ ტარდება ლექციები თეატრზე, მგონი, „თანამედროვე თეატრის ასპექტებზე“. გუშინ დღის მეორე ნახევარი ერთ საზოგადოებაში გავატარე, „ტრაგიკოს მსახიობთა“ ჯგუფის წევრები გავიცანი. მსახიობებმა ლექციებზე მიმიწვიეს, მაგრამ უარი ვუთხარი. ახლა კი დილის ნისლში გახვეულ სინდრემას ციხე-დარბაზის კომპიუტერებსა და სათოფურებს რომ გავხედე, დამენანა, რატომ ვთქვი უარი, მაშინ ხომ ვეტყოდი ბარბარას, იქ ნამყოფი ვარ-მეთქი. სინდრემის კარ-მიდამო ბარბარას წარმოდგენაში ნამდვილი ციხე-სიმაგრეა. აი, უკვე თრმოცდათი დღეა ყოველ დილას, როგორც წესი, პოლის ფანჯრიდან შეჰყურებს ხოლმე სინდრემის ციხე-დარბაზს. არ იცვლება არც ეს წესი, არც მისი ზღაპარი. ციხე-დარბაზს მუდამ გარინდებული უმზერს, ჩანს, მოსწონს, ამ დროს სუნთქვას რომ ეკვრება. მერე ერთბაშად მობრუნდება ჩემკენ და მიცხადებს, ბარბარა შინ დაბრუნდეთ.

წელიწადის დროთა მიხედვით ბევრი რამ იცვლება ხოლმე. როცა ეს შინ დაბრუნდება თოვლიან თებერვალში ხდება, ბარბარას ხატოიანი ნამცხვარი ახსენდება. ამ დილით, სამზარეულოსაკენ რომ გავწიეთ, ყვავილებზე ატიკტიკდა.

— ყვავილები, — იმეორებდა გაუთავებლად, — ბევრი, ბევრი ყვავილი, ნაირ-ნაირი. — მერე ზღაპარი შეწყვიტა და შემომატქერდა: ონკანიდან ჩაიდანს როგორ ვავსებდი.

— ახლა წვენი, — თქვა და ხტუნვას მოჰყვა, — ჩემი წვენი, ჩქარა, ჩემი წვენი! ელექტრონის ქურა ჩავრთე. ბარბარას სახე დაემანჭა.

— მაძიკო, წვენს არ მიმზადებ? რატომ არ მიმზადებ წვენს?

— ნუ ხარ სულწასული და ანცი.

— მე ანცი არა ვარ. ანცი შენა ხარ.

— არ გეგონოს, ჩემო კარგო, მთელი ქვეყანა შენთვის იყოს შექმნილი, — ვუთხარი და თავად არ მჯეროდა საკუთარი სიტყვებისა. მე რომ მკითხოთ, მთელი ქვეყანა მართლაც მისთვის იყო შექმნილი.

ჰარისადმი ამგვარი გრძნობა არ მქონია, მაშინაც კი, როცა იგი ბარბარას ხნისა იყო. უცნაურად გამირბოდა და იმდენად თვითკმაყოფილი ჩანდა, ზოგჯერ ჩემდა უნებლიეთ თავს დამნაშავედაც კი ვთვლიდი მის წინაშე. ახლა ერთი წელია სკოლაში სწავლობს და, მგონი, სულაც აღარ ვესაჭიროები. ერთბაშად გამახსენდა, რომ ისიც კი არ ვიცი, იმ წუთას სადაა. დილა ნაკლებ ნათელი მეჩვენა, კედელში ჩატანებული გადმოსაკეცი პლასტმასის მაგიდა, ირგვლივ შემო-

დგმული ოთხი სკამით, კაფეს უფრო მოგავიწყებდათ, ვიდრე ოჯახს, ხოლო ვარდისფერი შპალერი, ზედ გამოხატული რაღაც დღესასწაულით, — მგონი, მექსიკურით, — ზედმეტად ჭყეტელა და მყვირალა მეჩვენა. კედლებში ჩატანებული კარადები ღარი სილვინგტონმა, „ტრაგიკოს მსახიობთა“ სპექტაკლების გამფორმებელმა, საგანგებოდ მოხატა და საშობაოდ სიუზენს მიართვა. მათზე გამოსახული იყო სიუზენი ოთხ მთავარ როლში. „ჩემო კარგო, იმ წატირებულ ბის სამახსოვრო იყოს, სადაც თქვენი მონაწილეობა აღტაცებითა და დიდძალი ყოფილებით მოგვაგონდება მუდამ“, — სწერდა ღარი. ძალიან ღამაში ნახატებია, სიცოცხლით სავსე, გონებასახვილური. ღარიმ ხაზის ერთი მოსმით, ფუნჯის ერთი მოქნევით მართლაც მიაღწია მოძრაობისა და ხასიათის ცოცხლად წარმოსახვას. ასეთი შესანიშნავი საჩუქარი სიუზენს საშობაოდ არასოდეს მიუღია და ღარიც უდავოდ მისგან კოცნას იმსახურებდა. ჩინებული მეგობარია, არ დაზოგა დრო და მონდომება. ფანტაზიაც არ აკლდა, სხვებზე ათი თავით მაღლა დგას... და მაინც ჩვენი ძველი სამზარეულოს კარადა მენატრება, ახლა გარაჟში რომაა გაგდებული. ჩემი იყო და ამიტომაც მენატრება, დეიდა ემილიმ მაჩუქა ქორწილზე, ჩემ გარდა, აბა, სხვას ვის მოენატრება. მის გაქრობას დეიდა ემილი სულაც ვერ შეამჩნევს, მგონი, ჩვენთან სტუმრად მოსვლას არც აპირებს. ჯერ ხომ უნდა დაუპატიჟოთ, განა ასე არაა?

მაცივრიდან ფორთოხლის წვენიანი თუნუქის ქილა გამოვიღე, შევანჯღრიე და დოქში გადმოვასხი. ყინულიან თასებსაც ცხელი წყალი გადავაკლე; ყინულის კუბიკები თავისუფლად ამოძრავდა, ოთხი მათგანი ბარბარას ვარდისფერ პლასტმასის ფინჯანში ჩავაგდე. იყო დრო, როცა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ერთი თითქოსდა უმნიშვნელო ამბავი: როცა მომეხასიათებოდა, ყოველთვის შემქმნელი ცივი ფორთოხლის წვენი მიმერთვა. ახლა კი ჩემთვის მაცივარი იმით არსებობს, რომ ბარბარას ჭირდება.

სიგარეტს მოვუკიდე. ბარბარამ ჩუმად ჩაახველა და უკმაყოფილოდ ამომხედა. ასეთი გამომეტყველება ძალზე მშვენიოდა. მის სახეს უფრო ვიქტორიანულს ვამსგავსებდი: ოვალური პირისახე, მოკლე ზედა ტუჩი, მაღალი შუბლი და ისეთი ცხვირი, ერთ მშვენიერ დღეს ალბათ ბერძნულს დაემსგავსება.

- რა სამავლობაა საუზმის წინ სიგარეტის მოწევა, — მითხრა.
- ვიცი, მაგრამ უარესიც შეიძლება გავაკეთო.
- უარესი რაღა უნდა იყოს, მამიკო?
- საუზმის წინ დაელიო.
- საუზმის წინ მეც ხომ ვსვამ. რა სულელი ხარ, მამიკო.

— ვარ, — მართლაც სულელი ვარ-მეთქი, გავიფიქრე. განა რომელი ჭკუათმყოფელი ეტყვის ოთხი წლის ბავშვს ასეთ რამეს? ან რატომ ვუთხარი? ისე კი, დალევა მართლა მომიხდა, მომიხდა რაღაც ისეთი, რაც ჩემ ირგვლივ საგნებს გააბუნდოვანებდა. ნისლივით ჩადგებოდა ჩემსა და ამ ნივთებს შორის, ამ ვარდისფერ შპალერს, ამ ვარდისფერ კარადას, თეთრ მაცივარს, ელექტროლუმებს, მიქსერს, ვარდისფერ გადმოსაკეც მაგიდას, ვარდისფერ ქსოვილით გადაკრულ სკამებსა და ჩემ შორის, ეს ყველაფერი მეტისმეტად ელვარებდა და კრიალებდა, მეტისმეტად პიგიუნურად გამოიყურებოდა დილის რვა საათზე, როცა ჰარლინგ კრესენტს მძიმედ აწვა ამ მარტის დილას კვირა დღის სიმშვიდე და როცა ყველაფერი ეს უმოწყალოდ, მაგონებდა, რომ უკვე ოცდათხუთმეტი შემისრულდა, ორი შვილის მამა ვარ და სულ ცოტა ათი გირვანქით დაემძიმდი.

დაუჯექი, ბარბარა მუხლებზე შემოვისვი. ახლა უკვე მისი მფარველი აღარ

ვიყავი, ახლა თვითონ მიფარავდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რისგან. ოღონდ ის კი დანამდვილებით ვიცი, სანამ ასე განუყრელად ერთად ვიქნებით, ცუდი არაფერი შემემთხვევა. ფორთოხლის წვენი ბოლომდე ამოწრუპა, გადმოსაკვც მაგიდაზე დადგა ფინჯანი და მითხრა:

— მაშიკო, იცი, ძალიან მიყვარხარ.

— მეც ძალიან მიყვარხარ.

მაკოცა და იმავე ხმაზე განაგრძო:

— ჰარიმ უკვე ისაუზმა, ჰო, ისაუზმა, ახლა თავისი ჩიტების მოსაველე-
დაა წასული.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს, — სამზარეულოში მიმოვიხედე. არსად არ ეყარა გაურეცხავი ჭურჭელი, არც ნამცეცები, იქაურობას არ დასტყობოდა, ჰარი თუ მარტო იჯდა და თავისთვის ჭამდა ან სვამდა. ათი წლის ბავშვის კვალობაზე მეტისმეტად წესრიგიანი ბიჭი იყო, მაგის ხნის რომ ვიყავი, რომელ ოთახშიაც ფეხს შევდგამდი, ისე ავანგრევ-დავანგრევი იქაურობას, თითქოს გრიგალმა გადაუარაო. წარმოვიდგინე აქ, სამზარეულოში მარტო როგორ საუზმობდა და ერთბაშად გული მეტკინა; თითქოსდა ჰარის ვულაღატე, მეც მასთან უნდა ვყოფილიყავი. მამაჩემს ყოველ კვირა დღეს სასეირნოდ დავყავდი, ბავშვობა მშობლებთან შინ გაუატარე და არა უცხო სახლებში. ჰარი კი საშუალო კლასის ხორცსაკვებ მანქანაში უნდა გაეტარებიათ; ამ შემთხვევაში ეს იყო სენტკლერთა გვარის საკადრისი ხორცსაკვები მანქანა. დაწყებითი სკოლა ჰარის ბებიამისმა შეურჩია, ასევე შეურჩევს ალბათ საშუალო სკოლასაც.

ჩაიდან ადუღდა. ბარბარა ნაზად ჩამოვსვი და ჩაის დაყენებას შევუდექი. პატარა ჩაიდან ჯერ უნდა გააცხელო, მერე დიდ ჩაიდანზე დადგა, მერე ყოველ ჭიქაზე თითო ჩაის კოვზი ჩაი და კიდევ ერთი ზედმეტი კოვზი ჩაყარო. თუმცა ახლა ჩაის დამზადების წესი კიდევ უფრო დაიხვეწა. სხვადასხვა ჯიშის ჩაის ერთმანეთში ურევენ. ბოლო დროს ჰორნიმანის „დირექტორზის“ ორ წილზე ერთ წილ ტუანინგის. „ერლ გრეის“ იღებენ. სიუზენი ამ ჩაის უშაქროდ, ლიმონიანს სვამს. დღესაც ალბათ ჩემს სიმამრსა და მარკს ისევ ამ თემაზე ექნებათ საუბარი. უნდათ მაიძულონ წონაში დავიკლო და ესეც ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. პატარა ჩაიდან სამი წუთი იდგა, ფინჯანში ჩაი დავისხი, ხუთი კოვზი შაქარი ჩავიყარე და ჩაიდან ცხელი წყლით შევავსე. ჩაი სწრაფად გადაკარი და ფინჯანს წყალი გამოვავლე; ეს პატარა გამარჯვება იყო, გავშხნევი, თითქოსდა ორმაგი ვისკი გადაძეკრას.

საწოლ ოთახში სიუზენს ჩაი შევუტანე, კვლავ ეძინა. ნაზად შევარხიე და მერე ქუთუთოები ავუწიე. გამიღიმა. „რა კარგი ჯოეკინზი ხარ“. ვაკოცე, თავისკენ დამხარა, მკლავი ისე მაგრად შემომაჭლო კისერზე, სული ვეღარ მოვიტყვი, იძულებული შევიქენი თავი გამომენთავისუფლებინა.

ბარბარას ისევ წამოეცვა თავზე ხალათის კაპიშონი.

— რა კარგია მაშიკო ჯო, რა ძალიან კარგი. — თქვა მან, — წვენი დამალე-
ვინა. ყინულითა და ჩალის ღეროებით.

სიუზენი გადაიხარა და აკოცა, მისი ალერსი ბარბარამ ჩვეულებრივად მიინნია და ალტაცება არ გამოუხატავს.

— დედიკო, შენს ღამის პერანგში ყველაფერს ვხედავ, — უთხრა, — შენ კი ჩემს პიჯამაში ვერაფერსაც ვერ დაინახავ.

სიუზენს გაეცინა.

— ისეთი რა უნდა დაინახო? ბევრი არაფერი ჩანს, ხომ ასეა, ჩემო კარგო?

ახლა გაცუნცულდი და ლოგინში ჩაწექი.

— აღარ შეძინება, — თქვა ბარბარამ.

— მიტყეპვა ხომ არ მოგიინდა, ჰა? დედიკო მხოლოდ ერთხელ იტყვის, მორჩა და გათავდა! გესმის, ბარბარა?

ბარბარა მხრებჩამოყრილი გავიდა.

სიუზენმა ჩაი დაისხა.

— ბავშვს აფუჭებ, — მისაყვედურა.

— ბუნებით ისეთი კარგია, ვერ გააფუჭებ. ოღონდ რაც მართალი მართალია, გვერდით ვინმე რომ ჰყავდეს მისივე ასაკის ან დაახლოებით მისი ტოლი...

— ამაზე ერთხელ უკვე ვილაპარაკეთ, — სიუზენმა ლოგინის მოსასხამი აიღო იატაკიდან. მუდამ იქ ეგდო ხოლმე ნიხზე საწოლთან.

გულდაგულ არ გვილაპარაკებია, — ვთქვი მე, — არც ისე გულდაგულ. — ჩაი მოვსვი. ჩვენ, ჯო და სიუზენ ლემპტონებს ჰარისა და ბარბარას შემდეგ ბავშვის ყოლაზე გულდაგულ არ გვისაუბრია, თუმცა ბარბარას დაბადების შემდეგ ჩემი სიმამრი და სიდედრი ამ საკითხზე ხშირად მსჯელობდნენ.

სიუზენი გაიბუტა, ტუჩები აპრიხა, რაც ამ ბოლო დროს ჩხუბის, ხოლო ერთ დროს კი კოცნის მომასწავებელი იყო, თუმცა ერთ დროს მასაც ჩემსავით უნდოდა ხუთი შვილი გვეყოლოდა.

— შენ რომ გამოგეცადა მთელი ის საშინელება, რაც ბარბარაზე მშობიარობისას გადამხდა...

— კარგი, კარგი, ამას თავი დავანებოთ.

— ნამდვილი ეგოისტი ხარ. მგონი, არაფრად გენაღვლება ჩემი სიკვდილი. მერე შეგეძლება თავისუფლად ეთრიო იმ გათახსირებულ ჯინ ველფრისტთან, ასე ძალიან რომ გხიბლავს. ნუ გგონია, იმ ღამეს ვერ შეგამჩნიე ან სხვებს გამოეპარათ.

— საიდან მოიგონე? ეგ ქალი სულ არ მაინტერესებს. თავი დავანებოთ ამაზე საუბარს, მეტს აღარ ვახსენებ.

მოსასხამის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. როგორც ქალთა უმრავლესობას სჩვევია, დიდი ამბით დაიწყო წევა, ხმაურ-ხმაურით ყლაპავდა და უშვებდა კვამლს.

— მე აღარ, მაგრამ შენ მაინც ახსენებ, — თქვა მან.


ისევ „თავი დავანებოთ“. ისევ დათმობა. მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ყველაფერს ვთმობდი, მაგრამ ისინი არ შითმობდნენ, თავს მესხმოდნენ. მთრგუნავდნენ, მიმორჩილებდნენ. ზოგჯერ ვგრძნობდი, ირგვლივ ყველა ხვდებოდა. რა დღეშიაც ვიყავი. სიუზენი ღამის შემზიზღებოდა. აი, ახლაც ისევ გაიმარჯვა, გაბუტვის ნაცვლად ტუჩებზე შემპარავი დიმილი გამოესახა. ვინ იცის, ცოტა ხნის მერე „მე აღარ, მაგრამ შენ მაინც ახსენებ“-ის მაგივრად „გერჩია კრინტი არ დაგეძრა“-ო, თქვას, მაშინ კი იძულებული ვიქნები სერიოზულად ვიფიქრო. ჩემი სიმამრის საყვარელი ზედსართავი რომ ვიხმარო „კონსტრუქციულად“ ვიფიქრო. კიდევ ორიოდე სიტყვა რომ დავურთო, — „ნათლად“ და „გაბედულად“. და „მთელი ძალით“; არ უნდა დავივიწყო, მთელი ძალით უნდა ვიფიქრო.

სიუზენმა თავიც არ შეიწუხა მოსასხამი შეეკრა. ძალაუნებურად თვალი ვერ მოვაშორე მის მკერდს. ჩემივე საქციელი არ მსიამოვნებდა, არც ის მესიამოვნა, როცა სიუზენმა მკერდზე ხელი მიიღო და თითქოს ჩაიწკმუტუნა:

— ლამაზია, არა?



თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე. აჰა, კვლავ მიტევენ, კვლავ უნდათ ჩემი დათრგუნვა. წუხელ დილის ოთხ საათამდე არ დაგვიძინებია, ლამის კიდეც წავიხზუბეთ. გვერდით ოთახში კი ბარბარა იყო, თანაც გაღვიძებული. არადა, სიუზენის ნიშანს ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა. საწოლიდან ავდექი და ხალათი მოვიხსი.



— წავალ, ტანზე წყალს გადავივლებ.

— ცივს?

კართან მოვბრუნდი.

— იცოდე, თუ კიდეც დაგიძრავს კრინტი, ისევ ლოგინში ჩაგიწვები.

სიუზენმა ჩაიქირქილა.

— ბავშვია! ხომ გახსოვს, ჯოეტი, სპოკი რას ამბობს? — თქვა და მოსახამი გაიძრო.

— დღევანდელი ღამე წინ გვაქვს, — ვთქვი და კარი გავიჯახუნე. მივაბიჯებდი დერეფანში და მისი ქირქილი თითქოს უკან მომდევდა.

დილის საუზმის შემდეგ ბაღში გავედი. ამ წელს გაზაფხული გვიან დადგა და შარშანდელი გრანდიოზული გუგუბები სულ ჩამიშალა. მუშაობის გრაფიკი დამერღვა, ბაღი ორი კვირით გვიან გავთიხსე. ჰარლინგ კრესნტი ახლად დასახლებული რაიონია. სენტკლერის პარკის თუ სულაც „გრაფთა“ გზატკეცილის მახლობლადაა. თუმცა გააჩნია, რომელი მხრიდან შეხედავ (საერთოდ, მიწის სააგენტო „განეითარებად პარკს“ უწოდებს, სიტყვა „პარკი“ უფრო კარგად უღერს, ვიდრე „გზატკეცილი“).

მხედველობაში თუ არ მივიღებთ რამდენიმე დიდ სახლს „გრაფთა“ გზატკეცილზე, ამ რაიონში მხოლოდ ომის შემდეგ დაიწყო მშენებლობა. ჩვენ პირველნი დავსახლდით ჰარლინგ კრესნტზე, ნომერ შვიდში. ახლანდელი ბაღის ადგილას ერთი ველური, გაუკაფავი მიწის ნაკვეთი დაგვიხვდა. სამი წელია ამ ნაკვეთზე სხვა არაფერი მიკეთებია — სულ ვმარგლავდი, ვთხრიდი, მიწას ვანოყივრებდი, ნაკელი და კირი ფურგონებით მომქონდა და ვაყრიდი და ვაყრიდი. ახლა ნელ-ნელა მომეცა იმედი, ათი წლის შემდეგ ცოტათი მაინც დაემსგავსება ისეთ ბაღს, ჰანლიტისა და ლესპერის ბროშურაში რომაა აღწერილი-მეთქი. ოღონდ კარგად ვიცი, ჩემი ბაღი ვერ დაიკვებნის ნაირ-ნაირი ფერის ვარდებითა და ალუბლის ხეებით, ვერც ხავერდით მწვანე მოლითა და საოცარი ოსტატობით შეჭრილ-შეკრეჭილი ბუჩქნარებით, ვერც იმაზე ვიოცნებებ, საკუთარ „ლიმუზინსა“ ან სხვა ასეთივე დიდსა და ძვირფას მანქანას (ჩემი ვარაუდით აშგვარი მანქანის კაპოტი ერთი თხუთმეტი ფუტის სიგრძისა მაინც იქნება) ჩემი სახლის მისასვლელთან დავაყენებ. ილუზიები თითქმის გამიქრა, არა მგონია, ჩემი სიმამრის ბიზნესისათვის რაიმე ღირებულებას წარმოვადგენდე. ასეა თუ ისე, მომავალში ეს ბაღი ბაღად მაინც ივარგებს, ზაფხულობით აქ ჩაისაც გვახლებით, საკუთარ მარწყვსაც მივირთმევთ, ბარბარას თავისი ტალაუერი ექნება და, როგორც თვითონ ამბობს, ყვავილები. რაც მთავარია, ეს ის ბაღი იქნება, პირადად მე რომ შევქმენი, პირადად მე რომ მეკუთვნის. პოეტი რომ ხოტბას ასხამს გრილ საღამოს თავის ბაღნარში მოსეირნე ღმერთს, აშკარად ტყუის. თუ ჩემს ბაღს ვაფასებ, ვაფასებ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ერთადერთი ადგილია მთელ ქვეყანაზე, სადაც მე, ჯო ლემპტონი დავსეირნობ, როგორც ჯო ლემპტონი.

და თუმცა ვწუხდი, ორი კვირადღე გავაცდინე-მეთქი, სინამდვილეში ეს

ერთადერთი ადგილია, სადაც უგრაფიკოდ ვცხოვრობ. ბაღში კაცი მუშაობს წელიწადის დროთა მიხედვით და არა საათებისა და კალენდრის მიხედვით.

პარლინგ კრესტნის ჩრდილოეთით სენტკლერების საგვარეულო სახლი დგას. იქვე გორაკზე სენტკლერების „ფოლია“ წამოჭიმული. ახლაც სიამოვნებით ვუმზერ ხოლმე ამ ნაგებობას, მომწონს მისი პროპორციულობა, სიმეტრიულობა და სისადავე. ჩემი სიდედრი სენტკლერების შემკვიდრეა და ერთ-ერთი უსუსვე მეგონა, თითქოს მის შემკვიდრეობაში მეც შედო წილი. ჩემი შვილებმა წინასწარ პრები თუ სენტკლერები არიან, მაშასადამე, ჩემს წინაპრებადაც უნდა ჩაითვალოს. სხვა არა იყოს რა, ამ ოჯახის სინდისი და პატიოსნება მე გახლავართ; სენტკლერთა შორის ბოლოს და ბოლოს ვინ იყო ყველაზე უფრო სახელგანთქმული? ვინა და ორი მკვლელი, საძი ცნობილი სამშობლოს მოღალატე, ერთი მეტიმეტად პატივმოყვარე ჯენტლმენი, რომელზედაც ხმები დადიოდა, მეფე ელუარდ მეორესა და საკუთარ თხუთმეტი წლის ვაჟიშვილს შორის იმაჭანკლა და თანაც პერკლიში ელუარდ მეორის მკვლელობაში ხელი ერიაო. მზითვებზე ნადირობა-ძარცვა-გლეჯა თუ ყაჩაღობა სენტკლერებს სავსებით დასაშვებ და ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ. პერიგრინმა, რომელმაც 1810 წელს ააგო ფოლი, ორი ცოლის სიმდიდრე გაანიავა, მერე როცა პოლკს მეთაურობდა, მეტად საეჭვო გზებით კვლავ დააგროვა. ამბობენ, მარადილორები დახოცილთა გვამებს ბრძოლის ველზე ოქროს კბილებს აძრობდნენ და შემოსავლის კარგა დიდ წილს მას აძლევდნენო. ეს პიკანტური ამბავი ერთ-ერთ ჩარტისტულ ანონიმურ პამფლეტში ამოვიკითხე, რეჯი სკარამ მიჩვენა საჯარო ბიბლიოთეკაში, თვალი რომ არავის მოეკრა, პორტ საიდის ფოტოსურათის ქვეშ ამოღო.

რეჯის ეგონა, შევძრწუნდებოდი. პირიქით, ამ ამბავმა რაღაც საამოდ შემიღიტინა მაშინ გულში. ეს მოხდა შეიდი წლის წინათ, ახლა კი ჩემთვის სულერთია, ჩემს თვალში სენტკლერებმა ყოველგვარი ბრწყინვალება და ჯადოსნური ძალა დაკარგეს. თუმცა რა დასამალია, როგორც კი გავცდებოდი უორლის, ყოველთვის ეახერხებდი საუბარში როგორმე ჩემი მეუღლის წინაპრები მეხსენებინა. მუდამ დიდ სიამოვნებას მგვრიდა ის ამბავი, ამ გვართან რომ ვიყავი დაკავშირებული, — მით უფრო, რომ ეს საგვარეულო სულმთლად ამოწყდა, — ეს ოჯახი ხომ განწირული და გადაშენებული არისტოკრატის სიმბოლოს წარმოადგენს, მზის ჩასვლისას აღმართული აღმების ფრიალის, რონსევალის ხეობაში ბუკის ძაბილისა და სხვა მრავალი არისტოკრატული ლეგენდის სიმბოლოს. ამგვარ ფანდებს ახლა აღარ მივმართავ, სენტკლერებს მხოლოდ მაშინ ვახსენებ, როცა სიტყვა მოიტანს.

აღარ შიტაცებენ. კარგად არც მახსოვს, როდის აღმოვაჩინე, რომ ისინი მართლაც მკვდარნი არიან. ახლა ეს დანამდვილებით ვიცი. უწინდელივით აღარ გამიბრბის თვალი ჩრდილოეთისკენ. ცის კიდობანზე მუქად გამოკვეთილი „ფოლის“ ვეებერთელა და მასიური სამი კოშკურა, ამაყად და დიდებულად აღმართული, სენტკლერთა საგვარეულო სახლი, თითქოს ციდან რომ დაშვებულა და მიწას არ ეკარება, კვლავ სიამოვნებას მგვრიან, მაგრამ ამ სიამოვნებას ჩემთვის აღარ აქვს რაიმე მნიშვნელობა.

სამზრეთით „ციფვის ხეობას“ გავყურებდი. არა, ქალაქს კი არა, არც მდინარის ნაპირზე გაშლილ „თოულის პარკს“, არც პარკის იქით მოშორებით უორ-

1. პრაქტიკულად გამოუსადეგარი მდიდრული დეკორატიული შენობა (ინგლ.).

ლის ტყეს. ეს ყველაფერი უწინაც მინახავს. აი, სინდრემის ციხე-დარბაზი კი მხოლოდ მას შემდეგ შევამჩნიე, რაც ბარბარამ აღმოაჩინა. უცდილობდი ბარბარას თვალით დამენახა, გოლიათებით, დატყვევებული მზეთუნახავებით, ზღაპრული რაინდებით დამესახლებინა, მაგრამ არ გამომდიოდა. მხოლოდ და მხოლოდ მოხუც სინდრემზე ვფიქრობდი. მისი კარ-მიდამო ძველებური ციხე-სიმაგრის საკმაოდ მოხდენილ ასლს წარმოადგენდა, იქამდისაც რომ წავსულიყავი ამომშრალი თხრილი ერთყა, გალავანშემოვლებული დიდი უზო და ქონგურებში დატანებული ჰქონდა საისრე ჭრილები. შევეყურებდი და თანდათან ფიქრებმა გამიტაცა, ბარბარას ზღაპარზე ბევრად უფრო უცნაურმა ფანტაზიამ.

ერთი რამ უდავოა, ვფიქრობდი ჩემთვის, ჩემი სახლი ვერც ერთი ბავშვის ფანტაზიას ფრთას ვერ შეასხამს. კაცი რომ დაუფიქრდეს, ამგვარ სახლს ყოველი გონიერი ბავშვი ააგებს, საკმაო კრამიტი რომ მისცეთ სახურავისათვის. გამზადებული საშენი ბლოკები და კედრის ხის მასალა. ბავშვიც კი მიხვდება, საჭიროა წითელი კედრის ფიცრები ნაცრისფერ ბლოკებს შეუხამოს, სახლს გვერდიდან ოდნავ წამოწეული გარაჟი მიადგას და ამგვარად მოსაბეზრებელი, ერთფეროვნად გაჭიმული სახურავის ხაზი შესცვალოს. ალბათ იმასაც მოიფიქრებს, რა დიდი უპირატესობა აქვს ცენტრალურ გათბობას, ორადგილიან გარაჟსა და სხვა ძრავალ სათავსოსა თუ მოწყობილობას. თავისთავად კარგი სახლია, მართლაც ღირს ის ოთხი ათას ხუთასი გირვანქა სტერლინგი, რამდენიც დაგვიჯდა. თქმა არ უნდა, კაპიტალის დაბანდების კარგი საშუალებაა იყო, აკი ჩემს სიმამრს შემთხვევა თუ მიეცა, ყოველთვის მამცნობს, სახლის ფასი დღითი დღე იზრდებაო. და მაინც არ ითქმის, დიდებული სახლ-კარიაო. არც ერთ ბავშვს, გადაღმა „ბელურის ხეობაში“ თუ ცხოვრობს, არ აღუძრება სურვილი დილდილაობით უმზიროს ჩვენს სახლს და წარმოიდგინოს, იქ მეფის ასულები, ურჩხულები და თბილი გოლიათები არიანო. თანაც ამ სახლში ცხოვრება — განა მართო იმიტომ, სიუზენის სახელზე რომაა გაფორმებული — რატომღაც მამცირებს და ჩემს მამაკაცურ ღირსებას ღაბავს. აქ გადმოსვლით რაღაც დავკარგე, იქნებ ბარბარამაც.

ბაღს თვალი მოვაელე, რათა სევდიანი განწყობილება როგორმე განმედევნა, ამ გაზაფხულის მშვენიერ დილას მართლაც უმიზეზოდ რომ დამეუფლა. დღეს უამრავი საქმე მაქვს გასაკეთებელი, თანაც ფიზიკური შრომა, ღმერთია მოწმე, ნამდვილად მესაჭიროება. თანდათანობით შვება ვიგრძენი, წავხალისდი, უსათუოდ გაზაფხულის კოცონს გავაჩაღებ-მეთქი, გავიფიქრე. მერე კი — არ ვიცი, საიდან იყო საიდან არა — ანარქისტულმა ჟინმა წამომიარა, ბაღის ნავაჟთან ერთად იქაურობის გადაწვა-გადაბუგვა მომიინდა. სულს მიხუთავს ეს ნივთები, ის მატერიალური სიკეთე და საკუთრება, რაც ჩვენი ქორწინების შემდეგ ათ წელიწადში დაგროვდა და ორი ათას შვიდასი გირვანქა სტერლინგის ღირებულებას შეადგენს, თუ არ ჩავთვლით ჩემს მანქანას „ზეფირსა“ და სიუზენის „მაიორის — 1000“-ს. ყოველ წელს მათ ინვენტარიზაციას თავიდან ვატარებ. არადა, ხომ შემეძლო, უბრალოდ, ახლად შეძენილი ნივთების ფასი ძველზე დამერიცხა, მორჩა და გათავდა. მაგრამ აქამდე ეს პროცესი ერთგვარ რიტუალად მესახებოდა, განსაკუთრებულ მწვავე სიამოვნებას მგვრიდა. აქამდე ასე იყო, ასე იყო აქამდე, ახლა კი მომიინდა ყველაფერი თავიდან დამეწყო და დამეწყო სხვაგვარადაც.

ბარბარა სახლიდან გამოვიდა და ჩემკენ გამოქანდა.

— მამიკო, ეკლესიაში წასვლის დროა! — როგორც ყოველთვის, ახლაც ისე

მიტხრა, თითქოს ყველას რალაც მოულოდნელი საშინელება უნდა დაგვტყდო-
მოდა თავს. ხელში ავიყვანე და დასამშვიდებლად ნაზად ვუთხარი:

— ჩემო კარგო, ჯერ ბევრი დრო გვაქვს, ზღვა დრო — მაგრამ ბარბარა
ხელიდან დამისხლტა, ჩამოსრივდა, ხელი ჩამჭიდა და გარაჟისკენ გამწვია.

— დაგვაგვიანდება, მამი, დაგვაგვიანდება, — და ტირილი მორთო.

ჰარი სახლიდან გამოვიდა. თმა აბურბუნოდა, შუბლზე შავი ლაქა ეკრებოდა. ოდნავ მომლიმარი გვიცქერდა. გასული წლის შემდეგ, რაც დაწყებულია, დაიწყო სწავლა, ეს ღიმილი მის სახეს თითქმის აღარ შორდება. თუ მაინც და-
მაინც არ ჩავსდევთ, ამ ღიმილს შეუვალი შეიძლება ეწოდოს, მაგრამ მე ჩემ-
ბურად განვსაზღვრავდი. თითქოსდა ვინმე ბატონი, საჭიბი თვალს ადევნებს
მკვიდრთა შრომასა და გართობას: „რა უცნაური არსებანი არიან ეს საცოდავე-
ბი, თავისებურად ადამიანებსაც ჰგვანან“, — თითქოსდა ასე ამბობს, ოღონდ მე
კი არ მომმართავს, არამედ ვიღაცა სხვას, ვიღაც უხილავ კომპანიონს, მისივე
ტოტემის წარმომადგენელს.

ბარბარას ცრემლი მოვწმინდე.

— ამდენი ცრემლით წამწამები სულ დაგცვივა, — ვუთხარი, — შეხედე ჰა-
რის. აბა, როდისმე თუ უტირია?

კარგად მიუხვდი, რისი თქმაც სურდა. მას ტირილის ნებაც აქვს და გრძე-
ლი წამწამებიც მას უნდა ჰქონდეს. სინამდვილეში კი ჰარის უფრო გრძელი
წამწამები აქვს. ბებიამისმა გასულ კვირას უთხრა, ჰარის შენზე გრძელი წამწა-
მები აქვსო, და ბარბარას ეს სიტყვები ახლაც მოსვენებას არ აძლევს.

ჰარი გაიკრიჭა. ამჯერად მართლაც პატარა ბიჭის ანცი და დაუღვევარი იერი
ჰქონდა.

— რას იკრიჭები? — დაუუცაცხანე, — რა ამბავში ხარ? რომ ხედავ, ცოტა
დრო დაგვრჩა. სულ გამურულხარ, გასწი ახლავე სააბაზანოში!

ხელი წაკვარი. ჩემი შეხებისთანავე შეკრთა და უსიამოვნოდ დაიმანჭა, მაგ-
რამ ადვილიდან ფეხი არ მოინაცვლა.

— რას უცდი? — ხმაში გაღიზიანება დამეტყო, ვიგრძენი ზედმეტი მომი-
ოდა, მაგრამ ჰარი ყოველთვის ასე ცუდად მოქმედებს ჩემზე, მოთმინებიდან გა-
მოვყავარ.

— სააბაზანოში ვერ შევალ, — მიტხრა.

— რატომ?

— დედაა იქ, ასე რომ, იძულებული ვარ მოვიცადო, — დაამთქნარა და სახე-
ზე კვლავ აღებუჭდა საჭიბისეული ღიმილი.

— ძალიან კარგადაც გესმის, რასაც გეუბნები. წადი. ხელ-პირი დაიბანე და
საკვირაო ტანსაცმელი ჩაიცვი.

— საკვირაო ტანსაცმელი არა მაქვს.

— კარგად მიგიხვდი, რასაც ბრძანებ, — ვუთხარი, — ასეთა ლაპარაკი ბე-
ზიამუნისგანაც გესმენია. თავი დაანებე კინკლაობას, წადი და ისე მოიქეცი, რო-
გორც გეუბნები.

ბარბარა დიდი გულისყურით გვისმენდა, ტირილი შეწყვიტა.

— რა საძაველი ხარ, ჰარი, — თქვა მან, — მამიკოს მუდამ სიტყვას უბრუნებ.

ჰარიმ მხრები შეარხია. უცნაურია, ასეთნაირად მხრებს დიდები თუ შეარ-
სევნ, მაგრამ იგი ჰარისათვის მეტად დამახასიათებელია, თითქოს უსიტყვოდ
მეუბნება, არაფრად ვაგდებ არც შენს ნათქვამსა და არც შენს საქმესო.

— რა საჭიროა აღიაქოთი, წავალ, დავიბან და ჩემს საკვირაო ტანსაცმელ-

ში გამოვეწყობი, — და შინ შევიდა. უსიამოვნო გრძნობა გულში ხინჯივით ჩამრჩა, შევწუხდი, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვიყავ, არ შევმცდარვარ.

ეკლესიაში შევედი თუ არა, თავი უკეთესად ვიგრძენი. აგერ უკვე ათი წელია წმ. ალფრედის ეკლესიაში დავიარებით. მგონი, ამ ეკლესიაში სიარული თავდაპირველად ჩემი სიღედრის საამებლად დავიწყე, ახლა კი თავად მე მსიამოვნებს და იმიტომ დავდივარ (უკვე კარგა ხანია აღარ ვცდილობ ჩიტიმე სიამოვნება მოვგვარო მისის ბრაუნს).

ვერ გეტყვით, ასე ძალიან რატომ მსიამოვნებს ამ ეკლესიაში სიარული; შიგ ნესტისა და შმორის სუნი დგას. აქაურ მერხებს კლდის დაღარული ნაპრალები შეიძლება ეწოდოს. ეს სენტკლერების საგვარეულო ეკლესია ყოფილა. ღვთის ტაძარს კი არა, უფრო კერძო პირის მუხეუმსა ჰგავს. ძეგლებითა და საფლავეებითაა სავსე. საფლავთა წარწერები ამ გვარის წარმომადგენელ მეომრებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, მეწარმეებს, თავდადებულ მშობლებსა თუ ხელოვნების მფარველთ განადიდებდნენ, უმეტესად მეომრებს. დაფლეთილი ბაირალიც კია გამოფენილი, ამბობენ, რემილის ბრძოლაშია მოპოვებულიო. ეს ეკლესია გახლავთ ერთადერთი ადგილი, სააბაზანო ოთახს თუ არ ჩავთვლით, სადაც გადაწყვეტილებების მიღება არ მიხდება, ჩემი სიმამრის ჩიჩინის — „ფიქრს ძალა დაატანეო“ — არ ვისმენ ან ჩემი სიღედრის ლაპარაკს, ჩემს ვაჟიშვილს რომ უხსნის, კარგად ჩამცმელი საუკეთესო ტანსაცმელში არ უნდა გამოეწყო, თორემ იფიქრებენ, სხვა დროს ცუდად ჩაცმული დადისო. მართალია, რასაც ახლა ეკლესიაში ვუსმენდი, ვითომ აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ისე ფლერდა, თითქოს ამ სიტყვებში რაღაც იდუმალი აზრი იმალებოდა.

„რომელი შობილ არს ღმრთისგან, მან სძლოს ქუეყანასა, და ესე არს განზარჯუებაჲ, რომელმან სძლოს ქუეყანასა და ესე არს სარწმუნოებაჲ ჩუენი. ვინ არს იგი, რომელმან სძლოს ქუეყანასა, თუ არა იგი, რომელსა ჰრწამს, რამეთუ ესეუ არს ძე ღმრთისაჲ?“

ძალულად თვალი ჰკარისკენ გავაპარე, სახეზე საჭიბისეული ღიმილი ეფინა. ერთ მშვენიერ დღეს ვინმე უკეთურს აჩვენებს ამ ღიმილს და მაშინ იკითხოს მისმა ცხვირმა — არც ჩემი, არც სიუზენის რომ არაა, ბებიისას უფრო მიუგავს — და ლურჯმა თვალებმა, — ჩემმა თვალებმა, ყველა რომ მეუბნება, შენი თვალები აქვსო. ნუთუ ასეთი ცივი თვალები მაქვს? ჰოდა, ისე მაგრად დაუფეჟავენ და დაუღილავენ, საკუთარ თავს ვეღარ იცნობს. მაგრამ როგორ უნდა ავაცდინო, გადავარჩინო მომავალ ხიფათებს, როცა მასთან საერთოდ ენა ვერა და ვერ გამომიჩაბავს.

ნეტავ რამდენ ხანს შემრჩება საერთო ენა ბარბარასთან? თუმც ეს პრობლემა არაა, რაიმე საბედისწერო შეცდომას თუ არ დავუშვებ, ბარბარასა და მე მუდამ შეგვეძლება ერთმანეთის გავება. ბარბარა აწრიალდა, უთუოდ ჯდომა მობეზრდა. ყოველი განცდა მუდამ ამკარად ეტყობა, რადგან ადამიანური სახე აქვს და არა ნიღაბი თუ პუდინგი. ხული გაიშვირა, წინ მჯდომი პატარა გოგონასთვის ნაწნავზე რომ მოექაჩა. დარწმუნებული იყო, ვერ ვამჩნევდი. როცა შევუბღვირე, მაშინვე გასწორდა, გამიღიმა და თითქოს მანიშნა, შენი დაბღვერა სულაც არ მწყინსო. მეც გავუღიმე. მუდამ ასეთი დარჩება, ერთადერთ დიდ შეცდომას მხოლოდ მაშინ დავუშვებ, თუ მთელი გულით არ მეყვარება.

„შენ ბავშვს აფუჭებ“, — მითხრა ერთხელ სიუზენმა და უეჭველად კიდევ გაიმეორებს. მართლაც დიდ რისკზე მივდივარ. მაგრამ ერთხელ ელისმა კაროკეიტში გატარებული თაისი ბავშვობა გაიხსენა და მითხრა, ნურასოდეს შეგე-

შინდება, ბავშვი ძალიან თუ გეყვარებაო. მისი სიტყვები მომაგონდა: „სიყვარული ბავშვს არ აფუჭებს. შეილება თუ გეყოლება, ყოველთვის გიყვარდეს ისინი არ დაივიწყო: ყოველთვის და ყოველ წამს გიყვარდესო“. არ დამეიწყნია. ელისიც დამეთანხმებოდა, დღევანდელ სამყაროში ხალხში გავრცელებული აზრი, მეტიმეტი სიყვარული ბავშვებს ვნებსო, ზუსტად იგივეს ნიშნავს, შიმშილობის დროს ლექციები ჩაატარო სიმსუქნის საშიშროებაზე. ელისის სიტყვებს მხოლოდ ნება სიამოვნებას მგვრის — ბარბარას სიყვარულის უფლებას მანიჭებდა.

ეკლესია ჩვეულებისამებრ სავსე იყო. იგი მუდამ მდიდართა ეკლესიად ითვლებოდა, — მარკი „დიდ წვეტს“ უწოდებს, — კანონიკ ტინტმენს შეიძლება მივხედოთ, თავის მრევლს უთუოდ უფონებს. მისი ქადაგებებით თუ ვიმსჯელებთ, მრევლი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გემრიელ ლუკმას ვერავინ გამოსტაცებს. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ქადაგებს ტინტმენი, როცა გამძაფრებული თავს ესხმის მუშათა კლასის უხეშ მატერიალიზმსა და ინტერნაციონალური კომუნიზმის ხრიკებს. მაგრამ კანონიკი ტინტმენი მაინც მომწონს, ასევე წმ. ალფრედის ეკლესიაც, განურჩევლად იმისა, ვეთანხმები თუ არა მღვდლის სიტყვებს. მისი ხმა, ოდნავ ჩახრინწული და ლამაზი მოდულაციების მქონე გულს მუდამ საამოდ ეფინება. ამ შმორიან და ნესტიან ეკლესიაში მაინც აშკარად იგრძნობა სიმდიდრე და წარმატება. მუდამ ყვავილებით მორთული საკურთხეველი ორანჟერეას მოგაგონებთ, იატაკი კრიალებს, ლითონის საგნები თვალისმომჭრელად პრიალებენ. დილის მზის სხივები ქალების საზაფხულო კაბებზე ციალებდნენ, თითქოს ყველანი ახალგაზრდობის თავბრუდამხვევ სურნელებას აფრქვევდნენ ახალი ტარსიკონივით. გაქათქათებულ, თხელ კაბებში შემოსილი სხეულების ცქერაში ფიქრებმა გამიტაცა და გუნებაში ჩემებური პასიანსის გამლა დავიწყე. ჯინ ველფრი, ჩემ გასწვრივ მარჯვნივ რიგებს შორის გასასვლელის იქით რომ იჯდა, ტუზად წარმოვიდგინე, ლამის ოთხივე ტუზად; პატარა მრგვალი თხელ პირბადიანი შავი ჭილის ქუდი თმას სრულიად არ უფარავდა. პირიქით, მისი წყალობით უფრო მჭახედ უპრიალებდა დიდებული არაბუნებრივად ქერა თმა. ჯინი უბრალოდ ქერათმიანი კი არა, ნამდვილი ქერაა, ტიპიური სექსუალური ქერათმიანი ქალი. მის სიახლოვეს, კაცი სულ მთლად ჩაჩანაკი თუ არ არის, უთუოდ ჰალსტუხს გაისწორებს და მხრებშიც გაიმართება. თვალი ძლივს მოვაშორე და მზერა ევა სტორზე გადავიტანე. ევამ ცოტა არ იყოს ზედმეტად მოიმატა წონაში. ერთ დროს შავთმიანი, საერთოდ მოქნილი ევა რაღაც ფრინველს მაგონებდა, მგონი შოშიასა თუ მეფოლიას; ახლა კი მთელი ტანი ისე მოუქნელი გაუხდა, თუ მაგონებს რომელიმე ფრინველს, — უფრო დიდსა და შინაურს. და მაინც შინაურ ფრინველთა დედოფლად გამოდგება.

ბარბარამ უკან მიიხედა.

— გეყოფა, შე საძაგელო! — შეჰყვირა და მისმა ხმამ მგალობელთა სიმღერა დაჰფარა, — მომეცი, საზიზღარო შენა!

მის უკან პატარა ბიჭუნას ბარბარას თავიდან ტემ ო'შენტერი მოეძრო და გულში ჩაეკრა.

ბიჭის დედამ ტუჩები მოკუმა და შეიღს შეუბღვირა. ბიჭმა ბარბარას ბერეტა დაუბრუნა და ღრიალი მორთო. უკან მივიხედე, პასიანსი მოთავდა. ნეტა ვის რას უშლიდა ჩემი გართობა, თუნდაც ცოტა არ იყოს ბიჭურიც ყოფილიყო? ჩემს წარმოდგენაში გაშიშვლებული ქალები ერთ წრეში მოვათავსე და მერე კარტივით დავანაწილე. თუმცა იმ ბიჭუნას დედიკოს გვერდით ახალგაზრდა ქა-

ლი რომ იჯდა, ამ თამაშისათვის კაცი ასე ადვილად ვერ გამოიყენებდა... ვინ არის, არ ვიცი, დღეს პირველად ვხედავ, მაგრამ საკმარისი იყო მის ნაზად და მშვიდად მომღიძმარი სახისათვის თვალი ერთხელ შემეკვლო, ამაში რომ დაურწმუნებულყავი.

„დავკვირვებ ჩუენ ძალითა დიდითა შენითა, და ნუ შთაგვაგდებ ჩუენ დღეს ცოდვასა შინა, და ნუ შთაგვიყვანებ ჩუენ განსაცდელსა; არაჲმედ ვაგნივე საქმენი ჩუენნი, რადთა ვიქმოდეთ მარადღე სიმართლესა ხედვასა მტნა შენსაჲს“

ნაზად და მშვიდად მომღიძმარი; დავიწყე „მშვიდის“ სინონიმების ძიება: სათნო, ჩუმი, უდრტვინველი, თვინიერი, უწყინარი. ყველას „უდრტვინველი“ სჯობდა, ყველაზე უფრო ეს სიტყვა შეკფეროდა. მეორედ უკან მიხედვა ვეღარ ვავბედე, ვგრძნობდი, მარტო სიუზენი კი არა, ბრაუნებიც მითვალთვალებდნენ.

მარცხნივ თვალი გავაყოლე, ისინი წინა მერხზე ისხდნენ. წმ. ალფრედის კლესიაში აღარ არსებობს წარჩინებულთათვის მუდმივი ადგილები, მაგრამ, ჩანს, ჩემი სიდედრი ამ ამბავს უგულვებელჰყოფს. თუმცა ბრაუნები და მათი სტუმარი რაღაც ჰეთერსეტი ერთი შეხედვით ისეთსავე მერხზე ისხდნენ, როგორზედაც მთელი მრევლი, მაინც აშკარად ეტყობოდათ განსაკუთრებული, წათთვის, წარჩინებულთათვის განკუთვნილი ადგილები რომ ეკავათ. აქაც იგრძნობოდა ზღვარი, რჩეულთა უპირატესობა. ბრაუნის სქელ ქეჩოსა და მისი მეუღლის წაწვეტებულ პროფილს შევხედე და სიძულვილისა და შიშისაგან ყელში თითქოს რაღაცამ წამიჭირა. ნეტავი გამაგებინა, ეს ჰეთერსეტი, სახლიდან ამ სიშორეს რომ წამოსულა, რა საქმეებს აწყობს აქ? წელს მესამედ ატარებს უიკ-ენდს ბრაუნებთან. კარგად ვიცი, ჩემი სიძამრი თუ რაიმე მოგებას არ გამოეღობის, ტყუილუბრალოდ სასმელს არავის შესთავაზებს.

მრევლი წამოდგა ჰიმნის შესასრულებლად. რამდენიმე წამით შემიგვიანდა ადგომა, დარწმუნებული ვარ, ანით კიდევ ერთი საბაბი მიეცემათ ჩემთან ანგარიშსასწორებლად. ცხადია, ახლავე არ დამიწყებენ გაკიცხვას. მაგრამ მომავალში, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი სიდედრი გადმომიკრავს, მოიძებნებიან ისეთი ბრიყვები თუ ურწმუნონი, — ზოგჯერ ძნელი გასარკვევია, ესაა თუ ის, — ეკლესიაში ლოცვის უბრალო წესებსაც ვერ იცავენო. ვისაც იგულისხმებს ხმისა და გამოხედვის მიხედვით, მეც მივხვდები, და არც იქ მყოფთ გამოეპარებათ.

ჩემი სიდედრი პირდაპირ და გარკვევით არასოდეს არაფერს ამბობს, მაგრამ მეტად ოსტატურად ახერხებს ღვარძლის გადმონთხევას. და ახლა, რაც ჰეთერსეტი მათი ხშირი სტუმარი შეიქნა, თავისი ოსტატობით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ბოლო დროს არაერთხელ გაიმართა ლაპარაკი სიმდიდრის მაძიებლებზე: საერთოდ, მეტად უსიამოვნო ხალხიაო, მდაბიოს მაინც მდაბიური ლუდხანები ურჩევნიაო (ამაზე ლაპარაკი მას შემდეგ დაიწყო, რაც ქარხნის ერთ მუშას ბავშვი მოვუნათლე); და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაექცეს ჰარის სწორად მეტყველებასო. ჰარი სასწავლებლად უნდა გაიგზავნოს დახურულ ჰანსიონში, თორემ შინ, იგულისხმება უორლიში, ადვილად შეისისხლხორცებს არასწორ გამოთქმასო... კარგად მიუხვდები, რომ ფროიდული მოსაზრება არ იყო, ხომ ვიცი, ცუდი გამოთქმა ვისაც აქვს. მის სიძეს, ჰეთერსეტს კი არა. ჰეთერსეტი ჰაროუში სწავლობდა და იქ მიიღო რჩეულთა შვილებისათვის განკუთვნილი აღზრდა-განათლება. გეგონებოდა, იქ ძვლები ამოაცალეს და მათ ნაცვლად რაღაც კრიალა და ამასთან უფრო რბილი ნივთიერება ჩაუყენესო, იმგვარი ნივთიერება, რომელსაც ერთ დამეში ყველანაირი სასურველი ფორმის მიღება შეუძლია. ალბათ ჯენტლმენური გემოვნებაც იქიდან მოდგამს: იცის თუ-

ზაობაც, ნადირობაც, კარგი ნადირობა კიდევ უნდა უყვარდეს, მაგრამ საწყალს საამისოდ დრო არ რჩება. რაც მთავარია, მამამისი „ჭეთერსეტ სტილ კორპორეიშნის“ შუაგულ ინგლისში მდებარე ამ ვეება კონცერნის დირექტორი გახლავთ და ჩვენს ფირმას დროდადრო საქმეები აქვს ამ წარმოებასთან. კვლავ განიელვა თავში, ნეტა გამაგებინა რა მიზნით ჩამოდის ასე ხშირად ბრაუნებთან-მეთქი? თუმცა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მეჩვენა ჩემ უკან მჯდომენს განგაზრდა ქალი თავისი ნაცრისფერი თვალებით, ხშირი ხვეულის წაშლისთვის თმით, მოდიდო კბილებით, მკრთალი ვარდისფერი პირისკანით, ასე, ოცდახუთისა იქნებოდა, დაწვრილებითი აღწერით ასეთი შესახედაობისა იყო, მაგრამ ამგვარი ჩამოთვლაც ვერ გადმოსცემდა მის უდრტვინველ გამომეტყველებას.

ლოცვა დამთავრდა, ახლა უკვე შემქმლო კიდევ ერთხელ მიმეხედა მისკენ. მეგონა, აღარ მომეწონებოდა. გაზაფხულია, გავიფიქრე, მზე ანათებს, ჭრელად მოხატული ფანჯრებიდან ნაზი შუქი იფრქვევა, ლოცვაც საამოდ ჟღერდა, ჩანს, ივითონაც მომენატრა უდრტვინველობა, თორემ მასაც სხვებსავე უსიცოცხლო და გატანჯული სახე ექნება-მეთქი. მაგრამ ზუსტად ისეთი იყო, როგორიც თავიდანვე დამახსოვდა. ჩვეულებისამებრ, მაშინვე დავიწყე კონსტრუქციულად ფიქრი: უორლი პატარა ქალაქია, ეს ქალი ახალი ჩამოსულია, ადრე თუ გვიან სადმე გავიცნობ. ვეცდები კი, რაც შეიძლება მალე გავიცნო. გარეგნობაზე ეტყობა, ჩვენს წრეს ეკუთვნის. გემოვნებით, მდიდრულად, მაგრამ სადად აცვია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ყოველდღე ბანაობს და ქვედა საცვალს რცვლის.

და რაც მთავარია, ეკლესიაში დაიარება. ერთ დროს თითქმის ყველას საეალდებულოდ მიაჩნდა ეკლესიაში სიარული, მაშინ ამას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. შემდეგ მოდიდან გადავარდა, ახლა კი, ყოველ შემთხვევაში, უორლიში, კვლავ მოდაში შემოვიდა. საზოგადოება ცუდი ივალით არ უყურებს იმათ, ვინც ეკლესიაში არ დაიარება; ვინც მუდამ დადის, ამით მისი ღირსება უფრო დაცულია.

ასე გამოთქვა ამას წინათ მარკმა თავისი აზრი ეკლესიაში სიარულზე. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, ჩემდა უნებურად რომ აღვშფოთდი, ვილაცის აზრი, იუნდაც ეს აზრი როგორ უნდა გავიზიარო-მეთქი. ეკლესიიდან რომ გამოვდიოდი, ვიფიქრე, მარკი არ ცდება-მეთქი, თუმცა მერჩია შემცდარიყო.

ცდება თუ არ ცდება, სულ ერთია, ამ ახალგაზრდა მანდილოსანზე კონსტრუქციულად ფიქრს აზრი არ ჰქონდა. დაე, სახე მისი, მხოლოდ სახე, როგორც ტურფა ქალის სურათი, საფულეში რომ ვატარებთ მამაკაცები, სამუდამოდ ჩამრჩეს მეხსიერებაში. მაგრამ ვითარება უნდა გავითვალისწინო, სინამდვილეს თვალებში შევხედო, აწონ-დაწონვის იმდენი ძალა მეყოს, უცილობელი ვადიარო: ჩემსა და ამ ქალს შორის რაიმე ურთიერთობის გაბმა ყოველად შეუძლებელია. ოღონდაც, ლიტონი აღიარება კმაყოფილებას როდი ნიშნავს! ახალგაზრდა ქალს თვალი გავაყოლე, მარკეტ სტრიტზე გადაუხვია და თვალს მოუფარა. ერთბაშად დაღლილობა ვიგრძენი, ვიგრძენი, რომ უკვე შუა ხნის კაცი ვარ. და უცებ დალევა მომინდა.

2

ბრაუნი მოღუშული დაჰყურებდა წერილს, თითქოს მისი დაშინება და დამორჩილება უნდაო.

— საზიზღარი ბეხრეკი, ნადირალა!

თანხმობის ნიშნად მხოლოდ გავუღიძვე, ვარჩიე კრინტიც არ დამეძრა, ძალიან კარგად ვიცი, ჩემი სიმაჰრი რა გუნებაზე ბრძანდება ხოლმე ორშაბათობით.

— ნიადაგი მოსინჯა, სხვა არაფერი, მშვენივრად იცის მაგ წყვეულმა, სხვა გასაქანი არა გვაქვს, — ბრაუნმა წერილი დაჭმუჭნა და ოთახის მეორე კუთხეში ისროლა. — რა სიამოვნებით მოუუგრებდი იმ ზინზლიან კინტისს ნუ...!

მთქნარება შევიკავე, ამ ბოლო დროს ამგვარი სცენები მშინადად მმართება, სრულიად უბრალო გადაწყვეტილების მიღებამდე ბრაუნი სავალდებულოდ თვლის ბრაზისაგან ცოფები ყაროს.

წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი, აღმოსავლეთისაკენ უორლის გავხედე. მოწმენდილ ამინდში აქედან კარგად ჩანს ჰოკომბის სამრევლო ეკლესიის გუმბათი. ჰოკომბი ერთი უღიმღამო პატარა სოფელია, მაგრამ მისი ცქერა მირჩენია „ბრაუნისა და კომპანიის“ ერთფეროვან აგურის კედლების განუწყვეტლივ ხილვას. ოღონდაც დღეს ვეღარსად გავექცეოდი აგურის კედლებს, ირგვლივ გორაკება წვიმის ბურუსს დაეფარა.

მომესმა, ჩემ ზურგს უკან ბრაუნი როგორ უკაკუნებდა საწერ მაგიდაზე თითებს. ზეპირად ვიცი მისი ყოველი მოძრაობა. ფანჯრიდან ჯართით სავსე ეზოს გადავხედე, როგორც თვითონ უხსნიდა ხოლმე დროდადრო ჰარის, სწორედ ასეთი ეზოდან დაიწყო ბრაუნმა საქმიანობა. დიახ, სულაც არ მრცხვენია ამის აღიარება, სწორედ ასეთი ეზოდან დაიწყო პაპაშენმა საქმიანობა. სწორედ ასეთ ეზოში ვეზიდებოდი ყოველგვარ ჯართს. არ დაივიწყო, მაშინ შენზე პატარა ვიყავი. პირველ დღეს სამუშაოდან რომ დავბრუნდი, დედაჩემმა ბევრი ცრემლი ღვარა, მთლად ჭუჭყსა და ფანგში ამოსვრილხარო. რა საოცარია, არა, შვილო? ჟანგს რა მოგაშორებს, რასაც პირს დააკარებ, ყველაფერს ჟანგის გემო ექნება, თანაც წყურვილს ვერაფრით ვერ მოიკლავ. ჯართი რა იყო? ძველი თვითმფრინავები, მანქანები, დანა-ჩანგალი, ჭურჭელი, გინდაც ჩანგლის ტარი, — უქმად არაფერი იკარგება, ხომ გესმის.

მერე პაპას მუშაობა დაუწყია ელექტროლუმელთან. თავგამოდებით შრომობდა. თანაც საღამოს სკოლაში სწავლობდა, მალე ოსტატის თანამდებობაც მოიპოვა, ამავე დროს სწავლას კიდევ უფრო მიეძალა. და, შვილო, ხალხი მუდამ სიამოვნებით უწყობს ხელს და დიდ პატივს სცემს იმას, ვინც თვითონ იკაფავს მძიმე გზას.

თვალწინ დამიდგა ჰარი. თუმც ახალგაზრდობაში პაპამისის თავგამოდებული ბრძოლის ამბავი მრავალგზის ჰქონდა მოსმენილი და ალბათ უკვე ყელშიაც ამოსული, მაგრამ საჭიბისეული ღიმილის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა სახეზე, მხოლოდ დიდი პატივისცემა აღბეჭდოდა. დიახ, პატივისცემა. სწორედ ამას ჩააგონებდნენ ბიჭს და მისი გამომეტყველება მართლაც პატივისცემას გამოხატავდა. პატივისცემასა და გულწრფელ სიყვარულს.

ჩანს, ამ ათი წლის წინათ დიდი შეცდომა დავუშვი. უნდა მეყიდა სპეცტან-საცმელი და ჯართის ეზოში დამეწყო მუშაობა. ასე რომ მოვქცეულიყავი, იქნებ ჩემი ვაჟიშვილის პატივისცემითა და სიყვარულით აღსავსე სახე იმისკენ ყოფილიყო მიმართული, ვისაც ნამდვილად ეკუთვნოდა? მაგრამ ახლა უკვე გვიანია, ამიერიდან რა შეიცვლება ჩემს ცხოვრებაში? სამუდამოდ დავრჩები ერთ უბადრუკ ადმინისტრატორად, საზიზღარ, არასიმპათიურ მოანგარიშედ, განუწყვეტლივ თვალს რომ აღევნებს საკანცელარიო ნივთების ხარჯვა-გასავალს, მუშაობის მსვლელობას და დროდადრო მკაცრად ილაშქრებს შტატების მომა-

ტების წინააღმდეგ (ყოველ შემთხვევაში, ცდილობს ხელი შეუშალოს. ეჭვი არ მეპარება, ჩემი უშუალო უფროსი, დონალდ მიდრიჯი სულ მალე თავისთვის თანაშემწის აყვანას აპირებს, თუმცა ამ საკითხის თაობაზე ბრაუნს ჩემი აზრი უკვე მოვახსენე).

ასანთი გაჩხაკუნდა, სიგარის კვამლის სუნი ვიგრძენი. მაშასადამე, სიფიცხე დაცხრა, გადაწყვეტილება მიღებულია. მივბრუნდი, ბრაუნს შევხვდეთ მომლოდინემ. ეს ნიშნადა, როგორც იტყვიან, წვრთნას. ბრაუნი ჩემი თანდასწრებით სულ სხვაგვარად მოიქცეოდა, კომპანიის დირექტორი მე რომ ვყოფილიყავი. მაგრამ ეს აზრი მაშინვე ამოვიგდე თავიდან და გუნებაში ვთქვი, რა მენაღვლება, ეს საქმე პირადად მე ხომ არ მეხება-მეთქი.

წინათ, ვიდრე ბრაუნი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, მუდამ ვცდილობდი ფირმის საქმეებზე მასთან შემსჯელა, მაგრამ ახლა ისეთი გულუბრყვილო აღარა ვარ, სულაც არ მსიამოვნებს მიწოდონ მეტიჩარა და უბადრუკი ჩერჩეტი ბულალტერი, — ეს ბრაუნის ყველაზე უფრო რბილი სიტყვები გახლდათ, როცა კი შემამჩნევდა ჩემი მოსაზრების წინ წამოწევასა და დასაბუთებას რომ ვცდილობდი. მის ლანძღვა-გინებას მაშინ კი ვითმენდი, მაგრამ ახლა ნურას უკაცრავად. ამიტომაც ველოდი, თვითონ რას იტყოდა.

— მოსალაპარაკებლად ლონდონში წასვლა მოგიწევს, — მითხრა.

— გგონიათ, გამოვდგები? — ერთადერთი ამის თქმა მოვახერხე, ის კი ვედარ შევბედე, რომ სულაც არ იყო სავალდებულო ტიფილდის პირადად ნახვა და მოლაპარაკება, ჩემი აზრით, თავაზიანი, მაგრამ მაგარი წერილითაც საქმე აღვილად მოგვარდებოდა.

— არა მგონია, გამოდგე, სულაც არა მგონია. — ჩანს სახეზე შემატყო, რომ ცოტა არ იყოს გადააჭარბა. — შენი საწინააღმდეგო რა მაქვს, ჯო, რას გერჩი. უბრალოდ, ეს საქმე შენ არ გეხება, საქონლის გასაღებასთან სინამდვილეში არავითარი კავშირი არა გაქვს.

— მაშინ აჯობებს სხვა ვინმე გაგზავნოთ.

— რატომღაც შენ უნდინხარ. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოგიხდენია. დალაზვროს ეშმაკმა, მხოლოდ ერთხელ გნახა. მაინც ასეთი რა უამბე, რითი მოხიბლე?

— ჩემი ანეკდოტები ძალიან მოეწონა.

— არა, შენ გარდა სხვამაც იცის სასაცილო ანეკდოტები, — ბრაუნმა გაიცინა, — ეგ ბებური ტიფილდი არა მართო შესანიშნავი, უცნაური მუშტარიცაა. იცოდეთ, მაგრა დაუხვდი, არ გაგაცუროს, ბიჭო! — კვლავ გაიცინა, მაგრამ რაღაც ისეთნაირად, ამჯერად არ მომეწონა.

— როდის წავიდე?

— აქ ათი წელია მუშაობ და კიდევ მაგას მეკითხები? პირდაპირ მიკვირს. პასუხი ერთია, რაც შეიძლება მალე, ნუ დააყოვნებ. ყველაფერს აჯობებს ახლავე გაემგზავრო. — და სიგარის კვამლის ბოლქვი გამოუშვა.

— კეთილი, — ვთქვი, — ოღონდ სიუზენს დაურეკეთ, თუმცა იცოდეთ, დიდად ვერ გაახარებთ. — კარისაკენ წავედი.

— უბრალოდ, ვიხუმრე. — თქვა ბრაუნმა, — რა მოხდა, ხუმრობაც არ შეიძლება? — ისეთნაირად წარმოთქვა, თითქოს დამშეულს პურის ლუკმა გამოსტაცესო, — თქვენ ყველანი, ახალგაზრდები, მეტად სერიოზულნი ბრძანდებით. ხვალ პირველსავე მატარებელს გაჰყევი. შენს მდივანს უთხარი, „საკოიში“ ოთახი დაგიკვეთოს.

გაოცებისაგან წარბები ავწიე. ბრაუნი არ მიყურებდა, რაღაცას ბურღუნებდა მეტად მნიშვნელოვან მუშტარზე, ფირმა ამ დიდ ხარჯებს გაწვდება და აკისრებსო.

კართან მისული ვიყავი, უკან რომ მომაბრუნა.

— ჯო, გუშინდელ ლაპარაკზე როგორა ხარ, რა მოიფიქრე?

ისევ დავჯექი, ამჯერად მის მარჯენივ დივანზე და ახალი კაბინეტის მოწყობილობას პირდაპირ ჩემს სამუშაო ადგილზე. დივანი ახალი კაბინეტის მოწყობილობას ეკუთვნოდა, ბრაუნის მეუღლემ ქმრისათვის საგანგებოდ დაუკვეთა ეს ავეჯი. არც ისე მოხერხებული შეჩვენა, მეტისმეტად დაბალი იყო, მაგრამ დივანზე განზრახ დავჯექი, რაკილა აშკარად განსაკუთრებულ სტუმართათვის იყო განკუთვნილი და არა თანამშრომლებისათვის.

— ბევრი ვიფიქრე, — მივუგე და ჩემდა სასიხარულოდ შევამჩნიე უხერხულობა დაეტყო, მიხეზა იქნებ ახალი კაბინეტის მოწყობილობა იყო. ლამაზი კაქლის ხის საწერი მაგიდა სასტუმრო ოთახსაც კი დაამშვენებდა, დიდივე შესაფერი კოკტილის ბარი, საყავე მაგიდა, იისფერ ხავერდგადაკრული დივანი და სავარძლები, ღია ყვითელი ხალიჩა, იისფერ და ღია ყვითელ-ზოლებიანი ფარდები. ეს ყველაფერი უფრო შეჰფეროდა ამერიკული სტილის ახალგაზრდა მდიდარ მოკლედ თმაგაკრეჭილ საქმოსანს, „ოლდ სპაის“ ოდეკოლონგადასხმული, იტალიურ აბრეშუმის კოსტუმში გამოწყობილი რომ იქნებოდა. ბრაუნს კი ეს მოწყობილობა ისე უხდებოდა, როგორც ვირს კრიალოსანი.

ერთბაშად ადგილიდან წამოიჭრა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ცდები, ჯო, ეგ არ უნდა გააკეთო. ეს პირადად ჩვენი საქმეა, ჩემი და შენი.

— მესმის, — მივუგე, — მაგრამ შინ ისედაც სულ არა ვარ, თითქმის სულ არა.

— არც მე ვარ ხოლმე. ისეთ რამეს როდი მოვითხოვ შენგან, ბიჭო, რასაც თვითონ არ გავაკეთებ.

— ამისთვის თქვენი მაღლიერი ვარ, — წამომცდა უნებურად, მაგრამ ჩემი სიტყვები სიმართლეს როდი შეეფერებოდა; ბრაუნს არ ჰყავს ახალგაზრდა ცოლი, ორი შვილი, არ აბორგებს უამრავი ინტერესი, მისწრაფება — გააკეთოს რაღაც მნიშვნელოვანი, ეიდრე ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა, და, რაც მთავარია, ბრაუნი არხეინადაა, მუნიციპალიტეტის მრჩეველი გახლავთ.

— მაშ, რას იტყვი? — სიგარების ყუთი ჩემკენ გამოაცურა, ჯერ შევეყოყმანდი. მერე ერთი ცალი ავიღე.

— გუშინ სალამოთი კლუბში შევიარე, — განაგრძო მან, — ყველას ძალიან უნდა. რაც მართალია, მართალია, ჩვენ ახალგაზრდული მჩქეფარე სისხლი გვესაჭიროება. გასული წელი ჩვენთვის ყველასათვის სამწუხარო წელი იყო. პარი რანსეტიხთანა ადამიანები ქუჩაში არ ყრია.

ცივად შევხედე. მისი სიტყვებიდან გამოდიოდა, პარი რანსეტიხით თვინიერი და საჭირო პიროვნებები ადვილი შესაცვლელი როდიაო.

— ყველა ერთხმად აღიარებს, რომ შენი კანდიდატურა იდეალური იქნება. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, — ხელი ასწია, არ შემაწყვეტიხლო, — ახლა კარგად მომისმინე, ტრიკიანი კაცივით ნუ წრიალებ. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ყველა ერთხმად იშვიათად გამოთქვამს თანხმობას. ჯორჯ ეისვილი...

გავშრი.

— რა, ჯორჯ ეისვილმა რაო?

— ყველაზე უფრო აღტაცებულია. აი, სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა. ახლა წარსულის ქექვას ხომ არ აპირებ, დიდი ხანია მოკვდა და დასამარდა, ხომ მართალია?

— მოკვდა და დასამარდა, — გავიმეორე, — მართალს ბრძანებთ, მოკვდა და დასამარდა. — ჩემს სიძამრს მართლ ახალი თვინიერი კაცის პოვნა კი არა, წარსულის მოწესრიგება სურდა. ეს ყველაზე უფრო სანდო გზა იქნებოდა. რელითა სამკუთხედის — საყვარლის, მოტყუებული ქმრისა და საყვარელის საყვარელი ქალის ნაცვლად იარსებებს ორი პატივცემული მოქალაქე, მუნიციპალიტეტის მრჩეველი ლემპტონი და მუნიციპალიტეტის მრჩეველი ეისგილი. ერთი და იგივე პარტიის წევრები, დიდი პარტიისა... შესანიშნავი მეგობრები არიან მუნიციპალიტეტის მრჩეველი ლემპტონი და მუნიციპალიტეტის მრჩეველი ეისგილი. მუნიციპალიტეტის მრჩეველი ეისგილი ქვრივია... დიდებულად ეწყო.

— კლუბში ცოტა ხშირ-ხშირად იარე, — მითხრა ბრაუნმა.

— დიახ, უნდა ვიარო. — მის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არა აქვს, ჯორჯ ეისგილსაც გვერდს ვერ აუვული, აზრი არა აქვს. მოკვდა და დასამარდა, მორჩა. ყველაფერი შეიცვალა, რაც ამ ათი წლის წინათ მოხდა, ძველი კინოფილმივით მასზე ფიქრი და თავის ტეხვა სისულელედ მიმაჩნია. კონსერვატორთა კლუბში მრჩეველი ლემპტონი მრჩეველ ეისგილთან ერთად დაღვეს. მუნიციპალიტეტის საბჭოს სხდომაზე მრჩეველი ლემპტონი და მრჩეველი ეისგილი ერთად ისხდებიან, მათ ერთად ნახავენ და ვინღა დაიჯერებს ძველ ჭორებს?

— შენს კანდიდატურას ხომ წამოაყენებ? — მკითხა ბრაუნმა.

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე.

— საინტერესო იქნება. — მხარზე ხელი დამარტყა. — ასეც ვიცოდი, უარს არ იტყოდი, ჯო. დამიჯერე, არ ინანებ. ბევრნი აგდებულად გვიყურებენ, მაგრამ მუნიციპალიტეტის მრჩეველები ინგლისის ხერხემალია, ღმერთმანი, არ ვიცი, უჩვენოდ რა ეშველებოდათ, — ბოროტად გაიღმიჭა. — გარდა ამისა, შენ სწორედ ისეთი ვაჟკაცი ხარ, საქმეს ჯარასავით რომ დაუტრიალდები. ჩვენგან ბევრი ვერ დაიკვებნის, ქალაქის რატუშაში მიმუშავნიაო. ის ოხერი კლერკები, ყველანი ორი ხელით ჩაგეჭიდებიან!

საპასუხოდ მეც გავიღმიჭე და ვთქვი:

— გამართლებული ბრაკონიერი საუკეთესო მეტყველე დგება.

კოქტიელის ბარი გამოაღო.

— მოდი, ეს საქმე აღვნიშნოთ, თითო-თითო გადავკრათ. ოღონდ დაიხსომე, ამას სისტემატურად არ გავიმეორებთ. — კარგა ბლომად ვისკი დაასხა.

— რომ ვერ გავიდე? — ვკითხე მე.

— დარდი ნუ გაქვს. ჩვენ მაინც დავლიოთ, — რაღაც თბილად შემომხედა, — დღეს უთუოდ უნდა დავლიოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ერთხელ მაინც ჩემს სურვილს ანგარიში გაუწიე.

ჭიქა ავწიე. ერთბაშად შემეცოდა ბრაუნი რატომღაც. შვილიშვილებთან დაკავშირებით, თორემ სხვა დროს ასეთი გახარებული კარგა ხანია აღარ მინახავს. დაუფიქრდი, ნეტავი გამაგებინა, ძალღის თავი სად მარხია-მეთქი. არ მეგონა, დიდ რამედ თუ მიაჩნდა მრჩეველად ჩემი გასვლა, ალბათ დიდად სერიოზულ მოვლენად არა თვლის-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ მისმა ღიმილმა მიმახვედრა, თურმე ძალიან დიდ რამედაც თვლიდა. ამგვარი ღიმილი მის სახეზე სულ

ორჯერ მინახავს: ერთხელ, როცა პარი დაიბადა და მეორედ, ბარბარას გაჩენის შემდეგ რომ ვუთხარი, სიუზენს განსაცდელი აღარ მოეღოს-მეთქი.

მის ფართოყვრიმალებიან წითელ სახეს ეს ღიმილი გასაცრია, აახალგაზრდავებდა, სიძლიერის დამადასტურებელი ღრმა, უხეში ღარები კვლავ მკვეთრად აჩნდა. სამაგიეროდ სიზვიადე გამქრალიყო და სითბო გამოსჭვივოდა მისი სახიდან. რაღაც ერთი წამით კიდევ მომეჩვენა, თითქოს მისი წიყვარულით გავიმსჭვალე და ლამის თავს ძალა დავატანე ადგილობრივი მძარტველობის გაბლინბულ-გაბერილი კლოუნადით აღვტაცებულიყავი, ბრაუნივით აღვტაცებულიყავი.

იმ საღამოს მანქანით რომ ვბრუნდებოდი, დღის ოთხ საათზე დაღუული ორმაგი ვისკი შეუმჩნეველ, მაგრამ შეუნელებელ თავის ტკივილად გადამექცა. უკვე კიდევ ვნანობდი, ნეტა ბრაუნისათვის არ დამეთმო-მეთქი. თანაც ლონდონში წასვლით სიუზენს მაინცდამაინც ვერ გავახარებ. ჩვეულებრივ შინ მანქანით დაბრუნება მეხალისებოდა. ლედერფორდი — ფაბრიკა-ქარხნების საშინლად გამჭვირვალე უბანი მკვეთრად განსხვავდება უორლისაგან. ამიტომაც უორლის ყოველ დანახვაზე სიამოვნების გრძნობა მიახლდებოდა. და ეს გრძნობა არასოდეს მღალატობდა. ყოველთვის ზუსტად ერთი და იგივე განცდა მეუფლებოდა. გავცდებოდი თუ არა ქარხნებს, როუდონის გზაზე, ბირმინგემის გზისკენ რომ უხვევს, ცოტათი შვებას ვიგრძნობდი, თუმცა იმავე გრძნობას იზიარებდა ნათელი ის ბრბო, რომელთა შორის მანქანით გზას მივიკვლევდი, და რაკი სხვები იზიარებდნენ, უკვე ამ სიამოვნებას ფასი ეკარგებოდა. როგორც კი გადავუხვევდი ბირმინგემის გზატკეცილიდან ლედერფორდის წრიულ გზაზე, — მოკლე ორბწკრივი სამანქანო გზატკეცილი ყოფილი მაღაროების ფართოდ გაშლილ სივრცეს, ამჟამად აღდგენილ სახნავ-სათეს მიწებს ჰკვეთს, — ნამდვილი აღმაფრენა დამეუფლებოდა ხოლმე. ამ საღამოს წვიმა ცრიდა და მინდვრები ჩვეულებრივზე უფრო უკაცრიელი მეჩვენა, ხოლო მათი საზარლად ერთფეროვანი სივაკე თვალს კიდევ უფრო ღლიდა. სხვა დროს წყურვილის მოკვლის მომლოდინე ყელგამშრალი კაცივით ეს ხედიც ერთგვარ სიამეს მგერიდა, რადგანაც მალე გადავუხვევდი ჯერ მარცხნივ ლიდსის, მერე მარჯვნივ უორლის გზაზე, მერე პირდაპირ დავეშვებოდი ჰოკომბისაკენ. ჰოკომბამდე თუ მივალწიე, ეს ნიშნავს უკვე სახლში მივსულვარ. ზედმეტად მიმაჩნდა წარწერა „უორლის“ ამოკითხვა. ჰოკომბში სულ სხვა, უჩვეულო სურნელი ტრიალებს.

ნამდვილი აღმაფრენა, ჭეშმარიტი სიხარული ჰოკომბში იწყებოდა, მაგრამ ამ საღამოს ჰოკომბიც ჩვეულებრივ სოფელს ჰგავდა, მისგან არაფრით განსხვავდებოდა. ჰაერშიც კი არ იგრძნობოდა უჩვეულო სურნელი. ჰოკომბი უორლის გზატკეცილის ძირში მდებარეობს, უორლის შოსე ათასი ფუტის სიმაღლეზე აღის ზემოთ. მაგრამ ახლა ნამდვილად მივხვდი, შინ დაბრუნება რომ აღარ მინდოდა. სიუზენს ლონდონში ჩემი წასვლაც ეწყინება და მუნიციპალიტეტის მრჩეველის კანდიდატად წარდგენაც, თუმცა რაღაც კიდევ ამაზე უარესი მიღრღნიდა გულს. ეს ათი წელიწადია მანქანით შინ დაბრუნება ჩემთვის, ასე ვთქვათ, ტყვეობიდან თავდაღწევას ნიშნავდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი უორლის, ყოველი დიუმით, მით უფრო ვშორდებოდი ჩემს სიამამს, ჩემი სიამამის სამყაროს. ბუნებრივია, მასთან ხშირად მიხდებოდა შეხვედრა, ოღონდ როგორც ჩემი შვილების პაპასთან, როგორც კერძო პირთან.

ამგვარ ვითარებაში კიდევ ვიტანდი და ზოგჯერ ბრაუნი კეთილიც მეჩვენე-

ბოდა, ამიერიდან კი კოლეგები ვიქნებით, ორივე მუნიციპალიტეტის მრჩეველნი. ან, უფრო სწორად, ბრაუნი კვლავ ჩემი უფროსი იქნება, ჩანს, ჩემი საშველი არ არის, აწ იმასაც კი ვერ ვეღირსები, თუნდაც თავი მოვიკატუნო, ვითომ თავისუფალი და დამოუკიდებელი ვარ. რაკი საარჩევნო კომიტეტმა გადაწყვეტილება გამოიტანა, უკან ვეღარ დავიხეე. ერთხელ სიმთერალეში პარი რანსეტს უთქვამს „პარკ უორდის“ საარჩევნო უბანში, სტორები ისე მაგრად სხედან, თუ მოეხასიათებათ, არჩევნებში მაწანწალა კატასაც გაათრევენო. მაშინ უკანმი სიამური კატა-ტომი დამიდის, კონსერვატორთა პარტიამ მისი განდობა რომ წამოაყენოს, ამ კატას ყველა ერთხმად ხმას მისცემსო...

ეს სიტყვები გამახსენდა, პირადად მე სხვისგან მქონდა გაგონილი, ევა სტორმა მიაგმო, ევა ახლაც უორლის ჭორების ბუდეა. ამ სიტყვებს ერთი პატარა უსიამოვნებაც მოჰყვა, რანესტის ნათქვამი შედარებით შერბილებული სახით და სახელის მიუთითებლად ადგილობრივ პრესაში მოხვდა. ბრაუნმა, ცხადია, პრესას მაშინვე ხმა ჩააკმედინა, ალბათ რედაქტორს შემპარავად შეახსენეს, რა პოლიტიკური პოზიცია ეკავათ გაზეთ „კლარიონ გრუპის“ აქციონერთა უმრავლესობას. მაშინ უბრალოდ გამეცინა და არაფრად ჩამიგდია პარი რანსეტის მიერ სხვათა შორის წამოროშილი სიტყვები, თუ შეიძლება ამ სიტყვებს „სხვათა შორის წამოროშილი“ ეწოდოს. ახლა კი ჰოკომბის მთავარ ქუჩაზე მანქანას რომ მიუაქროლებდი წვიმაში, შესანიშნავად მივხვდი, კატაში რა იგულისხმებოდა. მოარშიყე, თავნება კატა-ტომი კი არა, დიდი გასუქებული საჭურისი, რომელიც მუდამ იმას აკეთებს, რასაც სიმამრი ჩასძახებს.

პედალს ფეხი დავაჭირე, აღმართში „ზეფირმა“ სინქარეს უმატა. რაც მალე მივალ შინ, მით მალე მოუღება ბოლო ყველაფერს. სპიდომეტრი სამოცზე აცოცდა. უღელტეხილზე ავედი, უორლი ხელისგულივით მოჩანდა. ცუდ გუნებაზე კი ვაყავი, მაგრამ სიხალისე მაინც ვიგრძენი. სამუშაო დღე მოთავებული მქონდა, ლედერსფორდი ჰოკომბის მთას მოეფარა; ჩემს წინ გაშლილიყო „ტყის გზა“ და მდინარის ხეობა, სვლა შევანელე, სარკმელი ვავადე, მანქანაში წვიმა და ტყის სუნი შემოიჭრა. როგორც ყოველთვის, თუმცა სულ აღარ მოველოდი, ახლაც სიმშვიდე მომეფინა, ხელშესახები მუქი მწვანე სიმშვიდე. არც კი ვიცი, რატომ მომეფინა სრულიად უმიზეზოდ. აქ ტყის ყველაზე ვიწრო ადგილს მოკლე შოსე ჰკვეთს და ტყის პირიდან ხიდს იქით მთელი ქალაქი მოჩანს. სრულიად უმიზეზოდ აი, ამ საღამოს საამისოდ მომეფინა სიმშვიდე, ერთი წამით ლამის ცთუნებამ მძლია მანქანა გამეჩერებინა, სიგარეტი მომეწია და მშვიდად დავრჩენილიყავი ამ მყუდროებაში.

მეორე სინქარეზე გადაერთე, მერე ისევ მესამეზე. რა გულუბრყვილო და უმტკივნეულო იყო ჩემი ნატვრა და მაინც ყოველად აღუსრულებელი. ხიდზე რომ გადავიარე და მარკეტ სტრიტისკენ გადავუხვიე, ხმები შემომესმა: „ცხადია, მთვრალია, — ამბობდნენ, — აბა, სხვა რა უნდა იყოს, ჩემო კარგო? სახლიდან ასე ახლოს მანქანას რატომ გააჩერებდა? ცხადია, ცდილობს გამოფხიზლდეს, შინ შესვლისა ეშინია... ან ვიღაცას არ გადაეყაროს... მგონი ეს უკანასკნელი უფრო მართალია“.

აი, ზუსტად ამას ლაპარაკობდნენ, ეს ხმები უწინაც მსმენია. მარკეტ სტრიტზე სამივე შუქნიშანმა გზა გადამიკეტეს, მესამე შუქნიშანთან, სენტკლერის შოსესთან ჩემ წინ მანქანა დროზე არ დაიძრა და მწვანე ნიშანზე გავლა ვერ მოვასწარი. ხმები სხვა რაღაცაზე კვლავ საუბრობდნენ; ვიცდიდი და მიკვირდა, ნუთუ ყოფილა ოდესმე ისეთი დრო, როცა ეს ხმები ჩემს ცხოვრებას არ განავებდნენ?

ლონდონში წასვლაზე სიუზენს მხოლოდ სადილის შემდეგ ვუთხარი. სულაც არა ვარ აღტაცებული ჩემი საქციელით. სათქმელი ძალიან შორს გადავწიე. მაგრამ იმ დღეს, მგონი, მთელი ჩემი მცირე გამბედაობის მარაგი დავხარჯე. ასე მეგონა, თითქოს ისევ მფრინავთა სკოლაში ვიმყოფებოდი; იქ დღეებიადავ გაიმუღებენ ის აკეთო, რაც არ გსურს, ყოველდღე ამოწმებენ, დაკადრი/თუ ისევ ბიჭური ხარ. საშინლად მომბეზრდა ყველაფერი, საკმაოდ ხშირად მიხდება საკუთარი ღირსების დაცვა, არაფერი აღარ მინდა, ოღონდ ჩამსვლა საკვარძელში, ეწრუპო ყავა, სადილი მოვიხელო, ვიცხოვრო ჩემთვის მხოლოდ დღევანდელი დღით.

სასტუმრო ოთახში მუდამ დღევანდელი დღით ვცხოვრობ და თავს ბედნიერად ვგრძნობ. ტყის გზის იმ უკანასკნელი მონაკვეთით ესეც ერთი პაწია საყუდარია, მთელ სახლში მხოლოდ ამ ოთახში ვგრძნობ შევებას. და ეს ოთახი იმის უდიდესი დასტურია, რასაც ამ ათწელიწადში მივალწიე: მარტო პარკეტის იატაკმა და ნეკერჩხლის ხის ავეჯმა ბევრი მწარე წუთი განმაცდევინა.

დაფტონში, პატარა სახლში რომ ვცხოვრობდი, სწორედ ასეთ ოთახზე ვოცნებობდი. აჰა, ნატვრაც ამისრულდა, უკვე ოცნებაში ვცხოვრობ: ყვავილებით მოხატული ტილოს გადასაფარებლები დიდებულად ეხამება ფარდებს, ღია ყვითელ და ოქროსფერ შპალერის ფონზე მკვეთრად გამოირჩევა კაკლის ხის საწერი და საყავე მაგიდები, ბუფეტი და „გრუნდიგის“ რადიომიმღები. თუმცა ტელევიზორის ეკრანი არღვევს მთლიანობას. წელს თუ მოვახერხე ერთი საქნის აწყობა, უთუოდ ვიყიდი ახალი გამოშვების ტელევიზორს, ეკრანის დასაფარავად ხის კარი რომ აქვს. ამ კანდელს სწორედ შობის წინ წავაწყდი ბირმინგემის გზაზე ძველმანების მაღაზიაში და იაფიც დამიჯდა. პარკეტის იატაკს ძალიან უხდება კანდელი და ახლა სასტუმრო ოთახს აღარაფერი აკლია.

კედელზე ჩამოკიდებული სურათები, მეცხრამეტე საუკუნის გრავიურები იმავე წყაროდანაა, საიდანაც კანდელი. თავის დროზე ელისმა ჩამაგონა ეს აზრი: ჩემო კარგო, ორიგინალი ძალიან ძვირი ღირს და ადვილადაც შეიძლება მოგატყუონ, თანაც რეპროდუქციები დღეს ვის არა აქვს. სამაგიეროდ, გრავიურები შეგიძლია იაფად იყიდო, შენი გემოვნება ყველას აღტაცებაში მოიყვანს, მეტადრე თუ სურათზე გამოხატული იქნება ძველი ტაძრები, ნანგრევები და ცხოველები. ძველი რუკებიც იმსახურებს მოწონებას, რაც მთავარია, შენს სტუმრებს ხელოვნების ინჩიბინჩიც რომ არ გაეგებათ, ამგვარი სურათები მაინც დიდ სიამოვნებას მოგვრითო.

ბართან მივედი ვისკის დასასხმელად. დღეს ღამით ელისზე ფიქრი არ მინდოდა. ზოგჯერ კიდევ მეჩვენებოდა, ეს მისი ოთახი იყო, ელისი რომ არა, ამ ოთახს აბა ასე რა მომართვევინებდა. ელისის გემოვნება მისი ქმრის გემოვნებას ვერ ეხამებოდა, მის ქმარს მოსწონდა ყველაფერი ღია ფერისა, ღამის თეთრი ხე, ქრომირებული ლითონი და პლასტმასი, მეტიც, გადაჭრით მოითხოვდა მისი სურვილისამებრ შეეძინათ ნივთები. მისი სახლი, თაროზე წიგნების გარდა, მთლიანად მის გემოვნებას გამოხატავდა და არა ელისისას. ეს ოთახი კი — თუმცა დიდი წინააღმდეგობა გამიწიეს, მაინც ჩემებურად მოვაწყვე — ერთადერთი ოთახია, რომელზედაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ელისს ეკუთვნის. ელისი კი ამას ვერასოდეს გაიგებს. სხვებიც ვერ გაიგებენ. ქვეყნად არვინ მეგულება, ვისაც შეიძლება გავენდო, ვინც მიმიხვდება და გამიგებს. ვისკი დავისხი, ცოტათი მაინც მიშველის-მეთქი, გავიფიქრე. მეტი რომ მომივადეს, ხვალ დილით დვიძლი უსათუოდ შემაწუხებს. ამ ბოლო დროს სულ უფ-

რო ხშირად ვგრძნობ, რომ ეს ორგანო პროტესტს უცხადებს ალკოჰოლს საერთოდ და განსაკუთრებით სპირტიან სასმელებს.

— იქნებ მეც დამისხა. — მითხრა სიუზენმა.

მოულოდნელობისაგან ცოტა ვისკიც კი დამექცა, სულ დამაეიწყდა, რომ სიუზენი ოთახში იყო.

— ცოტა კონიაკი, ძვირფასო, — ჩემს ჭიქას შეხედა, — სულაც არ მსურს ხვალ შენისთანა გაბრუებულმა გავიღვიძო, — დაურთო მან.

პასუხი არ გამიცია, კონიაკი წამალივით დაუესხი.

— ჭიქის ფსკერს ხომ დაასველებს, საკმარისია, — როგორც ყოველთვის ახლაც გავიმეორე ეს სიტყვები. ზოგჯერ კიდევ ვხუმრობდი, ერთ დღესაც იქნება თვალის საწვეთით ჩაგისხამ-მეთქი, მაგრამ ახლა ხუმრობის გუნებაზე არ ვიყავი.

— შენებურად რატომ აღარ დაურთე? — თქვა სიუზენმა.

საყავე მაგიდაზე დაუდგი ჭიქა.

— ფიქრმა გამიტაცა, ამ ახალ კაბაში რა ლამაზია-მეთქი.

მართლაც ასე იყო. ღია წითელი კაბა, წინ თავიდან ბოლომდე დილებზე შეკრული, ყველას როდი დაამშვენებს, მხოლოდ შავთმიან, მოხდენილი ტანის ახალგაზრდა ქალს უხდება. სიუზენმა ფეხი ფეხზე გადაიდო, ლამაზი მუხლები პქონდა, არც ძალიან გამხდარი, არც ძალიან მსუქანი. ლამაზ ქალებსაც კი იშვიათად აქვთ მათი გარეგნობის შესაფერი კონტა მუხლები, ჩემდა უნებურად დავიხარე, ჯერ ერთ მუხლზე ვაკოცე, მერე მეორეზე.

— საძაგელო! — თქვა მან.

კაბა ცოტათი ავუწიე, ხელი ნაზად მკრა.

— მალე მარკი მოეა დასალეუვად, — თქვა მან.

ჩემი ხელი კვლავ კაბისკენ გაცოცდა.

— დაე, გვიყუროს, გამოადგება.

— რა აუტანელი ხარ, — თქვა სიუზენმა.

გამეცინა.

— სინამდვილეში, სიბილას უფრო გამოადგება. მარკი ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ ზოგჯერ ისეთი რამ დასცდება, აშკარაა, შენი ბიძაშვილი დიდი ვერაფერია ლოგინში.

— სამი შვილი კი ჰყავს.

— მერე რა. ალბათ მარკმა ძალა იხმარა ან ჩაიში რამე ჩაუყარა.

— მართლა საზიზღარი ხარ, — თქვა სიუზენმა, მაგრამ ლოყებზე ცოტათი წამოენთო, კაბის დაწვევასაც აღარ ლამობდა. შევცქეროდი და აშკარად ვხვდებოდი, სულაც არ ჰგავდა იგი თავის ბიძაშვილ სიბილას, სურვილთან ერთად რაღაც კეთილი გრძნობაც მომერია. იგი ბრაუნის ქალიშვილი კი არა, ჩემი ცოლი იყო. სხვა კაცების ცოლებს არ ჰგავდა, მე მას ფიზიკურად ეუნდოდი. დივანისკენ გავიხედე. ცოლქმრულ ცხოვრებაში ეს ერთადერთი უდიდესი სინამდვილეა — დამით ერთად წოლა კი არა, არამედ სხვა დროს; ლოგინში კი არა, სხვაგან სადმე, აბაზანაში, მანქანაში, ქალაქგარეთ, სულ ერთია სად. ოღონდ ერთი თხუთმეტი-ოცი წუთი დრო მოგვცა განმარტოებისათვის, მაშინვე თავს ვიკატუნებთ, ვითომ დაქორწინებულნი კი არა და ერთი უსახლკარო, ცისქვეშ ვარსკვლავების ამარა დარჩენილი შეყვარებულები ვართ. და თუმცა სიუზენისათვის არასოდეს გამიმხელია, ზოგჯერ თავს ვიტყუებ, თითქოს სიუზენი სხვისი ცოლია, ისეთი კაცის ცოლი, როგორსაც შეიძლებოდა გაჰყოლოდა, ვთქვათ,

ვისაც საკუთარი „იაგუარი“ და „პორშე“ ჰყავს, ჯექ უეილსივით მდიდარს, ან რაღაც ლამლივით. მის გახსენებაზე ბრაუნი მომაგონდა. ვისკი ერთი მოსმით გადავკარი და ისევ ბუფეტთან მივედი.

— საზიზღარი მე კი არა ვარ, — ვუთხარი, — არამედ სიბილას ეზიზღება სექსი. ეს არის და ეს. არცაა გასაკვირი, მარკი გარე-გარე რომ დაწანწალებს...

— ამბობენ, სიბილას ერთ დროს სექსი არ ეზიზღებოდა, — თქვა სიუზენმა, — პირიქით, ერთ დროს ძალიანაც სიამოვნებდაო, ხე ტუჩებზე დაქაჩილია, — ძალიან სიამოვნებდა. ვისთან? ყველასთან, ვისთანაც მოხვდებოდა. წარმოვიდგენია?

— ადამიანი იცვლება, — ვთქვი მე.

— ერთხელ თურმე უბედური ამბავი დატრიალდა, — განაგრძო სიუზენმა, — სიბილას მშობლები წასული ყოფილან. სიბილას ქეიფი მოუწყვია, სულ მთლად გადარეულან. დედამ რაღაც-რაღაცები მიაძმო...

დედამ, როგორც ჩანს, რაღაც-რაღაცებზე მეტი უამბო. ჩემდა უნებურად მუდამ შემოფოთებული და ოფლად გაღვრილი, ჭირვეული, სათვალეებიანი მსუქანი სიბილა სხვა მხრიდან დავინახე.

სიუზენის სიტყვებზე ერთი მაგრად დავუსტვინე.

— „სიამოვნებდა“, კარგი სიტყვაა, — ვთქვი მე, — კარგი სიტყვაა, — მერე გონების თვალთ წარმოვიდგინე სიბილა ამ ოცი წლის წინათ, თავს რომ წასდგომიან მთვრალი სახეები, წარმოვიდგინე უსირცხვო პოზაში, — „სიამოვნება“, არა, ეს არაა შესაფერი სიტყვა.

— მართლაც საძაგლობაა, — თქვა სიუზენმა, — იცი რა, ამ ამბების გამოქექვა სულაც არ არის საჭირო, რაც უნდა იყოს, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, დავიწყებას მიეცა.

— მოკვდა და დასამარდა, — ვთქვი მე, — მოკვდა და დასამარდა. — სიგარეტს მოვუკიდე. — ჰო, მართლა... — სიტყვა გავწყვიტე.

— თქვი, განაგრძე, ვიცი, კარგი რამის თქმას არ აპირებ.

— ხვალ ლონდონში უნდა წავიდე.

— აქამდე რატომ არ მითხარი? — სიუზენი გაბრაზდა, — შესანიშნავად იცი, ამ ხუთშაბათს ბობი და ევა სადილად გვეყვანან დაპატივებულნი.

— მანამდე ალბათ დავბრუნდება.

— „ალბათ“ კარგია. ვიცი, დროზე არ დაბრუნდება. ლონდონში დიდებულად მოიღებენ. საშინელი ეგოისტი ხარ.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ჩემი ბრალი თუ იყოს. მამაშენს შესჩივლე, მე რას მერჩი.

— ვნახავ, თუ არ ვეტყვი, ვერაფერი დამაკავებს, აბა შენსავით სხვას ვის დაარბენინებს აქეთ-იქით. მუდამ მართო ვრჩები გერდას ამარა, ამ კვირაში გერდაც არ მეყოლება. რა საძაგელი ხარ, რა საზიზღარი, როგორ მეჯავრები! — ატირდა. წინ დავუჩოქე და მხრებზე ხელი მოვხვიე.

— ნუ ჯავრობ, საყვარელო, ჯოს წასვლა არ უნდა, მაგრამ ჯომ გროშები უნდა იშოვნოს. ჯო რამე საჩუქარს ჩამოგიტანს, აი, ნახავ. ნუ ტირი, ძვირფასო, ნუ ტირი, შენ ხომ კარგი გოგო ხარ...

მუხლებზე ხელი დავადე. უცებ შეწყვიტა ტირილი.

— კარი ჩაკეტე, — თქვა მოულოდნელად.

— მარკი...

— ნახევარი საათის შემდეგ მოვლენ. ჩაკეტე კარი, ჯო, ჩაკეტე კარი. —

ათრთოლებული ჯერ ჩემს სხეულს შეეხო, მერე თავისას. კარს რომ ვკეცავდი და ზედა დიდი სინათლე ჩავაქრე, მომესმა იატაკზე რაღაცამ გაიშრიალა, დივანს ნელა მივუახლოვდი.

— ჩქარა, — თქვა სიუზენმა, — ჩქარა. შენც ხომ გინდა, ვიცი, შენც გინდა, ხომ გიყვარს...

„სიამოვნება“, — გავიფიქრე, — არა, „სიამოვნება“ არ არის შესაფერისი სიტყვა. ერთბაშად ტკივილისაგან შევევირე, სიუზენმა ხელზე მიკბინა.

— რა თვალთმაქცი ხარ, — მომაძახა, როცა მხრებზე ჩავეჭიდე და შევანჯღრიე, — რა დიდი თვალთმაქცი, ვითომ ხელი გეტკინა... რას გაგაჩერებ, შენ შენსას იზამ, შენ შენსას იზამ...

გონს მხოლოდ სადარბაზოს ზარმა მომიყვანა.

— დასწყევლოს მაგათი თავი, — თქვა სიუზენმა, — მიშველე წამოვდგე, — ხელებში ჩავეჭიდე და წამოვწიე. ჩვეულებრივ სხვა დროს მისი წამოყენება ასე არ გამჭირვებია. ზარმა კვლავ დარეკა.

— შენ შემოიყვანე, — თქვა სიუზენმა, — წავალ, ტანსაცმელს გავისწორებ, — დიმილი გაუფართოვდა, — რა აწეწილ-დაწეწილი ხარ! თმა რას გიგავს...

კარის გასაღებად მიმავალმა გზადაგზა ტანსაცმელი გავისწორე, მაგრამ მარკისა და სიბილას წინაშე თავი რატომღაც უხერხულად ვიგრძენი. ამ ღამეს იქც ზედმეტად მიმაჩნდა სტუმრები, მეტადრე სიბილა, მისი ხმა საოცრად გამკვივარი მეჩვენა. ჩვენო, სულმოუთქმელად მომახალა სიბილამ, მენუჯმენტთა საზარელ კრებიდან მოვდივართო, მანამდე იყო და, ბავშვებმა ჯოჯოხეთურად მაწამეს, მთელი დღე ჭინკებივით დახტოდნენო.

მხრებზე ხელი მოვხვიე და ლოყაზე ვაკოცე. პუდრის გემო ვიგრძენი. სახე დაღლილი ჰქონდა, თმა ჩამოშლილი. მარკზე სამი წლით უფროსი იყო, მაგრამ იმ წუთას ბევრად უფროსი მეჩვენა. სიბილა იმგვარ ლამაზ, ნაზი აგებულების ქალებს ეკუთვნოდა, რომელთა მშვენება თითქმის ერთ ღამეში ჭკნება: ყმაწვილ-ქალებად იბინებენ და დროგადასულ დედაკაცებად იღვიძებენ.

— შენთვის წამალი მაქვს, საყვარელო, — ვუთხარი, — პატარა ლამაზ თავს მოვლა უნდა, ისეთი წამალი მაქვს!

— იმეღია, მეც მომცემ, — თქვა მარკმა, სასტუმრო ოთახში შემომყვინენ, — მეც მომიხდა ბრძოლა პატარა ჭინკებთან.

— ორივეს მოგართმევთ.

— ღამის კლუბობანას თამაშობდნენ, — თქვა სიბილამ, — ღიზა პირდაპირ გაავიყეს. ვშიშობ, დიდხანს არ გაგვიჩერდება, — სიბილამ ამოიხვნეშა, — ოჰ, დმერთო, ეს ოხერი უცხოელი გოგოები! ნეტა სად გაქრნენ კარგი მოსამსახურეები?

— არც არსებობდნენ, — ჩაურთო მარკმა, — ეგ მხოლოდ ლეგენდაა, ბურჟუათა ლამაზი ლეგენდა. — მარკმა ბარს გადმოხედა. — აჰ, ჩემი წამალი დიდებულად შეზავდა, მეტი არაფერი მინდა, ჯო, მადლობელი ვარ.

იმ საღამოს მარკი ჩვეულებრივზე უფრო გამოწკებილი ჩანდა. თუმცა გარეთ წვიმა, მას თითქოს ერთი წვეთიც არ მოხვედროდა. სამაგიეროდ სიბილას გატალახიანებოდა ფეხსაცმელი და მოწისფერი კაბის საყელო ოფლისგან ჩამაუებოდა. ამ მხრივ ბედი არ სწყალობდა საწყალს, წვრილმანებში ბედი არ სწყალობდა. ყოველგვარ უმნიშვნელო უსიამოვნებას მაინცდამაინც სიბილა უნდა გადაყროდა, მარკს კი მუდამ ბედი უმართლებდა, წვიმაში ივლიდა, არ დასველდებოდა, რასაც სურდა, იმას ჭამდა და სვამდა, წონაში მაინც არ იმატებდა.

შავგვრემანი, კოხტა შესახედაობისა ალბათ ოცი წლის შემდეგაც ასეთივე დარჩება. მთელი თავისი სიცოცხლე მუდამ ქალებს ხიბლავდა. უფრო სწორად, ქარაფშუტა ახალგაზრდა გოგოებს, — უგუნებოდ გავიფიქრე ჩემთვის, მერე ოთახში მოპირდაპირე კედელზე სარკეში საკუთარ თავს მოვკარი რვალი, შურისაგან ყელში რაღაცამ წამიჭირა: თანდათანობით სასაცილო ვხვდები, თმა მითხელდება, ვმელოტდება, ხოლო სახე სიმსუქნისაგან თანდათანობით მიფიფინდება.

ბიზლიჩიშვილი

სიუზენი შემოვიდა, თმა დაევარცხნა, ტანზე კოხტად მომდგარი კაბა თავიდან ბოლომდე შეეკრა, საკსებით დარბაისელი კოპწია დიასახლისი გახლდათ, თუმცა სახეზე აშკარად აღბეჭდოდა კმაყოფილება ქალისა, რომელმაც ეს-ეს არის სიყვარულის ენი მოიკლა. პირდაპირ რომ განეცხადებინა, არც იყო საჭირო. სიბილას შევამჩნიე, სიუზენს შეხედა თუ არა, მაშინვე თვალი აარიდა. სამაგიეროდ მარკმა შურის დაფარვა ველარ მოახერხა: საკუთარმა სახემ გასცა, სულ რაღაც ერთ წამში მთელი ორმოცი წელი მოემატა. სავარძლის ზურგს დიმილით მივეყრდნე და ვისკი დავისხი.

3

ტიფილდი შესანიშნავ გუნებაზე იყო. რატომაც არა? ისე გულუხვად გავუმასპინძლდი, ერთ ათსულიან ოჯახს კარგად გამოაძღებდა. მერე სტრიპტიზის კაბარეში წაუყვანე, ახლა „სავოის“ ამერიკულ ბარში ვისხედით, ორმაგ მარტინის წრუპავდა, ზეთისხილსა და ბურბუშელად შემწვარ კარტოფილს მუსრს ავლებდა. რა გასაკვირია, მუქთი იყო და იმიტომაც ყველაფერს ხარბად ნთქავდა. კმაყოფილი ვადევნებდი თვალს, თუმცა, ცოტა არ იყოს, გულს მირევდა.

— შავები უფრო გემრიელია, — თქვა და თეფშზე დარჩენილი ზეთისხილიც პირისაკენ გააქანა. შეშფოთებულმა შემომხედა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებსო ცოდვისა თუ წყალბადის ომის შესახებ.

— ვეცდები კიდევ მოვატანინო, — ვუთხარი და ოფიციალტი მოვიხმე.

ტიფილდს სახე დაეღრიჯა, სინანულის გამომეტყველება აღებეჭდა.

— არა, დიდად გმადლობთ. სადილისათვის მადას ნუ გამიფუჭებთ. ოღონდაც აი, ეს, მეორე... — ცარიელ ჭიქაზე მანიშნა.

მარტინი ხელახლა დაუუკვყო. ოც წუთში აგერ მესამე ჭიქას ცლიდა და ყოველ მათგანზე აცხადებდა, შესანიშნავია, მართლაც კარგა მაგარიაო. მანამდე კი უკვე მიირთვა ოთხი ორმაგი ულუფა შოტლანდიური ვისკი, ნახევარი ბოთლი ბურგუნდული ღვინო და სამი ჭიქა კონიაკი. ცოტა არ იყოს, შურიტაც კი ვუყურებდი. მე გონება მეხნეოდა, თან ღვიძლი მაწუხებდა, ვცდილობდი მეტი სმეტად ფრთხილად, დაკვირვებით მელაპარაკნა. ტიფილდი კი, ჩემზე ოცდაათი წლით უფროსი კაცი, მშვიდად ლაპარაკობდა, ერთხელაც არ არევია ენა, სრულიად ფხიზელი იყო, არაფერი ეტყობოდა, დილით, ოფისიდან რომ წამოვიყვანე, ზუსტად ასე გამოიყურებოდა.

ჯიბე მოიქექა, მერე შემომხედა, თითქოს ჩემგან რაღაცას მოელოდა. მაშინვე პორტსიგარი გავუწოდე, სიგარეტს ხარბად დასტაცა ხელი, თითქოს შეეშინდა, არ გადაიფიქროსო.

— ღმერთო ჩემო, ყიდვა არ დამავიწყდეს, — თქვა მან.

— ნუ სწუხდებით, — ვუპასუხე, — „ბენსონ ენდ ჰედჯიზ“, არა?

გამიცინა, მისივე საცვლებავით მოყვითალო, ცუდად ჩასმული კბილები გამოაჩინა.

— ძალიან კარგი, ჩემო ბიჭო, მაინც საიდან იცი?

— მაშინ, ერთად რომ ვისადილეთ, დამამახსოვრდა, — აშკარად ვიცრუე, ერთი კოლოფი „ბენსონ ენდ ჰედჯიზ“ საუზმის დროს ვუყიდე და, ცხადია, იქიდან მახსოვდა. ის კოლოფი ახლაც გაუხსნელი ელო ჯიბეში. ალბათ შობამდე შეინახავს და მერე ვისმე საჩუქრად შიართმევს, თუ, საერთოდ, შობის დღესასწაულზე საჩუქრებს ვისმე აძლევს.

ეროვნული

მალალი ქერათმიანი ქალი შემოვიდა, ფეხდაფეხ, თითქოს ბეჭედივით. იგი დაბალი მსუქანი კაცი მოსდევდა. მამაკაცები სასაცილოდ ერთნაირები იყვნენ, ამერიკული ყაიდის ერთნაირი ღია ლურჯი ფერის თხელი კოსტუმები და თეთრი პერანგები ეცვათ, წვრილი ქალსტუხები ეკეთათ — კაპიტალისტური საბუშაო ტანსაცმელი. მაგიდას მიუსხდნენ. მამაკაცებმა ერთმანეთში საუბარი გააბეს, ქალს თითქმის ხმას არ სცემდნენ. ჩანს, ქალიც არაფრად ავლებდა ან სულაც არაფრად ენადვლებოდა, ყურადღებას მიაქცევდნენ თუ არა, მხოლოდ წინ იყურებოდა გამოთავყვანებული. ეს სახე უწინაც სადღაც მინახავს, მგონი, ტელევიზორში, ორ განზომილებაში, და ამ ორ განზომილებაში, ორ, ფერთა შორის უფრო რეალური, ცოცხალი მეჩვენებოდა. თითქოს შეუმჩნევლად გამიღიმა. ერთ-ერთმა კაცმა უხეშად მიმართა, ქალმა მაშინვე ამარიდა თვალი.

უცებ თითქოს ყველა ერთხმად აყაყანდა, ხმის ტალღას ტალღა მოჰყვა და თითქოს თავზე გადაშიარა. ტალღებში გამახვია. ალბათ ახლა ბარბარა ბანასობს, აქედან ორასი მილის დაშორებით ჭყუმპალაობს და თავისთვის მღერის, გაურკვეველ სიმღერას, ხშირად ისეთსავე გაურკვეველს, როგორც სხვა ყველაფერია, რასაც დიდიდან საღამომდე ვისმენ. ზოგჯერ, ლოგინში რომ ჩააწვენენ, ბარბარა რამდენიმე წუთს თავისთვის მღერის ტკბილად და მხიარულად, თითქოს იმ ყოველივე კარგსა და საამოს იმეორებს. რაც დილას აქეთ გადახდა, მაგრამ ახლა ამერიკულ ბარში ვზივარ, და თუ ბედი არ გამიღიძმებს, ხვალაც, მომდევნო საღამოსაც აქ მომიწევს ჯდომა ან სადმე სხვაგან ასეთსავე ადგილას. ტიფილდმა მესამე ჭიქა მარტინიც დაცალა, ალბათ მალე მოჰყვება ბინძურ ანეკდოტებს.

გინდა არ გინდა, უნდა გაიცინო. აგერ დრომოჭმული, მოსაბეზრებელი ანგლოტის მოყოლაც დაიწყო მღვდელსა და კახპაზე. მაშინვე გაეიფიქრე, ხმა-მალღა უნდა გაეციინო, გაღიძმება საკმარისი არ იქნება-მეთქი. „რაც შეიძლება, გაამხიარულე, — დამარიგა ბრაუნმა, — მაგ ოხერ ბებერს არაფერი მოაკლო, რასაც მოისურვებს, ყველაფერი შეუსრულე. თუ აწყენინებ, იცოდე, ეს იმას მიშნავს, მე მაწყენინე“... არა, მართლა ასე კი არ უთქვამს, მაგრამ ასეა, ეს ყველაფერი მართალია. ტიფილდი იგივე ბრაუნია, ბრაუნი — იგივე ტიფილდი. მხოლოდ ტიფილდი სამოცდაათ კილოგრამამდე იწონის და 1930 წლის შემდეგ ახალი კოსტუმი არ უყიდია. ბრაუნი კი ას კილოგრამამდე იწონის და გამუდმებით დაიარება ლონდონში „სევაილ სტრიტზე“ და „ბონდ სტრიტზე“, მხოლოდ ვარეგნულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ერთი და იგივე პაროენებაა: ბებერი კაცი, რომელიც ხელს მაგრად მიჭერს, და ბებერი კაცი, რომელიც რაღაც არ უნდა დამიჯდეს, კარგად უნდა მოვალხინო.

ხმები შეჯგუფდა, გაძლიერდა, ასანთები აჩხაკუნდა, საანთებლებს ტკაცატკუცი გააქვთ, ჭიქებში წინულის ნატეხები წკარუნობენ, ფული ხელიდან ხელში გადადის. სახლიდან ორასი მილით დაშორებული ვზივარ და ვუსმენ ამ ბებერ

მდიდარ კაცს, ომამდელი ორმოცდაათწილინგიანი კოსტუმი რომ აცვია. ანეკლოტს მიაბობს, პირველად ეს ანეკლოტი დაფტონის „გრამატიკულ სკოლაში“² მოვისმინე, თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა, ოღონდ ჩარღზივით კარგად ვერ მოჰყვა.

— „ვგაც ვცადე“, ეუბნება ქალი, „მაინც მასლოკინებსო“, — ტიფილდს სიცილი წასკდა, ჩახლეჩილი ხმით იცინოდა, გამხმარი კესტრის ქარღვები, გვეონებოდა, უცეკვავსო, რამდენადაც შემეძლო, ავეევი სიტყვებს, მსმეტქე ქალები მხიარულების დასაფარად ერთი ანეკლოტი ვუამბე სპილოსა და მონაზონზე. ისე მაგრად, გულიანად ახითხითდა, რომ ხველება აუტყდა. ველარ და ველარ შეიჩერა! თითქოს მტკიცედ გადაეწყვიტა მისი ძვალტყავა სხეულიდან სული ამოეგლიჯა. ტიფილდი სახეზე წამოჭარხლდა, ჩაბეირდა. ხუმრობა იქით იყოს და, მართლა შევშინდი: ჯერ კონტრაქტზე ხელი არ მოეწერა — არადა, მხოლოდ მის ხელმოწერას ჰქონდა ძალა. ეს ბებერი ღორი ახლა რომ გადაბრუნდეს და მოკვდეს, სულაც არ მადლევს ხელს. უკვე ვყოყმანებდი, საყელო ხომ არ შევეუხსნამეთქი, რომ უცებ ხეულა შეუწყდა. დიდი წითელწინწკლებიანი ხელსახოცი ამოიღო, აი, ისეთი, წინათ მუშები რომ ახვევდნენ სამუშაოზე წასაღებ სადილს.

— ჩემო კარგო, კინაღამ არ დავიბრჩვი! — მითხრა, — მაინც ვინ გაამბოთ?

— ერთმა მეგობარმა ქალმა, მსახიობმა, — ვუპასუხე. ჯინმა მიაბო შაბათ საღამოს რინკმენებთან, თავის ლონდონის ტელეფონის ნომერიც მითხრა.

ახლა ლონდონშია. მეც ლონდონში ვარ. ტიფილდი სადილის შემდეგ ნამდვილად შინ წასვლას მოინდომებს. ხმების გუგუნი არ წყდება, კვლავ ამერიკულ ბარში ვზივარ ორასი მილით დაშორებული სახლიდან, მაგრამ ამ ხმებს უკვე არაფრად ვაგდებ, აღარც ბარბარას სიმღერა მესმის.

— მეგობარმა ქალმა, მსახიობმა, — გაიმეორა ტიფილდმა, — ნეტა ახალგაზრდა ვიყო... — წამოიძახა, — ერთ ასეთ მარტინის კიდეც სიამოვნებით დაეღვედი. მართალი გითხრათ, ნამდვილად მეკუთვნის. თქვენ, ახალგაზრდებს, მსახიობი ქალები გყავთ, ჩვენ ცოტა სასმელი, ასეთია ცხოვრება...

— მართლა მიირთმევთ?

— დიახ, და მერე სადილზე ვიფიქროთ. ლონდონში ცხოვრობს ის თქვენი მსახიობი ქალი?

— დიახ, კენსინგტონზე, — მივუბე.

ქერა ქალს შეხედა.

— ტელევიზორში მინახავს, — თქვა. სახელიც მითხრა, წელან ერთბაშად არ მომაგონდა, სად მენახა ეს მეტად თანამედროვე კატასავით სახე, მაგრამ სახელი რომ მითხრა, მაშინვე გამახსენდა. ამ ექვსი თვის წინათ მასზე გაზეთები ბევრს წერდნენ: საშინელი ლოთობა, ცოლმა მიაღწია წარმატებას, ქმარი დაიღუპა...

ტიფილდს თვალები უბრწყინავდა.

— ეს მსახიობები უცნაურად ცხოვრობენ, — თქვა მხიარულად.

— ყველა არა, — ვუთხარი. ჯინი სხვების განქორწინების საქმესთან დაკავშირებით ორჯერ არ გამოუჭიმიათ გაზეთში, არც ქმარი მიუყვანია სამარეშდე, სამაგიეროდ მაინცდამაინც დიდ წარმატებას ვერ მიაღწია. თუ დიდი ხნით შეწყვიტა მუშაობა, ჯინის ყოველთვის შეუძლია დაბრუნდეს უორლიში და სამზარეულოში იტრიალოს. იქ ყოველთვის ექნება თავშესაფარი, არაფრის არ უნდა ეშინოდეს.

2. არასრული საშუალო სკოლა ინგლისში.

ქერა ქალს ისევ შევხედე, წინ გადახრილიყო, ერთ-ერთ მის თანმხლებ ნამაკაცს უსმენდა. შავი კაბის გულისპირი მეტიხმეტად ღრმად ჰქონდა ამოჭრილი, ალბათ შიშველი მკერდი მთლიანად უჩანდა, მაგრამ მე თვალი ავარიდე. სამარცხვინოდ მიმანდა ასეთ ქალს ავკიდებოდი, კარგად მესმის რამ გამოუთავა ვანა სახე, კარგად მესმის, რას ნიშნავს დაჭიმულ თოკზე სიარულისას წონასწორობის დაცვა.

— რა ბედნიერებაა! — თქვა ტიფილდმა, — ახალგაზრდა ვიყო ^{ერთმანეთში} ^{გულგულად} ^{მეგობრად} ^{მეგობარ ქალს რომელიმე მისი მეგობარი ქალი მოეყვანა, — ჯიბის საათი ამოიღო, — ხუთი შილინგი მიმიცია, — განაგრძო, — ხუთი შილინგი 1930-ში, შესაკეთებლად ერთი პენიც არ დამიხარჯავს. ეგ შენი პატარა სათამაშო რომ მოგეშლება, ჩემი საათი მერეც დიდხანს იმუშავებს... — საათს დააცქერდა. — ეს საათი პირდაპირ თავზარს დაგცემს კაცს, მართლა თავზარს დაგცემს. რას იზამ, დრო მაინც გარბის. დიახ, გარბის. ჩანს, უკვე დროა სადილზე ვიფიქროთ...}

მართლაც სადილისათვის განსაკუთრებული ფიქრი მართებდა. დაიწყო foie gras¹-ით, თუმცა წამით კი შეეყოფნა, ვერ გადაეწყვიტა ხიზილალა ბერჩია თუ foie gras. მერე კალმახზე გადავიდა, კალმახს en cocotte² მოჰყვა, ამას crêpes suzette³. ბევრს არ ლაპარაკობდა, დიდი გულმოდგინებით ჭამდა, ხელსაბოცი საყელოში ჩაუკეცა, შესვენების დროს ჩემს სიგარეტს ეწეოდა, თან ღომის ულუფა ღვინოს სვამდა, რაინის თეთრ ღვინოს, vin rosé¹-ს და მადერას. ღვინოებს მე არ ვურჩევდი, თვითონ ირჩევდა და ყოველი ბოთლის შემოტანაზე გულსგამაწყვალელებელ ახსნა-განმარტებას იწყებდა, რატომ ბერჩია ესა თუ ის ღვინო.

ჩვენგან საცეკვაო მოედანი კარგად ჩანდა, დიდძალ ახალგაზრდობას მოეყარა თავი იქ. ერთმანეთში ირეოდნენ, ეტყობა, ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, რაღაცას ზეიმობდნენ. თავისი ნებით მოსულიყვნენ, საკუთარ ფულს ხარჯავდნენ, მათთვის დიდებული ღამე იყო, შესანიშნავად ერთობოდნენ და „სავოიში“ გატარებული საღამო სამუდამოდ დაახსოვდებოდათ. თერთმეტი წლის წინათ დაფტონის „ლოკარნოში“ რეგულარულად დავიარებოდი. იქაც ზემოთ ვჯდებოდი, ეჭამდი, ვსვამდი და მოცეკვავეებს შევყურებდი. სოსისებს მივირთმევდი, ჩაის ან ყავას ვაყოლებდი, მაშინ ათ გინეიანი ძვირფასი კოსტუმი სად მქონდა, ოცდათხუთმეტ შილინგიანი მეცვა, მაგრამ ჩემი ნების კაცი ვიყავი, საკუთარ ფულს ვხარჯავდი. რამდენიც მსურდა, იმდენს ვცეკვავდი.

ჩემი crêpes suzette გვერდზე მივწიე. ტიფილდმა თავისი მოსუფთაებული თევზის ზემოდან გადმომხედა.

— ხელიც არ გიხლიათ, — ცოტა არ იყოს საყვედურით მომმართა, — მადა არ გაქვთ, ჩემო ბიჭო?

— მაინცდამაინც არ მშია, — ვუპასუხე. მოცეკვავეებს შევხედე, რუმბას ცეკვით გატაცებულ გოგონებს კაბები უფრიალებდათ. მადა არა მაქვს; ულავს მადა წაუხდა, ფირმის თანამშრომელს მადა წაუხდა, სიძეს მადა წაუხდა.

— ერთი გასინჯეთ, — თქვა მან, — მართლა ძალიან გემრიელია, — ჩანგალი ვერ კიდევ ხელში ეჭირა.

1. პაშტეტი (ფრანგ.).
2. წიწილა ქვაბში (ფრანგ.).
3. თხელი ბლინები (ფრანგ.).
1. ვარდისფერი ღვინო (ფრანგ.).

— დარწმუნებული ვარ, — მივუგე, — მაგრამ მეტის ჭამა აღარ შემიძლია.
 — სულ არაფერი გიჭამიათ, — მითხრა, — ფორთოხლის წვენი და ომლეტი, ეგ ხომ სადილი არ არის. — ჩემს სავსე თეფშს ხარბად შეხედა, — ტყუილად ყუჭდება, — თქვა მან.

— რა უშავს, ოფიციალტი შეჭამს.

— ხომ არაფერს იტყვი, მე რომ შევჭამო?



ეროვნული

ჩემი თეფში წინ დავუდგი. ამჯერად ტიფილდი მართლაც მომეწონა. ძასი ღორმუცელობა რაღაც ბავშვურად მომზიბვლელი და საყვარელი მეჩვენა. ბოლოს და ბოლოს რა გააჩნია? ცოლ-შვილი არა ჰყავდა, ბიზნესის იქით სხვა არტერესები არ აქვს, ახლა ბიზნესსაც მისი ხელი აღარ ჭირდება, თავისთავად ჰიედინება. მსუბუქ მრეწველობაში 1919 წელს ჩაება, საითაც არ უნდა ისროლო ქვა აღმოსავლეთ ინგლისში, უთუოდ ტიფილდის რომელიმე ფაბრიკას მოხვდება.

ტიფილდს სრულიად ახალი სახეობის წარმოებისათვის განსაკუთრებული ხარისხის ფოლადი ესაჭიროებოდა. ეს მართლაც ახალი ხარისხის ფოლადი იყო. მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დრო და ცდა არ დაგვიზოგავს, მაგრამ ახლა თვითონ არ იყო მომზადებული საკმაო რაოდენობის დაკვეთა მოეცა ჩვენთვის. მისი საკმაო რაოდენობა კი, უხეშად რომ ვთქვა, იმის ნახევარსაც არ შეადგენდა, რისი გასაღებაც ჩვენთვის აუცილებელი იყო, რათა გაწეული ხარჯები დაგვეფარა. თანაც სხვა ვერავის ვერ მივყიდდით, სხვა წარმოებებს არ ჭირდებოდა. ეს ადრეც კარგად ვიცოდით: ანკესზე რომ მსუქან თევზს — ნაფოტას ჩამოვაცმევდით, მხოლოდ პატარა სკუმბრიას დაეიტყვრდით. ჩემი სიმამრი შეცდა, როცა ტიფილდი შესანიშნავ მუშტარად წარმოგვიდგინა. ნამდვილად ეგონა ტიფილდი შესანიშნავი მუშტარი იქნებოდა. მე რომ მკითხოთ, ტიფილდი კი აპირებდა კარგა მსუქან ნაფოტას — „XA 81“-ს¹ ყვითელი კბილებით მაგრად ჩასჭიდებოდა და, მერე თვალსა და ხელს შუა გაგვსხლტომოდა. და თუ გაგვისხლტებოდა, მაშინ ნათელი იყო, მათრაზი ვისაც მოხვდებოდა.

ხვალ მისი წარმოების მენეჯერს უნდა შეეხვდე, დამიწყებს აქედან-იქიდან „XA 81“-ის შესახებ გამოკითხვას, თითქოს წერა-კითხვა არ იცოდეს და არ სჯეროდეს, რაც მივწერეთ. დიახ, მე უნდა მოვახსენო, ეს ფოლადი ამა და ამ მაღალ ტემპერატურას უძლებს, არ იფანგება, ესა და ეს ქიმიური ნივთიერებანი ნამდვილად არ იწვევს მის კოროზიას, არც სისხლი იწვევს, არც ბენზინი, არც ანანასი, არც მუავე, არც ცხარე... და ჯანდაბას თქვენი თავი, დროს რას მაკარგვინებთ? ცხადია, ასე არ ვეტყვი, თუმცა ერთი სული კი მაქვს, აი ასე მივახალო.

ტიფილდმა მეორე უღუფაც მოათავა, სიგარეტებით სავსე კოლოფი გაუწოდე. თუ ახლა ვერაფერი მოუხერხე, მერე სულ ვერაფერს გავხდები. არა, საშუალებას აღარ მივცემ საჭირობოროტო საკითხს კვლავ გვერდი აუხვიოს.

— დაკვეთის საკითხი დიდად გვაწუხებს, მისტერ ტიფილდ.

მადერას სმა მოათავა.

— ნუ სწუხდებით, ჩემო ბიჭო. ცხადია, ამ საკითხში დიდად გათვითნოციკრებული არ გახლავართ, მაგრამ შევიტყვე, საქმისთვის თავი ჩინებულად გავირთვიათ. მოტრეში — თუ ვინმე ერკვევა ფოლადის საკითხში, ეგ სხვებს არ ჩამოუვარდება, — ამას წინათ მესაუბრა. ძალიან კმაყოფილია, ჩემო ბიჭო. საუ-

1. აქ და შემდეგაც იგულისხმება ფოლადის ესა თუ ის მარკა.

სებით გულწრფელად გეუბნებით, ეგონა, ჩვენს ყველა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდით. რაც „Z“-ზე გააკეთეთ, არა, თითები გაატკაცუნა. — „XA 81“ მრავალ ტექნიკურ სიძნელეს გადასჭრის. და თქვენ, — განაგრძო, — ძველი გამოცდილებით მაინცადამაინც ველარ იხელმძღვანელებთ.

მაშინვე მოუჭერი:

— ჩვენ „XA 81“-ის ხარისხში ეჭვიც არ გვეპარება.

— მოხარული ვარ.

ოფიციალტმა სხვადასხვა ხარისხის ყველით სავსე ლანგარი შემოიტანა; ტიფილდმა ისე ხარბად გააყოლა თვალი, გეგონებოდათ, დღეს არაფერი უჭაბდაო.

იტალიური ყველი აირჩია, ოფიციალტი ლანგარის წაღებას აპირებდა, ტიფილდმა კიდევ petit Suisse¹-ზე მიუთითა.

— დიახ, — უაზროდ წარმოთქვა, — მოხარული ვარ, რომ „XA 81“-ის ხარისხში ეჭვიც არ გეპარებათ.

— ჩვენ მოლაპარაკებულნი ვიყავით „KY“-ზე.

— „KL“, — თქვა მან, პირი ლუკმით ჰქონდა გამოტენილი, — „KL 51“-ზე.

— გასულ თვეს მოგწერეთ. გარდა ამისა, თქვენმა მისტერ მოტრემმა არც ისე დიდი ხანია თვითონ გამოიჩინა დიდი ინტერესი, ძალიან დიდი ინტერესი.

— აბა რა? სხვაგვარად არც იქნებოდა. ეგ უშუალოდ მისტერ მოტრემის საქმეა, — petit Suisse-ს შაქარი მოაყარა, — მისტერ მოტრემი დიდად დაინტერესებულია. მისტერ მოტრემი თავის მოწოდების სიმაღლეზე დგას. თავის მოწოდების სიმაღლეზე, რადგანაც საქმეში ჩემი მთავარი პრინციპი მისთვის კარგადაა ცნობილი: ჯერ კაცს ავიყვან სამუშაოზე, მერე კი საქმეს თვითონ უნდა გაუძღვეს. ჩემი ძაღლები, შეგიძლიათ ასეც უწოდოთ, თვითონ თავისთვის ჰყეფენ. დარწმუნებული თუ ხართ, რომ ასე ძალიან დაინტერესებულია, მაშინ პირადად მას მოელაპარაკეთ.

ვალსის მოცეკვავეებმა თავიანთი წყვილები გაიყვანეს, ნელ ვალსს უკრავდნენ, ძველებურს, კეროლ გიბონსის დროინდელ ვალსს „ორფეანელებს“. მახსოვს, კეროლ გიბონსი სიგარეტების კოლოფებზე და კარტებზე იყო გამოხატული. ჰენრი ჰოლიც, ემბროუზიც, ბილ კოტონიც, ჰარი როიც, რომელმაც პრინცესა შეირთო ცოლად, მაშინ ჯაზის ცნობილ მომღერლებზე არაფერი გამომეპარებოდა, ყველაფერი ზეპირად ვიცოდი. ჯადოსნური სამყაროდან მოდიოდა ჩვენთვის, იმ ჯადოსნური სამყაროდან, სადაც მოხვედრის იმედი ნამდვილად არავის არა გვაქვს.

„ნეტა აქ მყავდე“, — ამბობდა მუსიკა და ამით „კაჟუ როიალ“-ის, „კაჟუ დე პარი“-ის, „სავოი“-ს, ამ მზიარული, მდიდარი სამყაროს არსებობას ამტკიცებდა. და მეც „სავოიში“ ვსადილობდი. კეროლ გიბონსი აქ არ იყო, რომც ყოფილიყო, მაინც ვერ გავერეოდი მოცეკვავეებში, არ მეცალა და იმიტომ. მთავარია, როგორმე ტიფილდი მოვტეხო, აზრი აღარ აქვს აქეთ-იქით მიდებმოღებას. მაგრამ თავი ამტკიცდა, გულის კოეზის ქვეშ რაღაც საშინელი ტკივილი ვიგრძენი. ახლა ჩემთვის უკვე სულერთი გახდა, ტიფილდი დაგვიკვეთავდა თუ არა „KL 51“-ს, მგონი, მიხვდა კიდევ, რომ აშკარად დამამარცხა. მეტი აღარ ვიცი, რა ღონეს მიემართო, როგორ მოვდრიკო. არა, ზიზღით არ შეზიზღება, ძალიან ხნიერია, მუქთი სადილი დიდი სიამოვნებით მიირთვა.

1. ნადულის მაგვარი ყველი (ფრანგ.).

— მგონი, თქვენ წასვლა გინდათ? — მკითხა საოცრად შეშფოთებული ხმით, თან კონიაკს წრუპავდა.

— არ მეჩქარება, — ვუპასუხე.

— ხვალ მანქანას გამოგიგზავნით.

— რა საჭიროა, სერ! — „სერ“ გარკვევით წარმოვთქვი, თითქოსდა ახლო მეგობრები ვყოფილიყავით. თვალთმაქცობამ დაძვალა.

— როგორ თუ არ არის საჭირო? დაგაუიწყდათ, ხვალ ხომ უნდა შეხვდეთ მისტერ მოტრემს?

— ჩემგან ბოდიში გადაეცით.

თავი ნელა გადააქნია.

— მართლაც ძალიან უცნაურია, სიმამრმა იორქშირიდან საქმის მოსაგვარებლად ამ სიშორეზე გამოგვგზავნათ. თითქმის ყველაფერი მოაგვარეთ, ორივე ძხარე კმაყოფილები ვართ და ამ დროს საქმეს შუა გზაზე ტოვებთ. ერთი გამაგებინეთ, რატომ?

— ორომტრიალის თავი აღარა მაქვს, მირჩევნია ყველაფერს ერთბაშად გადავრჩე, — ვუთხარი, — თქვენ დაკვეთის მოცემას არ აპირებთ, თქვენი წარმოების მენეჯერთან შეხვედრით არაფერი არ შეიცვლება.

ოფიციალტი მოვიხმე.

— ანგარიში, თუ შეიძლება.

— დასკვნა ერთბაშად გამოგაქვთ, — მითხრა ტიფილდმა, — დიდი ხანია ბიზნესში ხართ ჩაბმული, ჯო, ჰა? — ეს პირველად მომმართა სახელით.

— ათი წელია.

— მე კი ორმოცდაათი, როგორც იტყვიან, ყრმობიდან. თქვენმა სიმამარმა და მე ერთდროულად დავიწყეთ. ერთი და იგივე ბიზნესის სამყაროს ვეკუთვნით.

— არ ვიცოდი.

— ბევრმა არ იცის. დასაწყისში ბედი არ მწყალობდა. სინამდვილეში მარცხი განვიცადე. დარწმუნებული ვიყავი ყველაფერს ბოლო მოელო. დიახ, თავქვე დაეშვი, ძირს დავენარცხე კაცი. ახალგაზრდა ვიყავი და მეგონა, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. ჩვენ ერთი და იგივე ქალი გვიყვარდა. ხომ მიხვდით, ას ქალი ვინ იქნებოდა?

არაფერი შევიძინე. არ მინდოდა მისთვის საიდუმლოების განღობის სურვილი ჩამეკლა, თუმცა ზედმეტი რომ დასცდენოდა, ვინ იცის, მეორე დღეს ენანა.

— ეგ ძველი ამბავია, — ვთქვი.

— დიახ, ძველი ამბავი, — ხელსახოცი დაკეცა და ადგილიდან ერთბაშად წამოიჭრა. — ხვალ შეხვდებით, ჯო.

კონიაკის ჭიქასთან მოუკიდებელი სიგარა მელო, ავიღე და გავუწოდე.

— ტყუილა ვაგაფუჭებ, — ვუთხარი.

გაიღიმა და სიგარა პორტსიგარში ჩაიღო.

— ხომ გამიგეთ, ჯო? — მხარზე ხელი მომითათუნა. — თქვენს სიმამრს ბევრი თავის ტეხვა მოუხდება თქვენს გამო, — თქვა მან — ხვალინდელი დღის შემდეგ უფრო მეტად დაგაფასებთ, დარდი ნუ გაქვთ.

— დარდს რა მომაკლებს, — ვუთხარი, — მაგრამ ახლა მაგას მნიშვნელობა აღარა აქვს.

— კეთილი, ხვალ მოვილაპარაკოთ დაწვრილებით, ხელშეკრულების პროექტს როცა ვნახავთ. ეს კია, მეტად სახიფათო დოკუმენტია, — ხელი გამომი-

წოდა, — დიდად გმადლობთ მართლაც შესანიშნავი სადილისათვის. ახლა შინისკენ გავწევი, ლოგინში ჩავწვები, ერთ სავსე ტოლჩას მოვიდგამ, ერთ საათს შერლოკ ჰოლმს ვიკითხავ... ასე ვერთობით ბებრები.

უგულოდ ვუსმენდი.

— ხელშეკრულების რომელი პროექტი, სერ?

ცელქი, ეშმაკი ბიჭივით ტუჩებზე ხელი მიიღო.

— არ უნდა გამენდო, — თქვა მან, — მისტერ მოტრემის გადაწყვეტილებაა.

მაგრამ, მერწმუნეთ, სწორედ ის ხელშეკრულებაა, რომელიც დასტურ ძალიან გაინტერესებთ.

გაოგნებული შევეყურებდი.

ტაქსში ჩავსვი და ჩემს ნომერში ავედი. ფეხსაცმელები გავიძვრე, საყვლო შევიხსენი და საწოლზე მივეგდე, მთელი დღის წვალების შემდეგ ძლივს მოვითქვი სული. გულის არეში ტკივილი შემინელდა, მაღლობა ღმერთს, ჩემს ოთახში ვარ და თანაც აღარ ვღელავ. დაკვეთის მიღებას მივადწიე. ცოტა კატა-თაგობანა კი მათამაშა, ასეთია მისი ბუნება, მაგრამ მე გავიმარჯვე, სხვა უსათუოდ დამარცხდებოდა.

ნიკაპზე ხელი მოვისვი, დღეს დილის ექვს საათზე გავიპარსე. ერთი დაბანვა, გაპარსვა, სუფთა პერანგის ჩაცმა, სარწევ საჯარძელში ჩაჯდომა და ბლომად ვისკი ყველაფერს მერჩინა, მაგრამ ტიფილდი ხელშეკრულებას თუ დამიდებდა, ამას ხომ სულ არ ეულოდი. ჯინს სტუმრები ეყოლება. შაბათს რომ მპატიყუებდა, არ მეგონა თუ შივიდოდი. სასწრაფოდ გავიხადე ტანსაცმელი, სააბაზანო ოთახში შევედი, ცივმა შხაპმა კარგა მაგრად გამომაფხიზლა, თავი უკეთ ვიგრძენი. ერთბაშად მივხვდი, სხვა აღარაფერი აღარ მინდოდა.

დიდი თეთრი პირსახოცით გავიმშრალე, სუფთა წინდები და საცვლები ჩავიცვი. პერანგის არჩევისას ცოტათი შევეყოყმანდი, ბოლოს იმ დილას ბერლინგტონის პასაჟში ნაყიდი ახალთახალი პერანგი ვარჩიე. ნალებისფერი აბრეშუმის პერანგი იყო, გასულ წელს პარიზში ნაყიდი ცოტა არ იყოს ჭყეტელა ჰალსტუხი მოუხდებოდა. ამ ჰალსტუხის გაკეთებაზე სიუხენი მეჩხუბება ხოლმე, ასე რომ, უორლიში აღარც კი ვიკეთებ. მაგრამ ახლა უორლიში არა ვარ და არც სიუხენზე ფიქრი მინდა. ჰალსტუხში დაახლოებით ორი ათასი ფრანკი მივეცი. დღეს მე სტუმრად მივდივარ მსახიობ ქალთან.

ასე მეგონა, არც ცოლი მყავს და არც ფირმის მოხელე ვარ-მეთქი. თბილ ოთახში კედლიდან კედლამდე იატაკზე ბეჭი ხალიჩა აფენია, სქელი ფარდები მძიმედ ეშვება, აქ ის აღარა ვარ, რაც უორლიში ვიყავი. ამ ოთახში არავითარი მოვალეობა არ მაკისრია, არც არაფერი მაშფოთებს, არც არაფერი მაწუხებს. დღევანდელ საქმეს მოვრჩი, ახლა უკვე თავისუფალი ვარ. ამ დროს სხვა ოტჯელში უსათუოდ უორლიზე ვიფიქრებდი, სახლი მომენატრებოდა, გულს სევდა შემომაწვებოდა, მაგრამ ახლა სახლი სულაც არ მენატრება. ხელშეკრულების საქმე შესანიშნავად მოვაგარე, კიდევ კარგი, ამჯერად წინათგრძნობა არ გამიმართლდა, უორლი ჩემთვის აღარ არსებობს.

ერთ მშვენიერ დღეს აქ საუკეთესო ლუქსს ვიქირავე, ისეთი დიდი კაცი გავხდები, რომ ტიფილდისთანა ვიღაც ოხერი ველარ გამიბედავს აქეთ-იქით მახტუნაოს.

ტუალეტის მაგიდასთან მივედი, წვერის გაპარსვამდე საჭირო ლოსიონი გადავისვი. აქ თითქოს სულ სხვა სურნელი მისცემოდა ლოსიონს, არც მისი



ქართული
საზოგადოებრივი

ხმარება მეხამუშა, როგორც უორლიში მემართება ხოლმე. ელექტროსაპარსი გავხსენი, სანამ პარსვას დავიწყებდე, მოდი, დასაღვეს დაუკვეთავ და ჯინთან დარეკავ-მეთქი. სარკვეში ჩემს თავს გავუცინე. მე მხოლოდ შეგახსენე, სიამოვნებით მოვალ სტუმრად, ძვირფასო, არ მინდოდა გაუფრთხილებლად შემოვჭრილიყავა... დიახ, ლონდონიდან, ლონდონიდან გირეკავ, საოცარია, არა? საოცარი. „საჟოიდან“. მართლა? მაგრამ ძალიან დარიბულ ნოტურში ვარ, ერთი პატარა ოთახია...

მერე დიმილი გამიქრა სახიდან. კომედიაში კი არ ვთამაშობ, სადაც სცენას სასტუმრო ოთახი წარმოადგენს! ამ დია ბეჟფერ ხალიჩას, მძიმე ფარდებსა და ოდეკოლონის „ოლდ სპაისის“ სურნელებათა შორის მარტოდმარტოდ შეთენილმა, მხოლოდ მე ვიცი, რისთვისაც მივდიოდი ჯინთან.

4

დამდებოდა „საჟოიდან“ გამოვლდი. წვიმამ გადაიღო, მძიმე ნესტიანი ჰაერი პირში სპილენძის გემოს ტოვებდა, ყოველგვარ ხმებს იჭერდა და აძლიერებდა, — ნაბიჯები, ლაპარაკი, ავტომანქანების საბურავების შხრიალი მათი გავლის შემდეგ ერთხანს კიდევ ისმოდა. მაინც თავისებურად სუფთა ჰაერი იყო და არა კონდიციონერებული. მე გარეთ ვიყავი, მივდიოდი, მარტო, ახალი დაბანილი, თავით ფეხამდე ვკრიალებდი. ოდესღაც კვირაში ურთხელ ვბანაობდი, შაბათობით, აბა, მაშინ სარწევ სავარძელში გადაწოდებდა შოტლანდიურ ვისკის ვინ მომართმევდა, მაგრამ მაინც რა დიდებული მეჩვენებოდა ყოველი შაბათ საღამო. „საჟოის“ მკერავის ვიტრინასთან შეეჩერდი, უცებ მივხვდი, ყოველნაირი ტანსაცმელი მაქვს, რაც კი ოდესმე მინატრია.

ჩერინგ კროს როუდისაკენ გავსწიე, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე თავს უკეთესად ვგრძნობდი. სენტ მარტინზ ლეინზე გადაუხვიე, „ახალ თეატრს“ ჩავუარე, ბრიტანული და კოლონიური საქონლის გამოფენის წინ შეეჩერდი, ვარდისფერი ავტომანქანა „თანდერბორდი“ მინდოდა მენახა. ეს ოხერი, ყოველთვის რაღაც ისეთი ახალი გამოჩნდება, შეძენა ვიჭირს და მისი წყალობით კიდევ უფრო თავგამოდებით მუშაობ...

„თანდერბორდს“ გავშორდი და ტაქსი გავაჩერე. არა, „თანდერბორდი“ სულაც არ მესაჭიროება, ცხადია, უარს არ ვიტყვოდი ვიკონიის პალტოზეც, მაგრამ ნიუთების შეძენა აღარ მიტაცებს, ჩემთვის მთვარია ძალა, იმდენი ძალა, რომ საკუთარი აზრის გატანა შემეძლოს, სერიოზულ პიროვნებად მიმიჩნეონ, რაღაცას მაინც წარმოვადგენდე და არა მხოლოდ მდიდარი ბოსის სიძეს.

ტაქსში გაკრული წარწერის თანახმად გადავიწიე და მოხერხებულად მივეყრდნე სკამის რბილ ზურგს, ტაქსი მაინც დიდ სიამოვნებად რჩება, თუმცა არც იმ საგნების ფასი არ მსურს დავამცირო, ჩემთვის მისაწვდომი რომ გახლავთ წელიწადში ოთხი ათასი გირვანქა სტერლინგისა და ფირმის საქმეებისათვის სახარჯი თანხის წყალობით. ძალაუფლებასაც მოვიპოვე. ბრაუნი უკვდავი ხომ არაა. იქნებ ბედმა გამიღიმოს და სისხლი ჩაექცეს, მაინც ისეთი აგებულებისაა, ასაკიც ისეთი აქვს და ტემპერამენტიც. მე კი ტახტის მემკვიდრე უფლისწულის მამა ვარ. არა, პარისს უფრო უნდა დავუახლოვდე, კარგი მეგობრები უნდა გავხდეთ, ნამდვილი მეგობრები. თუ არადა, ერთ მშვენიერ დღეს მამიკო შეიძლება გააგდონ გარეთ, ყინვასა და სიცივეში. განა ცოტა მდიდარ ოჯახში მომხდარა ასეთი ამბავი?

გულის კოვზთან ტკივილმა ისევ წამომიარა, ამჯერად უფრო მწვავედ, ლამის შევევირე, სიმწრისაგან ხელზე ვიკბინე. სახეზე ოფლმა დამასხა, თვალებში ჩამეწვეთა, მაგრამ მოწმენდა ვერ შევძელი, ისე გამაშეშა ტკივილმა. ჩვილი ბავშვივით ხელი პირში მეღო. ამასობაში კენსინგტონ ჰაი სტრიტზე გავედი, კვლავ გამეშეშებული ვიჯექი, მარჯვენა ხელი ტუჩებზე მქონდა მიღებული, მარცხენა გვერდზე მიჭერილი, მეშინოდა, ტკივილს ხელახლა არ წამოეკვლი. მადლობა ღმერთს, აღარ განმეორდა. ამასობაში ჰარის მიერ დატოვებული რკინიგზა გამახსენდა. რამდენადაც შეიძლება ბავშვმა მოათავოს სათამაშო რკინიგზის აწყობა, ჰარიმ იგი შარშან მოათავა პანსიონში წასვლამდე. ახლა სხვენზე ინახება ორ ხარაჩოზე გამართული. თავისებური რკინიგზა იყო, ტრანსკონტინენტური. საერთაშორისო მნიშვნელობის, ციურიხამდე მიდიოდა. რკინიგზას მხოლოდ სოფლები ერტყა, ერთგან შუამინდორში სამი ჰარის წისქვილი და ორი ეკლესია იდგა, ადამიანთა არსებობის სხვა ნიშანწყალი არსად ჩანდა. რკინიგზის მთავარი ხაზის პარალელურად შარაგზაზე სატვირთო მანქანა იდგა, ტრაქტორი და ასფალტის მტკეპნავი ორთქლის მანქანა. ცისფერ კამკამა მდინარის პირას საქონელი ბალახს ძოვდა, ციურიხის ტაძრის ჩრდილში — ჩემი აზრით, ციურიხის ტაძარი იყო — მწყემსი იჯდა და იქვე ცხვრის ფარა გაშლილიყო. მათ გვერდით ჰარის სპილო და ლეოპარდი მოეთავსებინა.

აღდგომის დღესასწაულებზე პირველსავე დღეს სხვენზე ავედი, სინათლე ჩაეაქრეთ. დიდი ვერცხლისფერი დიზელი გვირახადან გამოსრიალდა, წინა ფარებით მხოლოდ მწყემსსა და ტაძარს მიანათა, სპილო და ლეოპარდი მოშორებით მკრთალად ჩანდნენ. მატარებელმა ციურიხში ფოსტა გადმოაგდო. პაწაწკინტელა ციურიხი სავსე იყო ინგლისელი ჯარისკაცებით. ამ დროს ფარებმა სპილო და ლეოპარდი გააჩახჩახეს.

ჰარიმ ღრმად ამოიხვნეშა და მატარებლის სვლა შეანელა.

— მატარებელში ხალხი თვალებს არ უჯერებს, — წაიჩურჩულა ჰარიმ — თუმცა არ ეშინიათ. — მატარებელმა სვლას უმატა. — გადარჩნენ, უორლიში ბეშგზაერებიან.

— კი მაგრამ, მწყემსი და ცხვრის ფარა — ვკითხე ჰარის.

— ჯარისკაცები დაიცავენ, — თქვა ჰარიმ, — აბა, რისთვის არსებობენ ჯარისკაცები!

მატარებელმა სვლას უფრო უმატა, მერე მოსახვევის წინ ერთბაშად შეჩერდა.

— მატარებელში მგზაურებს ახლა მართლა შეეშინდათ. ჰკონიათ, კატასტროფა მოხდაო. სპილო კარს შელუწავს და ლეოპარდი შიგ შევარდება... — მატარებელი ისევ დაიდრა. — მაგრამ ახლა ყველა კარგად არის, უხარიათ, რომ მწყემსის ადვილას არ არიან. ყველანი იციან... — მატარებელმა სვლა ააჩქარა, მაგრამ ჰარიმ აღარ გააჩერა და მეორე მოსახვევთან მატარებელი ღიანდაგიდან გადმოვარდა.

— ეგონათ, გადარჩებოდნენ, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ ხომ ხედავ, ვერ გადარჩნენ. უორლის ნახვას ვეღარ ვღირსებიან.

სინათლე ავანთე.

— ძილის დროა, — ვუთხარი.

მისი ღიმილი ახლაც თვალწინ მიდგას.

— ძალიან მწყინს, მამიკო, რომ დაიმტვრა.

— არაფერიც არა გწყინს, მაგრამ არა უშავს. ეგ არაფერია.

რკინიგზით მეტი ძალა უთამაშნია. მე რაც ვუთხარი, მართალი იყო: მართლა არა უშავდა. მაგრამ იმ ღამეს ჩვენ შორის რაღაც გაწყდა, დაკარგა. ტუჩიდან ხელი ჩამოვიღე. ტკივილმა გამიარა. მაგრამ კვლავ თვალწინ მედგა, როგორ დაიმტვრა დიდი ვერცხლისფერი დიზელი მოსახვევში, კვლავ თვალწინ მედგა ჰარის ღიმილი.

კენსინგტონ ჰაი სტრიტი დაცარიელებული მეჩვენა. უგუნებოდ გავიფიქრე, საღამოობით კაციშვილი არა ჩანს, ნეტა ყველანი სად იმალებიან-მეთქი. მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში აქ უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა, ახლა მხოლოდ მანქანები დაქრიან, საჭესთან უსათუოდ ვიდაც ზის, მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება. ერთ მშვენიერ დღეს მანქანები უმძლოლებოდ ივლიან, უმგზავრებოდაც, მიმართულებასაც თვითნებურად აირჩევენ და სანამ არ ჩაივლიან, ყველას მოგვიწვეს შუნობებში დამალვა. მათ ქროლვას ბოლო არ ექნება, ჩინელებივით გამრავლდებიან.

ტაქსიმ მარცხნივ ჩაუხვია, „ოლიმპიას“ ჩაუარა, ბოსტნეულისა და საყვავილე მალაჩიები, ქიმიური წმენდისა და სამრეცხაოს რაიონი გადაჭრა, მერე ერთბაშად მარჯვნივ მოუხვია, სამსართულიანი ტერასებიანი სახლებით გამწვრივებული გრძელი ქუჩა გაიარა, მერე ერთბაშად ისევ მარცხნივ ჩაუხვია, ძველი საჯინიბოებისა და ღამის გასათევებისკენ, სადაც ჯინი ცხოვრობდა.

— ნომერი იცით, სერ? — მკითხა ტაქსის მძღოლმა.

— მივაგნებ, — ვუთხარი და გავისტუმრე.

მაგრამ ვერ მივაგენი. სახლები გაფანტულად იდგა, ნომრები არეული იყო, მთელი კვარტალი შემოვიარე, უფრო სწორად, ქუჩას მთელ სიგრძეზე დავყევი და, როგორც იქნა, დავინახე „14 ა“, პატარა ჩასახვევში „23“-ის გვერდით მიკრული. ქვით მოკირწყლულ შესახვევში კედელზე ჩამოკიდებული ვიქტორიანული დროის გაზის ფარანი ანათებდა. შიგ პატარა ვოლტაჟის ელექტროლამპა ენთო, ალბათ მეტისმეტად რომ არ ეჩახჩახა. სადარბაზო ახლად შეღებილი იყო ღია ყვითლად, სპილენძის მრგვალი სახელური ახლად გაპრიალებული. აქ ფულის სუნი ტრიალებდა. ზარის დილაკს თითი მივაჭირე.

კარი ახალგაზრდა კაცმა გამიღო, გადაკრული კი არადა, კარგა მაგრა ნასვამი ჩანდა.

— შინ არ არიან, — თქვა ხრინწიანი ხმითა და თვალებზე ჩამოშლილი გრძელი შავი თმა უკან გადაიწია.

— ჯინ ველფრი აქ ცხოვრობს?

ახალგაზრდა კაცი ბარბაცებდა, კედელს ხელით ებჯინებოდა, თავს ძლივს იმაგრებდა. უფრო ახლოს რომ დავაკვირდი, არც ისე ახალგაზრდა მეჩვენა, როგორც პირველად, სინამდვილეში, ოცდაათისა კი არა, ერთი ორმოცამდე იქნებოდა მიღწეული. კუშტად შემომხედა.

— ალბათ მიცანით, არა, მეგობარო?

შესასვლელში მუხის ხის სკივრზე პალტოების მთელი გროვა ეყარა, ჩემიც ზედ დავაგდე. უკვე ზედმეტად მიმაჩნდა მეძია, ჯინი აქ ცხოვრობდა თუ არა, ჩარჩოებში ჩასმული აფიშები ვიცანი.

— ეს კარია? — ვკითხე.

— არა, მანდ საპირფარეშოა, — მიპასუხა და მუხის სკივრზე მძიმედ დაეშვა, — კარი პირდაპირაა, პირდაპირ, მეგობარო. მაგრამ შინ არ არიან. აი, ეს

კედელზე გაკრული რალაც-რალაცები ყველა იმ სპექტაკლს ასახავს რომელშიაც ჯეკისა და ჯინს მონაწილეობა მიუღიათ. ჯინი მარცხნივ, ჯეკი მარჯვნივ. არაფერი არაა გამოტოვებული. აგერ, „მათხოვართა ოპერა“, „ციმბარუნი“, „ქალი შიშვლდება, რომ დაიმორჩილოს“, ანუი, კაუარდი, ნოველო, კიდევ მრავალი. მაგრამ ამ საღამოს შინ არ არიან. — წამოდგა ცერთა და შუა თითო ჩემი პიჯაკის გულისპირი მოსინჯა. — სასიამოვნო ქსოვილია, — თქვა მან, — სადღაც მინახავს, თუ თქვენ მინახიხართ?

— მგონი, ერთმანეთს არ ვიცნობთ, — ვუპასუხე. ეს კაცი ისედაც თვალში არ მომივიდა და ახლა უფრო გამაცოფა.

— მე არ მითქვამს, გიცნობთ-მეთქი. მაგრამ უორლიში მინახიხართ. მე უორლეული ვარ.

— რას მეუბნებით! აბა, დარწმუნებული ვარ, ამიერიდან კარგი მეგობრები ვიქნებით.

ზურგი შევაქციე, ამ დროს კარი გაიღო და ჯინი გამოვიდა. კისერზე ხელე-ბი შემოვხვიე.

— მე კი მეგონა, სახლს ვეღარ მოაგენი, — თქვა მან, — ალბათ ჯეფმა გუ-ლი გაგიწყალა.

მხრები ავიჩეჩე.

— ძალზე მთვრალია... ამჟამად უმუშევარია და ძარღვები აქვს მოშლილი.

— გულს ნუ მიკლავ, — მკლავი მოვხვიე, კისერზე ცხვირი მივუცაცუნე, — ოჰო, „დორისსიმო“ გასხია!

ისევ მაკოცა.

— რა ჭკვიანი ხარ. აბა, ჩემს კაბას შეხედე, მოგწონს? — თქოებზე კიდევ უფ-რო შემოიტმასნა კაბა, ეს სრულიად ზედმეტი იყო.

— ჰარდი ემისისაა, — ვუთხარი, — მაგრამ მთავარია ის, რომ ჯინს აცვია.

— დღეს საღამოს ყველას ასე უჩვენებს, — თქვა ჯეფმა, — ჰარდი ემისის არაა. მაღამ უინტერბოტომთან, ჰაი სტრიტზე უორლიში შეიძინა. დაკლებულ ფასში. რომელი წესიერი ქალი ჩაიცვამს მაგისთანა კაბას.

ჯინმა მაკოცა.

— რა კარგია, რომ მოხვედი, ახლა უორლი აღარ მენატრება.

— პირველი მოქმედების მთავარი სურათი, — თქვა ჯეფმა. ერთბაშად უფ-რო ფხიზელი მეჩვენა. — ღმერთო დიდებულო, რა დიდი ხანია, ორშაბათ საღა-მოს არ ჩამოხვედი? — თვალებიდან ისევ გადაიწია თმა. მაღალი, განიერი, გა-დატკეცილი შუბლი მის სახის ნაკვეთბს სულ არ ეხამებოდა, ვერ იტყოდით, ლამაზიაო, მაგრამ ლოყაზე ფოსო და სავსე, კობტად მოყვანილი ტუჩები სასი-ამოვნო იერს აძლევდა. შუბლი რომ არა და ყვრიმალზე ბლუჯად ამოსული შავი თმა, ლამაზი ქალიშვილი გეგონებოდათ. გამიკვირდა, ასეთ ცუდ გუნებაზე რა-ტომ უნდა ყოფილიყო და ჯინიც ყველაფერს რატომ უთმენდა... როგორმე ხმა უნდა ჩავაკმენდინო. ჯინის წელზე ხელი მეხვია, ერთბაშად მკლავი დამეჭიმა.

ისევ ვიგრძენი ახალგაზრდობა. ყველაფერი ნათელი იყო. ჯეფი ეჭვიანობ-და. მასაც ის სურდა, რაც მე, უორლიზეც კი ეჭვიანობდა. დიდი სიამოვნება მომელოდა, ჯინი ხომ ჩემი იქნებოდა, თანაც სხვას წავართმევდი, მერედა, ვის? ვინც პირველი შეხედვისთანავე თვალში არ მომივიდა. ლუკმაპურისათვის, ცოლ-შვილისათვის ერთი ღორმუცელა სადისტი ბუხრეკი კაცის გართობას მთელი დღე შევალე. დილის ექვსი საათიდან, რაც ლონდონის მატარებელში ჩავჯექი, მთელი დღე სული არ მომიტქვამს, როგორც ფირმის უბრალო მოხელე, როგ-

ორც რაღაც მანქანა და არა ადამიანი, ისე ვმოქმედებდი, ხოლო ხელშეკრულების წვრილმანების, მიწერ-მოწერის კითხვამ ლამის თვალები დამიბრმავა. ახლა კი თავისუფალი ვარ, ისევ გადავიქეცი ადამიანად, ახლა კი გავწერე მოცეკვავეებში.



ოცდაათამდე მოცეკვავეს მოეყარა თავი, მაგრამ არ ცეკვავდნენ. ჭოვი არც კი სვამდა. ეტყობა, ორგის გამართვას არ აპირებდნენ. ყველა მისთვის ახალგაზრდა მეჩვენა, ათი წლით გვიან მომიხდა-მეთქი აქ მოსვლა, გავიფიქრე.

— რამეს დაგაღვიძებ, — შემომთავაზა ჯინმა, — მიბრძანე, საყვარელო, რას მიირთმევ?

— გეტყვი, რას მიირთმევს, იმასაც გეტყვი, ვინც არის, — ჩაერია ჯეფი, — ახლა მომაგონდა. ლემპტონი გახლავთ. მაგას ბლომად შოტლანდიური ვისკი ენდომება, უორლიში წარმატებული ბიზნესმენები ამ ვისკის მიირთმევენ. — სიტყვა „უორლის“ პირველი ხმოვანი განზრახ გააგრძელა, თითქოს ყროყინებსო, ამასთან მე გადმომხედა, ალბათ უნდოდა გაეგო, ჩემზე რა შთაბეჭდილებას მოახდენდა. უცებ ბრაზი მომერია, უნებურად თვალით მოვზომე. ჩემზე ორი ღუიმიტ მაღალი იქნებოდა, მაგრამ საცოდავად გამხდარი, ათლეტურად გამხდარი კი არა, რაღაცნაირად მონგრეული, თითქოს უჭმელობით ჩამომდნარ-ჩამომხმარიყო, თითქოს ჯერ ძელები არ გამაგრებოდა, რაღაც მეტისმეტად ბავშვური ჩანდა.

— კარგად, გამოიცანით, — ვუთხარი, — უორლის თურმე კარგად იცნობთ. — სიგარეტი გავუწოდე. ერთბაშად მეტად მნიშვნელოვანი მეჩვენა რითიმე მესიამოვნებინა იგი. მისი სიამოვნება არაფრად მენადვლებოდა, უბრალოდ, მიხლოდა გამომეცადა, შემძლია თუ არა ადამიანებთან კარგი ურთიერთობის დამყარება.

— ერთ დროს უორლიში ვცხოვრობდი, თქვენს საშამრთან ვმუშაობდი, — თქვა მან, — ომის დროს. ერთმანეთი თვალითაც არ გვინახავს.

— აბა ვინ ნახულობს?

— თქვენი ამბავი სხვაა, — თქვა მან, — მე უბრალო კლერკი ვიყავი.

— ყველანი ერთ ტაფაში ვიხრაკებით, — ვუთხარი, — „ბრაუნსა და კომპანიაში“ ყველანი ერთ დღეში ვართ დაწყებული დიდიდან პატარა კლერკამდე. მოშორებით, დივანის უკან მაგნიტოფონი იდგა. მისმა უთვალაუმა ღილაკმა, ჩასართავ-გამოსართავმა ფლეშილის კომპიუტერი მომაგონა. ბევრი ვარწმუნე ბრაუნი, რა საჭიროა-მეთქი, მაგრამ მაინც იყიდა. ბრაუნის გახსენებაზე ეს ამბავი მაშინვე ამოვიგდე თავიდან.

— დიდი საქმოსანია, — თქვა ჯეფმა, — ეის ბრაუნი თავს არავის გაუყადრებს ვაგლახად. ნამდვილი პირუტყვი კია, მეცხრამეტე საუკუნის პირუტყვი.

ჯინმა სასმელი შემოიტანა, ჯეფმა უნებურად ჭიქას ხელი დაავლო და ერთი მოსმით გაანახევრა. ჯინმა შემოფოთებით შეხედა.

— ხომ კარგად ხარ, ჯეფ?

— შესანიშნავად, — მიუგო — მისტერ ლემპტონთან ერთად ძველ დროებას ვიგონებდი, — ჩაიხითხითა. — ხომ იცი, კარგა ხანია ვიცნობ. უორლიში დიდ თეთრ მანქანას დააქროლებს. თუმც მე არ მიცნობს. მე ვხედავ, ეგ კი ვერ მხედავს. ეგ ზემოთ ტრიქლებს....

— გახედე, შენი მეგობარი მოვიდა, — ცივად უთხრა ჯინმა.

— ჩემი მეგობარი მისტერ ლემპტონია. ვინ არ იცნობს მისტერ ლემპტონს.

ძველი საყვარელი უორლი გამახსენდა, უორლი, უორლი, უორლის სახლები. რომ იცოდეთ, ახლაც დროდადრო ჩავდივარ უორლიში. დედანები ტიბატ სტრიტზე ცხოვრობს, ქვემოთ...

მხარზე ვიღაცა ქალმა პუტკუნა ხელი დაადო, მაშინვე მიტრიალდა.

— ჯუდი, საყვარელო! მთელი საღამო შენი ლოდინით გული გადამეღია! წელზე მკლავი მოხვია ჯეფმა და თავისგან მოშორებით დაიჭირა მთელი მკლავის სიგრძეზე. — ღმერთო, რა თვალისმომჭრელად ლამაზი ხარ! უნდა ვეფუქე გიბყრო, მთლიანად დაგიმორჩილო. — გრძელ მაგიდასთან მიიყვანა, მაგნიტოფონთან, — რა თვალისმომჭრელად ლამაზი ხარ! — კიდევ გაუმეორა. მერე რაღაც ჩასწურჩულა, ქალმა მხიარულად გადაიკისკისა. რაღაც ერთი წამით ქალი ჯეფზე ახლგაზრდა მეჩვენა, მერე ისევ დაეტყო ასაკა, შუახნის ქალი იქნებოდა ჟინმორეული გამომეტყველებით.

— ჯეფი სარეკლამო სააგენტოში მუშაობს, — თქვა ჯინმა.

მე დავიღრიჯე.

— ნუ უხიაგობ, — მითხრა ჯინმა, — არ შეგფერის, ძვირფასო, მართლა არ შეგფერის.

— მე კი არ ვუხიაგობ, თუმცა... მაინც ვინ არის? თვითონ მიცნობს, მაგრამ, მომკალით, წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის.

— მართლა არ იცი? — ჯინმა უნდობლად შემომხედა.

— უორლიდან თუა, სადმე მაინც შევხვდებოდი.

— მისი გვარია კელსტეჯი.

— ეგ გვარი სადღაც გამიგონია. დიდი ხნის წინათ.

— განა სიუზენს არაფერი უამბნია მასზე? — სახეზე ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა.

— განაგრძე, განაგრძე, — ვუთხარი, — არ დამიძალო, სიმართლე მითხარი. ამბობენ, ყველაზე გვიან ქმარი იგებსო...

— ჯეფი? უორლიში, მგონი, სულ აღარ ჩადის. არა, ძველი ამბავია. ეგ ცეცხლი დიდი ხანია ჩაიფერფლა.

ერთბაშად გამახსენდა. მაშ, ეს ის კლერკია, ჩემმა სიმამრმა ქალაქიდან რომ გააძევა? მაგრამ ჯეფი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მგონი, თვითონ უნდა გაქცეულიყო.

— ალბათ ჯეფმა გიამბო ყველაფერი? — ვუთხარი მე.

— არასოდეს უხსენებია.

— არც სიუზენს, ისეთიც არაფერი იყო, მხოლოდ ბავშვური გატაცება. — ეს ჩემი სიმამრის სიტყვები გახლდათ, დიდი ხნის წინათ მითხრა ასე, სანამ სიუზენს შევირთავდი. მაშინ ჩემი მდგომარეობა ბევრად არ განსხვავდებოდა ჯეფ კელსტეჯის მდგომარეობისაგან. ნეტა რა აქვს სიუზენს გულში? ამაზე ჩემთან, მგონი, არასოდეს ულაპარაკნია. ქალთან ათი წელი თუ ცხოვრობ, ერთმანეთში უთქმელი თითქმის არაფერი გრჩებათ. ახლაც გამახსენდა ის ღამე, სიუზენი რომ კიოდა, ჯეკ უეილსი შენთან შედარებით ნამდვილი მამაკაცია და ძალიან ვნანობ, ცოლად რომ არ გავყვებიო. ისიც გამახსენდა, — თითქოს ამღვრეულ წყალს მოჰქონდა ძველი ფეხსაცმელები და კონსერვის დაუანგული კოლოფები, — ერთ ქვიფზე ადამ ლორინგი რომ გაიცნო, — უორლის კვალობაზე ბრწყინვალე მსახობი, ის-ის იყო ამერიკაში გასტროლებიდან დაბრუნებული, — მაშინ სიუზენი საკმაოდ ხამამალა და გატაცებით ლაპარაკობდა, ნეტა რას იგრობობს ის ქალი, ვინც მაგის ცოლი იქნებაო. მაგრამ ჯეფ კელსტეჯი რომ ეხსენებინოს,

არ მაგონდება. რატომღაც ძალზე საგულისხმო მეჩვენა, რატომ არაფერი მითხრა-მეთქი. ჯეფს მოღუშული, დაძაბული ვუყურებდი.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჩემო კარგო, — მითხრა ჯინმა, — სხვა არა იყოს რა, ჯეფის საყვარელია, ჩემი ხომ არა. ეგ ქალი ჩვენ შორის ყველა დავრდომილსა და იმედგაცრუებულს მფარველობს, — ჯინი მომიახლოვდა, — როგორ მოგწონს ჩვენი ბინა, რატომ არაფერს მეუბნები?

— ძალიან კოხტაა, — ეუბასუხე.

— ეს ოთახი სტუდიაა, — თქვა მან, — მართალია, მოყვანილობითა და ზომითაც შეუფერებელია, მაგრამ ოთახს სტუდიას თუ დაარქმევ, ბევრი ავეჯიც არაა საჭირო. დივანი და ბუფეტი ცოტა დიდია, მაგრამ დედას და მამას სახსოვარია. კედლები ჯეკიმ და მე შევღებეთ, — ჩემს ცარიელ ჭიქას შეხედა, — კიდევ დალევ, ჯო?

— ცოტა მაცალე, — ვუთხარი. გუნება გამიფუჭდა, აგერ აქ ლონდონში მსახიობის ბინაში დროს სატარებლად მოვედი, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი. ერთ დაცარიელებულ ოთახში ვიყავი, უსწორმასწოროდ ვარდისფრად შეღებილ კედლებს შორის, სადაც უცნაურად შერჩეული ავეჯი იდგა, ერთ ლამაზ ქალს ვესაუბრებოდი, — სხვათა შორის ეს ქალი მსახიობია, — ეს იყო და ეს, სხვა არაფერი.

ჯეფი და ჯუდი ოთახის შორეულ კუთხეში მოკალათებულიყვნენ, ჯეფი კვლავ რაღაცას ეჩურჩულებოდა, შიშველ მხრებზე ეალერსებოდა, ნეტარებისაგან ქალს სახე მიბნედიდა, გამოთაყვანებოდა. ჯეფის მიმართ უცნაური სიბრაღულის გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ის იყო ქალი, ჯუდი კი კაცი. ეჰ, ჯანდაბას, რა მენაღვლება, რა ჩემი საქმეა.

— გატყობ, დალევა კიდევ გჭირდება, — მითხრა ჯინმა, — მოდი, ჩემო თაფლივით ტკბილო, მიირთვი. მერე კი დრო ვატაროთ.

სამმა საათმა განვლო და კვლავაც დროს ვატარებდი. მოცეკვავეებს აღარ ვითვლიდი, არც მათი სახელების დახსოვებას ვცდილობდი.

დიდი ინდური ხალიჩა აკეცეს და ცეკვა გააჩაღეს. ერთ მაღალ თხელ-თხელ გოგოსთან ვალსს ვცეკვავდი, მითხრა, მანეკენად ვმუშაობო. კედლები აღარ მეჩვენებოდა უსწორმასწორო, რბილ ვარდისფერ შუქს გამოსცემდნენ. მაგნიტოფონი ჩართეს და ცეკვა შეწყვიტეს ახლად ჩაწერილი ფირის მოსასმენად. სახეზე ყველას აღელვება დაეტყო, წამოწითლდნენ და ცოტა დაირცხვინეს. „ცხადია, ყალბი ვინმეა, — ამბობდა ერთი ხმა, — ღრუბლის ნახევარსფეროები აქვს ჩაღმული ცარიელი მკერდის ადგილას. ჰკითხე ტონის, მან იცის“. მერე გაურკვეველი ხმები ერთმანეთში აირია, ისმოდა ჭიქების ჭახუნი, ასანთების ჩხაკუნი, ცენტრალური გათბობის რადიატორებში წყლის ჩხრიალი. მერე ძალზე მკვეთრად გაისმა ქალის ხმა: „ყველაზე ბოლო? ღმერთო დიდებულო, ეგ ხომ ძველისძველი ამბავია. ჰოი, რა მთვრალი ხარ, არა, ძვირფასო? შეუძლებელია-მეთქი, ხომ გითხარი“. წითურთმიანი ქალის ხმაც ვიცანი. ეს ქალი „დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიიდან“ იყო, ბუნდოვნად მომაგონდა, რომ წელან სხვათა შორის გავესაუბრე, „მე ჩვეულებრივი მშრომელი ქალი ვარ“, — იძახდა იგი, მერე ჩემი ხმაც მომესმა, ჩვეულებრივზე უფრო ბოხი: „რა დიდი სიამოვნება მომანიჭეთ“. ვერც კი წარმომედგინა ასე მკვეთრი იორქშირული გამოთქმა თუ მქონდა.

ქალმა, მანეკენად ვმუშაობო, რომ მითხრა, მიმატოვა და ჯეფის, ჯინის მე-

გობარს გაუბა საუბარი. ჯეკი ჩასუქებული პატარა შავგვრემანი ქალია, ევა სტორს მაგონებს. მაგიდასთან მივედი სასმელის დასასხმელად, თუმცა კი ვფიქრობდი, საკმაოდ ბევრი დავლიე-მეთქი. თან ტიფილდის დაკვეთის ამბავი მაწუხებდა, ხვალ მოტრეში საქონლის მიწოდების ვადების დაზუსტებას მომთხოვდა წითურთმიანი ქალი „დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიიდან“ ვილაც ახალგაზრდა კაცს მუხლებზე ეჯდა, იმ კაცის გამოქვეყნების მიხედვით ქალი მას დიდ ნეტარებას ჰგვრიდა. ჭიქა გავივსე და ბუხართან მივედი. ბუხარში დიდი კუნძები ეწყო, კრების ქალაღდის წითელი და ლურჯი გირლიანდებით მორთული. ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს მათზე შტვერსაც წმენდდნენ და კიდევ აპრიალებდნენ. წითურთმიანმა ქალმა „დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიიდან“ ახალგაზრდა კაცის ხელი ფეხიდან მოიცილა. კაცმა რაღაც უთხრა, ქალი გაწითლდა. მერე ხელი ასწია კულულების გასასწორებლად, იღლის ქვეშ თმა გამოუჩნდა. ნეტა ეს ქალი მკვდარი იყოს-მეთქი, გავიფიქრე; ვერც მათთან მივედი, ვერც მოცუკუავეებს შევუერთდი. არა, მართლა ათი წლით დავაკვირე. ბუხრის თაროზე მოსაწვევ ბარათებს დავხედე, ბლომად ეწყო. ნეტა მათ რა წაიკითხავდა?! მაგრამ გამოჩენილი პირების მოსაწვევები რატომღაც ზემოდან იდო.

ოთახში ჯინი შემოვიდა. გამიღიმა, მივუახლოვდი, მაგნიტოფონისაკენ გაიხედა.

— რამდენი ხანია ეს ამბავი გრძელდება?

— კარგა ხანია, — ვუთხარი და ჭიქა მაგიდაზე დავდვი.

— ეგ ჯეკის ბრწყინვალე იდეა გახლავს. ჩემის აზრით კი ნამდვილი სადიზმია, — ტუჩებზე პომადა ვადლაბნოდა, კაბის ცალი თასმა მკლავზე ჩამოცურებოდა. — *ყავას ვამზადებ, — მითხრა, — ხომ არ ინებებ, მართალი მითხარი?*

— მართლა მინდა.

თასმა გაისწორა.

— საშინლად გამოვიყურები, არა?

— დილის ვარდივით ხასხასა ხარ.

— უკვე მართლაც დილაა. მაგრამ ეგენი კიდევ რამდენიმე საათს დარჩებიან. მაგნიტოფონში ჯეფის ჩურჩული გაისმა, ყვირილზე უფრო მკვეთრად და გარკვევით. ჯინს თვალები გაუფართოვდა.

— აუტანელი კაცია, — თქვა მან, — ეგ ქალი ორმოცზე მეტისა იქნება.

— მგონი, აქ აღარ არიან.

— ამ ერთი საათის წინ გაიტყუა. მაგ ქალს დიდი ამერიკული მანქანა აქვს, აი, ისეთი, თევზის ფარფლებივით გვერდები რომ აქვს, შიგ კოქტილის ბარია მოწყობილი, სკამებს თუ დაუშვებ, ორსაწოლიანი ლოგინი გამოდის. ხომ გინახავს ასეთი მანქანები?

— წარმომიდგენია, — ვუთხარი, — წარმომიდგენია. — მკლავზე მივეფერე. ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

— არა, აქ არა.

სამზარეულო ძალიან პატარა იყო, ეტყობა, ახლად შეღებილი, საღებავისა და ნივრის სუნი იდგა. ელექტროლუმის თავზე ჭურჭლის საწმენდავ ტილოზე „Ratatouille Niçoise“-ს დასამზადებელი რეცეპტი მიებეჭდათ.

ჩემდა უნებურად მუხლებზე დავეშვი და ჯინს კაბის კიდეზე ვაკოცე. აბრეშუმს ოდნავ შმორის სუნი დაჰკრავდა. იატაკი ქვისა იყო. სიცივე ფარდაგში ატ-

ანდა. წელზე მკლავი შემოვხვიე და ერთხანს გავირინდე. ჯინმა ჩემი თავი მიიკრა. თვალები დავხუჭე.

მღელვარება ვერ ვიგრძენი. ესეც სურათი მეორე მოქმედებიდან. თვალბდახუჭული თუ დავრჩებოდი, ჯინი სხვა ქალად მომეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგ სურათში მაინც მომიხდებოდა თვალების გახელვა და ისევ ჯინს დავინახავდი. იატაკი უფრო ცივი და მაგარი მეჩვენა. მოუხერხებლად წამოვდგექვს და ტურებში ვაკოცე.

— რა ლამაზი ხარ, — ვუთხარი, — რა კეთილი, რა მშვიდი. ალბათ შეგამჩნიე; გასულ კვირას რომ ეკლესიაში თვალი ვერ მოვაშორე.

კაბის ორივე თასმა ჩამოვუშეი, მაგრამ კაბა არ ჩაცურებულა.

ჯინმა ჩაიკისკისა:

— ეგ თასები არაფერსაც არ იჭერენ, სულელლო.

ისევ ვაკოცე, ყელზე მივეფერე.

— ჩემსა და ჩემს ლოცვას შორის აღიმართე, — ვუთხარი, — სულ ვფიქრობდი და ვერ მოვიფიქრე; როგორ ამეწერა შენი სახე. — ყელიდან ხელი მოვაცილე. არა, ჯინს არ ჰქონდა კეთილი სახე. ან კარგი, ან უდრტვინველი.

ასეთი სახე გასულ კვირას ეკლესიაში მართლაც ვნახე, ყველაფერი ეს ზედ ეწერა, მაგრამ ის სახე ჯინისა როდი იყო. ჯინი ლამაზიცაა, სასიამოვნოც, კეთილი ბუნების, ჯანსაღი, ნორმალური, კაცმა დილით რომ გაიღვიძოს და გვერდით ბალიშზე მისი თავი დახედეს, ცხადია, ასეთ ქალზე უარს ვერ იტყვის, მაგრამ მე ეს სახე არ შთამბეჭდია მეხსიერებაში.

— შეგამჩნიე, — მითხრა ჯინმა, — ლამაზი არაა ასეთი სიცულლუტე, სიუზენი... — ისევ ვაკოცე და სიტყვა გაუაწყვეტინე. აქაურობა არავის ეკუთვნოდა, აქ სიუზენი ჩემთვის არ არსებობდა.

— აქ მხოლოდ შენთვის ჩამოვედი, — ვუთხარი, — ეს საქმეც განზრახ შენთვის გამოვქექე. სინამდვილეში ლონდონში არაფერი მესაქმება, — ჩემი ხელი თავის გზას იკვლევდა მის კაბის ქვეშ. ჯინმა ამოიოხრა და ჩემს მკლავებში მიინაბა, — უშენოდ ვეღარ გავძელი. მთელი გზა შენზე ვფიქრობდი, მგზავრობის დროს ყოველ წამს...

ერთბაშად შეირხა და გამეცალა.

— ვიღაც მოდის, — თქვა, — სიჯარეტი მომეცი, ძვირფასო, და ის ჩაიდანო გაავსე.

ჟაკლინი შემოვიდა. ორივეს ცოტა არ იყოს ვნებააშლილი ღიმილით შემოგვხედა. თითქოს ამით გვანიშნა, სიამოვნებით მიგიღებთ ჩვენს წრეში, ჩვენს საიდუმლო, ვიწრო თბილ წრეშიო.

— ყინული მინდა, — თქვა მან, — და ცოტა ვისკი.

— ჩვენ ყავას ვამზადებთ, — თქვა ჯინმა.

— აბა რა, ჩემო კარგო, ხვალ ჯოს ნათელი გონება უნდა ჰქონდეს, — მაცივრიდან ყინულის კუბურებით სავსე თასი გამოიტანა.

— მე გაგიკეთებთ, — თასს ცხელი წყალი გადავასხი, ყინულის კუბურები ფრთხილად ამოვიღე და ლანგარზე დავუყარე.

— რა კარგი ხართ, — მითხრა, — ალბათ ჯინს კარგ მეგობრობას გაუწევთ. ძალიან ჭირდება ძლიერი და დარბაისელი ვინმე, — ლანგარი აიღო, — აბა, ბავშვებო, მიირთვით ყავა, ისიამოვნეთ.

ჟაკლინი გავიდა. ჩვენ სიცილი წავგვსკდა.

— ისე მელაპარაკება, თითქოს ძალიან ვიყო, — ვთქვი მე, — მართლა გჭირდება, ძვირფასო?

— მისი აზრით სიყვარული ყველას ჭირდება, — ჯინმა ერთჯერადი ყავის ყუთი გამოიღო.

— ვფიქრობ შენთვისაც საჭიროა. ერთხელ მაინც.

— ნამდვილი სიყვარული? — თქვა მან, — ნამდვილი, როგორც შეეფერება მსახიობ ქალს — საჩუქრებით, ძვირფასი წაუღას ქურქით, სადალებით „პრიუნიესთან“, არა?

— შენს კარიერას არ გადაველობები, — ვუთხარი, — ყველაფერს გაფიქრებ გაპატიუბ, როგორც ფრანგულ ფილმებშია ხოლმე. მიბრძანე, რას ისურვებდი საჩუქრად. — მისი ხელი მუხლზე დავიდე, — სიყვარული გინდა საჩუქრად, არა?

ხელი აიღო ჩემი მუხლიდან.

— ყოველ წუთს მოსალოდნელია ვინმე შემოიჭრეს, — ტუჩზე იკბინა, — შენ თვითონ ამირჩიე საჩუქარი.

მკლავი მოვხვიე.

— ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი, არა მგონია, ასეთი საჩუქარი როდისმე მაგეღოს.

ორივე ჩუმად ვიდექით, ნაზად ჩაკონილნი. ნივრისა და ახალი საღებავის სუნი კიდევ უფრო ძლიერად მცემდა, მაგრამ არაფრად ვაგლებდი, აქაურობა არავის კუთვნილი ქვეყნის ნაწილი იყო, ნავლევჯი, ამ მიწაზე მე თავისუფალი ვიყავი.

წყალი აღუღდა, ჯინმა ყავა მოამზადა, ორივემ დაულიეთ და ხელიხელჩაკიდებულნი სტუდიაში შევბრუნდით. ჩვენთვის არავის არაფერი უთქვამს, ზედაც არავინ შემოგვხედა. მაგნიტოფონი გამოერთოთ, ერთი პატარა მკრთალი შუქი ანათებდა მხოლოდ. ჯეკი მივიდა რადიოლასთან და ფირფიტა დადო. პერლ ბეილის ხმა ვიცანი.

ღივანზე თავისუფალი ადგილი იყო, დავჯექი, ჯინი მუხლებზე დავისვი. ფირფიტა ხმადაბლა უკრავდა, მაგრამ ხელი, რბილი ხმა თითქოს მთელ ოთახს ავსებდა, სიმღერის სიტყვები გულში ღრმად მწვდებოდა:

„ქალი წავიდა „ასტორში“ და იქ ნამუსი დაკარგა,
ქალსა რა ექნა, წავიდა, კარგი სახელი დაკარგა“.

ჯინმა მაკოცა, როგორც იქნა, მოცეკვავეებში გავვრიე. არვის კუთვნილ ქვეყანაში ეამყოფებოდი და თავისუფალი ვიყავი.

— ხვალ, — ჩაეჩურჩულე, — იცოდე, ხვალ.

— გაჩუმდი, — თქვა ჯინმა, — გაჩუმდი, ძვირფასო.

5

— ჯერ სადა ხარ, მალე კარგ კომერსანტად გაქცევ, — მომესმა ჩემი სიმამრის ხმა ფურმილში, — ღმერთო დიდებულო, არ მეგონა, ასე მარჯვედ თუ გაართმევდი თავს.

ხმაში თითქოს სინანული დაეტყო; ვისკი მოვსვი, კედელზე დაკიდებულ სარკის წინ დავდექი და ენა გამოვყავი.

— მეც არ მეგონა, — ვუთხარი, — ახლა ძალიან მაწუხებს საქონლის მიწოდების ვადები.

— ეგ შენ არ გეხება.

— როგორც გენებოთ.

ნებიურად გავიშხლართე ლოგინზე. აქამდე არც შემიმჩნევია, რა მოხერხე-

ბულ საწოლში ეწოლილვარ. სასტუმროში დილის სამ საათზე დავბრუნდი, ჯეკის საყვარელმა თავისი მანქანით მომიყვანა; შევატყე, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე იმ ამბავმა, „სავოიში“ რომ ვიყავი გაჩერებული. ჯინს უნდოდა მასთან გამეთუნებინა, ნეტა რატომ არ დავრჩი?

— ტიფილდს აღარ უნდა შეხვდე? — მკითხა ჩემმა სიმამრმა.

— არა, პარიზში გამოიძახეს.

ჩემმა სიმამრმა დაიკრიახა:

— მყრალი გაიძვერა ბეხრეკი. მაშ, კარგად შეკერე?

— შესანიშნავად, წყალი არ გაუვა. ოღონდ გაცემის ვადები მაწუხებს...

— ჯანდაბას. როგორ გგონია, ნეტა რა ოხრად ვუხდი მიდრიჯს? ხომ არ დაპირდი, მალე მოგაწვდი-თქო, პა?

— ცხადია, არა.

— ძალიან კი შემაშინე, — „შემაშინეო“, წუხელის ჯინმაც ეს სიტყვა მითხრა, ჩვენ ისევ სამზარეულოში შევბრუნდით, ამჯერად მომღვენო სცენა გათამაშდა, უკანასკნელ მიზანს აღარაფერი აკლდა, მაგრამ მაინც შევჩერდით, საზღვარს აღარ გადავცდით. დიდი ნეტარება იქნებოდაო, ასე მითხრა ჯინმა, დიდი ნეტარებაო, მაგრამ შეეშინდა.

— რამ შეგაშინათ? — ვკითხე, — პო, მართლა, მეგონი, „HIX“-იც აინტერესებთ.

— ვნახოთ, მოვიფიქროთ. ახლა ამითაც კმაყოფილი ვარ. როდის დაბრუნდები?

— ოთხი საათის მატარებელს გამოყვები.

— მეტი ხომ არაინა გყავს სანახავი? იცოდე, მაშინ დღევანდელი შეხვედრა გადაიდება. ისე კი უხერხულია. ჯორჯი ხვალ მიემგზავრება. თუ არ გინდა, ნუ წამოხვალ ლონდონიდან.

სულაც არ მინდა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მაინც უნდა ჩამესწრო, კანდიდატად მიღებამდე უთუოდ უნდა შემამოწმონ, ყველაზე უფრო ჯორჯს აინტერესებს გაიგოს, რა ურთიერთობას დაამყარებს ჩემთან.

— ყველაფერი შესანიშნავად ეწყობა, — თქვა ბრაუნმა, — მეგონა, დღეს ვეღარ დაბრუნდებოდი. მაშ, კლუბში გნახავ, ზუსტად ცხრაზე.

— მატარებლიდან პირდაპირ მოვალ.

— სხვაგვარად ვერც მოასწრებ. არა უშავს, ჩემო კარგო, სხვა დროს რომ წახვალ ლონდონში, საშუალებას მოგცემ მთელი ღამე იქეიფო. თუ გინდა სიუზენიც წაიყვანე, ერთად დაისვენეთ, ცოტა დრო გაატარეთ. ღირსი ხარ. მაშ, დღეს საღამოს გნახავ, კარგად იყავი.

— ვეცდები, — უნებურად ვუპასუხე ასე და ტელეფონის მილი დაკვიდე.

პირველი კლასის კუპები დაკავებული აღმოჩნდა, ბოლოს იმ ვაგონში შევედი, სადაც სიგარეტის მოწვევა აკრძალული იყო. დავჯექი თუ არა, მაშინვე წამოვლიმა, ძალზე უგემურად მეძინა. თვალი რომ გავახილე, დავინახე, კუპეში ყველა მანქანაზე გადაბეჭდილ ფურცლებს ან საღამოს გაზეთებს კითხულობდა. ვიღაც კაცი წითელი მეღნითაც კი აკეთებდა შენიშვნებს. მის ზემოთ, ბადისებურ თაროზე მაგრად დატენილი პორტფელი იდო, იქიდან სქელი, ღორის ტყავისყდიანი წიგნი გამოჩრილიყო. ალბათ ვექილია, ვიღაც უპატრონო კაცის ჩამოსახრჩობად მიემგზავრება-მეთქი. ჩემ გვერდით წვეროსანმა კაცმა ჯიბიდან თუნუქის კოლოფი ამოიღო პიტნის დრაჟეთი, გახსნა და ჩახედა.

პირში ერთი დრაჟე ჩაიდო და გაზეთის კითხვა განაგრძო. თვალები კვლავ

დავხუჭე, გამიკვირდა, ყველა რატომ შემზიზღდა. ბილეთის შემმოწმებელმა მხარზე ხელი ნაზად დამარტყა, თვალი გავახილე. ბილეთი ერთბაშად ვერ ვიპოვნე, საფულეში დავიწყე ქექვა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდი. ჩემი თანამგზავრების სახეებზე მაშინვე მალული სიამოვნება შევამჩნიე. კარგად ვიცი, ვუხებაში რაც გაიფიქრეს: პირველი კლასის ბილეთი არა აქვს ან სულაც უბილეთოდ მგზავრობსო. იცოცხლე, გაიხარებდნენ, კლუბში სალაპარაკო გაუჩნდე-ბოდათ.

ვექილმა შენიშვნების წერა შეწყვიტა, ჯერ მე შემომხედა, მერე ჩემს მეზობელ მელოტ კაცს, ოქროსჩარჩოიანი სათვალე რომ ეკეთა. ეტყობა, პირზე ადგა სიტყვები: „საოცარია, კაცს მაშინვე შეეტყობა, ვინ არის... ამ ბოლო დროს ხალხი ძალიან გაფუჭდა, ასეთები მოძრავლდნენ...“

ბილეთი ვიპოვნე. ჩემი გამოჭერის მომლოდინე ვექილს სიამოვნების გამომეტყველება გაუქრა. ვარდისფერი, მსუქანი სახის კაცი იყო, დაბერილი ქუთუთოები ჰქონდა. ან რატომ უნდა შემშინებოდა? პატიოსანი, შეგნებული მოქალაქე გახლდით, ორი შვილის მამა, სენტკლერის ოლქის კანდიდატი, ლონდონში ჩინებულად მოვაგვარე საქმეები და შინ ვბრუნდები. აქ ყოფნის უფლება განა სხვაზე ნაკლებ მაქვს? რატომ უნდა ვიგრძნო თავი უხერხულად? გარეთ მზის მკრთალ შუქზე ვაკე მინდვრები გაშლილიყო, მინდვრებზე კაციშვილი არ ჩანდა. როცა ქალაქი ცარიელდება, ეს დიახაც გასაგებია, მაგრამ მინდორში უთუოდ ვინმე უნდა მუშაობდეს. ალბათ მალე შეამჩნევენ ამ ნაკლსა და ვილაც გამორეკავს მინდვრად ქობმახებში მიმალულ ფერმერებს. ან ლეოპარდს. ან სპილოს. ან ჯარის ნაწილს. საათს დავხედე; სადილობამდე ნახევარი საათი დარჩენილიყო.

ჯინი გამახსენდა. როცა ვუთხარი, შინ უნდა დავბრუნდე-მეთქი, გული ძალიან დაწყდა, თუმცა არა უშავს რა, ალბათ გამოჩნდება ვილაც სხვა და მასთან ერთად დიდ დივანზე ისიამოვნებს, გამოჩნდება ვილაც სხვა და ბოლო სადგურს სანამ მიადგებოდნენ, მასთან ერთად იმოგზაურებს. ან იქნებ ბოლო სადგურსაც მიადწიონ. რა შენაღვლება, მე შორსა ვარ. ცნობისმოყვარეობის ჭია ხომ მოვიკლი, სიამაყის ჭიაც მოვაშთე. კარგა ხანია ორივე მოშიებული მყავდა, აწ არც ერთი აღარ შემაწუხებს. ამით არც არავის არაფერი დაშაეებია და, რაკი არ დაშაეებია, ვერა ვექილი ვერ ეღირსება დიდ გასამრჯელოს. პირველი კლასის ვაგონში ღირსეულად მიკავია ჩემი ადგილი გონიერი ხალხის გვერდით. წამოვდექი, ჩემი პორტფელი ჩამოვიღე, ტიფილდის ქალაქების დასტა ამოვაღაგე. შენიშვნების წერა დავიწყე. მატარებელი ისე სწრაფად მიქროდა, ვაგონი ისე ირწეოდა, გვეგონებოდათ, აქეთ-იქით აწყდებათ. მაგრამ მე ხელში კალამი მაგრად მეჭირა, ვითარც ჩვენი ფირმის ბაირალის ტარი.

ლუდერსფორდში ვიქტორიას სადგურზე ტაქსი არ ჩანდა. ერთხანს ველოდე, მერე ცენტრალური სადგურისაკენ გავემართე. მსუბუქ კოსტუმში ცივი ქარი ძლიერ ატანდა, პორტფელი მეტისმეტად შემშიმებოდა. კომერციულ საქმეებზე წასული კაცი შინ ვბრუნდებოდი დაღლილ-დაქანცული. უცებ ვიაზრე, მაინც რა დამახასიათებელია ჩემი სიმამრისათვის, დასახვედრად რომ არავინ გამომიგზავნა.

გზის შესამოკლებლად ინგერტონ კლოუზი გადავჭერი. ინგერტონ კლოუზის ქუჩა დასაწყისში ვიწროა, პატარა სკვერისაკენ ხელ-ხელა განიერდება და მერე ისევ ვიწროვდება. ძველი სასტუმროების რაიონთან შედარებით, სადაც ჯინი ცხოვრობს, ეს ქუჩა, მართლაც საზიზღარი პაროდიაა-მეთქი, გავიფიქრე. ერთ დროს

კი ლედერსფორდის „ოლბენად“, კარგ საცხოვრებელ ადგილად ითვლებოდა, ახლა მეტწილად აქ უესტ ინდოელები და პაკისტანელები სახლობენ. მალე ისინიც გადავლენ აქედან, ამ სახლებს ალებას უპირებენ. ლედერსფორდი ისეთ დღეშია, ვეღარაფერი უშველის, რის შეკეთება, რა შეკეთება? ისეა ყველაფერი ჩაშავებული, ჩაბინძურებული და ჩახავსებული, სახლები დაგეგმილიც საშინლადაა. აქ ახალი ქალაქის გაშენებას აპირებენ, ნეტა ვინ იცხოვრებს ახლად გაშენებულ ქალაქში?

ბიზლირთეკა

შორს, ქუჩის ბოლოს, ლამპიონის ბოძთან ბიჭების ხროვა დაყუდებულიყო. ნაბიჯი შევანელე, წამით კიდევ შევეყოფიანდი, იქნებ უკან გაებრუნდე-მეთქი. მაგრამ ისინი შვიდი ნომერი სახლის ნახევარ სარდაფს მიჩერებოდნენ, ჯაზის კლუბს. კლუბში ვიღაც თავგამოდებით უკრავდა, სპილენძის საყვირში მთელი ძალით უბერავდა, ცდილობდა მიწას მიწყვეტოდა, მუსიკის ჰანგებში გადაღვრილიყო, ლამის ფილტვები ასკლებოდა, მაგრამ ლედერსფორდს მაინც ვერ სცდებოდა, წმინდა ჰანგებში ვერ იღვრებოდა. და მოკირწყლულ ქუჩაზე ქვებს შორის ბალახი კვლავ ხარობდა, ირგვლივ მუავე კომბოსტოსა და დახრუკული ზეთის სუნი ტრიალებდა. ყმაწვილებს სახეზე მოლოდინის გამომეტყველება შეჰყინოდათ. ერთნაირი სახეები ჰქონდათ, ტანსაცმელიც უნიფორმასავით ერთნაირი ეცვათ. ვიწრო ჰალსტუხები ეკეთათ — „სლიმ ჯიმის“ ჰალსტუხები, ღია ლურჯი კაპრონისძირიანი, ნატის თუ შავი ტყავის ფეხსაცმელები ემოსათ ოქროსფერი სათასმეებით, ქვემოთ ჩავიწროებული ჯინსის შარვლები, საწვიმრები თუ შალის ძაფისგან ნაქსოვი სირმებგაყრილი ქურთუკები. გარეგნულად ყველას თავისებურად ეცვა, მაგრამ მაინც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თითქოს ყველანი ერთნაირად შემოსილანო, ყველას მოკლედ შეეკრიჭა თმა. მთელი ბანდა იყო, რალაცას უცდიდნენ, ეტყობა, დროს გატარებასაც ერთად აპირებდნენ. მიეუახლოვდი, იმედი მქონდა, ჩემს შიშს ვერ დაყნოსავდნენ. მშვიდად ჩავუარე, ლამარაკი შეწყვიტეს და შემომაჩერდნენ. თავს ძალა დავატანე უკან არ მომეხედა ან არ გავქცეულიყავი. მოსახვევი მხოლოდ უბ სტრიტზე გადიოდა, ხოლო უბ სტრიტიდან გამოსვლა მხოლოდ ჰამბერის კიბით შემეძლო. არადა, ცხადია, მათ ჩემზე უფრო ემარჯვებოდათ სირბილი.

მაგრამ ჩემი თავი არ ჰქონდათ, რალაცაზე გულიანად ხორხოცებდნენ.

— მაგ შავდრუნჩა ნაძირალას, — თქვა ერთ-ერთმა, — დედას ვუტირებ თავისი ბოზულეთა გოგოიანად...

— მიდი, მიდი, ჯიგარო, აბა, უტირე დედა, — ბერძნულ ქოროსავით მიამახეს აქეთ-იქიდან.

— და იმ დამპალ საყვირსაც პირში მაგრად ჩავთხრი...

უბ სტრიტზე პოლიციელი დაკინახე. გულგრილად შემავლო თვალი და ინვერტონ კლოუზისაკენ გადაუხვია. მუნიციპალიტეტის მრჩეველი ლემპტონი დიანაც მიუთითებს პოლიციელს „ჯიგარსა“ და მის ამფსონებზე, მაგრამ ჯერ არ ვარ მუნიციპალიტეტის მრჩეველი.

ჰამბერის კიბე ძალზე ძაღალი იყო, საფეხურები მოცვეთილი, არათანაბარი. ნელ-ნელა ავეყვი კიბეს, რკინის მოაჯირს ვეჭვიდებოდი. ცივი და მშრალი ამინდი იდგა, მაგრამ რკინის მოაჯირი თბილი და გაქონილი იყო. ნაბიჯს ავუჩქარე, მალე შინ ვიქნები. ორასმილიანი მოგზაურობის დაღლა ცხელ აბაზანაში გამოწვლდება.

1. ლონდონის საცხოვრებელი უბანი.

ტაქსი დაეჭირე, მანქანაში თვალები მივლულე, ცხელ აბაზანასა და ტკბილ ძილზე ოცნებას მივეცი.

მარკეტ სტრიტამდე არც კი გამხსენებია, ბრაუნს რომ უნდა შეხვედროდი. წამიერად კინალამ ცთუნებამ მძლია ტაქსის მძღოლისთვის მეთქვა, მარცხნივ, სენტკლერის შოსესკენ გაეხვია. ბოლოს და ბოლოს ბრაუნმა ხომ მითხრა, შენა მოსვლა სავალდებულო არ არისო? არა, ჯორჯ ეისგილთან შეხვედრა არ მინდა, უკვე ათი წელია ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია, ჩვენდა უნებლად ერთ-ერთ ბოლით ერთმანეთს, ამაზე არასოდეს შევთანხმებულვართ. ან რა შეთანხმება იყო საჭირო? ახლა ორივეს უნდა დაგვერღვია დუმილი, თავი მოგვეკატუნებინა, თითქოს ერთმანეთს მუდამ ხმას ვცემდით. ამიერიდან ვაპირებდით ერთმანეთის მიმართ თავაზიანნი, მეგობრულად განწყობილნი ვყოფილიყავით და გონივრულად მოვექცეულიყავით. მე ამას მოვახერხებ. ახლა ის კაცი აღარა ვარ, ამ თერთმეტა წლის წინათ თავდავიწყებით რომ უყვარდა ელის ეისგილი. დიახ, თავდავიწყებით უყვარდა. მაშინ ასე იყო. თვალები მოვიფშენიტე, უძილობისაგან მეწვოდა და მტკიოდა. ასეთ დაღლილ-დაქანცულს, როცა საკუთარ ფიქრებსა და გუნებას კონტროლს ვერ ვუწევდი, ჯორჯ ეისგილის ნახვა სულაც არ მეხალისებოდა. ალბათ ისევ მწარე ენა აქვს, რაიმე მიზეზს ჩაეჭიდება და კვლავ გამონახავს საბაბს მაგრად მიკბინოს. აგერ ათი წელია ერთმანეთს ხმას არა ვცემთ, აწ რაღა შეიძლება. სჯობს ისევ მარცხნივ, სენტკლერის შოსესკენ გადავუხვიო, სახლის გზას დავადგე და გემოზე გამოვიძინო.

მაგრამ როცა ტაქსი შუქნიშანს მიუახლოვდა, მივხვდი, ყოველივე ამაო იყო, შეხვედრა არ ამცდებოდა; თუმც ეს შეხვედრა მე არ ამირჩევია, მაგრამ მაინც ჩემი არჩეული გამოდიოდა.

— პირდაპირ წადი, — ვუთხარი მძღოლს, — პირდაპირ და მარჯვნივ პირველი შესახვევი.

ტაქსიდან გადმოვედი, საათს დავხედე, ცხრას სამი წუთი აკლდა. პორტფული ძირს დავდე, პორტსიგარი ამოვიღე. სიგარეტი პორტსიგარზე დავბერტყე, მერე სანთებელა ამოვიღე. ელისმა იცოდა თქმა, ფილიას ფოგივით სიზუსტის ბზიკი გაქვსო, ზუსტად მაშინ მიყვარს მისვლა, როცა საათი დანიშნულ დროს ჩამოჰკრავს. ახლაც ამ ბზიკმა წამომიარა. სადარბაზოს გვერდით ძველ საარჩევნო პლაკატს დავუწყე თვალთვლება, მაგრამ რამდენიც არ უნდა ჭიმო, სიგარეტის ამოღებას და მოკიდებას თხუთმეტ წამზე მეტი არ სჭირდება. არჩევნების პლაკატს ნახევარ წუთს ვუყურე, მერე დავიხარე, ვითომ ფეხსაცმლის თასმას ვიკრავდი.

ბრაუნის „ბენტლი“ ჩემ წინ გაჩერდა. ბრაუნი მანქანიდან გადმოვიდა, მანქანას შემოუარა და უკანა კარი გააღო. გავიმართე, მერე ისევ დავიხარე, ვითომ მეორე თასმას ვიკრავდი. უკვე ცხრას ერთი წუთი აკლდა, ბრაუნმა თუ ვერ შემამჩნია, მაშინ ზუსტად იმ დროს შევალ, როცა წმ. ალფრედის ეკლესიის საათი ცხრას ჩამოჰკრავს. ეს, ასე ვთქვათ, პატარა გამარჯვება იქნება ბრაუნზე. პატარა გამარჯვებები კი დღითი დღე ერთურთს ემატება ხოლმე.

მაგრამ ბრაუნმა შემამჩნია.

— რაო, თასმები შეგეხსნა, ჯო?

ამასობაში ჰაერში ხრიალ-ზუზუნი გაისმა და ეკლესიის საათმა რეკვა დაიწყო. ბრაუნმა გაიღიმა.

1. ფილიას ფოგი — ყიულ ვერნის რომანის „ოთხმოცი დღე დედამიწის გარშემო“ მთავარი მოქმედი გმირი.

— ხედავ, ზუსტად დროზე მოვედი, ყოველთვის ასეთი ზუსტი ვარ, არც აქეთ, არც იქით, არა, ჯო?

— სიზუსტე მეფეთა თავაზიანობის ნიშანია, — მივუბნე და მისი თანამგზავრისაკენ გავიხედე: ლამაზი ფეხები, თეთრი ტყავის პალტო, ლურჯი თავშალი, დიდი-დიდი ოცდაექვსი, ოცდარვა წლისა ყოფილიყო. ტყავის პალტოში ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ, ჩანს, ძალადი და მკვრივი მკერდი ექვსი-სამიწონო სურნელებას აფრქვევს, „შროშანა“ ასხია, არა? დაახლოებით ხუთმეტრისა იქნება, მაგრამ სიმაღლე არ ეთაკილება, მხრებში გამართული დგას. „ხერხემალს მისას მოსავს მისივ სიმშვენიერე“ — ეს სიტყვები გამახსენდა. მართლაც მასზე იყო ზედგამოჭრილი. მაგრამ მათ წარმოთქმას არ ეჩქარობდი, ვისაც ეკუთვნის, მოვა დრო და მაშინ ვეტყვი, ხოლო ვისაც ეკუთვნის, ახლა ჩემს წინ იდგა. ეს ის ახალგაზრდა ქალი გახლდათ, გასულ კვირას წმ. ალფრედის ეკლესიაში რომ ვნახე. თავიდან ფეხამდე შევათვალიერე. მასზე სხვაგვარად ვერც იფიქრებდი. უაუოდ თვალში მოგხვდებოდა. კარგა დიდი ხანია, ასეთი მოწიფული, დასრულებული ქალი არ შემხვედრია.

— გაიცანით, ჯო ლემპტონია, — უთხრა ბრაუნმა, — ჯო, გაიცანი, ნორა ჰაქსლი გახლავს.

— გამარჯობათ, — ხელი გავუწოდე.

— მისის ჰაქსლი „ლედერსფორდ ნიუზის“ რედაქციიდანაა, — მოულოდნელად დაურთო ბრაუნმა თითქოსდა მობოდიშებით.

ქალმა გაიღიმა:

— მისტერ ბრაუნმა მითხრა, რომ პირდაპირ ლონდონიდან მობრძანდებით, მისტერ ლემპტონ.

მისი ხელი უფრო დიდხანს მეჭირა, ვიდრე თავაზიანობა მოითხოვს. რამდენადაც შესაძლებელი იყო, მასთან ახლოს ყოფნა მსურდა, დიმილს არ დაურღვევია მისი სახის წყობა, თითქოს დიმილიც ამ სახის ნაწილს შეადგენდა. ახლა კი წასულია ჩემი საქმე, ვიფიქრე. ხელი გავუშვი. კი, წასულია ჩემი საქმე. მომინდა მთელი არსებით მივცემოდი მას, აქვე, ახლავე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მის სიმშვიდეში ჩავძირულიყავი. კვირას, პირველად რომ ვნახე, მაშინვე გადავწყვიტე; ეს ყველაფერი ყოველად შეუძლებელია-მეთქი. მისის ჰაქსლი ახალგაზრდა გათხოვილი ქალი ჩანს, უშვილო. ალბათ დიდი ხნის გათხოვილიც არ არის. არა, შეუძლებელია, აქედან კარგი არაფერი გამოვა.

— ჩემმა სიმამრმა ცუდ დღეში ჩამავლო, — წარმოვთქვი მე.

— დადგება დრო და ჩემი მადლიერი იქნება, — თქვა ბრაუნმა და მისის ჰაქსლის მიუბრუნდა, — უნდა დაგემშვიდობოთ, მისის ჰაქსლი. მუნიციპალიტეტის საქმეები გვაქვს. — კლუბის შენობის გამჭვარტლულ ქვის ფასადზე თავით ანიშნა. — ხომ იცით, აქ უფრო მეტი საქმეები წყდება, ვიდრე ქალაქის რატუშაში. ოღონდ ეს ჩემი სიტყვები არ გამოიყენოთ!

— კიდევ და კიდევ დიდი მადლობა, — თქვა ქალმა, — ამონაბეჭდებს გამოგიგზავნით. ნახვამდის, მისტერ ბრაუნ. ნახვამდის, მისტერ ლემპტონ.

კიბეზე ავედით, ზემოდან თვალი გავაყოლე თ მიმავალ ქალს.

— შესანიშნავი ქალია, — თქვა ბრაუნმა, — ნახე, რა ლამაზად მიაქვს ტანი, — მბრუნავ კარს ხელი ჰკრა, — თუმც ცოტა არ იყოს, დიდი კბილები აქვს.

— მართლაც ძალიან ლამაზია.

— ესაა, მეტისმეტად მტკიცე ხასიათისაა. ეგენი სერიებს ბეჭდავენ — ერთი დღე ამა და ამ კაცის ცხოვრებიდან. ხომ იცი, ამგვარი რაღაცები ბლომად იბეჭდება. — ბრაუნი პალტოს გახდაზე მომეშველა, ეს მისთვის სრულიად უჩვეულო

ამბავი იყო და მეტად საგულისხმოც. — მთელი კვირა დამდეგდა და ვერ დამიჭირა. სულაც არ მაინტერესებს, რა ჯანდაბად მიხდა, მაგრამ ამდენმა უარის თქმამ დამლაღა.

ამონაბეჭდებს გამოვიგზავნითო, ასე არ უთხრა? ჩემს სიმამრზე ნარკვევს დაწერას აპირებს. მასზე უნდა იფიქროს, გაიხსენოს მისი გარეგნობა, მისი ყოველი სიტყვა, მოძრაობა. მე არც კი მომიხსენიებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მე დავავიწყდები. პრესაში მის სახელს წავიკითხავ, ესეც რამეა, იქნებ გამოვხადო გეს რამეში.

— გამოქვეყნება ზიანს არ მოგიტანთ, — ვუთხარი ბრაუნს, — ქარხანა დაათვალიერებინეთ?

- რაღაღმა დაათვალიერებინა.
- რაღაღმა?
- რაღაღ ჰეთერსექტმა.
- არ ვიცოდი, თუ ჩვენთან მუშაობდა.
- ჩვენს ფირმასთან უნდა საქმე დაიჭიროს. უფრო სწორად, მამამისს უნდა.

— ვერ გამიგია, რაღა მან დაათვალიერებინა ჩვენი ქარხანა?

— თავისუფალი იყო, დრო მოკლა. ხომ იცი, ფოლადის წარმოება ყველგან ერთნაირია. შემთხვევა ჩაუვარდა ხელში და ვერაფრით ვერ დავაკავეთ, — ბრაუნმა ჩაიციხა, — ურჩევნია ფრთხილად იყოს, ხომ გაგიგია, ქვრივი ქალი რა სახიფათოა.

- ქვრივია? — ვკითხე.
- ქმარი ერთი წლის წინათ დაელუბა, ცურვის დროს, არ გახსოვს ეს უბედური შემთხვევა?

ციხეში პირველად მიყვანილი პატიმარივით ვიდექი პოლში. მომწვანო-მოყავისფრო კედლებმა, ზედ მიკრულმა აურაცხელმა განცხადებამ, დეზინფექციის ნაძვისებრმა სუნმა ერთბაშად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. უორლის კონსერვატორთა კლუბის შესასვლელში, პოლში ვიდექი ჭუჭყიან მარმარილოს იატაკზე, ეს იყო და ეს.

— კაცის საქმე ბიჭბუჭისთვის მიგინდვიათ, — მივმართე ბრაუნს, — მომავალში ახალგაზრდა ქვრივებს მე წავიყვან ქარხანაში.

- ამიერიდან მეხსომება, — მიპასუხა ბრაუნმა.
- რასაკვირველია, ფოლადის მიღების პროცესს ვუჩვენებ, — ვთქვი თითქოს სასხვათაშორისოდ, ვითომდა აქაც არაფერიაო, როცა ბარისკენ ამავე კიბეს მიუყვებოდით ახალგაზრდა ქვრივი ქალი მამაკაცმა ასეც უნდა მოიხსენიოს, მასზე შიგადაშიგ ხუმრობით ვლაპარაკობდიო.

ბრაუნი და მე კუთხეში მაგიდას მივუსხედით, მაშინვე სავარძელში ჩავეშვი. როგორც პოლში, აქაც სევდისმომგვრელი მომწვანო-მოყავისფრო ჭარბობდა, მაგრამ ირგვლივ ახალი და მოხერხებული სავარძლები იდგა. ვისკი მოვსვი, დაძაბულ ძარღვებში მყის თბილად დამიარა.

- აი, თურმე რა მჭირდებოდა, — ვთქვი.
- კიდევ დალიე, — უკან არ მიუხედავს, ისე ასწია ხელი. ოთახის მეორე მხრიდან ოფიციალტი მოსრიალდა. ბრაუნი იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, ოფიციალტები უმაღლ რომ ამჩნევენ, ასევე უმაღლ ამჩნევენ — შურის გრძნობამ პირდაპირ გულში მიკბინა — რაღაღ ჰეთერსექტსაც.
- მწარე ლუდი მიჩვენია, — ვუთხარი.
- რასაც ინებებ, მიირთვი, ვაჟკაცო, — ლუდი დაუკვეთა, — დღეს მართლაც

ვინ ან რა შეგედრება? ყველაფერს იმსახურებ. ამ საღამოს პირდაპირ აქ რომ მოხვედი, იცოდე, დიდად ვაფასებ, გულწრფელად გეუბნები, დიდად ვაფასებ-მეთქი.

— ჩემთვის სულერთია, — ვუთხარი, — ახლაც თავისუფლად შევხვდები.

— ნება შენია, შეგიძლია ახლავე უარი თქვა, — მითხრა ბრაუნმა, — ბევრი ვიფიქრე, ვაითუ...

— რატომ ვაითუ?

ბრაუნმა ამოიხვნეშა. ჩვეულებრივ, როცა რაიმეს გადაწყვეტა უნდოდა და ბოლოქრობდა, ყოველთვის ქშინავდა და ქოშინებდა, მაგრამ ახლა უნებურად მძაბედ ამოიხვნეშა.

— ვაითუ სიუზენს ეწყინოს, მარგარეტსაც.

— მერე რა, გინდ ეწყინოთ, გინდ არა.

— ცხადია, კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც საჭიროდ მიაჩნია. პირადად შენ დარწმუნებული ხარ, რომ დანამდვილებით გინდა? ჯერ კიდევ დრო გაქვს უარი თქვა.

ბარში კიდევ ოთხი კაცი იჯდა, დაახლოებით ბრაუნის ხნისა იქნებოდნენ. მათ ვიცნობ, უფრო სწორად, ვიცი ყოველი მათგანი რით ცხოვრობს და რა საქმიანობას მისდევს — ხე-ტყის წარმოებას, ფქვილის, საფეიქრო წარმოებას, სადაზღვევო საქმიანობას. ხე-ტყე და ფქვილი დახლთან იდგნენ და მუშახელის გასამრჯელოზე კამათობდნენ, საფეიქრო მოპირდაპირე მხარეს დარბაზში მაგიდასთან იჯდა და გარაჟის გადასახადების მომატებაზე წუწუნებდა. დაზღვევა მოთმინებით უსმენდა და პასუხისათვის თავის ჯერს ელოდა. გვერდით ოთახის კარიდან ბილიარდის ბურთების რაკუნი, არეული ხმები და შეძახილები ისმოდა. ალბათ ათასობით ასეთი საღამო განმეორდება, ათასობით საღამოს გავატარებ აქ, მოვუსმენ ბუზლუნა ხანში შესულ წარმატებამიღწეულთ, გონიერ, დარბაისელ მოქალაქეებს, მოვუსმენ აქ ან სხდომათა დარბაზში. ვეცდები დიდი სიფრთხილედ გამოვიჩინო და მათ არ ვაწყენინო, მერე კი თვითონ ვერ შევამჩნევ, თანდათანობით როგორ დავემსგავსები მათ. მეც მათსავე დაველოდები, როდის მოვა ჩემი ჯერო საბუზლუნოდ, როდის გამიგანიერდება ვენები, როდის მომაკითხავს სიკვდილი. ჰარიც თანდათანობით დამშორდება, და ბარბარას, ბარბარასაც კი აღარ ვეწყობები. სამყარო, რომელშიაც ბარბარა ცხოვრობს, ამ სიყვარულისთვის მასხარად აიგდება; და ბარბარა ცოლად გაჰყვება პეტერსეტის დარ კონტაპრუწას, აღარ შეთხზავს ზღაპრებს თბილ გოლიათებზე, ვეღარ დაინახავს ციხე-კოშკებს „ციფვის ხეობაში“. სიუზენიც თავისი დედის ასლად იქცევა. ყველაფერი მოწესრიგდება. მე მივიღე ყველაფერი, რაც მსურდა, და ახლა ამის საფასურად პირველ გადასახადს მახდევინებენ.

— არა, მტკიცედ გადავწყვიტე, — მივუგე. — თქვენ თუ არ აპირებთ უარის თქმას.

— არა, არა, თითო-ორილა კაცი კლუბში ცოტა კი აღშფოთდა, მაგრამ ისეთი არავინ, ვისაც მნიშვნელობა აქვს.

— მაინც ვინ?

— აგერ, გახედე, ლუდსა და ფორთოხლის წვენს სვამენ, შორს წასვლა რად გინდა.

ნონკომფორმისტებს გულისხმობდა, მაგრამ ისეთ ადგილას, როგორიც უო-

1. ანგლიკანური ეკლესიიდან განდგომილი პროტესტანტული სექტის წარმომადგენელი.

რლია, ნამდვილად ძნელი გამოსაცნობია, ვინ უნდა ყოფილიყო. ხელი რომელი ერთისთვის დამედო.

— ეგ ხალხი სულაც არ მაშინებს, — ვუთხარი.

— არც უნდა შეგაშინოს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ეს არის და ეს.

— რას ვაშავებ?

— შენ კარგად მოეწყვე, ჯო. ყოველი ნაბიჯი მაინც კარგად მოწონე.

ეს კი ნიშნავდა, ჯინის ველარ შევხვედროდი და ლონდონში ქეიფზეც უცოდოდ ვერ მივსულიყავი. ვერ გადამეწყვიტა, სიუზენისთვის მეთქვა თუ არა წუხანდელი ქეიფის შესახებ. ბუნებრივია, ყველაფერს არ ვუამბობ, რაც იქ ხდებოდა, მაგრამ უფრო ჭკვიანურია პირველად ჩემგან გაიგოს ყველაფერი. უორლი და ლონდონი რამ გაპყო ერთმანეთისაგან? ჯეფს რა დამავიწყებს.

განა ისე უზომოდ მთვრალი იყო, უბრალოდ, ჩემზე ეჭვიანობდა. ჯუდიზე ყურადღება მხოლოდ იმიტომ გადაიტანა, რომ ჯუდი მას არჩენს. სინამდვილეში მას ჯინი უნდა. თანაც ჯეფის დედა უორლიში ცხოვრობს, ჯეფი დროდადრო უორლიში ჩამოდის და, თუ დასჭირდა, ტელეფონსაც კარგად გამოიყენებს. ახლა უკვე გვიანაა ამაზე შფოთვა და წუხილი, მაგრამ მოძავლისათვის ყველაფერს კარგად დავიხსომებ, ამიერიდან მე მომწვანო-მოყავისფრო ქვეყნის მოქალაქე გახლავართ. ამ ქვეყანაში ყოველი ნაბიჯი უნდა ასწონ-დასწონო, ყნოსვით ყველაფერს მიაგნო და იგრძნო, აქ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი, — ვუთხარი ბრაუნს, — განა არ ვიცი, უორლი პატარა ქალაქია.

— ზოგჯერ მეტისმეტად პატარაა, — საათს დახედა, — მაინც სად ჯანდაბაშია ჯორჯი?

კარზე მივუთითე:

— ძალღია ახსენე, ჯოხი ხელში მოიმარჯვეო.

ბრაუნი ადგილზე დარჩა, მე წამოვდექი, ჯორჯს ხელი ისე ჩამოვართვი, ვითომ მართლაც მეგობარს შევხვედროდე. ჯორჯი ჩემზე ათი წლით უფროსაა, მაგრამ მაინც ჩემს თაობას ეკუთვნის. ერთ დროს ძალიან მეჯავრებოდა, ელისსა და ჩემ შორის ზღუდედ იყო აღმართული. ახლა კი ჩემ წინ იდგა საშუალო ტანის შუახნის მამაკაცი, გამოწკიპულა, წვრილულუვაშიანი, ლამის ცივი თვალებით რომ იყურებოდა. ცივი თუ გაფაციცებული, დამაბული?

— სასიამოვნოა თქვენი ნახვა, ჯორჯ, — მივმართე, — რას დალევთ? დაჯდა.

— თუ შეიძლება, კონიაკი, ჯო, — ბრაუნს შეხედა, — რა მოხდა?

— დაიგვიანეთ.

— ჩემს ახალგაზრდა ქალბატონთან გახლდით. — „ახალგაზრდა ქალბატონთანო“, ეს სიტყვები ოდნავ დამცინავად წარმოთქვა.

სასმელი დავუკვეთე. მომწვანო-მოყავისფრო სამყაროს მოქალაქეებს თავიანთი უპირატესობანი გააჩნიათ: ათი წლის უკან ჯორჯს ასე ადვილად ვერ შევხვდებოდი და ამ მძიმე წუთების შესარბილებლად კონიაკის ხარჯსაც ვერ გავწევდი.

— შესანიშნავად გამოიყურებით, ჯორჯ, — ვუთხარი, — როგორ მიდის საქმეები?

— უკეთესს ვერც ინატრებთ, — თქვა მან, — ნუ მიყურებთ ასე შეცბუნებული, ჯო. რა აზრი აქვს, ტყუილი რომ გითხრათ.

— ისიც კარგია, ერთი ბიზნესმენი მაინც მოიძებნა, ვისაც კუჭი არ ეწვის, — ჩაურთო ჩემმა სიმაძრმამ.

— არც როდის გამჭირვებია, ეიბ, — ჯორჯი თავის ფრჩხილებს ათვალერებდა. ახლად გაკეთებული მანიკიური უბრწყინავდა. მარცხენა ხელის ნეკიდან რაღაც ბეწვი წკიპურტით მოიშორა. და მაინც განახებული ქალური კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, ამით ალბათ ცდილობდა მთვეუქუთაფლს იარაღი წესრიგში მოეყვანილი ჰქონოდა.

— ახლა მით უფრო არაფერი გაქვთ სადარდებელი, — თქვა ჩემმა სიმაძრმა. — რაც ის წყვეული ლეიბორისტები თავიდან მოვიცილეთ.

— ლეიბორისტების დროსაც შესანიშნავად ვიყავი, — თქვა ჯორჯმა, — კაცმა რომ თქვას, უკეთესადაც.

— კარგად თამაშობთ, ჯორჯ.

— ყოველთვის კარგად ვთამაშობდი, — თქვა ჯორჯმა და ოფიციალტს კონიაკი ჩამოართვა, — ჩემი წარმატების საიდუმლოებაც აქ იმალება.

როგორც ყოველთვის, ახლაც თავისუფლად და ცივად ლაპარაკობდა, წონასწორობიდან ვერაფერს ვერ გამოჰყავს.

— აბა, ჯორჯ, რას იტყვით ჩვენი ახალი კანდიდატურის შესახებ?

— ხომ მოგახსენეთ, ახალი სისხლი გვჭირდება-მეთქი. იქნებ ჯომ ცოტათი მაინც გამოგვაფხიზლოს. ოღონდაც ჯო თუ იგრძნობს თავს ჩვენ შორის ბედნიერად? ამ სიბერეში მეხსიერება თუ არ მღალატობს, მგონი, ერთ დროს ჯო ჩვენ წინააღმდეგ იყო ამხედრებული. ხომ მართალია, ჯო?

— არც ისე ხნიერი ბრძანდებით, — მივუგე, — რევოლუციონერი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არც როდის ვყოფილვარ.

ჯორჯმა ოდნავ გაიღიმა.

— არა, ნამდვილად, არა. ერთ დროს ცოტა ხნით ამ კლუბის წევრიც კი იყავით. — მომწვანო-მოყავისფრო კედლებს შეხედა და შეიჭმუხნა, — ეს არაფერს არ ამტკიცებს. ჩვენი კლუბის წევრებიდან ნახევარი მაინც ლეიბორისტებს აძლევს ხმას. აქ მხოლოდ ლუდისა და ბილიარდისათვის შემოდიან, ცოტა ხნით ცოლებს რომ დააღწიონ თავი.

ბრაუნი წამოდგა.

— სჯობს ჩემს ცოლს დაკუბრუნდე, თორემ შეიძლება იფიქროს, სამუდამოდ გადასახლდეთ კლუბში. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ, ჯორჯ. — კარისაკენ გაიწია, მერე უკან მობრუნდა და ჩემდა გასაოცრად ხელი ჩამომართვა, — გნახავ, ჯო.

ჩვენ ჩუმად ვისხედით. ბრაუნი თვითღარწმუნებული მძიმე ნაბიჯებით მიდიოდა, ყველა საქმეში კვაჭი, კმაყრ ფილებით აღსავსე.

— ამიერიდან თქვენს მოქცევას წითელი ვარსკვლავი გზას გაუნათებს, — თქვა ჯორჯმა. ბრაუნის ხელის ჩამორთმევა არ გამოჰპარვია.

— ბრძოლის ველი მწვანე ბალახს დაუფარავს, — მივუგე მე.

დარბაზი ნელ-ნელა გაივსო, ყველა გაოცებული აპარებდა თვალს ჩვენკენ, ყველაზე ერთსა და იგივე შთაბეჭდილებას ვახდენდით.

— ეს იმიტომ, რომ აქ იშვიათად დადიხართ, — შენიშნა ჯორჯმა.

— არა მგონია.

— არა უშავს, შეეჩვევით. ერთი მითხარით, ამჟამად ტიფილდი როგორ ბრძანდება?

— ცდილობს ძალ-ღონე შეინარჩუნოს.

— იცით, რომ ერთ დროს გაგიჟებით თავდავიწყებით უყვარდა თქვენი სიდედრი?

— რას მეუბნებით? პირველად მესმის, — გავიოცე მე. როცა ვინმე ახალ ამბავს გეუბნებათ, ყოველთვის ეცადეთ მაღლიერების გრძნობა გამოხატოთ, თუნდაც რომ ეს ამბავი მანამდე კიდევ იცოდეთ, რათა ახალი ამბის მომტანს სიამოვნება არ მოაკლოთ.

— ეს ყველაფერი, რასაკვირველია, დიდი ხნის წინათ ჩაბარდა ^{ქრისტეშულს} მათ დაქორწინებამდე. ბრაუნმა დაასწრო და ხომ ხედავთ, კიდევ აჯობა. არა მგონია, ტიფილდმა როდისმე აპატიოს.

— ტიფილდს ისე ახლოს რომ გაეცნო, როგორც მე ვიცნობ, — ვუთხარი, — მაშინ ბრაუნს მუხლმოყრილი მაღლობას გადაუხდიდა.

ჯორჯმა თავი გადააქნია.

— ორმოცი წლის წინათ თქვენი სიდედრი სიუზენით გამოიყურებოდა და არა თქვენი სიდედრით.

და ორმოცი წლის შემდეგ სიუზენი ალბათ ჩემს სიდედრს დაემსგავსება. მომწვანო-მოყავისფრო ქვეყანაში დრო სწრაფად მიჰქრის.

— ასეთი რამეების ცოდნა სასარგებლოა, — დაურთო ჯორჯმა, — ახლა ხომ ჩათვლით ბიზნესმენებს ადამიანებად, ჰა?

— შევეცდები.

— თქვენ ადგილას უფრო მეტად შევეცდებოდი. ტიფილდის ამბავს არ დავივიწყებდი. თქვენს სიმამრს ჰგონია, ტიფილდი შეიცვალაო. სულაც არა. იცოდეთ, დანაღმულ ველზე დადიხართ.

— ჩემი სიმამრი?

— თქვენც. საქმე რომ შეტრიალდეს, ჯობი თქვენს თავზე გადატყდება.

— ეგ მართალია.

— თქვენსავე სასიკეთოდ გაფრთხილებთ. — ოფიციალტი მოიხმო. — საოცარია, მაგრამ თქვენ მიმართ ერთგვარ პასუხისმგებლობასა ვგრძნობ. თვალი გაახილეთ და ისე იარეთ, თორემ ქვის კედელს თავით შეასკდებით...

— იქნებ კიდევ გავარღვიო, — ვუთხარი მე.

— ახალგაზრდამ იქნებ შეიძლოს. მაგრამ ახლა უკვე გვიანაა, ჯო. თქვენთვის გვიანაა, — პორტსიგარი გამომიწოდა. შიგ ჩვეულებრივზე უფრო სქელი სიგარეტები ეწყო, ზედ მისი ინიციალები ეწერა. სანთებელასთვის ჯიბეში ხელი ჩავიყავი, მის ნაცვლად „სავოიდან“ წამოღებული ასანთის კოლოფი ამოვიღე. ასანთს დახედა და ჩაიცინა: „ხელს გამოჟყვამ?“ სიცილი უხდებოდა, უფრო ახალგაზრდა ჩანდა. მხოლოდ ახლა მივხვდი პირველად, რატომ გაჰყვა ელისი ჯორჯს ცოლად.

— ამ საღამოს აქ მოსვლა არ მინდოდა, — ვუთხარი.

— ვამჩნევ. მიზეზის გარკვევა ზედმეტია, ხომ ასეა? სიმართლე ვითხრათ, მეც არ მინდოდა... — ტუჩზე იკბინა. — აქ ვერ ვილაპარაკებთ.

მის სახლში ვილაპარაკეთ პენაკ ლეინზე, პენაკ ლეინი ერთი ვიწრო მოუკირწყლავი ქუჩაა, „ალეების“ გამზირიდან უხვევს. ეს ქუჩა „ალეების“ გამზირს ბევრად მირჩევნია. ჯორჯის სახლი მეტისმეტად დიდი არაა, მაგრამ მეტისმეტად ახლებურია; ადგილობრივი ქვისგან ნაგები, ტრადიციული შვეიცარული შალეს სტილის შენობაა. მკვეთრად განსხვავდება ლინეტ როუდზე რკინა-ბეტონისგან ნაშენები მისი ძველი სახლისგან, სადაც ერთ დროს ელისთან ერთად ცხოვრობდა.

ეს სახლი ელისს უთუოდ მოეწონებოდა. სხვა მხრივ ჯორჯის გემოვნება არ შეცვლილა. ბურბონულ ვისკის ვსვამდით („მახსოვს, თქვენი სუსტი მხარეა, ჯო“) და მწარე ნალველს ვიქარვებდი. ღია ფერები მეტისმეტად ჭარბობდა, ავეჯიც მეტისმეტად ფართო და დიდი იყო, ირგვლივ ყველაფერი მეტისმეტად აბსტრაქტული, სახლი მთლიანად მეტისმეტად გაკრიალებული, მეტისმეტად კოხტა და ამ სახლში მარტოდმარტო ცხოვრობდა კოხტა, გაკრიალებული კაცი.

მეტწილად ჯორჯი ლაპარაკობდა, სასტუმრო ოთახში მთელს წინადად სცემდა ბოლთას. ჩემმა დაღლილობამ ბურბონული შეიწოვა, გონება გადამეწმინდა და გამართული მეტყველების უნარი დამიბრუნდა. ჯორჯი საკუთარ სახლში, შინაურულ გარემოში თავს თავისუფლად გრძნობდა. არც წითლდებოდა, არც ფითრდებოდა, მაგრამ მალე სახე აუფორაჯდა და ხმა ჩაეხრინწა.

ერთბაშად ჩემს სიმაძრვე ლაპარაკს თავი დაანება და თქვა:

— ეს აზრი მოურიხს მოუვიდა, — ბუხრის თავზე თაროდან ჩარჩოში ჩასმული ქალის ფოტოსურათი გადმოიღო. ქალი ასე ოცდაათ წელზე მეტისა არ იქნებოდა, შავი თმა ჰქონდა და მტკიცედ გამოკვეთილი მოყვანილობის ტუჩები; თითქოს რაღაცაზე ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა, ოღონდაც ბოროტად არა. სურათი დავუბრუნე, ფრთხილად გამომართვა, თითქოს ხელიდან რომ გავარდნოდა, ამით მოურიხს შეურაცხყოფას მიაყენებდა.

— ლამაზი ქალია, — ვუთხარი.

— ცოლად ვირთავ.

— მომილოცავს.

— ჯერ არ გამომიცხადებია. მალე დაექორწინდებით.

ჯორჯი სავარძელში ჩაჯდა, — შუაზე გატეხილი კვერცხის ნაჭუჭის მოყვანილობის ვერცხლისფერ სავარძელში. მეგონა, მხოლოდ ნიუ-იორკის რეკლამებში იყო გამოხატული ასეთი სავარძლები. თუმცა ჯორჯი მოხერხებულად იჯდა შიგ. მეოცე საუკუნის აღნაგობის კაცია. მე ასეთი სწორი აგებულობისა არა ვარ. არც ეს ოთახი შემფერის, აქ ადვილს ვერ ვიპოვიდი... ძალიან დავიღალე, ძალიან ბევრი დავლიე. ჯორჯს რამეს სასიამოვნოს ვეტყვი და ბარემ შინისკენ გაეწევი.

— თქვენ მაგიერ მე მიხარია, — ვუთხარი, — მარტო ცხოვრება პირდაპირ საცოდაობაა.

— მარტო დიდხანს ვცხოვრობდი, — თქვა ჯორჯმა, — მთელი ჩემი სიცოცხლე. იცით, — ჭიქა აივსო, — ელისი რომ გარდაიცვალა, — შეჩერდა, თითქო გულთბილად შემომხედა, — ელისი რომ გარდაიცვალა, კიდევ გამეხარდა. სჯობს მარტო იყო შენთვის, ვიდრე სხვასთან ერთად და მაინც მარტო. შვილები რომ გვეყოლოდა, სხვა ამბავია.

თერთმეტი შესრულდა. სიუზენს ალბათ უკვე ძინავს. ჭარეთ, დერეფანში, საძინებელი ოთახის კართან გავიხდი, ჩუმად შევიპარები და გვერდით მივუწევი, არა, ჯერ ჰარისთან შევალ, ფერად ფოტოფირებს დავუტოვებ, წასვლის წინ მთხოვა, ჩამომიტანეო, მერე ბარბარასთან, საწოლის წინ სათამაშო დათუნის დავუდებ. ლონდონში ვუყიდე, ჰემლისთან. შინ მისვლა ბავშვების გამო მიხარია და არა სიუზენისა. ერთბაშად ჯორჯი შემეცოდა.

— იგონებთ ხოლმე?

— რა აზრი აქვს.

— კიდევ დალიეთ, — მითხრა, ხმა სულ წაუვიდა.

— არა, გმადლობთ. ახლა კი დროა წავიდე.

— მე მოვითხოვ. აგერ უკვე ათი წელია ერთად არ დაგვიღვეია. მეტიც. მოდით კიდევ ერთი გადაჰკარით.

ჭიქა ავწიე.

— არა, ცოტაა, — თქვა და ღვინის მაღალი ჭიქა გამივსო. — თქვენი გამარჯვებისა იყოს, — მითხრა, — ყველა სურვილი შეგსრულებოდეთ. და მაინც, ნუთუ სულ არ იგონებთ, ჯო?

თქვენი გამარჯვებისა იყოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხანდახან კი.

— სისულელეა. მასთან ბედნიერი არ იქნებოდით. ცოცხლად მოვინებლდით. ჩემდა გასაოცრად თვალზე ცრემლი მომადგა.

— დე, მშვიდად განისვენოს.

— მოურიანიც ასე ამბობს. გაცნობის პირველი დღიდანვე სულ ამას მეუბნება. ხომ ბედნიერად ცხოვრობთ, ჯო, ხომ კი?

— ბედნიერად? ისე, როგორც ყველა. — მეტის თქმა ვერ მოვახერხე, ჯორჯი ელისის ქმარი იყო, მოტყუება გამიჭირდა, თუმცა კარგად მიმიხვდა ყველაფერს.

— დიდად ბედნიერად, არა, ხომ? მაგრამ ისე, როგორც ყველა. მგონი, გოგონა გყავთ.

— ბიჭიც.

— მაგრამ ბიჭი დედის შვილია.

— და ბაბუამისის.

— გოგონა კი თქვენია. ასე ხდება ხოლმე.

— იქნებ თქვენთანაც იგივე მოხდეს, — ვუთხარი. წამოდგომა გამიჭირდა. ჩემმა სავარძელმა, თუმცა ჯორჯის სავარძელივით მთლად მეოცე საუკუნის სტილისა არ იყო, მაიძულა ლამის გაწოლილი ვმჯდარიყავი.

— სულ მოიდვენეთ, — მითხრა, — სახლში მანქანით წავიყვანთ. — ხმაში გაღიზიანება აღარ ეტყობოდა. მგონი, სულაც დაავიწყდა ჩემი ხელუხლებელი სავსე ჭიქა.

მანქანაში არ გვილაპარაკნია. ჯორჯი რატომღაც არაჩვეულებრივად კმაყოფილი ჩანდა. კარგად მიეუხვდი, რაც ახარებდა, დროდადრო მზად იყო გულიანად გაეცინა. მისდამი გული თანდათანობით მომიღბა. მანქანიდან თვითონაც გადმოვიდა და ბალის ჭიშკრამდე მიმყვა. სახლი ჩაბნელებული იყო და შვებით ამოვისუნთქე. ბაღში ფათალო და დილის ვარდი გაშლილიყო, ადგილით ვიცანი ისინი. ხვალ ღურჯად და ვარდისფრად, ღია იისფრად და მოწისფრად გადაფურჩქვნილებს ვიხილავ.

— შემობრძანდით, დავლით, — შევთავაზე ჯორჯს.

— ძალიან გვიანია, — მითხრა, — გმადლობთ.

— როგორმე მოურიანთან ერთად გვესტუმრეთ, — ვუთხარი, როცა მანქანაში ჯდებოდა.

— დიდი სიამოვნებით, ღამე მშვიდობისა, ჯო.

მანქანის კარი მიიჯახუნა. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს დიდი ვაგონის კარი მიაჯახუნესო. ჯორჯს ახლა „შერსკლეის“ ჰყავს. სანამ თვალს მიეფარებოდა, გავყურებდი. მერე სადარბაზოს კარი ვავადე, მაგრამ არ შევსულვარ, მოვბრუნდი, გარეთ გავიხედე. ყველაფერი მოგვარდა, გავიფიქრე, ყველა ტკივილი მოშუშდა. უორლი კვლავ უცვლელი დარჩა, ბოლოს და ბოლოს უორლიმ გაიმარჯვა. ჯორჯის მეორე ცოლს შვილები ეყვლება, ხოლო ვინც მოკვდა, ის მშვიდად განისვენებს. შვედი და კარი ჩუმად ჩაკვეტე, პორტფელიდან ფერადი ფირები და დათუნია ამოვიღე.

— თუ გნებავთ, ჩვენი ფირსაკრავი აიღეთ, გერდა.

— გმადლობთ, მისტერ ლემპტონ.

თავი ისე დამიქნია, თითქოს რევერანსის გაკეთებას ვაპირებდა. ისეთი ფუნთუშა იყო, ქერა, ეტყობა, თვინიერიც. ბევრჯერ მიფიქრია, გადამწყვეტი ნაბიჯი რომ გადავდგა, ნეტა რას იტყვის-მეთქი. მაინც რატომ ვაპირებდი? „რა კარგი გოგო ხართ, — ვეტყვი, — მართლა შესანიშნავი გოგო!“ მერე წითელ ლოყებზე მივუაღერსებ: შენთვის ერთი პატარა საჩუქარი მაქვს-მეთქი... თუმცა არც პატარა საჩუქარი მქონდა, არც მოსამსახურე გოგოებში ვაპირებდი ათქვეფას. არა, გერდას მოსამსახურე გოგოს ვერც ვეწოდებ. მამამისი ჩვენი ფირმის კლიენტი იყო, გერდა ჩვენთან ინგლისური ენის შესასწავლად ჩამოვიდა. თითქმის ჩვენი ოჯახის წევრად მიგვაჩნდა. დღეს უკვე მოსამსახურეები აღარ არსებობენ. რა სამწუხაროა, ასე გვიან რომ დავიბადე.

— კამბურგში ამ დროს ყველანი გარეთ გამოვდივართ, — მითხრა გერდამ, — ქუჩაშივე ვცუკვავთ.

— ჩვენში სამაგისო პირობები არ არის, — ვუთხარი, — დღეს ღამით ფლანელის კოსტიუმებში გამოწყობილები იცუკვებენ.

გერდამ ცხვირი აპრიხა.

— რა? ფლანელის ტანსაცმელშიო?

— თუ გნებავთ, ზაფხულის კაბა ჩაიცვით.

მის მხრებს უკან მოხატულ კედელს შევხედე. ჟალაუზები ნახევრად შეღებილი იყო, სამზარეულოში ჩრდილები ზოლ-ზოლად იწვა; ადრე კედლის მხატვრობაზე ზოლები არ შემინიშნავს.

ჟურნალის „დღე და ღამის“ ბოლო ნომრის რევიუში სიუზენს მეტისმეტად მოკლე კაბა ეცვა, ტანზე შემოტმასნილი. ვითომ ასე ძალიან შემოტმასნილი კი ჰქონდა? ჟალაუზები ბოლომდე გაკაღე და კედლის მხატვრობას ისევ შევხედე. სურათზე სიუზენის ფეხებს შორის მკვეთრი ზოლი გამქრალიყო, მკვრივად მეტად მკრთალად აჩნდა.

— საზაფხულო კაბაში ძალიან შემცირდა, — თქვა გერდამ.

— ნუ ჩაიცვამთ, ვინ გაძალუბთ? — ვუთხარი. — იქნებ მერე უფრო დათბეს.

— აქ აღარ ვიქნები, — თქვა გერდამ. სკამზე ჩამოჯდა კედელზე მიმაგრებულ მაგიდასთან და სიგარეტების კოლოფი „პიტერ სტივეზანტ“-ი ამოიღო. სიგარეტის მოსაკიდებლად ცეცხლი მივაწოდე.

— გმადლობთ, — თქვა, — რა კეთილი ბრძანდებით. შინ რომ დავბრუნდები, მოწევას თავს დავანებებ. მამაჩემი ვერ იტანს.

ფეხი ფეხზე გადაიდო, წინდები არ ეცვა და წვივებზე ბუსუსა ბაღანი ისე უბრწყინავდა, თითქოს ღამის კაბარეში გამოსასვლელად ბრჭყვიალა ფხვნილი მიაყარესო.

— დარწმუნებული ვარ, მამათქვენმა შესანიშნავად იცის, რომ ეწევით.

— ძალიან მაგონებთ მამაჩემს, მისტერ ლემპტონ. ისიც მოსული კაცია და თანაც ძალიან კეთილი. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

— აბა რატომ მიემგზავრებით?

— მამაჩემი ვერ არის კარგად.

— სამწუხაროა, — ვუთხარი.

— რაც შეიძლება მალე უნდა გავემგზავრო. ალბათ მომავალ კვირას.

— თქვენთან დაშორება ჩვენთვის დიდად სამწუხარო იქნება. ბავშვებს ძალზე მოენატრებით.

— არა, — თავი გააქნია, — ბავშვებს მხოლოდ თავიანთი დედ-მამა ენატრებათ. ასეც უნდა იყოს. ბარბარა მამიკოს შეილია, ხომ ასეა?

— ზოგჯერ ხდება ასე, — ვუთხარი.

— მეც ასევე ვარ, თუმცა დედაც ძალიან მოყვარს, — ფეხი შეინაცვლა და ბრჭყვიალებიც გაქრა. ახლა თითქოს მხოლოდ ყურადღება კი არა, მის ფეხებზე შეხებაც მომინდა, ნაზად მოფერება. თვალი ძლივს მოვაშორე. კიდევ კარგი ჩვენგან წასვლას აპირებდა.

— მისის ლემპტონს თუ უთხარით, გერდა?

— მხოლოდ ახლა გადავწყვიტე. ამ ოჯახში მამაკაცი ხომ თქვენ ხართ? წესით პირველად თქვენთვის უნდა მეთქვა.

მარია გამახსენდა, ბერლინში ერთი კოლოფი სიგარეტებისთვის ჩემი რომ გახდა. სიგარეტებს „ვუდბაინზ“-ი ერქვა. ნეტა რამ გამახსენა? გერდას ჩამოგავდა. თუმცა მარია შავგრემანი იყო, გერდა ქერა, ის გამხდარი, ეს ჩასუქებული. მარია რბილი და თვინიერი ქალი იყო. „მამაკაცი ხომ თქვენ ხართ?“ — ისიც მეუბნებოდა. სულ იმას ფიქრობდა, როგორ ესიამოვნებინა ჩემთვის. სიუზენი კი მთელი დღეობით იმის ფიქრშია, კრიჭაში როგორ ჩამიდგეს. ასე უღმერთოდ გაანჩხლებული არასდროს ყოფილა. არადა, ოც ცალ „ვუდბაინზე“ მეტს არ იღებს ჩემგან? სახლი კი მისია, მაგრამ ბრაუნი თავის ქალიშვილს ერთ გროშსაც არ აძლევს. მთელ ჩემს შემოსავალს უკანასკნელ პენამდე ვხარჯავ. ზოგჯერ არც კი გვეყოფნის, არა ერთი ასი თუ ორასი გირვანქა სტერლინგი ამიღია ავანსად. აი, დღესაც „მოდსლიდან“ — ლედერსფორდის ყველაზე უფრო ძვირფასიანი მაღაზიიდან ანგარიში მომივიდა. არც კი გამიხსნია, შიგ ჩახედვაც ვერ გავბედე. ისე ჩავიდე ჯიბეში. სიუზენი კი არადა მე სწორედ მე უნდა გავანჩხლებულიყავი დღეს უღმერთოდ.

— რამ ლაგაღონათ? — მკითხა გერდამ.

— ვფიქრობ, რომ მისის ლემპტონს ძალზე ეწყინება ეს ახალი ამბავი.

— სახლი პატარაა, — თქვა გერდამ, — ჰარი მეტწილად ჰანსიონშია.

მის ხმაში თითქოს ზიზღი ვიგრძენი.

— მაინც დიდ შეღავათს გვიწევდით, გერდა. მისის ლემპტონს ოჯახის საქმეები სულ მთლად შებოჭავს.

გერდამ მხრები აიჩეჩა.

— ყველა გათხოვილი ქალი შებოჭილია ოჯახის საქმეებით. ამიტომაც არ მინდა აღრე გათხოვება — გაიცინა.

სამზარეულო სულ უფრო და უფრო მყუდრო და სასიამოვნო მეჩვენებოდა, თითქოს შიგ დიდი ბუხარი ენთო, ზემოთ გადებულ მუხის მორებზე ღორის ღორი ეკიდა, თითქოს სხვაგვარ სამზარეულოდ ქცეულიყო, სახლიც სხვაგვარი ჩანდა.

— ბარემ წავალ და ვეტყვი, — ვუთხარი.

გერდამ წარბები შეჭყარა.

— მისტერ ლემპტონ, როგორ ჰგავხართ მამაჩემს.

— ეგ უკვე მითხარით.

— არა, სინამდვილეში ეგ არ მინდოდა მეთქვა, — სახეზე აღმური მოედო.

— ნუ გერიდებათ, თქვით, — ვუთხარი.

— კარგი კაცი ხართ. ძალზე კეთილი და გულთბილი. ძალზე კარგი მამაც

ხართ, მეტად კეთილშობილი, სულგრძელი. ძალზე ბევრს შრომობთ, ახლა მუნიციპალიტეტშიც იქნებით, ალბათ ხალხს გინდათ ემსახუროთ, ხომ? მშვენიერი შვილები გყავთ, ძალიან მომწონხართ, მისტერ ლემპტონ. ჰოდა... — წამით იყუჩა, — არ ვიცი, როგორ გამოვხატო... — ჩურჩულით წარმოთქვა

— აზრის გადმოცემა კარგად გეხერხებათ, — ვუთხარი.

— გმადლობთ. იმის თქმა მინდა, ძალიან მომწონხართ და კიდევ გაჩუმდა.

— თქვით, ნუ გერიღებათ, გერდა.

კაბას დახედა და მუხლებზე ჩამოიწია.

— ის, რომ ძალიან მწყინს, იმდენ ხანს ვერ ვრჩები, რამდენსაც ვაპირებდი. თქვენთან აქ ძალიან ბედნიერად ვცხოვრობდი, სანამ... სანამ ბამაჩემი ავად გახდებოდა. ხომ გესმით?

— ნუ სწუხართ, — ვუთხარი. ცოტა არ იყოს თავი უხერხულად ვიგრძენი, შევშფოთდი, და კიდევ გამეხარდა. როდესმე ბარბარაც იქნება ოცი წლისა, ჩემი გოგო საზღვარგარეთ დიდხანს არ გაჩერდება, მამის მოსავლელად ადრე დაბრუნდება. რომ შემძლებოდა და თან არ სწყენოდა, მზად ვიყავი გერდა იქვე გადაემეკოცნა. ერთადერთი, რაც გავბედე, გავუღიმე და ხელზე მოვეფერე, მერე ზემოთ ავედი სიუზენტან.

ბარბარასთან შევიარე. ტკბილად ეძინა. მისტერ პამპისათვის — ეს დათუნია ლონდონიდან ჩამოვიტანე — ხელი შემოეხვია, სათბურასათვის კი ფეხი ეკრა და ლოგინიდან გადმოეგლი. აბა სხვა ვინ გააკეთებდა მისი ნაეშმაკარი იქნებოდა. ეს სათბურაც მხოლოდ იმიტომ მოითხოვა, რომ პატარა ლურჯი გოჭუნია იყო თავზე საცობით, ყველგან მასთან ერთად რომ მოგზაურობდა. შპაღერიც თვითონ აირჩია თავისი ოთახისათვის — გალეონები, ძველებური ესპანური იალქნიანი ვარდისფერი ხომალდები მიცურავენ მკრთალ ლურჯ ზღვაზე, უკან დელფინები და ლომეუშაპები მისდევენ. ხომალდები ისურვა და არა ფერიები, არც „მიკი მაუზი“, არც „პატარა ნოდი“, ჭერზე კი—ცა და ვარსკვლავები. ისე რომ, მისი ოთახის ჭერი მუქლურჯი იყო, ვერცხლისფერი ვარსკვლავებით მოჭედილი, ვარსკვლავები ხომალდებს გზას უკვლევდნენ.

ბარბარამ მხარი იცვალა, საწოლის კიდეზე მოექცა, რაღაც ჩაიდულუნა, ვერ გავარჩიე, რა. ალბათ რაც გუნებაში ჰქონდა, სიძულვილი მაინც არ ექნებოდა, არც შიში, არც მწუხარება. მისი სული სიყვარულითაა სავსე, ბნელეთი იქ ვერასოდეს შეიჭრება. ამქვეყნად გაჩნდა თუ არა, მაშინვე გაფანტა ბნელი. ჩემი ოჯახური ცხოვრება ხუთი წლის წინათ ბნელით იყო მოცული, რომელიც ვერ გამეგო, საიდან გაჩნდა. მაგრამ ბარბარას დაბადებამ ყველაფერი ამიხსნა. ამიხსნა უეცარი ისტერიული ტირილი, გაანჩხლება, ხან გიჟური ვნებით კაწვრა და კბენა, ხან დიდი ხნით გაბოროტებული დუმილი, დიდი ფსიქოლოგობა არ იყო საჭირო ამის ასახსნელად.

ახლა კი კვლავ თავიდან იწყება ძველი ამბები. მათი მოგვარება ჩემს ხელთ არის, თუმცა ეს კიდევ რბილადაა ნათქვამი.

ჩვენს საწოლ ოთახს მივუკაკუნე. პასუხი არაფერს გამცა. ხელმეორედ მივუკაკუნე.

— ბავშვს გააღვიძებ, — გამომძახა სიუზენმა, — თუ ღმერთი გწამს, შემოდი.

— ალბათ მზად ხარ, ვეთაყვა.

შაშველ მხრებზე ვაკოცე.

— თავი ღამანებე! — შემომიღრინა და გაიწია.

— მაპატიე, — ვუთხარი, — უმორჩილესად ბოდიშს იხდის შენი ქმარი კონისათვის.

ვითომ არც გაუგონია.

— ოპ, ჯანდაბას ამის თავი, — თქვა, — ვერაფერი ვერ მოუხერხე, — ამის ჯაგრისი მოიქნია და ძირს დააგდო, — ან რად მიხდა, სულაც არ მოიქნია, — თვალები ამოშავებოდა. ჩვეულებრივ პრიალა შავი თმა ახლა გამოიხეხე ბული და უსიცოცხლო მეჩვენა. თუმცა იქ მაინც ყველა ქალზე ღამაზი იქნება. მე მგონია, ცოტაოდენი უქეიფობა უფრო კშვენის, სახე უფრო გამხდარი უჩანს და ნაკვთებიც გამოკვეთილი.

— რომ არ წავიდეთ, მართლაც უღამაზო იქნება, — ვთქვა მე, — ამ ბოლო დროს ისედაც იშვიათად გვიწევს ერთად სიარული.

— ახლავა მიხვდი? — სიუზენმა სიგარეტს მოუკიდა. ტუალეტის მაგიდაზე მისი საფერფლე ნამწვავებით იყო სავსე. ბოლო დროს თურქულ სიგარეტებს მიეძალა. საწოლ ოთახში ამ სიგარეტების მძიმე სუნი იდგა.

— ძალიან ბევრს ეწევი, — ვუთხარი.

— გირჩევნია შენს საქმეებს მიხვდი.

— ეს ეც ჩემი საქმეა, — და უცებ დამცვეცხლა, — იმედია, შინ როცა არა ვარ, საწოლში არ ეწევი. — სიუზენი მოსამსახურეებს იყო შეჩვეული, მის მიყრილ-მოყრილ ნივთებს რომ ალაგებდნენ, საფერფლეებს წმენდდნენ, სინათლეს აქრობდნენ, გაზის ონკანს კეტავდნენ. ანაზღად დამწვარი საბნის სუნი ვიგრძენი, თითქმის ბავშვის კვილიც მომესმა, პატარა დახრუკული სხეული დაეინახე. და ერთბაშად მისადმი სიძულვილმა ამიტანა.

— არც იცი, რა უცბად შეიძლება გაჩნდეს ხანძარი, — ვუთხარი, — ბარბარა კი...

ჩემკენ მობრუნდა.

— ხმა-კრინტი, — შეჭყვირა, — თორემ არ წამოვალ!

— როგორც გენებოს, — ვუთხარი, — მე მხოლოდ შენი ხათრით მიუდივარ.

— ჩემი ხათრით! იცი, რამდენი საღამო გაატარე სახლში ამ კვირას? არც ერთი. ეს მუნიციპალიტეტის სხდომაო, ეს პარტიის კრებაო, „ტრაგიკოს მსახიობთა“ თეატრიო... შემოვარდები, საჭმელს გადაყლაპავ ბარბარას ეტყვი, „ღამე მშვიდობისაო“, და ისევ გარბიხარ. ნეტა რას წუხდები? სახლში რაღას მოდიხარ? — ისევ სტაცა ხელი ჯაგრისს და ისეთი გამეტებით დაიწყო ვარცხნა, სულაც არ გამიკვირებოდა, თბიდან ელექტრობის ნაპურწყლები რომ გადმოსცვენოდა.

— გეყოფა, — ვუთხარი, — გულთან ახლოს ნუ მიიტან. მე ვალდებული ვარ ყველაფერი ვაკეთო. მოდი კამათს ნუ დაეიწყებო.

— კამათი რა საჭიროა. ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც შენ გსურს. მამაჩემს მეტ ანგარიშს უწევ, ვიდრე მე, ჯორჯ ვისგილსაც, შვილებზე მეტადაც. დიახ, ჯორჯ ვისგილს მეტ ანგარიშს უწევ, ვიდრე შენს ქალიშვილს. თუმცა რომ გკითხონ, მზე და მთვარე მასზე ამოვდის. ხომ ხედავ, არაფერი დამეიწყნია.

— ღმერთო ჩემო! — ვთქვი, — ერთი თვის წინანდელი ამბავი რამ გაგახსენა?

— ლონდონში მთელი ორი დღე გაატარე, სულ ამბობდი, მგზავრობა უზომოდ გამიჭირდაო, რა დამქანცველი მოგზავრობა იყოო, და დამაბულიო, რა მოსახერხებელიო! როგორ გგონია, ყოველი ნორმალური კაცი

შინ არ დაბრუნდებოდა ცოლთან და შვილებთან? შენ კი არა. მამაჩემს სურს ჯორჯ ეისგილს შეგახვედროს, მაშინვე იქ მირბიხარ, თუმცა უზომოდ დაქანცული ხარ. მაგრამ ესეც არ კმარა. შინ დაბრუნება მაინც არ შეგიძლია. ჯერ ძალიან ადრეა. ჯორჯ ეისგილს სახლში მიჰყვები, შუალაძემდე ზიხარ მასთან და ლოთობ.

— განიგონე, ყველაფერს თავიდან ნუ მოვყვებით, ხომ კითხარი, ძალიან ვწუხვარ-მეთქი...

— ყველა-ყველა, მაგრამ ჯორჯ ეისგილთან? ათი წელი ახერხებდი ხმა არ გაგეცა. ნუთუ არ შეგეძლო ასევე გაგეგრძელებინა? ნეტა მაინც რა გამოგიჩნდა მასთან ამდენი სალაპარაკო? ალბათ ელისი, ხომ?

პირი მოვარიდე, გვერდზე გავიხედე.

— ის დიდი ხანია აღარ არის. მორჩა და გათავდა.

— არ მჯერა, — მშვიდად თქვა.

— ეგ ჩვენს დაქორწინებამდე მოხდა. ჯორჯი რომ ელისს ადამიანურად მოქცეოდა, არაფერიც არ მოხდებოდა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ბრიყვი, ელისი ჩემზე ათი წლით უფროსი იყო... — ხმა ჩამიწყდა.

— ჰო, ჰო, ყველაფერი სხვას გადააბრალე. ისიც ჯორჯის ბრალია, შენი მიტოვების შემდეგ ელისმა რომ მოიკლა თავი, არა? თავის გასამართლებლად არავის დაზოგავ.

უცებ მომინდა ერთი მაგარი სილა გამეწნა.

— გაჩუმდი, ეგ წყეული ხმა ჩაიკმინდე. რა გინდა, შე კაპარჩხანავ, რამ შეგშალა, რას მერჩი!

მაგრამ ჩემს თავზეც ვბრაზობდი. ელისს ვამტყუნებდი, ვითომდა ჩემზე ათი წლით უფროსმა ქალმა გულუბრყვილო ბიჭი სწორი გზიდან გადამაცდინა.

ყველაფერს ჯობდა თავის მართლება არ დამეწყო, ამით ხომ ელისს ვალატობდი.

— რა? მტკივნეულ ადგილზე მოგზვდა? ახლაც არ გსიამოვნებს ამ ამბის გახსენება, ხომ?

საწოლზე დაგჯექი. სიუზენი რომ არა, სიამოვნებით დაეწვებოდი და დავიძინებდი. ვუცქერდი ღია ყვითელ და ნაცრისფერ შპალერს, ჭერთან თეთრად მოელვარე კარნიზს და არაფერზე არ ფიქრობდი. თვალები დავხუჭე.

— ჯო, მისმენ, რას გუუბნები?

— არა, — ეუპასუხე, — აღარ გისმენ, — წამოვდექი, — დალევა მინდა.

— აქ არ იყავი, ხომ მართალია?

— ვერ გავიგე, რას მეუბნები.

— უცებ სხვაგან ხარ ხოლმე, ჩემზე არ ფიქრობ, არც არავისზე, — სუნამოს შუშას საცობი მოაძრო. უწინ ასეთს არ ხმარობდა. მეტიმეტად მძაფრი სუნი მეცა, მოტკბილო. ქოროს გოგოებს უყვართ ამგვარი სუნამოები. ალბათ ამ უჩვეულო სუნამოს გამო უცებ სიუზენს შევხედე როგორც ახალგაზრდა მიმზიდველ ქალს, შავი საცვლის ამარა, ნახევრად შიშველს, როგორც ვიღაც უცხო ქალს.

— დაეილაღე, — ვთქვი და სუნამოს შუშა ავიღე. — რაღაც ახალია.

შუშა ხელიდაან გამომტაცა.

— მინდა ვსინჯო, — მითხრა.


— მართალია, — მეც დავეთანხმე. — ადამიანი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს, — თვალი ქვემოთ ჩავაყოლე, — მართლა რა ლამაზი ხარ, — ვუთხარი,

— ხომ შეიძლება საცეკვაოდ ასე წამოხვიდე?

სიუზენმა მკერდზე ხელები აიფარა.

— რას მომჩერებიხარ, წადი, სასმელი მომიშალე, გემრიელი მშრალი მარტინი.

— ვერძუთში ჯინის შერევა მინდოდა, — ვუთხარი.

— ახლა კი მართლა ჩემი ჯო ხარ. — ყურის ძირებში სუნამო  მარტინი მაპატიე, ძალზე გავკაპასდი.

— დავივიწყოთ, — ვუთხარი, — ისედაც ხანმოკლეა ჩვენი ცხოვრება.

— საზიზღარი მესაკუთრე დედაკაცი ვარ.

შუშას დაყნოსა და საცობი დაახურა.

— მართლაც ქუჩის ქალებს მოსწონთ ასეთი სუნამო, — თქვა მან. საფულე ამოვიღე.

— ხუთი გირვანქა ერთ ღამეში, ქაღალტონო.

— საძაგელო! — თქვა სიუზენმა.

ღოყაზე ვაკოცე, მოსწავლე გოგოს დაეშვავესა, დიდი ხანია ამგვარი გამოქვეყნება არ მიუღია. რაღაც უცნაური მამობრივი სითბო ვიგრძენი მის-ღამი.

— თუ აღარ იეჭვიანებ და მესაკუთრული მისწრაფებები აღარ გექნება. იცოდე, მართლა შევშფოთდები.

— ნეტავი მაგ დღეს მოვესწრებოდე, — ხელი წამკრა, — წადი, მარტინი მომიშალე, მონავ მორჩილო.

სიუზენის ლოდინში მარტინი დავლიე. ჩხუბი ისევე სწრაფად დამთავრდა, როგორც დაიწყო, ცა გადაიწმინდა. თუმცა კიდევ ამოვარდება ქარიშხალი. და ერთხელაც იქნება ქარიშხალს ვეღარ გავუძლებ. ერთხელაც იქნება სიუზენი ისეთ რამეს მეტყვის, ხმასაც არ გავცემ, და წავალ, მივატოვებ, ყველაფერს.

გერდა სამშარულოში მღეროდა. გერმანული სიმღერა იყო. „სიკვდილის ხომალდის“ გარდა ვერც ერთი სიტყვა ვერ გავარჩიე. მისებური ჩახლეჩილი, გულში ჩამწვდომი ხმით მღეროდა. მელოდია ისე არ ესმოდა, როგორც სევდა, ხმაჩახლეჩილი ნაძვვილი სევდა. სიკვდილის ხომალდი — ჩემი სუსტი გერმანულით რამდენადაც მივხვდი — მალე მობრუნდება და უამრავ ხალხს წაიყვანს თან. სიკვდილის ხომალდს არ ელიან, მაგრამ იგი მაინც მოცურავს მათკენ.

ცარიელი ჭიქა დავდგი და დივანთან მივედი. ერთხანს პირალმა ვიწექი, თავქვეშ ბალიში მუღო და ვცილობდი წარმომედგინა, თითქოს ძალზე ბედნიერი ვარ, თითქოს სულაც არ დავდლილვარ. უბრალოდ, მცირე ხანს შესასვენებლად ზურგიდან ტვირთი ჩამოვიხსენი.

საწერ მაგიდაზე სპილენძის ლარნაკში შროშანების თაიგული დევს. საღამოს ჩამავალი მზის სხივებზე თეთრი ყვავილის მომრგვალო ფურცლები გამჭვირვალე ხდება. დღისით მე და ბარბარამ დავწყვიტეთ, რატომღაც ქალაქის ყვავილებს ეძახის. ბევრი ღამაში დასახელება შევთავაზე, — ატლასის ყვავილი, ტკიცინა ყვავილი, მთვარის ყვავილი და მაინც ქალაქის ყვავილებს უწოდებს, ნამდვილი ყვავილები არ შეიძლება ასეთი ღამაში იყოს და ასეთი პრი-აღაო.

ტვირთის სიმძიმე კვლავაც ვიგრძენი ზურგზე. ოთახში სიმშვიდე აღარ სუფევდა. წამოვდექი, ჯიბეებში სივარუტი მოვიძიე. არც ერთში არ აღმოჩნდა, საყავე მაგიდიდან ვერცხლის პორტსიგარი ავიღე, სიუზენს თუ მოაგონდა, ყო-

ველთვის აწყობს ხოლმე შიგ სიგარეტებს. მგონი, დღეს თვალი მოვკარი, სიუზენმა რომ გახსნა. მარცხენა განყოფილება საესე იყო, ამ მხარეს ყოველთვის თურქული სიგარეტები ეწყო, მარჯვენა ცარიელი დამიხვდა.

— არა უშავს რა, ვთქვი ჩემთვის. არა უშავს რა. „ალექსანდრა პოლში“ მივდივართ და გზაზე ვიყიდი ისე კი არც მაინცდამაინც მინდოდა. პორტსიგარი მთლიანად ცარიელი რომ დამხვედროდა, ნაბდვად ვერ შევწყუხდებოდი. პორტსიგარი ჩავკეტე და კოქტეილის ბართან მივედი.

7

კვირადილაობით ჩემი სიმამრის სახლში ხერესზე მიპატიჟება ერთგვარ ტრადიციად იქცა უორლიში, რასაც აგერ უკვე ათი წელია ყოველი თვის პირველ კვირას აწყობს ხოლმე, იმისდა მიხედვით, კაცს რამდენჯერ მიიწვევს, შესანიშნავად შეიძლება უორლიში ამ კაცის საზოგადოებრივი მდგომარეობის დადგენა ან იმისი, თუ რა ურთიერთობა აქვს ბრაუნთან, რაც სინამდვილეში ერთი და იგივეა. ეს ამბავი საზოგადოებრივ მოვალეობათა მოხდის მეტად მოხერხებული საშუალება აღმოჩნდა და ამავე დროს თავისებური შერჩევის პროცესიც: კვირა დილას ხერესზე თუ მიგიწვევენ, სავალდებულო არ იყო მერე საერთოდ სადილად მიუწვიეთ, მაგრამ კვირა დილას ხერესზე თუ არ მიგიწვევენ, ეს უკვე ნიშნავდა, რომ ბრაუნისათვის აღარც არსებობდით.

სიუზენსა და მე, როგორც ამ ოჯახის წევრებს, მუდმივად გვიწვევენ და, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, უარს არაფრის დიდებით არ ვიტყოდი. მაგრამ იმ კვირა დილას ერთი ტოლია მწარე ლუდის დალევა კი „კლარენდონში“ სულს მერჩია, ჩემი განწყობილება სრულიად დაუფიქრებლად სიუზენს გავანდე, როცა წმ. ალფრედის ეკლესიიდან მანქანით გამოვდიოდით.

— სამწუხაროა, ასეთ გუნებაზე რომ ხარ.

სენტკლერის შოსეზე მკვეთრად მოვაბრუნე მანქანა და ჩაუხვიე.

— სამწუხარო რა არის? — ვუთხარი, — უბრალოდ, ასეთმა აზრმა წამომაარა.

— საინტერესოა, რაღა მაგ აზრმა წამოგიარა, — თქვა სიუზენმა, — ხერესზე ჩემთან ერთად ხარ დაპატიჟებული, მაგრამ ლუდხანაში უჩემოდ წასვლა გირჩევნია.

— ასე არ მითქვამს.

— მაგრამ ერთხელაც არ შემოგიტავაზებია, „კლარენდონში“ წამოდით.

— შენც არ გითქვამს, იქ წასვლა მინდაო.

— მე კი არ მინდა, შენ გიყუდები. ვინ გიშლიდა მიგეყვანე მამაჩემთან და მერე გაბრუნებულიყავი ქალაქში. წადი ლუდხანაში იმ შენს განუყრელ მეგობრებთან, იმ შენს წყევლ ამომრჩევლებთან, იმ შენს მოთაყვანებთან. მამას ავუხსნი, რატომ ვერ მიხვედი...

— გასკდომა მამაშენს, — ვუთხარი.

— რა ლამაზია, — თქვა მან, — პირიდან სულ ია-ვარდი გცვივა, ხომ?

— მაპატიე, — ვუთხარი, — კარგი, დავივიწყოთ.

სიუზენმა ხმა არ გამცა. გადაუხედე და გავოცდი — ცრემლი დაბალუპით ჩამოსდიოდა. მარჯვნივ გადავუხვიე და მანქანა როიდენ-ლეინზე გავაჩერე, „ალეპის“ შოსედან სამხრეთით, ვიწრო და კლდოვან სოფლის შარაზე.

— რა მოგივიდა, ძვირფასო?

— არაფერი, — მიპასუხა.

ცხვირსახოცი გაუწოდე.

— რაღაც გეძარბება, რა, ცუდადა ხარ?

მკლავი მოვხვიე.

— ასეთ ლამაზ კაბაში აბა ტირილი ვის გაუგია.

— ცუდი ცოლი ვარ, — მითხრა, — უჩემოდ უფრო ბედნიერი იქნები.

— სუ! რა ბავშვი ხარ, — ვუთხარი, ცხვირსახოცი გამოვართვი, ხად მოვუწმინდე, — ცოტა ხანს აქ გავჩერდეთ, სიგარეტი მოვწიროთ, ბუნებით, რა გვეჩქარება.

— აქ სიმშვიდეა, — მითხრა.

ჩვენ უკან, მარცხნივ აბიბინებული ველები გაშლილიყო; ქვემოთ, მთის ფერ-დობზე ლოდებმოფენილი ნოყიერი მიწა, უკნიდან ქვის ღობე რომ ერტყა, გრძლად გადმოვდებულ ხორკლიან ენას ჰგავდა. მანქანაში ძალიან ცხელოდა, სარკმელი ჩამოვუშვი.

სიუზენს მუხლზე ხელი დავადე. წინა საღამოს სიუზენმა და მე ზომაზე მეტი დავლიეთ და, როგორც კი დავდეთ ბალიშზე თავი, მაშინვე ჩაგვეძინა. დღეს დი-ლით ბოლოს და ბოლოს გავბედე და ვუთხარი, გერდა ჩვენგან მიდის-მეთქი. სწო-რედ აქედან დაიწყო გულისგამაწყვალბელი ცოლქმრული კინკლაობა. მაგრამ ახლა ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს უცოლო ვიყავი, და ჩვენ, ქალი და ვა-ჟი, ამ ცარიელ გზაზე თეთრ „ზეფირში“ განვმარტოვდით.

— თუ ვინდა გავიდეთ, ცოტა გავიაროთ, — ვუთხარი სიუზენს.

— ასეთ მაღალ, ლურსმნებივით ქუსლებზე? — მიპასუხა სიუზენმა.

კაბაზე ზედა დილი შევუხსენი. ხელზე მსუბუქად დამკრა და დილი კვლავ შეიკრა.

— არა, აქ არა, — მის ხმაში სიბრაზე აღარ იგრძნობოდა.

— სულ შენი კაბის ბრალია.

— ძალიან სადა და წესიერი კაბაა.

— ასეთი კაბა ქალწულს შეჰფერის. ყელამდე დახურული, თვალისმომჭრე-ლად თეთრი და ქათქათა. — მხარზე ცხვირი მივუცაცუნე. — თან გახამებულიც ყოფილა, საოცრად ვნებისაღმძვრელიც, ასე მგონია, მონაზვნის შეცდენას ვა-პირებ.

— ნუ ხარ გაფუჭებული, — პორტსიგარი ამოიღო, — მომიკიდე, თუ შეიძ-ლება.

ჩემკენ გადმოიხარა, გახსნილი ხელჩანთა მუხლებიდან ჩაუცურდა. ერთბაშად მძიმე, მძაფრი სუნი ვიგრძენი. სუნამოს შუშა ჩანთიდან გადმოვარდნილიყო. ფლა-კონი ავიდე და საცობი დავაზურე.

— აჰა შენი ახალი სუნამო, — ვუთხარი, — ცოტა კიდევ ჩარჩენილა. — ჰაე-რი შევიყნოსე, მანქანაში საროსკიპოს სუნი დადგა.

სუნამოს შუშას შეხედა და ისევ დაიწყო ტირილი.

— რა გატირებს, — ვუთხარი, — ასეთ ფლაკონს კიდევ გიყიდი.

— არ მომწონს, — თქვა, — საშინელია. მეტი აღარ მინდა.

ჩემს სიგარეტს მოვუკიდე.

— მაშინ გადააგდე.

— არა, არც ეგეთი მფლანგველი ვარ.

ტიროდა და თან ყურის ძირებში სუნამოს იცხებდა. სიცილი წამსკდა; ასე-თი უფლოგიკო და სულელი, თან ასეთი მომხიბლავი და საყვარლად ქალური, რო-გორც ივნისის იმ დილას, სიუზენი არასოდეს მჩვენებია. ვაკოცე.

— პუდრი გადაისვი სახეზე და ბარემ წავიდეთ, — ვუთხარი, — საოცარია, მაგრამ ზოგჯერ ასე მგონია, ჩემი ცოლი არა ხარ.

— მაგით რისი თქმა გინდა?

გამიკვირდა, სიუზენი რომ თითქოს გაბრაზდა.

— ეს მხოლოდ ქათინაურია.

სიუზენმა საპუდრე გახსნა.

— უცნაური ქათინაურია! მეტად თავისებურად იცოცხლებს თქვენს გამობატვა.

მაგრად მივიკარი, სიუზენი გვერდზე გაიწია.

— ვინმე დაგვინახავს, — თქვა.

— მერე რა, ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი ვართ.

— ასეთი გრძნობა არ მაქვსო, ახლა არა თქვი?

— კარგი ერთი, რა ვთქვი, რა მნიშვნელობა აქვს.

სახეზე პუდრს ისვამდა. ახლა უკვე საზოგადოებრივ ნიღაბს შევეყურებდი, სახეს, ეკლესიებში, ხერესით გამასპინძლებაზე რომ ვხედავ ხოლმე. ძნელი დასაჯერებელი იყო, ეს დიდრონი წაბლისფერი თვალები ახლახან ცრემლებს თუ აფრქვევდნენ.

სახეზე პუდრი წაისვა და სუნამოს შუშას სინათლეზე გახედა შიგ ცოტა კიდევ ჩარჩენილიყო. ზურგი მომაქცია, კაბის საყელო გადაიწია და სუნამო მკერდში ჩაისხურა. შევეყურებდი და ყოველგვარი ნაზი გრძნობა ერთბაშად გამიქრა, არ ვიცი, რატომ. სიუზენი ჩემთან აღარ ხყო, თუმცა მისი სხეული ჩემ გვერდით დარჩა. გარეთ უღრუბლო ცისფერი ცა კამკამებდა. როგორც ცისათვის, ისე სიუზენისთვისაც სულ ერთი იყო, მე იქ ვიყავი თუ არა. სიუზენი ჩემთან აღარ იყო.

„ალკების“ შოსემდე სიუზენს ხმა არ ამოუღია. მერე გვერდზე გაიხედა და თქვა:

— ძალიან გთხოვ, დღეს მაინც ღირსეულად მოიქეცი.

— არ მესმის, ნეტა რა გინდა ჩემგან?

— ძალიან გთხოვ მამაჩემს საქმეებზე ლაპარაკს ნუ გაუბამ. ნურც ჰაქსლის ქალს აეკიდები.

— ჰაქსლის ქალს? არც კი ვიცოდი, დღეს იქ თუ იქნებოდა.

— რომ გცოდნოდა, ალბათ შენს სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა. სტუმრად კისრისტეხით გამოიქცეოდი.

— ღმერთო დიდებულო, ქალი ერთხელ ვნახე, ისიც ორი წუთით.

— ცხადია, მეტხანს გერჩია მასთან ყოფნა. განა ვერ შეგამჩნიე, ეკლესიაში თვალებით როგორ ჭამდი. სახეზე გეტყობოდა, ოცნებებმა რომ წავიღო. მანაც მშვენივრად შეამჩნია.

— ჩემს არსებობაზე წარმოდგენაც არა აქვს, — ვუთხარი.

— იქნებ ევა სტორსაც არა აქვს წარმოდგენა? ბოლოს ხომ მაგასთან იყავი, იმის წინ ჯინ ველფრისთან. მთელ შენს დროს მამაჩემსა და ქალებს უნაწილებ, ხან ერთს დასდევ, ხან მეორეს...

— დღეს არც ერთ ქალს არ დაველაპარაკები. არც მამაშენს. კრინტსაც არ დავძრავ...

სიუზენმა რაღაც წაიღულუნა, ვერ გავარჩიე, რა. მთელი ყურადღება იქითკენ მქონდა, როგორმე ბრაუნების სახლისკენ ჩამეხვია. ისეთი ვიწრო მისასვლელი აქვთ, იძულებული გავხდი შორიდან მომეხვია, მანქანას გვერდები რომ არ გაჩხაპნოდა. ბრაუნმა ამ ერთადერთ შემთხვევაში გამოიჩინა სიძუნწე. სხვა მხრივ

მისი სახლი „ალეების“ გზატკეცილზე ყველაზე დიდი სახლია, თუმცა შეიძლება ითქვას მთელ უორლიშიაც, თუ არ ჩავთვლით უეილსის სახლსა და სინდრემის ციხე-დარბაზს. თუმცა მათ კარ-მიდამოებს სხვებთან შედარებით ზომაზე მეტი საკუთარი მიწები არტყიათ, მაგრამ უეილსისა და სინდრემის მამულები, უროდ ალ-ეზული, ბრაუნის მამულთან შედარებით ერთ ლუკმად მოგეჩვენებათ. თანაც მათი სახლები ქვიშა-ლორღითაა ნაშენი, ბრაუნისა კი „ბოლტონ ვუდიხ“¹ ქვეფურცხვით კარგად გათლილი ქვით.

სინდრემის

სადარბაზოდან ცოტა მოშორებით დავაყენე მანქანა, ზუსტად მტვრიანი „ვო-ქსპოლ-უივერნის“ უკან, ვიცანი, მარკის მანქანა იყო. სიუზენს მანქანიდან გამოსვლას რომ ვშველოდი, აგდებულად გადავულაპარაკე:

— ღმერთო ჩემო, მაგის ჯაბახანას ნეტა როდისმე თუ ეღირსება გარეცხვა!

სიუზენმა ღრმად ჩაისუნთქა:

— საწყალი მარკი! დაზოგე მაინც. მის მანქანაზე ასეთ უხეშ ქილიკობას თავი ანებე. სიბილასაც ცოტა უფრო ნაზად მოეპყარი.

— კარგი, გეთაყვა, ბოდიშს ვიხდი, გეთაყვა. როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი, გეთაყვა, — განზრახ დამცინავად, მორჩილად ვუთხარი მე.

სადარბაზოს ზარს თითი მივაჭირე. პარიეტმა, ბრაუნების რეზიდენციის ამ ფასდაუდებელმა ხვითომ, შეგვიწვია. როგორც ყოველთვის, ჩემგან განსხვავებით სიუზენს განსაკუთრებით თბილად მიესალმა. ბრაუნებთან იგი ოცი წელია მუშაობს და ამ სახლივით მათ ქმნილებას წარმოადგენს. ამისდა მიუხედავად ეს სახლი მაინც მომწონს, თუმცაღა ლარი სილვინგტონისთანა მოქალაქეები გაიძახიან, მეფე ჯეიმზ პირველის¹ დროინდელ უიმბლდონის სპორტულ მოედანს ჰგავსო. მე კი ეს სახლი სიამოვნებას მგვრის და მუდამაც მომგვრის. შიგ შესვლამდე მალულად ვეაღერებო ხოლმე მის ოდნავ ხორკლიან გათლილ ქვებს. პარიეტი არ მიყვარს. ორმოცი წლის ქალისთვის მეტად ფართო და უცნაურად დამჭკნარი სახე აქვს. ეს სახე არასოდეს მიღიმის, რომც გამიღიმოს, ზიზღით და დაცინვით სავსე იქნება ალბათ მისი ღიმილი. მისის ბრაუნს ხშირად უთქვამს, პარიეტი ნამდვილი სნობია, საკუთარი შეხედულება აქვს, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ჯენტლმენიო.

სასტუმრო ოთახში ყვავილებისა და სიგარის სუნი იდგა. ერთი შეხედვით ეს ოთახი შეცვლილი არ გეგონება. ამ ათი წლის წინათაც, პირველად რომ ვიხილე, ასევე იყო მოწყობილი. ბრაუნები ყველაფერს საუკეთესოს, მასიურსა და გამძლეს ყიდულობენ. მისის ბრაუნს კარგი გემოვნება აქვს. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბევრს ლაპარაკობს ხოლმე ამაზე, მუდამ დაიარება აუქციონებსა და ანტიკვარულ მაღაზიებში, რასაც იძენს, არაფერი თვალში არ მოგზვდება. შენს ყურადღებას იპყრობს არა კარელიური არყის ხის დივანი, არა შერატონის² კარადა, ძვირფასი ფაიფურით გამოჭედილი, არამედ საოცრად ფაფუკი მუქი მწვანე სქელი ხალიჩა, ღრმა სავარძლები, უამრავი ყვავილი, ვერცხლის ზარდახშები, ლარნაკები, სტატუეტები. კედელზე ვერც კი შეამჩნევთ ორ დასაკიდებელ კარადას, მეოვრამეტე საუკუნის ძვირფას ნამუშევარო, ვერც ნადირობის ამსახველ მეტად სასიამოვნო სურათებს, ანუ რაც შემორჩათ სენტკლერების საგვარეულო საგანძურიდან. სამაგიეროდ თვალს მოგჭრით სქელი ნატვიფრი შპალერი. არაერთგზის მიფიქრია, ნამდვილად ასეთი უნდა იყოს-მეთქი საზოგადო მოღვაწის სასტუმრო

1. ინგლისის მეფე 1603–1625 წ.წ.

2. მეოვრამეტე საუკუნის სტილი.

ოთახი. იგი ოტელის სასტუმრო ოთახად გამოდგება და ლორდმერის მისაღებ ოთახადაც.

როზი, ბრაუნების მეორე „ხვითი“, სასმელების სინით ხელში მომიახლოვდა. პარიეტით არ მეჯავრება. ბრაუნებთან მხოლოდ ათი წელია მუშაობს. კიდევ ბევრი რამ აქვს ასათვისებელი. ამ დილით ასე მომეჩვენა, ყოველ ჩემს მოძრაობას განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა. ნორას¹ თვალი² სკარიდე — შორს კუთხეში იდგა — და როზის დისშვილი მოვიკითხე. როზიმ გაიღიმა, მისი უხეში დაჟღავნა სახე იმ წუთას ლამაზიც კი მეჩვენა.

— გმადლობთ, ახლა შესანიშნავადაა, სურ.

მისის ბრაუნმა ერთხელ როგორღაც სიუზენს უთხრა, დისშვილი კი არა, სინამდვილეში როზის დეიძლი შვილიაო. ჩემს ზიდედრს, მაგ ბებერ ქოფაკს, ბევრი კარგი თვისება აქვს, მაგრამ მათ გამო ნაკლებად მაინც არ მეჯავრება.

ოთახს თვალი მოვაავლე: სიუზენი ალტაცებული ესაუბრებოდა მარკსა და სიბილას. ნორასკენ წავედი. მისის ბრაუნი, ეს პირველი შემთხვევა როდია, კანონიკ ტინტმენტთან საუბარში ისე გართულიყო, ვერც შემამჩნია.

ნორა თავისთვის იდგა. მარტო ყოფნა სულაც არ აწუხებდა, არც ცდილობდა ეს ამბავი დაეფარა და თავი შეექცია სურათების, ავეჯისა თუ ძველებური ნივთების თვალიერებით. თავისთვის მარტო ყოფნითაც კმაყოფილი იყო, სხვებს არც ვაურბოდა, არც ეკიდებოდა.

— აი, კვლავ შევხვდით ერთმანეთს, — მივმართე, — რა მოგართვით?

— არაფერი, გმადლობთ, — გვერდით მაგიდაზე ხერესით სავსე ჭიქა ხელუხლებელი ედგა.

— მაშ, აქ პირველად ბრძანდებით სტუმრად? — საოცარია, თითქოს სხვა სალაპარაკო გამომეღია.

— ასე გამოდის. აქაურობა მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ათი საძინებელი ოთახი, — ვუთხარი, — ოთხი სააბაზანო, ტენისის კორტი, საცურაო აუზი, ოთხი აკრი მიწა.

— ოთხი აკრი? — არც კი დაიჯერა.

— დიახ, ცხრამეტი ათას სამას სამოცი კვადრატული იარდი, — მკლავზე ნაზად დავადე ხელი, თხელი ქსოვილის ქვეშ თბილი და რბილი კანი იგრძნობოდა; ხელი არ მომამორებინა, ტუჩები ოდნავ გაეპო. დავაცქერდი, რა დამავიწყებს მის სახეს. ჩემი ფიქრი და გონება მუდამ ისეთი რამეებითაა გამოჭედილი, დახსომება რომ სულაც არა მსურს, ახლა კი ისეთ რამეს წავაწყდი, რისი დახსომებაც მუდამ მენდომება. მის კაბაზე დაკბილული გამჭვირვალე შუშის დილებსაც ვერ დავივიწყებ.

— ასეთი ამბები არასოდეს არ ვიცო, — თქვა ნორამ, — ვშიშობ, ეურნალისტად ვერ გამოვდგები.

— მერწმუნეთ ცდებით, — ვუთხარი, — თქვენი ნარკვევები ძალიან მომწონს. — მოკლე სახელოებიანი კაბა ეცვა, ერთბაშად მომინდა ხელი ქვეშოთ ჩამეცურებინა და შიშველ მკლავზე მივალერსებოდი, ლამაზი მკლავები ჰქონდა, არც მსუქანი, არც მეტისმეტად დაკუნთული, მაგრამ მკვრივი და მოძრგვალეული. ჩემი ხელის მოშორება არ გაუჭირდებოდა, საკმარისი იყო ოდნავ შერხეულიყო, მაგრამ ჩემთან ახლოს იდგა და არ იძროდა.

— გახედეთ, — ვუთხარი, — ეს მხოლოდ მთელი მამულის ერთი მეექვსედია.

— მე ის ვარდებიც მეყოფოდა, — თქვა მან.

მკლავიდან ხელი მოვაცილე. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წუთს დავყავით ერთად, მაგრამ ოთახში სხვებიც ხომ იყვნენ!? მათ ყველას ვიცნობ, ყველას გრძელი

ენა აქვს. მათ შორის ყველაზე გრძელი კი ლარი სილვინგტონს. აგერ კიდევ გვიანლოვდება.

საზაფხულო ღია ცისფერ იტალიურ აბრეშუმის კოსტიუმში გამოწყობილი და ვარდისფერი ხელით ნაქარგი ჰალსტუხით დამშვენებული ლარი სილვინგტონი პირდაპირ ბრწყინავდა. რა საოცარია, იგი შალის მწარმოებელი გახლავთ. საცხოვრებლად უორლიში ამ ათიოდე წლის წინ ჩამოვიდა და უკვე მის მკვიდრად იქცა. დიდი ჭორიკანაა, მისი წყალობით ბევრი უსამოვნება ჩამოვარდნილა ბევრი წაახზუბა ერთმანეთს. ეს ისეთი კაცია, უბრალოდ არასოდეს მოიხსენებენ როგორც უცოლოს, ყოველთვის განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ, რა თქმა უნდა, უცოლოაო. ღირსშესანიშნავი თვისებებით არ გამოირჩევა და მაინც ყველას ხიბლავს, ყოველთვის საზოგადოების სული და გულია. მისის ბრაუნსაც კი მოსწონს. ამგვარ ეგზოტიკურ პიროვნებას თავის სახლში ალბათ იმის დასამტკიცებლად იღებს, საზოგადოებაში გამოსული ქალი ვარო. ამ როლს დროდადრო დიდი ხალისითა და სიამოვნებით თამაშობს ხოლმე მისის ბრაუნი, ალბათ თავისი მთავარა — დიდი მამულის მეპატრონე ქალბატონის როლისაგან დროებით მაინც ისვენებს და შვებასა გრძნობს.

ლარიმ ნორას მკლავზე ხელი მოკადა.

— რა? ვარდებით ტკბებით, ძვირფასო? ვარდებზე შემძლია ყველაფერი გიამბოთ. აგერ „ალბერტინებსა“ და „მოწისფერ გამარჯვებას“ თალი შეუკრავთ, აი იმ ყვითელ ვარდს „სატერის ოქროს“ უწოდებენ. აი ის ღია წითელი ვარდები კი ყველას შირჩევნია. მათ „მისის ჰენრი ბაულზს“ ეძახიან. ნეტა რანაირი ქალი იყო?

— არა, ისინი ღია ვარდისფერებია, — ჩაკურთე, — წითლები, მგონი, „მონტეზუმა“.

— ეგ უმნიშვნელო წვრილმანებია, — თქვა ლარიმ და დამაცქერდა. ბრტყელი, გადაგლესილი სახე ჰქონდა, შეშუბებული მძიმე ქუთუთოები, მწვანე თვალები, ზოგჯერ თითქოს ელაშიც.

ამგვარი სახე ახალგაზრდული არასოდეს იქნებოდა, მაგრამ არც არასოდეს დაბერდება. მხერა ნორაზე გადაიტანა. გავიფიქრე, ნეტა ნორასა და ჩემზე რას შეთხზავს-მეთქი. ლარიმ თავი გააქნია.

— წვრილმანები ჯოს საქმეა, — თქვა მან, — მიწიერთა შორის ეგ ყველაზე უფრო მიწიერია.

— დარწმუნებული ხართ, რომ არ ცდებით? — უთხრა ნორამ და გამიღიმა. თვალებისფერი ნაცრისფერი კაბა ეცვა, ცისფერი სხივი რომ გაჰკრავდა, სხვა ქალების კაბებთან შედარებით მთელი ორი დუიმიტ მოკლე. ზოგი ქალი თავს უხერხულად იგრძნობდა, სხვებისგან ამგვარად განსხვავებული რომ ყოფილიყო, ზოგს სიხარულს მოგვრიდა, ნორა კი არაფრად აგდებდა. ნორა მოწიფული ქალი გახლდათ. ათი წელია მოწიფული ქალი არ შემხვედრია, ათი წელია ასეთი ქალი არ მომნატრებია. ელისსაც კი, სადღაც გატეხილს, ხილაღისა და სიხარულის თავი აღარცა ჰქონდა. „ცოცხლად მოგინელებდით!“ აბა სხვას რას იზამდა წლების მანძილზე ნაშიმშილები?! ელისმა მაინც რაღაცით გამამდიდრა, რაღაც მომცა, გაცილებით მეტი, ვიდრე მე მივეცი. ნორას გავუღიმე. მასაც იგივე მოეღის, ყველა მოწიფულ ქალს იგივე მოეღის. ნორას წინაშე თავს რატომღაც მოვალედ ვგრძნობ.

სიუზენი აღფრთოვანებული ელაპარაკებოდა მარკსა და სიბილას. მგონი, ჩემკენ არ გამოუხედავს, მაგრამ მალე ალბათ გამმაგებისა და აღელვების ახალ მიზეზს გავუჩენ.

— ჩემს მეუღლეს არ იცნობთ? — ვკითხე ნორას.

— ხედავთ იმ ლამაზ ქალს, თეთრი კაბა რომ აცვია? — უთხრა ლარიმ, — ხასხასა წითელკაბიან მატრონასა და სპორტულ კურტაკში გამოწყობილ კაცს ელაპარაკება, — ლარიმ ჩაიქირქილა. — სიბილას დღეს მართლა მოუთოკავს მარკი.

— ცოტა ჩუმად, — ვუთხარი.

— როცა წავლენ, მერე რაღაცას გეტყვით.

— გაგონებაც არა მსურს, — ცივად მოვუჭერი.

ისევ ჩაიქირქილა.

— დიდ ყურებს ბევრის გაგონება არა სურთ.

ლარისთანა კაცზე გაჯავრება არც ღირს. არ მინდოდა ნორას თვალში სი-
დარბაისლუ დამეკარგა, თორემ ერთი სული მქონდა ლარისთვის გემოზე მეთა-
ვაზა. აშკარად შევამჩნიე, ნორას ეს ყველაფერი ართობდა, ცივად კი არა, ღმო-
ბიერად იღიმებოდა, უკვე შესანიშნავად აუღო ალღო ლარის. დაშავებით იგი
ბევრს არაფერს დაგიშავებდა, ესაა, ყველას ცოტ-ცოტა ჭორს სთავაზობდა, რო-
გორც სასმელს, სიგარებს, ყვავილებსა თუ შოკოლადს.

ძალიან გამიკვირდა, ნორამ ხელკავი რომ გამოსდო.

— გიყვართ, როცა სხვებს ასიამოვნებთ, ხომ მართალია? — უთხრა ნორამ.
გაშტერებულმა შევხედე, თითქოს ზუსტად ჩემი აზრი ამოვიკითხაო.

— რამდენადაც ვახერხებ, ღონეს არ ვიშურებ, — მიუგო ლარიმ.

სიუზენთან, მარკთან და სიბილასთან მივედი; შვებით ამოვისუნთქე, სი-
უზენი იმდენად გართული იყო საუბარში, მგონი, ვერც კი შეამჩნია ჩემი უდი-
რისი საქციელი. მანქანაში მომხდარი სცენის გამო წყენის ნატამალიც აღარ შერ-
ჩენოდა სახეზე, ხალისით აღსავსე მხიარულებას აფრქვევდა ირგვლივ, გეგო-
ნებოდათ, დედოფალია და მათხოვრებს ფულს უყრისო. მარკი და სიბილა მართ-
ლაც მათხოვრებს ჰგავდნენ, მარკი ისე შეჰყურებდა, თითქოს სიუზენის ჭარბი
სიხალისე ძალას მატებს და ფეხზე აძლებინებსო, ხოლო მოწისფერ კაბაში ჩვე-
ულებრივზე უფრო უგემოვნებოდ გამოწყობილი სიბილა სიუზენს შურის თვა-
ლით კი არა, ხარბი სიყვარულითაც კი შესცქეროდა.

სქლად წასმული პუდრი სახეზე ლაქებს ვერ უფარავდა. ეტყობა, მარტო
მე და სიუზენს არ გვიჩხუბია იმ დილით. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც სიბი-
ლას მარკის რაღაც ახალი თინი შეუტყვია. ჩვეულებრივ ასეთ ვითარებაში ან
ერთ მხარეს ვიცავდი ან მეორეს. ერთგვარი ბოროტი ნიშნისგებით შევეყურებდი
ხან ერთი მხარის განცდებს, ხან მეორისას. ასე მოუხდება სიბილას, მარკს რომ
ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს, ასე მოუხდება მარკს, პატარა სულელ
გოგოებს რომ აცდუნებს, თანაც ყოველთვის სულ უფრო და უფრო უასაკით
ეტანება.

მაგრამ ამ დილას ორივე შემეცოდა. რაღაც უცნაური გრძნობა გამიჩნდა,
ამგვარი გრძნობა კაცს ცხოვრების გემოს დაგაკარგვინებს. ნორა გავაცანი, წა-
ვიდა ჩვეულებრივი ცერემონიალი — სახელების წარმოთქმა, კითხვების განმეო-
რება, უპასუხოდ დატოვება, კვლავ კითხვები — ყველაფერი ამჯერად განსაკუთ-
რებით არარეალური მეჩვენა. ის მაინც მეთქვა, ეს გახლავთ-მეთქი დასრულებუ-
ლი, მოწიფული ქალი, ამ ამბის გამოცხადება ხომ მართლაც ღირდა.

მისის ბრაუნი კანონიკ ტინტმენს ელაპარაკებოდა. ერთ დროს ლამაზი ქალი
იქნებოდა, სიუზენზე უფრო ნატიფი სახის ნაკვთების მქონე. მაგრამ წლიდან
წლამდე დიდი მამულის ქალბატონობამ ტუჩები მაგრად მოუკუმა, ხოლო ხორცი

ლამის ძვლებამდე დაუყვანა. კანონიკმა ტინტმენმა რაღაც წაიბუტბუტა კეთილ-
შობილური მიზნისა და მაგალითის თაობაზე.

— სავსებით გეთანხმებით, მამაო, — მიუგო ჩემმა სიდედრმა, — მაგრამ ყვე-
ლაფერს ერთად ვერ გაწვდება... — დაფიქრებულმა შემომხედა.

რა დიდი ჭკუა მჭირდებოდა იმის გამოსაცნობად, რაზედაც საუბრობდნენ.
უკვე მუნიციპალიტეტის მრჩეველი გახლდით და ამა თუ იმ კომიტეტში მრჩევე-
ლის ყოლა მეტად გამოსადეგია. მალე ალბათ მისის ბრაუნთან მომხმარებელ მისულა-
ან კანონიკი მიმიყვანს მასთან, რომელიმე კომიტეტში შესვლას შემომთავაზებენ
და მეც უნდა დავეთანხმო. მაშინ ქალბატონი ბრაუნი თავის სიცოცხლეში ერთ-
ხელ მომმართავს სახელით, ისიც თავს დიდ ძალას დაატანს, და მერე კვლავ გა-
ნაგრძობს თავისას. არაერთგზის მომაგონებს, ვინ ან რა ვარ და ჩემს პურს კა-
რაქი საიდან უსვია. როგორ შემეძლო ქალბატონი ბრაუნი მყვარებოდა? ნორას
ვუსმენდი, სიუზენს ვარდებზე ელაპარაკებოდა. და უცვებ მისის ბრაუნისადმი სი-
ძულვილის გრძნობა გამიქრა. მისის ბრაუნი ხომ ბავშვია, ბავშვის შეჯავრების
უფლება კი არა გვაქვს.

— სიგიჟემდე მიყვარს ვარდები, — თქვა სიუზენმა, — ბაღში კიდევ უფრო
მეტი ვარდები რატომ არა გვაქვს, ჯო?

— ვარდები ძნელი მოსავლეელია, — ვუთხარი.

— სისულელეა, — ჩაურთო მარკმა, — ძალიან დიდხანს ძლებენ.

— ალბათ, — ვთქვი, მაგრამ სიტყვები არაფერს ნიშნავდა, რაც უნდა მეთქვა,
ასე მგონია, არც ერთ სიტყვას აზრი არ ექნებოდა. მხოლოდ ერთ რამეს ჰქონდა
აზრი, ბავშვის შეჯავრების უფლება არა გვაქვს. აქ ყველანი ბავშვები იყვნენ.
თვით ბრაუნიც კი, აგერ ჯულიან ფარნის, წმ. ალფრედის სკოლის დირექტორს
ავტობუსების მძღოლების გაფიცვაზე რომ ზუზუნით ლამის ყურები გამოუჭედა.

— მეტად პასუხსაგები სამუშაოა, — უთხრა ჯულიანმა, — პირადად მე სუ-
ლაც არ ვისურვებდი ავტობუსის მძღოლად მუშაობას, — და ნერვიულად გაი-
ცინა. ბრაუნთან შედარებით ჩვეულებრივზე უფრო გამხდარი და ფერწასული ჩა-
ნდა. ბრაუნი ახალ კუბოკრულ კოსტუმში იყო გამოწყობილი, საღილეში წითე-
ლი მიხაკი ეკეთა და თავით ფეხამდე ბრწყინავდა.

— მეც პასუხსაგები სამუშაო მაქვს, — უთხრა ბრაუნმა, — მაგრამ, როგორც
ხედავთ, გაფიცვას არ ვაწყობ, ორმაგ ჯამაგირს არ ეითხოვ, არც სამუშაო დრო-
ის შემცირებას, არც საუზმისათვის შესვენებასა თუ სხვა პირობების გაუმჯობე-
ლებას...

ბრაუნი ტიტინებდა, ბავშვს ერთ ხელში „ბრისტოლ მილკ“ ეჭირა და მე-
ორეში დიდი სიგარა. ნორასთან უფრო ახლოს მივიწიე, ბოლოს და ბოლოს ჩვენი
მხრები ერთმანეთს შეეხო. მსურდა გამენდო, რასაც ვგრძნობდი, სწრაფად და
სხარტად, როგორც პიესებში ხდება ხოლმე. ხომ უნდა არსებობდეს რაღაც სა-
შუალება, გულისტკივილით გავიფიქრე, იოლად რომ შევძლო გულისნადების
განდობა? უცვებ მივხვდი, ყოველგვარი სიტყვა ზედმეტი იყო. რის თქმასაც ვა-
პირებდი, ნორამ წინასწარ უკვე იცოდა.

ბრაუნმა თითი მოხარა და მანიშნა მასთან მივსულიყავი.

— აქ მოდი, ჯო, — გამომძახა, — მოდი და ჯულიანს როგორმე გააგებინე.

— ვეცდები, — ვუთხარი.

ბავშვია, ვიმეორებდი ჩემთვის, ბავშვი. სამოცი წლის ასაკში ღამე სულ
უფრო და უფრო გიახლოვდება. როგორ შემეძლო ამის დავიწყება?

სიბილა, როგორც ჩვენს წრეს შეჭფეროდა, ალბათ სხვებივით ხშირად ბანაობდა, ცხადია, საუბარშიაც არაერთხელ უხსენებია, ყოველდღე ებანაობო. მაგრამ მაინც მძაფრი ოფლის სუნი ასდიოდა მუდამ. და ახლაც, მხარზე ხელი მოვუთათუნე თუ არა, მაშინვე მეცა ოფლის სუნი.

— ნუ ტირით, ძვირფასო, — ვუთხარი, — იქნებ ყველაფერს მტკვარდეს. მაინც ასეთი რა მოხდა?

— ვერ გეტყვით, — მიპასუხა, — არ ვიცი, რა გადამატანინებს, როგორ უნდა გადავიტანო.

— კარვით, დამშვიდდით, — ვუთხარი. ბართან მივედი, ვისკი დავისხი და სოდიანი წყალი გავურიე. ამ კვირაში სამსახურიდან დაბრუნებულს ეს უკვე მეორეჯერ მხვდება სიბილა სასტუმრო ოთახში აცრემლებული. უბრალო ზრდილობისათვის კვითხე, თორემ ძალიან კარგადაც ვიცოდი, ცრემლებს რატომაც ღვრიდა — მარკისა და ლუსი ჰარბეტის ამბავი გაიგო ალბათ. „შე ჩერჩეტო, გასიებულს და ამყრალებულს ძროხავ, — ვილანძღებოდი გულში, — ნეტა ჩემს სასტუმრო ოთახში რაღას აგდიხარ?“

— რა სულელი ვიყავი, — თქვა, — რა ბეცი და სულელი. ვინ იცის, მასხრად როგორ მიგდებდნენ მე საცოდავს! — წარმოთქვა ისე, თითქოს სიტყვებს გემოს ატანდა.

— ყველაფერს დალევს სჯობია, — ვუთხარი.

— მამაკაცებს გგონიათ, მაგით უშველით ყველაფერს. დალიე, მოსწიე, აგერ ყვავილები, აი შენთვის ახალი ქუდი იყიდე... — გაეცინა. — რა? ბავშვი ხომ არა ვარ, ჯო, მეც ხომ ქალი ვარ. ქალი, რომელსაც გული ატკინეს, დაამცირეს; მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ბავშვებს რა ვუყო, თორემ კარგა ხანია ყველაფერს ჯვარს დაუუსვამდი.

თვალი ზიზღით მოვაცილე მის ჩაჩაჩულ წინდებს. ნამდვილად ძნელია მარკის გამტყუნება. ლუსი ჰარბეტი ერთი იაფფასიანი პატარა ქუჩის კახპაა, ოც წლამდისაც ბევრი აკლია, მაგრამ წინდები მუდამ კონტად აქვს აჭიმული. უარს არ ვიტყვოდი, ჩემს სასტუმრო ოთახში ლუსი რომ დამხვედროდა; სულელიცაა, ეგოისტიც, კაცს ბევრ ვაივაგლახს გადაჰკიდებს, დალუპავს კიდევ, მაგრამ ახლად მოთიბული მინდვრებისა და ნეტარების სურნელს აფრქვევს.

— ასეთი ლაპარაკი არ გეკადრებათ, — ვუთხარი, თუმცა ჩემს სიტყვებს ნამდვილად აკლდა სიმტკიცე.

— ბავშვებისთვის ვზრუნავ, — განაგრძო, — საბრალო პატარები, ჩემს მეტა ვინა ჰყავთ?!

ვინა და სიუზენი, გავიფიქრე გულმოსულმა. აი ახლაც, როგორ გგონიათ, ვინ უვლის, ჰა? სასადილო ოთახიდან ყვირილი შემოისმა, ბარბარას ხმა იყო.

— მოიტა უკან, შე საძაგელო, შე ცუდო! — წიოდა ბარბარა, — იცოდე, გაგარტყამ! — შეჰკიეღა, და მერე ორჯერ გარტყმის ხმა მოისმა. გარტყმას სამარისებური სიჩუმე მოჰყვა და მერე ერთბაშად არეულ-დარეული წივილი. ძალიან მაინტერესებდა, ვინ ვის გაარტყა. ისეთი ხმა იყო, მგონი, ბარბარამ უთავაზა რომელიღაცას, გავიფიქრე სიამოვნებით. ორშაბათს ცრემლმორეულმა შემომჩივლა, ჰელენმა თოჯინა-საფრთხობელა წამართვა, ვივიენმა — დათუნია, ლინდა კი განუწყვეტლივ ჩემს ველოსიპედს დააქროლებსო; საძაგელი, ცუდი ბავშვები არიან და შენ უსათუოდ მიტყვიპეო.

— შენ თვითონ მიტყვიპე, — ვუთხარი.

— ჩემზე დიდები რომ არიან?

— მერე რა, დაასწარი და გაარტყი.

ამ საუბრის გახსენებაზე გუნებაში გამეცინა.

— საბრალო პაწიები, — გაიმეორა სიბილამ. მგონი, სასადილო ოთახიდან ხმაური არც გაუგონია, — ასე მგონია, კიდევ ხვდებიან, ცუდი ამბები რომ ტრიალებს.

— რას მიხვდებიან, ძალიან პატარები არიან, — ვუთხარი.

— ლინდა შვიდისაა, ტყუპები — ხუთისანი. ახლანდელი ბავშვები კი მეტისმეტად ადრე ვითარდებიან. ჩემებს საოცრად ნათელი გონება აქვთ, თუმცა ამას არ უნდა ვამბობდე, უხერხულია, — ცრემლიანმა გაიღიმა, — ტყუპებს ახლა ის ასაკი აქვთ, როცა ყველაფერს გეკითხებიან, ხომ გესმით?

ვისკი მეორედ დავისხი. აბა, მის წინაშე ხომ ვერ დავამოქნარებდი!

— როგორ არ მესმის, — მივუგე, — ძალიან დამქანცველია.

— და მერე როგორ? ეგ მე მკითხეთ. მაგრამ დაუფასებელი არ რჩება, ჯო, მერწმუნეთ, დიდად გვიფასდება. აგერ, ლინდა ძალიან დაფიქრებული გოგონაა, ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ არაფერი გამოეპარება, ყველაფერს ამჩნევს.

— სხვებთან შედარებით ძალიან მგრძნობიარეა, — ვუთხარი, — განსაკუთრებით ფაქიზად უნდა მოეპყრათ ლინდას.

სიბილა მაშინვე ჩაეჭიდა ჩემს სიტყვებს.

— მეტისმეტად მგრძნობიარეა მის ასაკთან შედარებით. ზოგნი პირდაპირ ნამდვილ ყაჩაღანად თვლიან. მაგრამ ეს ასე როდია? ოჰ, სულაც არა, — თავი ნელა გააქნია, — ლინდა განუწყვეტლივ ფიქრობს, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ფიქრობს და როცა კარგად მოიფიქრებს, დარწმუნდება, რომ პრობლემა ნამდვილად მართებულად გადაჭრა, მხოლოდ მაშინ გამოთქვამს თავის გადაწყვეტილებას. ტყუპები უფრო დაუფიქრებელი არიან, იმპულსურნი...

და მოჰყვა და მოჰყვა; მოდუნებული ვუსმენდი, დროდადრო რაღაცას ამოვიღულულულებდი ხოლმე. ბოლოს, როგორც იქნა, ტირილი შეწყვიტა, ჩემი თანაგრძნობა აღარ ესაჭიროებოდა. სასადილო ოთახში ბავშვებს ყურის წამლები ღრიანცელი გაჰქონდათ, სულაც არ ჰკავდნენ სიბილას მიერ აღწერილ გვრიტებს... თითქოს ყველა ერთხმად ბლაოდა. ჰარი მათ „სახეგაფლამულ მჩხავანებს“ ეძახის; ახლა, ამ სიტყვებს რომ ჩაუფიქრდი, მიეხვდი, რა ზედმიწევნით ზუსტად და მახვილად იყო ნათქვამი. მაჯის საათს დავხედე, ნახევარ საათში ჯანმრთელობის კომიტეტის სხდომაზე უნდა წავსულიყავი. ასე თუ ვაგრძელებდი, ჩანს, ჭამას ვერ მოვასწრებ.

სიუზენი შემოვიდა, სახე წამოწითლებოდა. ხელჩაჭიდებული ბარბარა შემოიყვანა. მეორე ხელით ბარბარას გულში ჩაებლუჯა და თოჯინა-საფრთხობელა, სახე ღიმილით გაბადროდა, ტომატის საწებლით ლოყები მოსვროდა.

— ინებე და თვითონ ასწავლე ჭკუა შენს ქალიშვილს, — მითხრა სიუზენმა, — ნამდვილად პატარა ჭინკაა, საძაგლად იქცეოდა.

— ეჭვი არ მეპარება, — ვთქვი, — ჩხუბის ხმა გავიგონე. რა დააშავა?

— ჰელენს და ვივიენს გაარტყა, ლინდა კი სკამიდან გადმოაგდო.

— მოდი აქ, — მოვიხმე ბარბარა, — ყური მიგდე. დიდი უწესო გოგო ხარ, ჰელენი, ვივიენი და ლინდა შენი სტუმრები არიან, სტუმრებს კი უხეშად არ უნდა მოექცე.

— შენ არ მითხარი, ასე მოიქეციო? — თქვა ბარბარამ, — შენ არ მითხარი?

— ეგრე როდი გითხარი, გენაცვალე. მე გითხარი, თავს ძალიან ნუ დააჩაგვრინებ-მეთქი.

არა, ასე არ მითქვამს, ამკარად ვტყუოდი. პატარა ტყუილი იყო, მაგრამ მაინც ტყუილი.

— ძალიან მიყვარხარ, — ვუთხარი. ეს ხომ აღარ იყო ტყუილი! / მამიკოს ხათრით მაინც უნდა მოიქცე კარგად. წადი, შენს დეიდაშვილებს პიტიში მოუხადე. პირობას ხომ მაძლევ? მამიკოს ხათრით მაინც.

— კარგი, მამიკო, — სახიდან დიმილი გაუქრა.

— წადი, გაცუნცულდი და ითამაშე, ჩემო პატარავ.

— მაგის ბანაობის დროც არის, — თქვა სიუზენმა.

— მართლაც უკვე დროა, — ვთქვი. ბარბარა სატირლად მოემზადა, მკლავი შემოვხვიე, მინდოდა დამემშვიდებინა და უცებ მადლიერების გრძნობა გულს მომეფინა. უწინაც ბევრჯერ მქონია ამგვარი განცდა. სინამდვილეში მე კი არ ვამშვიდებ ბარბარას, პირიქით, თვითონ მამშვიდებს ხოლმე, სწორედ ბარბარა დგას უბედურებასა და ჩემ შორის. მე ვეპოტინები ბარბარას და არა ბარბარა მე. შიშს ვყავარ ატანილი და ჩემს პატარა გოგონას ვეპოტინები, თუმცა თვითონაც არ ვიცი, რისი მეშინია. ხელი გაეუშვი და ნაზად მოვიშორე.

— შენ ხომ კარგი გოგო ხარ, — ვუთხარი, — იცოდე, შენი უწესო საჭციელი მეორედ აღარ გამაგონო.

მთელი ძალით დაიქნია თავი და ოთახიდან გავიდა.

— აი ასე ანებივრებს და ყველაფერი იმიტომაც გაუდის, — თქვა სიუზენმა.

— შესანიშნავად იცის, თუ მოინდომებს, მამამისს თითზე დაიხვევს.

— მაგას რატომ ამბობ! — ჩაერია სიბილა. — არც კი იცი, რა ბედნიერი ხარ, — ოღნავ კეკლუცურად გადმომხედა. — ჩემო კარგო, თუ მოისურვებ, ქმარს სიამოვნებით გაგიცვლი. ჯო თავგამოდებით მუშაობს და შვილებისთვის არაფერს იშურებს. მარკი მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობს. საზიზღარი, ბინძური დროსტარება ყველაფერს ურჩევნია...

— წარმომიდგენია, — თქვა სიუზენმა.

— ვერა, ვერ წარმომიდგენია. შენი ქმარი ყველა კაბიანს არ ეკიდება. შენს ქმარს ცოლ-შვილი უყვარს. შენს ქმარს მუდამ მოვალეობის გრძნობა ამოძრავებს. მარკმა კი თავისის ცხოვრება აწეწ-დაწეწა. ერთი ადგილიდან მეორეზე, ერთი სამუშაოდან მეორეზე გადადის, ერთი უბედურებიდან თავის დაღწევას ვერ ასწრებს, მეორეში ებმება და მაინც არაფრად ენაღვლება. რომ მოენდომებინა, იცოცხლე, წარმატებას მიაღწევდა. ძალიან ჭკვიანი და მიმზიდველია, მაგრამ თავის შეწუხება არ უყვარს. ამიტომაც მუყაითნი, მონდომებულნი, მაგრამ გონებადახშულნი მაგაზე უკეთ ეწყობიან. ოჰ, ღმერთო ჩემო, ზოგჯერ კიდევ მინატრია, ნეტა ასეთი ჭკვიანი და მიმზიდველი არ იყოს-მეთქი. ცხოვრებაში ყველაფრის გადალახვა რომ დასჭირებოდა, აჯობებდა, ნეტავი ჯოსავით თავგამოდებული მშრომელი ყოფილიყო.

— გმადლობთ, — ვთქვი, თუმცა ჩემი ნათქვამი, მგონი, ვერ გაიგონა.

— როგორ გგონიათ, ამაღამ რას აკეთებს? ისრის ტყორცნაში ვარჯიშობს. ალბათ შინ შეიარა, ჩემი ბარათი წაიკითხა, მაგრამ აინუნშიაც არ ჩაავდო. ცოტა პური და ყველი შეჭამა, მერე ლუდხანაში გაემართა, სვამს ლუდს, ტყორცნის ისრებს, ყველას თავს უყადრებს, ტომი იქნება ეს, დიკი თუ ჰარი; ცხადია, მათაც ძალიან უყვართ მარკი. აღტაცებისაგან კანკალებენ და გაიძახიან: „ეს რა ჯენტლმენი ყოფილა!“.

ბოლო სიტყვები განსაკუთრებული ზიზღით წარმოთქვა, როგორც ერთ დროს მე წარმოვთქვამდი ხოლმე.

— ნუ ცხარობთ, ძარღვებს ნუ იშლით, საყვარელო, — ვუთხარი, — მარკა არც ისე ცუდია.

— თქვენ მუდამ ერთმანეთს ხელს აფარებთ, — მომიგო სიბილამ. მეს ასი ათასჯერ დამიფარებია ხელი. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. აქვს თქვით ფეხამდე ვხედავ, რაც არის. ოი, ღმერთო, არ ვიცი, რა გზას დავადგენ ამჯერად მის ხმაში აშკარად გამოსჭვითდა სასოწარკვეთილება.

— დალევა ახლა ნამდვილად გიშველით, — ვუთხარი.

— ყველაფრის დაეწყება მიშველის, — მომიგო, — ხანგრძლივი, მეტად ხანგრძლივი დასვენება. ამდენმა განცდებმა ისე დამძალა.

— გინდა ჩვენთან დარჩი? — შეეპატიჟა სიუზენი, — ჰარი აქ არ არის. მის ოთახში შეგვიძლია დასაკეცი საწოლები გავშალოთ. — სიუზენმა აუხსნა, დასაძინებლად სახელდახელოდ ყველას როგორ მოათავსებდა, თანაც ისეთი ხალისით, თითქოს დივანზე წოლა დიდ აღტაცებას მომგვრიდა. ამას წინათ კი დიდი სურვილი მაინცდამაინც არ გამოუხატავს, მე რომ შევთავაზე, რა იქნება ბიძია დიკმა და დეიდა უმილემ უიკ-ენდი ჩვენთან გაატარონ-მეთქი.

— შენ ხომ არ შეწუხდები, ჯო, არა, ხომ?

— სულაც არა, — ვუპასუხე.

— გერდა მხოლოდ პარასკევს მიდის, ასე რომ, ბავშვების მომკვლენი საკმაოდ ვიქნებით.

არაქისის ყუთს თავი ავხსენი.

— აბა რა, ძვირფასო, მეს სიამოვნებით მოგეხმარებით.

— ძალიან კარგი. მაშ, ყველაფერი გადაწყდა.

— ერთი სიბილასაც ჰკითხე, დარჩენა უნდა თუ არა?

— შენ ისეთი კეთილი ხარ, სიუზენ... მაგრამ დარჩენას წასვლა მირჩევნია. დღისით, ცივ ნათელ შუქზე მინდა ყველაფერი აეწონ-დავწონო. — სიბილა წამოდგა. — ამ ბოლო დროს უთქვენოდ, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ღმერთმა ყველაფერში ხელი მოგიმართოთ, ორივეს მოგიმართოთ.

ისევ აუტყდა ტირილი.

— ნეტა მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს! — მოთქვამდა, — ნეტა აღარ ვიყო ცოცხალი!

სიუზენმა ხელი მოხვია.

— ჩემი საწყალი სიბილა! ნუ სწუხარ, გენაცვალე, ჩვენ აქ არა ვართ? ჩვენ მოვივლით!

პირში ერთი მუჭა არაქისი ჩავიყარე, სადილის დრო აღარ მქონდა.

— მიუღივარ, — ვუთხარი სიუზენს, — ვერ დავიგვიანებ.

დაბნეულმა დამიქნია თავი, მთელი ყურადღება სიბილაზე გადაეტანა. სიბილას ხმამაღალი ვიშვიში სასადილო ოთახშიაც მომწვდა, სადაც გერდა ბარბარას ტანსაცმელს ხდიდა.

— სხვა ბავშვები სად არიან? — ვკითხე გერდას.

— სახლის უკან ბაღში გავიდნენ, — მომიგო, — მგონი, ყველანი ტირიან.

— ლინდა კიდევ ვცემე, — მომახალა ბარბარამ, როცა თავიდან ჯემპრი გადაადრეს, — აქედან გაიქცა. ვივიენი და ჰელენიც მას გამოეკიდნენ.

— საძაგლად მოქცეულხარ, — ვუთხარი, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და გავულიძე. ბარბარამაც გამიღიმა. შიში სულ არ ეტყობოდა, ხელში ავიყვანე, მალე შევათამაშე.

— ძალიან, ძალიან საძაგელი ბავშვი ხარ, — ვუთხარი.
 — გინდა ერთი სიმღერა გიმღერო? — მითხრა.
 — მამიკოს უჩქარება, ცუნცულავ.
 — „მზემ სხივები მოჰფინა, სიხარული მოფრინავს“... — სიმღერა ერთბაშად შეწყვიტა; წარბები შეკვარა.
 — ახლა კი გაიქეცი, — ვუთხარი.
 — კიდეც ვცემ, ჩემს დათუნიას, ჩემს საფრთხობელს; ჩემს ქვლოსიპელს ხელს თუ ახლებენ.
 სიცილი წამსკდა.
 — მართლაც ჩემი შვილი ხარ, — ვუთხარი, — თავზე არავის დაისვამ. გაოცებული მიყურებდა.
 — რა თქვი, მამიკო?
 ვაკოცე.
 — არაფერი. ერთმანეთის გვესმის, მე და შენ ერთმანეთის გვესმის. ბარბარამ თავი დამიქნია. ისე მეჩვენება, თითქოს ოთახი გაფართოვდა და სავსე სუფრა გაიშალა. თუმცა ძალიან მშვიერი და გუნებაწამხდარი ვიყავი, ერთბაშად ბედნიერებისგან კინაღამ ავტირდი.

9

მარკის სახლში მუდამ თევზის სუნი იდგა. ეს არ იყო შემწვარი თევზისა და კარტოფილის სუნი, მძაფრი, მაგრამ მაინც თბილი და გამახალისებელი. არც ზღვაში ახლად დაჭერილი თევზისა. მარკის სახლში ისეთი სუნი ტრიალებდა, გეგონებოდათ, ყოველდღე ვახშმად ან საუზმეზე მოხარშულ ვირთევზას ჭამდნენ. ჩემს გარდა ამ სუნს არავინ გრძნობდა. მხოლოდ ბარბარამ ხმამაღლა წამოიყრანტალა ამაზე ერთხელ. ხშირად გამიფიქრებია, იქნებ სინამდვილეში ამგვარი სუნი აქ სულაც არ არის და მე მეჩვენება, იქნებ ეს, უბრალოდ, ამ სახლში ჩასაფრებული უბედურების ნიშანია-მეთქი.

მარკის სახლში იმ საღამოს ეს სუნი არ უნდა ყოფილიყო. მარკი და სიბილა შერიგდნენ, გადაწყვიტეს ბავშვების გულისთვის დათმობაზე წასულიყვნენ და ახალი ცხოვრება დაეწყოთ. მშვიდობის დამყარების აღსანიშნავად სადილი გამართეს, ჩვენ — ცოტა არ იყოს, დარცხვენილი სიბილას წარმოთქმული სიტყვებით რომ ვთქვა — სიყვარულისა და მეგობრობის ნიშნად მათთან ერთად პური უნდა გაგვეტეხა.

სუფრას შემოვუსხედით თუ არა, სიბილამ ცხვირსახოცი თვალებზე მიიღო.
 — რა დაგემართა, გენაცვალე? — ჰკითხა მარკმა.
 — რა ბედნიერი ვარ, — თქვა სიბილამ, — ჩვენს საკუთარ სახლში ჩვენს მეგობრებთან ერთად ვსადილობთ. არც კი მჯერა.

მაინცადამაინც ბევრს ვერაფერს ეტყოდა კაცი საპასუხოდ. გამამხნევებლად გავუღიმე და ერთი კოვზი წვნიანი მოვსეი. წვნიანი გავრილებულიყო და პირში უცნაური ხრამახრუში გაჰქონდა, თანაც თითქოს ქათმის ქონის გემო დაჰკრავდა.

სიბილამ ხელზე მომიტათუნა.
 — მაპატიეთ, — მითხრა, — ახლა ტირილი მართლაც არ მეპატიება, ჩემი მხრივ სიბრიყვეა. მაგრამ ხომ იცით, ჩვენ, ქალები, რა უცნაურნი და დაბნეულნი ვართ, ხომ მართალია, მარკ?

მარკმა თავი დაუქნია. ცოტა არ იყოს, თვალები მეტისმეტად უპრიალებდა.

ექვიც კი შემეპარა, იქნებ ჩვენ ხერესით გვიმასპინძლდება, ხოლო თვითონ ლონის მოსაკრეფად რაიმე უფრო მაგარი ყლურწა-მეთქი.

— გაცილებით მგრძნობიარენი, — თქვა მან, — ჩვენ, მამაკაცები კი, უხეშნი, სქელკანიანნი, ხომ ასეა, ჯო?

— საკუთარ თავს თუ გულისხმობთ... — მიუუგე და მეორე კოვზი წვნიანი მოვსვი. პირველ კოვზზე უფრო გემრიელი არ მეჩვენა.

— თქვენი და სიუზენის ისეთი მაღლიერი ვარ, — დაიწყო სიბილამ, — თქვენი წყალობით, თორემ დღეს აქ არ ვიქნებოდით! დმერთმა ხელი მოვიმართოთ, ჩემო ძვირფასებო!

— განსაკუთრებით სიუზენს, — დაურთო მარკმა.

— შევსვით მათი სადღეგრძელო, — თქვა სიბილამ.

სიბილა სიხარულით ცას ეწეოდა — სპექტაკლის ცენტრალურ გმირად ქცეულიყო და პროექტორების შუქი მთლიანად მხოლოდ მის სახეს ანათებდა. ბედნიერებით გაბრწყინებულ მის სახეს რომ შეეხედე, აღარაფრად მენადვლებოდა სასადილო ოთახის სივიწროვე, შიგ ორპირი ქარის შეგრძნება, ერთმანეთს შეუხამებელი ღია ცისფერი შპალერი, მწვანე ფარდები და წითელი ხალიჩა, სადილად მორთმეული უგემური წვნიანი, რომელსაც ალბათ კიდევ უფრო უგემური კერძი მოჰყვებოდა; არც სიბილას მეტიმეტად ზიზილპიპილოიანი ჩაცმულობა, არც კაბის ფერი, მუქი ღაღადა წითელი, თითქოსდა განზრახ შერჩეული, რათა სიბილას მკვეთრად დატყობოდა ასაკი — ის ხომ უკვე ორმოცდახუთ წელს უკაუნებდა, არც ის, რომ სახის ფერსა და ტანადობაზე თავის დღეში ჯეროვნად არ უზრუნია. ყველაფერი ეს მთავარი არ იყო. მთავარი იყო, რომ სიბილას სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. ადამიანთა უმეტესობა მთელ ცხოვრებას ტანჯვა-წამებაში ატარებს, სიზმარშიაც კი ჯალათები და ვეფხვები დასდევენ, ვერაფერ ამჩნევენ, მეორე კაცი სინამდვილეში რა დღეშია. ეს პირველი შემთხვევა იყო, სიბილას რომ აღარაფერი აწუხებდა, ეტყობა, სჯეროდა, რომ მარკმა ცხოვრების გეზი იცვალა და ძველებურად გულს აღარ ატკენს. დიდად ბედნიერი იყო და ამიერიდან ალბათ მეც გადავრჩები ყოველგვარ მოსაბეზრებელ თანაგრძნობათა ფრქვევას. ჩემდა მოულოდნელად შესანიშნავ გუნებაზე დავდექი. ნახევრად უმი ხბოს კატლეტი საოცრად უგემური იყო, ბარდა რაღაცნაირად გაწებილი, ნაყინიანი პუდინგი — წყალწყალა, იუგოსლავიური ღვინო ისეთი ცივი, ლამის კბილები წაგვაძრო. მაგრამ რაკი სიბილას მოსწონდა, მეც ყველაფერ გემრიელი მეჩვენა, ეს ყველაფერი დღესასწაულის აღსანიშნავად იყო მორთმეული, მარკთან შერიგების სიმბოლო გახლდათ.

სიუზენი ცოტას ლაპარაკობდა, ხელი თითქმის არაფრისთვის უხლია. და მაინც ეტყობოდა, საერთო განწყობილება მასაც გადასდებოდა; კარგა ხანია მისი სახე ესოდენ სათნოებით აღსავსე და ნათელმოფენილი აღარ მინახავს. ასეთი ახალგაზრდული იერი, მგონი, არასდროს ჰქონია. თუთარ მარმაშიან, თუმცა მეტიმეტად გულამოჭრილ კაბაში პირდაპირ კონფირმაციისათვის! მორთულ გოგოსავით გამოიყურებოდა. „კაცი ვერ დაიჯერებს, რომ ორი შვილის დედაა“, — გავიფიქრე ამაყად. და მერე ლამის შიშმა ამიტანა, აკი ვიცოდი, რა იყო მიზეზი ამისა: სიუზენი მომწიფდა, დაქალდა, სიუზენი დედაა, სიუზენი მარკსა და სიბილას მიეხმარა, ისინი შეარიგა. ჩემს პატივისცემას სიუზენისადმი თაყვანის-

1. ქრისტიანულ ეკლესიაში მოზარდთა მრევლის წევრებად კურთხევის ცერემონიალი.

ცემის გრძნობაც დაემატა. სიუზენი უკეთესი ადამიანი დადგა. ამ აღიარებამ უცნაური შვების გრძნობა მომგვარა. ჩემზე უკეთეს ადამიანად იქცა სიუზენი.

სიბილამ ამოაოხრა.

— რა ბედნიერი ვარ, აქ, ჩემს ქმართან, მეგობრებთან ~~ვზივარ~~, ასე მგონია, ჯოჯობეთური ქარიშხალი გადავიტანეთ. არა, ძვირფასო?

— ჰო, გენაცვალე, — მიუგო მარკმა, — მართლაც ასეთი ~~სიუზენი~~

გუნებაში კიდევ გამეცინა, როცა მარკმა ამის თქმისას ~~სიუზენის~~ მკერდს თვალი ძლივს მოაშორა.

— პორტვეინიცა გვაქვს, — თქვა სიბილამ, — თუმცა ძალიან გთხოვთ სმას ნუ გადაყვებით, — და თითი დაგვიქნია.

— არც ვაპირებთ, — თქვა მარკმა, — მართალი გითხრათ, ძალიან სულელური ჩვეულებაა. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ამისა, თქვენც ხომ, ჯო? — თვალი ზანტად ჩამიკრა.

— აბა რა? საესებით გეთანხმებით.

— აგრე კი ამბობთ, მაგრამ მე უკეთ ვიცი.

თითი ისევ დაგვიქნია. სახე წამონთებოდა, მთვრალი არ იყო, მაგრამ სასმელი ცოტა კი მორეოდა. წამოვდექი და სიბილას სკამიც გამოვწიე. კვლავ ოფლის სუნი მეცა, რომელიღაც ყვავილის სუნამოს სურნელთან შერეული, თუმცა ოფლის სუნი მაინც ვერ ჩაეხშო. უწინ არც კი შემინიშნავს, სუნამოს თუ ხმარობდა. იცოცხლე, დღეს მარკს დიდებულ დამის თევა მოელის — სიბილა არაჩვეულებრივ აგზნებული იყო. ბევრი ვეცადე, მაგრამ უსიამოვნო გრძნობა ვერაფრით ვერ დავძლიე, მარკი კიდევ მართობდა და კიდევ ზიზღს მგვრიდა.

ქალები ოთახიდან რომ გადიოდნენ, მარკს თვალი არ მოუშორებია სიუზენისთვის. ადრეც ბევრჯერ შემიმჩნევია და ახლაც აშკარად შევატყე, როგორ აღებეჭდა სახეზე გამძაფრებული ყინი.

— ძალიან ბედნიერი კაცი ხარ, — მითხრა მარკმა.

— ვიცი, — მიუუგე.

— სიუზენი მართლაც მარგალიტია. სიუზენი რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, სიბილას რა ეშველებოდა. ყოველდღე მოდიოდა მოსახმარებლად. სიბილა კი... ხომ იცით, ქალების ამბავი. ჯერ ვაკერპდებიან და მერე მიდიან დათმობაზე. ასეთ დროს სხვა ქალის ჩარევა თუ გიშველის, — ისე მელაპარაკებოდა, თითქოს რაც ამ უკანასკნელ ათ დღეს გადახდა, პირადად სულაც არ ეხებოდა. როცა დაწვრილებით მიამბო, სიუზენი სიბილას როგორ ეხმარებოდა, ნელ-ნელა ბრაზი მომერია.

— შემდგომში ცოტა ფრთხილად იყავით, — ვუთხარი. — რა ჯანდაბად გინდოდათ მაინცდამაინც იმ ლუსის გადაკიდება, სხვა ვერავინ ნახეთ?

მარკი გაიკრიჭა.

— რომანების გასაბმელად გოგოებს ჩვენ არ ვეძებთ, ხომ, ძველი? ისინი თვითონ გვეკიდებიან. — სარკეში ჰალსტუხი გაისწორა, ცისფერწინწკლებიანი პეპელასავით ჰალსტუხი. მე რომ ის გამეკეთებინა, უმუშევარ მსახიობს დავემსგავსებოდი, მარკს კი მზიარული და მდიდარი კაცის იერს აძლევდა. ორმხრივ შესაკრავი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. აგერ უკვე ათი წელია ასეთი კოსტიუმი მოდიდანაა გამოსული, არადა, მარკის წინაშე თავი უხერხულადაც ვიგრძენი, ჩემს ერთმხრივ შესაკრავ კოსტიუმში მარკზე უფრო მოდაგადასულად ჩაცმული ვჩანდი.

— დავიჯერო, ვითომ? — ვუთხარი, — ყოველ შემთხვევაში, სასურველია თქვენი ოინები სახლიდან მოშორებით მოაწყოთ ხოლმე.

— ქვას პირველი ნუ მესვრით, — მითხრა, — ვიცი, ძალიან ცუდი ბიჭი ვიყავი. არა, მართლა არ გინდათ პორტვეინი? სხვათა შორის საოცრად საზიზღარი პორტვეინია. თანაც გრაფინში უნდა გადმოვასხა და ათასი ვაივაგლახი... — ბუფეტთან მივიდა და ბოთლით მაგარი ვისკი — „უაიტ ჰორზ“ გამოიტანა.

— ასე სჯობია, — ვთქვი და გავიფიქრე, სიუზენის მხრივ სიბილას დახმარებამ რა შავ დღეში ჩამავლო: ათი დღე წესიერად არ მისვამს, არ მეტყუება, არ დღე განუწყვეტლივ ვისმენდი სიბილას ტანჯვა-წამების ამბავს ხან სიუზენის სიბილას, ხან კი სიუზენისაგან; ათი დღე გიჟებით დაქროდნენ ჩემს სახლში „პირგაფლამული მჩხავანები“...

მარკმა ორი დიდი ჭიქა ვისკი დაასხა.

— ალბათ ამ ბოლო დროს თქვენც არ იქნებოდით დიდად დაღბენილნი, — მითხრა მარკმა, თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხაო, — ძალიან მწყინს.

— წუხილს აზრი აღარ აქვს, — ვუთხარი.

— რა ჩერჩეტი ვიყავი, — თქვა, — მართლაც დიდი სულელი. მაგრამ ათი წლის შემდეგ კაცს გადახალისება მოენატრება, მხოლოდ გადახალისება, სხვა არაფერი. დამიჯერეთ, ჩემი ცოლი ნამდვილად მიყვარს.

აშკარად ეტყობოდა, სულაც არ უყვარდა. უკანასკნელი სიტყვები ლამის ჩაყლაპა. რაც მარკს ვიცნობ, სახეზე პირველად შევამჩნიე დამნაშაუის გამომეტყველება.

— ქალებს ნამდვილად არ ესმით, — ვუთხარი.

— სრული ჭეშმარიტებაა. არადა, უმაგათოდაც ვერ გაძლებს კაცი, — ვისკი მოსვა, — კარგი კაცი ხართ, ჯო, მაგრამ იქნებ თქვენც ვერ გამიგოთ. ლუსი ერთი პატარა სულელი გოგოა, მაგრამ მაგ გოგომ ახალგაზრდობა დამიბრუნა.

სკამზე მხედრულად გადაჯდა. ერთი ხელი სკამის ზურგზე ჩამოდო — ამგვარი პოზა იქნებ მუსიკალურ კომედიაში გინახავთ — ტავერნაში სკამზე მოხდენილად რომ ზის ლამაზი ჰუსარი. არა, გავიფიქრე, ასე ვერამც და ვერამც ვერ დავჯდებოდი.

— მთელი სიცოცხლე შეიძლება ისე გაატარო, წადილი ვერ აისრულო, მერე კი უცებ სიბერე მოგიკაკუნებს. ბავშვები დიდად მომჩიბღელეებია, სანამ პატარები არიან, მაგრამ მუდამ პატარებად ხომ არ დარჩებიან!? მათ გამო რაც გინდა იმას ვერ აკეთებ, მერე კი აღმოაჩენ, რომ შეიღებს არაფრად ენადღელები. ერთი სული აქვთ, რაც შეიძლება მალე წავიდნენ შენგან. კი, თუ ნორმალური კაცი ხარ, შეიღები უნდა იყოლიო, სხვა არა იყოს რა, ქალების გამო მაინც, თორემ ბავშვს თუ ძუძუ არ აწოვეს, სიგიჟემდე მიდიან. არა, არა, შეიღების მეტისმეტად სიყვარული არ ღირს.

— მაგ გრძნობას ვერ გაექცევი, — ვთქვი მე.

— უნდა გაექცე, — თქვა მარკმა და ჭიქა დაცალა. — დალიეთ, ჯო, ეს ერთადერთი წამალია ჩვენი ტკივილების გასაყუჩებლად, — ჭიქა ისევ აივსო.

— ჩემსას გავაზავებ, — ვუპასუხე, ბუფეტთან მივედი და სოდიანი წყლის სიფონი ავიღე. ბუფეტი, სკამებიცა და მაგიდაც, ავეჯის მალაზიებში რომ იტყვიან, „ჯეკობის“ სტილის¹ ნამუშევარი იყო: ბოლქვისებური ფიგურები ჰქონდათ, ამოტვიფრული ვიწრო ფეხები, წინიდან ნაირ-ნაირი ჩუქურთმებით იყო მოპირკეთებული. დაჩხაპნილ ხედაპირს თეთრი რგოლები აჩნდა, ეტყობა, თავს არავინ იწუხებდა, სველ ჭიქებს ყოველგვარი დასაფენის გარეშე პირდაპირ ხეზე დგამ-

1. მეფე ჯეიმზ პირველის დროინდელი (XVII სუკ. დასაწყისი) სტილი.

დნენ. ბუფეტის კარს რომ ვხურავდი, შიგნით დაფენილი ჭუჭყიანი და დაჭმუჭ-
ნული ქაღალდები შევამჩნიე. ანაზდად ჰარლინგ კრესენტზე ჩვენი სასადილო ოთა-
ხი გამახსენდა და ძალიან მომენატრა. თითქოს აქ, ამ ოთახში გატარებული ყო-
ველი წამი მის ღალატს ნიშნავდა, თითქოს მარკის სახლის სიმარხვე და მოუ-
წყობლობა შიგ შემოჭრას ღამობდა.

ჭიქა მაგიდაზე დავდგი. ნელ-ნელა ვწრუპავდი, უგუნებოტაჟუტაჟდათან გა-
მიარა. სკამის ზურგზე ამოშვერილ დიდრონ, უცნაური ფერმიქსი მხვეულ ფიგურ-
ებს, ბეჭებს უღმერთოდ რომ მიბურღავენ, მეორე ჭიქის შემდეგ ალბათ ველარც
შევამჩნევ. ან იქნებ სჯობს მარკით მეც მხედრულად დავჯდე, პირით სკამის
ზურგისაკენ. მარკის სახლსა და ცხოვრებას ჩემსას ვადარებდი, ვერ ვიტყვი, გუ-
ლი სიამაყით მევსებოდა-მეთქი, მაგრამ ერთგვარ კმაყოფილებას მაინც განვიც-
დიდი. თუმცა მარკი, ჩანს, თავისზე უფრო ბედნიერ კაცად არ მოვლიდა. სახეზე
ღიმილი მოეფინა, აშკარად თვითკმაყოფილი ღიმილი.

— რა გაცინებთ? — ვკითხე.

— არაფერი, ძველო. უბრალოდ, ერთმა აზრმა გამიელვა, რა უცნაური რამაა
ცხოვრება!

— კიდევ კარგი ბედმა გაგიღიმათ, თორემ კიდევ უფრო ჯოჯოხეთურად უც-
ნაური მოგეჩვენებოდათ. ლუსის მამა საზიზღარი ხასიათის კაცია.

სიგარეტი მივაწოდე. მარკმა თავი გააქნია.

— არა, გმადლობთ, ძველო. ხომ იცით, ჩემი შხამი სიგარეტები მირჩვენია, —
სიგარეტი ამოიღო და პორტსიგარზე დაბერტყა. ეს მისი ერთ-ერთი ჩვეულება
გახლდათ, როგორც სახელოში ცხვირსახოცის შენახვა, რაც უზომოდ მალიზია-
ნებდა ხოლმე. მის სიგარეტებს — სიუზენივით მარკიც ყოველთვის თურქულს
ეწევა — აუტანელი მაზრჩობელა სუნის აქვს.

— მიკვირს, ერთი მაგრა რომ არ მიგბეგვათ, — ვუთხარი.

მარკმა გაიცინა.

— მაგის თავი სად ჰქონდა! თუმცა ნართაულად გადმოშვრა, სამაგიერო გმა-
რთებსო. ნუ მკითხავთ, რისთვის.

— მერე, მიეცით რამე?

— ჩემო მშვენიერო ყმაწვილო, აბა რას მივცემდი, რაც არ მაბადია, ზოგჯერ
ცარიელი ჯიბეც დიდი ხეირი ყოფილა. გარდა ამისა, ჯანდაბას მაგისი თავი, რა
ოხრობისთვის უნდა გადამეხადა? გოგო თექვსმეტზე მეტისაა.

— მხოლოდ ახლა შეუსრულდა, — ჩავურთე.

მარკი წამოდგა და ფანჯარა გამოაღო.

— ნუღარ მახსენებთ! — ზურგით ჩემკენ იდგა. გრილ ნიავს იასამნების სურ-
ნელი შემოჰყვა, მარკმა ღრმად, ხმაურით ამოისუნთქა.

— რა კარგია, — თქვა ნეტარებით, — რა კარგია, კაცს სიცოცხლის ძალას
გმატებს.

— ერთ დღესაც იქნება ეგ თქვენი სიცოცხლის ძალა მეტისმეტად ჭარბად
მოიმატებს, — ვუთხარი.

იგი თავის სკამს დაუბრუნდა.

— ვიცი, მაგრამ რა აზრი აქვს წინასწარ შფოთვის და წუხილს? დამიჯე-
რეთ, ჯო, ერთ დროს ჩემისთანა მოუსვენარი კაცი ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა.
ღმერთო ჩემო, არც ერთ დემონსტრაციას არ გაუშვებდი, მონაწილეობა არ მი-
მელო. მარტო ჩემი თავის კი არა, ყოველი კაცის ბედი მადარდებდა. მერე ომი
დაიწყო და მაშინ მივხვდი, რას ჰქონდა მნიშვნელობა და რას არა. კაცი მხოლოდ
დღევანდელი დღით ცხოვრობს. დღევანდელი დღე ხვალ აღარ განმეორდება.

ლუსისათვის უმანკოება მინდოდა წაშერთმია და კიდეც წაუართვი. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მერე სულ თავში ვირტყამდი ხელს, აფსუს, რა შემთხვევა გავუშვი-მეთქი. აბა რა! ვშურთ ჩემი, არა?

— ლუსი არ მიტაცებს, — ვუთხარი და სოდიანი წყლით გაზავებული ვისკი დაეცალე, — სჯობს, ქალებთან გავიდეთ.

— ჯერ ადრეა, — თქვა მარკმა, — ნუ გეშინიათ, უჩვენოდაც შესანიშნავად ვართობიან, ყავას მიირთმევენ და თან ისე გვკილავენ, ალბათ ქვას ქვას ვაჩვენებთ ტოვებენ. კიდეც დაისხით ვისკი, ოღონდ ნუღარ გააზავებთ...

ჭიქა ამივსო.

— ლუსიზე ძალიანაც ცდებით, — ვუთხარი. — სიამოვნებით დამითმია თქვენთვის.

— ლუსიზე არ ვფიქრობდი, — მომიგო, — თქვენზე ვფიქრობდი. აგერ ორ-მოცდაექვსი წლის კაცი ვარ, სამი შვილის პატრონი და ძალღური სამუშაო მაქვს, ისიც ჩემი სიდედრის წყალობით ძლივას ვიშოვნე. ბანკში აღებული ერთი სესხიდან მეორე სესხამდე თავი ძლივს გამაქვს. ბანკშიაც იმ ვარაუდით მაძლევენ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩემი სიდედრი ადრე თუ გვიან მაინც მოკვდება. აი თქვენ კი დიდებული სამუშაო გაქვთ, შესანიშნავი ცოლი... საზოგადოების ბურჯად ითვლებით, ხალხში გამოხვედით, მალლა ტრიალებთ, ბედნიერი კაცი ხართ! ხომ ასეა?

— დიდი არაფერი, — მივუგე.

— მესმის, მძიმე სამუშაო გაწევთ კისერზე, მაგრამ ბედი ცოტა მაინც გწყალობთ, ხომ მართალია?

ისეთი ხმით მელაპარაკებოდა, მივუხვდი, გულში რაც გაივლო.

— ალბათ ვიღაცისგან გაიგვთ, უღლეურის ბარობაზე ჰარი მეტად დიდი ბავშვი რომ დაიბადა, — ვუთხარი. ფანჯრიდან ბაღს გადავხედე. ერთი იასამნის ბუჩქისა და რამდენიმე მოწყენილი ხანჭკოლას მეტი ბაღში არაფერი ჩანდა, მაგრამ მარკისათვის სახეში შეხედვა არ მინდოდა.

— სიმართლე გითხრათ, მაგ ამბის გამოქვეყნა სულაც არ მიფიქრია, — რბილად თქვა მან, — მაგრამ იცოდეთ, ნამდვილად ბედი გწყალობთ. და მაინც მაოცებს, ჩემი რომ ვშურთ. რატომ, გამაგებინეთ?

თავს ძალა დავატანე და ძლივს შევხედე სახეში. ჩემზე არ ბრაზობდა, მაგრამ შეურაცხყოფას მაყენებდა. საუბარს შეიძლება მწვავე ხასიათი მიეღო.

— მოდით, თავი დავანებოთ ამგვარ საუბარს, — ვთქვი და გავუღიძვე, — დარწმუნებული ვარ, ლუსი იმ საქმისათვის დიდებულია, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ გეუბნებით: ლუსი არასოდეს გამიტაცებდა.

— არც მე მითქვამს, გიტაცებთ-მეთქი, — მარკი ისევ გაიკრიჭა, — მაგრამ ნუთუ არავინა გყავთ? არავინ გიტაცებთ? მაშინ რას იზამთ, როგორ მოიტყუვით?

აბითხითდა და ჩემდა უნებურად სახეზე აღმური მომედო.

რაინდს ფეხი ურჩხულის კისერზე დაედგა. ყვითელი აბჯარი ეცვა, ფარზე წითელი ჯვარი ჰქონდა გამოსახული და ხელთ ლამის თავის სიგრძე ხმალი ეპყრა. სისხლის ნატამალიც არ აჩნდა ხმალს, თუმცა ურჩხული ამკარად მკვლარი იყო. მუქ ლურჯ ურჩხულს საცობსადრობივით დაგრეხილი გრძელი კუდი ჰქონ-

და, სიბრაღულს უფრო იწვევდა, ვიდრე შიშს. რაინდს შუბლზე მუზარადი აეწია, მეტად ახალგაზრდა და დაფიქრებული ჩანდა. მეორე ვიტრაჟზე იგივე რაინდს მუზარადი მოეხადა და შავთმიანი, ძვირფასი ქვებით მოჭედილი გვირგვინიანი ახალგაზრდა ქალის წინაშე მუხლი მოედრიკა. ვიტრაჟი საშინელი ჭკეტელა ფერებით იყო მოხატული, მაგრამ მაინც თავისებურად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბარბარას ძალიან მოეწონებოდა, თუმცა უჩინოდ შეეცოდებოდა. მაინც დიდი შეცდომა იქნება, სინდრემის კარ-შიდაში რომ უჩვენონ. და, ძველი ციხე-დარბაზი მის წარმოდგენაში მუდამ ისეთივე დარჩეს, როგორადაც თვით ტომ სინდრემი თელიდა. ამ აბჯრების, ხმლების, ხალიჩების და ნაირ-ნაირი ნივთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სინდრემი ფულს მეოცე საუკუნის ლედერსფორდში შოულობდა, აქ კი, თავის ციხე-სიმაგრეში შუა საუკუნეების ყაჩაღი-ბარონი გახლდათ ან, უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ახალგაზრდა მოხდენილი რაინდი, ურჩხულებს რომ ხოცავდა.

ლაპარაკის ძაფი გამიწყდა, შევისვენე და ცოტა წყალი მოვსვი.

— ამით შეიძლება მოვათავოთ, — ვთქვი მე, — განსაკუთრებით ასეთ მშვენიერ ზაფხულის სადამოს. მე მოკლედ მოგიხაზეთ ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა. შევეცადე დაშესურათებინა, სინამდვილეში რა მოღვაწეობას ეწევა მუნიციპალიტეტის მრჩეველი, რათა გაამართლოს თავისი არსებობა. ცხადია, ეს ეხება ქალსაც, თუ ისიც არჩეულია მრჩეველად. დასასრულს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს მინდა შევეხო...

ნორას შევხედე, უკანა რიგში იჯდა ვიღაც წითელპერანგიან ახალგაზრდასთან ერთად. კვლავ გამიწყდა სიტყვის ძაფი. თვალი აეარიდე და დაახლოებით სამ წუთს ერთი და იგივეს ვატრიალებდი — ადგილობრივ მმართველობაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ერთი რამ განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო-მეთქი. აუდიტორიას გავუღიმე და ისევ წყალი მოვსვი. მოუსვენრობა დაეტყოთ: სჯობს მოვათავო, თანაც რაც შეიძლება მალე.

— ადგილობრივ მმართველობას მრავალი ხარვეზი გააჩნია. სრულყოფამდე ბევრი რამ აკლია. რა თქმა უნდა, უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო, ვიდრე ამჟამად არის. დიახ, ქალბატონებო და ჯენტლმენებო, დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. თქვენთვის ეს უწინაც უთქვამთ, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაინც ხელახლა უნდა მომიხმინოთ. მხოლოდ იმას კი არ გთხოვთ, ადგილობრივი მმართველობის მიმართ დიდი ინტერესი გამოავლინოთ — სხვა არა იყოს რა, ამ ლექციაზე მობრძანებით დაამტკიცეთ ეს ინტერესი — მე მოეუწოდებ ყოველ თქვენგანს, ვინც გრძნობს, რომ მუნიციპალიტეტის მრჩეველის მოვალეობას იოლად გასწვდება, ყოველმხრივ ეცადოს მუნიციპალიტეტის მრჩეველად აირჩიონ. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნით: თქვენი მოვალეობა ნათელია, — ხმას ავუწიე, — განსაკუთრებით მოეუწოდებ ამ აუდიტორიაში მყოფ ახალგაზრდობას. ხომ იცით, რა ახასიათებს იდიოტს? განსაკუთრებით რაა მისთვის დამახასიათებელი: იდიოტია ის პიროვნება, რომელსაც საზოგადოებრივი საქმიანობა არ აინტერესებს. ვთხოვთ, ნუ იქნებით იდიოტები. დიახ, დიახ, მიმინოსაკით ფხიზლად გვადევნეთ თვალი. დიახ, დიახ, მოგვეცით შეკითხვები. დიახ, დიახ, გვაკრიტიკეთ, თუ ღირსნი ვართ, კიდევ გვლანძღეთ. მაგრამ ყველაფერსა სჯობს შემოგვიერთდეთ. შემოგვიერთდით, რათა ვიზრუნოთ ხალხთა კეთილდღეობისათვის, დემოკრატიული საქმეების განხორციელებისათვის. მაღლობას მოგახსენებთ.

დავჯექი. როგორც ყოველთვის, ახლაც გამიკვირდა, ნეტა მაღლობას რისთვის ვიხდი-მეთქი. დირექტორი წამოდგა და ამგვარი ვითარებისათვის დამახა-

სიათებელი გაცვეთილი სიტყვები წარმოთქვა: თითქოს მე გამოვაცოცხლე საქმეები, თითქოს მიწაზე მაგრად ვდგავარ, თითქოს პრაქტიკული პიროვნება ვარ, თითქოს ადგილობრივი მმართველობის მუშაობა საოცრად ამომწურავად დავახასიათე... კვლავ ნორას შევხედე. სახიანი ღია ცისფერი კაბა ეცვა, ოქროს ჩიტუნებით მოხატული, გულდახურული, თუმცა ქვემოთ მუხლებს არ უფარავდა. ფეხი ფეხზე გადაიდო — ძლივს გასაგონი შრიალი მომესმა, ნეილონი ქვედაცხენი ეხახუნა.

ბიზლიძე

ამ ხმამ ერთბაშად მომშალა, ისე ჩუმი იყო, ყურებდაცქვეტილი რომ არ ვყოფილიყავი, ვერც მე გავიგონებდი, რაღაც იმდაგვარი ხმა იყო, თითქოს შუშას ფრჩხილებით ფხაჭნიდნენ. გრძნობები ამეშალა, თუმცა კი მეგონა, ჩემი მგრძნობიარობა უკვე კარგა ხანია მოვთოკე-მეთქი. აი თურმე რა აიძულებს მაშაკაცს ქალი გააუპატიუროს. ასეთ დროს კაცს ქალთან სექსუალური კავშირი კი არ აღელვებს, არამედ ქალის დამორჩილების სურვილი.

„მთელი უბედურება ისაა, — მარკს უყვარს ხოლმე თქმა, — ქალები თვითონ გვაიძულებენ ასე მოვიქცეთ...“ რაც შემეხება მე, ნორა მართლაც მაიძულებდა ასე მოვიქცულიყავი. ნეტა თვითონ თუ ხვდება, მომრგვალებულ მუხლებს განზრახ ხომ არ აჩენს-მეთქი, ან იქნებ შემპარავად იმიტომაც იღიმება, სულაც არ ფიქრობს მიბოძოს ის, რასაც ენატრობ, იქნებ მისთვის როგორც მაშაკაცი სულაც არ ვარსებობ.

— აბა, ახლა კი, — განაგრძო დირექტორმა, — მისტერ ლემპტონი მზად გახლავთ შეკითხვებზე პასუხები მოგახსენოთ...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა გაიყუნა. მუხის ხის პანელები, ვეება გამოცარიელებული ბუხარი, ფანჯრებზე ვიტრაჟები ყველას რატომღაც აკრთობდა. ან იქნებ მიხვდნენ, რომ სულაც არ მინდოდა აქ მოსვლა, რასაც ვამბობდი, სწორედ იმისა არ მჯეროდა, რომ ამ წუთს მხოლოდ ის მალეღებდა, მოვკრავდი თუ არა თვალს ახალგაზრდა ქალის ფეხების დანარჩენ ნაწილებს.

მერე ერთმა ახალგაზრდამ, ცისფერ სპორტულ პერანგში, — მგონი, მხოლოდ დირექტორსა და მე გვეცვა პიჯაკები, — მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი გააბა პოლიტიკასა და ადგილობრივი მმართველობის შესახებ. მისი აზრით, ადგილობრივ მმართველობას შეეძლო პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ ჰქონოდა. მოკლედ და მტკიცედ ვუპასუხე, რომ ეს ყოვლად დაუშვებელია-მეთქი. კითხვებზე პასუხების გაცემაც საოცრად მოსაბეზრებელი მეჩვენა: მუნიციპალიტეტის უფლებები შეზღუდული ხომ არ არის? მუნიციპალიტეტს მეტიმეტად ბევრი უფლება ხომ არა აქვს? მსხვილ ადმინისტრაციულ გაერთიანებებს მართლა მოაქვთ სარგებლობა? სანამდე შეინარჩუნებს უორლი დამოუკიდებლობას? ბოლოს იმ ზომამდე მივედი, ვცდილობდი ხმაში მაინც არ დამტყობოდა გაღიზიანება. შეკითხვებს მაძლეოდნენ ახალგაზრდები, იქნებ საკმაოდ განათლებულნიც, მაგრამ არაფერი კი გაეგებოდათ, ისინი მოითხოვდნენ სამართლიანობას, მათ სურდათ ურჩხულს შეჭიდებოდნენ. მერე დავინახე, ნორა ჩემკენ იყურებოდა. შემდეგ გვერდით მჯდომ ახალგაზრდას გადაურჩურჩულა რაღაც.

ახალგაზრდა წამოდგა. მისი ღიმილი არ მომეწონა. ავადმყოფური სახე ჰქონდა, ჩალურჯებული ღაწკები, მაგრამ კბილები შესანიშნავი. ალბათ იმიტომაც აჩენდა ასე ხშირად. ვიგრძენი, რაღაც უკუღმართ კითხვას დამისვამდა.

— ნებას თუ მომცემთ, — დაიწყო მან, — მინდა ერთ მეტად სპეციფიკურ საკითხს შევეხო. მისტერ ლემპტონმა მრავალგვარ ხერხს მიმართა იმ ფაქტის დასახსნებლად, თითქოს ინგლისში ადგილობრივი მმართველობა არსებითად ღიად მოქმედებს, მუნიციპალიტეტის მრჩევლები არაფერს მაღავენ, ყოველთვის

დიდად მოხარულნი არიან ხალხს ზუსტი ცნობები მიაწოდონ თავიანთი საქმიანობის შესახებ.

მე თავი დაუჭინე.

— განხრახული ხომ არა გაქვთ საკუთარი სიტყვები უკან წაიღეთ, მისტერ ლემპტონ? რასაც ამბობთ, ნამდვილად გჯერათ? დარწმუნებული ხართ მათ სიმართლეში?

ნორამ გაიღიმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პირი შევხვეს ჩემს წინააღმდეგ და სასამართლოს წინაშე წამაყენეს.

— რა თქმა უნდა, მჯერა.

— მაშ, რითი ახსნით იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში სამჯერ, არც მეტი, არც ნაკლები, ხალხი და პრესის წარმომადგენელნი არ დაუშვეს მუნიციპალიტეტის სხდომაზე? შემიძლია მეტიც მოგახსენოთ, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი ირჩევა, იგივე მეორდება. ეს კიდევ რაა? საბინაო კომიტეტმა...

ჰოდა, ოდნავ გამყინავი ხმით მოჰყვა აქაურსა და იქაურს, აღარ და აღარ გაათავა. ოთხიოდე წუთი ვუსმინე და მერე აღარც კი ვცდილობდი მისი სიტყვების მნიშვნელობას ჩავწვდომოდი.

ერთ საკითხს ველარ მისდია, მიედ-მოედო და აუდიტორია ველარ დაიმორჩილა. ხოლო სახალხო საცურაო აუზის მშენებლობის პროექტის მეტიმეტად გაჭიანურების შესახებ რომ წამოიწყო ლაპარაკი, მრავალმნიშვნელოვნად დაგხედე საათსა და მერე თხოვნით მივაპყარი თვალები დირექტორს.

— კშიშობ, უნდა შეგაწყვეტინოთ, მისტერ გრეფემ, — მიმართა დირექტორმა. — არ გეგონოთ, თქვენს შეკითხვებზე მისტერ ლემპტონს პასუხის გაცემა არ სურდეს, მაგრამ, მგონი, საკითხს დაშორდით და, ასე ვთქვათ, ზოგად მიმოხილვაზე გადახვედით...

დირექტორს გავუღიმიე.

— ვატყობ, ამ საღამოს სახიფათო ადგილას მოვხვდი, — ვთქვი მე, — მოხსენების დაწყებამდე უკვე გაგაფრთხილეთ, მჭევრმეტყველად არ გამოვდგები-მეთქი. და ახლა, როცა მისტერ გრეფემმა ასე ცხადად და დაწვრილებით ამხილა უორლის საქალაქო მუნიციპალიტეტის საბჭოს ხარვეზები, კიდევ მიკვირს, როგორ შევბედე და თქვენ წინაშე მოხსენებით წარვსდექი. მისტერ გრეფემმა შეკითხვა მომცა, მართლაც მეტად მნიშვნელოვანი შეკითხვა. ეს შეკითხვა უდავოდ უნდა დასმულიყო, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, იმედი მქონდა ამ შეკითხვას არ მომცემდნენ. ვფიქრობ, მასზე პასუხის გაცემა გამიჭირდება.

მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც ვუპასუხე. კვლავ აღვნიშნე; მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრები, ყველა, როგორც ერთი, ხალხთა კეთილდღეობის საქმეს ერთგულად ემსახურება-მეთქი. მაგრამ ვგრძნობდი, საღამო უკვე დამთავრდა და ყველა იქ დამსწრეს ადგილობრივი მმართველობის შესახებ ყბედობა ყელში ამოუვიდა. ეს კარგად მესმოდა, გრეფემი კი, თვითკმაყოფილებით გავიფიქრე, სულაც ვერ ხვდებოდა. მერე გამახსენდა, ნორასთან ერთად ის იყო მოსული და არა მე; თვითკმაყოფილების გრძნობა გამიქრა.

კრების დახურვის შემდეგ დირექტორს ვკითხე გრეფემის ვინაობა.

— პირწავარდნილი მემარცხენეა, — მიპასუხა დირექტორმა. ჩიბუხი დატენა. მაშინვე თვალში მომხვდა, მის გარეგნობას ჩიბუხი სულაც არ უხდებოდა, საოცრად ქალაქური იერი ჰქონდა, გასლიქული, უფერო ავადმყოფური სახე. რაღაცით გრეფემსაც ჩამოგავდა. სახეზე შფოთვა-წუხილის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ჩიბუხს მოუკიდა. უჩვეულოდ მაგარი მწარე სუნი გამოუშვა.

— შავი წვეკოა, — თქვა, — სხვა თუთუნს ვემო აღარც აქვს... დიახ, მართლაც დიდებულად გაუსწორდით.

— რით ცხოვრობს, რის მაქნისია?

— ო, ეს ნამდვილი იორქშირული საქმიანი შეკითხვაა. ყველაზე უფრო დროული. სადღაც ლედერსფორდში ასწავლის. რა არაჩვეულებრივად ლამაზი კაბა აცვია ნორა ჰაქსლის, არა?

— არაჩვეულებრივად ლამაზი ქალიცაა, — მიუუგე მე.

ემმაკურად შემომხედა.

— ძალზე პატივმოყვარე ქალია, — მითხრა, — არა მგონია, ჩრდილოეთში დიდხანს დარჩეს.

— სხვებიც არ რჩებიან, — ვუთხარი.

— პიტერიც ძალზე პატივმოყვარეა. ფერი ფერსაო... — დირექტორმა სიტყვა გაწყვიტა, ნორა და გრეფემი მოგვიახლოვდნენ.

გრეფემმა ხელი გამომიწოდა.

— დარწმუნებული ვარ, ნორას იცნობთ. ჩემი გვარია გრეფემი, იქნებ უცებ ვერ გაიგონეთ.

— მშვენივრად გაიგონა, — უთხრა დირექტორმა, — თქვენმა შეკითხვამ დიდა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, პიტერ.

— ჩემზე კი პასუხმა, — მიუგო გრეფემმა, — ნამდვილად ერთგული ტორი ყოფილა.

— თანაც გაიძვერა, — დავურთე მე, — და მეტად სახიფათო.

— დიდად მონდომებული და მოწყურებული, ეჭვი არ მეპარება, — თქვა დირექტორმა, — წამობრძანდით, საბჭოს ოთახში განვაგრძოთ საუბარი.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო გრეფემმა, — აბა, თუ გამოიცნობთ, ყოველ უიკ-ენდზე რატომ მოვდივარ მოხსენებაზე, მრჩეველო ლემპტონ? დირექტორი ლუდით გვიმასპინძლდება. სხდომას ბარის დაკეტვამდე ერთი საათით ადრე ამთავრებს...

და ასე მოჰყვა და მოჰყვა, თუ რა სასიამოვნოა ლუდი ცხელ ამინდში. საბჭოს ოთახისკენ გრძელ გადახურულ გასასვლელში რომ მივდიოდით, ინგლისში მშენებლობის ლიცენზიის გაცემის კანონებზე ჩამოავდო სიტყვა, მერე, მეტად შეუმჩნეველად და მოხერხებულად, ახალი სახალხო საცურაო აუზის მშენებლობას შეეხო, თუ რა გეგმები ჰქონდა უორლის მუნიციპალიტეტს ამასთან დაკავშირებით. ნორა თითქმის ხმას არ იღებდა, და თუმცა გრეფემი გაცხარებული მელაპარაკებოდა, საკმარისი იყო ცოტათი ნორასაკენ გამეწია, მაშინვე ჩვენ შორის მოექცეოდა. ერთი პირობა პიჯაკის ლაკანზეც კი ჩამჭიდა ხელი.

— დღესავით ნათელია, — განავრძო მტკიცება, — თუ გნებავთ იცოდეთ, ისეთივე ნათელი, როგორც აი, გახედეთ, ეს ცრუ შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის კედლები. საცურაო აუზს ყველა ნატრულობს უორლიში...

— მდინარე ხომ არის, — ვუთხარი, — თუ აღარაფერს ვიტყვით არხზე.

— და შიგ მკვდარი ძაღლები, მორევეები და შლამიანი წყლის მცენარეებიც, — მომიჭრა სიტყვა, — ერთი მიბრძანეთ, თქვენს შვილს გაუშვებდით მდინარეში ან არხზე საბანაოდ?

მაშინვე შევეცადე ბარბარაზე არც მეფიქრა. ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო ხშირად, უბრალოდაც თუ გამოილევა თაუში აზრმა, ხომ შეიძლება ბარბარა რაიმე უბედურებას გადაეყაროს-მეთქი, შიშისაგან პირდაპირ ავად ვხდები.

— ჩვენს კამათს აზრი არა აქვს, — ვუთხარი, — საცურაო აუზის მშენებლობა უკვე გათვალისწინებულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუთუ მართლა?

— ნორაც დამიმოწმებს, — ვთქვი და მისკენ გავიწიე. უღიმღამო პატარა ოთახი, სადაც მუხის ხის პანელებს განცხადებები ნახევრად ფარავდა, უცებ საცხოვრებელ ოთახად მეჩვენა და არა ოფიციალურ დაწესებულებად.

— საცურაო აუზის აშენებას ხომ ვაპირებთ, ნორა? — სახელით მივმართე და ამან თითქმის ნეტარების გრძნობა მომგვარა, ამჯერად ახლოს ვიდექი, მკვეთრად ვიგრძენი შრომანას სუნამოს საამო სურნელი.

— მუნიციპალიტეტში კი იხილავენ ამ საკითხს, — დამიმოწმა ნორამ, — მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ უკვე ხორციელდება.

— როგორ გეკადრებათ, — ვუთხარი, — საქმე იქამდეა მისული, ადგილსაც კი ირჩევენ.

— კინო „პალასის“ ადგილზე, — თქვა მან, — დიახ, გეთანხმებით, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი, ცენტრშია, თავიდან აშენებაც არ დაგჭირდებათ, ძველ შენობას გადააკეთებთ. ისედაც ყველას თვალში ეკალივით ესობა. მაგრამ ვთქვათ, ემბორომ გაყიდვა არ მოისურვა?

უტყობა, ამ საქმის ასავალ-დასავალი კარგად იცოდა. ემბოროს, კინო „პალასის“ პატრონს, მართლაც არ უნდოდა ეს შენობა მუნიციპალიტეტისათვის მოეყიდა.

— მთელი უორლის მუნიციპალიტეტი კი არა ვარ, როგორ შემიძლია წინასწარ გითხრათ, რას გააკეთებს მუნიციპალიტეტი და რას არა? მაგრამ რაკი გადაწყდა და „პალასი“ ერთადერთ შესაფერ ადგილად მიიჩნიეს, ალბათ საამისოდ მოიძებნება კიდევ გზები და საშუალებანი. ოღონდ, ძალიან გთხოვთ, ჩემს სიტყვებს ნურსად გაიმეორებთ.

გრეფემმა ჩაიხითხითა:

— ძალიან ფრთხილი ყოფილხართ, მრჩეველო ლემპტონ. თქვენ გულისხმობთ იძულებით გაყიდვას, არა?

ლუდი მოსვა. გაწვრილებული კისერი ჰქონდა. დანახვაც კი შემეძლო, ყელში ლუდი როგორ გადასდიოდა. წითელი სპორტული პერანგი არც მის აღნაგობასა და არც სახის ფერს არ უხდებოდა; ნეტა რა მოეწონა ნორას ამ კაცისა? მისი ავადმყოფური, ჩალურჯებული, ყვრიმალებიანი სახე წარმოვიდგინე ნორას სახის გვერდით ბალიშზე. პასუხს ვაძლევდი და თავს ძლივს ვიკავებდი, ბრაზი ხმაში არ დამტყობოდა.

— დიახაც, განსაკუთრებული საჭიროება თუ მოითხოვს ან, უფრო სწორად, მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით საჭიროდ თუ ჩათვლის; თუმცა შესანიშნავად იცით, ჩემი პარტია დიდად ალტაცებული არ არის მაგ პროექტით.

— ვნახოთ, ვნახოთ, — თქვა გრეფემმა, — მაგრამ ნიძლავს დავდებ... ნიძლავს...

ნორამ თავი ოდნავ გააქნია. გრეფემი გაჩუმდა.

— ნორამ მომაგონა, — თქვა მან, — ჰიულის დავპირდით, რომ მათთან ვიყახშმებდით.

მიხვედრა ძნელი არ იყო. მუნიციპალიტეტში ჰიული ლეიბორისტთა ჯგუფის ბელადია. გრეფემს ალბათ ელაპარაკა. ჰიულის აზრით იძულებით გაყიდვის შესახებ დადგენილება არ დამტკიცდება. ჰიული იმ პირთა განრიგს ეკუთვნის, რომლებიც ტორების ყოველგვარ საქმიანობაში ბოროტებას ჭვრეტენ; დიდ სიამოვნებას ჰგვრის იმის შეგრძნება, თითქოს მის მახვილ და უშიშარ ლეიბორისტულ თვალს არაფერი გამოეპარება. ვერც კი დაარწმუნებდით, ჩვენი დაპირება საცურაო აუზის აშენების შესახებ სხვა არა იყო რა, თუ არა არჩევნების წინ

ვათამაშებული ტრიუკი. და აჰა, შედეგად — მის წარმოდგენაში განზრახ დარ-
ხეული ხმები სინამდვილედ იქცა.

რა დიდ სიამოვნებას მოჰგვრის ამ ვაუბატონს გრეფემისა და ნორას წინაშე
თავის გამოჩენა! მგონი, მისთანა უბადრუკისათვის სხვაგვარი სიამოვნება არც
არსებობს. მათი ოჯახი კარგა ხანია ცხოვრობს უორლიში, მაგრამ ფულის დაგ-
როვება ვერაფრით ვერ მოახერხეს. მისი ცოლი არაპრივილეგირებულია მი-
მართ მის სიმპათიებს სულაც არ იზიარებს. დღენიადავ ჰკიცხავს და კიბავს,
ორმოცდახუთი წლის კაცი მხოლოდ უორლის საშუალო სკოლის მასწავლებელი
ხარ და წინ წაწევის პერსპექტივა აღარც გაქვსო. გაცოფებული და ნერვებმოშ-
ლილია ცოლი, გაცოფებული და ნერვებმოშლილი. ნეტა ეს ფრაზა ასე ხშირად
რატომ ამეკვიატება ხოლმე?

— მეც იქით მოვდივარ, — ვუთხარი გრეფემს, — თუ გნებავთ, მანქანით მი-
ვიყვანთ.

— მეც მანქანითა ვარ, — მიპასუხა.

— კეთილი. ჩემგან დიდი მოკითხვა მრჩეველ ჰიულის. კარგი იქნებოდა, ამ
საღამოს აქ ყოფილიყო. გადაეცით, საცურაო აუზზე ნუ შეწუხდება.

გამიკვირდა, ნორა რომ თითქოს გაბრაზდა.

— ცოტა არ იყოს, მფარველური კილოთი ლაპარაკობთ, — თქვა ნორამ.

— პირიქით, მრჩეველ ჰიულის დიდ პატივს ვცემ; — ეთქვი მე, — კარგად
ვიცი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის ამ პროექტს. პირველ ყოვლისა მას
არ უნდოდა იმ ადგილას კინო „პალასის“ დატოვება, სახალხო საცურაო აუ-
ზისთვის კი ძალიან მოსწონდა. ახლა „პალასი“ დახურულია და, ბუნებრივია,
უკეთეს ადგილს ვერც ინატრებს, სავსებით გასაგებია.

— სხვა ნაკვეთი არ არსებობს? — მკითხა ნორამ.

— გულწრფელად გითხრათ, ვერ გეტყვით, მაგრამ სავსებით დასაშვებია
სადმე მოიძებნოს.

— სწორედ ასეთ პასუხს მოველოდი, — თქვა ნორამ, — ძალიან ჭკვიანი
ბრძანდებით, მრჩეველო ლემპტონ.

— ასე ნუ მომმართავთ. გთხოვთ, ასე მგონია, ასე წლის ბებერი ვარ.

ძალიან გამიკვირდა, რომ ოდნავ წამოწითლდა.

— ცოტა უხეშად მომივიდა, — თქვა.

— არც შემიწინავეს. ლამაზ ქალს ლამაზ კაბაში შეუძლია ყველაფერი მი-
წოდოს, რაც მოეხასიათება.

— ნუთუ მართლა არაფრად აგლებთ?

ფანჯარასთან იდგა. მთელი დღე ისე გავიდა, მგონი, მზეს ასე ძლიერად
არ გამოუნათებია. კაბაში მისი ფეხების ლანდს გავხედე და ლამის ვირწმუნე,
აღბათ ჩემი ნებით მიბრუნდა დედამიწა დასავლეთისკენ და მზისკენ, რათა მისი
გამჭვირვალე კაბის წყალობით წამიერად მეხილა იგი როგორც ქალი და არა
როგორც რაღაც მოსაზრებათა კრებული. რაში მენადვლება საცურაო აუზი ან
თუნდაც ეს ადგილობრივი მმართველობა! ხოლო თუ მენადვლება, ამის მიზეზი
სულ სხვა რამეა და არა ის, რაც ნორას ჰგონია. ამ ოთახში ერთადერთი ადა-
მიანი ნორაა, ვისაც შეუძლია გამიგოს და მიმიხედეს ყველაფერს. თუმცა ახლა
ამ მიზეზს მაინც ვერ აუუხსნი. მას კი ერთი გაქნილი კაცი ვგონივარ, ცინიკოსი,
მოჰერის კოსტუმში გამოწყობილი, ვისაც ძალაუფლებით თავი ისევე მოაქვს,
როგორც თავისი ოქროს საკინძეებით. თუმცა ამ საკინძეებს მეტი სმეტად თვალ-
ში არავის ვჩრი, და მაინც მათი გაბრჭყვიალებისას უსიამოვნო გრძნობა როდი
მიპყრობს.

აშკარად ყოველი მათგანი ჩემს პასუხს ელოდა. ცოუნება ძლიერი იყო. რა იქნება ნორას მივახლო ყველაფერი ის, რასაც მოელის, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ხალხი მივახვედრო, რაც ხდება სინამდვილეში. ოთახს თვალი მოვაკლე: რა ერთფეროვნად მოსაბეზრებელი მეჩვენა მთელი ეს ბრბო, არც მთლად ახალგაზრდებისა და არც მთლად ბებრების ბრბო, თითქმის ყველას სვითრები და კარდიგანები ეცვათ, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი. მისის ფულვუდს შეეხედე, უმბური ქალი იყო, გამოხუნებული კოტონის კაბა ეცვა, ალფა-ალფა კომპანორდ-ვეული. მისის ფულვუდი უორლის დაუდალავი საზოგადო მოღვაწე გახლავთ, ლამის ყველა ორგანიზაციის წევრი, „ფრიმასონთა“ და „ოლდფელოუზის“ საზოგადოებებს თუ არ ჩავთვლით; ასევე თავს იღო გადასახადების შემტანთა დაცვა-მფარველობა. მუნიციპალიტეტში „ქოფაკ ძუკნას“ ეძახიან. მე არ ვუყვარვარ და საერთოდ, ტორების წარმომადგენელ მრჩეველებს ვერ იტანს. ტორების პარტიამ ორჯერ მოიშორა თავიდან — ხან მის დასახელებაზე უარი განაცხადა, ხან კანდიდატებს ნება არ მისცა „დამოუკიდებელთა“ პარტიის წევრად გაეყვანათ. სინამდვილეში ყველა მრჩეველი ეჯავრება. დანარჩენი ორი პარტიაც ჩვენსავითაა განწყობილი მის მიმართ.

ახლა მისის ფულვუდი მოელოდა, რომ რაიმე ქარაფშუტული და ცინიკური წამომცდენოდა. ამით მუნიციპალიტეტზე იერიშის მისატანად იარაღს პირდაპირ ხელში მიუცემდი. მისის ფულვუდს არავინ არაფრად აგდებდა, მაგრამ ჩვენი პარტიის ხმათა უმრავლესობა არც ისე დიდი იყო და მცირეოდენი წინდაუხედავი საქციელიც კი ჩვენთვის სახიფათო იქნებოდა.

— რას არ ვაგდებ არაფრად? — ვკითხე ნორას.

— აი, თუნდაც აუზის მშენებლობას. სინამდვილეში მნიშვნელოვან საქმედ არ მიგაჩნიათ. თქვენთვის სულ ერთია, სადაც გაშენდება. თანაც თითქმის სულ არ შეეხეთ პოლიტიკის საკითხებს...

გრეფემმა მხარზე ხელი დაადო.

— დროა წავიდეთ, — უთხრა მან, — ძალიან სასტიკი ხართ, ნორა, ნუთუ ვერ ხედავთ, საწყალი როგორ დაიდალა?

— მე დამცველები არ მჭირდება, მისტერ გრეფემ, — მოვუჭერი, — ნამდვილი შეკითხვა ნორას ჯერ არ მოუცია. ნება მიბოძეთ მაინც მოვახსენოთ: საცურაო აუზის მშენებლობა სწორედაც რომ მადელვებს. საერთოდ ძალიან მადელვებს ყველაფერი, რაც კი უორლის კეთილმოწყობას შეეხება. და ამით მოვრჩეთ. პოლიტიკაზე სხვა დროს ვისაუბროთ. — გრეფემს ხელი გავუწოდე.

— მოუთმენლად მოველი შემდეგ შეხვედრას, — თქვა მან. ოფლიანი ხელი ჰქონდა; წარმოვიდგინე, ამ ხელით როგორ ეხება ნორას, და გულში მტკივნეულად გამკრა ეჭვმა.

მისის ფულვუდმა ყურადღება ჩემგან დირექტორზე გადაიტანა; ვითარება ისევე სწრაფად განიტვირთა, როგორც დაიძაბა.

— არ მეგონა, ასე მწვავედ თუ განიცდიდით საზოგადოებრივ მოვლენებს, — მივმართე ნორას, — მეტად სასიხარულოა ამის გაგება. არ დაივიწყოთ, მალე ჩვენთანაც მობრძანდებით. ვარდებს გიჩვენებთ...

— გმადლობთ, — თქვა, — დიდი სიამოვნებით, არა, პიტერ?

გრეფემმა მესაკუთრესავით წაავლო ხელი მკლავში, უფრო პოლიციელივით, ვიდრე შეყვარებულივით. კარი რომ გაუღო, დერეფნიდან შემოქროლილმა ქარმა წამით კაბა ნორას თეძოებზე მიატმასნა და მაშინვე შევამჩნიე, არც ისე გამხდარი ვოფილა, როგორიც ჩანდა. ბიჭური თეძოები კი არა, ქალური, ნამდვილად ბავშვის გასაჩენად შექმნილი მშვენიერი თეძოები ჰქონდა.

კარი დახურეს ლუდი დაეცალე და მაგიდასთან მივედი მეორე ბოთლის გასასხსნელად. ვხსნიდი და თან ვგრძნობდი, ლუდი სულაც არ მინდოდა. დაღვით კი დავლევდი, მაგრამ ნამდვილად არ მინდოდა. ფანჯარასთან მივედი, ეზო ცარიელი იყო, მხოლოდ ექვსიოდუ მანქანა იდგა და „ფოლკსვაგენ“-ის პატარა ავტობუსი.

ჩემი „ზეფირისა“ და მოლაპლაპე წითელი „მიჯეტის“ გარდა სხვა მანქანები გახუნებული და დაძველებული ჩანდა; დიდად შევეცადე უპირატესობის გრძნობა გაღვიძებულიყო ჩემში, რაკი ყველაზე ახალი და ძვირფასი მანქანა მყავდა, მაგრამ ვერაფერს გავხდი, მხოლოდ ნორაზე ვფიქრობდი.

დირექტორი მომიახლოვდა.

— ღმერთო ჩემო, უორლიში ნორასთანა ქალი იშვიათად მოიძებნება, — თქვა და უკან მიიხედა მისი ფულვუდისაკენ, ვისაც ახლა ახალგაზრდა ქალზე, უორლის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეზე მიეტანა იერიში.

— ერთადერთი თავისებური ქალია, — ვთქვი მე, — განსაკუთრებული ყალიბისა.

გრეფემი და ნორა ჩვეულებრივ იაფფასიან „ფორდში“ ჩასხდნენ. მანქანა დაიძრა. ფანჯრიდან პირი ვიბრუნე. სწორედ ამის დანახვა მინდოდა, მაგრამ როგორც კი დადგა ეს წუთი, მათ ერთად ცქერას ვეღარ გავუძელი.

— ეს რა ფანტასტიკური ადვილია, — თქვა დირექტორმა, — აი თუნდაც ეზოს გახედეთ, ამ ქვებს... ღმერთმა უწყის, მათი ამოზიდვა რამდენი დაჯდა.

— სინდრემს ეჯავრებოდა ჰსფალტი და გუდრონი, — ვთქვი მე, — ერთ დროს დიდებულად ცხოვრობდა, აქ ასი მანქანა მაინც დგებოდა ხოლმე და ყოველ მათგანს საკუთარი მძღოლი ჰყავდა. ტომ სინდრემი სტუმრებს როცა პატიჟებდა, არაფერს არ იშურებდა.

— მე კი ძუნწი კაცი მეგონა, — თქვა დირექტორმა.

— მართალია, ძუნწი იყო. მაგრამ საქმოსანი მეგობრების დაპატიჟება — სხვა ამბავია. რასაც დავთეს, ორ იმდენს მოვიმკიო, ასე ამბობდა.

— ასი მანქანა, — გაიშეორა დირექტორმა, — ფანტასტიკურია.

— ყოველ საღამოს გალავანზე დასეირნობდა. ღამით კარიბჭის ჭიშკარს ჩამოუშვებდნენ და ციხე-დარბაზის შესასვლელი ირაზებოდა.

— არადა, მთლიანად ჩამოვახსნევიანეთ, ვშიშრობ, ჩემი გადაწყვეტილებით. მართლა, მრჩეველო ლემპტონ, იმედია, შეურაცხყოფა არ მოგაყენათ იმ, ასე ვთქვათ, მეტიხმეტად გა ბ ე დ უ ლ მ ა შეკითხვებმა...

— რაც უფრო გაბედულია, მით უკეთესია.

— დიდი პატივი დაგვდეთ, წინასწარ ვერ შეგატყობინეთ და მაინც მობრძანდით! მერწმუნეთ, ამას დიდად ვაფასებთ.

— ყოველთვის მზად ვარ სიამოვნებით გემსახუროთ, — ვთქვი მე.

დერეფნიდან მუსიკის ხმა მოისმა. ვერა ლინის ძველი სიმღერა — „ნახვამდის“ ვიცანა. საამო სევდა მომგვარა. ოთახი თანდათანობით დაიცალა.

— პატარა საღამოს ვმართავ, — თქვა დირექტორმა, — იქნებ თქვენც შემოგვიერთდეთ.

— არა, გმადლობთ, საკმაოდ შემაგვიანდა.

კვლავაც შევხვდებით, კვლავაც შევხვდებით ერთმანეთს, ძვირფასო! სჯობს კია სულ აღარ შევხვდეთ, მაგრამ უორლი პატარა ქალაქია. ეკლესიაშიაც ვნახავ ნორას, „ტრაგიკოს მსახიობთა“ წარმოდგენებზეც, სხვათა სახლებში, თუ მოვინდომებ, შესაძლოა დიდი უსიამოვნების ფასად, ჩემს სახლშიაც მოვიწვიო.

ამიერიდან ვეღარ შევხედავ სინდრემის ციხე-დარბაზს ისე, ნორა არ გამახსენდეს.

დირექტორს დავემშვიდობე და, სანამ მისი ფულვუდი შემომჩნევდა, ოთახიდან სწრაფად გავძვერი. ღამდებოდა, ასაწევ ხიდზე მანქანა არაზრახდა. ერთბაშად ახირებულმა აზრმა წამომიარა: სასიყვარულო თავგადასავალმა გამიტაცა, უბრალოდ საქმეები კი არ მოვათავე და სწრაფად გავეცალე. მე მოვდივარ მთაზე აღმართული ციხე-დარბაზიდან, მიხვეულებულ ვიქტორს გზით ვეშვები ქვემოთ, ველზე, სადაც ნორა დამხვდება, როგორც ის ალვები, გზას რომ არტყია, როგორც ის არყის ხეები, აგერ შემდეგ მოსახვევში რომ დამხვდებიან. ზუსტად ამ წუთს ნორა ჰიულისთანაა და ჩემზე ფიქრობს; ჩვენ უფრო ხშირად ის ხალხი გვახსობდება, ვისაც არ ვეთანხმებით და არა ისინი, ვისთანაც ყოველთვის საერთო ენას ვპოულობთ.

მერე მისი ჰიულიზე დავიწყე ფიქრი. ამას წინათ ჩემამდე მოაღწია მისმა სიტყვებმა, თურმე „ასაკგადასულ ჯიგოლოს“ მიწოდებს. ახლა ალბათ ნორას ჩემს ცხოვრებას უკაკლავს, ცხადია, ჩემს სასიკეთოდ არა. რას იტყვის ჩემზე? პირწავარდნილი ავაზაკიანო, გაიძვერა, გაქნილი ავაზაკი, დაბალი ფენებიდან გამოსული დაწინაურდა, ჭკუისა და გონების წყალობით კი არა, არც მუყაითი შრომითა და გარჯით, არამედ იმით, რომ მდიდარი კაცის ქალიშვილი დააორსულაო. მერე ელისის ამბავსაც ხელახლა გამოქეჩავს, ოღონდ მისი ჰიულის პირში ყველაფერი უფრო საზარელ ბოროტმოქმედებად იქცევა ხოლმე. ისიც გამახსენდა, თავის დროზე სწორედ მისი ჰიულიმ დამიყარა ხმები, თითქოს ელისისთვის მე მეთქვას, ყელში ამომვიდა შენი სიყვარული, რას ვადამეკიდე ბებერი ქალი, ამ ამბიდან თავის დაღწევა თუ გინდა, ისლა დაგრჩენია, თავი მოიკლაო.

ვთქვით, ეს ჭორი მისი გამოგონილი არ იყო, მაგრამ მაინც კარგად დაამახსოვრდებოდა. ჩემს დასაცავად მისი ქმარი და გრეფემი ყურსაც არ გააბარტყუნებენ.

მანქანა გავაჩერე, სარკე გავასწორე და სინდრემის ციხე-დარბაზს გავხედე. საშინელზე საშინელი გემოვნების ნიბუში გახლდათ, იმოდენა ფართობი ეკავა, მის ადგილას ასი მუნიციპალიტეტის შენობა დაეჭოდა. ეს იყო გიჟურად, დაუნდობლად, სხვების თვალების დასათხრელად წამოჭიმული ძეგლი, ვიღაც კაცის სიხარბისა და თავგერძობის დამამტკიცებელი, ქვაში განხორციელებული ბავშვური ოცნება. და მაინც მისი ნახვა ღირდა. შევფურედი და გულს სიამე მეფინებოდა, ჩამავალ მზის ფონზე იგი მელოდრამატულად იდგა.

მანქანა ისევ დავძარი. ჰიულის გარედან კენჭებმისხმულ, კოლოფივით პატარა სახლში ალბათ ნორა ზის და ისმენს ჩემს ამბებს.

შეიძლება იმდენი ელაპარაკონ, რომ ცნობისმოყვარეობაც კი აღეძრას: ადამიანური თვალსაზრისით ჯიგოლოს ტიპი ქებას ვერ იმსახურებს, მაგრამ, ჩანს, რაღაც მიძხიდველი ძალა მაინც აქვს. იმდენს ვერ მივაღწიე, როგორც ვოცნებობდი. ცოტა არ იყოს, ზედმეტად ვსუქდები, სიუზენი ისევ შემომიჩნდა და მეკინკლავება, არც გრეფემივით ჭკვიანი ვარ, იმ ცინგლიან ჰეთერსუტივითაც ვერასოდეს გავმდიდრდები, მაგრამ ქალებს მაინც მოვწონვარ. ძალიან კარგად მესმის, ჩემი მოხსენება სინდრემის ციხე-დარბაზში ერთი უნიჭო გამოსვლა იყო; ელაპარაკობდი ნათლად, გარკვევით, ხმამაღლა, ყველასთვის გასაგებად, მაგრამ ერთი ორიგინალური აზრი არ მითქვამს. ძალიან კარგად მესმის, ნორას თავიც

1. მდიდარი ქალის / ჩიერ საცეკვაოდ დაქირავებული პარტნიორი.

მოვაბეზრე და მოთმინებიდან გამოვიყვანე. მაგრამ ლოგინში ერთად თუ მოვხვდებით — სულ სხვა ამბავი იქნება.

და მომეჩვენა, თითქოს გვერდით მიზის, ღია ფანჯრიდან ქარი მოკლედ შეჭრილ კულულებს უწეწავს, ხელი უდარდელად უდევს ჩემს მუხლზე. ძალიან რომ მოვინდომო, შეუძლებელია ჩემი არ გახდეს. სურვილი თუ ძლიერია, ყოველთვის გადაძვება. დროა რაღაც შეიცვალოს, დროა ჩემმა ცხოვრებამ რაღაც ახალი გამოსახულება მიიღოს. მარკმა მაშინ პირდაპირ მიზანში შევხვდი, მართლაც მშურდა მისი. მისი დამცინაუი ხმით წარმოთქმული სიტყვები გამახსენდა: „ნუთუ არავინა გყავთ? არავინ გიტაცებთ? მაშინ რას იზამთ, როგორ მოიქცევით?“

ქვემოთ ნელა ვეშვებოდი. უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რას ვიზამდი, როგორ მოვიქცეოდი. უცოლო რომ ვიყავი, იმდროინდელი გამოცდილებით ვმოქმედებ მუდამ. ნეტა ეს უკანასკნელი ათი წელი ჩამომამშორებინა. ნორა მიტაცებს, მგონი, მეტი სმეტადაც. მაგრამ არავითარი ნაბიჯის გადადგმას არ ვაპირებ, ასევე არ იყო აქამდე? ჯინთან მიზანს ისე მივალწიე, სინამდვილეში თითიც არ გამინძრევია.

ერთ წუთში მარკეტ სტრიტზე ვიქნები, ორ წუთში სენტკლერის შოსეზე გავალ, ხუთ წუთში შინ გავჩნდები, ალბათ ჩემი ცოლი ვახშმის სამზადისში დამხვდება. ვახშმის შემდეგ ცოტა ვისკის დავლევე და დასაძინებლად დავწვები. და მაშინ წარმოვიდგენ, გვერდით ქალი რომ მიწევს, თითქოს ნორაა. მე მარკი არა ვარ, არც შემოდღია მარკისთანა ვიყო, ბოლოს და ბოლოს ამით ვდგევარ მასზე ძალდა.

11

ჩემი კაბინეტისკენ მივდიოდი დერეფანში, თავში სულ ჰილინგტონი მიტრიალებდა. ამას წინათ კომპიუტერზე მომუშავეთა ჯგუფის უფროსად დანიშნეს. ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცია, ბრილიანტინით გაპოხილი თმა შუაზე აქვს გაყოფილი, გულჯიბე კალმებითა და ფანქრებით გამოტენილი, ძველი მოდის მაღალ საყელოს იკეთებს, ვულგარულ, შოლტივით წაგრძელებულ ჰალსტუხის სამაგრს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჰილინგტონის დანახვაზე გუნება მიფუჭდება ხოლმე, რა ხერხს არ მივმართავ, სადმე არ გადავეყარო. მაგრამ ჩემი ცლა წარმატებით იშვიათად მთავრდება, გუნებაწამხდარი სულ იმის მოლოდინში ვარ, აი ახლა პიჯაკზე ხელს წამავლებს და საქმეებზე ლაპარაკით ყურებს გამომიჭედავს-მეთქი. თუმცაღა საამისო მიზეზი არა აქვს, — იგი მიდრიჯს ექვემდებარება და არა მე. სინამდვილეში ყველაფერზე, — გულში მწარედ გამკრა, — რაც კი კომპიუტერს ეხება, პასუხს მიდრიჯი ავებს. ესეც ერთგვარად კარგია ჩემთვის. მიდრიჯი მთელი თავისი სიცოცხლე საკუთარ საქმეებს სხვებს ახვევდა, ახლა კი თავად მოუხდება თავის გართმევა, არადა, იქაურობა თავსატეხი საქმეებითაა გავსებული.

დერეფანში საღებავის სასიამოვნო სუნის იდგა, სულელურმა სურვილმა წამომიარა, — პრიალა ყვითელ კედლებზე ხელი მომესვა, გაშრა თუ არა საღებავი. აგერ ხუთი წელია მიდრიჯს შევუჩნდი, დაწესებულების ეს ნაწილი როგორმე გაანათე-მეთქი. ამ ერთი თვის წინ სრულიად მოულოდნელად დათმობაზე წავიდა. დერეფნის ბოლოს მინიანი კარის გაკეთებაზეც კი დაგვეთანხმა. ახლა იქიდან მზე შემოდის. ფეხს აუუჩქარე. კომპიუტერის ოთახს რომ გავუსწორდი,

ჰილინგტონი გამოვიდა. ამ ბოლო დროს მესამეჯერ მიკეთებს ასე; ნეტა საიდან იგებს, რომ სადღაც აქ ვიმყოფები?

შავი ლაპლაპა ალპაკის პიჯაკი ეცვა. შუაზე გაყოფილი თმისა და პერანგის მაღალი საყელოს წყალობით სამი ათეული წლის წინათაც დროგადასული მოდის კაცად ჩაითვლებოდა. პირდაპირ ილუსტრაციად გამოდგებოდა მოხელეობისა და ბუღალტრობის მეთოდის სახელმძღვანელოში, უჭიმდენი რომ მასწავლიდნენ. კომპიუტერის განყოფილებაში შევეყევი გუნტაქაძისა და პილინგტონი მიდრიჯს ექვემდებარება, ალბათ მისი საშუალებით ცდილობს როგორმე შარში გამხვიოს, როგორმე თავისი საქმეები თავს მომახვიოს.

— ძალიან მუჩქარება, — უუთხარი, — მაგრამ არა უშავს, ბრძანეთ, ნულარ აყოვნებთ, ძველო. ბარემ გამიღეთ გულის კარი, — ჰილინგტონთან საუბრისას რატომღაც ამგვარ დრომოჭმულ იდიომებს ვხმარობ ხოლმე.

— მეტად სერიოზული საქმეა, სერ. დიდხანს ვიფიქრე. სამსახურიდან წასვლაც კი გადავწყვიტე.

— ასეთი გრძნობა ყველას გვეუფლება ზოგჯერ, — უუთხარი, — მაინც რა მოხდა?

— ყველა-ყველა, მაგრამ ლანძღვა-ვინებას კი ვერ ავიტან, — თქვა მან, — თუმცა ლანძღვა-ვინებაზე უარესი ამბავი მოხდა. გაცილებით უარესი.

— გაცილებით უარესი? ასეთი რა მოხდა?

მგონი, ჩემი შეკითხვა ვერ გაიგონა.

— კომპიუტერი ზუსტად იმას აკეთებს, რასაც უკარნახებთ, მისტერ ლემპტონ. არც მეტი, არც ნაკლები.

— ვიცო, — რბილად ვუთხარი.

— დასაწყისში ყოველთვის ჭირს ხოლმე მანქანის აწყობა, მისტერ ლემპტონ. ბოლოს და ბოლოს კომპიუტერის გამომგონებელი ხომ არა ვარ. თავდაპირველად სავალდებულო იყო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, მაგრამ არ ჩატარდა... არ ვიცო, მისტერ ბრაუნმა ასე რატომ გამლანძღა. — სახეზე წამოწითლდა, თვალები საუჭვოდ დაენამა.

მხარზე მოუუთათუნე.

— კარგით, კარგით, ამის გამოს გულს ნუ გაიტეხთ, — დავამშვიდე, — მისტერ ბრაუნი ფიცხი კაცია, მაგრამ უფრო ყიფს, ვიდრე იკბინება. მისტერ მიდრიჯს თუ მოახსენეთ?

— გუშინ მოვახსენე. მაგრამ ავად გახდა, შეტევა მოუვიდა, მგონი, მისტერ ბრაუნის ნახვა ვერ მოასწრო.

— მაშ ამ საქმისათვის მე ამირჩიეთ, არა? — კარგად ვიცო მიდრიჯის ამბავი, მართლა ავად ხდება თუ თავს იკატუნებს. ყოველ შემთხვევაში შეტევები მისთვის ყველაზე უფრო მოხერხებულ დროს მოსდის ხოლმე და ყოველთვის ზუსტად იმდენ ხანს გრძელდება, რამდენ ხანსაც ხელს აძლევს.

— სამსახურიდან წასვლაზე განცხადება დავწერე, — თქვა, — მაგრამ მამაჩემმა მითხრა, ნუ ჩქარობო.

— მართალი უთქვამს, მამის სიტყვებს ყოველთვის დაუჯერეთ. ნუ სწუხართ, ძველო, დაწყებითი სტადიის სიძნელებებზე უსათუოდ მოველაპარაკები. — მის მხრებს უკან კაბინეტში შევიხედე, სადაც კომპიუტერი დაბინაუებულიყო. კომპიუტერის ოთახი უშნოდ, უღიმღამოდ გამოიყურებოდა, კედლები ჯავშნოსანი გემივით ნაცრისფრად შეუღებათ, იატაკზე იაფფასიანი ლინოლიუმი დაეგოთ. აქაც იგრძნობოდა მიდრიჯის უჭკუო მომჭირნეობა, ღია, ხალისიან ფრად კედლების შეღებვა ხომ იგივე დაჯდებოდა? ერთ მშვენიერ დღეს ამოგლეჯილ ლი-

ნოლიუმს შეიძლება ვინმემ ფეხი წამოკრას, მაშინ დაზარალებულისთვის ანაზღაურების გადახდა მოგვიწევს, თანაც ერთი შემანქანე გამოგვაკლდება.

— მარტო დაწყებითი სტადიის სიძნელეები არაა მთავრი, — თქვა ჰილინგტონმა, — ორ-სამ თვეში შეუძლებელია დაგვემო, მოამზადო და მანქანაში ჩადგველა ის მონაცემი, რომლებიც მისტერ ბრაუნს აინტერესებს.

ამ საქმეში ბრაუნზე უკეთ ერკვეოდა, მაგრამ კომპიუტერს შეტყუებაში აადამიანებდა. გულწრფელად აღშფოთებული ლაპარაკობდა, თითქოს მანქანა ცოცხალი არსება ყოფილიყო და უღმერთოდ ბევრს ამუშავებდნენ. ეს ხომ მხოლოდ მანქანა იყო, ერთი გასაოცრად უსახო მანქანა; ეს საკონტროლო დაფები, მთელი მოწყობილობა, დისკოები, ჩასართავ-გამოსართავები, ღილაკები — კაცს შეეძლო გამოეყენებინა ყოველგვარი მიზნისათვის, რაც თავში მოუვიდოდა ან არ მოუვიდოდა. კომპიუტერი 1955 წლამდე ბაზარზე არ გამოჩენილა, მანამდე მისი გამოშვები ფირმა სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა. თუმცა ივლისის ასეთ მზიან დღეს ამაზე ფიქრს აზრი არ ჰქონდა. საკონტროლო დაფა ფოლადის შენადნობის ხარისხის ინფორმაციების მიღებას ემსახურებოდა და არა წყალბადის ბომბის ჩამოგდებას, ხილო ოცხ ქალიშვილს, კომპიუტერს რომ შემოსხდომოდნენ, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მწვანე სვიტერები ეცვათ და არა „სამეფო სამხედრო საჰაერო ფლოტის“ ცისფერი ფორმა. ჰილინგტონს სიგარეტი შევთავაზე. ჩემდა გასაოცრად, გამომართვა, გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს არ ეწეოდა, მეტიც, თითქოს მაგარი სასმელებისათვის თავის ღლეში პირი არ დაეკარებინოს და ვეგეტარიანულიც იყო.

— მისძინეთ, — ვუთხარი, — იქნებ მაინც მიამბოთ, რა უსიამოვნება შეგემთხვათ?

— მისტერ ბრაუნმა თავის კაბინეტში გამომიძახა ლითონის ჯართის თაობაზე. ძალიან იყო განრისხებული. უპირველეს ყოვლისა მითხრა, სკამს ვერ შემოვთავაზებთო, რადგანაც მთელი ოფისი ჭერამდეა ჯართით გავსებულიო. ქარხანა მთლიანად გაჭყდილიაო, მითხრა.

— წარმომიდგენია! მაინც რა რიცხვი მიიღეთ?

გრძელი ვიწრო მწვანე მუყაო გამომიწოდა. დავხედე და სიცილი წამსკდა.

— ეს თუ მართალია, თქვენთვის დასაჯდომი ადგილი მართლაც არ მოიძებნება ამ დაწესებულებაში, — ვუთხარი, — ბილიონი ტონა! ეს საოცრად ბევრი ჯართია.

— მანქანის ბრალი არაა, მისტერ ლემპტონ.

— ვერ გამოგია, აბა ვინაა დამნაშავე: — ვთქვი მე.

კომპიუტერის დადგმის დღიდან სულ ეჭვები მიტრიალებდა, და აჰა, კიდევ გამიმართლდა. წარმოებაში კარგად ვერკვევი, მარტო საჭირო მუშახელი, კომპიუტერები და მასალა საკმარისი არ არის, აუცალბებელია ზუსტი ინფორმაცია. ამჯერად მთავარი ჯართი არაა, მეც კი ვიცი, — თუმცა ოფიციალურად საქმის ეს მხარე არ მეკითხება, — დაახლოებით ჯართის რამდენი მარაგი გვაქვს. მთავარია, მომეყალში რა მოხდება: კომპიუტერს ჯართის რაოდენობის რიცხვი თუ შეეშალა, შესაძლებელია სხვა რამის რიცხვიც შეცდომით მოგვეცეს.

ჰილინგტონმა ნაღვლიანი სახე მიიღო და თავი გადააქნია.

— არა, მისტერ ლემპტონ, არა და არა. მანქანა დამნაშავე არაა. თქვენი მუშაობის სისტემაა დასაჯდომი. დასაწყისი სტადიის სიძნელეებიც არაა მთავა-

რი. კომპიუტერში თუ სწორ ინფორმაციას არ შეიტანო, მისგან სწორი ინფორმაციის მიღებასაც არ უნდა ელოდეთ. ნახეთ, აი ასეა მოწყობილი...

მის ახსნას რომ ვუსმენდი, გულში სულ უფრო და უფრო ეხარობდი. ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მოველოდი. ბრაუნს უბრალოდ ვიყავი და მხოლოდ და მხოლოდ ფოლადის წარმოება ესმის კარგად, თუმცა მეტალურგიული განათლება არ მიუღია. საკმარისია ფოლადის შენადნობს თვალი ერთხელ შეაელოს, ხელით შეეხოს, ანდა — ხშირად ~~გააღწიოს~~ ერთხელ უყნოს, მაშინვე ყველაფერს გეტყვით ამ შენადნობის ხარისხზე. ფოლადის შენადნობის მიღების მთელი პროცესი პირადი პრაქტიკული გამოცდილებით შეისწავლა შესანიშნავად. თორემ სხვა მხრივ, სიუზენის ერთი თაყვანისმცემლის თქმისა არ იყოს, ნამდვილი მეცხრამეტე საუკუნის პირუტყვია. დიდხანს არწმუნებდნენ, რომ კომპიუტერი დაედგა, ისევე როგორც თავის დროზე დიდხანს გვაწვალა, სანამ დავითანხმებდით საბუღალტრო ანგარიშის ახალი სისტემა დაგვენერგა. თუ დაითანხმებთ, მერე მორჩა, ძველს მთლიანად უკუაგდებს და მაშინვე ახლის გამოყენებას მოითხოვს. ანგარიშის ძველი სისტემიდან კომპიუტერზე გადასვლა სამ წელს მაინც საჭიროებს, ბრაუნმა კი სამ თვეში მოინდომა. ამას თავისი შედეგიც მოჰყვა — გაუგებრობა და ეს გაუგებრობა ფირმას ერთხელ ოთხმოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ამ საქმეს დროზე თუ არ მიხედეს, ფირმას ამაზე ბევრად დიდი ზარალი მოეღოს. მიდრიჯი ველარ უშველის — გონებაფხიზელი, სანდო, გამოცდილი მიდრიჯი დაღუპულ საქმეს ველარ გადაარჩენს. ახლა სავსებით ნათელია, მიდრიჯმა რომ სასწრაფოდ უშველა თავს, გასაჭირს დროზე გაერიდა. პილინგტონი სულელი კი არ არის, მშვენიურად იცის, ვის შესჩავლოს.

ყველაფერს ისევ თავიდან მოჰყვა. საათს დავხედე.

— ღმერთო ჩემო, კონფერენცია! — მგონი, მოვახერხე და დამატყვევებლად გავუღიმე, კომპიუტერის მცოდნენი, სინამდვილეში ოპერატიული მუშაკები, კარგი მოანგარიშეები ჩვენს დროში არც ისე იოლი საპოვნელია.

— უნდა გავვარდე, მისტერ პილინგტონ. მენდეთ, მისტერ ბრაუნს საქმის ვითარებას უსათუოდ ავუხსნი.

— გშადლობთ. კიდევ ერთი რამ მინდა გითხრაო, — კომპიუტერს ლამის სიყვარულით გადახედა, — კომპიუტერს ვერაფერს დავუწუნებ. შესანიშნავი მანქანაა, მართლა შესანიშნავი, მისტერ ლემპტონ.

— ასევეა ხელით საანგარიშოც.

— ვერ მიგიხვდით, მისტერ ლემპტონ.

— ელექტრონის ტვინს ვერაფერი მოეუხერხეთ, მე მხოლოდ უბრალო ბუღალტერი ვარ. ხელით საანგარიშო ადვილი მოსახმარია.

— გასაგებია, რასაც გულისხმობთ.

— ძალიან კარგი. მაშ, ნუღარ შეწუხდებით. მალე ისევ იტკაცუნებენ აქეთ-იქეთ საანგარიშო კოჭები.

— რა იყო, რომელ კოჭებზეა ლაპარაკი? — იკითხა რაღაც ჰეთერსეტმა, რომელიც თითქოს პილინგტონის ზურგიდან ამოძვრა.

— ისეთი არაფერი.

ჰეთერსეტს ღია ყავისფერი უჯრედებიანი კოსტუმი ეცვა, გოლფის სათამაშოდ რომ უფრო გამოადგებოდა, ვიდრე ფოლადის ქარხანაში ჩასაცმელად. კომპიუტერის განყოფილებაში ყოფნის უფლება მასზე უფრო მე მქონდა, მაგრამ მის დანახვაზე ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს აქაურობა „ე. ზ. ბრაუნისა

და კომპანიის“ განყოფილებას კი აღარ წარმოადგენდა, არამედ კლუბს, რომლის წევრადაც მე არ ვითვლებოდი.

— მისტერ ლემპტონს ჩემს სიძნელეებს ვუხსნიდი, — თქვა პილინგტონმა. სახე ისე შეეცვალა, კაცს ეგონებოდა, რაღაცის შეეშინდაო. — თქვენი შემოსვლა არც გამიგია, მისტერ ჰეთერსეტი. ბოდიშს ვიხდი, — ოთახის ბოლოში კარტოთეკებისკენ წავიდა და საწერ მაგიდასთან მჯდომ ქალიშვილს ხმადაწვლილად ლაპარაკი დაუწყო.

— აქ ჯუნგლების ვეება ცხოველივით დავაბოტებ, — თქვა ჰეთერსეტმა, — დიდ კუნთებს ტალღებივით ვათამაშებ, ვეება დინგს ვატრიალებ... მართალი ვითხრათ, თქვენი სიმამრი შინ ხელცარიელი მისტურებს. ჩვენი ფირმის მმართველობა რა წამს იგნოსავს, დაკვეთების შესრულებაში გაცრუებას გვიპირებენო, — მამაჩემი კი ყველაფერს ადრევე უღებს ხოლმე ალღოს, — მაშინვე მათ ეთანხმება და მე მაგზავნის საქმეების მოსაგვარებლად, ჩემზე უფრო ჭკვიანსა და გამჭრიახს განზრახ არ აგზავნის. ამბობს, ეს მათ გამბუდაობას აკარგვინებს და თვითდარწმუნების უკანასკნელი ძვირფასი მარაგი ეცლებათო. საოცრად დიდი ფსიქოლოგია მამაჩემი. ჩემისთანა სულელსაც კი იყენებს, — ჰეთერსეტმა დაამთქნარა, — ისე კი ყველაფერსა სჯობს ამ პატარა ჭკვიან მანქანას შევუჭვრიტინო. რას იტყვით? როგორ გვინათ, ის ყმაწვილი, კალმებითა და ფანქრებით რომაა გამოტენილი, ხომ დამათვალეობინებს?

პილინგტონს გავხედე, კარტოთეკების განყოფილების ქალიშვილთან, მგონი, კიდევ უფრო ახლოს მოჩიჩებუდიყო, ქალიშვილს სახე არ უჩანდა, მხოლოდ მის მაღალ, ჩამოქნილ კისერსა და გრუზა შავ თმის ვხუდავდი. თავი ისე გადაეხარა, ჩემი აზრით, ძალიან ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.

— ახლა დაკავებულია, — ვუთხარი, — მაგრამ ეჭვი არ მეპარება, თქვენთვის საქმეს თავს დაანებებს. თუ მართლა ასე ძალიან გაინტერესებთ... განა თქვენს ფირმას არა აქვს ასეთი მანქანა?

— ზუსტად ასეთი არა — თქვა მან — ჩვენი იმახის კლიკ-კლიკ-კლიკ-კლიკეტი, თქვენი — კლიკეტი-კლიკ-კლიკეტი-კლიკ. მეტად საგულისხმოა. — იგი პილინგტონისაკენ გაემართა, — კიდევ გნახავთ, ძველო, — გამომძახა ზურგშექცეულმა.

— კარგად მენახეთ, — მივუგე უნებურად. განყოფილებიდან გამოვედი თუ არა, მაშინვე დამავიწყდა მისი არსებობა. პილინგტონის ნათქვამს ვიგონებდი და გუნებაში ეწონიდი. დასკვნა ნათელი იყო. ალბათ სულ ძალე ერთი აურზაური ატყდება. ვიღაცამ ხომ უნდა გაართყვას თავი ამ აბლაუბდას? ალბათ ისეთმა ვინმემ, ვისაც ფირმის მმართველობაში ადგილი უნდა მოიპოვოს და ძალ-ღონეს არ იშურებს; ეინც ამ აბლაუბდასთვის პასუხს არ აგებს და პირიქით, თავიდანვე გააფრთხილა ბრაუნი, სახიფათო იქნება გამოაანგარიშების ძველი სისტემიდან მეტიხმეტად სწრაფად ახალზე გადასვლაო. ბორბალი ხომ ვერ იტრიალებს, მრგვალი თუ არ იქნება, კომპიუტერიც ვერ იმუშავებს, განსაზღვრული მოდელის მიხედვით თუ არ იქნა ორგანიზებული. ახლა ეს მოდელი უნდა შეიცვალოს, თუმცა საფუძველი ძირითადად მაინც იგივე დარჩება. ფირმის მმართველობაში ადგილის მოპოვება ვისაც სწადია, რაც შეიძლება ძალე უნდა შეისწავლოს კომპიუტერის შესახებ ყველაფერი. შემინული კარი გავაღე და მზეზე გავედი ჩემი ფიქრები ხალისით დასტრიალებდა ამ პრობლემას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

წმიდა სვიმეონი, ახალ ღვთისმეტყველი (946-1021)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ვასილ გურკაძემ

გამოკრებილი ადგილები ძადაგებებიდან

წმიდა სვიმეონი, ახალ ღვთისმეტყველად წოდებული თავისი ღრმა, ღმრთივ-სულიერი საღვთისმეტყველო შრომებისათვის, დაიბადა ბიზანტიის ქალაქ გალატში, წარჩინებულთა ოჯახში. საფუძვლიანი საერო განათლება მიიღო კონსტანტინეპოლში და ერთხანს დიდმოხელედაც მსახურობდა იმპერატორის სასახლის კარზე. მაგრამ მალე გაექცა ამათ საერო ცხოვრებას და სტუდიის მონასტერში განმარტოვდა. აქ იგი ბერად აღიკვეცა და თავისი ცხოვრება ღმერთისადმი სამსახურს მიუძღვნა. 980 წლიდან მთელი 25 წლის განმავლობაში სვიმეონი წმიდა მამანტის სახელობის მონასტრის წინამძღვარია. შემდეგ მონსტრის წინამძღვრობა თავის მოწაფეს — არსენის გადააბარა, თვითონ კი იქვე განმარტოვდა როგორც რიგითი ბერი. ამ პერიოდში შექმნა მან თავის საღვთისმეტყველო შრომები, რომელთა ნაწევრები შესულია კრებული „სათნოთმოყვარების“ V ტომში. მას ეკუთვნის „ქმედითი საღვთისმეტყველო თავნი“, „ღუთაებრივი სიყვარულის კიმნები“ და ძრავალი ღმრთივსულიერი ქადაგება, რომელთაგან გამოკრებილ ადგილებს ვთავაზობთ კიდევ მკითხველს.

მთარგმნელი.

* * *

...ქრისტიანთათვის ჯვარი არის დიდება, პატივი და ძლიერება, რამეთუ მთელი ჩვენი ძლიერება — ჯვარცმული ქრისტეს ძალაშია; მთელი ჩვენი ცოდვიანობა მოკვდინებულია ქრისტეს სიკვდილით ჯვარზე, და მთელი აღზევება და განდიდება ჩვენი — ღმერთის თავმდაბლობაშია, რომელმაც იქამდე დაიმდაბლა თავი, რომ ბოროტისმოქმედთა და ავაზაკთა შორის სიკვდილიც კი ინება. ამ მიზეზით, ქრისტიანები, რომელთაც სწამთ ჯვარცმული ქრისტე, ჯვრის ნიშს გადაისახევენ ხოლმე არა უბრალოდ, არა ისე, როგორც მოხვდებათ, არა გულგრილად და არა დაუდევრობით, არამედ მთელის გულისყურით, თვითნაღრმავებით, შიშით, თრთოლვით და უაღრესი მოწიწებით, რამეთუ სახე ჯვარისა მომასწავებელია ღმერთთან შერიგებისა და დამეგობრებისა, რისი ღირსიც ადამიანი შეიქნა. ამიტომ დემონებსაც ეშინიათ ჯვარის სახისა, და ჰაერში ჩვენს მიერ გამოსახული ჯვარის ნიშის დანახვასაც კი ვერ იტანენ. არამედ ძრწიან მის წინაშე და მყისვე გარბიან. რადგან იციან, რომ ჯვარი არის ნიში ადამიანის დამეგობრებისა ღმერთთან, და რომ მათაც, როგორც განდგომილთ ღმერთისაგან და

მის წინააღმდეგობით, მოშორებულთ საღმრთო პირისაგან მისისა, უკვე აღარ აქვთ ძალი და თავისუფლება იმათ მიეახლონ. ვინც ღმერთს შერიგებია და შეერთებია, და უკვე არც ის ძალუძთ, რომ აცთუნონ ესეუითარნი და თუკი გვერდებია კიდევ, რომ ღმერთები გამოსცდიან ზოგიერთ ქრისტეანს, დაე ყოველმა უწყოდეს, რომ ღმერთები მხოლოდ იმათ ებრძვიან და მიემძლავრებიან, რომელთაც ჯეროვნად ვერ შეუმეცნებიათ მაღალი საიდუმლო ჯვარისა. ისინი კი, რომელთაც უწყობისხმა-უყვიათ ეს საიდუმლო და მართლაც გამოცდილებით შეუმეცნებიათ ხელმწიფება და ძალა, რაც ჯვარს ღმერთებზე აქვს, და რომელთაც ისიც შეუტყვიათ, რომ ჯვარი ადამიანის სულს ანიჭებს სიმტკიცეს, ძალას, აზრსა და ღვთაებრივ სიბრძნეს, — ასეთი ადამიანები უდიდესი სიხარულით დალაღებენ: „ჩემდასუ ყოფინ სიქადულ, გარნა ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამო ჯვარცმულ არს, და მე — სოფლისა“ (გალატ. 6, 14).

* * *

თავდაპირველად, როცა ღმერთმა ადამიანი შექმნა, თავის სახედ და ხატად შექმნა იგი — წმიდა, უვნებო და უცოდველი, და ადამიანიც მაშინ ნამდვილად მსგავსი იყო ღმერთისა — თავისი შემოქმედისა, რამეთუ წმიდა, უცოდველი და უვნებო ღმერთი თავის ქმნილებებსაც წმიდათ, უცოდველებსა და უვნებოებს შექმნის. მაგრამ რადგანაც უცვალებლობა არის მხოლოდ ერთის — დაუსაბამო და არაქმნილი ღმრთაების თვისება, ამიტომაც ქმნილი ადამიანი ბუნებითვე იყო ცვალებას დაქვემდებარებული, თუმცა კი, ღმერთის შეწევნით ჰქონდა უნარი და შესაძლებლობა არ დაქვემდებარებულიყო არანაირ ცვალებას.

ასე რომ, ადამიანი (თავდაპირველად) წმიდა იყო, და, როგორც წმინდანს, არ სჭირდებოდა არანაირი სჯული, რამეთუ მართალსა და კეთილმსახურს არ უბმს სჯული. ან კი რად უნდა სჭირდებოდეს სჯული წმიდას, უვნებოსა და უზაკველს?! — სჯული ხომ იმას გვიბრძანებს, კეთილი მოიმოქმედეთ და ბოროტს ნუ იქმნით. მაგრამ საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ „იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნა, და აჰა, კეთილ ფრიად“ (დაბად. 1, 31). ამრიგად, თუკი ყოველივე იყო კეთილ ფრიად, მაშინ რაღა საჭიროება იქნებოდა ადამიანისათვის შევონებული ყოფილიყო. თუ რა არის კარგი და რა არ არის კარგი?! რადგანაც არაფერი არ იყო ისეთი, რაც ფრიად კეთილი არ იქნებოდა, ამიტომ იმ პირველ ადამიანსაც არ ესაჭიროებოდა საღმრთო სჯული.

თუმცა რადგანაც მას ნება ჰქონდა მიცემული სამოთხის ყველა ხის ნაყოფი ეჭამა, მათ შორის, თვით ცხოვრების ხისაც, ამიტომ ის მცნებაც მიეცა, რომ მხოლოდ ერთი ხისაგან არ ეჭამა, რათა სცოდნოდა, რომ ცვალებას იყო დაქვემდებარებული, და სიფრთხილით ყოფილიყო, რომ სამუდამოდ ამ კეთილ და ღვთაებრივ მდგომარეობაში ეცხოვრა. იმ სიტყვებით, რომელნიც ღმერთმა ადამიანს უთხრა, როცა მცნებას დაუღებდა — თუკი შეჭამთ ამა ხის ნაყოფს, სიკვდილით მოკვდეთო — იგი აცნობებდა ჩვენს პირველმშობელს, რომ ის ცვალებას იყო დაქვემდებარებული.

ასე რომ, მაშინ, სამოთხეში, არ იყო საჭირო სჯული — არც დაწერილი და არც სულიერი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანმა შეჭამა აკრძალული ხის ნაყოფი და მოკვდა მწარე სიკვდილით, ანუ განეშორა ღმერთს და ხრწნილებას ეწია, მაშინ, იმისთვის, რომ იგი სრულიად არ მოკლებოდა ყოველგვარ სიკეთეს, მას სჯული მოეცა საცოდნელად იმისა, თუ რა არის კარგი, და რა — ცუდი (რამეთუ ბოროტება ძალზე გავრცელდა კაცთა მოდგმაში და მეტიხმეტად მძლავრობდა

მასზე იმ მიზეზისა გამო, რომ ადამიანი ხრწნილებას დაქვემდებარებით სავალალოდ მოუძღვრდა). შეცოდების შედეგად ადამიანი დაბრძალა (სულიერად) გონებაც დაკარგა და უგნური შეიქნა; ამიტომაც საჭიროებდა შეგონება-დამოძღვრას, როგორც ეს ფსალმუნებშია ნათქვამი: „განანათლენ (უფალი) თვალნი ჩემნი და განვიცადნე საკვირველებისა შჯულისა შენისანი“ (ფსალმ. 1/18, 18) და „ხელთა შენთა შემქმნეს და დამბადეს მე; გულისხმა-მიყავ, და უფსწავლნე მე მცნებანი შენი“ (იქვე, მუხლი 73). ხედავ, რა საწყალობელ მდგომარეობას სწევია ადამიანი და, ამიტომ, როგორ დასჭირვებია დაწერილი სჯული?! რამეთუ ცოდვით დაცემის შემდგომ მას უკვე ისიც არ შეეძლო, რომ ამა ქვეყნის მცნობელობა ჰქონოდა, თუკი მანამდე ღმერთისაგან არ იქნებოდა განათლებული ზეგარდმო ასეთი მცნობელობით.

ხოლო მერმე, როცა ამქვეყნად ქრისტე მოვიდა და ესოდენ მჭიდროდ შეაერთა თავის თავში ღმრთაება და ადამიანობა, ისე, რომ ეს ორი რამ, ძალზე განსხვავებულნი და შორს მდგარნი ერთმანეთისაგან, ანუ ღვთაებრივი ბუნება და ადამიანური ბუნება ერთ პირად, ერთ ჰიპოსტასად შეიქნა, თუმცა კი შეურევნელად და შეუხვევლად ჰგებდა ერთად, — იმ დროიდან მოყოლებული ადამიანი თითქოსდა ნათლად შეიქნა ღმერთის თავდაპირველ ნათელთან შეერთების გზით, და ამიტომ უკვე აღარ სჭირდება არანაირი დაწერილი სჯული, რადგან ღვთაებრივ მადლს იესო ქრისტესი, მასთან და მასში დავანებულს, ნაყოფად გამოუღვია მისთვის კეთილი არსებობა, ანუ სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, ნრავალმოთმინება, სახიერება, მოწყალება, რწმენა, სიმშვიდე და კეთილკრძალულება. ამიტომაც წმიდა პაულე მოციქული, ჩამოთვლის რა ამ ნაყოფთ სულისა წმიდისა, უკანასკნელ ამბობს: „ხოლო ესევეითართავის არა ძეს მჯული“-ო (გალატ. 5, 23), რამეთუ მართალი მორწმუნისათვის საჭირო არ არის სჯული. ხოლო ვისაც არ აქვს შეძენილი ეს ნაყოფნი სულიწმიდისა, ის არც არის ქრისტესი, ვითარცა ბრძანებს იგივე მოციქული: „უკეთუ ვისმე სული ქრისტესი არა აქუს, იგი არა არს მისი“ (რომ. 8, 9). ასეთმა ადამიანმა კიდევ ბევრი უნდა იღვაწოს და ეცადოს, რომ ქრისტესი შეიქნას და ამაოდ არა სწამდეს ქრისტე, რამეთუ, თუკი ამაოდ იწამებს ქრისტეს, ვერაფერი სარგებლობა ექნება მისაგან: მთელი მისი რუღუნება და ღვაწლი იმისკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ მოიპოვოს სული ქრისტესი და, ამგვარად გამოიღოს ნაყოფნი სულიწმიდისა, რამეთუ სწორედ ამაში, ანუ სულიწმიდის ნაყოფთა გამოღებაში მდგომარეობს კიდევ სულიერი სჯული და კეთილი არსებობა ყოველი ადამიანისა.

* * *


უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვეუბნება: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (მათე 5, 3). ამ სიტყვების მოსმენისას ჩვენ ფიქრით უნდა ჩაუღრმავდეთ საკუთარ თავს და კარგად გამოვიკვლიოთ ჩვენი სული — ამგვარნი ვართ თუ არა ჩვენ, ანუ სულით გლახაკნი თუ ვართ, რათა ცათა სასუფეველი საკუთრივ ჩვენი სამემკვიდროც იყოს; და იგი იმდენად უნდა იყოს ჩვენი, რომ შინაგანი გრძნობით ახლავე, ქვეყნიურ ცხოვრებაშივე ვიყოთ დარწმუნებული, რომ მართლაც მოგვიპოვებია ცათა სასუფეველი და ნამდვილად შეგვიძენია მისნი საუნჯენი, — ისე, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე გვეეროდეს — მის წიაღთა შორის ვიმყოფებით და განვიხარებთ ტკბობით იმ სიკეთეებისა, რომელნიც ცათა სასუფეველში განუმზადებია ჩვენთვის ღმერთს. რამეთუ უფალი გვასწავლის, რომ ცათა სასუფეველი ჩვენ შორისაა, ანუ ჩვენი

არსების შიგნითაა, ნიში ამისა და დასაბუთება: რომელიც გვიჩვენებს, რომ ცათა სასუფეველი ჭეშმარიტად ჩვენი არსების შიგნითაა, შემდეგია: თუკი ჩვენ გული არ გვითქვამს არაფრისათვის ამა ქვეყნის წარმავალ სიკეთეთაგან — არც ხემდიდრისათვის, არც ხორციელ სიამეთათვის და არც სხვა რამისათვის მიჩიერს საცთურთაგან, და თუკი ნამდვილად განუქორებით ყოველივე ამას, თუკი მთელის სულითა და სრულის გულით განვიკრძალავთ თავს ყოველივე ამასთან იმ ზომით, რა ზომითაც სამეფო პატივითა და ძალაუფლებით განდიდებული ადამიანები განიკრძალავენ თავს სამეძაო სახლებში მოარულთაგან, და იმ ზომით, რა ზომითაც სუფთა სამოსით შემოსვასა და კეთილსურნელი საცხებლების მოხპარებას ჩვეული ადამიანები განუქორებითან არაწმიდა ადგილთ და სიმყრალეთ, — მაშინ ნამდვილად შევიგრძნობთ ჩვენი არსების შიგნით ცათა სასუფეველს. ხოლო ეინც არ განუქორება ყოველივე ამას და დიდი სურვილით მიიდრიკება ამჟონსადმი — ამაქვეყნის საცთურთადმი, რომელნიც ჩვენ მოვიხსენიეთ, — ესევეთარს არ უხილავს ცათა სასუფეველი, არც უყნოსია და გემოთიც არ შეუგრძენია მისი სიტკბოებანი და კეთილსურნელებანი; და ასეთი ადამიანი, ბუნებრივია, ვერც საკუთარი არსების შიგნით შევიგრძნობს ცათა სასუფეველს.

* * *

როგორადაც სული, ეს გონიერი და აზრობრივი ძალა, ერთს რამედ შეაერთებს სხეულს, ძრავალი ისეთი ნაწილისაგან შემდგარს, როგორიცაა ხორცი, ძვალნი, ნერვები, სისხლძრავები, ტყავი და მისთანანი, ისე, რომ ყველაფერს ამას საკვირველად აკავშირებს იგი საკუთარი ძალით და კეთილადაც ინარჩუნებს სრულს ჰარმონიაში, როცა ეს ნაწილები სხეულისა ერთურთს ეხმარებიან და ინახავენ, შეერთებულნი და გაძლიერებულნი ერთი სულით, რომელიც თუკი გაეყრება სხეულს, მაშინ მისი ეს ნაწილები კარგავენ ურთიერთკავშირს, დაირღვევიან და გახრწნას მიემთხვევიან, — აი, ამგვარადვე მადლიც სულიწმიდისა შეაერთებს თვით ადამიანის სულს თავის თავთან ღვთაებრივი ძალით და განაცხოველებს მას, და არის თითქოსდა სული — სულისა, როცა მის ძრავალ და სხვადასხვა ზრახვებსა თუ სურვილებს ღმერთის ერთიან ნებას უმორჩილებს, რაშიც მდგომარეობს კიდევ ჭეშმარიტი ცხოვრება; ხოლო, როცა მადლი სულიწმიდისა მოაკლდება ხოლმე ადამიანის სულს, მაშინ მისი ყველა ზრახვა თუ სურვილი განიფანტება და განიხრწნება (ანუ მახინჯდება). ამრიგად, თუკი ვიტყვი, რომ შესაძლებელია რომელიმე სხეული ადამიანისა სულის გარეშეც ჰარმონიულად ჰკიებდეს და თავის წოდებაში იყოს, მაშინ იმის თქმასაც შევძლებთ, რომ ადამიანის სულსაც ძალუძს თავის წოდებაში იყოს, გონიერებითა და გულისხმისყოფით აღესილი, სულიწმიდის მადლის გარეშე; მაგრამ, ვაი, რომ შეუძლებელია, — ადამიანის სხეულის არსებობაც სულის გარეშე, და რაოდენგზის უმეტეს — ადამიანის სულის კეთილად არსებობაც — სულიწმიდის მადლის გარეშე. ასე რომ, როგორც უსულო ადამიანია მკედარი ამა ქვეყნის საგანთა რიგში, ასევე სულიწმიდის მადლს მოკლებული ადამიანის სულიც მკედარია საღმრთო არსებათა რიგში; და როგორადაც შეუძლებელია უსულო სხეული ცოცხალთა შორის მითვლებოდეს, ასევე ყოვლად შეუძლებელია სულიწმიდის მადლს მოკლებულ სულს ცათა შორის ჰქონდეს საცხოვრებელი იმიტომ, რომ ყოველი მომკედარი უმოქმედო და უსიცოცხლოა, ამიტომაც, ყოველი ადამიანისათვის, ვისაც ქრისტე სწამს, აუცილებელია მის მიერი ნათლის მიღება. რათა ხელახლად შეიქმნას სულიწმიდის მადლით და აღორძინდეს, და იქცეს ახალ ქმნილებად, ხოლო ვინაც ზეგარდმო მეორედ არ იშვება, როგორც ამას თვით უფალი ჩვენი იესუ

ქრისტე ბრძანებს, ის ვერ შევა ცათა სასუფეველში, და იმასაც ვერ შეიძლებს, რომ თუნდაც იხილოს იგი; და ვინც ვერ იხილავს ცათა სასუფეველს, მისთვის ყოველად შეუძლებელია მისი დამკვიდრება.

ცათა სასუფეველში შესვლა მხოლოდ კეთილ საქმეთათვის როდი მოემად-
 ლება ხოლმე ადამიანის სულს, არამედ — რწმენისათვისაც,  რწმენით მისი ზეგარდმო შობით მოგვეცემა. ამრიგად, ცათა სასუფეველს კარგად შევძლებთ ად-
 სრულებულ კეთილ საქმეთა მიერ დავიმკვიდრებთ. ამიტომაც ვისაც ჭეშმარიტად
 სწამს და ვინც ნათელს-იღებს წყლითა და სულიწმიდით, ის ცათა სასუფეველში
 შევალს ვითარცა შობილი მასში, მის მიერ და მისთვის. კვალად ვინც ზეგარდმო
 აშვება (წმიდა ნათლის-ღებაში), ის ცათა სასუფეველს ჭკრეტს, და უკვე იმთა-
 ვითვე ვითარცა შერაცხული ცათა სასუფეველის მხედრად და მოწაფედ (ძედ), და-
 იმკვიდრებს კიდევ მას თავის მიერ მოქმედებულ კეთილ საქმეთათვის, რომელთაც
 ვერავინ ვერ მოიმოქმედებს ისე, თუ მანამდე ცათა სასუფეველის მხედრად არ შე-
 იქნა. რამეთუ როგორც ჩვენი ადამიანური ბუნება ამა ქვეყნის ნათელში ისე გა-
 მოდის, რომ ადამისეულ წყევლა-შერჯენებასაა ნაზიარები, ასევე ცათა სასუფეველის
 ნათელში ემბაზიდან ჩვენ გამოვდივართ ნაზიარებნი იესო ქრისტეს მიერ კურთ-
 ხევას და თუკი ჩვენი ბუნება თანამოზიარე არ შეიქნება ქრისტეს ღვთაებრივი
 ბუნებისა, თუკი არ მიიღებს სულიწმიდის მადლს, მაშინ მას არ შეეძლება არც
 ფიქრი და არც მოქმედება იმისა, რაც ღირსი იქნებოდა ცათა სასუფეველისა;

* * *

მძიმე ყოფაში ჩავარდნილი მონა, როგორც კი შეიტყობს მავანზე, — ჩემი
 განთავისუფლება შეუძლიაო, მაშინვე მიეახლება მას, ფერხთ ჩაუვარდება და
 ცხარე ცრემლთა ღვრით დაუწყებს ვედრებას და ყოველმხრივ დარწმუნებას: სა-
 ფასური გაიღე ჩემთვის და მონობისაგან დამიხსენიო. და მისი ამ მოქმედებით
 ცხადი ხდება, რომ ამ მონაში უკვე აღარაფერია დარჩენილი მისი უწინდელი
 თვითხელმწიფებისაგან, გარდა ერთადერთი სურვილისა — გათავისუფლდეს მო-
 ნობისაგან. მაგრამ ამგვარადაც მონა ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიქცე-
 ვა, როცა მონობა მეტად სამძიმო შეიქნება მისთვის. ხოლო თუკი მონობა ადამია-
 ნისათვის არ იქნება გაუსაძლისი, და უფრო მეტიც, ამ მონობაში მას მოსვენებაც
 საკმარისი ექნება და კმაყოფილი ცხოვრებაც, მაშინ ასეთი მონა არც ისურვებს
 გააზატებას.

აწ კი ზემოთქმული ჩვენს სათქმელს მივუსადაგოთ. უფალი ჩვენი იესო
 ქრისტე ბრძანებს წმიდა სახარებაში: „უკუეთუ თქვენ დაადგრეთ სიტყვათა ჩემ-
 ია, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ, და სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება-
 მან განგათავისუფლეს თქვენ“ (იოანე 8, 31-32). უფლის ამ გამონათქვამში იხილ-
 ვება სამი რამ: დადგრომა მის სიტყვაზე, ანუ, დაჯერება მისი სიტყვებისა; ჭეშ-
 მარიტების შეცნობა და გათავისუფლება მონობისაგან ჭეშმარიტების ძალით, და
 არა — თვითხელმწიფებით. აი, ესაა გათავისუფლება! მაგრამ მონა სადღაა? —
 ზემომოყვანილი სიტყვების კვალად უფალი ამბობს: „ყოველმან, რომელმან კმნეს
 ცოდვაი, მონაი არს იგი ცოდვისაი“ (იქვე, მუხლი 34), — აი, მონაც! ნამდვილი
 მონა, რომელსაც არა აქვს თვითხელმწიფება, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით მონი-
 სათვის. ხოლო ცოტა ქვევით უფალი კვლავაც ამბობს: „უკუეთუ ძემან განგათა-
 ვისუფლნეს თქვენ, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ“ (36).

რადგანაც ღმერთი ყოველივეში ჭეშმარიტია და არა სტყუიან ბაგენი მისნი
 ამ სიტყვების წარმოთქმისას, ამიტომ განა გაბედავს ვინმე იმის მტკიცებას, რომ

მონა ცოდვისა თვითხელმწიფების მქონეა?! ყოველ მონას ხომ, სანამ ის მონობაში ჰკვირვებს, არავითარი თვითხელმწიფება არა აქვს. სწორედ ამას გვეუბნება ჩვენ უფალი. ხოლო ღვთაებრივი პავლე მოციქული მაღალის ხმით უღაღადებს მთელს ქვეყნიერებას: „უბადრუკი მე ესე კაცი! — ვინ-მე მიხსნეს მე ხორცთა ამბოგან ამის სიკვდილისათა?!“ — (რომ. 7, 24). თავისთავად გასაგებია, რომ, როცა ვინ-მე ადამიანს რაიმესაგან ისხნის ხოლმე, რა თქმა უნდა, ეს ხსნა მონობისაგან გათავისუფლებას ნიშნავს. ამიტომაც იგივე მოციქული სხვა ადგილას ამბობს: „ახსურებითა მით, რომლითა ჩვენ ქრისტემან განგვაახსნაურნა, მტკიცედ დეგით და ნუ კვალად უღელსა მას მონებისასა თავს-იდებთ!“ (გალატ. 5, 1) რითაც იგი გვიჩვენებს, რომ ეს გათავისუფლება — მონობისაგან მოხდა, და ამ მონობაში მყოფთ არ ჰქონდათ თვითხელმწიფება.

ყოველივე, რაც ჩვენ ვთქვით, სავსებით საკმარისია იმის დასანახად, თუ როგორი თვითხელმწიფება დარჩა ჩვენში მას შემდეგ, რაც ცოდვის მონებად შევიქნით: კერძოდ კი, თვითხელმწიფება ჩვენ იმდენად შეგვრჩა, რამდენადაც ამ მონობისაგან გათავისუფლება გვსურს, და მეტად კი — სულაც არ შეგვრჩა. ამიტომაც ჩვენთვის ჯერ-არს, ამ სურვილს უფალს მივუძღვნიდეთ და შევსძენდეთ მას (ანუ ამ სურვილს) სულიერ მზრუნველობასაც, გულისმიერ ძიებასაც, არა იმდენ კეთილ საქმეთა მოქმედებით, არამედ ჭეშმარიტი რწმენითაც, რათა ქრისტემ, ჩვენს სულთა გამოსახსნელად საკუთარი თავის მსხვერპლად მომტანმა დაინახოს, რომ ჩვენ მთელის სულით, ყოველი ჩვენი ზრახვითა და მთელის სიმტკიცით მოგვსურვებია ხსნა და ვეძიებთ გათავისუფლებას ცოდვის ბოროტი მიმძღვანელებისაგან, და რათა ამისთვის მან განგვათავისუფლოს ჩვენ თავისი დიდი სახიერებისა გამო. ადამიანთაგან არავინ არის თავისუფალი და თვითხელმწიფე. მხოლოდ ქრისტეა ასეთი. ხოლო ასეთია იმიტომ, რომ არის ღმერთი და ადამიანი. იმ დროიდან, როცა ადამი ცოდვის მონა შეიქნა, ყოველნი ადამიანნი მონებო არიან ამა ქვეყნის დასასრულამდე, გარდა იმ ადამიანებისა, რომელნიც აწვევ გათავისუფლებიან ხოლმე ამ მონობისაგან თვით ქრისტეს მიერ. ვითარცა წერილ არს: „პირველი იგი კაცი — ქვეყანისაგან მიწისაი, ხოლო მეორე იგი კაცი — უფალი ზეცით; ვითარცა — იგი მიწისაგანი, ეგრეთცა — მიწისაგანნი, და ვითარცა — იგი ზეცისაი — ეგრეთცა ზეცისაგანნი იგი“ (I კორინთ. 15, 47-48).

რა არის, როგორია ეს „კაცი ქვეყნისაგან მიწისაი“? — ესაა შემრუშე, მტყუარი, ბოროტი, მზაკვარი, პირმოთნე, უყვარული, ბოროტისმსხენებელი, ხარბი, მტაცებელი, უმართლო, მზვაობარი, ამპარტავანი, საკუთარი თავის მგონი რამედ, ისეთი, რომელიც სხვა ადამიანთა მსგავსია, მაგრამ თავი ბევრად აღმატებული ჰგონია სხვებზე.

ხოლო ზეციური კაცი როგორილა? — ესაა წმიდა, ღირსი ანუ სათნო ღმრთისა, მართალი მორწმუნე, ყოველთა მოყვარული, როგორიც იყო კიდევ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რამეთუ როგორადაც ბუნებრივი (ხორციელი) მამა შობს თავის შვილებს მსგავსთ თავისა, ასევე მეორე მამაც — სულიერი მშობელი — ქრისტე თავისსავე მსგავსებად შობს შვილებს — წმიდათ, მართალთ, თავისუფალთ ცოდვისაგან და თვითხელმწიფედ, როგორიც თვითონაა მამა მათი.

* * *

რაც სწეულებაა სხეულში, ის სულისთვის ცოდვაა. სხეული რომ ასტკივდება, ადამიანი უკვე სხვა აღარაფერზე ფიქრობს — არც სიმდიდრეზე, არც დიდებაზე და არც შვება-სიამეზე. არამედ მხოლოდ იმას დასტრიალებს მისი ფიქრი, თუ როგორ განიკურნოს სხეული და როგორ აღიდგინოს ჯანმრთელობა. ასე-

ვე, როდესაც სულია დანსეულეული ცოდვით, ჯერ-არს მთელი ჩვენი ზრუნვა სხვას რასმე კი არ მივმართოთ, — სიმდიდრის, დიდებისა თუ სიამტკბილობის მოპოვებას, არამედ მხოლოდ იმას, თუ როგორ ვუწამლოთ ჩვენს სულიერ დაავადებას და როგორ დავუბრუნოთ ჩვენს სულს უწინდელი სიმდიდრე და მაშინ, როცა დადგება დღე საშინელი განკითხვისა და მე დასნეულეული სულით წარვსდგები მაღალი მსაჯულის წინაშე, ერთიანად მოწყლული სხვადასხვა სულიერი სნეულებებით. — მაშინ რისი თქმა შეეძლება მე, უწინდელი სიმდიდრის, თავის გასამართლებლად?! განა არ მეტყვიან მაშინ, რატომ არაფერი არ იღონე შენი სნეული სულის განსაკურნებლად?! განა არ მარცხვენ იმისათვის, რომ ამის სანაცვლოდ მთელი ჩემი ცხოვრება ამაოდ მიშრომია ყოველივე ამაქვეყნიურისათვის და მხოლოდ იმისათვის მიზრუნია, რომ სიმდიდრე მომეხვეჭა, ცრუდიდება მომეპოვებინა და ცარიელი სიამ-ტკბილობანი მიმელო?!

ამის მიზეზი კი, ვგონებ, ის არის, რომ ცოდვილმა ადამიანმა არ უწყის თავისი სულის სნეულებანი და არც იმასა გრძნობს აწინდელ წარმავალ ცხოვრებაში, თუ რა ბოროტებას შეამთხვევს იგი საკუთარ სულს; ხოლო რაკი არ უწყის ეს და რაკი ვერც გრძნობს ამას, იგი მწარედ ტყუდება თავის თავში, რადგან ფიქრობს, ყველაფერი ჩემს თავს კარგად არის და არაფერი მაქვს შესაშფოთებელი ჩემი სულის მდგომარეობის გამო. და განა იმიტომაც არ არის ცოდვილი ადამიანი (ანუ სულით სნეული) ამპარტავანი, რომ ყოვლად უგრძნობელია იმ ბოროტების მიმართ, რასაც მას ცოდვები შეამთხვევენ?! და კიდევ რა? — რაც უფრო უგრძნობელია ადამიანი, მით უფროა იგი ამპარტავნებით შეპყრობილი, როგორც ამბობს კიდევ ღვთაებრივი დავით მეფე: „ამპარტავნებაი მოძულეთა შენთაი ამაღლდა მარადის“ (ფსალმ. 73, 23). ხოლო არის რა ამპარტავანი, ესე-ვითარი აზრადაც კი არ გაივლებს იმას, რომ იგი შეიძლება სნეული იყოს სულით, და სიძულვილითაც კი შეხედება ხოლმე მას, ვინც სულის სნეულებაზე დაუწყებდა საუბარს, ანთუ წამლობას შესთავაზებდა სნეული სულისა, და ეს მაშინ, როცა ჭეშმარიტი ქრისტიანი, მგრძნობელი თავისი სულის წყლულებისა თუ სნეულებებისა, თვით ეძიებს მკურნალს და ხალისით ემორჩილება მისმიერ კურნებას.

როცა ჩვენი სხეული სნეულდება, ტკივილს შევიგრძნობთ ხოლმე, და ამის გამო საკურნებელ საშუალებასაც ვეძებთ, რათა სიჯანსაღე დავიბრუნოთ და აღარ ვგრძნობდეთ ამ ტკივილს. ჩვენ რომ სხეულებრივი გრძნობის უნარი არ გვექონოდა, მაშინ ტკივილსაც ვერ შევიგრძნობდით, და თუკი ტკივილს ვერ შევიგრძნობდით, არც განკურნვის მოთხოვნილება გაგვიჩნდებოდა. ამიტომ ჯერ-არს სულშიც ამის უნარი გვექონდეს, ანუ ჩვენი სულიც თავისი სულიერი გრძნობით შევიგრძნობდეს თავის სნეულებას. მაგრამ უფრო პირიქით არის ხოლმე, — სული ჩვენი ვერ გრძნობს თავის სნეულებას. ხოლო რადგანაც ვერა გრძნობს, ამიტომ არც უძძიმს თავისი სნეულება და არ ეძიებს მისგან განკურნვას. ამის შედეგია ის, რომ ცოდვილი ადამიანი, რაკი ვერ გრძნობს დასნეულეული სულის ტკივილს, გულმხიარულად განაგრძობს ცხოვრებას და არ მწუხარებს თავის ცოდვათა გამო. და ეს მდგომარეობა ნამდვილად ვაებისა და ტირილის ღირსია: რამეთუ სანამ იგი ამგვარია, მისი განკურნვა სულიერი სნეულებისაგან შეუძლებელია, და რაკი ის განუკურნავია, ამიტომ დაღუპულიცაა — ყოვლადსაძულველი ღმერთისა და მისი წმიდა ანგელოზებისთვის.

ამიტომაც ჯერ-არს ჩვენთვის, რამდენადაც კი ძალგვიძს, იმაზე ვიზრუნოთ, რომ გრძნობად მოვიდეთ ჩვენს სულში, შევიგრძნოთ ტკივილი ჩვენს ცოდვათა

გამო და ვეძიოთ მკურნალი სულთა და სხეულთა — უფალი ჩვენი იესო ქრისტე; ჩვემთხვიოთ მას და მხურვალედ ვევედროთ განკურნვა-გამრთელებას ჩვენი სხეული სულებისა. სულის სხეულებანი კი ადამიანისა არის გულის-თქმა/სიმ-
დიდრისა, დიდებისა და სიამტკბილობებისა, რომელთა მიზეზითაც ^{ადამიანები} ბოროტნი, მრისხანენი, კეთილისადმი აღუძერელნი, ამაოთმოყვარენი, ხარბნი, უკეთურნი, მზვაობარნი, ამპარტავანნი, შურით აღვსებულნი, ადამიანთა ^{მტრნი} და შურისმაძიებელნი არიან. რას იტყვი შენ ამის შესახებ, კოი, ^{განა?} განა კნინნი და უმნიშვნელონი არიან შენი სულის ეს სხეულებანი?! განა შეიძლება კეთილად კურთხეული იყოს ის სული, დაე, თუნდ ქრისტეს მორწმუნეც, რომელიც ვერ გრძნობს ამ სხეულებებს და არ მწუხარებს თავის ცოდვათა გამო?! განა მწარედ არ უნდა ტიროდეს და მოთქვამდეს იგი ამის გამო, რათა მკურნალმა ჩვენმა, იხილავს რა მას გულშემუსვრილს, წყალობით მოხედოს მას, და მოანიჭოს უნარი ამ სხეულებათა დანახვისა და შეგრძნობისა?! რამეთუ სანამ სული ადამიანისა არ დაინახავს და არ შეიგრძნობს თავის სხეულებას, ყოვლად ძლიერ მკურნალსაც არ ძალუძს მისი განკურნვა, ანუ არ ნებავეს ეს, რადგან ყოვლადსამართლიანია.

მაგრამ რა არის ეს განკურნვა სულისა? — ესაა რაღაც საკვირველი ცვა-
ლებადობა სულისა, რისი წყალობითაც განკურნებულ სულს ადამიანისა საძაგლად და ჭირად მიაჩნია თავისთვის ის ბოროტი ავხორცობა, რომელიც უწინ ეგზომ სასურველად ჰქონდა დასახული, და ამისთვის სძულს იგი, თლონდ არა თავისი თავის მიერ, არამედ მადლის ძლით მისი განმკურნავი უფლისა, რომელსაც განადიდებს და მადლსაც მიუძღვნის შემდგომ ყოველთვის, და რომლისთვისაც ხმა-
მალლად უქადაგებს ყველას, თითქოსდა ღვთაებრივ დაკითხვას მღაღადებელი ამი-
სა: „ესე არს განახლებაი მარჯვენისა მადლისაი“-ო (ფსალმ. 76, 11). მაგრამ ამისთვის, რომ მკურნალი მოგვევლინოს მხსნელად, ჯერ საჭიროა მოუხმოთ მას, ხოლო მოხმობისათვის აუცილებელია მანამდე დავინახოთ ჩვენი სულის სხეულება და შევიგრძნოთ იგი.

* * *

კაცთმოყვარე ღმერთმა კეთილად ინება იმგვარად განეგო, რომ მის მიერ ი მადლისაგან განშორებული ადამიანი მრავალ შიშში, სხვადასხვა უსიამოვნებებში, მწუხარებასა და გაჭირვებაში იყოს შთავარდნილი. ამგვარად მიატოვებს უფალი ესევეთარს, — დამძიმებულს ყოველივე ამისაგან, ყოველის მხრივ შეჭირ-
ებულს და საკუთარი თავის მიმართაც მბრძოლს. ხოლო მიზეზის გამო ყოვე-
ლივე ამისა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი საკვირველია — აღსავსე სიყვარულითა და საღმრთო სახიერებით, როგორც მეტად მდიდარს კაცს ვისმე, მეოლს საყვარელი ძისა, თავისი უდიდესი სიყვარულისა გამო მისადმი არ უნდა, რომ ძე მისი სადმე სხვაგან ეძიებდეს და სხვა ვისმესაგან მიიღებდეს ყოველ სახმარს თავისთვის — საზრდოსაც, სასმელსაც, შესამოსელსაც და ყოველ საშუებულს. და მოსასვენებელსაც, არამედ სურს, ყველაფერი ეს მისმა ძემ მხოლოდ მისგან — მშობელი მამისაგან მიიღოს და ამის ძლით ყოველთვის მის გვერდით იმყოფებოდეს, მის წიაღთა შორის შუკბული და მოსვენებული, და თუკი ისეც მოხდება, რომ ძე მისი გაექცევა და სადმე სხვაგან, სხვისგან მოისურვებს თავისი სახმარის მიღებას, მაშინ მამა ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ძემ მისმა ან საერთოდ ვერაფერი ვერ მოიძიოს სხვაგან, ანდა ძალზე დიდი შრომითა და ოფ-
ლის ღვრით მოიპოვოს აუცილებელი, და კიდევ მეტიც, იგი თავისი ხელმწიფე-

ბის ქვეშ მყოფთაც, ყველას აუწყებს, სადაც კი ნახოთ ჩემი ძე, აქეთ-იქით მოყი-
 ალუ, აქეთ გამოუტყეთ, ყველანაირი უსიამოვნება მიაყენეთ და აიძულეთ, ვინ-
 დაც ამის არანაირი ხალისი არ ჰქონდეს, უკან დაბრუნდესო, ჩემთან, მის მოყვა-
 რულ მამასთანო, რადგან სხვაგან ვერსად ვერ ჰპოვებს ნამდვილ მოსვენებასო, —
 აი, ზუსტად ამ სახედვე მოექცა შემოქმედი ღმერთი მისგან მოშორებულ ადა-
 მინასაც, რაკი იძვარად განაგო, რომ იგი ვერ პოულობდეს მოსვენებას აწინდელ
 ცხოვრებაში ამაქვეყნიურ საგანთა შორის, და ამით იძულებულად ჩვენი ყველაფერ
 ელადსახიერ ღმერთთან დასაბრუნებლად ირჯებოდეს, — ყოველთა უფლისა და
 მუჟისა, მამისა და ყოვლისმპყრობელისა, განმგებელისა და მომასვენებელისა,
 გამომსყიდველისა და მხსნელისა თანა დასაბრუნებლად, და დაბრუნებული მას-
 თან შემდეგში ყოველთვის მის წილში იმყოფებოდეს, რათა ამგვარად ადამიანი
 ჩხოლოდ თავის შემოქმედში ნახულობდეს მოსვენებას, და ღმერთიცა, მამა
 მისი, განიხარებდეს მის გამო, რამეთუ ძე თვისი საუკუნოდ თავისთან დამ-
 კვიდრებული ეყოლება.

* * *

ჩვენი უპოვარებისა და სიღუბჭირის გამო უნდა ყველამ ვიცოდეთ, რომ
 ღმერთმა სამართლიანად დაგვაღო ეს სასჯელი, როგორც დროებითი რამ, და ამი-
 ტომ ღმერთისადმი მადლის მიძღვნით უნდა დაეთმოინოთ იგი, რათა მოვიზიდოთ
 ჩვენზე კეთილმოწყობა, მოწყალება და მზრუნველობა ღმერთისა, და ღირსნი
 შევიქნათ მის მიერ მადლის მიღებისა. „რამეთუ რომელი უყვარს უფალსა,
 სწავლის; და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის“ (ებრ. 12, 6), რათა
 დამორჩილდეს დასჯილი ადამიანი თავის ხვედრს და შორს იყოს ამპარტავნე-
 ბისაგან. ხოლო სწავლის და სტანჯავს მათ უფალი სნეულებებითა და მწუხარე-
 ბებით, რათა თავისკენ მიიზიდოს ისინი და მარად თავისთან ჰყავდეს;
 იმ შრომათა და ღვაწლთათვის კი, რომელთაც ადამიანი მადლიერებით დაითმენს,
 გვირგვინოსან-ჰყოფს მას უფალი მოთმინების გვირგვინით და შექნის მას სასურ-
 ველ ძედ თავისა.

ადამის შეცოდება სხვას რასმე კი არ მოჰყვია: არამედ იმას, რომ მას უშ-
 რომველად და გაუჭირვებლად უხვად ჰქონდა ყოველი სიკეთე. ამიტომაც მცნე-
 ბის დარღვევისათვის ღმერთმა ასე განგვიჩინა, რომ შრომითა და ოფლით პირისა
 ჩვენისა მოვიპოვებდეთ არსობის პურს სიკვდილამდე. მაშასადამე, თუკი აწინ-
 დელ ცხოვრებაში ყველა ადამიანისათვის უპოვარება და სიღუბჭირება დადგენილი
 შემოქმედი ღმერთის მიერ, როგორც ბუნებრივი, დროებითი სასჯელი, მაშინ უნ-
 და ვიცოდეთ, რომ ის ადამიანი, ვინც მთელი თავისი უმართლობით ცდილობს
 გაექცეს ამ უპოვარებას და ყოველგვარი კეთილდღეობა ამა ქვეყნისა მოიპოვოს,
 — ესევეთარი საუკუნო სასჯელს ეწევა, და ეს იმიტომაც ასე, რომ უპოვარების
 თავიდან აცილება აწინდელ ცხოვრებაში შეუძლებელია მტაცებლობის, უმართ-
 ლობისა და ანგარების გარეშე. ამასთანავე, ამაქვეყნიური კეთილდღეობა თუ სიმ-
 დიდრე, რასაც მიწიერი ადამიანები ბედნიერებად მიიჩნევენ, ბუნებრივად აღმო-
 აცენებენ ამპარტავნებასაც, — ამ უმთავრეს წყაროს ყოველგვარი ცოდვისა; ამ-
 პარტავან ადამიანს კი, უმალვე დამხობილს ქვეყნად, ურცხვობა მოაქცევს თავისი
 ზელმწიფების ქვეშ. ანუ მასზე ხორციული ვნებანი ბატონდებიან, რომლებიც მისი
 უგუნურების აღმონაცენნი არიან, რამეთუ საღი აზრი და გონიერება ამგვარ
 ცოდვილში უკვე განხრწნილია, და იგი დაღუპვისაკენ მიექანება.

ამიტომაც ის ქრისტეანი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს და ისწრაფვის
 თავი დააღწიოს თავის უპოვარებას, არ არის მართალი მორწმუნე და მას არ

სურს იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანი, რამეთუ ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის არ შეიძლება სიღუბნისა და გაჭირვების გარეშე ამქვეყნად ცხოვრება. ძემ ღმერთისა და თავად ღმერთმა, ხორციელ-იქმნა რა და განკაცდა რა ადამიანური ბუნების უწინდელ ძლიერებაში აღდგენისათვის, არ ინება უმაღლეს განუქმებლად თავდაპირველი განჩინება ადამიანის დასჯისა, ანუ არ განაუქმა უპოვარება ყოველივეში და სიკვდილი, რაც ადამსა და მის მიერ მთელს ჩვენს მოღვაწეს საღმრთო მცნებას გარდახდომისთვის განესაზღვრა; ამიტომაც ისიც, რუმ ქვეყნის მითა და პირის ოფლით მოვიპოვებდეთ არსობის პურს, და ისიც, რომ მიწა ვართ და მიწადვე მივიქცევით, — ეს ღვთაებრივი განჩინება ქვეყნის დასასრულამდე ძალმოსილი იქნება ჩვენზე. მაგრამ რა მოიმოქმედა და აწცა რას იქმს უფალი ჩვენი იესუ ქრისტე ჩვენი ხსნისათვის? — იმას, რომ მორწმუნეთ მისი განკაცებისა და ადამიანთა ხსნის განგებულებისა თავისი ძლიერების თანამოზიარებლად შექნის, და ასევე თავისი სიბრძნისაც, ვითარცა ღმერთი ყოველი სიბრძნისა, და ამით, ისე, რომ საქმით არ განაუქმებს თავდაპირველ განჩინებას, სულიერად განაუქმებს მას იმით, რომ ძალას უკარგავს ამ სასჯელს ჭეშმარიტი მორწმუნეებისათვის, რომელნიც ამიერიდან განძლიერებულნი არიან სულით იმისათვის, რომ მხნედ დაითმინონ ყოველგვარი უპოვარება თუ მწუხარება; და თვითონ პირველმა იტვირთა უპოვარებაც და მწუხარებაც, როცა ჯვარზე უსახელო სიკვდილი მიიღო, და ამით მისაბამ მაგალითად შეიქნა ჩვენთვის. ამის მედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ უფლის წმიდა მოციქულებმაც და ყველა ჭეშმარიტმა ქრისტიანმაც, რომელთაც ქრისტესმიერი მადლისაგან შეიძინეს ძლიერება, ზიხარულით დაითმინეს ყოველგვარი მწუხარება და უპოვარება, და ღმერთს უდიდესი მოთმინების ძალით მოუტანეს ღირსეულნი ნაყოფნი თავიანთი სათნოებისა. ამიტომაც არც წმიდა მოწამენი ევედრებოდნენ ხოლმე ქრისტეს, ტანჯვაწამება თავიდან აგვაცილეო და არც მოსაგრენი არ ეძიებდნენ თავიანთი ღვაწლის შრომათა და ოფლთაგან გათავისუფლებას, არამედ ერთნიცა და მეორენიც გულმხურვალედ ევედრებოდნენ უფალს მხოლოდ იმას, რომ მას მოთმინების ძალა მოემადლა მათთვის, და სწორედ ამ მოთმინებით იღვწოდნენ მოწამეობრივ ღვაწლთა შორისაც და საგრობის შრომათა შორისაც, რათა მომავალ ცხოვრებაში მიეღოთ საუკუნო საზღაური ყოველივე ამისთვის.

* * *

საღმრთო წერილის კითხვა იმას ახწავლის ადამიანს, რაც ღმერთისაკენ წარუძღვება მას და ღვთაებრივად შექმნს; ლოცვა-ვედრება კი იმას იქმს, რომ ღმერთი მოწყალედ მოხედავს ხოლმე თავის წინაშე მლოცველს და განუნათლებს გონებას ღვთაებრივი ნათელით, რათა მას ესმოდეს წაკითხული და ახსოვდეს კიდევ. ის, რაც მრავალი საამქვეყნო საქმის შესახებ არის დაწერილი, მკითხველთ თავისით, დამოუკიდებლად შეუძლიათ გაიგონ, მაგრამ ღვთაებრივი და სულის მაცხოვრებელი ამბების გაგება თუ დამახსოვრება შეუძლებელია ადამიანისათვის სულიწმიდის მადლით განათლების გარეშე.

ვისაც უკვე უსწავლია ჯეროვანი ლოცვა-ვედრება ღმერთის წინაშე, მისთვის იმდენად აუცილებელი როდია საღმრთო წერილის კითხვა, როგორც ლოცვის ჯერეთ არმცოდნისათვის, იმიტომ, რომ მის სულს ღვთაებრივი ნათელი აცისკროვნებს და ღვთაებრივად შეცვლის სულიწმიდის მადლი. ხოლო ის, ვინც ამჯობინებს უფრო კითხვას უჯდეს, ვიდრე ჯეროვან ლოცვას სწავლობდეს, თავს აცთუნებს, ხიბლშია მთავარდნილი და თვითვე განიშორებს თავს ხსნისაგან; უკეთ რომ ვთქვათ, ესევეთარი ადამიანი უგრძნობელია, თუმცა კი ამბობს კიდევ

რომ მთელი საღმრთო წერილი აქვს წაკითხული და ყოველთვის მასზე საუბრობს, ამქვეყნად შეუძლებელია, რომ მიწის რამ ნაყოფი მზის სითბოს გარეშე დამწიფდეს, დაე, თუნდ ზამთარში ცივ მიწაში დებისაგან თესლი გაიყინოს და უსიცოცხლოდ იყოს, გაზაფხულის სითბოს დადგომისთანავე იგი გაღვივდება და მიწიდან ამოიზრდება, რათა ნაყოფი გამოიღოს; ხოლო თუკი განუწყვეტლივ მოქუფრული და ცივი ამინდი იქნება, მისი ნაყოფით არ დამწიფდება. და ეს გაღვივება და მიწიდან ამოზრდა უხმარებელი უსარგებლო იქნება: უმჯობესი იქნებოდა, რომ ის საერთოდ არ ამოზრდილიყო. ამის მსგავსი რამ აღსრულდება ხოლმე იმ ადამიანის თავს. რომელიც გონიერი მზით — ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს მაღლით არ გათბება; რაც მან ჯეროვნად აღუღენილი ლოცვა-ვედრებით უნდა მოიმოქმედოს: ასეთი მორწმუნე ვერ გამოიღებს დასრულებულ სულიერ ნაყოფთ, ანუ იგი ვერ მიიღებს სიტკბოებასა და სულიერ სარგებლობას საღმრთო წერილის წაკითხვისაგან, რადგან სულიერების პარცვალს მასში უგრძნობლობის სიტყვე მოაშთობს.

მრავალი დრო და შრომა, — უფრო გონებისმიერი, ვიდრე სხეულებრივი — არის საჭირო იმისთვის, რომ ჯერ ვისწავლოთ ჯეროვანი ლოცვა, მერე კი, რაკი ვისწავლით ამას, ჯეროვნადვე განუაგრძოთ ლოცვა-ვედრება. ამიტომაც ღვთაებრივი პავლე მოციქული გვიანდერძებს ჩვენ ყოველთვის გულით, და არა მხოლოდ ბაგეებით ვუგალობდეთ და ვადიდებდეთ შემოქმედ ღმერთს (ეფეს. 5, 19). რადგანაც ბაგენი გულის სიუხვისაგან მეტყველებენ, ამიტომ უნდა ისე მოვაწყოთ, რომ ბაგეებით წარმოთქმული ლოცვაც გულის სიღრმიდან და მისი სიუხვისაგან მომდინარეობდეს. ეს კი მაშინ ხდება ხოლმე, როცა ჩვენში გული წმიდა აღმოცუნდება, ღვთაებრივი სული სიმართლით განახლდება და მიიღებს სიხარულს საღმრთო ცხოვრებისა, რა სიხარულიც ქრისტესთან ერთობითა და თანაზიარობით იშვება, ხოლო შემდეგ სულიწმიდის მაღლის სუფევით განმტკიცდება, სიტყვისაებრ წმიდა წინასწარმეტყველისა, რომელიც ჯერ ამბობს: „გული წმიდაი დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“-ო. შემდეგ კი დასძენს: „ნუ განმაგდებ შე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც შე სიხარული მაცხოვრებისა შენისაი და სულითა მთავრობისაითა დამამტკიცე შე“ (ფსალმ. 50, 12-14), რათა ბოროტმა სულებმა ვერც ერთი მხრივ ვერ შეძლონ თავიანთი საცთურითა და თავდასხმებით სულიერ მოძრაობათა და ზრახვათა შერყევა. როცა სული ქრისტეანისა შემძლე შეიქნება ჯეროვანი სახით ლოცვისა, მაშინ შესაძლებელი გახდება, რომ საღმრთო განათლების საიდუმლო სხივთა წყალობით რომელნიც ლოცვის დროს და ლოცვის წიხეზით გარდამოეფინება მლოცველს, მომწიფდეს, ანუ სიტკბოებით იქნეს შეწყნარებული და სარგებლობის მომტანი იყოს ის, რასაც იგი საღმრთო წერილში წაკითხავს და შეიმეცნებს. ვინც ამგვარად არ იქცევა, იმას ჯეროვნად არაფერი ესმის ყოველივე წაკითხულისაგან, არც სიტკბოებას გრძნობს მისგან და არც არავეითარი სარგებლობა აქვს.

* * *

არ არსებობს, როგორც უკვე ვთქვით, იმაზე უფრო დიდი ცოდვა, ვიდრე ღვთის შიშის გარეშე, უყურადღებოდ და უთრთოლველად ლოცვაა. ვინც უბრალოდ ლოცულობს ან ფსალმუნებს გალობს, როგორც მოუხდება — დაუდევრად და შეურაცხად, იმან ნამდვილად არ უწყის ღმერთი, არ უწყის და ამის გამო მისი უგულვებელყოფელია. ამიტომ, თუმცა ღმერთს ვისგანაც მომდინარეობს

ცოდვითა მოტევებაცა და სხვა ყოველი სიკეთეც, მისი შეწყალებაც სურს, მაგრამ ივით მისიე მიზეზით ვერ იწყალებს ასეთ ადამიანს, და შერისხავს კიდევ მას. ესევეითარისათვის უმჯობესია საერთოდ არ ილოცოს, ვიდრე ასე — უჯეროდ წარუდგეს ხოლმე ღმერთს, ანუ მხოლოდ ბაგეებით ლოცულობდეს. სულითვის დამახასიათებელი არ არის ბაგეებით ლოცვა, — იგი გონებით ლოცულობს და ასეთი მლოცველი და ფსალმუნთმგალობელი, რომლის გონებაც არ მონაწილეობს არც ლოცვა-ვედრებისა და არც ფსალმუნთა გალობის აღსრულებაში, უფრო კრო საქმის მომქმედია; ამიტომაც ის უფრო რისხვას ეწევა ხოლმე ღმერთისა, ვის წინაშეც ლოცვით წარმდგარა, როგორაც გონება ხედავს თუ ისმენს, ამგვარადვე ჯერ-არს ლოცულობდეს კიდევ ბაგეების მეშვეობით. ხოლო ის, ვინც საერთოდ არ ლოცულობს და არც ფსალმუნებს უგალობს შემოქმედ ღმერთს, — ესევეითარი თავის მოვალეობას არ აღასრულებს და თანამდები რჩება ღმერთისა; როდისმე ის გონს მოეგება და თანანადებთა მოტევებას შეევედრება ღმერთს, ვის წინაშეც ყველანი მოვალენი ვართ. ხოლო ვინც ასე თუ ისე ლოცულობს, როგორც მოუხდება, ღვთის შიშისა და ყურადღების გარეშე, ის თავის თავს რისხვას მოაწევს ყოველთა თანანადებთა მომტევებელი ღმერთისაგან, ვის წინაშეც ასეთი უღები ლოცვით წარმდგარა, რამეთუ ესევეითარი მხოლოდ ბაგეებით ლოცულობს ღმერთის წინაშე, გონება კი მისი ეშმაკთ ესაუბრება. მაშ, ამის შემდეგ ვისგან უნდა მოელოდეს ამგვარი მლოცველი წყალობას? ვინ მიუტევებს მას თანანადებთ?!

ამრიგად, ჯერ-არს ბაგისმიერი ლოცვითაც წარუდგეთ ღმერთს და გონებისმიერითაც. მაგრამ რადგანაც შეუძლებელია ბაგეებთან ერთად გონებაც მონაწილეობდეს ლოცვა-ვედრებაში, თუკი მანამდე იგი ღირსი არ შეიქნება სულიწმიდის მადლით განათლებისა და მისი ძალმოსილებით არ დაიწყებს მოქმედებას, ამიტომ უპირველესად ყოველისა აუცილებელია იმაზე ვიზრუნოთ, რომ სულიწმიდის მადლით სწორედ ეს განათლება მივიღოთ, და ამის ძლით შემძლენი შევიქნათ იმისა, რომ ჩვენი ლოცვა მხოლოდ ბაგეებით კი არ აღესრულებოდეს, არამედ გონებითაც და მთელი ჩვენი არსებითაც. რათა ღმერთისაგან წყალობის იღების ნაცვლად, მის რისხვას არ ვეწიოთ. რამეთუ არ არსებობს სხვა ცოდვა, რომელიც ასე საძულეული იქნებოდა ღმერთისათვის, როგორც არის უჯეროდ ლოცვა მის წინაშე; ეს ცოდვა ყველა სხვა ცოდვაზე მეტად განარისხებს ღმერთს, რადგან მხოლოდ ბაგეებით მლოცველი, როგორც ვთქვით, გონებით ეშმაკს ესაუბრება და მისი ნების აღმასრულებელია. ასეთ გონებას ადამიანისა ჯერ კიდევ არ დაუფლებია ქრისტე, და ასეთ გონებას არც სურს, რომ ქრისტე იყოს მასში დამკვიდრებული; ხოლო ვისაც არ სურს, რომ მასზე ღმერთი მეუფებდეს, ის მტრად აღუდგება ჩვენს ერთადერთ მეუფეს, ქრისტეს (ლუკა 19, 1).

* * *

რაიმე ვიწრო არხი ან მილი რომ ქვეებით ამოიქოლოს, შეუძლებელი იქნება უკანასკნელი ქვის, ანდა შუათანის. ან თვით იმის გამოღება, რომელიც ყველაზე ახლოსაა პირველ ქვასთან, თუკი მანამდე ამ პირველ ქვას არ გამოვიღებთ. მხოლოდ მისი მოცილების შემდგომ შეგვეძლება დანარჩენთა გამოტანაც რიგ-რიგობით და არხისა თუ მილის განწმენდაც. ამგვარადვეა საქმე ადამიანის ცოდვითა შემთხვევაშიც. როგორც უკვე ვთქვით, ყოველი ადამიანი სამგვარად შესცოდავს ხოლმე: გონებით, სიტყვით და საქმით. პირველი ცოდვაა — გონებისმიერი ცოდვა, და სწორედ იგია მიზეზი ყოველი სხვა ცოდვისა, რომელთაც ადამიანი

სიტყვით და საქმით მოიმოქმედებს ხოლმე; რამეთუ გონება კი არ დაასრულებს ცოდვას, არამედ სიტყვა და საქმე ადასრულებენ იმას, რაც გონებას გამოუგონია. ამრიგად, ამ სამისაგან უპირველესად რომელი უნდა განიკურნოს ქრისტეს მიერ? — ცხადია, რომ პირველი, ანუ გონებისმიერი ცოდვა. რამეთუ, როცა გონება განიკურნება სნეულებისაგან და ღვთაებრივი ნათლითაც განათლდება, როცა იგი კეთილ მდგომარეობად მოვა და უკვე აღარ დაუშვებს, რომ ადამიანი თქვას ან მოიმოქმედოს რაიმე ისეთი, რაც სათნო-არ-ეყოფა ღმერთს. მაშინვე სულიც და-ცული შეიქნება ყოველი სხვა ცოდვისაგან. ამრიგად, როგორადაც კი ძალგვიძს ჩვენ იმისთვის უნდა ვისაგროთ, რომ გონება ჩვენი განიწმიდოს ქრისტეს მიერ და ღირსი შეიქნას სულიწმიდის მადლის მიღებისა. სწორედ ამისთვის — ერთი-სათვის — უფალი ჩვენი იესუ ქრისტე, არის რა ჭეშმარიტი ღმერთი, განკაცდა, ამისთვის დაიომინა ჯვარზე სიკვდილი და ამისთვის აღდგა მკვდრეთით შესაქმნა დღესა. ეს, ანუ ღვთაებრივი ნათლით გაცისკროვნება ადამიანის გონებისა, არის კიდევ აწინდელ ცხოვრებაშივე მკვდრეთით აღდგომა სულისა, რომლის წყალობითაც ჩვენ ძალგვიძს ღირსნი შევიქნათ მომავალი მკვდრეთით აღდგომისა სხეულითაც, მიმოხვევად საღმრთო დიდებისა და საუკუნო ნეტარებისა.

მაშ, უპირველესად ყოვლისა, იმას ვეცადოთ, რომ გონება წარვიმართოთ სიმართლით, რათა იგი მარადის ფხიზლად იყოს, როცა ჩვენ ლოცვას შევდგომე-ვართ, ანდა ვკითხულობთ და შევისწავლით საღმრთო წერილს. რამეთუ თუკი ჩვენ თავდაპირველად გონებას არ განვიკურნავთ, სხვა ყოველივე ამაოდ გვექმნება და სულიცა ჩვენი არაფრით არ წარმატება ღვთის სათნო-მყოფელ ღვაწლში. მრავალნი, ქრისტიანად წოდებულნი და სინამდვილეში კი მოშორებულნი ჭეშმარიტ რწმენას, ამპარტავნებას დამონებიან და დაღუპვის გზაზე დამდგარან ამის გამო, რომ არ გულისხმა-უყვიათ თავიანთი ეს სნეულება, რომელიც ყველა სხვა სნეულებაზე მძიმე და საშიხელია; ამის გამო ესევეთარნი ცრულ ფიქრობენ, რომ სხვა ძმებზე აღმატებულნი არიან, ცუდმედიდობენ თავიანთ მსგავსთა წინაშე და სძულთ კიდევ ისინი, თუმცა კი ეს სნეულება მათ სხვა ცოდვილთა გვერდით აყენებს, რადგან იგი მთელი კაცთა მოღვმისთვისაა დამახასიათებელი, ისევე, როგორც ხრწნადობა და სიკვდილია ყველასათვის საერთო. გონების ეს სნეულება უფრო მალე და ქმედიითად სწორედ უბრალო და უსწავლელ ადამიანებში განიკურნება ხოლმე, თუკა ისინი ამას ნამდვილად ისურვებენ, ვიდრე მეცნიერებით განბრძნობილ ადამიანებში. რომელთაც ჰგონიათ, რომ არიან რაიმე, და თუკი უფრო აღვილად სწორედ უბრალო მორწმუნეები განიკურნებიან, ცხადია, ისინი მეცნიერებზე უმჯობესნი ყოფილან და მათზე უფრო მეტად მიახლოებიან ღმერთს, რომლის მიერაც თავდაპირველად შეიცნობიან და განათლდებიან. შემდეგ კი თვითონაც შეიმეცნებენ მას. თუმცა ყოველ ადამიანსაც, მისი გონების გამოსწორების თანად, საზომიც ეძლევა ჭეშმარიტი მცნობელობისა. ანუ — როგორც საკუთარი თავის შეცნობის ძალა, ასევე — შემოქმედი ღმერთის შეცნობისა. მაშასადამე, რამდენადაც გამოსწორდება, განათლდება და განიწმიდება თითოეული ჩვენგანის გონება, იმდენადვე ძალგვიძს ჩვენ საკუთარი თავისა და ღმერთის შეცნობაც, რომელსა შვენიის დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ.

* * *

ღმერთმა, რომელიც ამა ქვეყანას მოევლინა, ხორციელ-იქმნა და განკაცდა, ორი უდიდესი სიკეთე მოუტანა ამით ადამიანებს, — ერთი ის, რომ ღვთაებრივი ბუნება ადამიანურ ბუნებასთან შეაერთა, რათა ადამიანი განღმრთოებულიყო და

საუკუნო ცხოვრება შეეძინა, და მეორეც ის, რომ ამ განდმრთობულ ადამიანში, ანუ მადლის მიერ ღმერთად შექნილ ადამიანში, საიდუმლო, მიუწვდომელი სახით შესახლებულიყო ყოვლადწმიდა სამება. და იმას, ვინც ესოდენი საბოძკარის მიღების ღირსი შეიქნა მაღალი ღმერთისაგან, განა ძალუძს ამის შემდეგაც სცოდავდეს და ღმერთის წინააღმდეგობი იყოს?! — რამეთუ, როგორც წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ყოველი, რომელი შობილ არს ფარულად, მან ცოდვაი არა ქმნეს, რამეთუ თესლი მისი მის თანა დადგრომილს ხელ-ეწიფების ცოდვად, რამეთუ ღმრთისა მიერ შობილ არს“ (1 იოანე 3, 9).

ცოდვა კი — რა არის? — ცოდვაა ბოროტი ზრახვები, სიტყვები და საქმეები ადამიანისა. ამრიგად, მოციქულის სიტყვისაებრ, არაფერს ამას არ დაუშვებს თავის თავში ის ადამიანი, ვინც ჭეშმარიტად ღირსი შექმნილა ღვთაებრივი განკაცების სიკეთეებისა; ასეთ ადამიანს არც ძალუძს ეს დაუშვას. — ანუ რომ შესცოდოს ბოროტი შეცოდებით, და თუკი თუნდაც მცირედ დაუშვებს ამას, მაშინ ის უკვე აღარ იქნება ამგვარი, — ანუ ღირსეულად მიმღები ღმრთაებისა. ვინც ზოგჯერ კეთილს განიზრახავს, ზოგჯერ კი — ბოროტს, ვინც ზოგჯერ კეთილად მეტყველებს, ზოგჯერ კი — ბოროტად, ვინც ზოგჯერ კეთილ საქმეებს მოიმოქმედებს, ზოგჯერ კი — ბოროტ საქმეებს, — ასეთი ადამიანი იმას ემსგავსება, ვინც ხან ღმერთის წმიდა ტაძარში მიდის, ხან კი საძულველ საკერპე ბონონში შედის, ანუ ხან ღმერთს სცემს თაყვანს, ხან კი ეშმაკსა და მის ბოროტ დემონებს ეთაყვანება. განა ძალუძს ამგვარი იყოს იმ ადამიანს, რომელიც განდმრთობულა და რომელშიც თვით ღმერთი — ყოვლადწმიდა სამება შესახლებულა?!

ამიტომაც ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის ჯერ-არს მარად კეთილს ზრახვიდეს კიდევ, იტყოდეს კიდევ და იქმოდეს კიდევ, რამეთუ როგორც თვით უფალი ბრძანებს წმიდა სახარებაში, „ყოველი მეუფებაი, რომელი განევლთის თავსა თვისსა, ვერ დაემტკიცის“ (მათე 12, 25). მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს მარად, რომ შეუძლებელია ყოველთვის კეთილი ზრახვები გვქონდეს. — რომელთაგან იშვებიან კიდევ კეთილი სიტყვებიცა და კეთილი საქმეებიც, — თუკი მარამდე ჩვენს გონებაში უფალი იესუ ქრისტე არ შესახლდება, რისთვისაც უნდა ვიდევნოდეთ კიდევ მთელი ჩვენი ძალისხმევით.



ჯერ-არს ჩვენდა მთელი ჩვენი გულმოდგინებით, მცდელობითა და ყურადღებით, მთელი ჩვენი სიფხიზლითა და მრავალი ლოცვა-ვედრების ღვაწლით განვიკრძალავდეთ თავს იმისაგან, რომ არ მივებთხვიოთ მაცთურსა და მზაკვარს, ანუ არ შევხვდეთ რომელიმე ცრუ-მოციქულსა და ცრუ-ქრისტეს, რომელიმე ქრისტემტყუვარსა თუ ცრუ-მოძღვარს, და რომ შევიძინოთ ჭეშმარიტი და ღვთისმოყვარე წინამძღვარი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა, რომელსაც თავის თავში ქრისტე ექნება შექმნილი და ზუსტად ეცოდინება წმიდა მოციქულთა სწავლება, წესები და დადგინებანი, ასევე ეკლესიის წმიდა მამების მიერ მიღებული სარწმუნოებრივი დოგმატები; ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, შევიძინოთ ისეთი მოძღვარი, რომელსაც ჭეშმარიტებით ეცოდინებოდა ნება და საიდუმლონი თვით მოციქულთა მეუფისა და მასწავლებლისა, ჩვენი უფლისა და ღმერთის იესუ ქრისტესი!.. დიახ, სწორედ ასეთი მოძღვარი უნდა ვეძიოთ და მოვიპოვოთ ჩვენთვის ხელმძღვანელად, ისეთი, ვისაც ყოველივე ეს თავიდან სიტყვით ექნებოდა მოსმენილი და ნასწავლი, მერმე კი, საიდუმლო სახით, ყოველივეში დაფარულად, ღვთაებრივად იქნებოდა დამოძღვრილი და ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განმტკი-

ცებული თვით სულიწმიდის — ჩვენი ნუგეშისმცემლის მიერ—საქმითაც და გამოცდილებითაც, ისე, რომ ბოლოს ღირსი შექნილიყო თვით უფალ იესუ ქრისტესაგან მოესმინა საკვირველი სიტყვები, რომლებითაც იგი თავის მოციქულებს ეუბნებოდა — „თქვენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლო სასულიეროებისა ცათისა“-ო (მათე 13, 11)... და თუკი ნამდვილად ვეძიებთ ასეთ მოძღვარს, ვიპოვებთ კიდევ, რამეთუ უსამართლო როდია ღმერთი, და როდესაც ვხედავთ ადამიანის დაღუპვას, არამედ, როგორც საღმრთო წერილი გვამცნობს — „მეცხრეტი“ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაითა ყოველი, რომელსა პრწყენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი. რამეთუ არა მოაველინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაითა დასაჯოს სოფელი. არამედ რაითა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“ (იოანე 3, 16-17). თუკი ღმერთმა დაუშვა ის, რომ მისი მხოლოდშობილი ძე სიკვდილად მიცემულიყო, რათა ჩვენ ყოველნი მის მიერ ვცხოვრებულყავით, მაშინ განა შესაძლებელია, რომ ჩვენს წრფელ თხოვნაზე — გამოვიგზავნო შენი რომელიმე ჭეშმარიტი მონა, ვინც გვიწინამძღვრებდა ჩვენ სულის ხსნის გზაზე და გვასწავლიდა მის ნებას. — მაშინ განა შესაძლებელია, რომ ამ თხოვნაზე ღმერთმა უარი გვიპასუხოს და დაგვიძალოს ასეთი ადამიანი და მოგვაკლოს მის უცთომელ სულიერ ხელმძღვანელობას?! არამც და არამც! ეს არ შეიძლება ღმერთმა დაუშვას! ამაში, დაე, კიდევ უფრო მტკიცედ დაგვაჯეროს ჩვენ იმ ამბავმა, რაც ასისთავ კორნილიეს შეემთხვა. როგორც საღმრთო წერილიდან ვიცით, კორნილიე იყო კაცი „კეთილად მსახური და მოშიში უფლისაი ყოვლითურთ სახლეულით თვისით, იქმოდა ქველის საქმესა მრავალსა ერსა მას შორის და ევედრებოდა ღმერთსა მარადის“; ამისთვის იგი ღირს-იქნა იმისა, რომ „იხილა მან ჩვენებით განცხადებულად, ვითარ მეცხრესა ოდენ ჟამსა მის დღისასა. რამეთუ ანგელოზი უფლისაი მოვიდა მისა და პრქუა მას: კორნილიე!. ლოცვაი შენი და ქველის-საქმენი შენნი აღვიდეს სახსენებელად შენდა წინაშე უფლისა და აწ მიაველინენ შენ იოპედ კაცნი და მოუწოდე სვიმონს, რომელსა პრქვიან პეტრე. ამისი ვანი არს სვიმონის ვის-თანა-მე მეპატრაკისა, რომლისა ტაძარი ახს ზღვასა“ (საქმე მოციქულთა 10, 2-6).

აი, ხედავ, თურმე რა კარგად მითქვამს — ჩვენდა ჯერ-არს მთელის გულმოდგინებით და მცდელობით ვესწრაფვოდეთ-მეთქი ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფის მოპოვებას ჩვენს სულიერ წინამძღვრად! ამასთან, ისიც შენიშნე. შვილო ჩემო, რომ საღმრთო წერილი გვაუწყებს — კორნილიე იყო „კეთილად მსახური და მოშიში ღმრთისაი ყოვლითურთ სახლეულით თვისით“-ო. მხოლოდ საკუთარ თავს როდი იმარხავდა ეს კაცი ღვთისმოშიშად, არამედ ყველასაც, ვინც კი მის სახლში ცხოვრობდა. იგი ღმრთის წინაშე შიშს ასწავლიდა, „რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩვენისა ღმრთისა, რომელსა ყოველთა კაცთა პნებას ცხორებაი და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლია“ (I ტიმოთ. 2, 3-4), რათა ყოველი ადამიანი მხოლოდ იმაზე კი არ ზრუნავდეს, რაც მხოლოდდამხოლოდ საკუთრივ მასთვისაა სასარგებლო, არამედ იმაზეც, რაც ყველასთვის იქნება სასარგებლო, ვინც კი მასთან ცხოვრობს და მის გარშემოა. ამრიგად, ეს ასისთავი, კორნილიე, ჯერ კიდევ წმიდა მოციქულებთან შეხვედრამდე, სანამ მათგან განისწავლებოდა ჭეშმარიტ მოძღვრებაში, მანამდე აღასრულებდა მოციქულთა იმ საღმრთო მცნებას, რომელიც გვიბრძანებს — „ნუკინ თვისასა ხოლო ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა თითოეული“ (I კორინთ. 10, 24). კორნილიე მოწყალების საქმეთაც მრავალთ აღასრულებდა და ღმრთის წინაშეც დღეებუდამ იყო წარმდგარი წრფელი ლოცვა-ვედრებით. მაშასადამე, მანამდეც,

სანამ უფლის მოციქულთა მიერ დაიმოდვრებოდა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, იგი განცხადებულად ადასრულებდა უფლის იმ მცნებას, რომელიც გვიბრძანებს — „იღვიძებდით და ილოცევდით, რაითა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“-ო (მათე 26, 41), და ამასაც: „ითხოვდით და მოვეცეს თქვენ. ეძიებდით და პოვოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ“-ო (მათე 7, 7).....

ხედავ, შვილო ჩემო, რას იქმოდა ეს ჯერეთ წარმართი კაცი, რომელიც ჯერ არ იყო შეღვთილი ქრისტეს და არ იყო დამოდვრილი მის ჭეშმარიტ სარწმუნოებაში! მას ჯერ არ მოუსმენია მოციქულთაგან ხარების მაცხოვრებელი სიტყვა, თუმცა კი სულით და გულით, მთელი თავისი არსებით უწყოდა ეს მცნებები. მან თავისი ღვთისმოსიშებითა და კრძალულებით ითხოვა ღმერთისაგან, და მიიღო კიდევ თხოვილი; მოწყალების გაცემით ეძიებდა თავისთვის სასურველს, და პოვა კიდევ! მარხვისა და ლოცვა-ვედრების გზით ირეკდა იგი ღვთის წინაშე, და ავი განგლო კიდევ მას! — „და აწ მიავლინენ შენ კაცნი იოპედ და მოუწოდე სვიმონს, რომელსა პრქვიან პეტრე!“-ო. — თვით უფალმა უთხრა ასე კორნელიეს! აი, ესაა ყველაზე დიდი და საკვირველი საბოძვარი! აი, ესაა საოცარი კეთილის-ყოფა! „ამისი ვანი არს სვიმონის ვის-თანა-მე მეპატრაკისა, რომლის ტაძარი ახს ზღვასა“-ო! — ხედავ, როგორ დაწვრილებით განუცხადა კორნელიეს უფლის ანგელოზმა არამხოლოდ სახელი მისი მოძავალი მოძვრისა და წინამძღვარისა, არამედ იმ ადამიანის ვინაობა და ადგილსამყოფელი. ვისთანაც იმ ხანებში მსხემობდა წმიდა მოციქული და ხადაც დროებითი თავშესაფარი ეპოვა! და ეს ანგელოზმა იმისათვის პქმნა, რომ კორნელიე არ მოტყუებულყო, არ შემცდარიყო და ვინმე სხვისათვის არ მოეხმო თავისთან პეტრე მოციქულის ნაცვლად, და ამით ჭეშმარიტი მწყემსისა და თავისი სულიერი მოძვრის ნაცვლად ვინმე მკელს არ გადაჰყოდა, ცრუ-მოძღვარსა და თავის წარმწყმელს...

და თუ შენ ნამდვილად გსურს, შვილო ჩემო, ჭეშმარიტად ერთგულ და რჩეულ მოწყაელ გამოაჩინო თავი ქრისტესი, ისეთივე ცხოვრებით იცხოვრე, როგორითაც ასისტავი კორნელიე ცხოვრობდა. ისევე მიემთხვიე ხოლმე შემოქმედ ღმერთს შენს ლოცვა-ვედრებებში, როგორაც ეს კეთილმოსიში წარმართი იქმდა. და თუკი ასე მოიქცევი, მაშინ უფალი წყალობით მოგხედავს და განგიხვნის სულიერ თვალებს, რათა შენც ისევე დაინახო შენი წინამძღოლი ადამიანი, როგორაც კორნელიემ იხალა ანგელოზი. მაშ, სწორედ ამ „ურწმუნო წარმართს“ მიბაძე შენ, ვინაც საკუთარ თავს ერთგულ მორწმუნე ქრისტეანს უწოდებ, — მიბაძე ამ უსწავლელ წარმართს შენ, ვინაც ქრისტეს შვილად იწოდები, მოციქულთა სწავლებით აღზრდილხარ და ამაღლებულად სიბრძნის-მეტყველებ!

* * *

რა თქმა უნდა, კარგია საკუთარ ცოდვათა გამო ტირილი და მწუხარება, კარგია ლოცვა-ვედრებით წარდგომაც ღმერთის წინაშე, რათა მან შეგვიინდოს ეს ცოდვები, მაგრამ ამისაგან არავითარი სარგებლობა არ გვექნება, თუკი უფალი ჩვენი იესუ ქრისტე არ განკურნავს მონახულის იმ უძღურებათ, რომელთა მიზეზით იგი, ნებსით თუ უნებლიეთ, სცოდავს ხოლმე; რამეთუ თუკი ადამიანი არ განიკურნა ამგვარ უძღურებათა და სენთაგან, მისთვის შეუძლებელი გახდება შეიკრძალოს თავი შეცოდებისაგან და აღარა სცოდოს. ამიტომაც ყოველმა მონახულმა მორწმუნემ მხოლოდ იმისკენ უნდა მიმართოს ხოლმე თავისი შრომა და მცდელობა, რომ კურნება მიიღოს ქრისტესაგან, განინათლოს ღვთაებრივი ნათლით და ძალაც შეიძინოს ღმერთის ყოველი ნებისა და მისი ყოველი მცნების აღსასრულებლად, რამეთუ ვინც არ განიკურნება ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს

ტეს მიერ თავის სენთაგან, იგი ზოგჯერ სწორედ ამ უძღურებების მიზეზით შეს-
 ცოდავს ხოლმე, რადგან ძალზე დიდი გაჭირვებითა და ძალისხმევის გამოლებით
 ახერხებს უფლის რომელიმე მცნების დამარხვას. მაგრამ რა სარგებლობა ექ-
 ნება ესევეითარს?! — იგი ხომ იმის მსგავსია, ვინც აშენებს რაიმეს, შემდეგ თვით-
 ვე ანგრევს თავის მიერ აშენებულს! ამიტომაც ყოველად აუცილებელია, რომ
 ჩვენი ყოველი უძღურება უფალ იესუ ქრისტეს მიერ იქნას განსჯურებული.
 ჩვენი ღმერთის მიერ, რომელი ერთადერთი ჭეშმარიტი მკურნალაა, მოსუ-
 ლი ამქვეყნად ჩვენი უძღურებების განსაკურნავად, იმ სნეულებათა წამლობი-
 სათვის, რომელთა გამოც ჩვენ შევცოდავთ ხოლმე. იგი არის კრავი ღმერთისა,
 მიმღებელი ამა ქვეყნის ყველა ცოდვისა, რაც არის კიდევ ჩვენი წახდენილი,
 გარდაქცეული და დაზიანებული ადამიანური უძღური ბუნების ნაყოფი. რამეთუ
 მას შემდეგ, რაც ადამი ღმერთის მცნებას გარდახდა და ამის გამო გაძევებულ
 იქნა სამოთხიდან, ყოველი ადამიანი, მთელი მოღვმა პირველმშობელისა, უძ-
 ლური და სნეული შეიქნა. და ეს უძღურებანი, რაკი ჩვენს ბუნებაშიც არიან
 დაბუდებული და ჩვენს თავისუფალ ნებასაც უფლებენ. როგორღაც თითქოს უც-
 ნაურნი არიან: ზოგჯერ გვეჩვენება ხოლმე, თითქოს ისინი ჩვენი ადამიანური
 ბუნებისაგან მომდინარეობენ, ზოგჯერ კი ისე გვგონია, თითქოს ჩვენი თავი-
 სუფალი ნების ნაყოფნი არიან.

ეს უძღურებანი, რომელთა შესახებაც მე ვლაპარაკობ, შემდეგია: ყოველი
 ადამიანი ბუნებითაა უძღური, ბუნებით ატარებს თავის არსებაში სენს და ამის
 გამო არ ძალუძს წმიდა სიყვარულით იყოს აღვსილი, ანუ არ შეუძლია ისე
 ცხოვრობდეს, რომ არ შურდეს სხვისი, არ აძაგებდეს სხვას, არ განიკითხავდეს
 სხვას, არ შეურაცხ-ჰყოფდეს, არ დასცინოდეს სხვას, არ ცრუობდეს, არ მრის-
 ხანებდეს, არ სურდეს თავისთვის ამქვეყნიური ხილული სიკეთენი, არ მზვაობ-
 რობდეს და არ ცნობისმოყვარეობდეს. და დაე, თუნდაც ყველაზე კეთილგონი-
 ერი იყოს მავანი კეთილგონიერთა შორის, დაე, თუნდაც უბრძნესი იყოს — ბრძე-
 ნთა შორის, უმხნესი — მხნეთა შორის, უვაჟკაცესი — ვაჟკაცთა შორის, უპატი-
 ოსნესი — პატიოსანთა შორის, — ერთის სიტყვით. დაე, თუნდაც ყველაზე კარ-
 ვი და სრულყოფილი იყოს ადამიანი, მაინც, მიუხედავად ამისა, თუკი ჩვენი
 ადამიანური ბუნების უძღურებანი განუკურნავია მასში, ისინი უსათუოდ თავს
 იჩენენ როდისმე მის ცხოვრებაში, და ასეთი ადამიანი ვერ დაიმარხავს კეთილ-
 კრძალულებას, ანდა ვერ მოერევა თავს, რათა შეუნდოს ხოლმე თავის მაწყინე-
 ბელს, ვისაც რაიმე შეუცოლია მას წინაშე, ანდა ვერ შეძლებს კეთილგანწყობი-
 ლი იყოს ყველასადმი, მოყვასისადმიც და მტრისადმიც, მოწყალებასაც უშურვე-
 ლად გასცემდეს და ყოველთვის მაღლობის მიმძღვანებელი იყოს ღმერთისადმი
 ყველაფრისათვის, და, საერთოდაც, რომ განიკრძალოს თავი ყოველგვარი ბო-
 როტებისაგან და მხოლოდ სიკეთე მოიმოქმედოს ხოლმე. დაკვირვებული ადა-
 მიანებისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ყველა ეს უძღურება ზოგჯერ ადამია-
 ნის საკუთარი ნებიდან მომდინარეობს, რომელშიც მას სრული თავისუფლება
 აქვს მიცემული შემოქმედისაგან, ზოგჯერ კი ბუნების შემოქმედებაზეა დამო-
 კიდებული. თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ადამიანი თანაბარი ზო-
 მით როდია შეპყრობილი ხსენებული უძღურებებით, — ერთს ისინი ნაკლებად
 აქვს, სხვას კი უფრო მძაფრად და შესამჩნევად.

* * *

რა ქველის საქმეთაც არ უნდა იქმდეს ადამიანი, რა საგრობითაც არ უნდა
 აღვწოდეს სულის სახსნელად და როგორ გულმოღვინედაც არ უნდა შრომობ-

დეს აწინდელს ჩვენს ცხოვრებაში, და როგორც არ უნდა იყოს იგი — ბრძენი თუ უგუნური, მცნობელი თუ უცნობელი, გულისხმის-მყოფელი თუ უგულისხმო, ჰეცნიერი თუ უსწავლელი, მდიდარი თუ ღარიბი, — სულ ერთია. თუკი ეს ყოველივე ხელს არ შეუწყობს მისი სულის განკურნვას უძღურებათაგან, მისი ყველა შრომა ამაო იქნება და ყველა მისი ღირსება უსარგებლო აღმოჩნდება მისთვის, და თავის თავსაც იგი ცათა სასუფეველის გარეშედ დასტოვებს. რამეთუ მას მხოლოდ განკურნებული სულნი იმკვიდრებენ, რომელთაც უკვე აღაჩნებინა რი უძღურება არ შემორჩენიათ. ხოლო ამ უძღურებებს, ჩემ მიერ ზემორე მოხსენიებულთ, — ამ უწყესო მიდრეკილებებს ხორციელი გულისთქმისა, ამ ძლიერ ნდობა-სიყვარულს მიწიური საგნებისა, ამაო სიმდიდრისა და დიდებისა ვერანაირი სული ვერ განკურნავს თავის თავში და ვერ შეიქმნება ჯანსაღი ვერც მხოლოდ საკუთარი ძალისხმევითა და ვერც მხოლოდ სხვათა — ადამიანთა — დახმარებით, რამეთუ მხოლოდ ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს მიერ არის შესაძლებელი მათი განკურნვა, როგორც ამას საღმრთო წერილი გვიდასტურებს — „მან უძღურებანი ჩვენნი მიიხვნა და სწულებანი ჩვენნი იტვირთნა“-ო (მათე 8, 17); რადგანაც ადამიანთა სულებს, — წარმართთა და უღმერთთა გამო კი არ ვიტყვი, არამედ თუნდაც თვით იუდეველების გამო, რომელთაც ერთი ჭეშმარიტი ღმერთი სწამდათ, — ჰოდა, მათს სულებს რომ შესძლებოდათ ჯეროვნად მოეძიებინათ საამქვეყნო გულისთქმანი და ხორციელი მიდრეკილებანი, და ამგვარად აეცილებინათ თავიდან ამ ქვეყნის მპყრობელისა და მთავრის — ეშმაკის მიმძღავრება (ეშმაკმა ხომ სწორედ ამ ვნებათა საშუალებით მოიპოვა სიკვდილის ხელმწიფება). მაშინ არავითარი საჭიროებაც არ იქნებოდა იმისათვის, რომ სახიერი, კეთილმოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხორციელქმნილიყო, განკაცებულიყო, ჯვარცმულიყო და ჯვარზე სიკვდილის დათმენის შემდეგ დედამიწის ქვესკნელშიც შთასულიყო, ჯოჯოხეთად, რათა ასე ეძლია სიკვდილისათვის და გამოვესყიდეთ ჩვენ ბოროტი სულის მიმძღავრებისაგან. მაგრამ საქმეც სწორედ ამაშია, რომ ამაქვეყნიურის — ყოველივე ამაოისა და ხორციელის მოძაგება არავის ძალუძს ისე, თუკი თანამოაზრე არ შეიქმნება საღმრთო მადლისა და თუკი თვით ჩვენი უფლისა და ღმერთის იესუ ქრისტესაგან არ მიიღებს საამისო ძალას, ხოლო ვინც, ქრისტეს ღვთაებრივი ძალით განმტკიცებული, უპირველესად ყოველისა მთელის გულით არ შეიძულებს ყოველივე ამქვეყნიურსა და ხორციელს, იგი ვერაფრით ვერ შეძლებს ქრისტეს მცნებათა აღსრულებას, ანუ, როგორც საღმრთო წერილი ამბობს, ბოროტს განეშოროს და კეთილი ქმნას.

ამიტომაც ყოველმა მორწმუნემ ქრისტესი პირველ ყოვლისა მადლი უნდა შესთხოვოს მოწყალე ღმერთს და ძალაც იმისა, რომ მოიძულოს ეს ქვეყანა და ყოველივეცა მისი, ყველა ხორციელი ვნება და ამაო გულისთქმა, ხოლო მას შემდეგ, რაც მოიძაგებს მათ, იმისთვისაც იღვაწოს მზურვალე რწმენით, რომ მათს საბოლოო მოკვდინებასაც მიაღწიოს საკუთარ თავში. ქრისტესმიერ მოკვდინებას, როგორც ღვთაებრივი პავლე მოციქული ბრძანებს: „მარადის სიკვდილი იგი უფლისა იესუისი ხორცთა შინა ჩვენთა გვიტვირთავს, რაითა ცხორებაიცა იგი იესუისი ხორცთა ამათ შინა ჩვენთა გამოცხადნეს“ (II კორინთ. 4, 10). სწორედ ასეთი თხოვნა სათნო-ეყოფა ღმერთს ჩვენგან და სწორედ ასეთ ვედრებას შეისმენს ხოლმე იგი კეთილმოწყალედ, როგორც ამას წმიდა იოანე ღვთისმეტყველიც გვიმოწმებს: „და ესე არს განცხადებულებაი, ... რამეთუ უკეთუ რაიმე ვიხიხოვოთ ნებისაებრ მისისა, ისმენს ჩვენსა“-ო (I იოანე 5, 14), რამეთუ სწორედ ეს ნებავეს კიდევ ღმერთს, რომ ადამიანები მისგან მხოლოდ იმას ით-

ხოვდნენ, რაც მათ საუკუნო ნეტარ ცხოვრებად მიიყვანებს. ამიტომაც, ადამიანთაგან, დაე, ყოველი სხვა ნურაფერზე იზრუნებს თვინიერ ამისა, და სხვა ნურაფერზე ნუ დახარჯავს თავის შრომას აწინდელს ცხოვრებაში, რათა სული მისი საკვდილის მოსვლის ჟამს ჯანმრთელი და თავისუფალი აღმოჩნდეს ყოველგვარი ხორცეული და საამქვეყნო ვნებისაგან. აი, ესაა ყოვლადაუცილებელი იმისთვის, რომ სული ადამიანისა ჯანსაღი გახდეს და განიკურნოს მისი ყველა სნეულებისაგან, და მხოლოდ მაშინ, როცა ის განმრთულდება, შეძლება ჯეროვნად ემსახუროს ღმერთს — აღასრულოს მისი მცნებები, და ამგვარად, სირცხვილული არ იყოს ქრისტეს სამინელ სამსჯავროზე წარმდგარი. და თუკი ვერ იქმს ამას, ანუ თუკი ჯეროვნად ვერ ემსახურება ღმერთს და ვერ დაიმარხავს მის მცნებებს, თუნდაც არა სრულყოფილად, მაშინ იგი, რა თქმა უნდა, განკითხვის დღესაც სნეული აღმოჩნდება ვნებებით, და ამის გამო გეჰენის ცეცხლში შთაიგდება, რომელიც თავის დაუშრეტელ სიმხურვალეში შთანთქავს მას და დაუსრულებლად დასწავს, უკუნითი უკუნისამდე. რამეთუ გეჰენის ცეცხლს სხვა არავისი დაწვა არ ძალუძს, თუ არ მხოლოდ იმითი, ვისაც განუკურნავი დაუტოვებია თავისი სული ამ, აწინდელს ცხოვრებაში და ასე, სნეული და უძლური გადასულა სხვა, საუკუნო ცხოვრებად!

* * *

სული, რაკი ის უნივთოა, არამატერიალური, მარტივი და არაშედგენილი, ამიტომ საკურნებელსაც ერთგვარს საჭიროებს, მარტივსა და არაშედგენილს, და როცა სული ადამიანისა დასნეულდება ხოლმე, სწორედ ერთს რასმე ძალუძს მხოლოდ მისი განკურნვა, რა არის ეს ერთადერთი საკურნებელი? როგორია იგი? — ეს საკურნებელი ერთია — სულიწმიდა, მაღლი და ძალი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, როგორც ამას ღვთაებრივი პავლე მოციქული ბრძანებს: „ხოლო უფალი სულ არს; ხოლო სადა სული უფლისაი, მუნ აზნაურებაი არს“ (II კორით. 3, 17). ამიტომაც ყოველი ქრისტეანისათვის ჯერ-არს სინანულის, მოწყალებათა გაცემის და ყოველი სხვა ქველის-საქმის მეშვეობით მხოლოდ ამისათვის იღვწოდეს, რომ მიიღოს ეს მაღლი სულიწმიდისა, რომლის ზემოქმედებითაც იგი ჭეშმარიტი ცხოვრებით დაიწყებს ცხოვრებას იესუ ქრისტეს წიერ. რამეთუ არ არსებობს სხვა საშუალება, ხელოვნება თუ ხერხი ქრისტიანული ცხოვრების მოსაპოვებლად, თუ არ ეს ერთადერთი — ზეგარდმო ღვთაებრივი ძალისა და შეწევნის მიღების გზით, ანუ ჩვენი უფლისა და ღმერთის იესუ ქრისტეს მაღლის მიღების გზით, რომელიც შეგვაძლებინებს კიდევ ასეთ ღვთის სათნო-მყოფელ ცხოვრებას...

* * *

ყოველი ადამიანი ოთხგვარად სცოდავს ხოლმე — ნებსით, უნებლიეთ, ბუნებულობით და უცნობლად. ნებსით, ანუ თავისი საკუთარი სურვილითა და მოწადინებით, ანუ თავისუფალი ნებიდან გამოძდინარე იგი მაშინ სცოდავს, როცა დანამდვილებით იცის, რომ ცოდვის ქმნა — ბოროტებაა, მისი მოქმედება თუ არმოქმედება მის ხელთაა, მის თავისუფალ ნებულობაზეა დამოკიდებული, და, ამის მიუხედავად, მაინც სჩადის ცოდვას. უნებლიეთ მაშინ სცოდავს ადამიანი, ანუ თავისი სურვილისა და მოწადინების გარეშე მაშინ შესცოდავს ხოლმე, როცა ამას რაღაც აუცილებლობა აიძულებს, და ბოროტებას ისე სჩადის, რომ არ უნდა მისი ჩადენა; მაგალითად, ასე ხდებოდა, როცა ზოგიერთი წამებულები ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის უარყოფდა ხოლმე ქრისტეს იმ აუტა-

ნელი ტანჯვა-წამების მიზეზით, რასაც მას მტარვალნი სწევდნენ... ხდება ხოლმე ისეც, რომ მაჟანი სულ სხვაგვარად, ისე, რომ არც უწყის, არც უფიქრია და არც სურს ეს, სჩადის ხოლმე ბოროტებას, ანუ თავისი უცნობლობით, როცა, მაგალითად, მონადირე ვინმე რაიმე ნადირის მოსაკლავად გასტყორცნის ისარს და სრულიად შემთხვევით ადამიანს მოჰკლავს, ისე, რომ არც კი გაუვლია აზრად ეს ამბავი... მცნობელობით კი მაშინ ხდება შეცოდება, როცა სულმა ~~ადამიანმა~~ კარგად უწყის, თუ როგორი ცოდვაა ესა თუ ის საქმე, მაგრამ რატომ უმსჯელნი ხნით, მაინც სჩადის მას, სჩადის იმიტომ, რომ ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს ეშმაკის — ბოროტი სულის მოხდომას; ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ადამიანი მცნობელობით შესცოდავს, თუმცა კი თითქოსდა მისივე ნების საწინააღმდეგოდ აღიძვრება ხოლმე მასში სურვილი ამისა. სწორედ ამ უკანასკნელის შემთხვევაში განსაკუთრებული სიმძაფრით გაცხადდება კიდევ მორწმუნეთა მიერ ძალა ქრისტესი, ანუ მაშინ, როცა ზეგარდმო მიღებული მადლით მათ ძალა ექნებათ არ დაჰყვნენ თავის მიერ მოძულეებულ გულისთქმებს და არ შესცოდონ; და ამ დროს ისინი შეიცნობენ კიდევ, რომ შეუძენიათ ქრისტეს-მიერი მადლი. გარდა ამისა, უცნობლობითაა ხოლმე ჩადენილი ცოდვა, როცა რაიმე ბოროტს იმგვარად იქმან, რომ არც კი უწყიან, თუ რას სჩადიან, ანუ არ იციან, რომ მათს მიერ მოქმედებული საქმე — ცოდვაა, ბოროტებაა, და უფრო მეტიც, ხშირად ასეთს შემთხვევებში ჰკონიათ ხოლმე, კეთილს ვიქმთო!..

ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი, ანუ თავისუფალი ნებიდან გამომდინარე ცოდვები ბევრი არ არის, და ისინი, რაკი უმეტესწილად ამკარანი არიან და მოუცილებლად ირევიან ადამიანის ცნობიერებაში, ეკლებივით ჩხვლეტენ ხოლმე იმას, ვინც სჩადის ასეთ ცოდვებს, და მერმე სინანულად აღძრავენ მას. სხვა სახის ცოდვები კი, ანუ უნებლიე ცოდვები, ასევე მცნობელობითა თუ უცნობელობით ჩადენილი — ძალზე ბევრია, შეიძლება ითქვას, რომ ურიცხვიც კი! მაგრამ ყველა ისინი ნაკლებ დახსოვადნი არიან და სულ მალე სრულიად ამოვარდებიან ხოლმე იმ ადამიანის ცნობიერებიდან, ვინც მათ სჩადის, და, მიუხედავად თავიანთი მრავალრიცხოვნობისა, ეკალსავით არ ჩხვლეტენ შემცოდის სულს და არც სინანულისაკენ უბიძგებენ მას, რადგან ეს შემცოდე სულიც ნაკლებად მიიჩნევს ხოლმე მათ ცოდვებად და სულაც არ ფიქრობს მათზე! ამიტომაც ამ ცოდვებისათვის ჩვენ ყველაზე მეტად გვმართებს ლოცვა-ვედრება ღმერთის წინაშე, რათა სახიერმა შემოქმედმა მოგვმადლოს ძალი მათი შეცნობისა, საკუთარი ცოდვიანობის გულისხმის-ყოფისა და შეგრძნობისა; რამეთუ ის გარემოება, რომ ჩვენ სულაც არ გვახსოვს ხოლმე ამგვარი ცოდვები და არც კი ვგრძნობთ ხოლმე მათ, როდი გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მათი ჩადენისათვის, და ამ ცოდვათა გამოც ისევე მივცემთ პასუხს ჩვენს უფალს განკითხის საშინელ დღეს, როგორც სხვა შეუნანებელი ცოდვებისათვის.

ამასთანავე, უნდა ვიცოდეთ, რომ ეშმაკი ადამიანთა უბრაველესობას ამპარტავნებაში შთააგდებს სწორედ ამ ცოდვების უცნობლობის მიზეზით, ანუ იმიტომ, რომ ცოდვილ ადამიანებს ვერ შეუცვნიათ ისინი, არ ფიქრობენ, რომ მათ რაღაც მნიშვნელობა ჰქონდეთ და სულაც არაფრად მიიჩნევენ მათ. ასეთი ადამიანები, თუმცა კი ამბობენ, ბრძენნი და გულისხმის-ყოფელნი ვართო, მაგრამ სინამდვილეში ცოფიანნი და უგუნური აღმოჩნდებიან ხოლმე, რამეთუ ვერ გულისხმაუყვიათ, რომ ყოველთა ხსნა და ცხოვნება მხოლოდ შემოქმედი ღმერთის უსახლვრო წყალობითაა შესაძლებელი!...

* * *

ღმერთი ყოველი ქრისტიანისაგან უპირველესად და უმთავრესად ყოველისა იმას მოითხოვს, რომ იგი ყოველთვის აღიარებდეს თავის უწინდელ შეცოდებებს, ყოველთვის ახსოვდეს ისინი, რათა მარადის თავმდაბლობით იყოს შემოსილი, მარადის თავს დაიკნინებდეს და არ სძაგდეს სხვა ადამიანები მათი ცოდვებისათვის. მეორეს მხრივ, ღმერთი ყოველი ადამიანისაგან მოთხოვს, რომ იგი ყოველთვის მონანიე სულით იყოს წარმდგარი მის წინაშე და ყველაფრისათვის ილოცვიდეს, რაშიც კი ყოველდღიურად სცოდავს, ნებსით თუ უნებლიეთ. მცნობელობით თუ უცნობლად, რამეთუ შეუძლებელია ადამიანმა თუნდაც ერთი დღე გაატაროს ისე, რომ რაიმე ცოდვაში არ შთავარდეს, დიდსა თუ მცირეში, რმითომ, რომ ცოდვები სიტყვითაც აღესრულება, საქმითაც და ფიქრითაც, ანუ გულის-ზრახვებითაც. და რადგანაც ეს საქმეები, სიტყვები თუ ფიქრები ძალზე სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს, ან თუ ერთადაც მოქმედებენ დღის განმავლობაში, ამიტომ ხშირად ვერც კი ამჩნევ, თუ როგორ შესცოდე ხან ერთში, ხან მეორეში და ხანაც — მესამეში. და ვინც შესცოდავს ხოლმე, ის კიდევაც ეცემა, დაცემულს კი არა აქვს განმართლება; ხოლო ცხოვნდება ხოლმე ესევეთარი მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი უსაზღვრო კეთილმოწყობით შემოქმედი ღმერთისა. მესამედ ღმერთი ამას მოითხოვს ყოველი ქრისტიანისაგან: რადგანაც ცოდვები ადამიანის გონების უძლეურების მიზეზით აღმოცენდებიან ხოლმე და ამის გამო მის სულს ზეგარდმო განმტკიცება ესაჭიროება, ამიტომ ყოველი ქრისტიანი მარად იმას უნდა ევედრებოდეს ღმერთს, სულიერი ძალა მომძადლე, რომელიც არის ფარული და სანუკვარი მადლი ჩვენი უფლის იესუ ქრისტესით, მადლი, რომელიც განაძლიერებს იმ სულს, ვისშიც დაიმკვიდრებს, და განანათლებს კიდევ მას, რათა იგი შემძლე იყოს იმისა, რომ ბოროტს — ბოროტად აღიქვამდეს, კეთილს კი — კეთილად; ამ საღმრთო განათლებით და ამ ძალით ადამიანის სული შეწვევნილია იმისათვის, რომ უხიფათოდ ვიდოდეს მზაკვარი ეშმაკის საფრთხეთა შორის ამქვეყნად და არასდროს არ იქნეს მათში გაბმული...

ყოველი ადამიანი რაღაც ფარული სენით ევნება, დიდითა და ძნელად ამოღებულთა, რომელიც იმდენად მძაფრი და აუცია, რომ მისი მსგავსი არასდროს არც ყოფილა და არც მომავალში იქნება. ამიტომაც აუცილებელი იყო, თვით ღმერთი მოსულიყო ამა ქვეყანად, რათა გამოესწორებინა მისი სულის გარდაქმნა და განეკურნა ადამიანი ამ სნეულებისაგან. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, ადამიანებმა არ უწყვიან ეს და სრულიად უზრუნველად განაგრძობენ ცხოვრებას. არ სწუხან თავიანთი ასეთი სნეულების გამო, რადგანაც უგულისხმონი არიან. რამეთუ ვინც უწყის ეს სნეულება, ის კიდევ გრძნობს მას საკუთარ თავში, და ვინც გრძნობს, იმას სულიც სტკივა ამის გამო, ხოლო ვისაც სული სტკივა თავის სნეულებისათვის, იგი გამოჯანსაღებასაც ეძიებს და ყველა ღონით ცდილობს როგორმე განიკურნოს ამ მძიმე სნეულებისაგან.

მაშ, რა სნეულებაა ეს? — მისძინე, და გეტყვი: ეშმაკი, თავისი მზაკვარი ჩვეულებისამებრ, ყოველთვის რაღაც უცნაური სახით მოუხდება ხოლმე ადამიანის სულს, რათა მარადის მასთან, განუყრელად მის გვერდით იყოს და აღმოცნოს და გარდააქციოს ხოლმე მისი ყველა მისწრაფება, მოძრაობა თუ ზრახვა. ანუ დაამაზინჯოს ადამიანის სულის ყველა გონიერი, მნებებელი და მგრძნობიარე ძალა, და რათა ეს ძალები იქით მიმართოს, საითაც თვითონ სურს. ამ მზაკვრული ხერხით ბოროტმა სულმა ყველა ჩვენგანი შეიტყუა თავის ბადეში, ყველას გვიმონებს და თავის გარდაქმნულ ნებას გვიქვემდებარებს, ჩვენ კი ჩვენი

უგულისხმობით არც კი ვუწყით ეს. და რაც ყველაზე უარესია, ეშმაკი განუწყვეტლივ იყენებს თავის ამ ხერხს და შეგვექმნის რა მისი მეშვეობით ვნებებს დამონებულ უხმარ და აუხორც არსებებად, იმაშიც დაგვარწმუნებს ხოლმე, რომ, თითქოს, ეს ჩვენი სწეულება (აღრევა და მშფოთვარება ჩვენს სულებში), რომლის გამოც მდაბალ ვნებებს დავმონებულვართ და მათს მიერ ვართ მთლიანად პერობილნი, არის თვისება ჩვენივე ბუნებისა, და სულაც არ არის ეშმაკის მზადყოფნის ნაყოფი. სხვათ კი იგი შეაგონებს იფიქრონ, რომ მისი მზადყოფნისა ზემოქმედებით მოქმედებული ყველა მათი საქმე კეთილი და სათნოა, და რომ ამ საქმეებით თავსაც უნდა იქებდეს კაცი! მაგრამ ასეთი მდგომარეობა სულისა უკვე სრულყოფილი მოკვდინებაა მისი, რამეთუ ვინც ბოროტებით იქებს თავს, ის სრულიად ვერ გრძნობს მის განმხრწნელ მოქმედებას თავის სულზე, ასეთი რამ კი მხოლოდ მკვდრისათვისაა დამახასიათებელი. აი, ამიტომაც დგას მთელი კაცთა მოდგმა იმ საშიშროების წინაშე, რომ ბოლოს ეშმაკთან და მის დემონებთან შეიძლება განიკითხოს და საშინელი საუკუნო სასჯელიც მათთან ერთად მიიღოს, და თუმცა პირისპირ დგას ამ საშიშროების წინაშე, ადამიანთა უმრავლესობამ სრულიად არ უწყის ეს!...

* * *

საცთური, რომლითაც ჩვენ ეშმაკი გვაცთუნებს, საერთოდ, ორგვარია. როგორცდაც საზრდოს ძიებაში თავისი ფრთებით თავისუფლად მფრენი რამ ჩიტი მოტყუებით მოინადირება ხოლმე ფრინველთმჭერის მიერ, ვისაც მიწაზე ბადე გაუშლია და იმით შეაცდენს ფრინველს, რომ რაღაც სატყუარს — საკენკს სდებს შიგ, ფრინველი კი მის დანახვაზე ქვევით ჩამოფრინდება, სატყუარს კენკვას დაუწყებს და ამგვარად ბადეში გაებმება და მონადირის ნადავლი შეიქნება, რომელიც მოვა, ხელში აიყვანს ფრინველს და ამის შემდეგ რასაც ისურვებს, იმას უზამს, აი, ზუსტად ამგვარადვე მოქმედებს ეშმაკიც ადამიანის მოსანადირებლად. იცის რა მზაკვარმა, რომ ადამიანის გონება განუწყვეტელ მოძრაობაშია, იგი უჩუმრად, უხილავად მიეპარება ხოლმე მას და მის ზრახვებს რაღაცას ნუგბარს დაუდებს წინ სატყუარასავით, ამ ნუგბარი რაიმეს ქვეშ კი ბადეთა მსგავსად გამლის ცოდვას, რომელიც, თითქოსდა, არის ეშმაკის ფარული ხელიც, იმიტომ, რომ ცოდვის გარეშე ეშმაკს არ შეუძლია ადამიანის სულის მიტაცება. და როგორც კი მიიტყუებს იგი ადამიანის უძლურ სულს ამ სიტკბოების სატყუარათი, ამავე წამს გააბამს ხოლმე მას თავის ბადეში და ძლიერად დაატყვევებს. პირველი რამ, რასაც ამ დროს ეშმაკი მოიმოქმედებს, ის არის, რომ იგი თვალებს აუხვევს თავის მსხვერპლს, ანუ გონებას უბნელებს, რათა ადამიანის სულმა ვერ დაინახოს სინათლე, გზა, და ვერ გაექცეს; და ამას იგი მთელის მონდობებით იქმნის მანამდე, სანამ ეს სული, მიჩვეული ეშმაკისმიერ სიტკბოებათ და ხანგრძლივ ყოფნას ცოდვაში, სრულიად არ დანებდება ბოროტის ნება-სურვილს და ყოველივეში მის ხელქვეითად და საყვარელ მონად არ შეიქნება. ამის შემდეგ ბოროტი სულის მიერ შეპყრობილი სული უკვე თვითონაც აღარ ისურვებს გაექცეს თავის ბატონს, რომელსაც შესჩვევია და რომელიც ასე „ანუგეშებს“ და ადავსებს მას ყოველგვარი ხორციელი სიტკბოებით მანამდე, სანამ მთლიანად არ გახრწნის მას ამ თავისი ბილწი და მყრალი სატყუარით. ხოლო როცა ეშმაკი დანახავს, რომ სული ადამიანისა უკვე სრულიად გახრწნილია, მაშინ ყოველად უხამსი გარყვნილების, ცოდვებისა და ბოროტმოქმედებისაკენ უბიძგებს მას. და თუკი ფრინველთმონადირეს არ ძალუძს ჰაერიდან მიიტაცოს ნადავლი, ეშმაკს ცოველთვის შეუძლია ადამიანის სულის მიტაცება, როგორც კი დვთაებრივი

მადლისაგან სრულიად განშიშვლებულს კპოვებს მას, და მაშინ სულ ადვილად მიიზიდავს ხოლმე ასეთი სულის მისწრაფებებსა და ნდომა-სურვილს სიტკბოებისაკენ (ანუ თავისი სატყუარისაკენ), და თავის ნებაზეც დაიყოლიებს. სწორედ ამიტომ ვთქვი მე, რომ ეშმაკისმიერი საცთურნი ორი სახისაა: პირველია — სატყუარი სიტკბოებით, რასაც ბოროტი სული ადამიანის ზრახვათა წინაშე დებს; მეორე კი — გულისთქმათა აღძვრათა ადამიანში, იმ სურვილთა განხორციელება, რომლებიც უძლურ სულს აიძულებენ ხორციელი სიამ-ტკბილეუბისა და სიამაყისათვის, და ამ გზით ეშმაკი თავის ნებაზე იყოლიებს ადამიანს.

და მაშინ სულს ადამიანისას, რომელიც ამგვარად და ასე მძაფრად დამონებულია ბოროტ სულს, სხვა არაფრის მოქმედება აღარ შეუძლია საკუთარი თავისთვის, თუ არ მხოლოდ იმისა, რომ შეიგნოს, თუ ბოროტების რა უფსკრულში გადაჩენილა და რა მძაფრად არის შეკრული მისი ნება უცხო საკრველებით, და ამის შეგნების კვალობაზე გოდება დაიწყოს ამ ჯოჯობეთის უფსკრულიდან, ღმერთს მოუხმოს შემწედ, იმას, ვინც ოდესმე ჯოჯობეთის ქვესკნელში შთახდა და სიკვდილს სძლია, — და მხურვალედ შეკლადლოს მას, — მოვედ, მიშველე და მიხსენი ამ საკრველთაგანთ. აი, მხოლოდ ამის მოქმედება შეუძლია მას; ხოლო ის, რომ თავი დაიხსნას ამ საკრველთაგან და გაიქცეს, — არ შეუძლია, ისევე, როგორც სატყუარაში მტკიცე ურდულებით გამოკეტილ კართა ეილმა გამომწყვდეულსა და მძიმე ბორკილებდადებულ ადამიანს არ ძალუძს თავი დააღწიოს ტყვეობას და გაიქცეს. მაგრამ, შეუძლია-მეთქი შეწევნად მოუწოდოს სახელს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, რათა მან წყალობით მოხედოს მის შეჭირვებას და შეწევნა მოუვლინოს. და როცა ასეთი სული ადამიანისა ამგვარად განმტკიცდება უფლის მოწოდების შედეგად (რამეთუ სწორედ იგია ერთადერთი განმათავისუფლებელი ჩვენი სულებისა ეშმაკის ტყვეობისაგან), და როცა იგრძნობს, უკვე მიმიღიათ ღვთაებრივი შეწევნა ზეგარდმო, მაშინ მას შეეძლება კიდევ გაექცეს ეშმაკის დამლუპველ ულელს და თავი დააღწიოს ცოდვათა საშინელ საკრველებს. მაგრამ ამ თავისდაღწევის დროს ეშმაკისაგან ადამიანმა უსათუოდ უნდა მიმართოს შეწევნისათვის რომელიმე მუშაკსაც ღვთაებრივი მადლისა, ანუ სულიერ მოძღვარს, სულიერ მამას, რათა მზაკვარმა ეშმაკმა კვლავაც დაუცველი არ ნახოს იგი და კვლავაც არ შეიპყროს ახლა უკვე სულ სხვა მანქანებით. და ამ სულიერი მოძღვრის მიერ ასეთი სული ადამიანისა ჯეროვნად განისწავლება და გამოიწვრთნება იმაში, რომ კეთილმსახურად იცხოვროს და ყოველთვის წინ აღუდგეს ხოლმე ეშმაკის საცთურთ; სულიერი მამისაგან გაიგებს იგი, თუ რაზე უნდა იფიქროს ხოლმე მანამდე, სანამ ღირსი და შემძლე არ შეიქნება საღმრთო საჭურველით, ანუ ღვთაებრივი მადლით შემოსვისა, როცა უკვე ასე დაცული და გაძლიერებული მხნედ დაუპირისპირდება ბოროტი სულის ყველა მზაკვარებას, დაუპირისპირდება ყველა ამ დასაბამთ, უფლებათ და მპყრობელთ ამ ქვეყნიური წყევლიადისა და ქვესკნელისა, დაუპირისპირდება ამ ბოროტ სულებს. რამეთუ სხეულთან შეერთებულ სულს, როგორნიც ჩვენა ვართ ამქვეყნიურ ცხოვრებაში. არ ძალუძს მართოს, განშიშვლებულს ღვთაებრივი საჭურველისაგან, შეებრძოლოს ასეთ ძლიერ და მრავალრიცხოვან მტერს, ეშმაკსა და მის დემონებს, — მსგავსად იმისა, როგორც შეუიარაღებელ მხედარსაც, დაე, თუნდ ყველაზე მამაცი და ახოვანი იყოს, არ ძალუძს შესაფერი საჭურველის გარეშე შეებრძოლოს შუბებით, მახვილებითა და ფარებით მომხდურ მტერს, დაე, თუნდ თავისზე ბევრად სუსტს, და თუკი მაინც გამოვა ესევეითართა

საბრძოლველად ასე, სრულიად უსაჭურველოდ, უმაღვე სასიკვდილოდ მოიწყველება.

* * *

შემოქმედმა ღმერთმა, ყოვლად სახიერმა და კაცთ მოყვარემ, ყველა სათნოებათაგან განშიშვლებული როდი დატოვა ადამიანური ბუნება, მისი ცოდვილი დაცემის შემდგომ, და სწორედ ღვთის ამ დიდი წყალობის შედეგად, ყველა მათგან თვით ყველაზე ურწმუნო ადამიანებშიც, ურწმუნო ხალხებშიც კი ვლინდება ხოლმე ზოგიერთი ბუნებრივი კეთილი თვისება, — ანუ ერთნი ამგვარ ადამიანთაგან სიმშვიდესა და თვინიერობას ამჟღავნებენ, სხვანი — გულმოწყალებას, მუხამენი — გარკვეულ სიყვარულს სხვებისადმი, და ბევრნი — კიდევ სხვა რაღაც სულისმიერ სიკეთეთ. ყოვლად სახიერმა ღმერთმა ეს იმისათვის მოიმოქმედა, რომ უძლური ადამიანური ბუნება ცოდვას დამონების შემდგომ საერთოდ არ ყოფილიყო მოკლებული ყოველგვარ შეწევნას, და მას სწორედ თავის ბუნებაში ჯერ კიდევ არსებულ რაღაც სიკეთესა და სათნოებაში მოეძია ძალა იმის მოსაპოვებლად, რაც აკლია, რაც ჯერ არა აქვს ღმერთის მადლის მიერ. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყოვლად შეუძლებელია, მოუნათლავმა ადამიანმა, ვინც ხელახლად არ შობილა ქრისტესათვის ნათლის-ღების წმიდა საიდუმლოში, როდისმე სათნოებათა სრულყოფილებას მიაღწიოს, ანუ ისეთი შეიქნას, როგორც ეს მის შემოქმედს ნებავს.

ამრიგად, რადგან ზოგიერთ ქრისტეანს ავიწყდება ხოლმე ყოვლადწმიდა სულის მადლის ეს საიდუმლო, მიღებული მის მიერ ნათლობის დროს, და მიუხედავად ამ დავიწყებისა, მაინც აქვს, როგორც ვთქვით, გარკვეული ბუნებრივი სათნოება შემწედ თავისი უძლური ბუნებისა, ხოლო რაკი აღარ ახსოვს თავის მიერ მიღებული მადლი, არც ცდილობს სხვა სათნოებანიც მოიპოვოს მისი ზემოქმედებით, ისინი, რომლებიც არა აქვს, და მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რაც ბუნებით აქვს დარჩენილი, თანაც ამაყობს ამ მცირეოდენი სათნოებებით და სძაგს კიდევ ის ადამიანები, რომელთაც არა აქვთ მისი მსგავსი სათნოებანი, უფრო სწორად კი, ვერ ხედავს მათს სათნოებებს, რომლებიც თვით არ აქვს, — აი, რადგანაც ასეა უგულისხმო ადამიანის თავს, ამიტომ კეთილმოწილე და კაცთ-მოყვარე ღმერთი არ აძლევს ხოლმე ესევეთართ, ანუ ამპარტავნების სულით აღვსებულთ, ძალას სხვა სათნოებათა მოსაპოვებლად, რათა ისინი ეშმაკის სასჯელს არ ეწიონ. რამეთუ თუკი ისინი ვერ შეიძენენ იმ სათნოებებს, რომელნიც აკლიათ, მაშინ განისჯებიან როგორც უთნონი, არმოსაწონნი ღმერთისათვის; ხოლო თუკი ყოვლადწმიდა სულის მადლით მოიპოვებენ მათ, მაგრამ გაამპარტავნდებიან ამის გამო, საკუთარ თავს ყველაზე სათნო ადამიანებად მიიჩნევენ და თავის ქებასაც დაიწყებენ თავიანთი ღირსებებით, აი, რა სათნოებანი შეგვიძენია და რა კარგები ვართო, თითქოს ზეგარდმო ღმერთისაგან კი არ მიეღოთ მათი მოპოვებით ძალა, არამედ მხოლოდ თავიანთი შრომითა და ძალისხმევით შეეძინოთ სათნოებანი (დაე, თუნდაც მართლაც დიდი იყოს მათი ღვაწლი და რუდუნება), მაშინ ესევეთარნი განსჯილნი შეიქნებიან ეშმაკთან ერთად. ამიტომაც ყოველ სათნო ქრისტეანს ვითარცა გულშემუსრვილსა და თავმდაბალს, დაე, ასე სწამდეს, რომ სწორედ ყოვლადწმიდა ღვთაებრივი სულის მადლი ჰგებებს მასში და აღასრულებს ქველის-საქმეებს, სრულ-ჰყოფს მის სულს სათნოებებში, ხოლო თავით თვისით კი მას არ ძალუძს სათნო-ეყოს ღმერთს. ესევეთარი მორწმუნე

ჭეშმარიტად არის და სამართლიანად იწოდება კიდევ სულიერ ადამიანად, სულიერ კაცად, რამეთუ მასში სრულად მოქმედებს მაღლი სულიწმიდისა ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს მიერ, რომელსა შვენის დიდება და თაყვანისცემა თანამამითურთ და სულიწმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!



საქართველოს
საეკლესიო ცენტრი

* * *

თუკი ვინმე საკუთარი თავისთვის ღოცულობს ღმერთის წინაშე და ითხოვს, მაგალითად, ხრწნილებისა და საუკუნო სიკვდილისაგან მიხსენიო, მაშინ ასეთმა მორწმუნემ, დაე, წინდაწინ მოისმინოს და გამოიძიოს თავის სულიერ მოძღვართაგან, თუ რა არის ხრწნილება, რა არის — სიცოცხლე და რა — სიკვდილი, და მხოლოდ ამის შემდეგ შესთხოვოს ღმერთს გათავისუფლება განხრწნისა და სიკვდილისაგან, შესთხოვოს მიუხედავად იმისა, აქვს მას ამის უფლება და კადნიერება ღმერთის წინაშე, თუ არა — აქვს, რამეთუ, საერთოდაც, ვინც რაიმეს ითხოვს, მან ზუსტად უნდა იცოდეს — რა უნდა, რას ითხოვს, და ცხადად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ როგორ მოიქცევა მას შემდეგ, როცა მიიღებს თხოვილს, ამასთან, მაღლი უნდა მიუძღვნას მომცემელს და ყოველთვისაც მისი მაღლიერი იყოს... ხოლო თუკი მავანმა, ღვთის წინაშე ღოცვისას, თვითონაც არ უწყის, რას ითხოვს ღმერთისაგან, მაშინ ასეთმა ადამიანმა ის როგორღა შეიტყო, მიიღო თხოვილი, თუ — არა, ანუ მაღლობაც მიუძღვნას მას წყალობისათვის, თუ განაგრძობდეს თხოვნას?! — თუკი ჯეროვან მაღლობას არ მიუძღვნის ღმერთს, იგი განიკითხება როგორც უმადური... ვინც ამბობს, გამათავისუფლე მეო, — ცხადია, იგი დატყვევებულია და მონის მდგომარეობაში იმყოფება; ასევე ვინც შესთხოვს, — მიხსენი მეო, — რა თქმა უნდა, საპყრობილეში ზის და ბორკილებითაა კრული. მაგრამ თუკი ამ სიტყვების წარმომთქმელნი ამას უაზროდ ამბობენ, უსაგნოდ, ისე, როგორც მოუხდებათ, ჩვევისამებრ თუ სხვათა მიბაძვით (და ამის გამო მათი ღოცვა ცივია ხოლმე და უგრძობელი), ისე რომ არა აქვთ შეგნებული ის უბედურება, რომელშიც ჩავარდნილან, და რიგიანად ვერც გრძნობენ იმ შეჭირვებას, მონობას, საპყრობილესა და ბორკილებს, რომელთაც სწევინან, მაშინ განა შეიძლება ესევეითართა თხოვნას შეისმენდეს ვინმე! განა მათს სიტყვებს რამედ ჩააგლებს ვინმე...! ამგვარადვე, ისინიც, რომლებიც დღისითა და ღამით ასე შეჰლაღადებენ ღმერთს — ღმერთო, მიხსენი, უფალო, განმარინე; უფალო, განმიყვანეო, და ამასთანავე, სრულიად არ უწყინან ის უბედურება, რომელშიც მოხვედრილან, ვერ გრძნობენ სიმწარეს მონობისა, სიბნელეს საპყრობილისას და ვერც სიმძიმეს ბორკილებისას, ანუ ისიც კი ვერ გულისხმა-უყვიათ, რომ უკიდურეს შეჭირვებაში შთავარდნილან, — აი, ესევეითარნიც არასდროს არ ყოფილან შესმენილნი ღმერთის მიერ მათს ღოცვებში, არ ყოფილან, არ არიან და არც არასდროს არ იქნებიან!

ამიტომაც ჩვენთვის აუცილებელია წინდაწინ ვისმენდეთ ყოველივე ამის შესახებ, ვსწავლობდეთ, შევიმეცნებდეთ ამას იმათგან, ვინც ეს კარგად უწყის, ანუ სულიერ მამათაგან და სხვა მოძღვართაგან, და მხოლოდ ამგვარი მომზადების შემდეგ წარვუდგეთ ღმერთს ჩვენი ღოცვა-ვედრებით. და თუკი ამის მცოდნე და გულისხმის-მყოფელ ადამიანებს ჩვენს გვერდით ვერ მოვიძევთ ხოლმე, მაშინ გულმოდგინედ ვეძიოთ ისინი ჩვენგან შორსაც, ხოლო თუკი სხვაგანაც არ აღმოჩნდებიან ესევეითარნი, მაშინ ღოცვით მივმართოთ ღმერთს, რომ მან თვით დაგვანახვოს უხილავი და მიუწვდომელი სახით ყოველივე ეს, ანუ ის, ჭი-

რიც, უბედურებაც, ტყვეობაც, მონობაც, საკრველებიც, — ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ჩაკვარდნილვართ. და როცა, ღმერთის შეწევნითა და წყალობით, ცხადად შევიცნობთ, თუ რა დიდი ბოროტება ყოფილა ჩვენს ამგვარ მდგომარეობაში, მაშინ ჩვენ, ღამის ჩვენს უნებლიეთაც კი მხურვალე ღალადით მივმართავთ შემოქმედ ღმერთს და მაღალის ხმითა და ცრემლთა ღვრით მვედრებელნი იმისა, რომ შეგვიბრალოს და თავისი წყალობა მოგვმადლოს, შეისმინოს ჩვენი ვედრებისა, და გვიხსნას ჩვენ, უღირსნი მისძიერი წყალობისა, ტყვეობისა, განგვათავისუფლოს და განგვარინოს ჩვენ ჩვენს თავს მოწვევნილი უბედურებისაგან. და ყოვლად შეუძლებელია, რომ მაღალმა ღმერთმა სხვა რამ სახითა თუ გზით მოგვხედოს და შეგვიწყალოს ჩვენ, თუ არ მხოლოდ ზემორე აღწერილისა. რამეთუ ადამიანსაც, ვისაც აქვს შეძლება წყალობა აღმოუჩინოს ხოლმე სხვებს, აკი არ ძალუძს აღასრულოს ეს ქველის-საქმე, თუკი დანამდვილებით არ ეცოდინება, თუ რა ესაჭიროება მის მოყვასს, რას ითხოვს იგი. ღმერთს, რა თქმა უნდა, ყოველივე ძალუძს, რამეთუ იგი ყოვლადძლიერია, მაგრამ შეუძლებელია, რომ მან იცრუოს, ანდა განუდგეს საკუთარ თავს, — და ამიტომაც ყოვლად შეუძლებელია იგი წინამძღვარი შეიქნას ხსნის გზაზე. იმ ადამიანისათვის, ვინც სულაც არ ეძიებს ხსნას თავისი სულისათვის; შეუძლებელია, მან თავისი წყალობის კარნი განუღოს ისეთ ადამიანს, ვინც არც ირეკს მათსკ გასაღებად; შეუძლებელია ღმერთმა იმას მოანიჭოს რაიმე, ვინც თუმც კი ითხოვს მისგან საწადელს, მაგრამ, ამავე დროს, მისი ეს თხოვნა უჯეროა, ბოროტია; შეუძლებელია, ასევე, მან შეიწყალოს ისეთი ადამიანი, ვინც თვითონ არასდროს არ შეიწყალებს თავის ძმასა და მოყვასს, დაე, თუნდაც ესევეთარი მხურვალედ შეჰლაღებდეს მაღალ ღმერთს, — შემიწყალო. რამეთუ რამდენადაც ყოვლადძლიერია შემოქმედი ღმერთი, ამდენადვე იგი სამართლიანიცაა! მის ყოვლისშემძლეობას ყოველთვის თან ახლავს სიმართლეს მისი განგებულებისა, ხოლო მის უსაზღვრო წყალობას, — ზუსტი სასწორიცა და საწყაოც... ამრიგად, აუცილებელია, რომ ყოველმა ადამიანმა დანამდვილებით იცოდეს, თუ რა შეიძლება ღმერთმა მოიმოქმედოს მისთვის, რა წყალობის ღირსი შეიძლება იყოს იგი, და მხოლოდ მაშინდა წარუდგეს მას ღოცვა-ვედრებით, ჭეშმარიტებით მცოდნე თავისი მდგომარეობისა, და ვინძლო მიიღოს კიდევ სათხოვარი!...

* * *

საღმრთო სჯული იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქველის-საქმესა და სულიერ ღვაწლს ქრისტეანი ფარულად უნდა აღასრულებდეს, ყველა შესაბამისი წესის დაცვითა და თავმდაბლობით, წინაშე ერთისა მხოლოისა ღმერთისა, ანუ ისე, რომ, როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, მარცხენამ ჩვენმა არ უწყოდეს, თუ რასა იქმს მარჯვენა ჩვენი.

ხოლო ესეც ვიკითხოთ, თუ რა არის ეს მარჯვენა და ეს მარცხენა, მოხსენიებული საღმრთო წერილში? — ისმინე და სცან, რომ მარჯვენა რაიმე არის ის, როცა მორწმუნე ადამიანი ქრისტეს მიერ განჩინებულ საღმრთო მცნებას აღასრულებს, გამოხატულს ამ სიტყვებით ჩვენი უფლისა: „...ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქვენდა, თქვით, ვითარმედ მონანი ვართ უხმარნი; რომელი თანა-გვედვა ყოფად, ვჟავთ“ (ლუკა 17, 10). მაგრამ ვანა შესაძლებელია კი როდისმე ისეთი ვინმე გამოჩნდეს ამქვეყნად, ვინც ყოველივეს ჯეროვნად აღასრულებდა, რაც უნდა აღესრულებინა, ანუ ყოველთვის „ყო ბრძანებული“?!.. და, დაე, თუნდაც იყოს კიდევ ისეთი ვინმე, ვინც ახლა ყოველთვის აღასრულებდა, რაც უნდა

აღსრულებინა, რაც ნაბრძანები ჰქონდა ღმერთისაგან აღსრულებად, ანდა თუნდაც რაღაც ნაწილს აღსრულებდა ყოველივე ამისაგან, — ამ შემთხვევაშიც, განა თავის მიერ აღსრულებული იქნებოდა ეს, საკუთარი ძალებით მოქმედებული იქნებოდა, თვინიერ ღვთაებრივი შეწყენისა, თვინიერ ქრისტეს ღვთაებრივი ძალით განმტკიცებისა?! — არა რა თქმა უნდა, რომ — არა! და ვაგლახ, მას, ვინც რაიმე საქმეს, დაე, თუნდაც კეთილს, ქრისტეს გარეშე იქმნის! ვაი, მისაც და მის ამ საქმესაც! — რამეთუ იგი უჯეროდ იქმს ყოველგვარსა საღმრთო წერილში მოხსენიებული მარცხენა რამ ის არის, როცა ადამიანი ვინმე, მქმნელი უფრო საქმისა, ფიქრობს, რომ კეთილი საქმე მოიმოქმედა და ამისათვის იმის ღირსიცაა, რომ ყოველგვარი პატივიც მიიღოს ღმერთისაგან! ასეთი ადამიანი ვერასდროს ვერ ეზიარება ღვთაებრივ სიწმინდეს, თუკი ვერ შეიგნოს თავისი უჯერო საქციელი, თუკი ვერ გულისხმა-ჰყო თავისი უცნობელობა და შეცთომილება, და აღარა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ იღვეის იგი, რას მოიმოქმედებს, როგორ ოფლსა ღვრის და როგორ რუღუნებს! და ვაი, ესევეთარს მისი აღსრულებისა და ამქვეყნისაგან განსვლის შემდეგ! ვაგლახ, მას!...

მაშ, როგორია ის ნიშნები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ადამიანს ღვთაებრივი მაღლი აქვს ზეგარდმო მიღებული? ასეთი ნიშანი მაშინაა ჩვენ წინაშე, როცა მორწმუნე ქრისტეანი ურისხველია, შეუბილწავია ხორციელი გულის-თქმებით, მშვიდია და უწყინარი, აღსებულია ქრისტესმიერი თავმდაბლობით და შეძენილი აქვს უბოროტობა და დიდი გრძნობაც თანაღმობისა, როცა იგი შემოსილია წმიდა და გულწრფელი სიყვარულით მოყვასისადმი, როცა მას თავისი მტრებიც კი უყვარს და ილოცავს მათთვის, აღჭურვილი უეჭველი და მტკიცე რწმენით ღმერთისა ჩვენისა, ისე, რომ მის შესახებ შესაძლებელია თქმა ღვთაებრივი პავლე მოციქულის სიტყვებისა: „პრწმენა... ღმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ“-ო (რომ.4,3), — აი, ამ თვისებებისა და სათნოებების მქონე ადამიანის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას ნამდვილად მიუღია ღვთაებრივი მაღლი. ხოლო ვისაც არა აქვს ქრისტესმიერი მაღლის ზემოხსენებული ნიშნები თავის თავში, ესევეთარი ყველა თავის საქმეს მხოლოდ იმისთვის იქმს, რომ ადამიანთაგან იქნას ქებული და განდიდებული. და დაე, თუნდ, იმახდეს კიდევ — არ ვეძიებო ადამიანურ დიდება-პატივს, არ მწყურისო შექება კაცთაგან, მაგრამ მაინც, თითქოსდა თავის უნებლიეთ მიდრეკილია ამგვარი დიდება-პატივისაკენ. რამეთუ ვიცით, რომ სადაც ქრისტე არ არის, იქ დემონები არიან, ზოლო სადაც დემონები ბატონობენ, იქ მართალი ზრახვები დამახინჯებულია, წახდენილია და განხრწნილია. როგორც ბნელს ღამეში ჰფრენენ ხოლმე ღამურები თავისთვის საზრდოს საძიებლად, ასევე ბოროტი დემონებიც თავიანთ წინამძღოლთან — ბნელის მთავართან — ეშმაკთან ერთად აწინდელს ცხოვრებაში, ცოდვისაგან განხრწნილსა და დაბნელებულში დაძრწიან ხოლმე ამქვეყნად — მიწაზე თუ ჰაეროვან სივრცეში თავისთვის საკბილოს ძიებაში, დაძრწიან ყოველგან, ამასთან, ისე, რომ ერთს წამზედ გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე, თუნდაც უშორესზე, რადგანაც დემონები თავიანთი არსით აზრისმიერი, სულიერი ქმნილებანი არიან... ამას ყოველივეს თითოეული ჩვენთაგანი შეიძლება ჩასწვდეს იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ მოქმედებს თვით ჩვენი გონება, რომელსაც შეუძლია ერთს წამზედ მოიცვას აზრით ყველაფერი ის, რასაც ერთხელ დაინახავს, — სულ ერთია ახლომდებარე იქნება ეს რაიმე, თუ შორეული და დიდს სივრცეში გადაშლილი. და ასეთი რამ ძალუძს ჩვენს გონებას

მიუხედავად იმისა, რომ იგი ხორცთაა დაკავშირებული, შენივთებული... და სწორედ ამიტომაც, თუკი ეს გონება ქრისტიანისა სულიწმიდის მადლით არ არის აღბეჭდილი და გაძლიერებული, მისთვის შეუძლებელია აზრით ღმერთამდე აღმალდეს, ღვთაებრივზე ფიქრობდეს, ყოვლადსახიერ უფალს ესაუბრობდეს და თავისი ასეთი წმიდა მეხსიერებისა და გონიერი ლოცვის მეშვეობით ღვთაებრივ განათლებასა და განბრწყინებას მიიღებდეს შემოქმედს, დედას, მამას, და როგორც კი დაინახავს ხოლმე ეშმაკი, რომ ქრისტიანის სულიწმიდას სულს არა აქვს მიღებული ღვთაებრივი მადლის ბეჭედი და განძარცვულია სულიწმიდის მფარველობისაგან, და, ამის მიუხედავად, მაინც სურს აზრით ჰაეროვან სივრცეში გაინავარდოს, თითქოს უზენაეს ღმერთთან ასამაღლებლად, რათა, როგორც თვით ჰგონებს, ისაუბროს მასთან ლოცვის მეშვეობით და შეევედროს თავის ცოდვათა მოტევეებს, — აი, როცა დაინახავს ეშმაკი ესევეთარ ქრისტეანს, იგი უშიშრად გადაუდგება იმ გზაზე, რომლითაც ის, შეცთომილი ქრისტეანი, ვითომცდა, ღმერთთან ამაღლებას აპირებს, და შეაჩერებს მას, თითქოს ამას ეუბნებაო: „საითა გაგიწევია, უბედურო?! როგორ ბედავ იმ ადგილებში გაველას, რომლებიც ჩემს ხელმწიფებას ექვემდებარება?! მე ვარ მეუფე წყვდიადისა! ეს — მე მიმიღია სახელი მსოფლიოს, ამა ქვეყნის მპყრობელისა, და ყველა იმათი მეუფეც მე ვარ, ვინც მხოლოდ ამა ქვეყნიურზე ფიქრობს და საამქვეყნოს, ამაოდ სიბრძნისმეტყველებს!... მე ვარ მთავარი და მბრძანებელი ამა განხრწნილი ქვეყანისა, ჰაეროვანი სივრცის მეუფე, სატანა!... შენ ჯერ კიდევ არ დაგიღწევია თავი ჩემი ხელმწიფებისათვის! ქრისტეს შენ ჯერ არ გადაუყვანიხარ „ბნელისაგან — ნათლად, და ხელმწიფებისაგან ეშმაკისა — ღმრთისა მიმართ...“ (საქმე მოციქულთა 26, 18)! ამიტომაც, ვითარცა ჩემი მონა და ქვეშევრდომი შენ მხოლოდ ჩემსას უნდა ზრახავდე და მხოლოდ ჩემსას ეძიებდე! ჩემი კი, აი, რა არის: ხორციელი გულსთქმები, უმართლობა, სიბოროტე... აქამდე ყოველივე ამას წინა-დაგიდებდი შენ და იმასაც გიმტკიცებდი, თუ რა კარგია ეს; და შენც, ხედაუდი რა, რომ ეს ასეცაა, ყველაფერ ამას სიამოვნებით იგემებდი ხოლმე, საკუთარი თავით გამოსცდიდი და დასტკბებოდი, ახლა კი საით გაგიწევია? განა შეიძლება ძალ-გედვას ზეცად ამაღლება?! არა, აქვე დარჩი, ამა-ქვეყნიურ უწმიდურობაში და ცოდვიანობაში!“ აი, თითქოს ასე ეუბნება ეშმაკი ადამიანს, და სწორედ ამიტომ გვეუბნება კიდევ საღმრთო წერილი, რომ „არავის ხელ-ეწიფების თქუმად — უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“ (I კორინთ. 12, 3).

* * *

საღმრთო წერილში ნათქვამია, რომ მშვენიერი არ არის, უამურია ქება ცოდვილის პირით, რადგან უფლისაგან როდია მოუღუენილი (სიბრძნე ზირაქისი 15, 9), და აქ ნაგულისხმევია ამ ცოდვილ ადამიანში არა უღმერთო და ურწმუნო ვინმე (რამეთუ ვით შეიძლება ურწმუნო ადამიანი ილოცვიდეს იმ ღმერთის წინაშე, რომელიც არ უწყის და მისი არც არსებობა სჯერა?!), არამედ ისეთი მორწმუნე ადამიანი, ვინც უწყის ღმერთი და ვისაც სწამს იგი, მაგრამ, ამის მიუხედავად, უკეთურია თავის ბოროტ საქმეთა გამო, და ღმერთის მტერია თავის შეცოდებათა გამო. როგორადაც მშვენიერი, კეთილსახიერი და ღამაში რამ საგანი იზიდავს ხოლმე ადამიანის თვალს თავის საცქერლად, ხოლო უსახური და საზიზღარი კი გვაიძულებს სხვა მხარეს გავიხედოთ, რათა არ დავინა-

ხოთ იგი, ასევე ცოდვილის ბაგეთაგანაც გამოსული ქება-დიდება, გალობა თუ ლოცვა-ვედრება აიძულებს ღმერთს თვალნი თვისნი გარე-მიაქციოს მისგან, რითა აღარ ხედავდეს ცოდვილს, რამეთუ ეს უკანასკნელი მხოლოდ ბაგეებით ილოცავს, გონებით და გულით კი თავის ცოდვათა და ვნებათა ხაგნებს ეალერსება კვლავაც, რომლებიც როგორც მანამდე უფლებდნენ მასზე, ახლაც ლოცვის დროსაც ასევე ბატონობენ მის სულზე და უფრო მტკიცედ უმჯობნენ იგი, რამეთუ თუკი კაცი უპირველესად ყოველისა სინანულისა და სწავლისა გზით არ დამონებია და არ დამეგობრებია ღმერთს, მაშინ მისთვის შეუძლებელია ისე აღასრულებდეს ლოცვითს ღვაწლს ღმერთის წინაშე, რომ ამასთანავე რაღაც უჯეროსა და სამარცხვინოზე არ ფიქრობდეს. ღმერთთან სულიერად დამეგობრება კი მორწმუნისათვის არის მის სულში ღმერთის საიდუმლო სახით შემოსახლება. ხოლო ნიშანი იმისა, რომ ღმერთის მაღლი შემოსახლებულა მორწმუნის სულში, ისაა, რომ იგი ამიერიდან სულ შიშით, თრთოლვითა და მოწიწებით ილოცავს, კეთილსახიერად წარუდგება ღმერთს სასაუბროდ და უდიდესი გულისყურითაა განმსჭვალული ყოველივე იმისადმი, რისთვისაც ლოცულობს. რამეთუ, როგორც ღვთაებრივი პავლე მოციქული ამბობს, „არავის ხელ-ეწიფების თქუმად — უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“ (I კორ. 12,3). ამიტომ ის მორწმუნენი, რომლებსაც ჯერ არ ძალუძთ ამგვარი ჯეროვანი ლოცვა, შორს არიან ღმერთისაგან, და მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ არიან ისინი — სამღვდელონი თუ მოძღვარნი, საერონი თუ ბერ-მონაზონნი, ხალხის მასწავლებელნი თუ შუამავალნი ღმერთსა და ადამიანთა შორის. თუკი მზეც, სითბოსა და სინათლის გამომცემი, ბუნებრივად განათობს ყველას, ვისაც კი მისი სხივებისათვის მიუბყრია თავი, მაშინ განა მაღალი ღმერთიც, რომელი არის წმიდა და სახიერი, არ განანათლებს და არ განწმედს ყველას, ვინც კი ლოცვის გზით წრფელად საუბრობს მასთან?! მაგრამ ხშირად ეს არ არის ხოლმე ასე. და თუკი იკითხავთ, რატომაა ასე, გეტყვით, რომ მზის გულზე მსხდომთ კარგად უწყვიან, თუ რისთვის დამსხდარან ასე, — ანუ იციან, რომ გათბობა სურთ. და ამიტომაც კარგად განუმზადებიათ თავი იმისათვის, რომ მზის სითბო შეიგრძნონ; ხოლო უგულისყუროდ მლოცველებმა თვითონაც არ უწყვიან, თუ რის გამო ლოცულობენ და რას ითხოვენ ღმერთისაგან, ანუ ისინი უჯეროდ არიან წარმდგარნი ღმერთის წინაშე. ამიტომაც ღმერთი არ შეისმენს ხოლმე მათს თხოვნას და არაფერს არ აძლევს მათ, და არც არასდროს არ მისცემს, დაე, თუნდაც ეს უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ილოცვიდნენ ასე — უჯეროდ, უგულისყუროდ!...

ამრიგად, რადგანაც ამაოდ დაშურებია ეს ადამიანები, რომელნიც ისე გალობენ ხოლმე ღმერთის სადიდებელს და იმგვარად აღასრულებენ ლოცვას, რომ მანამდე არ განათლებულან ღვთაებრივი მაღლით, ამიტომაც ესევეითართათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა კეთილმსახურ მოძღვრებთან წავიდნენ და მათგან ისწავლონ, თუ ვით ჯერ-არს ლოცვა და რისი თხოვნაა უპრიანი ჩვენს ლოცვებში ღმერთის წინაშე. და თუკი ასეთი უძღური ადამიანები არ ისურვებენ სწავლა-მოძღვრების შეძენას, ისინი ვერასდროს ვერ შეიძენენ ამას, სულ ერთია როგორი არიან — ბრძენნი თუ უსწავლელნი, და თავიანთ ცხოვრებასაც უწმიდურებად დაასრულებენ. ამრიგად, ღმერთი არ შეისმენს იმათსაც, ვინც არ უწყის, რას ითხოვს. ამიტომ იმისთვის, რომ ჩვენც ამ სახედვე არ ვევნოთ და საუკუნოდ უწმინდურნი არ დავრჩეთ ჩვენი უგულისხმობის გამო, ამჟამითვე ვიზრუნოთ ჯეროვანი ლოცვის სასწავლად, ანუ იმის გულისხმის-საყოფად, თუ რა უნდა ვითხოვოთ ხოლმე შემოქმედი ღმერთისაგან, რათა ჩვენი ლოცვა კეთილად

იქნას შეწყნარებული ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს მიერ, მას დიდება მამას-
თან და წმიდა სულთან ერთად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!
ამინ!

* * *



ვინც მარხულობს, ილოცავს და მოწყალებასაც გაცემს (რამდენჯერ უწოდებ
რედ ამ სამი უმთავრესი ქველის-საქმის მეოხებით შეეძინებათ ჭეშმარიტ
ქრისტიანებს ცხოვნება), დაჲ, ესევეითარი ნუ ითელის ხოლმე დღეებს თავისი
მარხულობისა, ნურც სიამაფით უყურებს ღვაწლს თავისი ღამისთევისა და
ლოცვა-ვედრებისა, ნურც აღრაცხავს ოდენობას თავის მიერ მოწყალებათა გა-
ცემისა, — ეს რა ბევრი გამიციაო, არამედ დაჲ, მხოლოდ იმაზე იფიქროს,
სათნო-ყოფა ეს ყოველივე ღმერთს, თუ — არა, შეიწყნარა მისგან ეს საქმენა
მისმა შემოქმედმა, თუ — არა. თუკი ღმერთი შეიწყნარებს მისგან ამ საქმეთ,
მაშინ მას მოეცემა კიდევც ღვთაებრივი მადლი, ხოლო თუკი არ შეიწყნარებს,
მაშასადამე, ჯეროვნად არ მოუშოქმედებია ისინი, და ამიტომ ვერც შეიქნება
საღმრთო მადლის მიღებას ღირსი. და თუკი მიიღებს ამ მადლს, საკუთარ
თავს, მაშინ, ნახავს გულშემუსრვილს, მდაბალს, თავის სულში ჩაღრმავებუ-
ლს, გულმოწყალებსა და მონანულს ყველა იმ ბოროტი საქმის გამო, რომლებიც
მანამდე მოუშოქმედია; და მაშინ, თავისი ასეთი შინაგანი განწყობილების მე-
ოხებით, მორწმუნე ქრისტიანი ნათლად შეიცნობს, თუ რა დიდი ყოფილა მისი
უძლურება და რა უხმარნი, ბილწნი და საძაგელნი ყოფილან ღმერთის წინაშე
მისი წარსული ცოდვები; მაშინ შეიმეცნებს ესევეითარი, რომ მისი უწინდელი
ცოდვები მხოლოდ უგნური ცხოველისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს,
გონიერი სულის მქონე არსებისათვის კი, როგორც ივეით არის — არამც და
არამც!... აი, ამგვარია პირველი მადლი და პირველი განათლება, რომელიც
ადამიანის სულს მოენიჭება ღმერთისაგან. და ასეთ გულისხმის-ყოფად მო-
სული ადამიანი, ანუ ცხადად შემგრძნობი იმისა, თუ რა მდაბალი და რა საზიზ-
ღარი ყოფილა მისი უწინდელი ცოდვები, მთელის გულით შეიძულებს ამ ცოდ-
ვებს და სამუდამოდ განეშორება კიდევც მათ, როგორც ყოველნაირი ზიზღისა
და სიძულვილის ღირსთ, და სწორედ ეს იქნება მისთვის ერთადერთი სწორა
გზა ხსნისა! ხოლო ვინც არ უწყის საკუთარი თავი და ვერც იმასა გრძნობს,
თუ რა საწყალობელ მდგომარეობაში იმყოფება (და არც ცდილობს იმას, რომ
შეიმეცნოს საკუთარი თავი და გულისხმა-ყოს, თუ რა საშინელ დღეში ყოფი-
ლა ჩავარდნილი!), ასეთ ადამიანს სულ ამაოდ ჩაუვლის ყველა ქველის-საქმე
— მარხვა-ლოცვაცა და მოწყალებათა გაცემაც, რომელნიც მრავლად აღუსრულე-
ბია! დიახ, ტყუილ-უბრალოდ ჩაუვლის მთელი შრომა, რამეთუ ღმერთისთვის
ყველაზე სათნო და სასურველი მსხვერპლი მორწმუნე ადამიანისაგან არის
მხოლოდ სული შემუსრვილი, მონანული და მდაბალი, და მხოლოდ ასეთი მსხ-
ვერპლის შეწირვისათვის მოემადლება ადამიანს ცოდვათა მოტევება ღმერთი-
საგან, და ასევე, მხოლოდ ამგვარი მსხვერპლის შესაწირავად უნდა იყოს მის
მიერ აღსრულებული ყველა ქველის-საქმე — მარხვაც, ლოცვაცა და მოწყალე-
ბანიც! აი, ესაა საიდუმლო ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისა! აი, როგორ
უნდა ცხოვრობდეს და როგორ უნდა იქცეოდეს ყოველი ქრისტიანი ამქვეყნად!
მარხვებს ლოცვა-ვედრება, მოწყალების გაცემა, ნებაყოფლობითი სიგლახაკე, ში-
შველ მიწაზე ძილი და სხვა ყოველივეც, რასაც უნდა იქმდეს მორწმუნე ადამი-
ანი, — ყველაფერს იგი იმისთვის უნდა იქმდეს, რომ ღმერთს დაუმეგობრდეს,

ხოლო თუკი მის ამ საქმეებს ღმერთთან დასამეგობრებლად არ მიყავთ იგი, მაშინ რა სარგებლობა აქვს მას ყველა ამ მოქმედებისაგან?! — არავითარი!...

* * *



სულს ადამიანისა ვერ განწმენდს და ვერ იხსნის ოდენ მარხვა, ლოცვა თუ მოწყალებათა გაცემა თავისთავად, ხოლო ჭეშმარიტ განწმენდასა და ხსნას უწინარესად ამ სათნოებებისა და ქველის-საქმეებისა მას მოპყდალის რწმენა ღმერთისა, როცა ქრისტიანი ირწმუნებს ხოლმე, რომ მისი განწმენდა და ხსნა ძალუძს ერთს მხოლოს — ჩვენს უფალსა და ღმერთს იესუ ქრისტეს. ამის საჩინო დადასტურება ჩვენთვის მოცემულია დიდ საღმრთო საიდუმლოში ჩვენი უფლისა და ყოვლისმპყრობელი ღმერთის იესუ ქრისტეს ყოვლადწმიდა სხეულისა (ხორცისა) და სისხლისა, ანუ საუფლო ძღვენის ამ ქმედით საიდუმლოში, რომლის მეშვეობითაც ყოველი მორწმუნე საკვირველად ეზიარება ხოლმე ღმერთის სიწმინდეს, იმ უფლისა, რომელიც ყოველ ადამიანს უბრძანებს, ასე მეტყველი: „საკრეულთაშინანი გამოვედით და ბნელის შინანი გამოჩნდით!“ — (ესაია 49, 9). ეს ყოვლადწმიდა ძღვენი ღირსსაფერად უერთდება სულსა და სხეულს მზიარებელი ქრისტეანისას, და როცა ამ გზით უერთდება და უმეგობრდება იგი ღმერთს თავისი შეუეჭვებელი რწმენისა და წმიდა საუფლო საიდუმლოთა მეშვეობით, მაშინ განა შესაძლებელი იქნება მისთვის, რომ კვლავ ეშმაკის მონად რჩებოდეს და უწინდებურად უწმიდური იყოს?! შესაძლებელია განა, რომ ესევეთარი კვლავაც განაგრძობდეს შეცოდებათ?! შესაძლებელია განა კვლავაც სისამაგლუთაგან მიიდრიკებოდეს, სანამ ახსოვს ესოდენ დიდი კეთილმოქმედება ღმერთისაგან და სანამ ამგვარად მიემთხვევა უფალს?! ცოდვა მაშინ ეუფლება ხოლმე ადამიანს, როცა იგი საღმრთო მადლსა და ზეგარდმო განწმენდასაა მოკლებული. ამ მოკლების მიზეზი არის ამპარტავნება ადამიანისა, ხოლო ამპარტავნება მომდინარეობს ღმერთის დავიწყებისაგან; თავის მხრივ, ეს დავიწყება ღმერთისა ადამიანს ეწევა ხოლმე უგულვებელყოფისაგან ღვთისმიერი განწმენდა-კურთხევისა, რომელიც ღმერთმა თავისი უდიდესი კაცთმოყვარეობის გამო მოანიჭა ადამიანს, ანუ ცოდვილი ადამიანის მიერ არად მიჩნევისაგან ღმერთის სათნო-ყოფის აუცილებლობისა. თუკი ვინმე დაივიწყებს ხოლმე ღმერთს, თავის განწმენდასა და მაკურთხეველს, მაშინ იგი იმასაც დაივიწყებს, თუ ვინ არის მისი მფარველი, დამცველი მასში ამ განწმენდის და კურთხევისა, ხოლო რაკი დაივიწყებს ამას, ასეთი ადამიანი ცუდმედილობასაც იწყებს და ასე ჰკონებს, თითქმის ყოველივე მას თავისთავად აქვს, ანუ საკუთარი ძალისხმევით აქვს მოპოვებული; და რადგან ასე იწყებს ფიქრს, იგი უღირსი ხდება საღმრთო მადლისა, და კარგავს კიდევ მას, მოაკლდება ღმერთის განწმენდასა და მფარველობას; აქ კი, სწორედ ამ დროს, მას კაცთა მოდგმის დაუძინებელი მტერი და ადამიანის დაღუპვის მოსურნე ეშმაკი მოუხდება ხოლმე თავისი საცთურით, და გაიტაცებს მის უძღურ სულს, და აი, უკვე ცოდვაშია ადამიანი, ხოლო ცოდვას — წაწყმედაც მოსდევს. ყოველივე ეს კი იმისგანაა, რომ ადამიანი ივიწყებს ღმერთს, თავის შემოქმედსა და განწმენდს, სწყვეტს ხოლმე მისთვის მადლობის მიძღვნას და აღარც მორჩილებით თავს იმდაბლებს მის წინაშე, ეს კი უდიდესი უკეთურება და უადრესი უმართლობაა... აი ვთქვათ, ვინმე ზღვაშია ჩავარდნილი და მისი ტალღები შთანთქმით ემუქრებიან უბედურს, თუკი ვინმე იხსნის მას ამ გაჭირვებისაგან და ისიც ცოცხალი და უვნებელი გამოაღწევს ბობოქარი ზღვის სიღრმეთაგან, თითქოს

მკვდრებით აღმდგარა, თითქოს ხელახლა შობილიაო, მაშინ რაოდენ მაღლივ-
რი იქნება თავისი მხსნელისა და როგორ დაიმდაბლებს თავს მის წინაშე! ასე-
ვეა აქაც! — და ვინც ყოველთვის ასეთია და ამგვარად იქცევა ხოლმე, იმას ღმერ-
ითი არასოდეს არ მიატოვებს, როგორც ამას წმიდა დავით მეფეც გვიდასტო-
რებს, როცა ამბობს: „... სიმდაბლესა შინა ჩვენსა მომიხსენნა ჩვენ უფალმან,
რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაი მისი!“ (ფსალმუნი 135, მუხლი 23).
გვ. 23. 1111111111

* * *

შენდა, ძმაო, ვისაც ზეგარდმო განგანათლებს ქრისტე, ჯერარს ჩაუკვირდე
საკუთარ თავს, რათა არასდროს არ დაგავიწყდეს საკუთარი უძლურება და არ
ჰგონებდე, რომ შენში გიებული ნათელი, ზეგარდმო გადმოცემული, თითქოსდა
მხოლოდ შენი ღირსებების დამსახურება იყოს, რამეთუ ეს ნათელი დაფა-
რულია, უხილავია, და შენ ვერ ხედავ; თუ როდის და როგორ შებოღის იგი
შენში, მაშ, უწყოდე, რომ როგორც კი იფიქრებ, ეს ჩემი ძალისხმევის საქმეაო,
ნაყოფი ჩემი ღირსებებისაო, უმაღვე ეს ნათელი მიუფარება შენს თვალთაგან
და კვლავაც სიბნელეში დარჩები. ღმერთი უხილავია და უხილავადვე განანათ-
ლებს შენს სულს, ისე, რომ ამის დანახვას შენი ხორციელი თვალებით ვერ
შეძლებ. ხოლო შეიცნობა ეს განათლება მის მოქმედებათაგან, მის ნაყოფთაგან,
ისევე, როგორც თვით ღმერთი შეიცნობა ჩვენ მიერ მის საქმეთაგან. მაშ, უწყ-
ოდე, თუკი გულშემუსრვილი და მდაბალი ხარ, მაშინ განათლებულიც ყოფი-
ლხარ ზეგარდმო საღმრთო ნათელით, და რა ზომითაც დაიმდაბლებ თავს, იმ ზო-
მითვე მოგეცემა საღმრთო განათლება; რამეთუ როგორც ღმრთივგანბრძნობილ
მამებს უთქვამთ, სულის წარმატებულობა არის ადამიანის წარმატებულობა თავ-
მდაბლობასა და მორჩილებაში; სული, რომელიც ღირს — იქმნე-
ბა ხოლმე ღვთაებრივი გამოცხადებისა, ანუ საღმრთო განათლებისა და სიმშვი-
დისა, — ასეთი სული ყოველთვის მშვიდი და უშფოთველია. ხოლო ღვთაებრი-
ვი განათლება დაიშრიტება ხოლმე მასში უმოწყალობათ, ძმათა განკითხვით და
სხვათა ძვირმომხსენებლობით. რამეთუ ვისაც ღმერთის კეთილმოწყალებითა და
უსაზღვრო კაცთმოყვარეობით ხსნა შეუძენია, იგი თავისი მოწყალე გულითა
და კეთილ შრომაში გულმოდგინებით ძმათათვის შეინარჩუნებს ხოლმე თავის
თავში ამ ღვთაებრივ წყალობას, თანახმად ქრისტე მაცხოვრის სიტყვებისა, რო-
მელიც ასე გვეუბნება წმიდა სახარებაში: „რომლითა განკითხვითა განიკითხვი-
დეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ“ (მა-
თე 7, 2). ამიტომაც საღმრთო წყალობის მიღებამდეც ჯერ-არს ჩვენთვის გუ-
ლმოწყალენი ვიყოს მოყვასისადმი, და შემდეგაც, როცა ღირსნი შევიქმნებით
ამ წყალობის მიღებისა ზეგარდმო. და ვინც ღმერთის ერთიანი მზრუნველო-
ბით უკვე განკურნებულა თავისი დიდი, მძიმე და ღვთის მოწყალების გარეშე
განუკურნავი სნეულებისაგან, იგი მარადის უნდა ხარობდეს და სულით განსც-
ხრებოდეს, მთელის გულით და სრული ზრახვით მაღლს მიუძღვნოდეს შემოქ-
მედ ღმერთს, რომელსაც თავისი უსაზღვრო წყალობა მოუვლენია მისთვის,
ცოდვილისათვის, და სრულიად განუკურნავს მისი უძლური სული; ესევეთარი
ყოველთვის თავმდაბალი და მშვიდი უნდა იყოს, სულ ჰკვირობდეს მისდა მოვ-
ლენილ ამ უდიდეს საღმრთო წყალობას; და ასეთი ქრისტეანი, აღსავსე სახი-
ერებითა და მოწყალე გულით, ყოველთვის თანამდგომი იქნება იმ ცოდვილი
ადამიანებისადმი, რომლებიც ჯერაც იმავე ბოროტ ვნებებს არიან დაქვემდებარე-
ბული, რომლებსაც თვით იგი დამონებოდა თავის განკურნებამდე. ესევეთარი

არასდროს არ მოიძაგებს არავის და ყველას წინაშე თვინიერი, მდაბალი და ყოველი სიხარულით აღსავსე იქნება!... აი, ასე უნდა ხარობდეს ყველა ცოდვილი ადამიანი, ვინც კი ქრისტეს მიერ იქნება ხსნილი მის სულზედ მიმძღვრებული ვნებებისაგან, და ასე უნდა განსცხრებოდეს უფლისმიერი ცხოვრებისათვის თავისა. მაგრამ თუკი ესევეთარი, მიიღებს რა ღუთაებრივ ~~ხსნას~~ და კურნებას ზეგარდმო, შემდეგში გაამჰართაუნდება, მაშინ ეშმაკიტ ~~ბრძანებას~~ ხოლო ცოდვის იარაღიც აკი კვლავ ჩვენ ხელთაა, ანუ აკი კვლავაც შემოსილი ვართ ჩვენი უძლური ბუნებითა და სხეულით. მაშინ, ასეთი უღირსნი ქრისტეანისაგან კვლავაც განეშორება მადლი ქრისტესი, ეშმაკი კვლავაც და უფრო მეტის გაშმაგებით მოუხდება მას, აღუმღვრევს ამოზრახვებს და თავისი საცთურის მეშვეობით იმისაკენ წარმართავს ამ საწყალობელს, რომ უწინდელზე უარესი და მძიმე ცოდვები ჩაიდინოს თავისი სხეულით, და უწინდელზე ბოროტი ზრახვებით აღივსოს გული. უფალიმც განგვაშორებს ჩვენ, მის მდაბალ მშოსავთ, ესევეთარი საქმეებისაგან, ღმერთი და მაცხოვარი ნუმც მოგვაკლებს ჩვენ თავის წყალობას, რაზეთუ მას, ყოვლად ძლიერსა და ყოვლად სახიერს შვენიის პატივი და თაყვანისცემა თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!



ფინანსოლოგიური აზროვნება ეგვიპტეში

მართალია, ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი არ ეპარება „ეგვიპტური ფილოსოფიის“ არსებობაში, მაგრამ მაინც მოგვიხდება დავახასიათოთ ეგვიპტური აზროვნება, როგორც „წინაფილოსოფიური“. ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის, რომ, როგორც ჩანს, ეგვიპტელი ქურუმების მიერ შეზღუდვებული მოძღვრებანი, (რომლებიც ხილულ სამყაროსა და ღვთაების იდეას ეხებოდნენ) და რაციონალური გზით მოპოვებული მორალური ნორმები (რომლებსაც განსწავლული ბრძენები ქადაგებდნენ) არ ქცეულან სპეკულაციურ მეცნიერებათა საგნად — ისინი ექვემდებარებოდნენ ყოველდღიურ რიტუალებსა და საქმიანობას. ეგვიპტეს არ ჰყავდა ფილოსოფოსები იმ გაგებით, როგორც ძველ საბერძნეთში იყვნენ; სამაგიეროდ, ეგვიპტეს ჰყავდა განსწავლული ქურუმები და მოხელეები, რომელნიც ზოგჯერ ფილოსოფიურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ თავიანთი ხელობისა თუ საქმიანობის თეორიული საფუძვლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტელთა აბსტრაქტული მსჯელობა ზოგ შემთხვევაში საკმაოდ მაღალ დონეს აღწევდა, მათი რელიგიური აზროვნება, რომელშიც განუყრელად იყო შერწყმული ფიზიკა და მეტაფიზიკა, იშვიათად გადადიოდა წმინდა შემეცნების სფეროში: ეს ის მოძღვრება იყო, რომელსაც ებყარებოდნენ ტაძრებში გამოყენებული საშინელი სირთულის რიტუალური პროცედურები, რომელთა მიზანი იყო უზრუნველყოთ კოსმიური პროცესის შეუფერხებლობა, ხოლო საერო ხასიათის „შეგონებანი“, რაც არ უნდა დახვეწილი ყოფილიყო ამ შემთხვევაში მათი შეფარული თეორიული აზრი, შეიცავდნენ, უპირველეს ყოვლისა, ისეთ მოძღვრებას, რომლის მიზანი იყო უზრუნველყო საზოგადოებრივი პროცესის შეუფერხებლობა.

თვით ის ფაქტი, რომ „ეგვიპტური ფილოსოფიის“ ბევრმა დებულებამ ჩვენამდე მხოლოდ რიტუალური ტექსტებიდან (სამარხებზე სამგლოვიარო წარწერები, ჰიმნები და სხვ) და აღმზრდელობითი თუ პროპაგანდული თხზულებებიდან (შეგონებანი, წინასწარმეტყველებანი, მეფეთა ქებათა-ქება და სხვ.) მოაღწია, საკმაოდ ნათლად ავლენს ფარაონული აზროვნების სპონტანურ ხასიათს. მცირე რამ, რაც დღემდე ვიცით ეგვიპტეში გეომეტრიული თუ არითმეტიკული მეთოდების შესახებ, ჩვენთვის ცნობილი გახდა მათი პრაქტიკული ანგარიშის სახელმძღვანელოების მეშვეობით. ფიზიოლოგიური და ეტიოლოგიური ხასიათის მოძღვრებებმა შეფარულად იჩინეს თავი სამკურნალო რეცეპტების კრებულებსა („უქედუს მოძღვრება“) და თვით რელიგიურ ტექსტებშიც (საქერმისა და თავის ტვინის გაიგივება).

ყოველივე ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ძველ ეგვიპტეში საერთოდ არ არსებობდა კოსმოლოგიური თუ მეცნიერული კონცეფციების ზოგადი ფორმულირება, რადგანაც ხელთ არა გვაქვს ის „კანონები“, რომლებზედაც ხშირად მიგვანიშნებენ. ის იშვიათი „დეკრეტები“ კი, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ, განი-

ხილავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ შემთხვევებს, ამიტომ ჩვენთვის მაინც ბუნდოვანია, თუ რას წარმოადგენდა ეგვიპტური ლოგიკა სამართლის სფეროში. დღესდღეობით არსებული მასალიდან არ ჩანს, რომ ეგვიპტელებს აბსტრაქტულ მათემატიკაში რაიმე შრომები ჰქონოდათ, სამაგიეროდ მედიცინაში. „ეპერსის პაპირუსის“ კრებულში შეტანილ ნაშრომთა შორის წარმოდგენილია ჭეშმარიტი ტრაქტატები ანატომიასა და ფიზიოლოგიაში („თეორია სისხლძარღვთა შესახებ“). კოსმოგონიური მსჯელობა, რომელსაც „შემფისური თეოლოგიის დოკუმენტი“ შეიცავს, თავისი სტილის მიხედვით შეიძლება ჩავთვალოთ (მიუხედავად იმისა, რომ იგი თანამდებობის მინიჭების რიტუალს მიეკუთვნება) სამყაროსეული სისტემის თანამიმდევრულად გადმოცემის ნიმუშად.

კვლავაც უნდა დავასკვნათ, რომ სწავლება ეგვიპტეში მიმდინარეობდა არა ზოგადი თეორიების წარდგენით, არამედ მეტწილად კონკრეტული მაგალითების დემონსტრირებით (მაგ: გაყოფის ასახსნელად არსებობდა ე.წ. ნიმუშიუსტარები) აღზრდის მიზანი იყო ჩამოყალიბებინათ ისეთი ტექნიკოსები, რომლებსაც ეცოდინებოდათ თავისი პროფესიისთვის დადგენილი წესები და ფორმირება ისეთი სახელმწიფო მოხელეებისა, რომელნიც წინაპართა მიერ დაწესებულ ტრადიციულ ნორმებს თვითონაც დაემორჩილებოდნენ და თავის ხელქვეითებსაც დაუმორჩილებდნენ. მაშასადამე, ინდივიდურ აზროვნებას არ წაახლისებდნენ, მაგრამ არც ხლუდავდნენ. ფორმისა და შინაარსის დახვეწის მომენტები, რომელიც სამღვდულოების, სწავლულებისა და მეცნიერების ელიტას შეჰქონდა ტრადიციაში, ამ ტრადიციის განუყოფელ ნაწილად იქცეოდა.

არა მარტო ის იდეები, რომლებზედაც დაფუძნებულია ყოველი პერიოდის ღვთისმსახურება, სახელმწიფო რეჟიმი, ხელოვნება, და რომელნიც ყალიბდებიან იმპლიციტურ და ექსპლიციტურ სისტემებში, არამედ თვით ის ტექსტები, საიდანაც იგებთ ამ იდეათა არსებობის შესახებ, მიგვანიშნებენ ისეთი რეფლექსიის არსებობაზე, რომელიც შეიძლება უკვე ფილოსოფიურად მივიჩნიოთ.

უდავოდ, ეგვიპტელებმა შეინარჩუნეს მითები, სადაც წინაპართა გამოცდილება ბველთაგანვე გადმოცემული იყო „პოეტურ ანალოგიათა“ სახით, იმგვარად, თითქოს ეს მითები შეიცავდნენ ფაქტიურ მონაცემებს, მოაზროვნებს, რომლებიც ფიქრობდნენ ყოველი შემეცნების ამ „პარადიგმებზე“, სურდათ მათ შორის შესაბამისობის დამყარება, მათი აღწერილობითი შინაარსისა და მაგიური ქმედითობის გაღრმავება და ამის შედეგად ძალიან ადრე მოუხდათ ამკარა ფორმითა და სისტემატიზებული სახით შემდეგი პრობლემის დასმა: სამყაროს წარმოშობისა, ღვთაებრივი საწყისის ერთიანობისა და მისი ბუნების პრობლემები, აგრეთვე პრობლემა იმ როლისა, რომელსაც ასრულებენ შემეცნებელი გონი და სიტყვა (რომელიც ქმნის საგნებს მათი განსაზღვრისას), იდეალური წესრიგისა და უწესრიგობის პრობლემა და ა. შ.

რასაკვირველია, მონარქიული ინსტიტუტი და სოციალური იერარქია მიჩნეულ იქნენ გარდუვალ და დადებით ფაქტებად, მაგრამ ამგვარი ჩარჩოებით შემოფარგლული სწავლულები ცდილობდნენ განესაზღვრათ ზოგადი წესები, რომლებსაც უნდა წარემართათ ადამიანის პოლიტიკური და სოციალური ქცევა. ისინი ცდილობდნენ წარმოესახათ ადამიანის იდეალური ტიპი, ხოლო თვით ისტორიის მსვლელობამ მისცა საბაბი ამ სწავლულებს გაეაზრებინათ სამყაროს წესრიგი თუ მოუწესრიგებლობა, ეფიქრათ ბედზე, სიკვდილზე და იმქვეყნიურ

არსებობაზე. ეგვიპტურ ტექსტებში ნათლადაა გამოკვეთილი ნიშნები, ჩანასახობრივად რომ მიგვიანიშნებენ იმ პირველ ნაბიჯებზე, რომლებიც შემდგომ გადადგა ბერძნულმა ფილოსოფიამ.

თუ გავითვალისწინებთ კვლევის დღევანდელ ეტაპს, უნდა ითქვას, რომ ეგვიპტის ფილოსოფიური აზროვნების ისტორია, ჯერ კიდევ შეიტყვის ბევრ ბუნდოვან მომენტს. ჩვენთვის ნათელია მხოლოდ ამ ისტორიის ზოგადი კონტურები, რადგან აშკარად და ჩამოყალიბებული სახით მოცემული ნაშრომები და კომენტარები მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენენ; ხშირად საჭირო ხდება გამონათქვამთა რეკონსტრუქცია, მინიშნებებზე დაყრდნობით და ვარაუდით მათი სისტემებში გაერთიანება. გარდა ამისა, ყრუ კვლად აღიმართება ხოლმე ამოუცნობი ლექსიკური ერთეულები. ჩვენ ძალიან ბუნდოვნად გვესმის ძირითადი მნიშვნელობა და ლოგიკური ემპლიტიკაცია ისეთი ძირებისა და ისეთი სიტყვების, როგორცაა:

„ქმნალობა, გახდომა“, „ყოფნა“, „არ ყოფნა“ და „გარდაცვალება“ — „კეთილი, კარგად, ლამაზი“ ანდა „ნამდვილი, სწორი“, „განზრახვა“ და „ყოფნის მოღუსი“, ანდა „მარადისობა“. გამოუვალ მდგომარეობაში გვაყენებს, შეიძლება ითქვას გვაშინებს კიდევ მთელი რიგი იმ სიტყვებისა, რომლებიც გამოიყენებიან ღუთების ატრიბუტთა დასახელებისას და რომლებიც ნიშნავენ „სულებს“ და „ძალებს“, რაც (ღვთიურის) ხალკად გამოვლინებას გულისხმობს, ერთდროულად „ძალები“ და „კერპები“, დაზუსტებით არ არის ცნობილი არც ის, თუ რა განსხვავებაა იმ ტერმინებს შორის რომელთაც თარგმნიან სიტყვებით: „ბუნება“, „თვისება“, „ხასიათი“ და არც ურიცხვ გამოთქმათა სპეციფიკური ნიუანსებია ცნობილი, რომლებიც იწარმოებიან სიტყვებით, რაც ნიშნავს „გულს“ და „მუცელს“.

... გარდა ამისა, ეგვიპტური ფილოსოფიის პირველი ნაბიჯების შესწავლას აბრკოლებს ისიც, რომ ჩვენ არაფერი ვიცით ეგვიპტელთა უძველესი აზროვნების შესახებ.

ეგვიპტური აზროვნების ბუნება

ძველი სამეფოს (2800-2300) რელიგიური პანთეონი და ცნობილი მითოლოგია, რომელიც შეფარვითაა გაშუქებული „პირამიდების ტექსტებში“ და სურათხატოვან სხვა დოკუმენტებში, უკვე აშკარად წარმოადგენენ ერთგვარი მეცნიერული მუშაობის შედეგს. იმთავითვე თეორიული მსჯელობისათვის მრავალნაირი შესაძლებლობა წარმოშვა ტრადიციების კოორდინირების სამეფო ინვესტიტურის წესებისა თუ სამგლოვიარო რიტუალის დოკუმებად ჩამოყალიბების აუცილებლობამ. მაგრამ ეგვიპტური რელიგიის პირველსაწყისი შეიძლება მხოლოდ პიპოთეზური სახით იქნეს აღდგენილი. ბჭობის შედეგად იგი მოიაზრება არა როგორც ეგვიპტური აზროვნება, არამედ სხვადასხვა ეგვიპტოლოგთა მიერ დაშვებულ მოსაზრებათა ჯამი, ეს მოსაზრებები ეხება ზოგადად პირველყოფილი რელიგიათა გენეზისს, კერძოდ კი — ფარაონულ რელიგიას. აღვნიშნავთ მხოლოდ: დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული თეორია ამტკიცებს, რომ ძველი ეგვიპტის მოაზროვნეები აღიქვამდნენ სამყაროს და მონარქიულ ინსტიტუტს, როგორც ორ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე და ერთმანეთის შემავსებელ საწყისს (ჰორი — სეთი, სამხრეთი — ჩრდილოეთი), თუმცა სასურველია ეს თეორია მეტად გავრცობილი და დასაბუთებული იყოს.

ამავე დროს, მითების ამ არეულ სიუხვეში, სადაც სხვადასხვა მოვლენის

ერთდაიგივე წარმოშობაზეა ლაპარაკი, ან ერთი და იგივე მოვლენის აღწერა გადმოცემულია სხვადასხვა მხატვრული სურათებით, მაინც უნდა გაიკვლიოს გზა ერთბაშად დასმულმა საკითხმა ლოგიკური პრობლემის თიბზე. როგორ შეიძლება მზე იყოს აღწერილი რიგრიგობით ხან როგორც ცეცხლის დისკო, ხან როგორც ლომი, ზოგჯერ კი — ზღვით მოგზაური? რატომ არის, რომ ღმერთს ერთდროულად ჰქვია რა, ატონი, პორი?! ეგვიპტულ ლოგიკის ძველი სკოლა ხსნიდა ამ აშკარა შეუთავსებლობას, როგორც მითების პასიური შეერთებისა ანდა განსხვავებულ ლოკალურ მითოლოგიათა მექანიკური შერევის შედეგს. ახალი სკოლა კი, პირიქით, თვლის, რომ თავდაპირველად ეგვიპტელი ცდილობდა შეეცნო ერთი და იგივე ფენომენის გარესახე და დინამიზმი არა პირდაპირი გზით, არამედ სხვადასხვა მითოპოეტურ ანალოგიათა მეშვეობით. სხვადასხვა სურათები, რომლებითაც იგი ამ ფენომენს აღწერს, იმდენად ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან რამდენადაც წარმოადგენენ განსხვავებულ შემეცნებით მიდგომებს, სიმართლე რომ ითქვას, არ არის შეუთავსებლობის სინკრეტისტულ თეორიასა და მიდგომათა სხვადასხვაობის თეორიას შორის. ძნელად უარსაყოფია არქაულ ეპოქაში საკუთარ ნიადაგზე აღმოცენებული ლოკალური რელიგიების არსებობა და უკვე ისტორიულ ეპოქაში ამ რელიგიათა თანაარსებობა. ისტორიული ეპოქის სტადიაში შემუშავებული სინთეზის რეალურობა აშკარაა: იგი თავს იჩენს, როგორც შუა სამეფოს პერიოდში, როცა დინასტიის ღმერთებს მზესთან აიგივებდნენ, ასევე ძველი სამეფოს დროსაც — როცა დაიწყო საკულტო ტაძრების აღმშენებლობა. „მიდგომათა სხვადასხვაობა“ ეფექტურად ავლენს ძველი აზროვნების იმ ნიშან-თვისებას, რომელსაც დასაშვებად მიაჩნია სინკრეტიზმის ისეთნაირი შემუშავება, რომ ეგვიპტელებს ეჭვიც არ შეპარვიათ იმ შეუთავსებლობასა და წინააღმდეგობაზე, რაც ჩვენ დღეს აბსურდულად გვეჩვენება. „მიდგომათა სხვადასხვაობა“, ავად თუ კარგად, აკავშირებს და ერთმანეთთან არიგებს სხვადასხვა საკრალურ-წმიდა ტრადიციასა და ლოგიკას. ამავე დროს, იგი გვევლინება „მაგიური“ აზროვნების ისეთ სახეობად, რომლის ფარგლებში შემეცნებადი მონაცემები დაიყოფიან არა ერთმანეთისგან რადიკალურად იზოლირებულ ცნებებად, არამედ ისეთ ძალისმიერ ელემენტებად, რომელთაც განსხვავებული ფორმებით გამოვლინების უნარი გააჩნიათ. ამგვარად, სიმბოლოებისგან შემდგარი ერთიანი ორგანიზმის — იგავეებისა და იკონოგრაფიის განხილვის გარეშე (რომელნიც ალევგორიის გზით გვაძლევენ სამყაროს ინტუიტიურ თუ რაციონალურ ანალიზს) შეგვიძლია გავიგოთ, თუ რისი შედეგია ღვთაებათა მზარდი პოლიმორფიზმი, რა დაედო საფუძვლად ღმერთისა და ფაუნის რომელიმე წარმომადგენლის დინამიკურ იდენტურობაზე დამყარებულ ცხოველთა თაყვანისცემას, რამ განაპირობა მაგიის გადამწყვეტი როლი სახელმწიფო ღვთისმსახურებაში, სიტყვათა თამაშით გამოწვეული გენეზისი და ა. შ.

სამყაროს წარმოშობა და ღვთაებრივი საწყისის ერთიანობა.

სამყაროს წარმოშობასთან დაკავშირებულ გადმოცემათა შესწავლა ნათელყოფს, რომ სინკრეტისტული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ხელს უწყობდა იმ ტიპის პრობლემების წამოჭრას, რომელთაც ჩვენ მეტაფიზიკურს ვუწოდებთ. სამყარო, ეგვიპტელების წარმოდგენით, შეიქმნა ისევე, როგორც ეგვიპტის მიწა შექმნა ნილოსმა სამი დიდი კოსმოგონია ჰელიოპოლისისა, მემფისისა და ჰერმპოლისის ვარაუდობდა, რომ სამყაროს წარმოქმნა დაიწყო ყველაფე-

რზე ადრე არსებული დაუსაბამო ოკეანის, ნუნის, შუაგულში აღმოცენებული კუნძულით. სამივე კოსმოგონია თვლიდა, რომ სამყაროს დემიურგი „არსებულად მოევლინა“ თავისთავად, მართოდ უდებოდ და უძამოდ. ქურუმებმა გამოიგონეს უამრავი ვარიანტი, რათა ღმერთის გაჩენისა და მის მიერ სამყაროს შექმნის მიზეზში არსებული ძალზედ განსხვავებული ვერსიები ერთი მნიშვნელობის ქვეშ მოექციათ. გამონაკლისს წარმოადგენს მემფისის ადგილობრივი სამღვდელთა. მე-2 ათასწლეულიდან მოყოლებული მემფისის სამღვდელთა თავის მსოფლმხედველობას მეტ-ნაკლებად უფარდებდა ჰელიოპოლისელთა მოძღვრებას და თავის მთავარ ღმერთს აიგივებდა მზე-რასთან, სინათლისა და სითბოს წყაროსთან. სხვა ძირითად ღმერთებს ამ მთავარი ღმერთის შვილებად ან მისგან წარმოქმნილ ღმერთებად წარმოსახავდნენ. თუ რა იყო საწყისი და დასაბამი ღმერთისა ან ყოველი არსებულისა, ამ საკითხის ასახსნელად ქურუმები მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს.

„დიდი ღმერთი, რომელიც მოვიდა თავისთავად, მოვიდა არსებულად, ვინ არის იგი?“ ერთი გლოსა ასე მოგვითხრობს: „ეს არის წყალი, ეს არის ნუნი, მამა ღმერთისა!“ სხვა გადმოცემა გვაუწყებს: „ეს არის რა!“

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოცემული ფორმით ზმნა „გაჩენა“, „ქმნალობა“, „წარმოქმნა“, „არსებობა“, „გარდაქმნა“, — (გაანია, თუ რა კონტექსტში იხმარება ეს ზმნა) სრულად ამოწურავდეს სამყაროს წარმოქმნის წინა პერიოდის მთელ არსს. თავისთავად გაჩენილი დემიურგის წარმოქმნა არ ნიშნავს წარმოშობას, არამედ არის წინამკადა მდგომარეობის მომდევნო მდგომარეობაში გარდაქმნა, ე. ი. ღმერთის დინამიკური გამოძვლავება, რომელიც აქამდე ჯერ შეუქმნელ წყლებში უმოქმედოდ თვლემდა. იგია პირველშივე ყოველივესი. სამყაროს მეუფის შემდეგ თანამიმდევრულად წარმოიქმნება ყველა დანარჩენი არსება. თვით კოსმიური ღმერთები (შუ — მნათი ჰაერი, გემი — მიწა და მათი მეუღლეები) და ჰელიოპოლისური ენკადის დანარჩენი წევრები მისი გამოვლენა არიან და „მის სხეულს“ შეადგენენ.

ძველი სამეფოს დროინდელი ერთი ნაშრომი გვაუწყებს, რომ ამ ღმერთებმა თავის მხრივ გამოიწვიეს მანიფესტაცია მთელი რიგი, სხვანაირად რომ ვთქვათ, დასაბამი მისცეს ცალკეული არსებების წარმოშობას.

მრავალი პირველადი მითი, ადრინდელი სამეფოს დასასრულიდან მოყოლებული (მაგ. სარკოფაგების ტექსტები, ამტკიცებს, რომ ცის მნათობები, მცენარეები თუ ცხოველები მექანიკურად არიან გამოსული ღმერთის რომელიმე ნაწილიდან. კიდევ უფრო ხშირად გვხვდება მითითება იმაზე, რომ ისინი გაჩნდნენ ღმერთის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან. ეგვიპტელთა მსოფლგაგებაში ხშირად იჩენს თავს აზრი იმის შესახებ, რომ მეტყველება არსებითია და ქმნის სინამდვილეს. სიტყვის თქმა ნიშნავს მოლიანად შექმნა ის საგანი, რომელსაც ასახელებ (აქედან მომდინარეობს იმ გამოთქმათა პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა, რომელიც ქმედითს ხდის სიტყვის ყოველისშემძლე ძალას ღმერთთა ან გარდაცვლილთა საუბარში). უმთავრესად, სიტყვათა თამაშითაა ახსნილი არსებითი მსგავსება ორ რეალობას შორის, რომელიც გამოიხატება, ერთის მხრივ, ერთნაირად მეღერი სიტყვების წარმოქმნით, ხოლო, მეორეს მხრივ, მრავალი არსების გენეზისით: როცა რამ იტყრა, მისი ცრემლებიდან გაჩნდნენ ადამიანები და თევზები, ხოლო როცა თოტთან საუბრის დროს ღმერთს დასცდა სიტყვა გაგზავნა, მაშინ გაჩნდა ყაჯირი — თოტის ცხოველი და ა. შ.

მემფისელ მოაზროვნეებს „შექმნელი სიტყვის“ ცნებიდან ჭეშმარიტად

ფილოსოფიური დასკვნები გამოჰქონდათ. „მემფისურა თეოლოგიის დოკუმენტი“, რომელიც ალბათ ადრინდელი სამეფოს შუა პერიოდს (დაახლოებით 2500-2400) მიეკუთვნება, არ იფარგლება ჰელიოპოლისის ღმერთები ან ადგილობრივი დიდი ღმერთის, პტაჰის ჰიპოსტოსების შექმნით. მემფისელები ერთმანეთთან აკავშირებდნენ მითოლოგიასა და სიტყვის მაგიას, თავიანთ დაკვირვებებსა, (რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას) და მორალურ მოსაზრებებს, უეჭველია, სწორედ ამ სინთეზმა, ჩამოაყალიბა ვაცოპოლიის ისტორიაში ყველაზე ადრინდელი ფილოსოფიური მცდელობა.

ამგვარად, ცხადია, რომ გული და ენა ბატონობენ სხეულის სხვა ნაწილებზე, იმიტომ, რომ გული მღებარეობს ყველა ღმერთის, ყველა ადამიანის, ყველა ცხოველის, ყველა ქვეწარმავლის, ყველა სულდგმულის სხეულში, ხოლო ენა კი — მათ პირის ღრუში. პირველი აღიქვამს, მეორე — გამომცხადებელია პირველის ნებისა... ენა და სინამდვილეში კბილები და ბაგეებია იმ პირისა, რომელმაც წარმოთქვა სახელი ყოველი არსებულისა... თვალები ხედავენ, ყურები ისმენენ, ცხვირი სუნთქავს, ისინი ყველაფერს ატყობინებენ გულს. გული გვანიჭებს ყოველგვარ შემეცნებას, ენა კი იმეორებს გულის ნაფიქრალს... ასე სრულდება ყოველგვარი სამუშაო და იქმნება ყველაფერი, რასაც ხელი აკეთებს. ხელების მოძრაობა, ფეხების სვლა, სხეულის ყველა ნაწილის მოქმედება იმ ბრძანების მიხედვით წარმოებს, რომელიც გაიზრება გულით, გადმოიცემა ენით და რომელიც აღსრულდება ყველაფერში.

გულით, რომელმაც შეიმეცნა და ენით, რომელმაც ბრძანა, პტაჰმა ადგილი მიუჩინა ყოველივეს და აამოძრავა კოსმოსი. ვინაიდან გული, ეგვიპტელთათვის არის ფიქრის (შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის) საბუდარი, ამიტომ სიტყვები განხორციელება იმ დაგეგმარებული სამყაროსი, რომელიც მთლიანად ჩამოყალიბდა შემქმნელის გონებაში. მაგრამ ეგვიპტელთათვის დამახასიათებელი იგივე განყენებულ მსჯელობას ვხვდებით nous-სა და logos-ის, როგორც აქტიურ საწყისთა შესახებ. ეს აქტიურობა გამოიხატება რას ორი ძირითადი ატრიბუტით: „შეცნობა“ და „ბრძანების გაცემის უნარი“. ღმერთის სხვა ატრიბუტებს შორის არის ერთი, რომელიც რამდენადმე აგრძელებს მის განმკარგულებელ ძალას. ეს არის „სიტყვათა მაგია“, რომელიც ღმერთს სამყაროს შექმნის დროს ემსახურებოდა და ადამიანთა განკარგულებაში გადაცემული, იწარჩუნებს ამ სამყაროზე ზეგავლენის ძალას.

თეოლოგიურ სინთეზში, რომლის სიჭარბე იგრძნობა ახალი სამეფოს პერიოდიდან, რას ინტელექტუალური და განმკარგულებელი ფუნქციები, ხშირად, გამყარებულია მისი ვეზირის თოტის მიერ, რომელსაც შემდგომ ბერძნები ჰერმესს დაარქმევენ. მთვარის ღმერთი, თოტი, არის დროის აღმრიცხველი (კალენდრის დამაარსებელი) და ანგარიშის გამომგონებელი. რადგანაც თოტი „რას გულთან“ არის გაიგივებული, ამიტომ იგი უმთავრესად სწავლულია. იმ მიზეზით, რომ თოტი „რას ენაც“ არის, ამიტომ, იგი, ერთის მხრივ, აწესრიგებს შექმნილ სამყაროს, როგორც ჯადოქარი, მეორეს მხრივ, გვევლინება, როგორც სამართლისა და მმართველობის დამცველი, მისი როლი ქმედით სიტყვასთან დაკავშირებით გვირგვინდება „ღმერთის სიტყვების“ გამოგონებით, ე. ი. იეროგლიფური დამწერლობის შექმნით (ამ დამსახურებას მას მიაწერენ), რომელიც აფიქსირებს სახელებს ე. ი. თვით რეალობას საგნებისას. რაკი სახელები ზუსტად სურათების საშუალებით გამოიხატებოდნენ, სწორედ ამიტომ, ახალი სამეფოს დამდეგიდან, ზოგიერთმა სამღვდლო პირმა „დამწერლობის

ფილოსოფია“ სიტყვის შესახებ მოძღვრებაზე დააფუძნა. ქურუმებმა გამოიგონეს ფარული დამწერლობა, რათა ნიშნებს, რომელთაც ღმერთის სახელის დასაწერად ხმარობდნენ, სურათის მეშვეობით წარმოესახა ამ ღმერთის ნიშანთვისება. (რადგან წყალდიდობა, ოსირისისეული ციკლის გადმოცემათა თანახმად, ღვთიური სხეულის ღიმფაა, ამ სიტყვას აღნიშნავდნენ იდეოგრამების საშუალებებით რაც — ნიშნავდა ხორცს, ნაფურთხს. ამ სიტყვებს, ჩვეულებრივ წყალღმერთთან დაკავშირებული რომელიმე დეტერმინატივი უნდა ხლებოდეს) *სიტყვა*

თეორია იმ შესაბამისობის შესახებ, რომელიც არსებობს ნიშნების ფონეტიკურ ღირებულებასა და დამწერლობას შორის (სურათებში აღბეჭდილ რეალობას რომ ასახავს), საფუძვლიანად მხოლოდ ელინისტურ ეპოქაში განვითარდა (შაკრემონი, ჰორაპოლონი, ესნას ჰიმნები).

იგივე დროს, როცა ჩამოყალიბდა ცნება ერთადერთი შემქმნელი ძალის შესახებ, თანდათან ნათლად გამოიკვეთა დამოკიდებულებაც ღვთაებრივი საწყისის ერთიანობის იდეასთან. თუ დასაღვენია, რომ წინაისტორიული პერიოდის მონოთეიზმი „დიდი ციური ღმერთის“ გაგებასთან იყო დაკავშირებული, საუბრით დადგენილია, რომ არა სახელდებული ღმერთი, ე. ი. „ღმერთია“ ზოგადი მნიშვნელობით მოხსენიებული ფარაონ ხეტის შვეგონებებში (დაახლ. 2100) და შეიძლება კიდევ პტაჰტეპთანაც (დაახლ. 2450), სადაც ეს ცნება უმაღლესი და ერთადერთი ღვთაების აღიარებას შეიცავს. ამ ადრეულ კონცეპციას ისეთ ღვთაებაზე, რომელიც ბევრად სრულქმნილია დანარჩენ ადგილობრივ დიდ ღმერთებზე — უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც აბსტრაგირების პირველ ცდას, არამედ იმიტომაც, რომ დროთა ვითარების შემდეგ მან დიდი გავლენა მოახდინა, ერთის მხრივ, ეგვიპტურ ეთიკაზე და, მეორეს მხრივ, სახეხელმწიფო რელიგიაზე.

მზის ენერგიის პრობლემა

ფარაონული ცივილიზაციის სათავეებში ყოველ ქალაქს საკუთარი მთავარი ღმერთი ჰყავდა, — თავისი განმგებლობის სფეროში ყოვლისშემქმნელი და ყოვლისშემძლე. იგი აწესრიგებდა ადგილობრივი კოსმოსის მდგომარეობას და მფარველობდა მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლეს. დაწყებული დაახლ. 2700, დამთავრებული დაახლ. 1800, თეოლოგიათა საფუძვლად დადებულმა საერთო „მზიანობის“ კულტმა ბიძგი მისცა ეროვნულ აზროვნებაში წარმოქმნილიყო მოძღვრება მუდმივი აღდგენის შესახებ. მნათობის წარმოქმნაზე მთელს მოსაზრებებს ამოწურავს ერთი სიტყვა „პირველად“, რადგანაც ყოველდღე და წელიწადის ყოველ დროსაც ღამე პირველადი ოკეანის სიბნელებში აგდებს მზეს. ყოველ დღით მას ისევ ხედავენ ამოსულს და სამყაროს წარმოქმნის პირველსავე დღეებში გაჩენილი ბოროტი ძალებისგან დაუმარცხებელს. ვინაიდან სამყაროს განაწესი და აღაძვირებდა უსაფრთხოება არამყარია, ამიტომ არქიტექტურულ ნაგებობათა სტრუქტურა და ტაძართა რიტუალი ცდილობს განამტკიცოს მაგიის საშუალებით ღვთაების დროებითი დასვენება, ტრიუმფული გაღვიძება, მისი დაცვა და — უზრუნველყოს მისი კვებაც.

იღუმალებით მოცულმა მთვარის ფაზების ცვლამ საბაბი მისცა უსაფრთხოების მრავალი რიტუალის ჩასახვას, საფუძველი ჩაუყარა საინტერესო მოსაზრებებს რას ღამეულ შემცვლელზე, „ჰორის თვალზე“ და ხელი შეუწყო სა-

ყოველთაო ნაყოფიერების ამ ღვთაების პერსონიფიკაციას, რომელიც ხან ნაკლული სახით გვევლინება, — ხან კი სავსეთი, ე. ი. პერიოდულად იკლებს და აღსდგება. მზიური ციკლისადმი სწრაფმა დაქვემდებარებამ, პირველად კვერცხთან (საიდანაც ერთბაშად წარმოიქმნა მაცოცხლებელი სუნთქვა, ჰაერი და სინათლე) დაკავშირებულმა გადმოცემებმა თავისი ადგილი დაიკავეს ეგვიპტელთა ბუნდოვან ფილოსოფიაში, მაგრამ მაინც, ფარაონთა თეოლოგიაში ყველაზე უკეთ დაამუშავა საკითხი მზის ენერჯის შესახებ, რომელიც სიცოცხლისა და ზესიცოცხლის პირველ მიზეზად იყო მიჩნეული.

ახალი სამეფოს დროინდელ თებეს სამეფო სამარხებში (1930-1100) აღმოჩენილია სურათებითა და დართული კომენტარებით შექმნილი კომპოზიციების მთელი რიგი, სადაც მოყოლილია რას ღამეულ მოგზაურობაზე ნავით, ენერჯის აღდგენისა და განახლების გამო, ამ კომპოზიციებში მზის დისკო ღამეშიც ანათებს. მაგალითად „დამალული ოთახის წიგნში“ ვხვდებით მკვდარი მნათობის — ხორციელ სხეულს, რომელიც მარადისობის გველთან შეხების შემდეგ მკვდრეთით აღდგება, ხოლო ახალი არსებობისაკენ მას მიუძღვება სკარაბეი, რომელიც გამოხატავს kheper-ის ცნებას.

თუ ვერ შევძლებთ აქ ყოველი დეტალის გაგებას, ჩვენ ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს უცნაური პელიოგრაფია „სიმბოლოების“ საშუალებით გასაიდუმლოებულ, გონივრულად შემუშავებულ მწყობრ სისტემას წარმოადგენს თუ, უბრალოდ, მისტიკური ხილვებია, რომელთა მეშვეობითაც ეგვიპტელები ნიღბავენ საკუთარ უძღურებას, შეექმნათ ასეთი სისტემა. და მაინც, საკითხავია, ამ კომპოზიციათა შემდგომი განვითარება (სადაც მკვდარ მეფეებს მზესთან აიგივებენ და ღვთის მადლით ცხებულებს განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებენ) გამოხატავს თუ არა ეგვიპტელთა მძლავრ სურვილს ეძიონ სამყაროს ენერჯის არსი, მზიური ბუნების არსი?! სავსებით შესაძლებელია, რომ მრავალ წიგნში არეკლილი თეოლოგია მერყეობა სამყაროს ძრავის პრობლემის წინაშე ამ შეკითხვის პასუხი იყოს.

უმაღლესი ღვთაების მიდგომათა სხვადასხვაობანი არა მარტო ჰარმონიულად თანაარსებობდნენ თეოლოგიური სინთეზის მეშვეობით, არამედ უფრო და უფრო მჭიდროდ ერწყმოდნენ ერთმანეთს და განაგრძობდნენ თანაარსებობას ფარაონული რელიგიის მთელი არსებობის მანძილზე. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ფარაონულ რელიგიაში აზრთა სხვადასხვაობა არ გამოხატულა, მაგრამ არაჩვეულებრივმა შემთხვევამ, შეუწყნარებელი და მისტიკოსი ფარაონის ტახტზე ასულამ, აზრთა ეს შეუთანხმებლობა ერთ დღეს მზის ნათელზე გამოიტანა. სახელმწიფო სინკრეტიზში, პრაქტიკულად, ერთმანეთთან არიგებდა გამოცდილების შედეგად მიღებულ მონაცემებს, მონოთეისტურ სპირიტუალიზმსა და ღვთისმოსავ პარტიკულარიზმს. მზე იყო ხილვადი დისკო (ატონი), ის იყო ღმერთი; პელიოპოლისისათვის ის იყო ატუმი — რა — პორი, კროკოდილოპოლისში მას ერქვა სუკოსი, განსწავლულთათვის იყო „სრულქმნილი“, ხოლო ღარიბთათვის — „მამა-პატრონი“.

ახალი სამეფოს პერიოდში ყველაზე სათაყვანო და დოვლათიანი ღვთაება თავისი ნიშან-გამოვლენით იყო ამონ-რა. თავისი ქურუმებისათვის ამონი იყო ქარის უხილავი სუნთქვა, ენერჯის დაუშრეტელი წყარო, მისი სახელი ადრე ნიშნავდა „დაფარულს“. მიუხედავად ამისა, პელიოპოლისის გარკვეულმა წრეებმა გაილაშქრეს ამონის, როგორც საერო და საეკლესიო კულტის წინააღმდეგ, ისე იმ მისტიკის წინააღმდეგაც, რომელიც უძღური იყო დაესახელებინა პი-

როვნება, ვინც ხილულ მნათობს სულს უდგამდა. მათთვის არ არსებობდა სხვა ღმერთი, გარდა თვით დისკოსი; სხვა ენერგია — გარდა თვით სინათლისა. ამენოფის III — პირადად გააღმერთა თვით დისკო ატონი. მისმა შვილმა კი უკუაღრუ ადრე არსებული კომპრომისები და სახელმწიფოში დაამკვიდრა თეოფანისებო მხოლოდ: „რაპორისადმი; იგი მხიარულად ბრიალებს ცის ტატნობზე, როგორც სახელი სინათლისა, რომელიც არს დისკოში“. შემდეგ მან ანტროპომორფიზმის ყოველგვარი ნიშანი მოსპო და ეთაყვანა მხოლოდ: „მზეს, რომელიც შეუფეთა ცისა და მზის სახელით მხიარულად ბრიალებს მის ტატნობზე. იგია მამა, რომელიც გვიბრუნდება დისკოს სახით“. ატონის კულტის მიმდევართა ენთუზიაზმი უკიდურესი ფორმით გამოხატავდა იმ მიდრეკილებას ინტიმური ღვთისმოსიშობისადმი, რომელიც კულტის დაარსებამდე სულ რამდენიმე ხნით ადრე წარმოიშვა. აზრს თუ თეოლოგიური მიმართებით განვაკითვართ, მაშინ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ატონისეული მისტიკა, გარკვეულ ასპექტში, წარმოადგენს ღვთიური იდუმალების, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მატერიალისტურ“ უარყოფას.

აღდგენილი ორთოდოქსალურობა, რომელმაც გარკვეული დოზით შემოინახა ეხნატონის რომანტიკული გულღიაობაც, დაჟინებით ამტკიცებდა პიმნებში და „კართა წიგნში“ იმ პიროვნების უხილავობასა და შეუცნობელ ხასიათს, ვინც დისკოს აბრწყინებდა. მეორე გზა, უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ხატისმებრძოლი პოზიტივიზმი, თავისუფალი იყო მონოთეისტური სპეკულაციებისთვის: ხდებოდა დიდი ღმერთების ერთმანეთთან გაიგივება, პანთეონის შემკვიდრობით-ნათესაური კავშირების, ჰიპოსტაზების, თვით ღმერთებისა და მათი კოსმიური საქმიანობის აღრევა... სინკრეტიზმი შეგნებულ პანთეიზმში გადაიზარდა. მზე, ანდა „ყოვლისშემცველი მეუფე“, აქტიური ფორმა ნუნისა, ასე იქნა დახასიათებული: „შენა ხარ ცა, შენა ხარ მიწა, შენა ხარ შენს ქვევით მოთავსებული სამყარო, შენა ხარ წყალი, შენა ხარ ჰაერი, რომელიც მათ შორის იმყოფება“. ღმერთია დროისა და სივრცის უსამანო უსასრულობა, ღმერთია ტოტალური სული სამყაროსი.

სამყაროს წესრიგის შესახებ

მორალისტები, ქურუმები და ლიტერატორები ხშირად იმოწმებდნენ მათს. მათის ცნებას წერილობით ძეგლებში და იკონოგრაფიაში ხან ფრთისა და ხან ბოძკინტის სიმბოლოებით გამოხატავდნენ. მისი სახიერი გამოსახულება ქალღმერთის ფიგურა იყო, რომელიც უმთავრესად „რას ქალიშვილს“ განასახიერებდა, ზოგჯერ კი რას ღუდასაც.

„სიზუსტის“ იდეასთან დაკავშირებული სიტყვა მათი შეიცავს „ჭეშმარიტების“ ჩვენეულ გაგებას, ან, უკუთუხად რომ ვთქვათ, „სამართლიანობის“ და „ჭეშმარიტებისას“, რომელიც უპირისპირდება „სიცრუეს“. მათი, უპირველეს ყოვლისა, არის სამართალი, საიდანაც გამომდინარეობენ ფარაონული საზოგადოების შინაგანად შეუფერხებელი არსებობისათვის აუცილებელი წესები. მათი არ გახლავთ აბსტრაქტული ნორმა, ის არის ჰარმონია, რომელიც რამ მის მიერ შექმნილ სამყაროში შემოიტანა, იგი აქტიური პრინციპია, რომელიც ანადგურებს მის მტრებს.

„ნეფერტის აპოკალიპსი“ არეულად აღწერს სოციალურ ანარქიას, ბარბა-

როსთა შემოსევებს, მნათობთა „უწესრიგო“ სვლას, ქართა და წყალთა მოძრაობაში ჰარმონიის დარღვევას. ეს ტექსტი, ისევე, როგორც სხვა ლიტერატურული წყაროები, აიგივებს ფარაონის გამეფებას არეული კოსმოსის მოწესრიგებასთან, რაც მათის სრულ გამარჯვებას უკავშირდება. შეიძლება დაისვას კითხვა, ერთდროულად განაგებს თუ არა მათი ბუნების რიტმებს, და სოციალურ ნორმებს?! „გიყვარდეს“, „აკეთო“ და „თქვა მათი“ ნიშნავს არა ფარაონული და ღვთაებრივი სამართლის უბრალო აღიარებას, არამედ უკუწინააღმდეგურად მეტს: — ნიშნავს აღიარო კოსმიური წესრიგი!

უდავოდ ანალოგიური კავშირი იქნა დამყარებული ყველა პოლიტიკურ რესტავრაციასა და შესაქმეს შორის. მსაგიური ძალების თანამონაწილეობა სიამოვნებით იყო გამოყენებული ქურუმების მიერ, რათა ღვთაებრივი ძალის მუშაობით დაეთრგუნათ როგორც რას მითიური მოწინააღმდეგენი, ასევე ეგვიპტელთა შინაური და გარეშე მტრებიც. ახალი სამეფოს დროს რასადმი, ანუ „მაატის მბრძანებლისადმი“ მიძღვნილი წირვები და ფორმულები, რომლებსაც წარმოთქვამდნენ მათისათვის შესაწირის ბოძებისას გვამცნობენ რომ ეს უკანასკნელი არის მაცოცხლებელი ძალა მზისა, მისი ფუძე და მისი სულისჩამდგმელი... მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ეგვიპტელი თეოლოგები მათის სახელთან რა ზომამდე აიგივებდნენ ზოგადად „სამართალსა“ და ბუნების კანონებს.

მაატის საკითხი იმსახურებს იმას, რომ იგი უკეთ იქნას შესწავლილი ყველა თავის განშტოებაში. ეს შესწავლა უნდა ხდებოდეს წყაროთა სტატიისტიკური კვლევით, ეპოქათა და კონტექსტების გათვალისწინებით. ყოველ შემთხვევაში, სამოძღვრო თხზულებებში არ იგულისხმება შესაბამისობა კოსმიურ წონასწორობასა და ადამიანთა სწორ ქცევას შორის. მათის ქურუმობა ეკუთვნოდა ერთადერთ „ვეზირს“, სამართლისა და მართლმსაჯულების განმგებელს. ტექსტების უმრავლესობაში, როგორცაა: „სიბრძნეთა“ კრებულები, ბიოგრაფიები, მეფეთა ქება და თვით რიტუალური ფორმულები, აღინიშნება, რომ იყო „მატი“, ეს ნიშნავს განსაჯო სამართლის მიხედვით, არ დააზარალო სხვა, არ დაუშვა უწესრიგობის შემოჭრა სოციალურ ორგანიზაციაში. ეგვიპტურ აზროვნებაში მათის სამართლებრივი და მორალური ასპექტი აღემატება მის სხვა ასპექტებს.

ყოველ შემთხვევაში სამყაროს ფიზიკური ჰარმონია და საზოგადოების ზნეობრივი თუ პოლიტიკური ჰარმონია, — სულ ერთია, შეიცავდა თუ არ შეიცავდა მათ მათის ცნება, — მიეწერებოდა, ერთიცა და მეორეც, შემქმნელის ნებას: ეგვიპტელები, რომლებიც ასეთი სიტყვაუხვი იყვნენ, როცა საქმე წესრიგს ეხებოდა (უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მათ საკრალური ძრწოლვა იპყრობდა), განსაკუთრებით თავშეკავებულნი ხდებოდნენ და მხოლოდ მინიშნებით ლაპარაკობდნენ იმ ფაქტორებზე, რომელთაც უწესრიგობა შეაქვთ სამყაროს ჰარმონიულ მოძრაობაში. ტექსტებიდან ნაკლებად ჩანს, რა მოსაზრებები ჰქონდათ მათ ტანჯვის, სიკვდილის ან ცოდვის წარმოშობაზე. სანამ იმჟამინდელ სამყაროს ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყრებოდა, არც სიკვდილი, არც უწესრიგობა არ არსებობდა. მაგრამ სამყაროს წარმოშობასთან ერთად რამ ბრძოლა გააჩაღა საიდუმლოებით მოცულ მტრებთან, რომელთა კდგილი უფრო გვიანდელ მითოლოგიაში დაიკავა აპოფისმა, მარადიულმა მეამბოხე გველმა, მეორეს მხრივ კი, აღიარებდნენ, რომ არსებობდა ოქროს ხანა, დრო, როცა რას და უპირველეს ღმერთებს სავანე ჰქონდათ ამქვეყნად, მათი მაშინ მიწაზე მეფობდა. ადამიანებმა არ იცოდნენ, რა იყო შიმშილი, სახლების ნგრევა, ქვემძრომთა დაუნდობლობა, გველთა კბენა. (ეკლებიც კი არ იჩხვლიტებოდნენ მაშინ!). ყვებოდნენ, რომ ერ-

თხელ ღმერთებმა აჯანყება მოაწყვეს მოხუცებული მზის წინააღმდეგ, რამაც აიძულა იგი თავშესაფარი ეპონა ციური ძროხის სხეულზე და იმიერიდან ეფარფატა ჩვენი მიწის გარშემო. ღმერთის ასეთი განდევნა, უეჭველია, იყო მათის შეუზღუდავი მეფობის დასასრული და ამქვეყნიური ტანჯვის დასაწყისი. გარკვეულ პერიოდში, ამას გარდა, დასაშვებად მიაჩნიათ ისიც, რომ მზემ ყველა ადამიანს თანაბრად დაურიგა პაერი და წყალი, და რომ მან ადამიანები თანაბარნი შექმნა. „ეს ისინი არიან, ვინც თავიანთ გულში დაარღვიეს, რაც მან თქვა“. ცნობილ მითებს ოსირისზე, სეთსა და ჰორზე (ამ ღვთაებათა თავდაპირველი მნიშვნელობა [ჯერ კიდევ საკამათოა] არ შეიძლება თავიდან სხვა ფუნქცია პქონოდა გარდა სამართლებრივისა და სამგლოვიაროსი. მაგრამ ევოლუციის შედეგად, როცა რას დამცველისა და მისი სამეფოს ნახევრის პატრონის — სეთისაგან — შეიქმნა დამანგრეველი დემონი, ძველი სამეფოს ქურუმები, როგორც ჩანს, თავიანთ თავდაცვით რიტუალებს დუალისტური მიმართებით აგებდნენ: ერთის მხრივ, არსებობდნენ რა, ოსირისი და ადგილობრივ ღვთაებათა უმრავლესობა, რომელნიც გამოხატავდნენ სამყაროს კეთილდღეობას, მის წესრიგს, ევოპტისა და მის მაცხოვრებელთა ბედნიერებას, გამარჯვების ძალებს, ჯანმრთელობას და ზეარსებობას; მეორეს მხრივ, დამანგრეველ ძალთა მთელი ჯარი იდგა, სადაც ძმურ კავშირში გაერთიანებულიყვნენ სეთი, აპოფისი, დემონები, საშიში ცხოველები, აფადმყოფობანი, ბარბაროსები და სხვა შეამბოხე დაჯგუფებანი.

უფრო დაწვრილებითი ცნობების ჩათვლითაც „ბიროტების“ წმინდად მითური ეთიოლოგია თითქოს მიჯნას უღებს ეგვიპტურ აბსტრაქტულ აზროვნებას: პასიურად მიჩნეული იყო, რომ ბუნებასა და ადამიანებში მომხდარი უწყვეტი რიგობანი მიმდინარეობენ ღვთიური მართვა-განმგებლობის წინააღმდეგ მიმართული თავხედური „აჯანყების“ გამო. ეს უცილობელი ფაქტი მათში ცრუმორწმუნეობით გამოწვეულ შიშს იწვევდა კოსმიური პერტურბაციების წინაშე და ამიტომაც ამ მოვლენებს ისინი თეთრი მაგიის დიდი ღონებით აზავებდნენ. მეფემ თავისი ქვეშევრდომნი უნდა გამოკვებოს და დაიცვას, მაგრამ სოციალური უთანასწორობა აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული. ევოპტელმა სწავლულებმა თავიდან აიცილნენ მცდელობა ჩაწვდნოდნენ „უწესრიგობის“ არსს. აღდრინდელი სამეფოდან მოყოლებული ბრძენნი აყალიბებდნენ ცალკეული პიროვნებების ზვედრს. მაგრამ ისინი უძღურნი და დაბნეულნი აღმოჩნდნენ იმ სოციალურ არეულობათა წინაშე, რაც ამ ეპოქის დასასრულს მოჰყვა. საიხური ხანის სწავლული ქვეყნის უბედურებას რას რისხვას მიაწერს.

ეპიკურის ეთიკის შესახებ

საზოგადოებაში ზნეობის საკითხის მოსაწესრიგებლად ეგვიპტელი ბრძენები კმაყოფილდებოდნენ იმპლიციტური დებულებით, რომლის მიხედვით მათი არის ღმერთის მბრძანებლური ნებელობა. ხოლო ფარაონს, რას — მემკვიდრესა და წეს-ჩვეულებათა, ეკონომიკისა და მმართველობის გამგებელს, ხელთ უპყრია ამა ქვეყნის პარმონია. მათი აშკარადაა გაიგივებული არსებულ წყობილებასთან. ეს მომენტი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდება ეხნატონის მეფობის დროს, როცა მოხდება მათის კულტის აღრევა ერეტიკოსი ფარაონის თვითმყოფად რწმენასთან. მეორეს მხრივ, რადგანაც მათი ღვთიურ წესრიგსაც ამყარებს, ამიტომ ყოველი დანაშაული, მიმართული მის საწინააღმდეგოდ,

ავტომატურად შეტრიალდება დანაშაულის ავტორის (ე. ი. დამნაშაუის) დასა-
თრგუხვევლად, მაშინ როცა, მათისადმი პატივისცემა წარმატების სრულ გარა-
ნტიას იძლევა. ჯერ კიდევ ადრინდელ სამეფომდე ცნობილი იყო მათის „სამეფო“
კონცეპცია, რომელიც შემდგომშიც დაღს დაასვამს მთელს ეგვიპტურ აზროვნებას.
იგი ხელს შეუშლის მოაზროვნეებს, გაიგონ და გაანალიზონ ისტორიული ქმნადობა.
საფუძვლიანად შემუშავებულმა თეორიამ რისკისა და სასიკეთის შესახებ, რომლის ეკონომიკა და საზოგადოება უცვლელია, ამისევე ეგვიპტური
ლი სწავლულები ხნობრივ ასპექტში გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭებინათ პიროვნებისათვის.

„იდუალური ავტობიოგრაფიები“ (განსვენებულის ღირსებათა პირობითი აღწერა) და დიდაქტიკური ხასიათის ნაწერები იმპერატურულად განსაზღვრავდნენ („მე ეს გააკეთე“, „მე ვიყავი“) იმ ფიზიკურსა თუ ინტელექტუალურ თვისებებს, რომელნიც პიროვნებას ხელს უწყობდა კარგად ემსახურა ფარაონისათვის. ამ ნაწერებში და, განსაკუთრებით კი მორალისტების თხზულებებში, შეინიშნება იმ დროისთვის ტიპური ტენდენცია, გამოხატონ სიბრძნე თუ კეთილშობილება ნეგატიური ფორმით. („მე არ მახასიათებდა...“, „უფროხილდი, რომ არ...“).

მაგალითებად გამოგვადგება ჯერ კიდევ ოქროს ხანის ახლომდებარე პერიოდის მთელი წინაპართა სიტყვები, რომლებიც შეიძლება „ღმერთების მიერ ყოფილიყო გაგონილი“; სწორედ ძველი ტექსტები არის მთელი ღირებული ნააზრვის საფუძველი. პტაჰტები, თავისი კლასიკური „შეგონებანი“ თვითონვე აჯგუფებს წინათ არსებულ „სიტყვებს“, აფიქსირებს სიტყვიერ მარაგს და თითქმის ძველი სამეფოს პერიოდამდე მიმართულებას აძლევს მრავალი სწავლულის საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტური ეთიკა „რეაქციული“ ხასიათისა იყო, მან ხელი არ შეუშალა ზოგიერთ იდეოლოგიურ გარდატეხასა თუ ევოლუციას, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ ეგვიპტური საზოგადოების უცაბედ თუ თანდათანობით რეორგანიზაციასთან. საბოლოოდ, ძველ ნაწერთა მიმართ პატივისცემა სულაც არ ნიშნავდა მათ პირდაპირ გამეორებას. მომდევნო ეპოქებში ძველ ტექსტებს კომენტარებს უკეთებენ, აძლიერებენ მათ შინაარსს და მნიშვნელობასაც კი უცვლიან. ჯედუფჰორის (2690) „შეგონებებში“ არის ერთი ფრაზა, სადაც ავტორი აღამიანებს ურჩევს, ღამაში და კეთილმწყობილი საფლაუი გაიკეთონ. 2100 წლისათვის ერთი მორალისტი და ღვთისმოსავი მეფე იძულებს ამ ფრაზას, რათა შეახსენოს მრევლს, რომ იმქვეყნიური ცხოვრებისთვის ნივთიერი სამზადისი უნდა განამტკიცოს და განსაზღვროს ხნობრივმა თვისებებმა; მაშინ, როცა, ჯედუფჰორის ბრძნულ გამონათქვამებს ეზიარა, პედონისტმა და ცინიკოსმა არფისტმა უმაღლ დასძინა, რომ ბრძენის საფლაუი განადგურებულიაო. 1500 წლისათვის, ერთი სახელოვანი კონფორმისტი ჯერ კიდევ ეთანხმება ავტორის სავსებით პრაქტიკულ მოსაზრებას და ჯედუფჰორის სიტყვებს პერიფრაზებით გადმოგვცემს, როცა წარმოიდგენს, რომ საქმე საკუთარი სამგლოვიარო კულტის მოწყობას ეხება. მაგრამ დაახლ. 1300 ერთი გონებაგამჭრიახი მოაზროვნე ქარაგმულად შენიშნავს, ჯედუფჰორის აფორიზმებმა (რომლებიც ჯერაც ყველას აკურია პირზე) უფრო კარგად დამაჯერეს მის უკვდავებაში, ვიდრე მისმა საფლაუმაო.

მიჩნეული იყო, რომ აღმზრდელობითი ხასიათის „შეგონებანი“ ანდა „სიბრძნენი“ მამას შვილისათვის (ან შვილებისათვის) უნდა გადაეცა. ეს იყო გა-

ლექსილი „აფორიზმების“ სერიები და მათ ხან ეპილოგი (ადრინდელი სამეფო), ხან კი პროლოგი (ახალი სამეფო) ჰქონდათ დარიული. ეპილოგი და პროლოგი განსაზღვრავდნენ წიგნის მიზანს: ესწავლებინათ ხალხისთვის, როგორ ყოფილიყვნენ ბედნიერნი. აზრი მოკლედ იყო გადმოცემული და ანდაზებიდან გამომდინარეობდა, თხრობა ხატოვანი იყო, იდეების სწრაფ ასოციაციაზე აგებული. ყოველი აფორიზმი, ჩვეულებრივ, იწყებოდა პრაქტიკული რჩევით, მაგ. „მელსაც საფუძვლად ედო რაიმე თეორიული მოტივირება. დიდაქტიკური ტექსტები თაობიდან თაობაზე გადაცემის დროს დიდ ცვლილებას განიცდიდნენ. გადაშვრები ხშირად თავისებურ ინტერპრეტაციებს უკეთებდნენ ავტორთა ჩანაფიქრს. ჩვეულებრივ, პრაქტიკულ რჩევებს ისინი სწორად იგებდნენ, მაგრამ „ფილოსოფიური“ მოტივების აზრი თითქმის ყოველთვის ადრეულია და ამიტომ საკამათოა. მოკლედ, ყველა შემთხვევაში იგრძნობა სწავლულთა გულუბრყვილო პრაგმატიზმით შებოჭილობა. აფორიზმები, რომლებიც რომელიმე განსაზღვრულ მოვლენას აღწერენ (ოჯახური ცხოვრება, სუფრასთან ზრდილობიანი მოქცევა, თავის დაჭერა საბჭოში, ქალებთან ურთიერთობა, უფროსებთან და უცხოელებთან მოქცევის წესები და ა. შ.) იშვიათად არიან თემატურად დაჯგუფებული.

ჯესერის (2800) მინისტრისა და არქიტექტორის იმხეტების „შეგონებანი“ დღესდღეობით დაკარგულია, მაგრამ ძველ ეგვიპტეში ძალზედ ცნობილი ნაწარმოები ყოფილა. ამ ნაწარმოებმა დასაბაბი მისცა (ერთ-ერთი პირველთაგანი იყო) დიდაქტიკური ფანრის წარმოშობას, რომელიც ეგვიპტეში სხვა ლიტერატურულ ფანრებს შორის იმთავითვე გამორჩეული იყო.

ადრინდელი სამეფოს შუა ხანიდან ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები ამკვიდრებენ ლოიალურობის მშვენიერ იდეას მეფის მიმართ, ხოტბას ასხამენ უძღურთა მფარველობას და პროფესიულ სინდისიერებას. მეფის სიყვარულისა და საერთო კეთილგანწყობის საფუძველზე უფლებამოსილებას იძენს ადამიანის მაღალი ზნეობის თაყვანისცემა. ვეზირ პტაჰეტების სიტყვაუხვი „შეგონებანი“ გვიქმნიან წარმოდგენას იმდროინდელი აზროვნების დონეზე. პტაჰეტები, მწერლობას ვიდრე დაიწყებდა, ყველასგან პატივცემული სოფისტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი პასაჟები ზოგჯერ დაუნდობელია, იგი გულმოდგინადად, იშვიათად იხსენიებს ღმერთს (უფრო ხშირად ღვთაებრივ მეფეზე ლაპარაკობს) და მთავარ ადგილს გონიერ სიტყვას მიაკუთვნებს. ბრძენს პტაჰეტები აიგივებს „სწავლულთან“ და „ნაცად ხელოსანთან“, ბრძენის უბედურებას უგაცობას აბრალებს და მთავარ მიზნად ისახავს ასწავლოს ადამიანებს როგორ აიცდინონ უსიამოვნება, მოიპოვონ კეთილი სახელი და ამასთანავე ერთგულად ემსახურონ სახელმწიფოს. ნიმუშისათვის იგი ხატოვნად წარმოსახავს სანაქებო ეგვიპტელის ქცევას: იგი სიტყვაძვირია, სათქმელს მოკლედ და ჭკვიანურად ამბობს, თავმდაბალია, მაგრამ საკუთარი თავის რწმენა აქვს; დაუძღვია ისეთი თვისებები—როგორიცაა სიხარბე, ღორმუცელობა, სიძუნწე, თავის საქმეს წინდახედულად მიუძღვის, ამავე დროს არ ერიდება ცხოვრებით ტკბობას, შეუძლია დიდი გულმოდგინების გამოჩენა, იყენებს თავის მდგომარეობას, მაგრამ ბოროტი მიზნით არა; აქვს უნარი სამსახურებრივი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღოს, მაგრამ ამ დროს ისეთ ზომიერებას იჩენს, რომ უფროსებს არ აღიზიანებს.

მეორე ვეზირი, ფარაონის წარჩინებული მოხელის, კაგემნის მამა, რომელიც პტაჰეტებზე ბევრად ღვამატიკოსი იყო, განგვიმარტავს, რომ ყოველგვა-

რი წარმატების საიდუმლო „სიხუმეში“ ძვეს. საკუთარი „მეს“ უარყოფა, თავშეკავება, სიფრთხილე, აი, რა არის წარმატების საწინდარი. „არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს, როცა ღმერთი სჯის“. მისი პოზიცია — „არაკითარი აყალმაყალი“, ესადაგებოდა ადრინდელი სამეფოს ბიუროკრატიულ რეჟიმს და მის არსს გამოხატავდა. სააუკუნეთა მსვლელობაში ამ დევიზმა უფრო სრულყოფილი სახე მიიღო და „ზომიერების“ მნიშვნელობა შეიქმნა — „არაკითარი ხედმეტი“.

„მაატი ხელსაყრელი ღვთაებაა, მისი მეფობა გრძელდება; მისი თაყვანისცემა არ მოიშალა ოსირისის დროიდან“, — ამბობდა პტაჰტეპი. მაატის კულტმა გაუძლო ადრინდელი სამეფოს დაცემას, ვლახთა აჯანყებებს, წოდებათა დამხობას, ძალაუფლების დანაწევრებასა და სამოქალაქო ომებს.

პირველი უმეფობის ხანიდან (დაახლ. 2250-2000-მდე) სწავლულთა ნაწერებში აღარ იხსენიება მაატი. „მაატი გარეთაა გაგდებული, აწ ბოროტება აწესრიგებს სამართალს“, — ამბობს ანჰუ, რომელიც ბედავს შენიშნოს, რომ აღარაა საჭირო „წინაპართა ნათქვამის“ პირდაპირ გამეორება. აუცილებელია, ამბობს იგი, „ახალი ფორმულების“ გამოჩახვა თვითგამოხატვისთვის.

პტაჰტეპის მშვიდ ოპორტუნოზმს ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე ენაცულებიან: ნიჰილისტური კაეშნით სავსე განწყობილებები, ყველაფრის ფასად სიმშვიდის მოპოვების სურვილები, ჰედონიზმისკენ გადახრა და ღვთიური ბედისწერის რწმენა, ინდივიდუალიზმი და პოლიტიკით გატაცება. პტაჰტეპისთვის საკმარისი იყო „გამოყენებინა მაატი“, რომ მისთვის პატივი ეცათ. ანარქიის ეპოქაში აზრი აღარა აქვს ლოიალურობასა და კანონიერებას. ეგრეთ წოდებულ „ქესიმისტ“ ავტორებს ღირებულებათა გაუფასურება აწუხებთ: შეუძლებელი გახდა მოაზროვნე „თანამოსაუბრე“ იპოვოს, ბრმა ძალმომრეობა მძვინვარებს და პატივყრილი „სწავლული საკუთარ თავსაც ვეღარა სცნობს“.

„გულგატეხილი კაცის დავა საკუთარ სულთან“ განადგურების პირზე მისული ერთი ადამიანის შინაგან ტანჯვას აგვიწერს: მას ძალა არ შესწევს გაიგოს თავისი დროის ამბავი. ყველაზე მეტად კი ის აწუხებს, რომ მის არსებაში რაღაც ნაწილი ბევრ რამეში მასვე ეწინააღმდეგება. იგი თვითმკვლელობაზე ფიქრობს. მისი სული ეჭვობს იმაზე, რომ სიკვდილი (დასაფლავება) რაიმე შვებას მოუტანს და გვირჩევს, დარდი კარგი დროსტარებით გავიქარწყლოთ.

ნაწყვეტები, შემონახული „სიზობეკის საუბრიდან“, გვიხატავს ერთ ეგვიპტელს, რომლის აზრები წმინდა ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებს. დიალოგი, ეტყობა უფლისწულთან წარიმართება. საუბრისას სიზობეკი ცოტა ადგილს უთმობს ყოველდღიურ საზრუნავს და უმთავრესად შეპყრობილია საქვეყნო მონაპოვრებზე ფიქრით. იგი თეორიულად მსჯელობს სიცოცხლეზე, სიკვდილზე, ბედნიერებასა და უბედურებაზე. სიზობეკი ამტკიცებს, რომ ემოცია სუბიექტური ხასიათისაა და ქადაგებს მოძღვრების „კეთილი ნების“ შესახებ. ავტორის მიერ გამოყენებული სიტყვიერი მასალა ტრადიციულია, მაგრამ აფორიზმების აზრი უკვე შეცვლილია: პტაჰტეპი ლაპარაკობდა ხვალისდელი ღღის შეუცნობლობაზე, რათა ძრევლისთვის რჩევა-დარიგების სახით შეეთავაზებინა დროის ხელსაყრელი ფლანგვა. სიზობეკი მისსავე გამონათქვამებს ხმარობს, რათა განცალკავების, განდგომის სურვილი გამოხატოს.

ამ პერიოდში თავს იჩენს ღრმა მორწმუნეობის მიმდინარეობა. გაიზარდა ყოველად შემძლის მისამართით შექმნილ მინიშნებათა რიცხვი და მათი მნიშვნე-

ხელობა. ადრინდელი სამეფოს დროს ფარაონი და ღმერთი ერთმანეთისაგან თითქმის არ განირჩეოდა. ახლა კი, პერაკლეოპოლისის ერთ-ერთი დინასტიის ფარაონი, თავის შვეგონებებში მერიკარესადმი აცხადებს, რომ მეფემ, უპირველეს ყოვლისა, ანგარიში უნდა გაუწიოს ღმერთის სუვერენულ ნებლობას, ღმერთისა, რომელიც დაფარულია და მარადია, მაშინ როცა ყოველი ადამიანის არსებობა წარმავალია.

ორივე შემთხვევაში, როცა სოციალურ სამართლიანობას ამყარებს (იცავს მდაბიოებს, პრივილეგირებულთა პატივისცემას ქადაგებს) ან საეკლესიო საქმეების მმართველობას აწესრიგებს, მინდობილი თეოლოგია კვლავ წინ წამოსწევს დოგმას, თუ რაოდენ ხელსაყრელია ადამიანისთვის მაღალი ზნეობა. ამიტომაც დაჩაგრული და ალაღმართალი ადამიანები უკანასკნელ იმედს ღმერთის მიერ საიქიოში მიცვალებულთა განკითხვაზე ამყარებდნენ. შეუცდომელ სასწორზე ადამიანის გული პირისპირ აღმოჩნდება მათთან, რომელიც შორს დგას უსამართლო რეჟიმისაგან და ამიტომ „ტრანსცენდენტურია“, ძველმა რწმენამ მეფისა და იერარქიის შუაკაცობით ერთგვარი ჰარმონია დაამყარა ადამიანსა და კოსმოსს შორის. საერთო მოუწესრიგებლობაში ადამიანი ბუნდოვნად აცნობიერებს საკუთარ თავს. ბუნებაზე უძველესი შეხედულების მიხედვით ადამიანს ცხოველთა შორის ჰქონდა მიჩენილი ადგილი. „შვეგონებანი მერიკარესადმი“ ამტკიცებენ, რომ ღმერთმა მცენარეები და ცხოველები ადამიანს ჩააბარა, რომელიც „მისი (ღმერთის) მსგავსია და მისი ხორციდანაა შექმნილი“. ძველ ანიმიზმს საფუძველი შეერყა. ერთპიროვნული ღმერთი მრავალსახიერი ღვთაებით შეიცვალა (თეოლოგებმა ამ გზას სინკრეტიზმის მეშვეობით მიაკვლიეს).

შინაგანი წესრიგის სწრაფმა აღდგენამ ბოლო მიუღო პიროვნული შეგნების კრიზისს; მაგრამ პირველი უმეფობის ხანამ თავისი წვლილი უკვალოდ არ დატოვა და ისეთი ლიტერატურული მემკვიდრეობა წარმოქმნა, რომელმაც ხელი შეუწყო მრავალ წინააღმდეგობათა შესუსტებას. მართლაც, იმდროინდელი ეგვიპტელი, იმის ნაცულად რომ ერთმანეთს დაუპირისპიროს, კრებს სხვადასხვა ცნებებს. სამგლოვიარო რიტუალთან დაკავშირებული რწმენა სანქციის აძლევს ღმერთის მიერ მიცვალებულთა განკითხვის თეზისს, მაგრამ ამავე დროს, ქურუმები იგონებენ მაგიურ ფორმულებს, რათა გზა გადაუღობონ გულახდილობას და მოატყუონ ღვთიური ყოვლისმცოდნეობა. „არფისტის სიმღერებს“ რომლებშიც გაშფლავებულია საფლავის ამოღება, კვლავ ამოკვეთენ საფლავის ქვებზე. ცნება სიკვდილის შემდეგ კარგი საქციელის დაჯილდოების შესახებ და ხელსაყრელი მაღალი ზნეობის თემა ერთმანეთს ერწყმიან და იგივე ოპორტუნუზმის სახეს ღებულობენ: შეიძლო მეფის კეთილგანწყობის მოპოვება, ღმერთის კეთილგანწყობის მოპოვება და ა. შ.

შუა სამეფო პერიოდის დასაწყისში, ფარაონ ამენემზხის „შვეგონებები“ ჯერ კიდევ პესიმისტურია, მაგრამ ამ ნაწარმოებში უკვე ჩანს ავტორის მტდელობა გულგატეხილობისა და მარცხის მიღმიდან გამოიტანოს სათანადო პოლიტიკური ხასიათის დასკვნები. ვითარდება „მებრძოლი“ ლიტერატურა. სიფრთხილისა და თავდაპირველობის იდეალი ჯერაც მოწონებულია, მაგრამ მწერლები სიტყვისა და ნაწერის ძალას უკვე არა მარტო იმ წესრიგის პროპაგანდისათვის იყენებენ, რომელიც მშვენივრად დაამყარეს XII დინასტიის ფარაონებმა (~2000 ~ 1800), არამედ თავიანთი მშვიდი და საპატიო ხელობის ღირსებების შესამკობადაც. („ხეტის შვეგონებანი“, და შემდგომი პერიოდის

„სატირა ხელობებზე“). ახალი სამეფოს ზოგიერთმა მოაზროვნემ შესძლო გაეკეთილშობილებინა სახელმწიფო აპარატის ძნელად გასამართლებელი ფუნქცია. ბრძენთა მიერ შექმნილმა მწიგნობრულმა კულტურამ ჩვენს დრომდე შემოინახა ამენახტეს (უეჭველად $\approx 1400 \approx 1350$) ნააზრევი. ტექსტი გვპირდება უკვდავებას, ხორციელ მემკვიდრეობაზე უფრო მშვენიერ, შეუცვლადობასო, გვაუწყებს Papyrus Chester-Beatty IV-ის სიბრძნე. ამ ებღმურული თვითმყოფადი თხზულების შემდგენელი მიგუთვნება ეგვიპტულ ავტორთა იმ იშვიათ რიცხვს, ვინც მთელი ძალ-ღონე შეგნებულად მოაწოდებდა სინამდვილის შეცნობას, ვინც პროტესტს უცხადებდა ვულგარულ ფატალიზმს, რომელიც ღმერთის ნება-სურვილსა და მის წყალობას მიაწერდა, ყოფილყო ადამიანი ნასწავლი თუ უსწავლელი.

„შეგონებები“, რომელთაც ძველი სამეფოს შემდეგ ახალი სამეფოს ტაძრების მღვდელმსახურები ან სწავლულები დაწერენ, ჩვეულებრივ, არც შემეცნების სიახლით, არც დიდი ფსიქოლოგიური ძიების თვალსაზრისით საინტერესონი არ არიან. სიკეთისა და ნებელობის ღვთიური გამოვლენა, სიყვარულისა და იმედის ნაზავისაგან შექმნილი ინტიმური ღვთისმოსაობა, — უკიდურესად მშვიდ მიმართულებას აძლევს დიდაქტიკოსი მწერლების ნააზრევს. „ცხოვრების გზა“ ემთხვევა და ერწყმის „ღმერთის გზას“. ამჟამინეს „შეგონებებში“ ნაკლებადაა მსჯელობა განყენებულ საკითხებზე, სამაგიეროდ უხვადაა კვიტიზმით გაჟღენთილი პრაქტიკული დანიშნულების აფორიზმები. ამ თხზულების ლიტერატურული ღონე და მხატვრული ხარისხიც საგრძნობლად მაღალია. ღმერთის შეუცნობელი ზრახვები განსაზღვრავენ სიღარიბესა და სიმდიდრეს, ბედნიერებასა და უბედურებას. იმდენად დიდია ადამიანის უსუსურობა, რომ მისი სურვილი მიაღწიოს სრულქმნილებას, ამაოა, სრულქმნილება მხოლოდ ღმერთის თვისებაა. ბრძენია ის, ვინც თავის გულს სამართლიან ღმერთს მიანდობს. თუ ზომიერებას არ დაიცავ, ეს ნიშნავს შებღალთ ღმერთის ყოვლად შემძლეობა (I ათასწლეულის დასაწყისი). ამენუმოპეს „ლამაზი“ სასოწარკვეთილება ანის (≈ 1400) ≈ 1350) „შეგონებაში“ ბანალურ ოპორტუნუზმად იქცევა. ღმერთის ჩვეულებრივი, დინჯი მოხსენიება, ხელს არ უშლის ამ ფარისეველს, ერთობ ტრივიალურად ამტკიცოს, რომ მაღალი ზნეობა ხელსაყრელია, ხოლო მის რჩევებს ზომიერების დაცვის შესახებ შეზღუდული ეგოიზმი მორალური მოძღვრების დონემდე აჭყავს. იგივე „ეროვნულ სიბრძნესა“ და იმავე ხასიათის ღმერთის დამოწმებას ვხვდებით აფორიზმებისა, მხატვრული თქმებისა და ანდაზების კომპილაციაში, რომელიც უქსპესჰონკისათვისაა (ვარაუდით \approx VI საუკუნე) მიკუთვნილი.

ყველა ამ ტექსტში და ძველი სამეფოს „იდეალურ ავტობიოგრაფიებში“ ვხვდებით სულიერი სამყაროს მეტ-ნაკლებად მქონე „სწავლულისა“ და „წყნარის“ სახეს. ეს პერსონაჟი, „მებრძოლისა“ და „სულელისგან“ განსხვავებით არ უჯანყდება ღვთიურსა და სოციალურ წესრიგს. (ეს უკანასკნელი ხშირად ღვთიურ წესრიგთანაა არეული). ის ყველაფრისადმი კეთილადაა განწყობილი და გარემოებას უყოყმანოდ ეგუება. უმწიკლო ცხოვრება ნიშნავს ჰარმონიაში ყოფნას, ნიშნავს „იყო ზუსტად შემსრულებელი“. თავშეუკავებელი საქციელი, ყვირილი ანრისხებს ღმერთებს, ხელს უშლის შეუზღუდავი ღვთიური ზრახვებისა თუ მეფეთა კანონების აღსრულებას, შეურაცხყოფს სხვა ადამიანთა გრძნობებსა და ინტერესებს. „საუბარში თავშეკავებულნი“ და „ქცევით მორიდებულნი“ საფრთხეს არიან არიდებულნი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარ-

მატებას აღწევენ და კარგად გრძნობენ თავს. სწორი გზა იმთავითვე განმსაზღვრელია ღმერთის მიერ და ძველი მეტაფორების მეშვეობითაც. როცა ისინი საჭესა და სასწორს „გულსა და ენას“ უკავშირებენ, ამით იმას გვახსენებენ, რომ ზომიერებისა და წონასწორობის დაცვა ბედნიერების საწინდარია. ეს მიმდევრება მეთოდურ და დასაბუთებულ გამოხატვას პოულობს „სიბრძნის დემოტიკურ წიგნში“, და წარმოადგენს ეგვიპტური აზროვნების ყველა მიმდინარეობის სრულ ნათეს: „თოტმა შექმნა სასწორი, რათა ამ სამყაროში დაემყარებინა წინასწარობა და გადაწყვიტა, რომ გული სხეულში იყოს დამალული, რათა მისმა მფლობელმა ზომიერება დაიცვას“. ბრძენი ისაა, ვინც თავის გულს მეგობრულად უთვალთვალებს, ვინც საკუთარი გონებით აზროვნებს, ხოლო ბრიყვი, რომელიც მხოლოდ საკუთარ სტომაქზე ზრუნავს, — „არაზომიერების“ მსხვერპლი ხდება. ყველა სიამე კი სიჭარბეს მოაქვს, ყველა სნეულების მიზეზი ღირსუცვლობაა. ბრაზი და შურისგება მეტად საშიში და უსარგებლო ექსცესებია, იმიტომ რომ ბრიყვი დამნაშავე თვითონვე ისჯება, როგორც კი ღვთიურ წესრიგს დაარღვევს.

უკანასკნელი „წიგნი სიბრძნისა“ ბევრად უფრო საზრიანია, ვიდრე წინათ არსებული კრებულები. იგი მიგვანიშნებს განზოგადების და აბსტრაქტული აზროვნების შესამჩნევ პროგრესზე. და პტაჰუტუპის მემკვიდრეობას „ფილოსოფიურად“ მოიაზრებს.

ეგვიპტე და ბერძნული ფილოსოფიური აზროვნების სათავეები

დაახ. ≈ 1000 წელს, ერთ ფინიკიელ უფლისწულს ეგვიპტელი ელჩისთვის უთქვამს: „იცით, ეგვიპტიდან სიბრძნე რატომ წამოვიდა? იმიტომ რომ იმ ქვეყანაში მოელწია, სადაც მე ვცხოვრობ. და მართლაც I ათასწლეულში აშკარაა ეგვიპტის უშუალო გავლენა ისრაელის ვნომიკურ ლიტერატურაზე თუ ბიბლიურ სიბრძნეზე. (ფხალში C IV-იგრძნობა ატონის თავყვანისმცემელთა განწყობა, „ანდაზები“ — ამენემოპეს მიბაძვაა, „ეკლეზიასტიკა“ — არფისტთა სიმღერების პირდაპირი განვითარებაა და ა. შ.). რაღა თქმა უნდა, რომ ეგვიპტური აფორიზმების ერთგვარი შეზღუდულობის ნიშნით აღბეჭდილი სიფრთხილე ჰესიოდეს გვაგონებს, ხოლო მათი ელექტიკური სიბრძნე — ბერძენ ბრძენთა გამონათქვამებს, ჩუმი ადამიანის იდეალი უკვე ძალიან ახლოა ბერძნულ sophrosyne-სთან, სიზობეკის „კეთილი ნება“ წინ უსწრებს ბერძნულ euthymie-ას, დემოტიკური სიბრძნე ხოტბას ასხამს იმასვე, რასაც გულისხმობდა ბერძნული miden agan-ი და ა. შ. მიუხედავად ამისა, არსებული მასალის შეჯერების საფუძველზე, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბერძნების ადრინდელი მდაბიური „ფილოსოფია“ და მერძინდელი სხვადასხვა სკოლების მორალური პრინციპები უშუალოდ ეგვიპტეს უნდა უმადლოდენ (თუმცა, რა თქმა უნდა, აშკარაა ზოგიერთი ნიშანდობლივი თანამოხვევა).

სამაგიეროდ, თვით ბერძნების დამოწმებით, ელინური სამყაროს ფილოსოფოსებს და მეცნიერებს — დაწყებული ოროფეოსიდან დამთავრებული თვით პლატონით! — ეგვიპტელი ქურუმებისაგან ბევრი რამ გადაუღიათ ცოდნის თითქმის ყველა სფეროში: გეომეტრია, ასტრონომია, მეტეოროლოგია, მედიცინა და ა. შ. უთუოდ, ცნობები იმის შესახებ, რომ ნილოსის ნაპირებზე ელინური სამყაროს დიდი სწავლულები და მოაზროვნეები ცოდნის შესაძენად ჩასულან, უმ-

თავრესად გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის და ვერ არის მაინცდამაინც სარწმუნო (იმ შემთხვევაშიც კი, თუ პლატონმა მართლაც მოინახულა ეგვიპტე, უნდა ითქვას შემდეგი: ის აზრები, რასაც იგი ამ ქვეყნის შესახებ გამოთქვამს, წიგნურ და ხელოვნურ ხასიათს ატარებენ).

ჰეროდოტეს მიერ უკვე ისედაც მნიშვნელოვნად გაბერილი ბერძენთა ვალი ეგვიპტის მიმართ, უზომოდ გაიზარდა, როცა აღმოსავლური ორენტიაციის ნეოპლატონისტებმა, ეგვიპტურ მითებში საკუთარი სპეკულაციების გულმოდგინე ძიება დაიწყეს და ამ ძიებისათვის სადავო ალევგორიულ მეთოდს მიმართავენ. ძალიან ძნელია, მოინახოს საკუთრივ ეგვიპტურ წერილობით ძეგლებში ყველა ის გამოგონება, თეორემა თუ თეორია, რომელთა აღმოჩენა ასე გულუხვად მიეწერებოდა ეგვიპტულ ქურუმებს.

მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ელინები, რომლებსაც ეგვიპტელები არასოდეს მიაჩნდათ პრიმიტიულ „ფილოსოფოსოფიაში“ ერის წარმომადგენლებად, დიდ პატივსა სცემდნენ ამ ბარბაროსთა აზროვნების უნარს. უადრესად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იონიელთა ფილოსოფიური აზროვნების წარმოშობა და განვითარება ზუსტად თანადროულია საისის დინასტიისა, რომელმაც პოლიტიკური და კომერციული კავშირი დაამყარა ბერძნულ ქალაქებთან, კერძოდ კი — მილეოტთან, ამიტომ თალესის მოგზაურობა საესებით სარწმუნოდ გამოიყურება.

საისის დინასტიის დროს მთელი ეგვიპტური კულტურა არსებითად სამღვდულოების კუთვნილებად იქცა. ამ დროიდან მოყოლებული სამღვდულოება ჯერარნახული გულმოდგინებით შეუდგა თეოლოგიის სხვადასხვა სფეროს ურთიერთდაკავშირებასა და სინთეზირებას. თუმცა ეგვიპტელებსა და ბერძნებს შორის მაინცდამაინც დიდი სიმპათია არ იგრძნობოდა მთელი რიგი ფაქტორების მოქმედების შედეგად. შესაძლებელი გახდა დამყარებულიყო ნაყოფიერი კონტაქტები ზოგიერთ ცნობისმოყვარე ბერძენსა და იმ ეგვიპტულ თეოლოგთა შორის, რომელთა გონებრივი ჰორიზონტი საგრძნობლად გაფართოვდა სწორედ ამ დროისათვის (იგულისხმება ბაბილონელთა ასტროლოგიის შეთვისება სირიელთა შემოსევის პერიოდში). ეს ფაქტორებია: თარჯიმანთა პერსონალის შექმნა, დემოტიკური დამწერლობით სარგებლობა, სავაჭრო მოლაპარაკებანი, მეზღვისში ბერძნული კალონიის დაარსება, ფარაონთა ელინოფილობა და ა. შ. ამ ორი ერის დაახლოებისათვის ხელი უნდა შეეწყო დახვეწილი მრავალსიტყვაობისადმი საერთო სიყვარულსაც, რის შესახებაც შენიღბულად გვაუწყებს „გამოცანების შეჯიბრი“ (ამაზისი და ბიასი).

XIII საუკუნიდან მოყოლებული ხეთი მეფეები საკონსულტაციოდ ეგვიპტულ ექიმებს უხმობდნენ თუ არსებობს კულტურის სფერო, სადაც ბერძნები თავის პირველ ნაბიჯებს მეტწილად ეგვიპტეს უმაღლოდნენ, ეს არის მედიცინის სფერო. ჰიპოკრატესეულ ტრადიციაში ზოგჯერ თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოტანილი არა მარტო ეგვიპტური რეცეპტები, არამედ მთელი მოძღვრებები. ფიზიოლოგიისა და ეტიოლოგიის დარგში. ყველაზე მაღალი დონის ასტრონომიული ცოდნა, რომელიც ეგვიპტულ სწავლულებს შეეძლოთ გაეზიარებინათ ბერძნებისათვის, მათ თვითონ ასირიელებისაგან ჰქონდათ შეთვისებული. მაგრამ, რაც შეეხება მეტეოროლოგიასა და ჰიდროლოგიას, ეგვიპტელთა გამოცდილება და თეორიული ცოდნა ამ სფეროებში, უდავოდ საყრდენ მასალად გამოადგა წინასოკრატელ ფილოსოფოსებს (კერძოდ, უნდა ვიგულისხმოთ ის

ცოდნა, რომელიც ეხება ნილოსის ადიდებასა და ქარების როლს). თუკი ბერძნებს ეგვიპტელი ქურუმებისაგან არ უსესხებიან რიცხვთა მისტიკა, რომელიც ჩანასახოვან მდგომარეობაში დარჩა ფარაონულ რელიგიაში, უეჭველია, რომ პითაგორელებმა თავისი რიტუალური პრაქტიკა მათა მიბაძვით ააგეს. ნილოსის დაბლობის მიწისმზომლები და არქიტექტორები იყენებდნენ მეცნიერულ გეომეტრიას, რომლის ფარგლებში გამოიყოფებოდა ზოგადი მნიშვნელობების მქონე ინსტრუქციები, ჩანასახობრივად „თეორემებს“ რომ წარმოადგენდა გეომეტრიულ „ფიგურათა“ თვისებების დამტკიცების საშუალებას იძლეოდნენ. სწორედ ამ გეომეტრიამ გარკვეული როლი შეასრულა ბერძნულ მათემატიკურ აზროვნებაში და სასწაულებრივად გამოაფხიზლა იგი და ბოლოს, ამკარაა ანალოგიები — დეტალებშიც კი — საიხური ეპოქის ეგვიპტელთა სხვადასხვა სისტემებსა და ბუნების შესახებ იონიელთა პირველ მოძღვრებებს შორის. დავასახელოთ, მაგალითად, მენდუზიური ოთხი „სულის“ თეორია, რომლებსაც თანმიმდევრულად ფლობს ერთადერთი ღმერთი — რა (ცეცხლი), შუ (ჰაერი), გეზი (მიწა), ოსირისი (წყალი). კიდევ შეგვიძლია გავიხსენოთ თებეს ჰიმნები. ჰიმნებში უმღერიან ერთადერთ ღმერთს, ვისი სახელიც შეუცნობელია, ვინც „მუდმივია ყოველ საგანში“ და მრავალსახიერია, შეცვას ყველა დანარჩენ ღმერთს, არა აქვს არც ბოლო და არც დასაწყისი, გააჩნია ათასი თვალი და ყური...

ტექნიკის ჩამორჩენილობამ და იმ ფაქტმა, რომ ეგვიპტელები პოზიტიურ ღირებულებას ანიჭებენ მაგიას, გზა გადაუღობეს მეცნიერულ ძიებას, ხოლო კონფორმიზმმა და მისტიკამ შეაჩერეს ეგვიპტური აზროვნების განვითარება ზნეობრივ სფეროშიც. თავიანთ პირველ თანამოსაუბრეებს, ბერძნებს, ეგვიპტელები უკვე მეცნიერებად და ფილოსოფოსებად ესახებათ. როცა პეროლოტეს უამბეს ბევრად თუ ნაკლებად გაუბრალოებული სახით ეგვიპტური მითები, ამ უკიდურესად საღი გონების პატრონმა, ისინი ისტორიულ ფაქტებად მიიჩნია. არ არის გამორიცხული საპირისპირო ვარიანტიც. ეგვიპტელ ქურუმებს შეეძლოთ გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულება სამყაროზე გამორჩეული, დახვეწილი გონების მოგზაურებისათვის. ამ დროს ისინი ალბათ არ ახსენებდნენ ამ შეხედულებათა რიტუალურ მზარეს — შიშისმომგვრელ საიდუმლოებას — რომელიც არ იყო განკუთვნილი უცხოელთა ყურისათვის.

თუ ქურუმთა მოძღვრებებს გავათავისუფლებთ საკრამენტული საკაზმებისაგან, მაგიური დანიშნულებისაგან და, თუ რწმენას გავიგებთ, როგორც საქმეს გულისას, რომელიც შეიცნობს, და სიტყვისას, რომელიც ჰქმნის, თუ აქვე მოვიხსენიებთ თებესა და ესნას მონისტურ თეოლოგიას, მაშინ გაქრება ის გაუგებარი უფსკრული, რომელიც არსებობდა ეგვიპტელთა მითო-მაგიურ ნააზრევსა და კვლევის იმ მეთოდებს შორის, რომელსაც მიმართავს რაციონალური ფილოსოფია.



რიჰარდ ვაგნერისა და მატილდე ვიზენდონკის ეპილოგი

„იყავი კარგად, კარგად, ჩემო საყვარელო!“

მე მშვიდად გშორდები. სადაც არ უნდა ვიყო, ამიერიდან მუდამ შენი ვიქნები. ეცადე შემიხარჩუნო ჩემი „თავშესაფარი“. ნახვამდის! ნახვამდის! შენ, ჩემი სულის უტკბესო სულო! კარგად იყავი — ნახვამდის!“ —

ასე ემშვიდობება რიჰარდ ვაგნერი 1858 წლის აგვისტოში ციურიჰის მახლობლად, ვეზენდონკების მამულში „მწვანე სერზე“ მდებარე პატარა სახლს და მის მშვენიერ დიასახლისს, მატილდე ვეზენდონკს. ციურიჰში გატარებული წლები ერთ-ერთი ნაყოფიერი პერიოდია რიჰარდ ვაგნერის შემოქმედებით ცხოვრებაში. ამავე წლებში აღმოცენდა ის მდიდარი და უაღრესად საინტერესო მიმოწერა, რომელიც შემდგომშიც გრძელდებოდა და დღესაც გვხვდება სიღრმითა და სიფაქიზით. „მისმინე, როგორც ბრუნძილდე უხმენდა ვოტანს“, — წერს ვაგნერი ერთ-ერთ წერილში.

მატილდე იყო მეფის კომერციული მრჩევლის კარლ ლუკმაიერისა და იოჰანა შტაინის ქალიშვილი. იგი დაიბადა 1828 წ. 23 დეკემბერს ელბერფელდში. აღზრდა-განათლება მიიღო დიუსელდორფში, და შემდეგ — დიუნკირჰენის პანსიონში. 1848 წელს დაქორწინდა ოტო ვეზენდონკზე, ნიუ-იორკის დიდი აბრეშუმის სახლის ერთ-ერთი მეპატრონე და მისი წარმომადგენელი იყო გერმანიაში. ახლად შეუღლებულნი დიუსელდორფში დასახლდნენ, შემდეგ ამერიკაში გაემგზავრნენ ერთი წლით, 1851 წლიდან კი დიდი ხნით დამკვიდრდნენ ციურიჰში. სწორედ აქ, დრეზდენელი ადვოკატის ოჯახში გაიცნო ვაგნერმა 1852 წ. ვეზენდონკები. თავის მოკონებებში მატილდე ვეზენდონკი მოგვითხრობს, როგორ ჩავიდა იგი ციურიჰში სრულიად ახალგაზრდა, გაუთვითცნობიერებელი, როგორც „დაუწერელი ფურცელი“, და რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ვაგნერმა. „მხოლოდ მოგვიანებით, 1853 წლიდან გახდა ჩვენი ურთიერთობა უფრო მეგობრული და ახლობლური. ოსტატი მიზიარებდა ხოლმე თავის შემოქმედებით გეგმებს... რადგან ბეთჰოვენის თაყვანისმცემელი ვიყავი, სონატებს უკრავდა ხოლმე ჩემთვის.“

ოსტატს უმადლის მატილდე ყოველივე საუკეთესოს, რაც კი იცის; მანვე აზიარა არტურ შოპენჰაუერის ფილოსოფიასაც, და საერთოდ, ფრიად მონდო-

* „Asyl“ — „თავშესაფარი“ — ასე უწოდებდა ვაგნერი ვეზენდონკების მამულში მდებარე პატარა სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა თავისი ოჯახით 1857 წ. აპრილიდან 1858 წ. აგვისტომდე.

მეზღუდი იყო, გაემახვილებინა ქალის ყურადღება ყოველი მნიშვნელოვანი ლიტერატურული თუ სამეცნიერო მოვლენის მიმართ: „ან თავად მიკითხავდა, ან შინაარსს მიზიარებდა და მსჯელობდა ჩემთან ერთად... რასაც შეადგენდა შეთხზავდა, ნაშუადღევს ჩემს როიალზე მომასმენინებდა ხოლმე — ხვეულებრივ 5-დან 6 საათამდე: თავის თავს „მწუხრის კაცს“ უწოდებდა“. ვაგნერს ძალზე უყვარდა „თავშესაფარი“, როგორც უწოდებდა იგი თავის ახალ სამეცნიერულ „მწვანე სერზე“, ესოდენ დიდი სიყვარულით რომ მოუმზადეს ვეზენდონკისა. კეთილისმყოფელი გამოდგა ეს მეზობლობა ოსტატისათვის. მათილდეს უძღვნიდა იგი თავისი ოპერების პირველ მონახაზებს, მუსიკაში გადაიტანა მათილდეს ხუთი ლექსი, რომლებიც შემდეგ „ტრისტანის“ სხვადასხვა სცენებში აღდერდა. „სიმღერის პანგებიდან ამოიზარდა „ტრისტანის“ მუსიკა, როგორც ყვაილი კვირტიდან“, — წერს ვოლფგანგ გოლთერი. კეთილი ანგელოზივით მოვევლინებოდა ხოლმე მეგობარი ყოველ გასაჭირსა თუ ქარიშხალში. „რამაც მე ამ ექვსი წლის მანძილზე გამაძლებინა, მანუგემა და გამაძლიერა, შემაძლებინა ამეტანა მინას (ვაგნერის მეუღლე, რ. დ.) გვერდით ყოფნა, მიუხედავად ჩვენი ხასიათებისა და ბუნების უდიდესი განსხვავებისა — იმ ახალგაზრდა ქალის სიყვარულია, რომელიც თავიდან დიდი სიფრთხილით, ყოყმანით, ეჭვით და მორცხვად, შემდეგ კი ხულ უფრო და უფრო გაბედულად და მტკიცედ დამიახლოვდა“, — წერს ვაგნერი თავის დას კლერკენს.

გასაგებია ის სევდა და ტკივილი, რაც „თავშესაფართან“ განშორებას ახლდა თან. „არასოდეს ისე არ მიზრუნია ვარდებზე, როგორც მაშინ. ყოველ დილას მოვწყვეტდი ხოლმე ერთს და ჩემს საშუალო მაგიდაზე ვდებდი ლარნაკში: ვიცოდი, რომ ვემშვიდობებოდი ბაღს. ამ გრძნობას შეექსოვა ეს სურნელი: ჭმუნვა, ზაფხული, მზე, ვარდის სურნელი და გამომშვიდობება“, — ხგონებს ვაგნერი „თავშესაფარში“ გატარებულ ბოლო დღეებს.

მაგრამ მიმოწერა და მეგობრობა გრძელდება. 1858 წ. აგვისტოში ოსტატი ვენევის გავლით ვენეციაში მიემგზავრება, რათა იქ „ტრისტანის“ მეორე მონაკვეთი გაასრულოს. შემდეგ — ლუცერნი, პარიზი, საიდანაც დაწვრილებით ატყობინებს ყოველივეს მეგობარ ქალს. 1861 წ. მარტში ოტო ვეზენდონკი გაემგზავრა პარიზში „ტანპოიზერის“ წარმოდგენაზე. „ჩვენ რომ ოსტატთან სიკვდილამდე მეგობრობა გვაკავშირებდა, ეჭვს გარეშეა... ბაიროითში ფესტივალს არასოდეს დავეკლებივართ. ფრაუ კონიმაზე ქორწინების შემდეგაც პირველი ვიზიტი ჩვენ მოგვიძღვნა მარიაფელდში; „მწვანე სერზე“ სტუმრობისას კი ბავშვებიც ახლდნენ“, — იგონებს მათილდე.

მშობლების მეგობრობა შვილებზეც გადავიდა. როცა ზიგფრიდ ვაგნერი ბერლინში იმყოფებოდა სასწავლებლად, ვეზენდონკების ოჯახის ხშირი და სასურველი სტუმარი იყო. ფრაუ ვეზენდონკა შემოუნახა შთამომავლობას და გამოხატვამად მოამზადა ვაგნერთან მიმოწერა, თუმცა ოსტატის სურვილით ეს ფურცლები უნდა განადგურებულიყო. მიმოწერის გამოქვეყნების უფლება ვაგნერის ოჯახმა განსვენებული მათილდეს ვაჟსა და შვილიშვილს გადასცა.

„ციურიჰში გატარებული წლები ვაგნერისათვის იყო უამი შეკრებისა, შრომისა და შინაგანი განწყობისა“, — ასე აფასებს მათილდე ციურიჰის პერიოდს ვაგნერის შემოქმედებაში.

გთავაზობთ რამდენიმე წერილს რიკარდ ვაგნერისა და მათილდე ვეზენდონკის მიმოწერიდან.

1.

რა მოვიმოქმედო საბრალო ავადმყოფის გასამხსენებლად? პროგრამა თარგმანებითურთ ეშენბურგს (ინგლისური ენის პროფესორი ციურიჰში, — რ. ღვ.) გამოვატანე: მაგრამ რას გარგებთ ეს? — ოტომ სასწრაფოდ უნდა ვიპოვოთ „ინდური თქმულებები, გადამუშავებული ადოლფ ჰოლცმანის მიერ, შტუტგარტი“. მე ისინი ლონდონში წამოვიღე თან: მათი კითხვა ერთადერთი ნეტარება იყო ჩემთვის. ყოველი მათგანი მშვენიერია: მაგრამ — სავიტრიკულაჟი და თუ ჩემს რელიგიას გსურთ გაეცნოთ, წაიკითხეთ უსინარი. რა დარცხვენილი დგას მთელი ჩვენი განათლება ძველი აღმოსავლეთის უკეთილშობილესი ადამიანურობის ამ უწმინდეს გამოვლინებათა წინაშე!

ახლა ყოველ დღით, ვიდრე მუშაობას შევუდგებოდე, დანტეს თითო სიმღერას ვკითხულობ: ჯერ კიდევ ღრმად ვარ ჯოჯოხეთში ჩაფლული, მისი საშინელებანი მღევენ თან „ვალკირიის“ მეორე აქტის ხორცშესხმისას. ფრიკა ეს ესაა წავიდა, და ვოტანის გოდებამ უნდა ამოხეთქოს.

ამ მეორე აქტს აქ ვერავეითარ შემთხვევაში ვერ გავასრულებ, ძალზე ნელა მიიწევს წინ საქმე და ყოველდღე სულ ახალ-ახალ ძალ-ღონის გამომცლელ სენთან მიხდება ბრძოლა.

ჩემი ლონდონური გამოცდილება მკარნახობს, რამდენიმე წლით უარი ვთქვა საჯარო გამოსვლებზე: ამ საკონცერტო დირიჟორობას ბოლო უნდა მოეღოს. ციურიჰელი ბატონები ნუ ჩავარდებიან ჩემ გამო ხარჯში! მე ახლა დიდი შინაგანი წონასწორობა მესაჭიროება, რომ ჩემი ნაწარმოები გავასრულო, რომელიც, ვშიშობ, უკმარობისა და დაუკმაყოფილებლობის ამ განუწყვეტელი და შეურაცხმყოფელი გრძნობის პირობებში შეიძლება გროტესკულ ქიმერად შექცეს.

თავის შესაქცევად იფიქრეთ იმაზე, რამდენი ფუგა უნდა იყოს ჩემს ლონდონურ ორატორიაში, თეთრი ლაიკის ხელთათმანები უნდა ეცვას ლორდ იესოს თუ შავი, ხოლო მაგდალენას ყვაკილების თაიგული ეჭიროს ხელში თუ მარაო? როცა ყოველივე ამას გადაწყვეტთ, შემდეგ ერთად განვაგრძოთ ფიქრი. —

დღეს მეოთხე კონცერტი მაქვს: სიმფონია A-dur (რომელიც, ყოველ შემთხვევაში, დიდხანს ვერ აჟღერდება ისე, როგორც ციურიჰში) და კიდევ მრავალი მშვენიერი ნაწარმოები, რომელთა შესრულებაც, აღარ მეგონა, თუ კიდევ მომიწევდა ჩემს სიცოცხლეში. მაგრამ ძალას მმატებს მტკიცე რწმენა იმისა, რომ ეს უკანასკნელი იქნება.

სალამი ოტოს, რომელსაც უღრმეს მადლობას ვწირავ მისი ბოლო გულითადი წერილისათვის: თუკი ესამოვნება, კიდევ ერთხელ მიეწერ. ხომ არ გესტუმრებათ ამ მოკლე ხანში მარი?

ხვალ კონცერტის შემდეგ მივწერ ჩემს მეუღლეს: მას არაფერი განსაკუთრებული აღარ ექნება თქვენთვის სათქმელი.

და კიდევ მომიკითხეთ მირა! (ფრაუ ვებენდონკის ქალიშვილი, — რ. ღვ.) იყავით ჯანმრთელად და — მხნედ!

ლონდონი, 30 აპრილი, 55

უძვირფასესო მეგობარო!

ჩემმა მეუღლემ დღეს ერთი კარგი აზრი გამიზიარა, რომლით შეგულიანებული, დიდი თხოვნით მოგმართავთ.

საქმე ეხება ბოლშევის ნაკვეთს ციურიჰის მახლობლად, ზეეფელდში — კიდევ ერთხელ ვცადოთ, შემიძლია თუ არა მივიღო ეს ნაკვეთი მუდმივ სარგებლობაში ქირით. თუ ეს მოხერხდება, გავთავისუფლდები საკუთარ მიწის ნაკვე-

თზე ზრუნვისაგან, და მხოლოდ ქირის საფასურად იმ სიამოვნებას მივიღებ, რასაც ვეძიებ. ეს ნაკვეთი ამჟამად ვინმე ტრუმპლერის ოჯახზეა გაქირავებული როგორც საზაფხულო ბინა; ისე რომ, საჭიროა ბოდმერების დაყოლიება, მეგობრულად გაისტუმრონ ეს ძველი დამქირავებლები და სანაცვლოდ ნაკვეთი მე გადმომცენ სიკვდილამდე, ან ათი წლის ვადით.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბოდმერის ნაკვეთში დასახლება ტრუმპლერებისთვის უფრო ტრადიციის ერთგულებაა, ვიდრე საჭიროება. ნაკვეთითონ ბოდმერებიც მოინდომებენ, ჩვენ გამოგვცენ ნაკვეთი, ეჭვი არ მეპარება, არ გაუჭირდებათ ტრუმპლერების დაყოლიება. ამრიგად, საქმე მხოლოდ ისაა, ჩემს სასარგებლოდ განეწყონ ბოდმერები, და ჩემს მეუღლეს, რომელსაც დავა ვაღე, წინასწარ დაელაპარაკოს ფრაუ ბოდმერს, სურს მესამე პირის დახმარება, რომელიც იმ ქალბატონს რეკომენდაციის სახით ეტყვის ყოველივე იმას, რასაც ვერც ჩემი მეუღლე და ვერც მე ვერ ეტყვიით მას: და ამ მესამე პირად, ძვირფასო მეგობარო, ჩემი მეუღლე ყველაზე შესაფერისად თქვენ გთვლით. ასე რომ, გულით გთხოვთ, მისწეროთ ფრაუ ბოდმერს ბარათი და სცადოთ, ჩემს სასარგებლოდ განაწყინოთ იგი. ამასთან, როგორც ჩემი მეუღლე ფიქრობს, ურიგო არ იქნებოდა, თუ აუხსნიდით მას, როგორ მესაჭიროება წყნარი, სოფლური ბინა, როგორიც მისი ადგილია, და იქნებ, — ესეც ჩემი ცოლის აზრია, — მის პატივმოყვარეობაზეც გეთამაშათ — აგრძნობინეთ, რომ მათი ოჯახისათვის დიდი პატივი იქნება, თუ თავიანთ მამულში ჩემი შემდგომი შემოქმედებისათვის ხელისშემწყობ თავესაფარს მომიჩენენ.

— რას იტყვიით? გამიწევთ შუამავლობას? — ვისურვებდი, ციურიჰში დაბრუნების დროისათვის დაძრული იყოს ეს საქმე, რომელიც ესოდენ საშურია ჩემთვის, რათა რაც შეიძლება ჩქარა მივიღო საჭირო გადაწყვეტილება.

როგორ ფიქრობთ, განა არ გამეხარდებოდა მოგსალმებოდით ბერნში?

გულითადი სალმით

თქვენი

რიკარდ ვაგნერი

მორნეჟი. 11 აგვისტო, 56

მშვიდობის დილას ვისურვებთ!

თვალი გადააუღეთ ერთი ამ წიგნს: (გლუკის ბიოგრაფია, ა. შმიდტი, 1852 რ. დ.): უღიმღამოდაა დაწერილი, და იძულებული ხარ, გადაახტე ყველაფერს, სადაც ავტორს საკუთარი აზრის მოშველიება აუცილებლად მიუჩნევია; თუმცა გლუკის პარიზულ პერიოდთან დაკავშირებული ცნობები ფრიად საინტერესოა, და უნდა გამოვიტყდეთ, ამ მგზნებარე და თან საკუთარი თავით სრულიად კმაყოფილ, პატივმოყვარეობამდე მშვიდ გლუკს, თავისი დიდი ქონებით, დაქარგულ სადარბაზო სამოსელში გამოწყობილს, ღრმასაკოვანს — აქვს რაღაც ძალზე თავშესაქცევი, გამამხიარულებელი. —

ოღონდ დასაწყისი გამოტოვეთ!

რ. ვ.

ო, რა მშვენიერია ეს ყურთბალიში! და რა სათუთი! რაც არ უნდა დაღლილი და დამძიმებული ვიყო, მაინც ვერ ვბედავ მასზე თავის დადებას, ავადმყოფობაშიც კი. — თუ მაინც და მაინც, — რომ მოეკვდები! აი, როდის შემეძლება მართლაც ისე შვებით მოვისვენო მასზე, თითქოსდა მქონდეს ამისი უფლება! მაშინ კი უნდა გამისწოროთ სასთუმალი. — აი, ჩემი ანდერძიც!

რ. ვ.

და ჩემი ძვირფასი მუზა ისევ შორსაა ჩემგან? მღუმარედ ველოდი, როდის მეწვეოდა; ხვეწნით არ მსურდა მისი შეწუხება. რამეთუ მუზა, როგორც სიყვარული, მხოლოდ თავისი ნებით თუ გაგვაბედნიერებს. ვაი იმ ბრიყვს, ვაი იმ უგუნურს, ვინც მოინდომებს ძალით მიიღოს ის, რასაც ნებით არ უბოძებენ! მუზას ვერ აიძულებ. არა? ასე არ არის? განა იქნებოდა სიყვარული მუზაც, მისი იძულება რომ შეიძლებოდა?

და ჩემი სანატრელი მუზა ისევ შორსაა ჩემგან?

ეროვნული
შინაობისათვის
რ. ვ.

1858, ზაფხული

სამშაბათ — დილა.

რა თქმა უნდა, არ მოელო, რომ შენს მშვენიერ, დიდებულ წკრიალს უბასუხოდ დავტოვებ? თუ უკეთილშობილესი სიტყვისათვის უარი უნდა მეთქვა საპასუხო წერილის უფლებაზე? მაგრამ რა მოგწერო, რა გიპასუხო, შენი საკადრისი?

როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო დასასრული იმ გაუგონარი ბრძოლები-სა, რომლებიც ჩვენ გადავიტანეთ, — თუ არა გამარჯვება ყოველ სურვილსა და ნდომაზე?

განა არ ვიცოდით მიახლოების უნეტარეს წუთებში, რომ ეს იყო ჩვენი მიზანი? —

რა თქმა უნდა! სწორედ იმიტომ, რომ ასე გაუგონარი და მძიმე იყო ეს, მხოლოდ უმძაფრესი ბრძოლებით შეიძლებოდა ამის მიღწევა. განა ყველა ბრძოლას არ გავუძელით? რაღა შეიძლება იყოს კიდევ მოსალოდნელი? — ჭეშმარიტად, მე მთელი სიგრძე-სიგანით ვგრძნობ: ისინი დამთავრებულია! —

როცა ერთი თვის წინ შენს მეუღლეს მოვახსენე ჩემი გადაწყვეტილება, შემეწყვიტა თქვენთან პირადი ურთიერთობა, ამით მე უარი ეთქვა შენზე. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიყავი ბოლომდე განწყობილი. ოღონდ ვგრძნობდი, რომ მხოლოდ სრული განშორება ან სრული შეერთება თუ დაიფარავდა ჩვენს სიყვარულს იმ საშინელი შეჯახებებისაგან, რომელთა საგანიც იგი ამ ბოლო ხანებში აღმოჩნდა. ამრიგად, ჩვენი განშორების აუცილებლობის გრძნობას ებრძოდა თუმცა არასასურველი, მაგრამ დასაშვები შესაძლებლობა ჩვენი შეერთებისა. ამას კი მოჰყვებოდა უადრესი დაძაბულობა, რომელსაც ვერცერთი ვერ ავიტანდით. ჩვენთვის ნათელი და გადაწყვეტილი იყო, რომ ის მეორე შესაძლებლობა ისეთ მკრეხელობას შეიცავდა, რომლის გაფიქრებაც კი დაუშვებელი იყო.

აქედან გამომდინარე, ჩვენგან ერთმანეთის დათმობის აუცილებლობამ თავისთავად სხვა ხასიათი მიიღო: ბობოქრობის ნაცვლად წყნარად შევეგზეთ ურთიერთობის გაწყვეტას. ჩემი გულიდან ეგოიზმის უკანასკნელი ნატამალიც გაქრა, და ჩემი გადაწყვეტილება, კვლავ მოგინახულოთ, იყო უწმიდესი ადამიანური გრძნობების გამარჯვება ეგოისტური სწრაფვის უკანასკნელ გაბრძოლებაზე. მე მსურდა მხოლოდ შერიგება, შემსუბუქება, ნუგეშისცემა — გამხნეება, და ამრიგად, საკუთარი თავისთვისაც იმ ერთადერთ ბედნიერების მინიჭება, რომელიც კიდევ შეიძლება მხედეს წილად.

არასოდეს ასე მძიმედ და საშინლად არ მიგრძვნიდა თავი ჩემს ცხოვრებაში, როგორც უკანასკნელ თვეებში. ყველა ადრინდელი შთაბეჭდილება შინაარსისაგან დაცლილი იყო ამ უკანასკნელთან შედარებით. იმ ძვრებმა, რომლებიც კატასტროფის დროს გადავიტანე, ღრმა კვალი დააჩინა ჩემს სულს; და თუ კიდევ რაიმეს ჰქონდა მნიშვნელობა ჩემი განწყობილებისათვის, ეს იყო ჩემი მეუ-

ღლის ჯანმრთელობა. ორი თვის მანძილზე ყოველდღე იმის მოლოდინში ვიყავი, რომ მისი უეცარი გარდაცვალების ცნობას მივიღებდი; რადგან ექიმმა მაგრძნობინა, რომ ეს მოსალოდნელი იყო. ყოველივე ჩემ გარშემო სიკვდილით სუნთქავდა; ყოველი ფიქრი მომავალსა თუ წარსულზე სიკვდილის წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული, და ცხოვრებამაც უკანასკნელი ხიბლი დაკარგა ჩემთვის. უკიდურესი სიფრთხილისათვის, თუმცა ეს საბრალო ქალის წინააღმდეგ იყო მიმართული, გადაწყვეტე დამენგროა ჩვენი საერთო კერა, რომელსაც მსულ ცოტაოდენი ხნის წინ შევექმენით, და მისდა გასაოგნებლად, ბოლოს და ბოლოს ეს გადაწყვეტილება მასაც გავუზიარე. როგორ ფიქრობ, რა გრძნობით ვემშვიდობებოდი ამ მშვენიერი ზაფხულისას მომხიბლავ, მხოლოდ ჩემი სურვილებისა და დიდი ხნის მისწრაფებათა სრულ განსახიერებას — „თავშესაფარს“, როცა დილით ძვირფას ბაღნარში დავეხეტებოდი, გახარებულ ყვავილნარს ვუცქერდი და ასპუჭაკას ზუზუნს ვაყურადებდი, ვარდის ბუჩქზე რომ გაეკეთებინა ბუდე? და თავად განსაჯე, რას ნიშნავს ჩემთვის ამ უკანასკნელი ღუზიდან მოწყვეტა, — შენ ხომ ისე ზედმიწევნით იცნობ ჩემს ზრახვებს, როგორც არავინ!

თუკი მე ერთხელ გამოვექეცი საზოგადოებას, როგორ გგონია, კვლავ დავუბრუნდები მას? ისიც ახლა, როდესაც ჩემი სულის ყოველი მოძრაობა ესოდენ სათუთი და მგრძნობიარე გახდა მასთან ყოველგვარი შეხებისაგან ხანგრძლივი გადაჩვევის წყალობით? ვაიმარას დიდ პერცოგთან ჩემმა უკანასკნელმა შეხვედრამ უწინდელზე უფრო აშკარად დამანახვა, რომ ჩემი შემოქმედების გამლა მხოლოდ სრული თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი, ისე რომ სავსებით გულწრფელად უარყვავი ყოველგვარი ფიქრის მოკალების თავზე აღებისათვის თვით ამ არცთუ უთავაზო დიდებულის მიმართ. მე არ შემიძლია — არ ძალმიძს საზოგადოებისკენ მიბრუნება, ჩემთვის წარმოუდგენელია ხანგრძლივად დიდ ქალაქში ცხოვრება. ან — სანაცვლოდ კვლავ ახალი თავშესაფრის, ახალი კერის დაარსებაზე ფიქრი, მას შემდეგ, რაც დავანგრიე ეს, რომლით დატკბობაც ვერ მოვასწარი, რომელიც ამ მომხიბლავ სამოთხეში მეგობრობამ და უკეთილშობილესმა სიყვარულმა შემიქმნეს! არა! — აქედან წასვლა ჩემთვის დაღუპვაა!

მე აღარ ძალმიძს, ჭრილობით გულში კვლავ ახალი სამშობლოს შექმნას ვეცადო! —

ჩემო ბავშვო, მხოლოდ ერთი გზა არსებობს ხსნისა, და ეს გზა გულის სიღრმიდან უნდა მოდიოდეს და არა გარედან. ეს არის: სიმშვიდე! სევდიანი სიმშვიდე! ყოველგვარი ნდომის მოთვინიერება! კეთილშობილი, ღირსეული ძლევა! ცხოვრება სხვებისათვის, სხვებისათვის — ჩვენდა სანუგეშოდ! —

ახლა შენთვის ნაცნობია ჩემი სულის სერიოზული, გადამწყვეტი განწყობილება; ეს ეხება მთელ ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპებს, მთელს მომავალს, ყოველივეს, რაც ჩემთვის ახლობელია, — და ასევე შენ, შენ, რომელიც უძვირფასესი ხარ ჩემთვის! ნება მომეცი, მონატრების ამ სამყაროს ნანგრევებზე — გაგაბედნიერო! —

გახსოვდეს, არასოდეს ჩემს ცხოვრებაში, არავისთან არ ვყოფილვარ აბუზარი, პირიქით, ყოველთვის თითქმის გადაჭარბებულად მგრძნობიარეც მეთქმოდა. ახლა პირველად უნდა შეგაბეზრო თავი და გთხოვო, სრულიად მშვიდად იყო ჩემ გამო. ხშირად არ გეწვევით ხოლმე, რადგან ამიერიდან მხოლოდ მაშინ მნახავთ, როცა დარწმუნებული ვიქნები, რომ მხნესა და მშვიდს მიხილავთ. — სხვა დროს კი ტკივილები და მონატრება მომქონდა თან: იქ, სადაც ნუგეშს მოწყურებული მოვდიოდი, მღელვარება და ტკივილები მოვიტანე. ეს აღარ

უნდა განმეორდეს. ისე რომ, თუ კარგა ხანს ვერ მნახავ, — ჩუმად ილოცე ჩემთვის! — რადგან, იცოდე, რომ ამ დროს მე ვიტანჯები! ხოლო, როცა მოვალ, დარწმუნებული იყავი, ჩემი არსების უწმინდესი ძღვენით შემოვდივარ შენს სახლში, ძღვენით, რომლის გაღებაც ალბათ მხოლოდ ჩემი ნიჭით, ჩემი, ვისაც მორჩილად აუტანია ამდენი ტანჯვა. —

ალბათ, და — დანამდვილებითაც, მალე, საფიქრებელი ზემოთის დასაწყისში, დადგება დრო, როცა ხანგრძლივად დავტოვებ ცხოვრებას ჩემს ხანში მოსალოდნელია ჩემი ამნისტია, რაც კვლავ გამიღებს კარს გერმანიაში, სადაც პერიოდულად დავბრუნდები ხოლმე, რომ მივიღო ერთადერთი რამ, რასაც აქ მოკლებული ვარ. მაშინ დიდ ხანს ვეღარ გნახავთ ხოლმე. შემდეგ კი კვლავ დავბრუნდები ჩემთვის ესოდენ ახლობელ „თავშესაფარში“, რათა დავისვენო სატანჯველისა და განუწყვეტელი გულისტკივილისაგან, სუფთა ჰაერი ჩავისუნთქო, და ახალი ხალისით გაუაგრძელო ძველი საქმიანობა, რისთვისაც ამომირჩია განგებამ, — და ყოველთვის, როცა კი თქვენ ამის ნებას მიბოძებთ, ეს იქნება სინათლის სხივი, რომელიც იქ გამაძლებინებს, ტკბილი ნუგეში, რომელიც აქ მომელის.

განა ეს უმაღლესი სიკეთისქმნა არ იქნება შენგან? განა შენ არ უნდა ვიზადლოდე ერთადერთ რამეს, რაც ამ დედამიწის ზურგზე სამადლობელი შეიძლება მქონდეს? და არ უნდა ვიყო იმის ცდაში, დაგასაჩუქრო ყოველივე იმისათვის, რაც ენით გამოუთქმელი მსხვერპლისა და ტანჯვის ფასად მომანიჭე? —

ჩემო ბავშვო, უკანასკნელ თვეებში საფეთქლებზე შესამჩნევად გამითეთრდა თმა, რაღაც შინაგანი ზმა სევდიანად მიხმობს სიმშვიდისაკენ. სიმშვიდისკენ, რომელსაც ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ ჩემს მფრინავ პოლანდიელთან ერთად ვესწრაფოდი, ეს იყო „სამშობლოს“ წყურვილი, — და არა ტრფობის ნეტარებისა! მხოლოდ ერთგულ, დიდსულოვან დიაცს შეეძლო მისთვის ამ სამშობლოს მოპოვება. ვეზიაროთ ამ მშვენიერ სიკვდილს, რომელიც ყოველ ჩვენს ნატვრასა და ნდომას დაფარავს და დაარწმუნებს! დე ნეტარებით მოვკვდეთ, პირნათელი და დიდებული ძღვევის წმინდა დიმილით! და — არცერთი არ დავრჩებით წაგებულნი, თუ ჩვენ ორივე ვავიძარჯვებთ!

კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო წმინდა ანგელოსო!

რ. ე.

ამ ცხელ დღეებში ხშირად შემცოდებიხართ ხოლმე, პარიზში ხომ ამ დროს სულისშემხუთველი სიცხეებია. თქვენ ალბათ ძველებურად ბულონის ტყეს აფარებთ თავს, მაგრამ ყოველთვის არც ეგ შეველის. მწვანე სერზე ახლა მშვენიერია, და მთვარიანი საღამოებიც შეუდარებელია. დიდი ხანია ასეთი ზაფხული არ გვქონია, თან რაღაც უცნაური გრძნობა გეუფლება და ვერ დაგიძინია იმის შიშით, ვაი თუ მეორე დღეს ყველაფერი შეიცვალოს. გასულ კვირას ბავშვებთან ერთად პატარა გასეირნება მოვაწყვეთ ბადენვაილერში, ცერინგის თავადთა საგვარეულო ციხე-სიმაგრეში. იგი ბაზელიდან რკინიგზით ერთი საათის სავალზეა და ბადენის მიდამოებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტის გაგრძელებაა. მშვენიერი კაკლის ხეები, კორომები, ბორცვები, ალპური მდელოები, და შორს — რაინის ვერცხლისფერი ზოლები. აი, ასეთი იქნება დაახლოებით თქვენი მიმავალი სავანე. ალერსიანი, წყნარი და განმარტოებული, ვფიქრობ, მეტისმეტად განმარტოებული, თუ ვიგულისხმებთ მგრძნობიარე, გონებამახვილ, ხელოვან ადამიანებთან ურთიერთობას. ამ მხრივ პარიზი გვანებებებს ხოლმე. ლესინგი ჩუმი, მეტისმეტად თავმდაბალი ბუნებისაა, მისი უდი-

დესი გატაცებაა ნადირობა. შირმერი ნამდვილი ბუნების შვილია. დიდპერ-
ცოვი? ეს თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ჩვენი გერმანელი პრინცესები
უმეტესად შინნახარდი არსებანი არიან, მათ ასწავლიან მომჭირნეობას, და
თავიანთი სადა, უპრეტენზიო ბუნებით გულს ავიწყებენ. დიდპერცოვის მეუ-
ღლეს კი მიმზიდველი ნაკვთები აქვს. მისი პორტრეტი ჰერცოგთან ერთად მო-
ოქროვილ ჩარჩოში ჰკიდია კედელზე, უწინდელი რეგენტები კი გვერდზე, უბ-
რალო შავი ჩარჩოთი „კმაყოფილდებიან“. ალბათ ორმოცდაათ წელიწადში ახ-
ლანდელი წყვილიც შავ ჩარჩოში გადაინაცვლებს, ხოლო ოქროს ჩარჩოში ახა-
ლი ვარსკვლავი გაბრწყინდება, და წინაპარი მთლიანად დავიწყებას მიეცემა.
ეს არის დროის სარკე. გასულ შაბათს კონცერტი იყო (ფრაუ მიუნსტერკირჰე-
ში) კათედრალურ ტაძარში. მამა ჰაიმი დირიჟორობდა, მაგრამ ვერ გაართვა
ამოცანას თავი. ვენელმა შმიდტმა შეასრულა არია სამყაროს შექმნიდან. დიდ-
ბული ხმა აქვს, რომელიც უკანასკნელ ნოტებშიც კი ინარჩუნებს მკაფიო ჟღე-
რადობას. დიდებული იქნებოდა მეფე ჰაინრიჰის პარტიაში. აღნაგობითაც ახ-
ოვანი და მძლავრია. შეუსვენებლად მღერის, ხან აქ, ხან იქ, მაგრამ საშინელი
პროგრამა აქვს, ყველაზე ჩვეულებრივი პუბლიკისათვის გათვალისწინებული.
შეასრულეს რამდენიმე ნაწყვეტი გლუკის „ორფეოსი და ევრიდიკედან“, რამაც
დიდი სიამოვნება მომანიჭა. ძალზე ლამაზია ის ადგილი, როცა ორფეოსი ქვეს-
კნელში ეშვება და ჯოჯოხეთის სულები „არა, არა“-ს გუგუნით ეგებებიან. არ-
ფის ჰანგები, ასე რბილად და ლამაზად რომაა ჩართული, სილამაზის საბოლოო
გამარჯვების რწმენას გვინერგავენ. სიამოვნებით მოვისმენდი ამ ნაწარმოებს
მთლიანად. ფრაუ დოქტორ ვილგეც იყო კონცერტისათვის ქალაქში ჩამოსული,
და ღამე ჩვენთან გაათია. ბევრი მოკითხვა დამაბარა თქვენთან. „რაინის ოქრო-
თი“ დავატკბე. დილას ჩრდილოეთის ტერასაზე ვისაუზმეთ და ბევრი ვისაუბ-
რეთ თქვენზე. სადილად მოვლენ კელერი, დოქტორი ვილე, კიოლჰი და მისი
მეუღლე, და მოხუცი ფროილაინ ულრიჰი, რომელიც, იმედია, გემახსოვრებათ.
ჩვენც გვიყვარს ეს მოხუცი მისი ორიგინალური ბუნების გამო. მე გაუთაეებ-
ლად ვბაასობ; იქნებ გაამხნევოს ამან ჩემი მეგობარი, ან ძველი დრო გაახსენოს.
მან, მართალია, ბევრი რამ იცის, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ჯერ არ იცის, რა
არის ჭაღარა. მოქცევა და მიქცევა, შუქი და ჩრდილი, — ეს ახალგაზრდობაა.
ისეთი განწყობილებები კი, თქვენს ბოლო წერილში რომაა გამოხატული, ჭა-
ღარას არ გააჩნია, ისიც ვიცით, რომ ეს განწყობილებანი წარმავალია, ეს მა-
ნუგეშებს. ახლა, როცა აივანზე ვზივარ და ვწერ, ალბები დაისის უნაზესი შუ-
ქითაა განათებული. ნეტავ შემეძლოს ეს ვარდისფერი ნათება ამ ბარათს გამო-
ვატანო და თქვენს სულს ჩავბერო!

მიხარია, რომ ვაიმარში მიდიხართ. ლისტის რაც არ უნდა იყოს, ის ადა-
მიანია, რომელიც ყველაზე ახლობელია თქვენთვის. ნუ დაკარგავთ მას. მე ვი-
ცი მისი ერთი კარგი ნათქვამი: „მე ადამიანებს ვაფასებ იმის მიხედვით, თუ რას
წარმოადგენენ ისინი ვაგნერისათვის“. რაც შეეხება ვენას, ვნახოთ, მოიღებს თუ
არა ბედი მოწყალებას. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ ამაზე. თავადის ცოლის ამ-
ბავი პირველად რომიდან შევიტყვე. ნაზარეველებს ხვდება იქ, ქრისტიან, საე-
კლესიო მხატვრებს ეს მის მიზნებს ემსახურება, და ისიც რკინისებური და-
ჟინებით მისდევს ამ საქმეს, თუმცა ეს საშინლად მოსაბეზრებელია. კორნელი-
უსისა და ოვერბეკის გარდა აქ ვერაფერს იპოვი სულის გასახარს; ცხადია, ცო-
ცხალ ხელოვანთა შორის. და ახლა ერთი თხოვნა, რომელიც შეძლებისდაგვა-
რად უნდა შემისრულოთ. საქმე ისაა, რომ საჩუქრად მივიღე პატარა ფოტოალ-
ბომი, და მას მერე მოვაგროვე ნაცნობთა ფოტოები, სავიზიტო ბარათის ზომის,

როგორც ჩემია. მე კი მაქვს თქვენი დიდი ფოტო, მაგრამ პატარა ალბომსაც სურს ერთი, და მისი ადგილი ღიად რჩება. მიუტევეთ პატარა ალბომს ასეთ ჭირვეულობას? იგი მოთმინებით დაგელოდებათ, თქვენი ბაღიც მოთმინებას მოიკრებს და აღარ შეაწუხებს ოსტატს წერით. თლონდაც შეასრულოს მან ეს თხოვნა, როცა საამისო სურვილი ექნება, რადგან, თუ ბაღს დაეკითხებით, ის ძალზე დაკავებულია. თქვენი ბაღი ამასობაში ცდილობს საჩუქრებს გააკეთებას, თუმცა იგი ძალ-ღონესაც აცლის. მაგრამ შედეგი კარგად უნდა იყოს. ახლა ჩამობნელდა, დაბინდული მთები უძრავად გაწოლილან, და ყოველივე სიჩუმეს მოუცავს. სიმშვიდე, სიმშვიდე, კურთხეული სიმშვიდე დაუფლებოდეს თქვენს გულსაც!

თქვენი პატილდე ვეზენდონკი.

24 ივნისი. 61

თქვენმა ბოლო სტრიქონებმა ძალზე დამალონა. დიდხანს ვერ გიპასუხეთ. ვენაში ჩვენს ერთად ყოფნაზე ფიქრი ისე ახლო იყო ჩემს გულთან, რომ ბოლოს და ბოლოს რწმენად მექცა. დიდხანს არ მქონდა ამის იმედი, ახლა კი გამიჩნდა და თურმე იმისათვის, რომ ისევე გამქრალიყო. რაც მომავლის ხელთ აღმოჩნდება, ის ჩვენთვის, ამ წამის თვალსაწიერიდან, ალბათ სამუდამოდ დაკარგულია. ეს წამი ჩვენ გვეკუთვნის. ხოლო ვინ იცის, რას გვიმზადებს ბურჟსით მოცული მომავალი თავის წიაღში. რაკი ვგრძნობ იმ სიძნელეებს, რაც ტრისტანის დაბადებას უნდა მოჰყოლოდა, გამუდმებით ვფიქრობდი ჩვენს შეხვედრაზე, და რომ გვცოდნოდა, რომ მხოლოდ ცოტა ხნით აპირებდით ვენაში დარჩენას, უსათუოდ უფრო ადრე ჩამოვიდოდით. მაგრამ შეხვედრა არ გვეწერა! ახლა კი ვერ ვისვენებ. მივუგდოთ ყური განგების ხმას, სადაც ის ჯერ კიდევ ისმის, — ვენეციაში. ორშაბათს ოტო და მე იქით მივემგზავრებით, დიდხანს არ ვაპირებთ დარჩენას; 14 დღეში, სულ დიდი სამ კვირაში, დავბრუნდებით. ეს იქნება ზამთრის ძილის წინ ერთგვარი გახალისება, გამხნევება და სტიმული, რის იმედებსაც ვენაზე ვამყარებდი. თუმცა ცხოვრება აქა-იქ იდილიური ჩანს, მახვილი თვალი ტრაგედიის მასალასაც გამოისძებნის მასში. ადამიანებს სიბეცე იცავს ურთიერთშეცნობისაგან. ამიტომაც „ხედვა“ თავისთავად უმტკივნეულოა, „ყოფა“ კი მარად მტკივნეული. თქვენ, შოპენჰაუერის თაყვანისმცემელს, ეს კარგად მოგეხსენებათ! ამრიგად ადამიანები, რომლებიც ბევრს ხედავენ და არაფერს არ წარმოადგენენ, ყველაზე ბედნიერნი უნდა იყვნენ! და, ბოლოს და ბოლოს, განა „ბედნიერად ყოფნა“ არაა მთავარი? ადამიანისთვის არაა საკმარისი, იყოს დიდი, მშვენიერი, კეთილი, მას სურს ბედნიერიც იყოს. რა საოცარი აზრებია! ჩემის აზრით, ვისაც ამ სამიდან ერთ-ერთი სიკეთე მაინც გააჩნია, დანარჩენის მოჩვენებითობით თავის დამძიმება აღარ დასჭირდება! თუმცა რას ვუწვი მე ყოველივე ამის შესახებ?

აქაურ სახელოვან კაცთა ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. გოტფრიდ კელერი სახელმწიფო კანცელარიის მწერლად აირჩიეს და ზულცერის ძველ ბინაზე გადავიდა. ისე რომ, „მწვანე ჰაინრიხის“ მოხუცი დედა მოხარულია, მის ვაჟს გარეგნულადაც დაფასებულსა და პატივცემულს რომ ხედავს!

კიდევ, მელეშოტი ტურიჩის უნივერსიტეტში მიიწვიეს პროფესორად თავის სპეციალობაში. ბოლო დროს აქ სრულიად მიტოვებული და თითქმის მიუსაფარი ცხოვრობდა.

დაბოლოს, თქვენმა პერვეგმა ნეაპოლში „შედარებითი ლიტერატურის“ პროფესორობა მიიღო. მისი მღვთმარეობისათვის ეს სწორედ დროული იყო.

აღბათ ახლა მაინც ექნება საშუალება, საპატიო, მისი მიდრეკილებების შესაფერის საქმიანობას მოჰკიდოს ხელი. აქაური ბატონები თავს იქნევენ დე სანტისის ქარაფშუტობაზე, მე კი მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს რამდენიმე სახელი მაინც გახმაურდა. გერმანიაში ეს ძალზე იშვიათია ხოლმე. ვის სახელებსაც ახსენებენ, უმეტესად არაფრისმთქმელია, და მხოლოდ ისინი იშხახურებენ ყურადღებას, ვის შესახებაც არ ლაპარაკობენ.

ჩემი მეგობარი რაღას მეტყვის საკუთარ თავზე? ვიზიარებ მის გულწრფელ ვილს კიდევ ერთი იმედის გაცრუების გამო! საით გაიტაცებენ მას ამ მოკლე ხანში ბედის ფრთები? დადგება დრო, როცა ის ჩვენს მწვანე სერზე დაისვენებს? ვიქონიოთ იმედი, რაც არ უნდა უიმედოდ გვეჩვენებოდეს ეს? გმადლობთ ფოტოგრაფიისა და გულწრფელი სიყვარულისათვის!

მატილდე ვეზენდონკი.

23 ოქტომბერი, 61.



ვეზარ კვიტაიუვილი

პლატერო საქართველოსად ეწვია

სადაც, უბრალოდ გამოცემული წიგნის თეთრ გარეკანზე ფეხებშეკეცილი, მოგრძობილი, გვერდზე შორცხვად მიბრუნებული, ყურებაშვეტილი ჩოჩორია გამოსახული. ნაღვლიანსა და თავდახრილს, შუბლზე ბუჩქად აჩეჩვია რბილი ბალანი. ჩვენს ბრწყინვალე მხატვარსა და მწიგნობარს ელგუჯა ბერძენიშვილს საუცხოოდ უგრძვნია ხიმენესის საქვეყნოდ განთქმული პლატეროს ჰაეროვნება და სიფაქიზე (სულ რამდენიმე შტრიხია გამოყენებული) და ეს ერთადერთი გრაფიკული ნამუშევარი მკითხველს თავიდანვე სასურველ განწყობილებას უქმნის.

პლატეროს გარეგნობის ფერწერული გარდასახვა რომ მოენდომებინა ვინმეს, ამას ჩვენი უპირველესი მხატვრის, გენიალური ნიკო ფიროსმანაშვილის დარად მთელს ქვეყნიერებაზე ვერავინ შესძლებდა. სახედართა მორჩილ, თვინიერ სამყაროზე როცა ვფიქრობ, ხშირად მახსენდება ფანდურზე აწყობილი ერთი ჩვენი კოლორიტული ხალხური სიმღერა („ჩემ ჯორა ნატვრის თვალია“...) ახირებული ხასიათის ჯორზე, რომლის ფათურაკებსაც პატრონი გაბმულად, ხალისიანი იუმორით ყვება. ეს სიმღერა თურმე ძალზე ჰყვარებია ფიროსმანს და არც გასაკვირია — იგი ხომ ცხოველებს, მათ შორის შავდრუნჩა, თვალებჩანადვლიანებულ ჩოკინებს (სააღდგომო ბატკნებისა და შვლების დარად) გამორჩეული სინაზითა და სიყვარულით, შეუდარებელი ოსტატობით ხატავდა.

ამ პატარა შესავლის შემდეგ შევეცდები, შეძლებისდაგვარად გამოვხატო ის ცოცხალი შთაბეჭდილებები, მანანა გიგინეიშვილის მიერ ესპანურიდან თარ-

გმნილი ხუან რამონ ხიმენესის უმშვენიერესი წიგნის („პლატერო და მე“) კითხვისას რომ აღმეძრა.

ღვთაებრივი შთაგონებით შობილ „ანდალუსიურ ელეგიას“ თავიდან ბოლომდე უმაღლესი პოეზიის სუნთქვა მიჰყვება. რაოდენ ადამიანური და ამდენადვე პოეტურია ავტორისეული მიძღვნა, სადაც ნახსენებია „საბრალო ავიდე-ლია“ — ოდესღაც მზის ქუჩაზე მცხოვრები „ერთი შეშლილი“ პროეტს მყვალსა და მიხაკებს რომ მოუკითხავდა ხოლმე.

ყოვლად შეუძლებელია უცრემლოდ წაიკითხო მთარგმნელის მცირე, ლოცვასავით აღვლენილი წინათქმა, მკითხველთან უინტიმურესი განდობა, ენით უთქმელ პირად ტრაგედიასთან დაკავშირებული. იგი გვაგონებს მასავით შვილ-დაკარგული ნეტარი ავგუსტინეს გზნებით აღსავსე სტრიქონებს, სწორუპოვარი „აღსარებიდან“ რომ გვახსოვს.

გამაოგნებელია დამთხვევა, რომ უფლისაგან „ოცდახუთი წლით მობარებულ“ პირშშოს დედამ „ანდალუსიური ელეგიის“ მხოლოდ ოცდახუთი ნაკვეთი წაუკითხა, მის სიცოცხლეში მეტი ვერ მოასწრო. ყველამ, ვისაც ის მართლაც „საოცარი ბიჭი“ უნახავს, იცის, ვინ დაკარგა საქართველომ. ეს ამ წინათქმაშიც იგრძნობა:

„ვანო რამიშვილის ზღვარდაუდებელი შესაძლებლობებისთვის ფეხის ასაწყობად, მისი დიდი მიზნების თანამზრახველობის ნიშნად, მისდა გასახარად, მისთვის ქართული „პლატეროს“ საჩუქებლად შეუდგა დედამისი ესპანურის შესწავლას“.

ბუნებისმიერი, საკრალური კავშირი თავზარდამცემი ტრაგედიის მერეც არ გაწყვეტილა. ასე რომ არ იყოს, არ ითქმებოდა: „...ეს თარგმანი ამქვეყნად დაშორებული დედა-შვილის სულიერმა ერთობამ გაასრულა.“

რა სიღრმე, რა სიმაღლეა ამ სიტყვებში და მაინც ბევრჯერ მიფიქრია: რამდენად ბედნიერები ვიქნებოდით, ჩვენს ძვირფას მანანას ამ უსაშველოდ ტკივილიანი წინათქმის დაწერა რომ არ დასჭირვებოდა.

ძალზე ცოტა იქნებოდა იმის თქმა, რომ „პლატერო და მე“ უზადო ქართულითაა თარგმნილი. ალბათ გაძნელებოდა მეორე ადამიანის დასახელება, ასე სისხლხორცეულად, ზუსტად და სრულყოფილად რომ გრძნობდეს ჩვენი ენის ფარულ სტიქიას, მის ნაირგვარ ელფერსა და მიმოხრას.

გასაკვირი არც არის, უკვე გამოძულავნებული უზომო სიყვარულით, საყოველთაო აღტაცებით რომ შეეგებნენ ამ წიგნს ქვეყანაში, სადაც „შვლის ნუკრის ნაამბობი“ დაიწერა. ქართულმა „პლატერომ“ პირველივე სტრიქონებიდანვე სხვანაირი შუქი შეიტანა მკითხველთა გულებში. თავიდანვე შეგიყვარდება, ისეა დახატული ეს თითქოსდა უსხეულო, ჰაეროვანი არსება:

„პლატერო პატარაა, გაბურძნული, ფაფუკი. ისეთი ქუნქულაა, თითქოს მთლად ბამბისა იყოს და ძვლები არც კი ჰქონდეს. მხოლოდ თვალები აქვს მკვრივი, გიშრის ხოჭოსავით თვალები, რომელშიც სარკესავით იხატება არემარე.“

მობალახე თანამოძმეთაგან პლატერო სხვა რამითაც განირჩევა:

„ჭამს, რამდენსაც მივცემ. უყვარს მანდარინი, მუსკატის ჯიშის ჩაქარვებული ყურძენი, იისფრად ჩამუქებული ლეღვი, თავის დათაფლულ წვეთიანად“.

გზადაგზა მკითხველს საკმაოდ შეხვდება ქართულ სიტყვათა იშვიათი, ხატოვანებითა და პოეტური ელერადობით გამორჩეული ფორმები, მთარგმნელის უმდიდრეს ლექსიკურ მარაგსა და ყველასგან განსხვავებულ ხელწერაზე რომ

პოეტი ყველგან პოეტად რჩება, რა ფორმაც არ უნდა მისცეს სათქმელს; თითქოს თავისთავად იღვრება ფერები, ლაგდება სურათები:

„ჩემო პლატერო, შემოდგომის პირი მაგონებს დაბმულ ქოფაკს, რომელიც გაბმით ყვეს, თეოზე, უკაცრიელ შიდაეზოში, ბალში, ყვეს შებინდებისას, უკვი რომ აცივდება ხოლმე და სევდა რომ მატულობს... რაც უფრო ყვითლდება დღეები, მით უფრო აშკარად მესმის, დაბმული ქოფაკი როგორ უჩვენებს ჩამავალ მზეს...“

ის, რაც ამ რამდენიმე სტრიქონში სიტყვის მაგიით არის მიღწეული, შეიძლება (თანაც მიახლოებით) მხოლოდ უმაღლესმა მუსიკალურმა ქმნილებამ განგვაცდევინოს.

შეუძლებელია ოდესმე დაგავიწყდეს, ისეა დახატული ბავშვობაში ძმასთან ერთად ნახაზი და შინ მიტანილი გატალახული ბერძნული კუ: „ტალახით იყო მოთხვრილი, წყალი დავასხით და გადასაყვანი ქალაღდივით გამოცინცხალდა, გამოანათა, როგორც ოქროთი და შავით ნახატმა...“

ხანგამოშვებით, ეს უცნაური, დაკვანჩხული არსება ეზოში ეკარგებათ, მაგრამ მერე ასევე მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე: „ერთ მშვენიერ დღეს ნახ- შირის გორაზე ვნახე მკვდარივით გაშეშებული. ერთხელაც სარდაფში ვნახე... ზოგჯერ კვერცხებისგან გაცლილი ბუდე მიმანიშნებდა, რომ სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო. ჭამს ქათმებთან, მტრედებთან, ბელურებთან ერთად, პომიდორი ყველაფერს ურჩევნია. გაზაფხულზე მთელი ეზოს ბატონ-პატრონი ხდება და თითქოს თავისი სიმარტოვიდან და გამომშრალ-გამომხმარი მარადიული სიბერიდან ამოიყრის ახალ ყლორტს, თითქოს თვითონვე შობს თავის თავს ახალი საუკუნისათვის“.

მთლიანი, სულმოუთქმელი, გამაოგნებელი პოეზიაა მოზრდილი მინიატურა „ბროწეული“. აქ წარმოსახულია, რა უღამაზეს შეგრძნებებს აღძრავს პოეტის წარმოსახვაში შემლილი გოგოს – აგიდელიას – მორთმეული ბროწეულის მწიფე ნაყოფი. თხელი აპკებით განცალკევებულ, ამეთვისტოებივით ბრიალა მარცვლებს პოეტი პირის ჩასატკბარუნებლად უწვდის განუყრელ პლატეროს:

„როგორაა გადავსებული, პლატერო, ჰა, გამომართვი, ჭამე! რა გემრიელია! რა სიამოვნებაა, როგორ ეფლობა კბილები ამ ხალისიან წითელ სიძწიფეში! მოიცა, ვერ ვლაპარაკობ. თვალი რომ დაინთქმება კალეიდოსკოპის დაუდევარ ფერთა ლაბირინთში, ისე იძირები გეშოში...“

ფინალური ნაწილი ნამდვილი ქებათა-ქებაა ამ ღვთაებრივი, ბიბლიური მშვენიერებით შემკული ხილისა:

„მზე ჩადიოდა. ბროწეულები ბრიალებდნენ და სხივს ისროდნენ, როგორც პატიოსანი თვლები, როგორც ჯადოსნური განძი, დახვავებული სადღაც, ზღაპრული ლელვის ჩერთში, ჭის სიახლოვეს, რომლის შემოშენებული კიდე ლელვის ხეს დაებზარა, საღამანდრებით სავსეს.“

ბროწეული მოგერის ნაყოფია, მშვენიერებაა მისი გერბისა! ჩამავალი წითელი მზისთვის გულგახსნილი ბროწეულები! ბროწეულები მონხას ბალისა, ბროწეულები პერალის ველისა, ბარიეგოს ბროწეულები! ბროწეულები ლელის-პირა მყუდრო მინდვრებისა, სადაც ზუსტად ისევე, როგორც ჩემს წარმოსახვაში, ცა ვარდისფრად ღვივის, ვიდრე მთლად არ დაღამდება...“

პოეტი ჩვენს თვალწინ ქმნის ყველაფრის დამტვევ კამკამა სიმბოლოს – „ძველ წყაროს“, რომელშიც მთელი სამყაროს სევდა და სიხარული იღანდება. ამ „ვეშა წყაროს“ იდუმალ ფსკერზე წაშლილია ზღვარი სიკვდილსა და სი-

ცოცხლეს შორის. აქ თითქმის მოუხელთებელი განცდება დატყვევებული და ბროლის ჭავლებით შემოგარსული, იმდენად მოულოდნელი და ისეთი მძაფრი, სუნთქვას შეგიკრავს:

„წყარო კი არა აკვანია, საქორწინე სარეცელია, სიმღერაა, სონეტია, სინამდვილეა, სიხარულია. ეს სიკვდილიცაა.“

სიკვდილი აქაა, პლატერო, ამ ღამეს, მარმარილოს ტორსიკულ კრეჭულსვეტილი ნაზად მოშრიალე ჩაბნელებულ სიმწვანეში. სიკვდილი უჩემოდსულად ამოაჩქეფებს წყაროს ჩემი მარადიულობისა“.

სულ ფერებაში ჰყავს პატრონს თავისი ნებიერა სახედარი, ყოველ წამს ესიყვარულება, გუნებაშიც ეალერსება; ვინმეს შეიძლება წამიერად მოეჩვენოს, თითქოს აყვედრიდეს მას ზრუნვასა და მეურვეობას, მაგრამ უთუოდ შეცდება, ვინც ამას იფიქრებს:

„...ნეტა რა ეშველებოდა საწყალ პლატეროს, ჩემთან, პოეტთან რომ არ მოხვედრილიყო და ხელში ჩავარდნიოდა ერთ-ერთ მენახშირეთაგანს, რომლებიც ღამღამობით უკაცრიელ გზებს ადგანან, რათა მთებიდან ჩამოზიდონ ნაპარავი ფიჭვები; ანდა რა ეშველებოდა, ხელში რომ ჩავარდნიოდა რომელიმე ბოშას, ჩამოკონკილსა და გაზიზნილს. ისინი ჭრელაჭრულად ღებავენ ვირებს, თავის წამალს ურევენ საჭმელში და ქინძისთავს უყრიან ყურში რომ არ გაოჩნდეს.“

ერთგან პოეტი ლაფონტენის იგავ-არაკებში გამოყვანილ მოლაპარაკე ცხოველებს იხსენებს და მაშინვე გრძნობს კონტრასტს, ერთგვარ უხერხულობას, მისებურად ამშვიდებს თავის გაბურძგულ ჩოკინას, შეახსენებს, რომ იგი ჩვეულებრივი ვირი არ არის და ამ სიტყვებში აშკარად ღრმა აზრია ჩამარხული:

„ცხადია, პლატერო, შენ არა ხარ ვირი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით და ესპანური ენის აკადემიური ლექსიკონის არცერთი განმარტება შენ არ შეგეფერება. ვირი კი ხარ, მაგრამ ხარ — ჩემებური გაგებით: შენ შენი ენა გაქვს და არ იცი ჩემი ენა, ისევე, როგორც მე არ ვიცი, ვთქვათ, ვარდის ან ბულბულის ენა.“

ნუ გაშინებს ჩემი წიგნები, ნუ იფიქრებ, რომ იგავის ენაჭარტალა გმირად გაქცევ, რომ შენს ხმას შევუხავებ მედიის წრიპინს ან ჩიტბატონას ფლურტულს, რათა ბოლოს მსხვილი ასოებით მივაყოლო ყოველად უაზრო და უმაქნისი შეგონება.

არა, პლატერო, არა, გენაცვალე.“

ამის მერე ორივენი საკარნავალო მოედანზე მოხუდებიან; ნაირფერად მორთულ, სხვადასხვა ხელობის ადამიანებად გარდასახულ ბავშვებში ტრიალებენ. ონაერები პლატეროსაც ჭრელა-ჭრულებში გამოაწყობენ. კუდიანებად გადაცმული, პერანგჩაფართხუნებული ქალები წრეში მოიქცევენ და მხიარულ ფერხულს ჩააბამენ. მოსახდენი აქ ხდება; ეს არის მთელ წიგნში ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი და დრამატული, დინამიზმით აღსავსე, ერთგვარი ტრაგიზმითაც შეფერილი ეპიზოდი, დამაღონებელ ფიქრებს რომ აღძრავს და სამუდამოდ გამახსოვრდება:

„პლატერო დაფრთხა, ყურები დაცქვიტა, თავი უკან გადააგდო, ცეცხლის რკალში მომწყვდეული მორიელივით აწრიალდა და გაშმაგებით შეეცადა გამოღწევას. მაგრამ პლატერო ხომ პატარაა და კუდიანებს სულაც არ ეშინია მისი, სიმღერითა და ხორხოცით ბზრიალებენ მის ირგვლივ. ბავშვები შესტქერიან ტყვეს და მის ყროყინს ბაძავენ, რომ ეგებ პლატეროსაც ამოაღებინონ ხმა. მთელი მოედანი შეუწყობელმა კონცერტმა ააზრიალა. გაისმოდა თითბრის საყვირების გუგუნის, ყროყინის, სიცილ-ხარხარი, მღერა, დაირების ფლარუნი და ქვასანაყის ბრავაბრუგი...“

ბოლოს და ბოლოს პლატერო კაცური კაცივით იქცევა, რკალს არღვევს და ჩემკენ მოიწევს. სახეიმო აკაზმულობით დაბორკილს თვალში ცრემლი აქვს ჩამდგარი. ჩემი არ იყოს, რა ესაქმება პლატეროს კარნავალზე... ჩვენ არცერთი არ ვარგივართ სამაგისოდ...“

პეპლების — ამ უნაზეს, სიფრიფანა, ჰაეროვან არსებათა თემა თავიდან ბოლომდე გასდევს „პლატეროს“, ათასფერად დაწინწკლულ, უჩვეულ საბურველში ხვევს. ეს მოლიანად სიზმარეული ხილვა, მოლანდებაა, მატერიის გარსისგან განპარცული, თავისუფალი. ბაღში პეპლის თავაწყვეტილი ფარფატის გადმომცემი მინიატურა („მადრიგალი“) მოლიანად ამოსაწერია, აქ ვერაფერს გამოთოვებ, ძალიანაც რომ ეცადო. მოლანდებული საოცრების ზიგზაგისებური მოძრაობა თითქოს „ფლამენკოს“ რიტმსაა აყოლილი. ამ წამიერ სასწაულსაც ერთგულ მეგზურს აჩვენებს პოეტი, ვისთვისაც პეპლის ნეტარი ქროლვა ლექსის დაბეჭდას უდრის:

„შეხე, პლატერო, შეხე! ცირკის ცხენი რომ არენას შემოურბენს, სამჯერ ასე შემოუქროლა მთელ ბაღს. თეთრია, ქათქათა. სინათლის წყნარი ზღვიდან აგორებულ ერთადერთ ტალღას გავს. შემოდობილს რომ გაუსწორდა, შეფანცქალდა და გადაფრინდა. წარმომიდგენია, როგორ დაჰფარფატებს ასკილის ბუჩქს, თითქოს ვხუდავ კიდევაც ქვიტკირის ღობის გადაღმა. შეხე, ახლა ისევ აქეთაა. სინამდვილეში ორია, ორი პეპელაა: ერთი — თეთრი, თვითონ და მეორე — შავი, მისი ჩრდილი.“

ეს, პლატერო მშვენიერებაა. მისი ვერდანახვა შეუძლებელია. იცი, როგორც შენს სახეზე — თვალეები, როგორც ღამეში — ვარსკვლავი, ასევე დილის ბაღის მშვენიერებაა ვარდი და პეპელა.

პლატერო, უყურე, რა ღამაზად დაფარფატებს! ალბათ მისთვის ნეტარებაა ასე ფარფატი! რა ნეტარებაც არის ჩემთვის, ნაღდი პოეტისათვის, ლექსი, — მისთვის ალბათ ესაა ფრენა.

სულიან-ხორციანად მთლად ატანილია ფრენით, თითქოს სხვა არაფერი ესაქმება ამქვეყნად, უფრო ზუსტად, — ამ ბაღში.

ჩუმაღ, პლატერო, გაიტრუნე... რა სიამოვნებაა ასე ფრენა, ასე უმანკოდ ასე უბიწოდ!“

პეპელას, ჩვეულებრივ, მიცვალებულის სულის სიმბოლოდ წარმოსახავენ და ამ უძველეს ხერხსაც დიდოსტატურად იყენებს ესპანური პოეზიის მშვენიერება — ხუან რამონ ხიმენესი. სიმბოლოთა ცნობილ ლექსიკონებში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ თეთრი პეპელა სხეულთან გაყრილი სულის ძველისძველი ხატია. შესაძლოა ამ მნიშვნელობასაც გულისხმობდეს ჩვენს მეტყველებაში შემორჩენილი მშვენიერი ქართული სიტყვა „ხატპეპელა.“ ერთხელაც გომურში პოეტს დასაღუპავად განწირული, საბრალობლად გამოტყუილი პლატერო ხვდება; თვალცრემლიანსა და უნუგემოდ ნაღვლიანს არაფერი ეშველა!

„შუადღეზე პლატერო მკვდარი იყო. ბამბის ქულასავით ფაფუკი მუცელი სფეროსავით გაჰბერვოდა. გაქუცული და გაფშეკილი ფეხები ზევით ჰქონდა ამწერილი. მისი ხუჭუჭა ბეწვი დაემსგავსა ძველი ფიტულის დაჩრდილულ ბუწუკებს, ხელს თუ გადაუსვამ, რომ ცვივა.“

გომურის სიჩუმეში პატარა სარკმლიდან შემოჭრილ მზის ათინათში რამდენჯერაც შემოფარფატებოდა, იმდენჯერ აფრიალდებოდა სამფეროვანი უმშვენიერესი პეპელა“.

ერთ-ერთ ბოლო ელევგიაში („სევდა“) კვლავ გაკრთება ეს ულამაზესი სახე

და ახალ სიღრმეს, ახალ ელვარებას იძენს, როგორც იდუმალების ზღაპრული სამყაროდან მოღწეული გულის შექმნავე გამოძახილი:

„— პლატერო, ჩემო მეგობარო! — მივმართე მიწას, — შენ თუ ახლა ნამდვილად ზეციურ ველებში ხარ, — მე კი მგონია, რომ ხარ, — და შენი გაბრუნებული ზურგით დაატარებ ყრმა ანგელოზებს, მე ალბათ კიდეც დამივიწყე. მითხარი, პლატერო, ისევ გახსოვარ?“

და ჩემი კითხვის პასუხად უმსუბუქესმა თეთრმა პეპელამ ^{ქრისტეშობა} ~~პეპელამ~~ ^{ქრისტეშობა} რთველიც აქამდე არ მენახა, ზამბახიდან ზამბახზე იწყო სულივით ფარფატი...“

არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ „პლატერო და მე“ მრავალი რამით მახსენებს (ამაზე ცალკე წერილის დაწერა შეიძლებოდა) გიორგი ლეონიძის ყრმობის მოგონებებით გადანათებულ განსაკვიფრებელ წიგნს „ნატურის ხეს.“ ყველაზე თვალნათლივ ამ სულიერ ნათესაობას გვაგრძნობინებს ის ელვია („მოგერის ცაში, პლატეროს“), სადაც პოეტი შორიდან ეალერსება არყოფნაში გადასულ პატარა ოთხფეხა მეგობარს. გენიალური მეოცნების გარდა ვინ დასტევდა ამოდენა სიყვარულს რამდენიმე უცნაურად დაქარაგმულ და მოქარგულ სტრიქონში:

„ჩემო საყვარელო, ჩემო ჩინდრიკა პლატერო, ჩემო ჩოკინა, ჩემო პატარა ჩოჩორო! რამდენჯერ აგიმალღებია ჩემი სული და გაგიყვანია ეკალბარდით, ბაღბით, ჯიქათი დაფარულ ამ ოღროჩოღრო გზებზე. შენ გეძღვნება ეს წიგნი. მასში შენზეა საუბარი. შენ ახლა უკვე შეგიძლია მისი გაგება.“

ეს წიგნი მისწვდება შენს სულს, რომელიც სამოთხეშია და ზრუნავს მოგერის ველ-მინდვრების სულისთვის, შენს სულს რომ თან გაჰყვა ზეცაში.

ამ წიგნის კაბადონებით გაუდგება ჩემი სული აყვავებულ მაყვლოვანში ზეციურ გზებს, დღითიდღე ამალღდება და გახდება უფრო კეთილი, უფრო მშვიდი, უფრო წმინდა.“

ახლა წამით ივრის ნაპირებზე, ობლობაში გაზრდილი დიდი ქართველი პოეტის ალერსიან ხმასაც დაუუგდოთ ყური, მოვუსმინოთ იმ კაცს, ვისაც ყმაწვილობის ჟამს წნორის კენწეროზე შემომჯდარი უცნაური, გულყვითელა ჩიტი „ბიჭო-გოგიას“ დასძახოდა:

„კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდე. ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვა.“

შესაძლოა პარალელებმა ზედმეტად გამოტაცა, მაგრამ როდესაც გონებაში იმავე გიორგი ლეონიძის უბრწყინვალესი ლექსის („მთაწმინდიდან ქარს მოქონდა“) სტრიქონები გახმიანდება: „იღვიძებდა მემწვანაილე გიშერთვალა ვირით...“ — თვალწინ ისევ მიაძიმებურად მოწყენილი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მობაკუნე პლატერო დამიდგება.

თვით უფალს შევცოდავ, აქვე რომ არ ვახსენო ამ საწუთროდან წასული ერთი ღიმილიანი, ჩია ტანის, ლექსსა და სილამაზეზე უზომოდ შეყვარებული პოეტური ბუნების კაცი (ნოდარ აღანია), პაწია ვირუკების სამყარო თავს რომ ერჩია. ერთხელ სამკერდე ნიშანიც იშოვა სადღაც — დიდყურას გამოსახულება — გულზე ჰქონდა დაბნეული. (მერე გავიგე, ეს ნატიფად ზომინანქრებული, პატარა ოთხკუთხა ნიშანი მის ძველ მეგობარს, ცნობილ კბილის ექიმს, საოქრომჭედლო საქმის დახვეწილ ოსტატს, დიდებულ პიროვნებას, განსვენებულ მურმან ხოფერიას გაუკეთებინა). ვირებზე დაწერილი მრავალი ლექსი თუ მოთხრობა საგანგებოდ მოაგროვა. მისი სამუშაო, წიგნებით გადაჭედული ოთახი ნახატი თუ სხვადასხვა მასალიდან გამოჭრილ-გამოჩორკნილი ამ ცხოველის ნაირ-ნაირი

ფიგურებით იყო მოფენილი. რაოდენ დახანანია, რომ მას არ დასცალდა, ხელში აეღო ქართული „პლატერო“ და დამტკბარიყო, მისებურად გაეხარა.

უმაღლეს კაცი მომაგონდა, როცა ბოლოს წინა ელევია („მუყაოს პლატერო“) ჩავიკითხე. მეგობარს თავისი ნახელავი გამოეგზავნა ხიმენესისთვის — საყვარლად დახატული და გამოჭრილი, საგორავ ფიცარზე დაკრული გიშრისთვალეზა ყურბანტურა. ისევ სულის შემძვრელი მიმართვა, ისევ ზეადამიანური მისივე-რულება:

„შენი ხათრით შევიყვარე, პლატერო, ეგ სათამაშო ვირუკა. ყველა, ვინც შემოდის ჩემს სამუშაო ოთახში, ღიმილით ამბობს: „პლატერო!“ ვინმე ისეთი თუ გამოერია, შენ რომ არ გიცნობს, და იკითხა, ვამბობ: „ეს არის პლატერო!“ და ამგვარად, შენი სახელის ხშირმა ხსენებამ შემაჩვია, რომ შენ აგერ ხარ, როცა მარტო ვარ, მაშინაც ვფიქრობ, რომ აქა ხარ, და თვალებით ვესიყვარულები.

შენ? რა უბადრუკი და უსუსურია მახსოვრობა ადამიანის გულისა! ეს მუყაოს პლატერო მე ახლა შენზე უფრო პლატეროდ მქნვენება, ჩემო პლატერო..“

პოეზიასა და მხატვრობაზე დაწერილ მოზრდილ ტრაქტატშიც კი გაძნელებოდა იმის დასაბუთება და ცხადყოფა, რაც ბოლო, პატარა აბზაცით არის ნათქვამი.

ამ ზღაპრულად ლამაზ, წმინდა წიგნში შემოქმედის უსაზღვროდ კეთილი, მთელი სამყაროს დამტვევი გული ფეთქავს. ეს რომ ვირწმუნოთ, თუნდაც უკანასკნელი ელევიის („სამარეში, პლატეროს“) წაკითხვაც კმარა. მოგერის დაუვიწყარ მიწაზე, სიცოცხლისგან აურიამულეებულ ბაღნარში დარჩენილი პოეტი წუთისოფლის ამაოებას სხვებთან ერთად უმკლავდება და იმასაც ამბობს, თუ რა აძლევს ადამიანებს გაძლების იშვიათ უნარს: „...მის (ნგრევის) დანატოვარ სიცარიელისა და განადგურებას თვალს ვუსწორებთ, ვდგავართ გამართულად, რადგან შეგვრჩა საუნჯეთაგან უმშვენიერესი — გული.“

ვატყობ, თითქმის ნახევარი წიგნის გადმოწერა მომიხდა (ვერ დავძლიე ეს ცდუნება), მაგრამ ბარემ აქვე მინდა გაისმას ამ ღვთაებრივი, განუმეორებელი მუსიკის ბოლო აკორდიც; შეუღარებელი მომხიბლაობის „ანდალუსიურ ელევიას“ რომ განახსრულებს:

„პლატერო, მარტო ხარ წარსულში. თუმცა რაში გენაღვლება წარსული, როცა მარადიულობაში ცოცხლობ. შენ მანდ და მე აქ ყოველ განთიადზე ხელით ვეხებით მზეს, უკვდავი ღმერთის გულივით წითელ მზეს.“



მცირე ხნით ისევ მთარგმნელისეულ წინათქმაში მორიდებულად გაცხადებულ უსაზომო ტკივილს მინდა დავუბრუნდე. ისეთი შეგრძნება მაქვს—ქართული „პლატეროს“ ყოველ სტრიქონში ვანიკო რამიშვილის უკვდავი და ულაბაზესი სულია განზავებული, რაც ჩემს განცდას ორმაგად აძლიერებს — ეს „საოცარი ბიჭი“, პატარაობისას, მასთან გასასინჯად მისულ მამაჩემს, ბავშვთა ექიმს, განსაკუთრებული ალერსიანობის გამო, თურმე თავის „მეორე ბაბუად“ მიიჩნევდა.

მე მუდამ გახარებული, სიამაყის გრძნობით შევყურებდი ვანიკოს ზრდასა და დავაჟაკაცებას, ხულიური სიმალღეებისაკენ მის დაუოკებელ ღტოლვას... იგი ძველეგვიპტურ მზის ღვთაებას, იზიდას ვაჟს, შევარდნისთავიან გორს მაგონებდა; რაღაც ჰქონდა ალისფერ სახეში ამ მეფური ფრინველისა— სულ შემართული იყო, სულ წინმძღვენი, დაფეთებული არაბული კვიცივით ასხლეტილ,

მაღალ ფეხებზე შემდგარი. სიჭაბუკის ჟამს, მეტწილად, ერისთავის ქუჩიდან ჩამომავალს ვხედავდი, თავისი დიდი და სახელოვანი ბაბუის, ივანე გიგინეიშვილის (არანაკლებ სახელოვანი მეორე ბაბუა, ბიძინა რამიშვილი, ოცდაჩვიდმეტმა წელმა იმსხვერპლა) ბინიდან გამოსულს. სწორედ აქ, ერისთავისა და ტაყაბუაძის ქუჩების შესაყართან მოექცა იგი უგუნური, ბრმა შემთხვევის საბედისწერო ბაღეში... ჩაქრა ემაწვილი კაცის უნათლესი, უძლიერესი გონება. ჩვენს საუბრობლოს ბედი რომ არ ჰქონია, ზაფხულის იმ ავბედით, ავადმოსაგონარ საღამოსაც დავრწმუნდით. ეს იყო ყველა ჩვენთაგანის, მის მცნობთა, მისი ოჯახის ახლობელთა დიდი პირადი ტრაგედია, მთელი საქართველოს საგლოვო და საგოდებელი. მე ისიც მწამს—უფრო წმინდა და ღირებულ ვანძს დაღუპული შვილის უკვდავსაყოფად ვერა დედა ვერ დადებდა.

ქართველი კაცისთვის ხიმენესის ეს წიგნი მრავალი რამით არის ძვირფასი და საგულისხმო. ეგებ მის სტრიქონებში დროდადრო შევიგრძნოთ მცხუნვარე სუნთქვა გიორგი ათონელის „ექვთიმეს ცხოვრებაში“ ნახსენები ექვთიმეს მამის, ქართველი ბერის, იოანესი, ვისაც ესპანეთში ქართველთა სისხლით ნათესავნი ეგულებოდა და ვინც, შულღიანობასა და ადამიანთა ღვარძლს რომ განრიდებოდა, „იულტოდის სპანიად.“ ჩვენი შორეული წინაპრის ესპანეთისკენ სწრაფვა, ეტყობა, უსაფუძვლო არ ყოფილა — სულიერი ნათესაობა, გარეგნობა, ტემპერამენტი, ცხოვრების ზოგიერთი წესი, სამყაროული სიღამაზის პოეტური აღქმა, თავისუფლების სიყვარული ნამდვილად გვაკავშირებს პირინეის ნახევარკუნძულის მამაც მკვიდრებთან. მანანა გიგინეიშვილის მაღლიანი ხელით გადმოქართულებული „პლატერო“ ამ სიახლოვისა და ნათესაობის სახიერი დასტური გახლავთ.

წიგნის ბოლოს დართული მანანა გიგინეიშვილისავე საუცხოო წერილი („ხუან რამონ ხიმენესის „პლატერო“) ცხადყოფს, რომ პლატერო პოეტის არსებაში გაღვიძებული და მისი ფანტაზიის განსახოვნებული მეორე, „უნივერსალური, ღვთაებრივი „მე“ არის. ამის გაუთვალისწინებლად „ანდალუსიური ელეგია“ ბევრ რამეს დაკარგავდა.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ „პლატერო და მე“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნია არა მარტო ესპანეთში, არამედ მის გარეთაც. ეს სასაცილოდ გაბურძგნული, გიშრისთვალეა ჩოკინა ბედნიერ ფეხზე აედევნა კვითშობილი ლამაზჩელი იდალგოს უერთგულესი მეგობრის — როსინანტის — გრძელ, გამხდარ ლანდს და მსოფლიოს მტვრიან გზებზე მასთან ერთად შეუღვა შარადიულ, დაუსრულებელ მოგზაურობას.

დიდი ხანი არ არის, რაც პლატერო ესპანეთივით მრავალჭირგამოვლილ საქართველოს ეწვია; მოგერის ცასა და მიწას შეჩვეულმა, არც ქართული მიწა და ჩვენებური ლაყვარდი იუცხოვა, მასპინძლობით განთქმული ქართველებიც საკადრისად დახვდნენ და მალე იმდენად შინაური გახდა, აქ დაბადებულსა და გაზრდილს გავს. დიდსა თუ პატარას, ყველას შეაყვარა თავი, — დადის, დაჩაქჩაქებს ჩვენს მთა-გორებსა და მინდვრებში და ყველგან ხალისი და სათნოება, სიცოცხლის მშვენიერება დააქვს.





სომეხის ლექსები ქართულად

საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ ირანთან, ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია და ტრადიცია აქვს. ეს ურთიერთკავშირები მეტნაკლებად ვითარდებოდა სხვადასხვა დროს. აღმოსავლეთის ცივილიზაციასთან მრავალმხრივ იყო დაკავშირებული საქართველო. ფეოდალიზმის ეპოქაში კულტურული განვითარების თვალსაზრისით აღმოსავლეთი არა თუ უსწორებდა მხარს დასავლეთს, არამედ ზოგჯერ კიდევ უსწრებდა.

საქართველო ებრძოდა თავდამსხმელებს, რათა შეენარჩუნებინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ მისი ურთიერთობა აღმოსავლეთთან მხოლოდ ბრძოლებით არ აღინიშნებოდა. ომებს კეთილმეზობლური დამოკიდებულება ენაცვლებოდა.

ქართული მეცნიერული ფილოლოგიისა და ისტორიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი ახლადგახსნილ ეროვნულ უნივერსიტეტში თავდაპირველად საქართველო-სპარსეთის კათედრას ხელმძღვანელობდა. მას წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა ქართული კულტურის აღორძინება. ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა შესწავლა ენისა და კულტურისა იმ ხალხებისა, რომელთაც ისტორიის გრძელ გზაზე ხშირი შეხვედრები ჰქონდათ ქართველებთან. ფუძემდებელურ ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ ივანე ჯავახიშვილი წერს: „თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა“.

ქართველი ერის აღმოსავლეთის ხალხებთან ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების კვალი შემონახულია არაერთ საბუთსა, წარწერასა თუ სხვა ძეგლში, როგორც ქართულ, ასევე აღმოსავლეთის ხალხთა ენებზე.

უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით კი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ ჩვენში კვლავ გაღვივდა ინტერესი ირანისადმი, რასაც მოჰყვა ორი ქვეყნის ხალხების მტკიცე დაკავშირება და ურთიერთობების მრავალმხრივი გაფართოება.

სპარსული ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. სპარსულ კლასიკოს პოეტთა უკვდავი ქმნილებები სიტყვისა და აზრის ელვარებით აჯადოებენ მკითხველს. მათი წყალობით დიდების შარავანდედით შემოსილმა სპარსულმა პოეზიამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში და სპარსული ლექსი აქცია ყველა დროის და ყველა ქვეყნის პოეტთა შთაგონების წყაროდ.

სპარსული ლიტერატურის ნიმუშების მრავალრიცხოვანი ქართული თარგმანები მაჩვენებელია ქართველი მოღვაწეების ყურადღებისა ირანის კულტურული სამყაროსადმი.

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს დრმა ფესვები აქვს.

სპარსული მწერლობისადმი ქართული საზოგადოებრიობის ინტერესი უფრო ძველია, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული თარგმანები.

შუა საუკუნეებში სპარსული კლასიკური ლიტერატურიდან გადმოთარგმნა-გადმოკეთების გზით ქართულ მწერლობაში არაერთი შედეგრი შემოვიდა. ამ დროს ჩვენი წინაპრები მეტ ინტერესს იჩენდნენ ეპიკური ჟანრის, კერძოდ საგმირო-საფალავნო, რომანტიკულ, დიდაქტიკურ-მორალური ეპოსის ძეგლები სადმი. ქართულ ენაზე აჟღერდა შესანიშნავი სპარსული ნაწარმოებები, როგორც რიცაა, მაგალითად „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“, „ქილილა და დამანა“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „ლეილაჯნუნიანი“, „ბარამგურიანი“, „ყარამანიანი“, „ყაბუს-ნამე“ და სხვა.

სპარსული ლირიკის თარგმნა საქართველოში არსებითად XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ სპარსული ეპიკური ჟანრის თხზულებების თარგმნისას ქართველი მთარგმნელების მიერ თხრობის ქსოვილში მიმოხვეულ ლექსების ნაწყვეტებს.

გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნეები იუსტინე აბულაძე და გიორგი ახვლედიანი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე წლების მანძილზე ქმნიდნენ იმ საფუძვლებს, რომელზედაც ჩამოყალიბდა და განვითარდა ქართული ირანისტიკა. შევეხებით მათი ნაყოფიერი მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს, კერძოდ მათ ღვაწლს სპარსული ლიტერატურის ქართულ ენაზე ამეტყველებაში, აღიარებულმა მკვლევარმა, ქართული თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებელმა აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა 1924 წ., პირველად თარგმნა ქართულად და „ჩვენს მეცნიერებაში“ დასტამბა ძველი ირანული რელიგიური წიგნის „ავესტის“ საგალობლები „გათები“. თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაზე მსჯელობისას ეს ფაქტი არ უნდა იყოს ყურადღების გარეშე დატოვებული, მით უფრო, რომ ომარ ხაიამის რომაიების პწკარედული თარგმანები პროფესორმა იუსტინე აბულაძემ იმავე 1924 წელს დასტამბა ჟურნალ „კავკასიონში“. ისინი ითვლება სპარსული პოეზიის პირველ ქართულ თარგმანებად. ირანის ლიტერატურა არ არის მხოლოდ კლასიკური პოეზია, რომელიც ფარსი-დარის ენაზეა შექმნილი. მისი შემადგენელი ნაწილებია აგრეთვე უძველესი და საშუალო ირანული ლიტერატურა. ამდენად ათვლა იწყება ძველი ირანული ლიტერატურული ძეგლიდან „ავესტიდან“.

ოციაწ წლებში ირანის რუსულ-სპარსული ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით ირანში ექვსი წელი იმყოფებოდა ამბაკო ჭელიძე. მან მოახერხა ფერეიდანში ჩასვლა და აღვილზე გაეცნო იქაური ქართველობის ყოფა-ცხოვრებას, რაც 1935 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ფერეიდნელი ქართველები“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ა. ჭელიძე, ეწეოდა ლიტერატურულ-მთარგმნელობით მოღვაწეობას. მან ქართულად თარგმნა „ირანული ლირიკოსები“ (1936) ნიზამის პოემები „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“, საადის „გოლესთანი“, „ბუსთანი“ და სხვა.

აღმოსავლური ენებიდან მხატვრული ლიტერატურის თარგმნა ღრმა პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ახალი ეტაპი სპარსული სიტყვაკაზმული მწერლობის ქართულად თარგმნის ისტორიაში დაიწყო, მაშინ, როცა ამ კეთილშობილურ, მაგრამ მეტად რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს ხელი მოჰკიდეს ირანისტიკაში განსწავლულმა მთარგმნელებმა, რომელთაც საკუთრივ ქართული ენისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნის გარდა საფუძვლიანად ჰქონდათ შესწავლილი აღმოსავლური სამყარო.

ნახევარი საუკუნეა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა სპარსუ-

ლი პოეზიის ქართულად თარგმანში მაგალი თოდუა. ასევე რამდენიმე ათეული წელია ილწვის და ჭაპანს ეწევა ვახუშტი კოტეტიშვილი. მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებულმა მათმა თარგმანებმა საშუალება მისცეს ქართველ მკითხველს, ფეხი შეედგა უმდიდრესი სპარსული ლირიკის ღრმა სამყაროში, ჩასწვდომოდა სპარსული ლექსის სიღრმესა და სინატიფეს, დამტკბარყო მისი მუსიკალობითა და კეთილხმოვნებით. სპარსული კლასიკური პოეზია (IX-XV სს) უზადო ნიმუშების ნატიფი ქართული ლექსით გადმოცემულ მაგალი თოდუასა და ვახუშტი კოტეტიშვილისეულ თარგმანებს კარგად იცნობს ქართული საზოგადოებრიობა. მათი მრავალრიცხოვანი თარგმანების ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

გარდა წიგნად გამოცემული თარგმანებისა (ი. ხაიამის „რობაიათი“ — 1963 წ., აბად-ორ-რაჰმან ჯამი — 1966 წ., ჰაფეზი — 1970 წ., დავასახელებთ მსოფლიო ლიტერატურის სერიით გამოცემულ ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ შედგენილ ვრცელ კრებულს „ირანული პოეზია“ (1975), რომელშიც გაერთიანებულია ძველი, საშუალო და კლასიკური პოეზიის ნიმუშების თარგმანები.

სპარსული ლიტერატურის კლასიკოსთა მაგალი თოდუასეული ქართული თარგმანები გამოქვეყნებულია ათზე მეტ წიგნად. მანვე პირველად შეადგინა და გამოსცა ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ნიმუშების კრებულები „არმაღანის“ სახელწოდებით (1965, 1982, 1987), რომლებშიც წარმოდგენილია ძველადმოსავლური, ინდური, სპარსული, არაბული, თურქული მწერლობის ნიმუშების ქართული თარგმანები. აღნიშნულ კრებულს სხვა ჟღერადობა მისცა მთარგმნელთა შორის ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის დამაარსებლების — გ. ახვლედიანის, გ. წერეთლის, ს. ჯიქიას... გამოჩენამ. დასაბამია, რომ მათ გვერდით ვერ ვხედავთ კლასიკური სპარსული ლირიკის პირველ მთარგმნელს პროფ. იუსტინე აბულაძეს.

„არმაღანი“ სპარსული წარმომადგენლობის სიტყვაა და ნიშნავს „მოგზაურობიდან ჩამოტანილ საჩუქარს, ძღვენს“. წიგნის შემდგენელმა და რედაქტორმა მ. თოდუამ იგი უძღვნა ყველას, ვისაც აღმოსავლეთი და მისი კულტურა აინტერესებს.

შემდგომ მოვიდნენ თარგმნის ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობის წარმომადგენლები: ჯ. აჯიაშვილი, ნ. ბართაია, ლ. ასათიანი, ბ. შალვაშვილი, გ. ლობჯანიძე...

პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ეს ირანისტები ფლობენ ლექსის საიდუმლოებას, ცდილობენ ნაკლებად დასცილდნენ დედანს, რასაც მეტნაკლები მხატვრული სიძლიერით ახერხებენ. ეს იმით აიხსნება, რომ უმეტესწილად ქართველი აღმოსავლეთმცოდნეებისგან სათარგმნი მასალის მექანიკური გადმოღება კი არ ხდება, არამედ სპარსული კლასიკური ლირიკა მათი შთაგონების წყაროს წარმოადგენს.

დღეს ქართველ მკითხველს შეუძლია მშობლიურ ენაზე გაეცნოს სპარსული კლასიკური პოეზიის წარმომადგენლების — რუდაქის, ფირდოუსის, ჰაფეზის, საადის, ომარ ხაიამის, ჯვალალ-ედ-დინ რუმის, აბდ-ორ-რაჰმან-ჯამის და სხვათა პოეტურ შედეგებს, რომლებიც საფუძვლად დაედო სპარსულ მესიტყვეთა შემოქმედების შემდგომ განვითარებას.

სავსებით კანონზომიერია, რომ ყურადღების ცენტრშია სპარსული კლასიკური პოეზია, მაგრამ თანამედროვე ირანის ლიტერატურის უგულვებელყოფა გაუმართლებელია.

საუკუნეების მანძილზე ირანში ლიტერატურული შემოქმედების ძირითად ფონს პოეზია წარმოადგენდა. პროზის სამოქმედო ასპარეზი საკმაოდ შეზღუდული იყო, რაც მთელი რიგი ფაქტორებით არის განპირობებული.

XX საუკუნიდან სურათი იცვლება. პოეზიის გვერდით არა თუ მკვიდრად მოიღვა ფეხი სპარსულმა პროზამ, არამედ ზოგჯერ უპირატესობას მას ანიჭებენ.

მეოცე საუკუნის ცხოვრების სინამდვილემ მრავალი ახალი პრობლემა დააყენა ლიტერატურის წინაშე. თანამედროვე ირანის მწერლობა ამ ამოცანების გადაჭრას ცდილობს არა მარტო ნაცადი ხერხებით, ტრადიციული ფორმების გამოყენებით, არამედ ეძებს ახალ გზებსაც. ფართო გასაქანი მიეცა ახალ ჟანრებს, კერძოდ ნოველის, რომანის, დრამის განვითარებას.

60-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზრი ინტერესს იჩენს თანამედროვე ირანის ლიტერატურისადმი. აღინიშნება საიუბილეო თარიღები, საჯარო გამოსვლების გარდა გამოქვეყნდა გამოკვლევები, რომლებიც მიუძღვნა თანამედროვე სპარსული მწერლობის აღიარებული წარმომადგენლების (ს. ჰედაიათი, ჯამალზადე, დეჰხოდა, ს. ნაფისი, ბ. ალავი, ხ. ხოსროვი, ს. ბეჰრანგი...) შემოქმედების შესწავლას, დაისტამბა თარგმანები.

ქართულ ენაზე თარგმნილია სპარსული რომანები: მ. მ. ქაზემის „საზარელი თეირანი“ და მ. დიდევარის „სიცრუე და ჯადოქრობა“, ნოველისტების ს. ჰედაიათის, ჯამალზადეს, ბ. ალავის, ს. ჩუბაქის, დ. საედის ცალკეული ნაწარმოებები.

სპარსულ ლიტერატურაში ორი მწერალია, რომლებმაც ნოველა მსოფლიო სტანდარტების დონეზე აიყვანეს. ესენია ჯამალზადე და ს. ჰედაიათი.

სპარსული ნოველის ფეხბედნიერი მეკვლე ჯამალზადე ერთადერთი სპარსელი მწერალია, რომლის შემოქმედებაც ჩვენში ჯერ კიდევ 30-იან წლებში გავცნენ. 1935 წელს „მნათობში“ (№ 5) გამოქვეყნდა მ. ხუბუას მიერ თარგმნილი ჯამალზადეს ორი ნოველა.

ს. ჰედაიათი XX საუკუნის სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი დედაბოძია. იგი თანამედროვე სპარსული მწერლობის მშვენიერება და სიამაყეა, მისმა ლიტერატურულმა შემკვიდრებამ დაასამარა ის მცდარი შეხედულება, თითქოს ირანის ლიტერატურა გარდასულ საუკუნეთა მიღმა დარჩა, წარსულის კუთვნილებაა და მას დახშული აქვს შემდგომი განვითარების გზა. სპარსული პროზის დიდოსტატის ს. ჰედაიათის შემოქმედებამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა, მისი ნოველების გმირები ამუტყველდნენ მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულზეც. მკითხველი საზოგადოება ს. ჰედაიათს ბევრად უფრო კარგად იცნობს, ვიდრე ყველა მწერალს, ვისაც კი სპარსულ ენაზე პროზაული ნაწარმოები შეუქმნია.

რამდენიმე ათეული წელია პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება ს. ჰედაიათის მოთხრობების ქართული თარგმანები. ცალკე გამოცემების სახით გამოვიდა „ჰაჯი ალა“ (1964), „პატრიოტი“ (1968), „სიცოცხლის წყარო“ (1969). წიგნებად არის დასტამბული ს. ჰედაიათის მოთხრობების კრებულები „ლალე“ (1970). მასში წარმოდგენილია 17 ნოველა და პამფლეტები. ასევე ვრცელი კრებული „ცეცხლთაყვანისმცემელი“ (1985) მთარგმნელის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თარგმანების ამ კრებულში შესულია 20 ნოველა, 6 პამფლეტი, პიესა, მოგზაურობის დღიური და გახმაურებული ვრცელი მოთხრობა „ბრმა ბუ“. თუკი ქართველ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა აქვს XX საუკუნის ირანის მხატვრულ პროზაზე, ამას ვერ ვიტყვით თანამედროვე სპარსულ პოეზიაზე.

უკანასკნელ ათწლეულში იკლო ქართულ ენაზე ირანის ლიტერატურის ნიმუშების თარგმანთა პუბლიკაციამ, მაგრამ სიყვარული და პატივისცემა ირანის კულტურისადმი, ამასთანვე ირანულ-ქართული ლიტერატურულ ერთიერთობების დროული და სწორი გაგება გვიტოვებს იმედს, რომ აღორძინდება ძველი ტრადიცია და ქართველი მკითხველი კვლავ შეძლებს ეზიაროს ირანის უმდიდრეს ლიტერატურას.

მით უფრო სასიამოვნოა, რომ დიდი გამოცდილების მქონე ჯარჯიშვილიძე-მა მთარგმნელებმა მაგალი თოდუამ და ვახუშტი კოტეტიშვილმა პრაქტიკული ამოცანის სწრაფად გადაწყვეტის უნარი გამოიჩინეს და მიაწოდეს ქართველ მკითხველს ირანის ისლამური რესპუბლიკის შესაძირკვლის, დიდად განსწავლული მუსლიმი თეოლოგის რუპოლაჰ იმამი ხომეინის ფაქიზი პოეტური ნიჭით და დახვეწილი გემოვნებით დაღდასმული ლექსები, ქუთაისსა და თბილისში (1995) დასტამბული მ. თოდუასა და ვ. კოტეტიშვილის მიერ შესრულებულ იმამი ხომეინის ლირიკის თარგმანთა კრებულების მიხედვით მკითხველი გაეცნო ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოს პოეტს.

რუპოლაჰ მუსაფი ხომეინი დაიბადა 1900 წელს სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ოჯახში პატარა ქალაქ ხომეინში, რომელიც ქ. ისპაჰანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. აქედანაა მისი ფსევდონიმი ხომეინი, რაც ქ. ხომეინის მცხოვრებს, ხომეინიდან წარმომდგარს ნიშნავს. ხუთი თვის მუსაფის ავაზაკებმა მოუკლეს 47 წლის მამა, სეიდ მუსტაფა მუსაფი. ენერგიულმა დედამ და ღვთისმოსავმა დეიდამ ობოლ ყრმას ისლამის რელიგიისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ჩაუნერგეს.

ხომეინიმ, რომელსაც აიათოლაჰის-მუსლიმი შიიტების უმაღლესი სასულიერო წოდება აქვს, მთელი თავის შეგნებული ცხოვრება შაჰის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია. როგორც მონარქიის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლს, ხომეინის დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, გაასახლეს ირანიდან. სამშობლოს მოწყვეტილმა 15 წელი ემიგრაციაში გაატარა. ჯერ ერაყში, შემდეგ საფრანგეთში.

1979 წელს ისლამური რევოლუციის ლიდერის აიათოლაჰ ხომეინის თაოსნობით დაემხო ორიათას ხუთასი წლის ისტორიის მქონე ირანის მონარქია. თანამემამულეებმა ხომეინი იმამად გამოაცხადეს. ისლამური მმართველობის სისტემაში იმამი ითვლება „მარჯა-ე თაფლიდად“, ე. ი. „მიბაძვის მაგალითად“. შიიტურ საზოგადოებაში პიროვნებას, რომელიც ბელადისთვის დამახასიათებელ თვისებებს შეიძენს, „მიბაძვის ნიმუშად“ აღიარებენ. ასეთ ღირსეულ ადამიანს, არჩევისა თუ დანიშვნის გარეშე, თაყვანისმცემლები წინამძღოლად მიიჩნევენ და ემორჩილებიან.

იმამი ხომეინი საზოგადოებას მართავდა ისლამური კანონებისა და ტრადიციების საფუძველზე. იმამის, რომელიც ფაქიზად (მუსლიმ ღვთისმეტყველად) ითვლება, ძირითად მოვალეობას საზოგადოების პოლიტიკური მართვა შეადგენს, (ვ. ბირმანი „ათი წელი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“).

რუპოლაჰ მუსაფი იმამ ხომეინიმ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ირანის ისლამურ რესპუბლიკად დაფუძნებისა და განვითარების საქმეს.

იმამი ხომეინი (გარდაიცვალა 1989 წელს) დღესაც შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს ირანში. რუპოლაჰ იმამი, ხომეინის ფენომენი მეოცე საუკუნის მუსლიმური სამყაროს ფენომენად მიაჩნიათ. მუსლიმი თეოლოგის აიათოლაჰ ხომეინის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული საღვთისმეტყველო ნაწარმოები.

ხომეინის პოეტური ფსევდონიმი იყო „ჰენდი“, რაც ინდოელს ნიშნავს. მისი ახლო წინაპრები ინდოეთში, კერძოდ კაშმირში, მცხოვრები ირანელები იყვნენ, ჩვეულებრივ სპარსელი ავტორები თავიანთ ფსევდონიმს ლექსის ბოლოში იხსენიებენ. რადგან მისი მოხსენიება სავალდებულო არ არის, ხომეინის აქაიქ აქვს მოტანილი თავის ფსევდონიმი (თახალოსი) „ჰენდი“.

ხალხური პოეზიისა და კლასიკოს პოეტთა შემოქმედების საფუძველზე შეიქმნა მწყობრი სისტემა, მეცნიერება ლექსთა წყობის თაობაზე. სწორედ არუზმა განსაზღვრა სპარსულ პოეზიაში პოეტური მეტრები, დაადგინა და მოაწესრიგა რითმების სისტემა და სტროფიკა, გარკვეულ წესებს დაუქვემდებარა პოეტური ფიგურები.

თანამედროვე სპარსული პოეზია ორი მიმართულებით ვითარდება-ტრადიციული და ნოვატორული გზით. სპარსულ პოეზიაში ახალი მიმდინარეობის ე. წ. „შერე ნოუზ“ ფუძემდებელია პოეტი და ლიტერატურის თეორეტიკოსი ნიმა იუშიჯი. თავის ავტობიოგრაფიაში პოეტი წერს, რომ იგი წარმოშობით ქართველია და მისი წინაპრები რამდენიმე საუკუნის წინ ჩაუყვანიათ ირანში (ირანის მწერალთა I კონგრესის მასალები, თეირანი 1947, გვ. 62). ნიმა იუშიჯს არ შეუცვლია არუზი სხვა პოეტური სისტემით. მაგრამ მან უარი თქვა არუზის ძირითად მოთხოვნაზე, კერძოდ, იზოსილაბიზმის პრინციპზე, ე. ი. დასაშვებად მიიჩნია სხვადასხვა ზომის გამოყენების წესი. ლექსს რიტმულ საფუძველად ნიმა უღებს არუზით გათვალისწინებულ რომელიმე ზომის ტერფს, მაგრამ პოეტი არ იცავს ლექსის სხვადასხვა სტრიქონებში ტერფების თანაბარი რაოდენობის კანონს. ნიმა იუშიჯი გადამწყვეტ მნიშვნელობას რიტმს ანიჭებს, რასაც ვერ ვიტყვით რითმის შესახებ (თ. კემელაუა, წერილები თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე, 1983, გვ. 194).

„შერე ნოუზ“ (ახალმა ლექსმა) მისი საუკეთესო წარმომადგენლების წყალობით გაიღვა ფესვი და მკვიდრი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

იმამი ხომეინი სპარსული კლასიკური პოეზიის ტრადიციების მიმდევარია. იგი ლექსებს ახალგაზრდობიდანვე წერდა, მაგრამ აქვეყნებდა თუ არა, ჩვენ არ ვიცით. ირანის საზოგადოება ხომეინს, როგორც პოეტს, გაეცნო მონარქიის დამხობის შემდეგ. მისი ლექსების სრული კრებული ზედიზედ სამჯერ გამოიცა 1984 (ორჯერ) და 1985 წელს, სახელწოდებით „იმამი ხომეინის დივანი“. მასში შესულია პოეტის 149 ყაზალი, 117 რობაი, ყასიდა, 2 მოსამათი და 21 ყითა. კრებულში შეტანილია აგრეთვე ცალკეული ფრაგმენტები (19 ერთეული), რომლებიც რაიმე ლექსის ნაწილები კი არ არის, არამედ სტრიქონებია, რომლებიც პოეტს ცალკე გამოუთქვამს, ალბათ, იმ მიზნით, რომ ისინი შემდეგ გარკვეულ ლირიკულ ლექსებში შეეტანა. „დივანი“ სპარსულ პოეზიაში ლირიკული ლექსების კრებულს ეწოდება. მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ყაზალია, რომელიც მეათე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ორი პრინციპითაა შედგენილი: შინაარსით იგი სატროფიალო უნდა იყოს, ხოლო ფორმით გაწყობილია რითმათა ასეთი სქემით: aabacada და ა. შ. ეს ერთი რითმით გამართული ლექსია, ე. ი. ერთგვარი მონორიმია, რომლის პირველი ორი სტრიქონი ერთმანეთს ერთმეება. მომდევნო რითმა კი სტრიქონის გამოტოვებით მოდის. მეორე თავისებურება ფორმის თვალსაზრისით ისაა, რომ მისი ყოველი ბეითი (ორსტრიქონედი). დამოუკიდებელი პოეტური ერთეული უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს ლექსის ნებისმიერ ადგილს მისი ჩასმა.

ყაზალი მონორიმია და თავიდანვე შეიქმნა „დივანის“ შედგენის ასეთი წე-

სი: კრებულში ჯერ მოთავსებულია ანზე დაბოლოებული რითმის მქონე ლექსები, შემდეგ ბანზე დაბოლოებული და ა. შ. რაც შეეხება შინაარსს, იგი სატრფიალო უნდა იყოს, უმეტესად აქ ქალი და ღვინოა წარმოჩენილი.

მკითხველს, რომელიც სპარსულ პოეზიას ნაკლებად იცნობს, გაუკვირდება: მაჰმადიანები ღვინოს არ ეტანებიან, ისლამი ხომ ამას სასტიკად მოძალავს და როგორ ხდება, რომ მათ პოეზიაში ღვინოა შექცეული და მკვლევარ-პოეტები თრობისაკენ მოგვიწოდებენო, მით უფრო საკვირველი და უცნაური უნდა იყოს ეს იმამი ხომეინისაგან, რომელიც ისლამის მოძღვრების თავგამოდებული დამცველი და თეორეტიკოსი იყო. ეს იმით აიხსნება, რომ აღმოსავლურ პოეზიაში გაბატონებულია თავისებური ნეოპლატონიზმი, რომელიც ამქვეყნიურ საგნებსა და მოვლენებს განიხილავს როგორც უზენაესის (უფალის) ემანაციას.

ადამიანის ძირითადი მიზანი უფალთან მიახლოება და მისთვის მიმგვანებაა. ამისათვის არსებობს გარკვეული გზები და საშუალებანი, როგორც მთარგმნელი მაგალი თოდუა წიგნს დართულ წინასიტყვაობაში წერს: „ხომეინი მისტიკოსია და მას გამოყენებული აქვს წინამორბედი პოეტების მეთოდი: ღვთაებისადმი მიძღვნილ ჰიმნებში უფალი წარმოდგენილია ლამაზი ქალის ან ღვინის სახით, ხოლო მისკენ ლტოლვა და მისი სიყვარული-ქალთან აღერსით და ღვინის სმის საშუალებით. ამის გამო ხომეინის, ისე როგორც, ვთქვათ, ჰაფეზის, ლექსებს ორი ფოკუსი გააჩნია: ვინც მათში უფლისადმი მიმართვას ეძიებს, ამ სიმბოლოებს აღიქვამს უზენაესისადმი მიძღვნილ ჰიმნებად, ხოლო ვინც ამ ფაქიზ ხელოვნებას ვერ სწვდება, მათში ხორციელი ტკბობის ასახვას ხედავს“.

ადამიანის ძირითადი მიზანი უფალთან მიახლოებაა. ამის გარდა სხვა არაფერი არ აღელვებს პოეტის გულს. ხომეინი თავდაუპყრელია, როცა ენაკვიმატობს, სხვა რელიგიებზე რომ არაფერი ვთქვათ, აბუჩად იგდებს თვით მუსლიმანთა წმიდათაწმიდა ცნებებსა და საგნებს: მეჩეთი, ნამაზი, ქააბა, მედრესე... პოეტი ამბობს:

„რაც ჩემს გულს უნდა, არ მეგულება
 არავითარი რჯულის სიაში:
 არც მუსულმანებს ჰყავთ ის მეჩეთში,
 არც ქრისტიანებს ეკლესიაში“ (გვ. 5).

ჩვენი ჩვეულებრივი წარმოდგენა ბიბლიისა და ყურანის მიერ შეპირებულ სამოთხის, ედემის და მათ ბინადართა შესახებ ფერმკრთალდება და ფასსაც კარგავს, თუკი ღვთაებასთან სიახლოვეს დანატრულებული პოეტი მოახერხებს და თუნდაც თვალს შეადგამს უზენაესს (უფალს). ხომეინი ასე მიმართავს უზენაესს:

„ჩემს სიახლოვეს შენ თუ არ სუნთქავ,
 თავსაყუდარი ქვეყნად არსად მაქვს,
 თვითონ სამოთხეც რომ სამოთხეა,
 არ მიღირს იგი ჩაღის ფასადაც“ (გვ. 5).

სპარსული ლექსის ქართულად თარგმნის დროს მაგალი თოდუა პოულობს აუცილებელ ნიუანსებს, რომლებიც კარგად მიესადაგებიან სათქმელს. აღნიშნულ თარგმანში იგრძნობა რთული ეანრის, კერძოდ ფილოსოფიური ლირიკის, ღრმად გაგებისა და ასახვის ძალა, რაც მიღწეულია მთარგმნელის პროფესიუ-

ლი კეთილსინდისიერებით და შემოქმედებითი ძიებით. იმაში ხომეინის ფილოსოფიური კონცეფციის გადმოცემისას მაგალი თოდუა ცდილობს ქართველი მკითხველი აზიაროს დედნისეულ სილაღესა და ბუნებრიობას, არ გადასცეს სპარსული პოეტ-ფილოსოფოსის მხატვრული აზროვნების ფარგლებს. მასთანავე ქართულ თარგმანში აზრი ნათლად და გასაგებადაა გადმოცემული.

ადამიანის ტრფობის ერთადერთი სათაყვანო ობიექტი უზენაესი (ღვთაება) უნდა იყოს. ეს, პოეტის აზრით, უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამ ტრფობას მწუხაროდ, თვითონ ჩვენვე ყოველთვის ვერ ვგრძნობთ:

„გამქლავნებულად არ ვიცით, თორემ
მისი მეტრფე ვართ ამ ქვეყნად ყველა“. (გვ. 39).

უფლის შეცნობისათვის საჭიროა არა გონება, არამედ გული. ამიტომ იმაში ხომეინის პოეზიაში ისე, როგორც ქრისტიანულ რელიგიაში, ფილოსოფია და რელიგია ერთმანეთსაა დაპირისპირებული. ჯერ კიდევ X საუკუნეში სპარსული პოეზიის მამამთავარი რუდაქი წერდა: „მე ბერძნების დამშრალ ღელეში (აქ ის ანტიკურ ფილოსოფიას გულისხმობს) წყალს ვერ ვიპოვნით.“

ამიტომ ისლამის ინტელექტუალური სამყარო უფლის შესაცნობად მიმართავს ერთგვარ მისტიკას (ირფანს). ხომეინის ლექსები ირფანულე მისტიკურ-ფილოსოფიურ ჟანრს მიეკუთვნება. მთარგმნელმა ეს იცის, მაგრამ, რადგან ეს ტერმინი ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შემოსული, თავისი თარგმანების წიგნისათვის მას „ფილოსოფიური ლირიკა“ დაურქმევია.

ხომეინის ლირიკა შთამბეჭდავია, მაგრამ იგი ისე როგორც სხვა სპარსული პოეტები ვერ გაუწევს მეტოქეობას ყაზალის მეფეს ჰაფეზს. ხომეინის დივანის წინასიტყვაობაში მისი ქალიშვილი ფათიმა, რომელსაც არაერთი ლექსი უძღვნა პოეტმა, იგონებს: „მამას ერთხელ ლექსას დაწერა ვთხოვეო, მან მისაყვედურა: მე განა პოეტი ვარო!“ (გვ. 34). ერთ-ერთ ლექსში, რომელიც სარეცენზიო თარგმანების ავტორს არ გადმოუტანია, ხომეინი წერს: „თუ პოეტი საადი შირაზელია, ჩემი და შენი ლექსი თამაშობააო“. ისლამის დიდი თეორეტიკოსი და მეცნიერი ხომეინი თავს პოეტად არ თვლიდა, მაგრამ ამის დაჯერება უსამართლობა იქნებოდა. ხომეინი ფართო დიაპაზონის შემოქმედია. მისი მხატვრული აზროვნების დონე მაღალია, ხომეინის მარტო მისტიკური ყაზალები და რობაიები არ უწერია. მას ეკუთვნის ჩვეულებრივი „მიწიერი“ ლექსებიც, თვით რევოლუციის თემაზე შეთხზული რობაიებიც კი.

როგორც აღვნიშნეთ, ყაზალი თავისებური მონორიშია და იგი ერთ რითმაზეა ასხმული. ქართული პოეზიისათვის, განსაკუთრებით მთიელთა ფოლკლორისათვის და ვაჟასათვის მონორიში უცხო არ არის. სპარსული პოეზიის ქართველ მთარგმნელებს მ. თოდუას, ვ. კოტეტიშვილს, ნ. ბართაიას და სხვებს არაერთი სპარსული ყაზალი აქვთ გადმოტანილი მონორიშით. სარეცენზიო კრებულში შემავალი ლექსები მაგალი თოდუას მონორიშით არ უთარგმნია. მისი სქემა ასეთია: abcb.

მაგალი თოდუას მიერ ქართულიდან თარგმნილი იმაში ხომეინის ლირიკული ლექსების კრებულს, რომელიც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის მიერ არის გამოცემული, დართული აქვს წინათქმა, კომენტარები და ლექსიკონი. სასურველი იქნებოდა მათი განვრცობა, რადგანაც ზოგიერთი სპარსული ტერმინი თუ სიტყვა განუმარტავადაა დარჩენილი.

სარეცენზიო კრებული პირველი წიგნია ჩვენში, რომელშიც თარგმანებ-

თან ერთად მოცემულია დედნის ტექსტებიც. ეს საყურადღებო მოვლენაა, რადგან სპარსული ენის მცოდნეთ ხელთ ეძლევათ სპარსული ტექსტიც, ამავე დროს შესაძლებლობა — ორიგინალს შეადარონ თარგმანი. რადგან თარგმანის ორიგინალთან მიმართება ვახსენეთ, მოვიტანთ ერთი ლექსის გარკვეული ადგილის ორიგინალის პწკარედს და მის შესატყვის მაგალი თოდუასეულ თარგმანს:

სპარსული პწკარედი:

„ამბავი სიმთვრალისა, სიმბოლო მიუწვდომლობისა და თავდავიწყებისა შეყვარებულმა იციან, რადგან ეს არც მითია და არც ზღაპარი“ (გვ. 14).

თარგმანი: „თავდავიწყების ნიშანი რაა

და იდუმალი ლოთი რითია;

მხოლოდ მიჯნურმა იცის და იგი

არც ზღაპარია და არც მითია.“ (გვ. 15).

ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ქართულად თარგმნილ იმამი ხომეინის ლირიკულ ლექსების კრებულს, რომელიც საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემათა სერიის გრიფითაა დასტამბული, „სიყვარულის ღვინო“ ეწოდება. მასში კიდევ ერთხელ გაიელვა მთარგმნელის სიყვარულმა სპარსული პოეზიისადმი და მაღალმა პოეტურმა კულტურამ. აღნიშნულ თარგმანში სპარსელი პოეტის იმამი ხომეინის მსოფლგანცდა შთამბეჭდავი მხატვრული ქარგით არის ხორცშესხმული.

ხომეინის ლირიკის კოტეტიშვილისეული თარგმანი მოხდენილი ქართული ლექსით არის გადმოცემული და იგი დედანთან შედარებამდე ჭეშმარიტ პოეზიას აზიარებს მკითხველს. გვსურს გადმოვცეთ ის დადებითი ემოციები, რაც ლექსების ამ კრებულის „სიყვარულის ღვინოს“ წაკითხვისას უჩნდება მკითხველს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებლის რუჰოლაჰ მუსაეი იმამი ხომეინის ლირიკული ლექსების პირველად ქართულ ენაზე გამოცემის ფაქტი უთუოდ მისასალმებელია. აღიარებული მთარგმნელებისა და პოეტების მაგალი თოდუასა და ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ გამოქვეყნებული აღნიშნული წიგნები შესამჩნევი ლიტერატურული მოვლენაა, რომელიც აახლოებს ხალხებს და წინ წასწევს ქართველი და ირანელი ერების ტრადიციულ ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების განვითარების საქმეს.



ქართული ჯოისოლოგი



ნიკო ყიასაშვილმა ლიტერატურის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისად რომანის ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ თარგმნას თავისი ცხოვრების უძველესი უძღვნი, ამიტომ ამჯერად შევეცდები, ბატონი ნიკოს ჯოისოლოგიურ ღვაწლზე ვილაპარაკო...

ნიკოს — როგორც ჯოისოლოგის საერთაშორისო აღიარებას მოწმობდა ის ფაქტიც, რომ იგი იმ 18 გამოჩენილ ჯოისოლოგს შორის აღმოჩნდა, რომელთაც დაევალოთ „ულისეს“ ერთ-ერთი ეპიზოდის (თავის) ინტერპრეტირება (როგორც გახსოვთ, „ულისე“ 18 ეპიზოდისაგან შედგება). სამწუხაროდ, რატომღაც ეს სოლიდური პროექტი ვეღარ განხორციელდა.

მე თუ მკითხავთ, სწორედ „ულისეს“ ქართული თარგმანი აღმოჩნდა ნიკოს ე. წ. „ლუბენსვერკ“, ე. ი. მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მიღწევა. ნიკო „ულისეს“ თარგმნამდე, აგრეთვე თარგმნისას, საგანგებო მოსამზადებელ სამუშაოს ატარებდა:

იგი მეცნიერულად და ლიტერატურულად სწავლობდა „ულისეს“ ყველა, მისთვის ხელმისაწვდომ თარგმანს, გულდასმით ეცნობოდა ვებერთელა სამეცნიერო აპარატს, რაც თან ახლდა „ულისეს“ გამოცემებს, ითვალისწინებდა უამრავ კომენტარს, რითაც დახუნძლულია „ულისეს“ ყოველი გამოცემა („ულისეს“ გაგება და, მით უმეტეს, თარგმნა, კომენტარების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია).

საგულისხმოა, რომ ჯოისის „ულისეს“ წაკითხვა და ამით ესთეტიკური სიამოვნების მიღება უჭირდა თომას მანსაც კი, რომელმაც საკმაოდ დიდხანს იცხოვრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისურად თითქოს თავისუფლად კითხულობდა, ინტერვიუებს იძლეოდა, წერდა... „ულისეს“ მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ძალიან ძნელად წასაკითხი და, მით უმეტეს, ძალიან ძნელად სათარგმნელი რომანია.

ნიკოს ხელთ ჰქონდა „ულისეს“ თარგმანები სხვადასხვა ენაზე; ყველა საჭოჭმანო, ბუნდოვან, გაუგებარ ადგილს სხვა თარგმანებში ამოწმებდა, ერთმანეთს უდარებდა ერთსა და იმავე ფრაზას სხვადასხვა თარგმანში; ნიკო კონტაქტში იყო „ულისეს“ თითქმის ყველა ცოცხალ მთარგმნელთან, ბჭობდა მათთან ერთად, გამოცდილებას იღებდა მათგან და თავის მხრივ თავადაც უზიარებდა საკუთარ გამოცდილებას...

საინტერესოა მეგობრული შარეი, რომელიც ნიკოს ირლანდიის ხელოვნების სამეფო აკადემიის პრეზიდენტმა, მხატვარმა ტომას რაიანმა 1982 წლის 5 სექტემბერს მიუძღვნა:

ნიკო გადამღილი „ულისეთი“ ღუბლინას ერთ-ერთ პარკში დგას მარჯორი ფიცგიბონის ჯოისის ბიუსტთან და ჯოისს, როგორც ჩანს, ეკითხება მისი რომანის ერთ-ერთი ბუნდოვანი ადგილის თაობაზე. ეტყობა, ჯოისმა რაღაც უპასუხა, მაგრამ ნიკომ კარგად ვერ გაარჩია ჯოისის ნათქვამი და ცნობისმოყვარედ ხელმეორედ ეკითხება მწერალს: „რა ბრძანეთ, ბატონო ჯოის?“

ნიკოს ხელთ ჰქონდა მთელი ბიბლიოთეკა, საერთოდაა, ჯოისისა და, კერძოდ, „ულისეს“ შესახებ თითქმის ყველა გამოცემა.

მას იცნობდა თითქმის ყველა ჯოისოლოგი (რიჩარდ ელმანი, ჰანს ვალ-

ტერ გაბლერი, ფრიცუხენი, დევილ ნორისი და სხვები) და „ულისეს“ თითქმის ყველა მთარგმნელი (გერმანელი ჰანს ვოლშლეგერი, ფრანგი ოგიუსტ მორელი, პოლანდიელი მორგენს ბოისენი, დანიელი ჯონ კასტორი ჰანსენი და სხვები).

ნიკო 1982 წელს საგანგებოდ ეწვია დუბლინს, რათა ადგილზევე გარკვეულიყო ზოგიერთ „ლოკალურ“ სპეციფიკურ სიტულებაში, ზედმეტწინაშე შეგარბნო დუბლინის კოლორიტი და „გენიუს ლოცი“ (ამ მოგზაურობის შედეგად შეიქმნა ბრწყინვალე ესეი: „სკილასა და ქარიბდას შორის, ანუ „რა ბრძანეთ, ბატონო ჯოის?“).

ზოგიერთი, ჯოისის შემოქმედებასა და „ულისეში“ ჩაუხედავი მკითხველი, რომელიც არათუ „ულისეს“ არ იცნობს დედანში, არამედ ამ რომანის არცერთი თარგმანიც არ წაუკითხავს, ჯოისის „უცნაურობებს“, უჩვეულობას, „ექსცენტრულობას“ და ა. შ. ნიკოს მიაწერს და ქართულ თარგმანს იწუნებს: ქართულად ცუდად ჟღერსო. ასეთ მკითხველს შეიძლება შევახსენოთ რიგითი ინგლისელი მკითხველის „მოთხოვნა“, რაც თავის გასამართლებლად მოჰყავს „ულისეს“ პოლანდიელ მთარგმნელს, მორგენს ბოისენს: „მე მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი („ულისე“-ნ. კ.), უპირველეს ყოვლისა, ინგლისურად უნდა ითარგმნოს“. მაშასადამე, „ულისე“ თვით ინგლისურენოვანი მკითხველისათვისაც გაუგებარია და ძნელად აღსაქმელი, რადგან ამ რომანში, როგორც ბოისენი წერს, ძალიან ბევრია სიტყვათა თამაში, უამრავი რემინისცენცია ირლანდიური პოეზიიდან, დიდძალი ლიტერატურული, ბიბლიური და მუსიკალური ალუზიები, ნაირნაირი უბრჭყალებო ციტატები (რომელთა ამოცნობა-გაშიფრვაა საჭირო), მრავალი ენობრივ-სტილისტური ექსპერიმენტი, რაც უჩვეულოა თვით ინგლისურენოვანი მკითხველისათვისაც. თურმე, თვითონ ჯოისი შენიშნავდა, მე იმდენი ენიგმა და თავსატეხი გამოცანა შევიტანე „ულისეში“, რომ პროფესორები საუკუნეებს მოანდომებენ იმაზე კამათს, თუ რას ვგულისხმობდიო.

ასე რომ, ზოგიერთებს, ნიკოს თარგმანი რომ არ მოსწონთ, სინამდვილეში არ მოსწონთ ჯოისი; და ჯოისის მიუღებლობა და სიუცხოვე რომ დაფარონ, მთარგმნელს იწუნებენ – ეს იოლი გზაა კომპლექსისაგან თავის გასათავისუფლებლად...

ცხადია, ჟიულ ვერნის, დიუმას, კონან დოილის, თუნდაც ვიქტორ ჰიუგოს რომანებზე გაწაფულ მკითხველთ აღიზიანებთ ჯოისის ტიპის მწერლები; მათ ჭირის დღესავით ეჯავრებათ ტექსტები, რომელნიც კომენტარებს მოითხოვენ. ამიტომ ძალიან ვთხოვ „ულისეს“ ქართული თარგმანის მკითხველებს, ჯოისის „ცოდვებსა“ და „რებუსებს“ მთარგმნელს ნუ მიაწერენ!

